ნოდარ ბასილაძე

ქართული პედაგოგიკის ისტორია



გამომცემლობა „ლაზარე“
ბათუმი – 2013

წიგნში გაშუქებულია პედაგოგიკური აზროვნების ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება საქართველოში; ნაჩვენებია ქართველი კლასიკოსი პედაგოგებისა და მწერლების შეხედულებანი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდისა და განათლების შესახებ.

ნაშრომი გამოადგებათ როგორც სტუდენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებს, ისე ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლე-ბის მასწავლებლებს ქართული პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლასა და წარსულის ღირსეული გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენებაში.

რედაქტორი – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი შოთა მალაზონია

რეცენზენტები: პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი კოტე რამიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი სერგო დუმბაძე

პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი რომან აბაშიძე

გამომცემლობა „ლაპარე+“ – 2013
ISBN 978-9941-9244-1-5

ავტორისაგან

მოზარდი თაობის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ ვითარდებოდა წარსულში აღზრდა, სწავლება და განათლება ჩვენს ქვეყანაში, რადგან წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი. მისი სრულყოფილად შესწავლა და თანამედროვეთა სამსახურში ჩაყენება მომავლის სწორად განჭვრეტის საწინდარია. ეს მით უფრო აუცილებელია დღეს, დამოუკიდებელ საქართველოში, რადგან ყოფილ საბჭოთა კავშირში წარსული ცალმხრივად და დამახინჯებულად ისწავლებოდა. სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები მოსკოვში იქმნებოდა და დაიწერებული იყვნენ ის პედაგოგები და საზოგადო მოღვაწენი, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს თავიანთი რესპუბლიკების განათლების სისტემის სრულყოფისა და ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის.

ყოველივე ეს მთლიანად ეხებოდა საქართველოსაც. ჩვენში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მასწავლებლები მზადდებოდნენ, პედაგოგიკის ისტორია ისწავლებოდა რუსულიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოთი, რომელშიც არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის და, ცხადია, არც ქართველი პედაგოგების ნააზრევი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე არ განიხილებოდა, მათ შორის არც იაკობ გოგებაშვილისა. ეს პრობლემა უნდა გადაჭრილიყო ადგილებზე, მაგრამ აღნიშნული საგნის შესწავლისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. მართალია, ქართველ ავტორთა კოლექტივის მიერ 1974 წელს დაიწერა და გამოიცა „ქართული პედაგოგიკის ისტორია“, მაგრამ მასში მხოლოდ ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ლუარსაბ ბოცვაძისა და შიო ჩიტაძის ცხოვრება, მოღვაწეობა და პედაგოგიკური იდეებია სრულყოფილად განხილული. ხოლო, რაც შეეხება გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე), აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ცხვედაძის, ივანე როსტომაშვილის, მემედ აბაშიძის, დიმიტრი უზნაძისა და სხვათა პედაგოგიკურ შეხედულებებს, მათზე არაფერია ნათქვამი. ამი-

ტომ აღნიშნული ნაშრომი ვერ იძლევა ქართველ პედაგოგთა და სახელავო მოღვაწეთა ნაზრევის მთლიან სურათს. ყოველივე ამის გამო ჩვენ მიზნად დავისახეთ მოხოგრაფიულად შეგვესწავლა და მკითხველისათვის მიგვწოდებინა ქართველი პედაგოგებისა და მწერლების პედაგოგიკური შესელულებანი. ეს იმანაც განაპირობა, რომ ზემოთ დასახელებული „ქართული პედაგოგიკის ისტორიის“ გამოცემიდან თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა და იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. გარდა ამისა, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში. უწინარეს ყოვლისა, დაიშალა საბჭოთა კავშირი და მისი განათლების სისტემა, რამაც გამოიწვია მთელი რიგი ცვლილებანი სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, ასევე მოხარდი თაობის აღზრდაში.

წარმოდგენილი ნაშრომის შექმნა იმანაც განაპირობა, რომ გასულ, 2011-2012 სასწავლო წელს მუშაობა დავიწყე საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც აღნიშნული უნივერსიტეტის რექტორმა, სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე სპირიდონმა შემომთავაზა ამ საგნის სწავლება პედაგოგიური ფაკულტეტის პირველ კურსზე. ამიტომ, სალექციო კურსის მომზადების შემდეგ, გამიჩნდა სურვილი მისი წიგნად გამოცემისა.

აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით 1974 წელს გამოცემული სახელმძღვანელოთი, მაგრამ ყოველ საკითხს ვეცდებოდით შემოქმედებითად, ჩვენს ქვეყანაში არსებული აღზრდის მიზნის, ეთიკეტებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომის არა აქვს წარმოდგენილი საკითხების ამომწურავი ხასრულით გაშუქების პრეტენზია. თუ რამდენად შევძელით ამ ამოცანის გადაწყვეტა, ამის განსჯა პირუთვნელი მკითხველისათვის მიგვინდია. ყოველ შენიშვნას, რომელიც საქმის სასარგებლოდ იქნება მიმართული, ავტორი სიამოვნებით მიიღებს და გათვალისწინებს აღნიშნულ პრობლემაზე შემდგომი მუშაობის დროს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული პედაგოგიკის ისტორიის საგანი, წყაროები და პერიოდიზაცია

ქართული პედაგოგიკის ისტორია შეისწავლის საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის, სწავლების, განათლებისა და პედაგოგიკური აზრის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, უძველესი დროიდან დღემდე. იგი არკვევს აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ისტორიულ კანონზომიერებებს, რომლის უცილობლად შეუძლებელია აღზრდისა და სწავლების საკითხების მეცნიერული გადაწყვეტა. რამეთუ აწმყო წარსულის გარეშე არ არსებობს. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ლაიბნიცი ამბობდა: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა". აკაკი წერეთლის აზრით, „ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალსაც ხელს იღებს", ხოლო ილიას აზრით, ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა თავდება წარსულის სწავლა. ჯეკიან კაცს უთქვამს ამგვარად: „წარსულს დამბაძეს ნუ ესერი, თორემ მომავალი ხარბაზნით გამოეპასუხებაო". ამიტომ ახალგაზრდობის ვალია, თვალი შეაყაროს სწავლის ისტორიულ წარსულს და მის წინსვლა-გაუმჯობესებაზე იფიქროს. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი. ამიტომაც ამბობდა დიდი ილია: შეილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე შესწირა მისი მამა, რომ ოქიდან განაგრძოს ცხოვრების ულელის წევაო.

პედაგოგიური ცოდნა ერთ-ერთი უძველესი დარგია. დროთა განმავლობაში ადამიანებს დაუგროვდათ ამ დარგში მდიდარი გამოცდილება და საჭირო შეიქმნა ამ გამოცდილების გააზრებისა და განზოგადების აუცილებლობა. თავდაპირველად მას ემპირიული ხასიათი ჰქონდა. უფროსები თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდნენ მომავალ თაობას და მათ ამით ცხოვრებისათვის ამზადებდნენ. ცოტა ხანში ამან საყურადღებო ხელოვნება პედაგოგიკური მეცნიერების წარმოშობას, რომელიც დიდი ხნის განმავლო-

აზრი ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი იყო. ამის ნათელი დადასტურებაა სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიურ მოძღვრებაში მოცემული მწყობრი პედაგოგიკური იდეები. რომაელმა პედაგოგმა მ ა რ კ უ ს ფ ა ბ ი უ ს კ ვ ი ნ ტ ი ლ ი ა ნ ე მ კი ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნეში შექმნა ნაშრომი *„ორატორის აღზრდის შესახებ“* (ქართული ენციკლოპედიის მიხედვით, „ორატორის განათლების შესახებ“), რომელიც 12 ტომისგან შედგება. ფაქტობრივად რომში არსებულმა აღზრდა-განათლების გამოცდილებამ საფუძველი ჩაუყარა პედაგოგიკური მეცნიერების ჩამოშობას.

ამრიგად, პედაგოგიკა, ისე როგორც ყველა მეცნიერება, ადრე ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ 1623 წელს ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფრანსის ბეკონმა მეცნიერებათა ახალი კლასიფიკაციის შედგენის დროს პედაგოგიკა გამოყო როგორც ცალკე მეცნიერება, დიდმა ჩეხმა პედაგოგმა ი. ა. კ ო მ ე ნ ს კ ი მ კი 1633 წელს თავისი უკვდავი ნაშრომით *„დიდი დიდაქტიკა“*, რომელიც პირველად ლათინურ ენაზე გამოიცა, პედაგოგიკა დაამკვიდრა დამოუკიდებელ მეცნიერებად. ამიტომ კომენსკი ითვლება მსოფლიო მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლად.

ქართული პედაგოგიკის ისტორიის შესწავლა დაგვეხმარება სკოლაში სახსწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასა და პედაგოგიკის თეორიის საკითხების დამუშავებაში. მაგრამ წარსულიდან, მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის მდიდარი გამოცდილებიდან, ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ყველაზე მთავარს, ყველაზე არსებითს, რაც გამოსადეგია ჩვენთვის, რაც ჩვენს დღევანდელ მიზნებს შეესაბამება.

სწავლა-აღზრდის, სკოლებისა და პედაგოგიკური აზროვნების განვითარების საქართველოში მორეული ისტორია აქვს. ამიტომ მისი საფუძვლიანად შესწავლისათვის საჭიროა იმ ისტორიული წყაროების დამუშავება, რომლებშიც მოცემულია ქართული პედაგოგიკის ისტორიის მასალები. ეს ისტორიული წყაროები ძალზე მრავალფეროვანია. უ-

ნარეს ეთნოსისა. ქართული პედაგოგიკის ისტორია ემყარება ძველი მატერიალური კულტურის იმ ძეგლებს და უნიკალურ ძეგლებს, რომლებიც არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად უსვად არის მოპოვებული ხვედრში. ასევე მასში ასახვას პოულობს ქართული მითოლოგიური და ფოლკლორული შემოქმედების მასალები. ძველი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ქართული წერილობითი წყაროები. ისტორიული მატიანე („ქართლის ცხოვრება"), სიგელები, გუჯრები, ოფიციალური სახელმძღვანელო დოკუმენტები (ეროლობათა მასალები, კანონები, დადგენილებები, სკოლის წესდებები, ინსტრუქციები და სხვ.). სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების საარქივო მასალები, სასწავლო გეგმები, პროგრამები, ხელნაწერი და დაბეჭდილი სახელმძღვანელოები. კლასიკოს და გამოჩენილ პედაგოგთა თხზულებები, პედაგოგიური პრესა, მხატვრულ ლიტერატურა, მემუარული ნაწარმოებები და სხვა ისტორიული წყაროები.

ქართული პედაგოგიკის ისტორია იყოფა შემდეგ პერიოდებად:

1. სწავლა-აღზრდა პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში (უძველესი დროიდან VI საუკუნემდე. ძველი წელთაღრიცხვით);

2. სწავლა-აღზრდა და განათლება ადრეკლასობრივ საზოგადოებაში (ძვ. წ. ადრიცხვით VI საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე);

3. სწავლა-აღზრდა, სკოლა და პედაგოგიკური აზროვნება ფეოდალურ საქართველოში (IV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე);

4. სახალხო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება კაპიტალისტურ საზოგადოებაში (XIX საუკუნის I ნახევრიდან 1921 წლამდე);

5. სახალხო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება საბჭოთა საქართველოში (1921-1991 წწ.);

6. სახალხო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება თანამედროვე საქართველოში.

თ ა ვ ი 1

აღზრდა პირველყოფილი თემური წყობილებისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების დროს

1. აღზრდა პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში

ქართველ მკვლევართა ნაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგად უკანასკნელ პერიოდში მოპოვებული მასალებით მტკიცდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ წინაგვაროვნულ საზოგადოებას განვითარების ხანგრძლივი პერიოდი გაუვლია და ამის უტყუარი ნაშთებიც დაუტოვებია შთამომავლობისათვის.

ამ ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში გადამწყვეტ როლს შრომა ასრულებდა. თუ ადრე ადამიანები ხასრდოს ბუნებიდან მზამზარეულად იღებდნენ, პირველყოფილი თემური წყობილების დროს ისინი იძულებული იყვნენ, შეექმნათ პრიმიტიული იარაღები და მათი გამოყენებით მოეპოვებინათ საარსებო საშუალებანი. ამან განაპირობა უბრალო, მარტივი იარაღების სელოვნური დამზადებისა და მათი გამოყენების ცოდნა და ამ ცოდნის შვილა-გაყრცელება თემში (გვარში), რაც პირველ ხანებში უშუალო მიბაძვით ხორციელდებოდა, შემდეგ კი იგი საგანგებო შესწავლის საგანი გახდა.

პირველყოფილი ადამიანები შრომისათვის საჭირო იარაღებს ძირითადად ქვისგან ამზადებდნენ. ამიტომ ხასხოგადოების განვითარების ამ უძველეს პერიოდს ქვის ხანას უწოდებენ, რომელიც იყოფა ძველი ქვის ხანად (პალეოლითი), შუა ქვის ხანად (მეზოლითი) და ახალი ქვის ხანად (ნეოლითი).

პალეოლითის ხანაში მატრიარქალური გვარი „დიახლისის" მეთაურობით, კლიმატური პირობების გამო, ძირითადად გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და ამიტომ ამ ხანის იარაღები ჩვენშიც გამოქვაბულებში არის შემორჩენი-

ლი. გამოქვაბულებში აღმოსჩენილია ქვის, ცხოველთა ძვლებისა და რქებისგან დამზადებული ცულები, შუბები, ჭერაქვები, თოხისმაგვარი იარაღები და სხვა. ასეთი იარაღები ნაპოვნია ქუთაისის მახლობლად, თრიალეთში, სოფელ ოდიშში და სხვა ადგილებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძველი ქვის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები იარაღს ქმნიდნენ ძირითადად ნადირობისა და სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად. ბავშვებსაც ამ იარაღების დამზადებასა და მათ გამოყენებას ასწავლიდნენ.

ნეოლითის ხანაში კიდევ უფრო განვითარდა იარაღების დამზადების ტექნოლოგია და მათი გამოყენება.

გვიანი ნეოლითის ხანაში დადასტურებული კულტურის ძეგლები (აკლდამები, სამლოცველოები, ციხესიმაგრეები,საცხოვრებელი სახლები, ქანდაკებანი და სხვ.) უეჭველს ხდიან, რომ საქართველოში მაღალ დონეზე იდგა დიდრონი ქვების გათლა-დამუშავების ტექნიკაც და. ცხადია, ამის ცოდნაც ერცელდებოდა ახალგაზრდობაში.

ნეოლითიდან ბრინჯაოს ხანაში გადასვლის შუა პერიოდში, იწყება მეტალურგიის განვითარება, რამაც სელი შეუწყო შრომითი და სანადირო იარაღების შემდგომ გაუმჯობესებას. ქვის იარაღებთან ერთად, გაჩნდა სპილენძის იარაღებიც. აფხაზეთის ტერიტორიაზე, სახსერეში და სხვაგან ნაპოვნია სპილენძის იარაღების მდიდარი კომპლექტი.

თრიალეთის ეორღანების გათხრების შედეგად აღმოსჩენილი ნივთები ადასტურებენ იმას, რომ საქართველოში მეტალურგიულ კულტურას, ლითონის (სპილენძის) წარმოების საფუძველი ჩაეყარა III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ხოლო II ათასწლეულის შუა ხანებში ეერცხლისა და ოქროს წარმოებასაც დაეუფლნენ. თრიალეთში აღმოსჩენილი ძვირფასი ოქროსა და ეერცხლის თასები, ოქროს სამკაულები, ამ ლითონის მოპოვება-დამუშავების მაღალ კულტურაზე მეტყველებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ უძველეს ქართულ ეპოსში „ოქმულება ამირანზე“ (ყმაური ვარიანტი), რომელიც, სპეციალისტების აზრით, მეორე ათასწლეულის II ნახევარში

უნდა იყოს შეკმნილი, თქრო რამდენიმეჯერ არის ნახსენები. თვით ამირანსაც თქროს კბილები აქვს, სოლო მის დედას, რაჭული ვერსიით – თქროს ნაწნავები.

თქროს წარმოების სელოვნების მაღალ დონეზე მიუთითებს აგრეთვე მითი არგონავტების ლაშქრობის შესახებ კოლხეთში თქროს საწმისის მოსაპოვებლად. ეს ფაქტი ძველთაგანვე ბერძენ და ქართველთა ურთიერთობის დადასტურებაც არის.

პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პერიოდში, როცა ხოგიერთ დიდ ქართველ ტომთა გაერთიანება ხდებოდა, მეტალურგიის განვითარებასთან ერთად, ვითარდებოდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. განსაკუთრებით ყურადღება მიექცა მებაღეობასა და მევენახეობას, რასაც ხელი შეუწყო მეტალურგიული წარმოების სრდაგანვითარებამ. მიწათმოქმედებაში ფართოდ დაინერგა სახოფლო-სამეურნეო იარაღები: რკინის თოხი, ცული, ნამგალი და სხვა. რაც, იგ. ჯავახიშვილის აზრით, შორეულ ქვეყნებშიც კი გაქონდათ.

პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში, ზემოთ აღნიშნულ დარგებთან ერთად, განვითარებული ყოფილა მედიცინაც, რასაც ადასტურებს ამ პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი ქირურგიული ინსტრუმენტები და კარგად შეხორცებული მოტეხილობანი.

ცხადია, საქართველოში მიწათმოქმედების, ხელოსნობის, მეტალურგიის, მესაქონლეობისა და სხვა დარგების განვითარება მოხარდი თაობის მიერ მათ შესწავლა-დაუფლებასაც მოითხოვდა, რაც, პირველ ხანებში, მიბაძვის გზით ხორციელდებოდა, მაგრამ მოგვიანებით ეს საქმე თვით ხელოსნებმა იკისრეს. ფართოდ გაერცელდა შეგირდობა. თავდაპირველად შეგირდები გამოჩენილი ხელოსნების შვილები და ახლობლები იყვნენ. შემდეგ კი მათ თავიანთი ცოდნის სხვებზე გადაცემაც იწყეს.

ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი აღზრდის საწყისებს. ბავშვებსა და მოზარდებს გვარის უხუცესი ადამიანები აცნობდნენ თემისა და გვარის ადათ-

წესებს, რელიგიური წეს-ჩვეულებებს, თავი ისახა სამხედრო აღზრდის საწყისებმაც.

ამ დროიდან იწყება გონებრივი და შრომითი აღზრდის დანაწევრება. გონებრივი აღზრდა იქცა ბელადებისა და მოგვების კუთვნილებად, ისპობა თანასწორობა აღზრდაში და ჩნდება კლასობრივი აღზრდის ნიშანსახე.

2. აღზრდა-განათლება ადრეკლასობრივ საზოგადოებაში

საწარმოო ძალთა განვითარებამ გამოიწვია პირველყოფილი თემური წეს-ჩვეულებების რღვევა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა მონათმფლობელური წეს-ჩვეულება. საზოგადოება დაიყო კლასებად; გაჩნდა კერძო საკუთრება და მონოგამიური ოჯახი, რამაც ხელი შეუწყო სათემო მეურნეობისა და ბავშვთა ოჯახური აღზრდის წარმოშობას.

ცოდნა-გამოცდილება თანდათან კერძო მესაკუთრეთა პრივილეგიად იქცა. სწავლა-აღზრდის ფუნქციას ყველაზე გამოცდილი პირები (მეურნენი და სელოსან-ოსტატები) ასრულებდნენ. ასე ჩაისახა პედაგოგიური საქმიანობა და პირველი სკოლებიც. ცხადია, მონათა აღზრდაზე არავინ ფიქრობდა. ახალი თაობის აღზრდას აშკარა კლასობრივი ხასიათი მიეცა.

ადრემონათმფლობელურ კოლხეთში (VI–III სს.) ცოდნა-გამოცდილებისა და სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე მიუთითებს, მემინდვრეობის (პურეული), მებაღეობისა და მევენახეობის გარდა, ბოჭკოვანი მცენარეების (სელისა და კანაფის) მოყვანის იმდენად მაღალი დონე, რომ, როგორც ბერძენი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, მათგან დამზადებული ქსოვილი მეტად განთქმული ყოფილა ანტიკურ ქვეყნებშიც. ამიტომაც იყო, რომ ძველი ბერძნები ქართველებს „გეორგებს“, ანუ მიწის დამამუშავებელს უწოდებდნენ, ხოლო საქართველოს – „გეორგიას“.

მიწათმოქმედების დარგში დაგროვილი დიდი ცოდნა-გამოცდილების შესწავლის მიზნით იქმნებოდა სკოლები, ვინაიდან მიწათმოქმედი მარტო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით

შეთარაღებული ადამიანი კი არ უნდა ეთხილოთო, არამედ ბევრი რამ უნდა სცოდნოდა და ბუნების ბევრი გარემოებისათვის გაეწია ანგარიში. მას უსათუოდ უნდა სცოდნოდა ბუნებისმეტყველება.

სოფლის მეურნეობის განვითარება მოითხოვდა სელოსნობის განვითარებას და საბოლოოდ ისინი გამოეყვნენ ერთმანეთს.

საქართველოში I ადგილი უკავია ლითონის დამუშავებას. მეტალურგიას, რაც სოფლის მეურნეობისა და სელოსნობის ყველა დარგის საფუძველს წარმოადგენდა.

რკინის დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მოზარდებიც. წერილ ან საშუალო სახელოსნოებს გარდა, არსებობდა კარგად ორგანიზებული მსხვილი. სახელმწიფო მნიშვნელობის საწარმოებიც, სადაც შრომის მთელ პროცესს განაგებდნენ საქმეში ღრმად ხახელული და არა მარტო პრაქტიკულად გაწერთნილი, არამედ თეორიულად განათლებული რკინის წარმოების ოსტატები. სწორედ მათგან სწავლობდნენ მოზარდები ხელობას.

ქალაქებში, განსაკუთრებით კი მცხეთაში, რკინის წარმოებასთან ერთად, ფართოდ ეთხილა განვითარებული მეთუნეობა (თიხის ჭურჭლის დამზადება) და კერამიკული წარმოება.

ანტიკური ხანის საქართველოში მაღალ დონეზე იდგა ოქრომჭედლობა და პატიოსან თვალთა გათლა-დამუშავება. ქართველ ხელოსანთა შორის ეთხილან წამწერელნი, მინის მკეთებელნი და სხვა მრავალი დარგის ხელოსანნი. განსაკუთრებით მაღალ დონეზე იდგა ხუროობა და ხუროთმოძღვრება. ეთველივე ეს შესაფერისი სწავლა-განათლების გარეშე შეუძლებელი იყო.

ძველი ბერძენი მწერლების გადმოცემით, ქართველებს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ დამწერლობა (ძვ. წ. III ს.). მათიე გადმოცემით, საქართველოში წინაქრისტიანულ ეპოქაში არა მარტო ქართული სწავლა-განათლების პირველ საფეხურებს იღებდნენ, არამედ საფუძვლიან უმაღლეს ფილოსოფიურ განათლებასაც ეუფლებოდნენ. კოლხეთში *ფაზი-*

ხის (დღევანდელი ჭოთის) მახლობლად არსებულა უმაღლესი რიტორიკული სკოლა, რომელშიც არა მარტო ქართველები, არამედ ბერძნებიც კი სწავლობდნენ. გამოსვენილი ბერძენი ჭილოსოფოსისა და რიტორის, იუსტინოსის გადმოცემით, მასაც და მის მამასაც – ჭილოსოფოს ევგენიოსს ჭილოსოფიურ-რიტორიკული განათლება კოლხეთში მიუღიათ.

ასეთი იყო სწავლა-განათლება საქართველოში ადრეკლასობრივი საზოგადოების დროს და მოგვიანებით, არტიკურ პერიოდში, რომელსაც არა მარტო ხიფსის მეურნეობასა და ხელოსნობას სწავლობდნენ და პირველდაწყებით ცოდნას იძენდნენ, არამედ საფუძვლიანად ეუფლებოდნენ უმაღლეს რიტორიკულ-ჭილოსოფიურ განათლებასაც და სახელმოხვეჭილი მჭერმეტყველები (ორატორები) გამოდიოდნენ.

თ ა ვ ი II

სკოლა და კედაგოგიკური აზროვნება ადრეფეოდალურ და ფეოდალურ საქართველოში

ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან საქართველოში საფუძველი ეყრება ახალ სახოგადოებრივ ურთიერთობას – ფეოდალიზმს. ფეოდალური ურთიერთობის სახახვასა და განვითარებას საქართველოში მოჰყვა ქრისტიანული რელიგიის გავრცელება (IV–VI სს.), რამაც გამოიწვია ანტიკური განათლების კერების ჯერ შემცირება, შემდეგ კი მთლიანად გაქრობა. კულტურა და იდეოლოგია მოექცა ქრისტიანული რელიგიის გავლენის ქვეშ. განათლების საქმეც ხელთ იგდო ქრისტიანულმა ეკლესიამ და იგი ფეოდალური სახოგადოების განმტკიცების სამსახურში ჩააყენა. ეკლესიებთან გაჩნდა სკოლები და განათლებამ ქრისტიანულ-რელიგიური ხასიათი მიიღო.

ქრისტიანულმა რელიგიამ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის გაერთიანების სარწმუნოებრივი დროშის ქვეშ, ასევე ვაჭრობის, ხელოსნური წარმოებისა და ხელოვნების განვითარებას.

1. დაწყებითი სკოლები

სწავლება ფეოდალურ სახოგადოებაში ძირითადად ინდივიდუალური ხასიათის იყო, აღვილი ჰქონდა დიდგვაროვანთა შვილების აღსახრდელად გაბარებას, ანუ გამძიაცებას. გაბარებულ ბავშვს „ძუძუმტეს“, ანუ „ძუძუს მოზიარეს“ უწოდებდნენ, გამზრდელს კი – „მამამძუძეს“ და „დედამძუძეს“. მაგრამ სწავლა-განათლება მაინც ქრისტიანულ სააკლესიო სკოლებში მიმდინარეობდა. აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე წერს: „შემოვიდოდა თუ არა რომელიმე ერში ქრისტიანობა, მას თან მოჰქონდა ხოლმე სკოლებიც. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოვლენას საქართველოშიც ექნებოდა ადგილი“ (75,73). მისივე აზრით, ამ პერიოდში ჩვენში

გავრცელებული იყო *ნიზიბინის სკოლა* (ნიზიბინი ქალაქია ჩრდილოეთ მესოპოტამიაში).

ნიზიბინის სკოლაში, ცხადია, სწავლებაც ნიზიბინის სკოლის პროგრამით იქნებოდა მოწყობილი. ამ სკოლის ძირითადი მიზანი იყო ეკლესიის მსახურთა მომზადება. ამიტომ სკოლის მთავარი სასწავლო საგანი იყო *თეოლოგია*. დიდი ადგილი ეთმობოდა ასევე *საეკლესიო გალობას*. გარდა ამისა, მოსწავლეებს უნერგავდნენ შრომით სევდებს და ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და გრამატიკას, რაც აუცილებელი იყო სწორი წერისა და სალვთო წიგნების უკეთ გაგებისათვის. ამ სკოლებში სწავლობდნენ როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები და ხანში შესული ადამიანებიც.

ალბათ, ი ე ა ნ ე ჯ ა ე ა ს ი შ ე ი ლ მ ა დაწერილებით შეისწავლა, თუ რას ნიშნავდა ძველ საქართველოში მწიგნობრობა და რა საწერ მასალასა და იარაღს იყენებდნენ. მისი აზრით, „მწიგნობრობა" ძველად, უწინარეს ყოვლისა, წერა-კითხვის ცოდნას ნიშნავდა. ეპისკოპოსი ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი (XI ს.) აღნიშნავს, რომ პირველად *ფარნაოზ მეფემ* „შექმნა მწიგნობრობა ქართული". მისივე აზრით, იმ დროს საქართველოში საწერ მასალად ადრე ხმარობდნენ ქაღალდს, შემდეგ ძვალს. ქაღალდზე დაწერილს „ხელაწერილს" უწოდებდნენ. ხმარობდნენ ასევე ტერმინებს: „წარწერასა" და „წარწერილსაც".

ჩვენში საწერ მასალად ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ტყავი, რომელსაც *„ტრაკტი"* ეწოდებოდა. მაგრამ მოგვიანებით ეტრატსაც გამოუსწრა შეტოქე. ეს იყო *ქაღალდი*, რომელიც პირველად ჩინეთში შემოიღეს ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნის დასაწყისში. მეცნიერთა ვარაუდით, ქაღალდი ჩვენში დაახლოებით XI საუკუნეში შემოვიდა. ტერმინი „ქაღალდი" პირველად „ვეფხისტყაოსანში გვხვდება". რუსთაველი *ნესტან-დარეჯანის* ასე ალაპარაკებს:

> „ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მოწაღაწები,
> ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა ამოწაწები,
> მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები".

პირველ ხანებში კალმად იყენებდნენ რკინას, რომელსაც *„ბაწურკლს“* უწოდებდნენ, შემდეგ კი შემოიღეს ლერწმის კალამი (ტყავზე საწერად) და ბოლოს ფრინველის ფრთა, განსაკუთრებით კი ბატისა, რომელსაც „ფრთის კალამი“ ეწოდებოდა.

კალმის შემოღების დროიდან დაიწყეს მელნის ხმარება. რადგან საწერი მასალა, ჭეშმარიტად, თეთრი ან მოყვითალო იყო, საწერად ძირითადად შავ საღებავს იყენებდნენ, რასაც მელანს უწოდებდნენ („მელანი“ ბერძნულად ნიშნავს შავს, მუქს, ბნელს), დღეს კი ყველა ფერის საღებავს, რომელსაც საწერად ვიყენებთ, მელანს ვუწოდებთ.

თუ როგორი წესით ასწავლიდნენ ბავშვებს წერა-კითხვას, ეს საკითხი ჯერ კიდევ კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს.

როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, ძველ საქართველოში ბავშვებს სკოლაში ღებულობდნენ 6-7 წლის ასაკიდან, სწავლების დამთავრების ასაკად კი 16 წელი იყო მიჩნეული.

ადრეფეოდალურ საქართველოში გარკვეული პედაგოგიკური ტერმინოლოგიაც ყოფილა შემოღებული. მაგალითად, აღმზრდელ-მასწავლებელს მზრდელი, გამზრდელი („მამამძუძე“, „ძუძამძუძე“), მწერთელი, მასწავლებელი, მასწავლელი, განმსწავლელი, მოძღვარი ეწოდებოდა, ხოლო აღსაზრდელს – მოწაფე, მოსწავლე, საწერთნელი, შეგირდი.

სწავლა-აღზრდის პროცესისა და მის ცალკეულ მსარეთა გამოსახატავად იხმარებოდა ტერმინები: სწავლა, წურთნა, დამოძღვრება, ასწავა, დაასწავა, ისწავა, ვაცოდნე (ცოდნა მივეცი), განსწავლული (ნასწავლი), დამოწაფება (მოწაფედ აყვანა) და სხვ.

ძველი ქართული საისტორიო ძეგლების მიხედვით, სწავლების პროცესი პირველდაწყებით სკოლებში ძირითადად ინდივიდუალურად მიმდინარეობდა, მაგრამ არის ცნობები, რომ ამაყე დროს ადგილი ჰქონდა ჯგუფურ სწავლებასაც.

2. უმაღლესი განათლება

X საუკუნიდან საქართველოში დაიწყო ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) დაქუცმაცებული საქართველოს ნაცვლად შექმნა ერთიანი, ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო და ძალზე გააფართოვა მისი ტერიტორიის ფარგლები. მის მიერ დაწყებული საქმე შემდგომ ბოლომდე მიიყვანა ნიჭიერმა სახელმწიფო მოღვაწემ თამარ მეფემ (1184-1213 წწ.). მან საქართველო გადააქცია იმ დროისათვის უდიდეს და უძლიერეს ფეოდალურ მონარქიად ახლო აღმოსავლეთში, რომლის საზღვრები შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჩრდილოეთ კავკასიიდან ტრაპიზონამდე გაფართოვდა.

ამ მდგომარეობამ მეტად ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და სწავლა-განათლების დიდი აღმავლობისათვის. რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნეში დაიწყო. ცნობილია, რომ X საუკუნეში აღორძინდა ქართული ფილოსოფია, ისტორიოგრაფია. მწერლობა, მსაჯულობა, ჰუროთმოძღვრება და ხელოვნების სხვა დარგები.

უნიარეს ყოველისა, ეს გამოისახა ქრისტიანული ლიტერატურის ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნის გაცხოველებაში, რომლის ტრადიციები საქართველოში და მის გარეთ უკვე არსებობდა.

ადრეფეოდალურ ხანაში ქართველები არა მარტო პირველდაწყებით ცოდნა-განათლებას იღებდნენ, არამედ საშუალო და უმაღლეს განათლებასაც ეუფლებოდნენ. ამის დამადასტურებელი ისტორიული ცნობები ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება.

ჯერ კიდევ V საუკუნეში სირიაში არსებობდა ქართველთა უმაღლესი განათლების ცენტრი, რომლის დამაარსებელი იყო ქართველი კაცი – პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი. მსმენელთა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ და სკოლაც *სირიის ქართული სკოლის* სახელითაა ცნობილი.

პეტრე იბერი (411–491) იყო შვილი იბერიის მეფის ბაკუ-

რიხა. 12 წლამდე იგი ოქახში ოზრდებოდა სპეციალურად მოწვეული სწავლულის – *ი ო ა ნ ე ლ ა ზ ი ს* ხელმძღვანელობით. ვარაუდობენ, რომ იოანე ლაზმა განათლება კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლაში მიიღო.

პეტრე იბერმა განათლება კონსტანტინეპოლში მიიღო, შეისწავლა ბერძნული და სირიული ენები, ფილოსოფია და სხვა მრავალი მეცნიერება. *ზ ა ქ ა რ ი ა რ ი ტ ო რ ი ს* („პეტრეს ცხოვრების“ ავტორის) ცნობით, იგი იყო საოცრად ნახელგანთქმული კაცი მთელს მსოფლიოში. პეტრე იბერი ავტორია თეოლოგიური და ფილოსოფიური თხზულებებისა. მისმა ქართულმა სკოლამ საფუძველი ჩაუყარა ახლო აღმოსავლეთში სხვა საგანმანათლებლო კერების აღმოცენებას. მათგან აღსანიშნავია *საბაწმინდა* (იერუსალიმის მახლობლად), რომელიც 493 თუ 484 წელს საბა განწმენდილს დაუარსებია და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის განვითარებისათვის.

IX საუკუნიდან, როდესაც პალესტინის საეკლესიების ქართველი მოღვაწენი არაბთა თავდასხმების აიძულეს აერიდებინენ, მათ *სინას მთას* მიაშურეს და იქ განაახლეს კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა (დაახლოებით 864 წლიდან). განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სინას მთის ქართული წიგნსაცავი, რომელსაც ბევრმა ქართულმა მონასტერმა შესწირა არაერთი ძვირფასი ხელნაწერი. მაგრამ სამწუხაროდ არსებულ ქართული საგანმანათლებლო ცენტრებიდან ყველაზე დიდი სამსახური ქართულ ლიტერატურასა და კულტურას გაუწია ათონის ივერთა მონასტრის აკადემიამ (საბერძნეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძული) და პეტრიწონის (ბულგარეთი) ქართულ მონასტერთან არსებულმა სემინარიამ (აკადემიამ).

ათონის ივერთა მონასტერი დაუარსებია (X საუკუნის დასასრულს) ცნობილ სამცხელ სახელოვნო მოღვაწეს – *ი ო ა ნ ე ზ უ რ ს ი ძ ე ს* (მთაწმინდელს). ექვთიმე ათონელის (მთაწმინდელის) მამას X საუკუნის დასასრულს. მას ამ საქმეში დახმარებია სახელგანთქმული ქართველი მხედართმთავარი, შემდგომში ბერად აღკვეცილი *თორნიკე*

ერისთავი. რომელმაც ბარდა სკლიაროსის ლაშქრის დამარცხების შემდეგ (979 წ.) შეხვნილი დიდძალი ნადავლი ათონის ივერთა მონასტერს მოასმარა.

სხვა ქართული კერების მსგავსად, ათონის ივერთა მონასტერიც კავშირს არ წყვეტდა საქმიბლოსთან. სწორედ ეს მონასტერი იქცა X–XI საუკუნეში ლიტერატურისა და მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ცენტრად. XI საუკუნის დასაწყისში (დაახლ. 1005 წ.), ოთხის სიკვდილის შემდეგ ათონის ივერთა მონასტერს სათავეში ჩაუდგა მისი შვილი ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი.

ათონის ივერთა მონასტერმა ულიდესი საგანმანათლებლო როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. აქ მოღვაწეობის პერიოდში, გადმოგვცემს გიორგი ათონელი, ექვთიმე ათონელმა (მთაწმინდელმა) ბერძნულიდან ქართულად თარგმნა სხვადასხვა ხასიათის საეკლესიო-ღვთისმეტყველო თხზულებანი და ქართულიდან ბერძნულ ენაზე – *„სიბრძნე ბალავარისა“*. გარდა ამისა, ათონის ივერთა მონასტერმა ხახელი გაუთქვა საქმეებით ამ მონასტერთან არსებულ აკადემიას.

საყურადღებოა ისიც, რომ ექვთიმე ათონელი, როგორც ორკეცია პეტრე იბერის მსგავსად, ორიგინალურ თხზულებებსაც წერდა ბერძნულ ენაზე. ასე, მაგალითად, თავისი მოწაფეებისათვის, კ. კეკელიძის გადმოცემით, მას ბერძნულ ენაზე დაუწერია სამოხსენიო ცხოვრების წესები.

ექვთიმე ათონელის სიკვდილის შემდეგ, 1028 წლიდან მისი საქმე განაგრძო და მაღალ საფეხურზე აიყვანა XI საუკუნის მეორე დიდმა ქართველმა მოღვაწემ, ექვთიმეს მოწაფემ, გ ი ო რ გ ი ა თ ო ნ ე ლ მ ა (მთაწმინდელმა – 1009-1065 წწ.).

გიორგი ათონელი იყო თვალსაჩინო ხახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, ლიტერატორი, ისტორიკოსი და ქართული კულტურის დიდი მოამაგე. მას საფუძვლიანი სწავლა-განათლება მიღებული ჯერ ხაქართველოში – ხახულის მონასტერში (1019-1022 წწ.), ხოლო შემდეგ – ბიზანტიაში – კონსტანტინეპოლში (1022-1034 წწ.). საქართვე-

ლიში მცირე ხნით ცხოვრება-მოღვაწეობის შემდეგ იგი ათონის ივერთა მონასტერში დამკვიდრდა (1040 წ.) და ათონის ქართულ აკადემიას ხელმძღვანელობდა 12 წლის განმავლობაში (1044-1056 წწ.). იგი ძალზედ გახიზნული სამშობლოსაგან დაცილების. ეს კარგად ჩანს მის ხიტყვებში: „რა ძნელი და აუტანელია უშენობა, საქართველო, ნემო. როცა შენთან ვართ, თითქოს ვერა ვგრძნობთ შენთას ყოფნას, გაგვქცევით და ლამის სული სორცს გაეცალოს“ (35). არ ყოფილა არც ერთი წუთი, რომ მას საქართველოზე არ ეფიქრა. „მე ნემი საწუთისოფლი ცხოვრებიდან, – წერს იგი, – დაუნანებლად შეველევი ყოველ ჟამს და წუთს, რაცა საქართველოზე არ მიფიქრია, რადგან საქართველოზე არაფიქრი უდრის ნემსაც არარსებობას“ (35).

გიორგი ათონელი გარდაიცვალა კონსტანტინეპოლში 56 წლის ასაკში და იქვე განისვენებს.

გ. ათონელი, სასულიერო ნაწარმოებებთან ერთად, თარგმნილა ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც და სწორედ ამ საქმეში გაითქვა მან სახელი.

გიორგი ათონელი ყველა დარიბი და გაჭირვებულის ქომაგი და დამცველი ყოფილა. მისი ბიოგრაფის ცნობით, იმ დროს, როდესაც საქართველოში ისეთი საშინელი შიმშილობა მბობინვარებდა, რომ მშობლებიც კი თავიანთ შვილებს უპატრონოდ ტოვებდნენ და მათი დამხმარე არავინ ხანდა, გიორგი ათონელმა შეკრიბა 80-მდე მცირეწლოვანი ბავშვი და ათონში აღსაზრდელად წაიყვანა.

ამრიგად, ათონის ქართულ აკადემიაში არა მარტო ბიზანტიაში მყოფი ქართველები სწავლობდნენ, არამედ საქართველოდანაც მიემგზავრებოდნენ საფუძვლიანი ეშალლესი განათლების მისაღებად. რომელთა უმრავლესობა სამშობლოში ბრუნდებოდა და აერკვლებდა ათონში მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას.

ათონის ქართულმა აკადემიამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებაში. აქ მეტად ნაყოფიერი მუშაობა ტარდებოდა არა მარტო თეოლოგიაში, არამედ ფილოსოფიაში, ლიტერა-

რატურაში, მეცნიერებაში, ისტორიასა და სხვა დარგებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ქართველი ახალგაზრდები არა მარტო ათონის ქართულ აკადემიაში იღებდნენ სწავლა-განათლებას, რომელიც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, არამედ ბიზანტიის სხვა ცენტრებსა და სკოლებშიც კეთილგებოდნენ მეცნიერებას ბერძნულ ენაზე. „ამიტომ ისტორიკოსის ვარლან დიდის ცნობით, – წერს კ. კეკელიძე, – დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად" (75, 75).

ქართული კულტურისა და განათლების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა ასევე *პეტრიწონის აკადემიამ*, რომელიც აღმოსავლეთ ბიზანტიაში, სოფელ პეტრიწონში მდებარეობდა (ამჟამად ბულგარეთი, სოფელი ბასკოვო, პლოვდივიდან 30 კილომეტრის დაშორებით). მონასტერი დაარსებია ქართველ მსჯდართმოავარს – გ რ ი გ ო ლ ბ ა კ უ რ ი ა ნ ი ს ძ ე ს (1083 წელს) და მასვე შეუდგენია ამ მონასტრის *ტიპიკონი* (წესდება). წესდებიდან ირკვევა, რომ მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის იყო განკუთვნილი. ასევე ამაზე წესდებიდან ცნობილობთ, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე ქართველთა ბრწყინვალე ერისთავ-ერისთავის ბ ა კ უ რ ი ს შვილი ეფემია და უმაღლეს მთავრობასთან ახლო ურთიერთობა ქონია.

ტიპიკონის ერთ-ერთ თავში (სულ 33 თავია) ლაპარაკია იმაზე, თუ ვინ უნდა სწავლობდეს იქ და რა მიზნით, ვინ უნდა იყოს მათი სელმძღვანელი – მასწავლებელი, რამდენი მოსწავლე უნდა ჰყავდეს მას, რა უფლებით უნდა სარგებლობდნენ ისინი, ვინ უნდა გაიღოს მოსწავლეთა შენახვის ხარჯები და აღმზრდელ-მასწავლებელთა გასამრჯელოდ, ვინ უნდა იმოღვაწონ სემინარიის კურსდამთავრებულებმა და სად უნდა წავიდნენ ისინი, რომლებიც სემინარიის სწავლა-აღზრდის კურსს ვერ შეითვისებენ.

ტიპიკონი გვამცნობს, რომ მონასტერში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა შრომისმოყვარეობის აღზრდას.

სემინარიაში სწავლება ჯეროვანი ეფემია და არა ან-

დეთოლუალური. როგორც მანამდე და იმ დროსაც წარმოება და დასავლეთ ევროპაში. მოსწავლეები სემინარიაში რეგისტრდნენ სრული კურსის დამთავრებამდე, ხოლო ისინი, ვინც სემინარიის კურსს ვერ ათვისებდნენ, ირიცხებოდნენ წარსინებით კურსდამთავრებულები ინიშნებოდნენ მოსახერის მღვდლებად.

არსებობს საკმაო საფუძველი, ვიფარაუდოთ, რომ პეტრიწონის სემინარიის პირველი რექტორი იყო ი ო ა ნ ე ბ ე რ ი წ ო ნ ე ლ ი, რომელმაც ფსევდონიმი სწორედ აქედან მიიღო. მეცნიერთა აზრით, იოანე პეტრიწონელი ამ აკადემიაში მოღვაწეობდა მისი დაარსებიდან ხვენში გელათის აკადემიის შექმნამდე (1106 წ.).

ქართველი მეცნიერ-მკვლევარები (აკად. ს. ყაუხჩიშვილი, პროფ. კ. თავხელიშვილი და სხვ.), ვარაუდობენ რომ პეტრიწონის სემინარიაში, ღვთისმეტყველების გარდა, ისწავლებოდა ფილოსოფია, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა. კ. ი. ის საგნები, რომელთა სწავლება საერთოდ მიღებული იყო მაშინდელ განათლებულ ქვეყნებში.

პეტრიწონის აკადემიასთან სასწავლოს, ანუ საეკლესიო-ჯოს არსებობა ბაღებს მოსაზრებას, რომ აქ მკლიცინასაც ეუფლებოდნენ.

XII საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და იდეოლოგიურ-კულტურულმა ვითარებამ რეალური პირობები შექმნა იმისათვის, რომ თვით საქართველოს ტერიტორიაზეც წარმოქმნილიყო ისეთი დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური კერა, როგორიც იყო *გელათის აკადემია*. ამ აკადემიის, მონასტერთან ერთად,საფუძველი ჩაუყარა დავით აღმაშენებელმა 1106 წელს. მშენებლობა დასრულებულა 1125 წელს.

გამოკვლევებითა და არწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ დავით აღმაშენებელს პირადად მიუღია მონაწილეობა გელათის აკადემიის მშენებლობაში. აქ მან თავი მოუყარა ქართველ სწავლულებს, რომლებმაც ჩამოსულისთანაც გააცხადეს ფართო სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ესენი იყვნენ: იოანე პეტრიწი (პეტრიწონელი), ა რ ს ე ნ ი ყ ა ნ ე ლ ი – შემდგომში იყალ-

თოელად წოდებული, იოანე ტარიჭის ძე და სხვები. დავით აღმაშენებელმა აკადემიას სათავეში ჩაუყენა პეტრიწონის აკადემიის გამოცდილი რექტორი იოანე პეტრიწონელი. რომლის ხელმძღვანელობის პერიოდში გელათის აკადემია „სხვა ათინად“, ანუ განათლების კერად მოინათლა.

აკადემიაში ისწავლებოდა ფილოსოფია (დიალექტიკა, რომელიც ღვთისმეტყველებასაც გულისხმობდა), რიტორიკა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა (ფართო გაგებით, რომელშიც პოეზიაც იგულისხმებოდა). გალობდნენ ასევე ეურისპრუდენციას, მედიცინას: ეუფლებოდნენ ხელოსნობას, ოქრომჭედლობას, ჭერწერას.

გელათის მონასტერს ერცელი სამოქმედო მეურნეობა ჰქონდა. განვითარებული იყო მეცენახეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა.

გელათის აკადემიამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში ფილოსოფიის, ლიტერატურისა და, საერთოდ, განათლებისა და კულტურის განვითარებაში. აქ დაიწერა იოანე პეტრიწონელის სახელგანთქმული ფილოსოფიური შრომები. მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო საფუძვლიანი ფილოსოფიურ-მეცნიერული განათლება გელათის აკადემიაში, რომელიც, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, შეშაობას განაგრძობდა თამარის მეფობის (1213) შემდეგაც.

არის ცნობები, რომ XII საუკუნის საქართველოში არსებობდა მეორე აკადემიაც, კერძოდ, იყალთოში (კახეთში), თუმცა არც „ქართლის ცხოვრება“ და არც სხვა ისტორიული წყაროები ამ აკადემიას არ ახსენებენ, მაგრამ ქართველოლოგები (თეიმურაზ ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი, მოსე ჯანაშვილი, პროფ. ალ. ხახანაშვილი და სხვები) ***იყალთოს აკადემიის*** არსებობას საეჭვოდ არ თვლიან და მის რექტორად არსენ იყალთოელს ასახელებენ, რომელიც იოანე პეტრიწონელთან რელიგიური და იდეოლოგიურ-ფილოსოფიური უთანხმოების გამო, გელათის აკადემიიდან წასულა და იყალთოში, თავის სოფელში, მეორე ქარ-

იულიი აკადემია დაუარსებია.

არსენს ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიუღია *კონსტანტინეპოლში* (მანგანის აკადემიაში). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არსენს ახასიათებს როგორც ღიღად განათლებულ პიროვნებას, რომელიც ხელმოწერით ფლობდა ქართულ და ბერძნულ ენებს, ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნიდა მეცნიერულ შრომებს.

იყალთოს აკადემია დაარსებული უნდა იყოს 1115-1120 წლებს შორის (არსენის საქართველოში ჩამოსვლიდან დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე). იგი სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას აწარმოებდა თამარ მეფის ეპოქაშიც და შეიძლება მის შემდეგაც.

იყალთოს აკადემიაში, ისე როგორც გელათის აკადემიასა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, გრამატიკა, რიტორიკა, ასტრონომია, მუსიკა, ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა. ფიქრობენ, რომ აქ ისწავლებოდა ასეევე სამართლისმცოდნეობა და მედიცინა. კერამიკა („მეკეცეობა").

აკად. ს. ყაუხჩიშვილი წერს: „საფიქრებელია, იყალთოს აკადემიაში მეცნიერებათა-მეღვინეობა იყო სასწავლო გეგმაში შეტანილი; ამას ადასტურებს იყალთოს აკადემიის ანსამბლში შემაჯალი მარანი თაიცის საწნახელითურთ" (99,303).

იყალთოს აკადემია თაიცის დროზე იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ ქართველმა ხალხმა ზეპირსიტყვიერებაში შემოგვინახა ცნობა, თითქოს *შოთა რუსთაველსაც* კი აქ ჰქონდა მიღებული განათლება.

პეტრიწონის, გელათისა და იყალთოს აკადემიების ხელმძღვანელებს (რექტორებს) *„მოძღვართ მოძღვარი"* ეწოდებოდათ. მასწავლებლებს – *„მოძღვარი"*, ხოლო მსმენელებს – *„მოსწაფე"* (მოწაფე), რომელთა ასაკი არ იყო განსაზღვრული. არც აკადემიის მოსწავლეთა კონტინგენტი იყო დადგენილი. ზოგიერთი მკვლევარი (მაგ. ზაქარია ჭიჭინაძე) ფიქრობს, რომ გელათისა და იყალთოს აკადემიებში 700-700 მსმენელი იყოო, მაგრამ ეს ციფრები არსად არ არის დამოწმებული და ამდენად რეალობას მოკლებულია.

ხალხური გადმოცემითა და საზოგადო მეცნიერების შეხედულებით (თეიმურაზ ბატონიშვილი, მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ალ. ცაგარელი, ნ. ურბნელი და სხვები). საქართველოში არსებობდა *გრემის აკადემიაც*, მაგრამ ამის დამადასტურებელი რაიმე ისტორიული წყარო ჯერჯერობით არ გაგვანია. მიუხედავად ამისა, საზოგადო მეცნიერი მის არსებობას საეჭვოდ არ მიიჩნევს. მაგალითად, თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი წერს, რომ ტიმოთე მიტროპოლიტი დაჟით აღმაშენებლის მეფობის დროს გამოხსნილ მწერალთა რიცხვში ასახელებს *ოთარ ჭირქვიმელს*, პეტრიწად წოდებულს, რომელიც „გრემის სკოლაში ასწავებდა მოწაფეთა ფილოსოფიას, ღვთის მეტყველებას და ენას ელინურსა“ (66, 48).

ნ. ურ ბ ნ ე ლ ი ს გადმოცემით, XII საუკუნეში „მარტო ქარიტლ-კახეთში სამი აკადემია იყო“. იგი იყალთოს აკადემიის გარდა, გრემისა და თბილისის აკადემიასაც გულისხმობს.

მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ც ფიქრობს, რომ აკადემია გრემშიც არსებობდა და მის დამაარსებლად იყალთოს აკადემიის დამაარსებელს, არსენ იყალთოელს მიიჩნევს.

ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით გამოცემულ „რუსულ-ქართულ ენციკლოპედიაში“ (1898) ვკითხულობთ: „გრემი განთქმული ალაგი ყოფილა წინათვე, რომ კასეთის მეფეებს იგი ამოურჩევიათ თავის სატახტო ქალაქად და მართლაც ისტორიით ეიცით, რომ დაჟით აღმაშენებელმა სხვათა შორის ერთი უმაღლესი სასწავლებელი-აკადემია გრემშიაც გახსნა, რომელიც უმაღლეს ხარისხამდის აყვავდა დიდებულის თამარ მეფის დროს“ (66, 49). სამწუხაროდ, აღნიშნავს პროფ. გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, აუტორი არ ასახელებს ისტორიულ წყაროს, საიდანაც ეს ცნობა აქვს ამოღებული და არც იმას აღნიშნავს, თუ რაში გამოიხატებოდა ამ აკადემიის აყვავება „უმაღლეს ხარისხამდე თამარის დროს“. ამდენად ეს ცნობა სანდოდ არ შეიძლება იქნას მიჩნეული.

ამრიგად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გრემში აკადემია ნამდვილად არსებობდა. წინაალმდეგ შემთხვევაში მის არსებობაზე არ მიუთითებდნენ ზემოთ დასახელებული ცნობილი მეცნიერები.

ნ. ურბნელისა და პლ. იოსელიანის გადმოცემით, აკადემია არსებობდა ასევე თბილისში და მას განაგებდა გიორგი ბერმონაზონი, ხოლო იპოლიტე ყარათაგაელისა და სამსონ ცომაიას აზრით, „დიდი სკოლა“, ანუ აკადემია უნდა არსებულიყო არა მარტო თბილისში, არამედ მარტყოფშიც. ეს ცნობები ავტორებს ისტორიული წყაროებით არა აქვთ დასაბუთებული და ამიტომ საეჭვოდ უნდა იქნას მიჩნეული.

3. პედაგოგიკური აზროვნება

ქართველ ერს, რომელმაც შექმნა კოლხეთის (ფაზისის) უმაღლესი რიტორიკული სკოლა (III–IV სს.), პეტრე იბერის სირიული სკოლა (V ს.), იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (476–483 წწ.), „ესტატე მცხეთელის წამება“ (VI ს.), ბოლნისისა და ურბნისის ტაძრები (V ს.), ჯვრის მონასტერი მცხეთაში (VI ს.) და მრავალი სხვა, ლიტერატურულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ აზროვნებასთან ერთად, არ შეიძლება არ ჰქონოდა განვითარებული პედაგოგიკური აზროვნება. როგორც ირკვევა, ასეთი პედაგოგიკური იდეები ქართველ ხალხს მართლაც ჰქონია შემუშავებული, მაგრამ ისინი გაბნეულია სხვადასხვა ისტორიულ ძეგლებსა და წყაროებში, რის გამოც მათი სრული სახით აღდგენა და სისტემაში მოყვანა დღეს ძალზე ძნელია.

V საუკუნის ლიტერატურული ძეგლი *„შუშანიკის წამება“* თითქმის არაფითარ ცნობას არ გვაწვდის იმ პერიოდის სწავლა-აღზრდისა და ავტორის პედაგოგიკურ შეხედულებებზე. ამ ძეგლით დასტურდება, რომ V საუკუნის საქართველოში არსებობდა „მამამძუძეობა“ და „ძუძუმტეობა“, რომ შუშანიკი ციხეში 6 წლის განმავლობაში „კითხვითა წიგნითაი მოუწყინებლად“ იყო. აქედან ირკვევა, რომ შუშანიკს სწავლა-აღზრდა ჰქონდა მიღებული, მაგრამ ნაწარმო-

ებში არ ჩანს, თუ როგორი იყო მისი აღსრულება და სწავლა-განათლება.

ერთადერთი ძეგლი, რომელშიც შედარებით მნიშვნელოვანი მასალაა მოცემული სწავლა-აღსრულის საკითხებზე, ეს არის *„სიბრძნე ბალავარისა“*. რომლის ქართული ვარიანტი, როგორც აკად. შ. ნუცუბიძე ფიქრობს, VII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შექმნილი.

ამ ლიტერატურული ძეგლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ VII საუკუნის საქართველოში უპირატესად ინდივიდუალური სწავლა-განათლების ქონია ადგილი, უკეთეს შემთხვევაში, მოსწავლეთა რიცხვი 2-3 კაცს არ აღემატებოდა და მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავლობას შეეხებოდა, მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის კი იგი სრულიად მიუწვდომელი იყო.

ამ ძეგლის მიხედვით ყურადღების ცენტრშია აღსაზრდელი *ოლბასაფი* და მისი მასწავლებელი *ბალავარი*, რომლის სიბრძნესაც იგი ეწაფება.

ოლბასაფი, როგორც აღზრდა-განათლების ობიექტი, ამ ძეგლში წარმოდგენილია საკმაოდ ნიჭიერ მოწაფედ, რომელიც ყველაფერს დაკვირვებით, შეგნებულად და სწრაფად ითვისებს. იგი ძლიერი ნებისყოფის ახალგაზრდაა, ზოგჯერ მაძასაც კი არ ემორჩილება და დამოუკიდებელი აზრისა და რწმენის ადამიანად ყალიბდება, ყოველთვის ცდილობს თავისი შეხედულების დაცვას და განმტკიცებას.

ოლბასაფის სწავლება ძირითადად საუბრის გზით ხორციელდება, რაშიც სოკრატეს გაელენა იგრძნობა. სწავლების პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება მასწავლებლის პირად მაგალითს.

XI–XII საუკუნეებში კიდევ უფრო განვითარდა და დაიხვეწა პედაგოგიკური აზროვნება, რომელსაც ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ საქართველოში ჰაეყარა საფუძველი. ათონისა და პეტრიწონში, შემდეგ კი გელათისა და იყალთოს აკადემიებში არსებულმა პედაგოგიკურმა აზროვნებამ, ცხადია, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა განათლების სისტემაზე. XII საუკუნის საქართველოში წარმოშობილმა ჰუმა-

ნიშნმა კულტურული ცხოვრების ცენტრა სფეროსა და აკადემიის ცოდნისა, განათლების სფეროშიაც შეაღწია.

ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს გიორგი მთაწმინდელის, იოანე პეტრიწონელის, შოთა რუსთაველისა და სხვათა პედაგოგიკურმა იდეებმა.

შეუძლებელია ამ მხრივ გვერდი აუარაოთ გიორგი ათონელის (მთაწმინდელის), პედაგოგიკური ნააზრევის დემოკრატიულ ხასიათს, როცა მან 80 მცირეწლოვანი ბავშვი შეარჩია ათონის მონასტერში წასაყვანად, ისიც იმ დროს, როცა ქვეყანაში უკიდურესი გაჭირვება მძვინვარებდა.

გიორგი ათონელის (მთაწმინდელის) აზრით, ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება „სიკეთე, სიმახვილე და მისწრაფება გონებისა“, როგორც ბუნებრივი ნიჭი და მათი განვითარების შესაძლებლობა, მაგრამ მარტო ეს თანდაყოლილი ნიჭი არ არის საკმარისი ადამიანისათვის. ამასთან ერთად, საჭირო და აუცილებელია მისი „კეთილად აღზრდა“, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იქცევა „კაცურ კაცად“.

გიორგი ათონელის ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ იმდროინდელ საქართველოში ბავშვის განვითარება 3 ასაკად (პერიოდად) იყოფოდა: *ყრმობად*, როდესაც მთავარი ყურადღება „კეთილად აღზრდას“ ენიჭებოდა, *ჭაბუკობად*, რომლის მთავარი ამოცანა იყო სწავლა და *სრულ ასაკად*. ამ უკანასკნელის მთავარი ამოცანა იყო პიროვნების სრულყოფილი განვითარება.

ადამიანის იდეალად გიორგი ათონელს მიაჩნდა გონიერება (აზროვნების უნარი) და სიმშვიდე, უშფოთველობა.

გიორგი ათონელის თხზულებებიდან ვგებულობთ ასევე, რომ თუ მოსწაფე ზარმაცობდა სწავლაში და საქმისადმი გულგრილობას იჩენდა, მას ფიზიკურად კი არ სჯიდნენ, არამედ არიგებდნენ და ასწავლიდნენ. მოსწავლეს არ ჰქონდა უფლება მასწავლებლის უნებართვოდ მიეტოვებინა სწავლა, მასწავლებელს კი — მისი ფიზიკური დასჯა.

როგორც ვხედავთ, XI საუკუნეში ათონის სკოლამ და მისმა დიდმა მოღვაწეებმა — იოანემ, ექვთიმემ და, განსაკუთრებით, გიორგი ათონელმა (მთაწმინდელმა) მკვიდრი ნია-

დაგი მოამზადეს პუმანისტური პედაგოგიკური აზროვნების განვითარებისათვის, ადამიანის ახლებურად აღქმის პრობლემების გადაჭრისათვის.

მთაწმინდელთა (ათონელთა) მიერ წამოჭრილი პრობლემების ახლებურად გადაჭრა კი წილად ხვდა იოანე პეტრიწს. მან უდიდესი ღვაწლი დასდო როგორც ქართული ფილოსოფიური, ისე პედაგოგიკური აზრის განვითარებას. რიგი თავისი შეხედულებებით იგი არღვევდა იმდროინდელ სქოლასტიკურ-დოგმატიკურ ხედულებებს.

იოანე პეტრიწი წინ აღუდგა უაზრო სებიროზასა და გონების დამაბლუჭებელ სუთხვას. სწავლებაში იგი მოითხოვდა *თანმიმდევრობის პრინციპის* დაცვას, მარტივიდან რთულზე გადასვლას. ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა *შეგნებულობის პრინციპს*, მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებას, რასაც იგი 3 საფეხურად ყოფდა: *1. საკითხის დასმა, 2. მტკიცება და 3. დასკვნა.*

პიროვნების ფორმირებაში პეტრიწი, გონებრივ აღზრდასთან ერთად, დიდ როლს ანიჭებდა ***ზნეობრივ აღზრდას,*** ადამიანში სიკეთისა და სათნოების დანერგვას. იგი გამოდიოდა იმ სწორი დებულებიდან, რომ ადამიანის ზნეობა მემკვიდრეობით განპირობებული არ არის, რომ ადამიანი არ იბადება არც კეთილად და არც ბოროტად. ასეთად იქცევა იგი კარგი ან ცუდი აღზრდის შედეგად. მოზარდის ზნეობრივი აღზრდა უნდა წარიმართოს გონებრივ აღზრდასთან მჭიდრო კავშირში.

მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდაში მოაქვს ყურადღება ექცეოდა მასწავლებლის პირად მაგალითს, მის ზნეობრივ სახეს. მასწავლებელს უფლება არ ჰქონდა, აღეზარდა სხვა, თუ თვით არ იყო წესიერად აღზრდილი და არ შეეძლო ბავშვის ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩამოყალიბება.

იოანე პეტრიწს საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე მოსწავლეთა ***ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის*** საკითხებზეც. მოსწავლეთა ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად მას მუსიკა მიაჩნდა. მისი აზრით, საგუნდო მუსიკა არა მარტო ახალგაზრდობის ეს-

იეტიკური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. არამედ მათი გონების განვითარებისა და სწორი აზროვნების გამომუშავების აუცილებელი პირობაც.

სკოლებში ყურბალურ, სიტყვიერ სწავლებასთან ერთად, ფართოდ გამოიყენებოდა *თვალსაჩინოება*, რადგან ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ცოდნის შეგნებულად და გააზრებულად შეთვისებას.

მოსწავლეთა ნებისყოფის გამოვლინებისა და განმტკიცებისათვის წინა პლანზე იყო წამოწეული წინააღმდეგობათა დაძლევის უნარ-ჩვევების გამომუშავება. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ერთ-ერთ თხზულებაში ნათქვამია: „კითარცა ცეცხლი ბრძმედსა შინა გამოსცდის ოქროსა და ვერცხლსა, აგრეთვე განსაცდელთა შინა გამოიცდებიან სულნი კაცთანი“ (99, 305-306).

მომავალი თაობის აღზრდაში განუზომლად დიდია შოთა რუსთაველის *„ვეფხისტყაოსნის“ პედაგოგიური მნიშვნელობა*. ამიტომაც იყო, რომ მისი 1 გამოცემის წინასიტყვაობაში (1712 წ.) ვახტანგ VI წერდა: ეს თხზულება გამოვეცი „ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად“, რადგან იგი „უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა“ (118,69). ეს მარად უკედაო წიგნი საუკუნეების მანძილზე ასწავლიდა და კვლავაც ასწავლის მკითხველს მეგობრობას, მიჯნურობას, რაინდობას, ერთგულებას, სიკეთეს, სიდინჯეს, სიბრძნესა და გონიერებას, რომლითაც უნდა იყოს შემკული ნებისმიერი „კაცური კაცი“.

„ვეფხისტყაოსანი“ არის მაღალი ზნეობის („მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“), ქალისა და კაცის თანასწორობის („ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“), დიპლომატიის („გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“) უბადლო ჰიმნი.

გონებრივი განათლების ძირითად მიზანს, რუსთაველის აზრით, სიბრძნის შეთვისება შეადგენს, მაგრამ ადამიანის გონიერული მოქმედებისათვის მარტო სიბრძნე არაა საკმარისი. ამასთან ერთად, საჭიროა ამ სიბრძნის ცხოვრებაში გამოყენების ცოდნაც.

განათლებული და გონიერი კაცი უნდა იყოს მტკიცე ნებისყოფის, დინჯი და აუჩქარებელი. იგი ფარ-ხმალს არ უნდა ერიდეს ხოფლის სიმუხთლის, გაუტანლობის, ბოროტების წინაშე და ყველგან და ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს გონიერებას, სიმხნესა და წინდახედულებას. ასეთ კაცს, რუსთაველის აზრით, *„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“.*

რუსთაველი ადამიანის გონებრივ განათლებას მისი პრაქტიკული მოქმედებით აფასებს და აყენებს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპს. მისი აზრით, არაფრად ღირს ადამიანის ცოდნა-განათლება თუ იგი ამ ცოდნას პრაქტიკაში, საზოგადოების საკეთილდღეოდ ვერ იყენებს:

„არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა,

არ იხმარებ, რა ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა“, – ამბობს დიდი მოაზროვნე.

რუსთაველის აზრით, ადამიანის აღზრდა-განსწავლულობა კარგად ჩანს არა მარტო მის მოქმედებაში, არამედ მეტყველებაშიც, რადგან „კოკასა შიგან რაცა დგას, იგიცე წარმოდინდების“. ყოველმა კაცმა კარგად უნდა იცოდეს, როდის და სად რა თქვას, ვინაიდან „სოკუერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოკუერ თქმითაც დაშაყდების“. ამასთან, საჭიროა სათქმელის მოკლედ და სხარტად გადმოცემა, რადგან „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“.

ამრიგად, მეტყველების დროს საჭიროა ზომიერება, თავდაჭერა და გარკვეული ტაქტი.

შოთა რუსთაველი, როგორც უდიდესი ეთიკოსი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავმდაბლობას, ***ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას,*** მას'ში ისეთი თვისებების ჩანერგვას, როგორიცაა: სიკეთე, სიმართლე, სინდისი, პატიოსნება, თავდადება, მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა. ამავე დროს პოემაში იგი სასტიკად კიცხავს ადამიანთა უარყოფით თვისებებს: ბოროტებას, სიცრუეს, თვალთმაქცობას, ღალატს, ორპირობას, ქურდობას, მრუშობას, გაუტან-

ლობას და სხვ. რუსთაველმა კარგად იცის, რომ „სიცრე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. ამიტომ იგი გმობს „კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“, „რადგან თაეია სიცრუე ყოელისა უბედობისა“.

რუსთაველი ხალხთა მეგობრობისა და სიყვარულის დიდი მეხოტბეა. ამიტომაც ასე თამამად აცხადებს იგი: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, ანდა, „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები მხოლოდ ურთიერთსიყვარულითა და მეგობრობით აღწევენ წარმატებას. ასეთი მტკიცე და გულითადი მეგობრობა საჭიროა განსაკუთრებით მაშინ, „ოდეს კაცსა დაეჭირეოს“.

ზოგჯერ ადამიანმა არ იცის, როგორ მოიქცეს, რა გზას დაადგეს, რომელი გზა აირჩიოს. მას ამ დროს აუცილებლად სჭირდება მრჩეველი, სწორი გზის მაჩვენებელი, ისე როგორც სნეულ ექიმს – მეორე ექიმის დახმარება:

„რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი, მან სხეა იხმოს მკურნალი და მაჯაშია შემტყობარი“, რადგან „სხეამან სხეისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

ახალგაზრდობის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის გვერდით, რუსთაველი ***ესთეტიკურ აღზრდასაც*** აქცენებს. მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ძირითად საშუალებად მას, უ\"ინარეს ყოელისა, მხატვრული ლიტერატურა და მუსიკა მიაჩნია. ეს კარგად ჩანს მის სიტყვებში: „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნიც მოეიდიან“.

ზოთა რუსთაველი არც ***ფიზიკურ აღზრდას*** იგულებს. „ვეფხისტყაოსანში“ ფიზიკური აღზრდის მთელი სისტემაა წარმოდგენილი. დიდ პოეტს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის საჭიროდ მიაჩნდა: ჯანის სიმრთელე, სისაღე, გამძლეობა, სისწრაფე, ქვეცნის სიმარდე; სილამაზისათვის – თვალად სიტურფე, პირიმზეობა, მზისსადარობა; რაინდობისათვის – მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ასპარეზობა, ბაზიერობა, ნიშანში სროლა, ბურთაობა, აკრობატობა და სხვ.

თ ა ვ ი III

განათლება XIII–XVIII საუკუნეების საქართველოში

XIII საუკუნეში ჯერ ხელარაზმელთა, შემდეგ კი მონღოლთა შემოსევამ დასცა საქართველოს კულტურისა და განათლების დონე. უცხოელ დამპყრობელთა უღელქვეშ მგმინავი ქვეყანა, რა თქმა უნდა, ვერ გააგრძელებდა და მით უმეტეს ვერ განავითარებდა კულტურულ ცხოვრებას. ამიტომ განათლება დაცემის გზას დაადგა.

ამ პერიოდში ქართველები იძულებული იყვნენ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაზე ეფიქრათ. მიუხედავად ამისა, ამ უმკაცრეს დროსაც კი იგრძნობოდა ქვეყნის კულტურული მაჯისცემა. მაგალითად, ცნობილია, რომ XIII საუკუნეში მცხეთაში მოღვაწეობდა უცნობი ქართველი მწიგნობარი, რომელსაც შეუქმნია *თხზულება წმინდა ნინოს შესახებ*. ამავე პერიოდში კიდევ უფრო შეიესო სვეტიცხოველის ბიბლიოთეკა, რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნეში მეტად მდიდარი ყოფილა. მართალია, ამ ბიბლიოთეკას მრავალგზის განუცდია რბევა, მაგრამ ბერები შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდნენ გადაერჩინათ ერის სულიერი საგანძური და გადაეცათ იგი მომავალი თაობისათვის.

XIII საუკუნეში გელათის აკადემიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწიგნობარი *პეტრე გელათელი*. ქართველი ისტორიკოსის – პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ცნობით, მას ეკუთვნის 6 თხზულება. ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი მას ასახელებს როგორც გამოჩენილ რიტორსა და ფილოსოფოსს და ადარებს ისეთ დიდ სწავლულებს, როგორიც იყვნენ იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და ეფრემ მცირე.

მონღოლთა შემოსევამ ვერ შეძლო საკმებით ჩაექრო ჩვენში კულტურული ცხოვრება და მოესპო კულტურის კერები. კულტურულ-საგანმანათლებლო შემოქმედების ნაღვერდალი ჯერ კიდევ ღვიოდა გელათსა და გარეჯის მო-

ნასტრებში. ამ უკანასკნელში XIII საუკუნეშიც კი ძლიერი იყო სამხატვრო სკოლა.

მოპოვებული წყაროებით დასტურდება, რომ ამ პერიოდში უწარმოებიათ ისტორიოგრაფიული მუშაობა, გადაუწერიათ წინა საუკუნეების ბევრი საეკლესიო თხზულება, დაუწერიათ ჰაგიოგრაფიული, იურიდიული და სხვა ჟანრის თხზულებანი.

XIV საუკუნის დამდეგიდან გ ი ო რ გ ი ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე მ (1314–1346 წწ.) საგრძნობლად გააუმჯობესა ქართველი ხალხის ცხოვრების პირობები. მან შეამოკრიბა „ქოველი საქართველო“, ამბობს მემატიანე, დაიმორჩილა მთავრები და მეფენები, შეიმუშაა ახალი კანონები, რომელთა მიზანი იყო ძლიერების აღდგენა. ამას ისიც დაემატა, რომ 1327 წლიდან მონღოლთა ურდოში ბუნარი გაჩნდა. მეფე გიორგიმ ამითაც ისარგებლა და საქართველოში დარჩენილი მონღოლთა ჯარი გარეკა, რასაც მოჰყვა ხარკის გაღახლის შეწყვეტა.

ამის შემდეგ საქართველო აღორძინების გზას დაადგა. შემოიერთა დასავლეთ საქართველო, მოიჭრა ქართული ფეოდალი („გიორგაული“), გაცხოველდა ეკონომიკური ურთიერთობა შორეულ ქვეყნებთან, კერძოთ, დასავლეთ ევროპასთან, აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან და სხვა ქვეყნებთან.

ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი ყოფილა ქსნის ხეობა *ლარგვისი*, სადაც მრავალი გამოჩენილი მწიგნობარი და კულტურის მოღვაწე მუშაობდა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამ მონასტერში სასულიერო განათლების გარდა, მოსწავლეებს ეძლეოდათ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნაც.

XIV საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანას თემურ-ლენგის ურდოები შემოესია, რამაც კიდევ უფრო დააქვეითა კულტურა და განათლება. მიუხედავად ამისა, საქართველოში კულტურისა და განათლების კერებს მაინც არ შეუწყვეტიათ მუშაობა.

XV–XVI საუკუნეებში თავისი სიმძლავრით გამოირჩეოდა კახეთი, სადაც ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა. ამ დროს დაწინაურდა ქალაქი *გრემი*.

XV საუკუნეში მოღვაწეობდა ცნობილი მკურნალი და მეცნიერი *ზაზა ფანასკერტელი – ცოცხმელი*. რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ძველი კარაბადინის (სამ-კურნალო საშუალებათა ძველი წიგნის) შექმნა. შეუძლებელია, ზაზა ფანასკერტელს არ ქონოდა მოწაფეები და არ გადაეცა თავისი მდიდარი ცოდნა-გამოცდილება მომავალი თაობისათვის, ისევე როგორც თავად მიიღო.

ეპისკოპოსთა (ასე ეძახდნენ სპარსელ დამპყრობლებს, ეპისკ - წითელი, ბაში – თავი) თარეშის პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას, რაც XVI საუკუნეში მოხდა. რუსეთიდან საქართველოში ჩამოდიან მსაჯვრები, ხელოსნები, რუსი მოღვაწეები. ეცნობიან ხელნაწერების წარსულს და ქმნიან ლიტერატურულ ძეგლებს; XVI საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის თხზულება – *„თქმულება მეფის ახალ დისარაზე“*. რომელშიც აღწერილია თამარ მეფის დროის გმირული საქმეები.

XVII საუკუნეში რუსეთსაც გაურთულდა საშინაო და საგარეო პირობები და არ ძალუძდა აქტიური დახმარება აღმოეჩინა ქართველთათვის, მაგრამ ერთმორწმუნე რუსეთი საქართველოსათვის მაინც საიმედო ფარად ითვლებოდა.

მართალია, ამ პერიოდში კულტურისა და განათლების საქმე წარმატებებს ვერ აღწევდა, მაგრამ არც ის შეიძლება ითქვას, რომ კულტურული ცხოვრება ნელნელა საცხებით შემკვდარი იყო. კვლავ ფუნქციონირებდა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად ითვლებოდა მრავალჯერ დარბეული და დაქცეული *ალავერდის ტაძარი*.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ, რიცა გრემი კახთა მეფეების რეზიდენციად იქცა, აქ კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა განახლდა. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ანა დედოფლის ბრძანებით დაიწყეს ხელნაწერების *„ქართლის ცხოვრება“*: მო-

ვნობრულ საგანმანათლებლო საქმიანობა განსაკუთრებით გაიშალა აქ XVI საუკუნის მიწურულიდან, როცა ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდნენ დავით მეფე და ქეთევან დედოფალი, სოლო უფრო გვიან თეიმურაზ პირველი.

ვარძიიდან 4 კილომეტრის დაშორებით, ვანის ქაბათა მონასტრის კედლებზე შემორჩენილია XV–XVI საუკუნეების მხედრული წარწერები, რაც ამ მონასტერში იმხანად არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასა და იმდროინდელი ქართული სახოგადოების მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

ცნობილია აგრეთვე რომ, მიუხედავად ჭამთა სიავისა, ამ პერიოდში გელათის აკადემია კვლავ რჩება კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ცენტრად.

1651 წელს გელათი უნახავთ რუსებს და მოხიბლულან აკადემიასთან არსებული მდიდარი ბიბლიოთეკითა და ოქრომჭედლობის ხელოვნების მაღალი ნიმუშებით.

XVII საუკუნეში იმერეთში კარგახანს ცხოვრობდა და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა მეფე თეიმურაზ პირველი. იმერეთში, დაახლოებით ამავე პერიოდში, შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ქართველი პოეტი *ფქიშარგი.*

XVII საუკუნეში იგრძნობა კულტურისა და განათლების საქმის გამოცოცხლება. ამ მხრივ აღსანიშნავია სახელგანთქმული გარეჯის მონასტრების მუშაობა.

გარეჯის უძველესი საგანმანათლებლო კერის აღდგენა-განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია არჩილ მეფეს, ხოლო ძირეული გარდატეხა ამ მონასტრების ცხოვრებაში დაწყებულა 1690 წლიდან, როცა გარეჯის ეკლესიების წინამძღვრად ნიჭიერი კაცი ი ო ფ რ ე მ ა ჭ უ ტ ა ძ ე დაუნიშნავთ.

გარეჯის მონასტრების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა ქართლის გამგებლად ვახტანგ VI დანიშვნის შემდეგ (1703 წ.). 1698 წლიდან გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობდა ვახტანგის აღმზრდელი და ნათესაი სულხან-საბა ორბელიანი. სწორედ აქ დაწერა მან

ქალაგებათა კრებული *„სწავლანი“* და სახელმძღვანელო *„სამოთხის კარი“*. აქვე განაგრძობდა იგი თავის ლექსიკონზე მუშაობას. გარეჯშიეე მოღვაწეობდნენ XVII–XVIII საუკუნეებში სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეებიც.

დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდნენ აგრეთვე ყვარლის ახლოს მდებარე *ნეკრესის ტაძარი, ალავერდის, ჯრუჭის, ჭყონდიდის, მარტყოფის მონასტრები.* ალავერდის მონასტერში არსებობდა დიდი ბიბლიოთეკა, რომელიც ყოველწლიურად მდიდრდებოდა როგორც აქეე დაწერილი წიგნებით, ისე შემოწირულებით.

როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ქალთა განათლებასაც. ერეკლე I-ის ასულს – მარიამს თავისი დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება მიუღია. მას ცოდნია უცხო ენები, კარგად ყოფილა განსწავლული ბერძნულში. მარიამი, რომელიც 1716 წლიდან მონაზონია ალავერდის მონასტერში, ქართული კულტურის თავდადებულ მუშაკად აეეცნიება და სხვებსაც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისკენ მოუწოდებს.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში იმერეთში ჩაიდა და მოღვაწეობა გააჩაღა *ზაქარია გაბაშვილმა* (1707–1783 წწ.), ბესიკ გაბაშვილის მამამ.

1. საერო აღზრდა-განათლება XVII–XVIII საუკუნეების საქართველოში

XVII–XVIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში შეღარებით გაუმჯობესდა სამეურნეო და პოლიტიკური ცხოერება, რამაც საგრძნობლად გამოაცოცხლა მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობა და პედაგოგიური აზროენება. გაჩნდა პირეელი საერო ხასიათის სკოლებიც.

თუ XVII საუკუნემდე კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში უმეტესად სასულიერო პირები იეენენ ჩაბმული და სწავლა-აღზრდასაც ძირითადად სასულიერო-რელიგიური ხასიათი ჰქონდა, შემდგომ უკეე ამ საქმეში საერო პირებიც მონაწილეობდნენ, უმეტესად სამეფო გვარეულობიდან,

როგორც კაცები, ისე ქალები. ქართული საზოგადოების მაღალ წრეებში იწრდება ინტერესი „სამოქალაქო მეცნიერების“ – პოეზიის, უცხო ენების, ფილოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის, ასტრონომიის, მედიცინისა და სხვა მეცნიერებათა შესწავლაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ თეიმურაზ I წერდა: „არავის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“ (118, 87).

სასწავლო წიგნები, სახელმძღვანელოები მეწყილად სელნაწერის სახით იყო წარმოდგენილი. ასეთი წიგნები მრავლად ინახებოდა წიგნსაცავში, რომლებიც უმთავრესად ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. მათ შორის უდიდესი იყო მცხეთის წიგნსაცავი.

1629 წელს ქართველი მწიგნობრის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბაქის) თანამშრომლობით რომში დაარსდა ქართული სტამბა და დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ანბანი ლოცვებითა და ქართულ-იტალიური ლექსიკონით.1643 წელს კი რომშივე დაიბეჭდა და ორჯერ გამოიცა ქართული ენის გრამატიკა, რომლის ავტორადაც ცნობილია ფრანცისკ მარია მაჯიო.

ქართულ-იტალიური ლექსიკონის თანაავტორად, სტეფანე პაოლინისთან ერთად, მოხსენებულია ნიკიფორე ჩოლოყაშვილი (ირბაქი). ის იყო თეიმურაზ I-ის ელჩი, მეტად განათლებული და მრავალი ენის მცოდნე ქართველი. მასვე ეკუთვნის „ქართული ანბანი“ და ლოცვები.

1670 წლიდან ქართველებს 2 ადგილი ჰქონდათ დათმობილი რომის უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში, სადაც იგზავნებოდნენ ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდები თბილისის სკოლის კურსდამთავრებულთაგან. ზოგიერთი ქართველი თაყადიშვილი კი ნეაპოლის საშუალო სკოლაში უყვლებოდა „სამოქალაქო მეცნიერებას“.

როგორც აღვნიშნეთ, XVII საუკუნიდან საქართველოში საგრძნობლად შესუსტდა სასულიერო აღზრდა-განათლების სისტემა, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებდა ტრადიციულ ავტორიტეტს, თუმცა აშკარად შეინიშნებოდა განსხვავება აღზრდა-განათლების საერო და სასულიერო განათლების სი-

სტემებს შორის. წინა პლანზე იყო წამოწეული ***ფიზიკური აღზრდა,*** რადგან ფიზიკური სიმძლავრე და სამხედრო სიმარჯვე ერთადერთი საშუალება იყო ურიცხვი მტრის მოსაგერიებლად. მოზარდებს ასწავლიდნენ ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებს. ფიზიკურ აღზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ცხენოსნობას.

ვაჟებთან ერთად, გარკვეული ყურადღება ექცეოდა ქალთა აღზრდა-განათლებასაც. ზოგჯერ ქალები უფრო მეტ აღზრდა-განათლებას იღებდნენ, ვიდრე ვაჟები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალი ჩვენს ქვეყანაში მარტო ვიწრო საოჯახო საქმიანობით კი არ იყო დაკავებული. არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც იყო ჩაბმული და საკმაოდ საპატიო მოვალეობას ასრულებდა.

საერო აღზრდა-განათლების სისტემაში გარკვეული ყურადღება ეთმობოდა ***ზნეობრივ აღზრდასაც.*** ბავშვებს აცნობდნენ ყოფაცხოვრების ზნეობრივ ნორმებს, უნერგავდნენ მათ კაცთმოყვარეობას, სრდილობას, პატიოსნებას, პირდაპირობას, თავმდაბლობას. ზნეობრივ აღმზრდელებად ხშირად ე. წ. ოსტატები (მასწავლებლები) გვევლინებოდნენ, მაგრამ ოჯახი მაინც დიდ როლს ასრულებდა პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ტრადიციული საოჯახო წესები, მშობლების პირადი მაგალითი მძლავრი აღმზრდელობითი საშუალება იყო. ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას დიდად უწყობდა ხელს თვით საზოგადოებაც. თუ იმდროინდელ ქართველთა მოგონებებს დაეუჯერებთ, „უწინ სად გაიგონებოდა უშველი სიტყვა საქართველოში“ (ალ. ორბელიანი).

საერო აღზრდაში ღირსშესანიშნავი იყო კიდევ ერთი რამ – უხეში ფიზიკური დასჯის უარყოფა. როგორც გ.თაყაიშვილი აღნიშნავს, ქართველებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ ცემა-ტყეპით აღზრდილი ბავშვები მხდალი და მონური სულის პატრონები გამოვიდოდნენ.

ასე რომ, ქართული საერო აღზრდის სისტემა, საკმაოდ მრავალმხრივი იყო და ხელს უწყობდა ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას.

2. პროფესიული განათლება

თუ ზოგად განათლებას მოსახლეობის მცირე ნაწილი იღებდა და ისიც ხედა ფენის წარმომადგენელთა შვილები, პროფესიულ განათლებას მშრომელთა შვილები ეუფლებოდნენ. ამასთან, ეს დარგი უფრო ახლოს იდგა ცხოვრების სინამდვილესთან.

სწავლების ძირითადად ინდივიდუალური ხასიათი ქქონდა. ზოგჯერ ხელოსნობის ცალკეული დარგების საიდუმლოების მთელი სიმკაცრითაც იცავდნენ და მას მხოლოდ ახლობლებს, უშუალო მემკვიდრეებს გადასცემდნენ ხოლმე. საერთოდ, ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების დროს ალჰრდაში მთაყარ როლს ოჯახი ასრულებდა. საეკუნეების მანძილზე შემუშავებულ ტრადიციებსა და გამოცდილებას ახალ თაობას, უპირველეს ყოვლისა, ოჯახი გადასცემდა. ამიტომ ფეოდალის, გლეხისა და ხელოსნის ოჯახში ბავშვები განსხვავებულად იზრდებოდნენ.

არსებობდა ოსტატთან შეგირდად მიბარების წესიც. ეს წესები სხვადასხვაგვარი იყო. ზუსტად განსაზღვრული არ იყო სწავლების ვადები. ეს დამოკიდებული იყო მოწაფის უნარზე, ხელობის სირთულესა და თვით ოსტატის შეხედულებაზე. ერთი საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ფეიქართა ამქარი თბილისში შეგირდებს 8 წელიწადს ასწავლიდა ხელობას.

3. აღზრდა-განათლება XVIII საუკუნის II ნახევარში. თბილისისა და თელავის სემინარიები

XVIII საუკუნის II ნახევრიდან საქართველოში გაცილებით უკეთესი პირობები შეიქმნა მშვიდობიანი ცხოვრებისა და ქვეყნის კულტურული აღორძინებისათვის. 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო „ტრაქტატი" (ხელშეკრულება), რომელმაც დროებით, მაგრამ მაინც გამოასწორა და განამტკიცა საქართველოს საგარეო საქმეები. ფეხზე წამოდგა ოსმალებისა და ყიზილბაშების მიერ

აოხრებული თბილისი, აქცაველა ქალაქი გორი, თელავი კახეთის მთავარ ქალაქად იქცა. გამოცოცხლება დაეტყო სხვა ქალაქებსაც. ჩრდილოეთთან სავაჭრო ურთიერთობამ ქალაქებად აქცია დუშეთი და ანანური, აღმოცენდა ქალაქი სიღნაღი, სადაც მალე განადგდა ვაჭრობა-ხელოსნობა. საქალაქო ცხოვრება აღორძინდა ასევე ქუთაისსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში.

XVIII საუკუნეში საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში გამოჩნდნენ ე. წ. „განმანათლებლები", რომლებიც საზოგადოებაში არსებული ყოველგვარი მანკიერი მხარის აღმოფხვრას ცდილობდნენ ხალხში განათლების შეტანით. განმანათლებელთა თაყვანისმცემლები საქართველოშიც გამოჩნდნენ. ისინი შეუდგნენ ხალხში განათლების შეტანას, ენციკლოპედიების შექმნას. თეიმურაზ მეფე ერეკლე II გვეცნობება „განმანათლებელ მონარქად". შვილიშვილებისადმი დატოვებულ ანდერძში იგი წერს: „აუცილებელია მეცნიერების დაუფლება, განსაკუთრებით ღრამატიკის, რიტორიკის, ფილოსოფიის, ლოღიკის..." (99, 320-321).

XVIII საუკუნის II ნახევრიდან საქართველოში იხსნება სამეფო-სახელმწიფო სასწავლებლები და სწავლა-აღზრდა ორგანიზებულ, გეგმაზომიერ ხასიათს ღებულობს. ამ საქმის რეფორმატორად თვით ერეკლე II გვევლინება, რომლისთვისაც დიდი დახმარება გაუწევია ანტონ კათალიკოსს.

1755 წელს თბილისში დაარსდა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სემინარია. მის რექტორად დაინიშნა იმ დროისათვის ცნობილი ფილოსოფოსი ფ ი ლ ი პ ე ყ ა ი თ მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, რომელიც ფრიად განათლებული მეცნიერი ყოფილა. მას დოქტორის სახელით და „ზედმიწევნილ ფილოსოფოსად" იხსენიებენ.

1758 წელს თელავშიც გახსნილა საფილოსოფო-საღვთისმეტყველო სკოლა და მის რექტორად ერეკლე მეორეს ფილიპე ყაითმაზაშვილი გადაუყვანია. 1782 წელს აღნიშნული სკოლა სემინარიად გადაკეთდა და მის პირველ რექტორად ერეკლე II-ს დაუნიშნავს გ ა ი ო ზ ი, რომელიც გ ა ი ო ზ რ ე ქ ტ ო რ ის სახელითაა ცნობილი. აქ მუშა-

ობის სულ მცირე (1 წელი) დროის მიუხედავად, გაიოზ რექტორის მეტად ნაყოფიერად უმოღვაწია. 1783 წელს იგი ტოვებს თელავს და ცხოვრების დიდ ნაწილს რუსეთში ატარებს. ჯერ როგორც რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების განმტკიცებისათვის მებრძოლი, ხოლო შემდგომ – როგორც მაღალი საეკლესიო პირი, ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსი.

გაიოზ რექტორი გარდაიცვალა ქალაქ ასტრახანში. იგი შეცვალა გამოსულმა ქართველმა მოღვაწემ დ ა ვ ი თ ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ – მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ მ ა, დავით რექტორად ალიარებულმა. მისი აქ მოსვლიდან უფრო ფართოდ გაიშალა საგანმანათლებლო მუშაობა.

ზემოთ აღნიშნულ სასწავლებელთა „დირექტორი, პრორექტორი და დიდასკალოსი“ იყო ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი (1720–1788). მან რუსული ენიდან თარგმნა სახელმძღვანელოები „მეტაფიზიკა“, „ლოღიკა“, „ეთიკა“, „დიალექტიკა“ და სხვები.

ანტონთან ერთად, მეფე ერეკლეს მხარში ედგნენ: გარსევან ჭაჭავაძე – ქართლ-კახეთის ელჩი პეტერბურგის საიმპერატორო კარზე, სოლომონ ლეონიძე – მისი მრჩეველი და „მსაჯული“, სოლომონ და გიორგი ავალიშვილები, პაპუნა ორბელიანი და სხვები.

როგორც თბილისის, ისე თელავის სემინარიებში ისწავლებოდა გრამატიკა, პოეტიკა, რიტორიკა, ლოგიკა, ფილოსოფია, საღვთო სჯული, საეკლესიო ისტორია, მშობლიური ენა, არითმეტიკა, სამოქალაქო ისტორია და სხვა საგნები.

ზემოაღნიშნულ სემინარიებს ბევრი დაღებითი თვისება ჰქონდათ. ჯერ ერთი, ეს იყო შედარებით უფრო საერო ცოდნის გაერცელების კერები. გარდა ამისა, სემინარიები მარტო სასწავლო დაწესებულებებს როდი წარმოადგენდნენ. აქ წარმოებდა აგრეთვე პაექრობა-დისპუტები სხვადასხვა მეცნიერულ საკითხებზე, რაც, ცხადია, ხელს უწყობდა მეცნიერული აზრის განვითარებას. დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ასევე ისიც, რომ უმეტესად გამოიყენებოდა „კითხვა-მიგების“ (კითხვა-პასუხის) მეთოდი, რაც ლოგიკურ

მსჯელობას მოითხოვდა. გარდა ამისა, პაექრობა-დისპუტებზე დასწრება თავისუფალი ყოფილა და, გარდა მოსწავლეებისა, იგი დამსწრე საზოგადოებაშიც აღეთქმებდა ცოდნისა და მეცნიერებისადმი ინტერესს.

დავით რექტორი მარტო ოფიციალური სასწავლო გეგმით რიდი კმაყოფილდებოდა. მას თელავში დაუარსებია ერთგვარი ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრე, რომელიც რამდენიმე სემინარისტს აერთიანებდა. მეფე ერეკლე II დიდად კმაყოფილი ყოფილა დავით რექტორის მოღვაწეობით. იგი ხშირი სტუმარი ყოფილა სემინარიისა.

როგორც წესი, თბილისისა და თელავის სემინარიებში დებულობდნენ მსოლოდ თავადთა და სასულიერო პირთა შვილებს, მოსახლეობის ფართო ფენები კი მხოლოდ დაწყებითი ან სახელოსნო განათლებით კმაყოფილდებოდნენ.

სასკოლო განათლების საქმეში აქტიურად იყო ჩაბმული ანტონ I. მან, სხვა შრომებთან ერთად, შეადგინა სახელმძღვანელო – *„მოკლე ისტორია საქართველოსი“*.

აღსანიშნავია ასევე პაპუნა ორბელიანის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. ავტორის აზრით, ამ სახელმძღვანელოს პატრიოტული მნიშვნელობა აქვს. იგი უნდა შეისწავლონ მოზარდებმა და ყველას დარაჯებად მოევლინონ სამშობლოსთვის.

იოანე ბაგრატიონს შეუდგენია ასევე ენციკლოპედია ბავშვთა აღსრდისა და სწავლების საკითხებზე.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა აოხრა თბილისი და ამ დროიდან თბილისის სემინარიამ მუშაობა შეწყვიტა. რაც შეეხება თელავის სემინარიას, მან მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგამდე იარსება.

XVIII საუკუნის მიწურულს, 1788 წელს, დიდმა ქართველმა განმანათლებელმა იოანე ბაგრატიონმა (ბატონიშვილმა) შეადგინა პროექტი, რომელიც თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სასწავლებლის გახსნას ითვალისწინებდა, მაგრამ 1801 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის (ძალით შეერთების) გამო, ეს პროექტი არ განხორციელებულა.

თ ა ვ ი IV

პედაგოგიკური იდეები XVII–XVIII საუკუნეების საქართველოში

მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმით განსაკუთრებით დაინტერესდნენ და პედაგოგიკური აზრის შემდგომ განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა ქართველმა ჰოლიტიკურმა და სახოგადო მოღვაწეებმა – არჩილმა, სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ VI-მ, დავით გურამიშვილმა და სხვებმა.

არჩილი (1647–1712)

საქართველოს მეფეს, პოეტსა და სახოგადო მოღვაწეს, არჩილ II-ს იმ დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება მიუღია. მის აღზრდაში გარკვეული წვლილი შეუტანია მაშინდელ სწავლულსა და მწერალს – ი ო ს ე ბ ს ა ა კ ა ძ ე ს. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, არჩილი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა არა მარტო თავისი ფიზიკური აღნაგობით, არამედ განსწავლულობითა და აზროვნებით.

14 წლის არჩილი მამამ იმერეთის მეფედ დასვა, მაგრამ მალე იგი იძულებული გახდა (1663) დაეტოვებინა იმერეთი და სპარსეთს გადახვეწილიყო. აქ შაჰ-აბას II-მ მას მაჰმადიანობა მიაღებინა, შახნაზარ-ხანი უწოდა და 1664 წელს კახეთის ტახტზე დასვა. არჩილმა კახეთის დედაქალაქი გრემიდან თელავში გადაიტანა. მან კახეთისა და ქართლის სამეფოები ფაქტობრივად გააერთიანა.

არჩილის 12 წლის მეფობის პერიოდში კახეთი კულტურულად აყვავდა: აშენდა მრავალი ნაგებობა და ეკლესია, ნაწილობრივ აღადგინა ლეკთა თარეშში, მაგრამ ქვეყნის მოლოდინერება მოსვენებას უკარგავდა შაჰს. არჩილმა იგრძნო, რომ შაჰი მას ტახტის წართმევას უპირებდა. 1675 წელს,

მან მამის სურვილის წინააღმდეგ, ტახტი დატოვა და იმერეთში გაემგზავრა სწავლა. 4-ჯერ ავიდა იმერეთის ტახტზე, მაგრამ ოსმალთა დახმარებით იმერეთის თავადაზნაურობამ ოთხჯერვე გააძევა იგი. არსებობს დახმარებისათვის რუსეთის მიმართაც, მაგრამ ამაოდ — იმერეთის ტახტი ვერ დაიბრუნა. 1699 წელს იგი მთელი თავისი ოჯახითა და ამალით სამუდამოდ გადასახლდა რუსეთში, სადაც პეტრე I-მა გულთბილად მიიღო. სამშობლოს მოწყვეტილი არსება სახოწარკვეთილებას როდი მიეცა, მწიგნობრობასა და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში პოვა სულიერი კმაყოფილება.

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, არსებობს მოსკოვში აქტიურად იღვწის ქართული სტამბის შექმნისათვის. ეს რთული ამოცანა მან 1705 წელს შეასრულა და პირველად ქართული ფსალმუნი (რელიგიური საგალობელი) „*ფსალთონი*“ დაბეჭდა.

არსებულ ეკუთვნის ერეკლი ისტორიული პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, რომელშიც ორი პოეტის პაექრობაში აყვანის საკუთარ პოზიციას. იგი ორივე პოეტს საყვედურობს უცხო სიტყვებით გართაცებას.

პოლიგრაფიული მოღვაწეობის გარდა, არსებულ კარგადაა ცნობილი ასევე პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მუშაობით. თავის თხზულებებში („საქართველოს ხნოობანი“, „ლექსნი ახეულნი“ და სხვ.) გადმოგვცა ქართული არისტოკრატიული აღზრდის წეს-ჩვეულებანი, გამოთქვა გარკვეული მოსაზრებანი აღზრდა-განათლების შესახებ. იგი პიროვნების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებდა აღზრდასა და აღმზრდელის როლს, მის პირად მაგალითს. ამიტომაცაა, რომ იგი ქართველ ერს აღზრდა-განათლების საქმის მოგვარებისკენ მოუწოდებს.

არსებულ დიდად აფასებს ცოდნას, *გონებრივ განათლებას,* რაც ადამიანმა სისტემატური და თანმიმდევრული სწავლით უნდა მიიღოს. ამასთან, სწავლებას უსათუოდ მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს: „სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი პყავს, ასწავლის“, — წერს იგი.

ადამიანის თვისებათაგან არისტო ყველაზე მაღლა აყენებს სიბრძნეს (ცოდნასა და სწავლა-განათლებას). იგი წერს:

„სიბრძნეს ვერ სწირავს ვერარა, არც ისე მოსასმარია,

მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამსმარია.

სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლად მგონ სახმარია,

სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გასლავს, ცათ კამარია“.

სწავლების პროცესში არისტო მოითხოვს *მისწრაფებისა და დახარჯვების პრინციპის* დაცვას. მისი აზრით, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გაუადვილოს ცოდნის შეძენა. ამასთან, ცოდნის გადაცემისას უნდა დაიცვას ღირსება. უმჯობესია, ვასწავლოთ ცოტა, მაგრამ კარგად. ამ აზრს იგი ასე გამოხატავს:

„მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,

მკირედ-მკირედს სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს“.

ზნეობრივი აღზრდის საკითხების განხილვისას არისტო ეხება ყველა წოდებისა და ჯენის ადამიანის ფორმირებას. იგი ძირითადად ყურადღებას კლასის ზნეობიდან გამოდის, მაგრამ მასში საკმაოდ გამოსჭვივის ჰუმანურობა და ერთგული დემოკრატიზმი. „სჯობს მოხა ბრძენი უგნურსა მეფესა მოხუცებულსა“. – ამბობს იგი.

არისტოს აზრით, ადამიანისთვის უცხო უნდა იყოს ბოროტება, შური, სიხარბე, ცბიერება და ვერაგობა. იგი გმობს ასევე ლოთობას, მექრთამეობასა და ავსიტყვაობას.

უარყოფითი თვისებების თავიდან აცილების საშუალებად არისტო, უწინარეს ყოვლისა, მიაჩნდა *შრომა*. იგი განსაკუთრებით აფასებდა სასოფლო-სამეურნეო შრომას, რაც კარგად ჩანს მის სიტყვებში: „თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაიბუნდა“.

გონებრივი, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის გარდა, არისტო პიროვნების ფორმირებაში დიდ როლს ანიჭებდა

ასევე *ფიზიკურ აღზრდას*. მისი აზრით, ყმაწვილი აღრიდანვე უნდა გაიწაფოს ჭანჭარავში, ცხენოსნობაში, მშვილდისრის ხმარებაში, ბურთაობაში, ნადირობაში და სხვ.

არსილი უეჭველებულად არც *ესთეტიკურ აღზრდას* ტოვებს და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანისათვის აუცილებლად მიიჩნევს გალობა-მუსიკისა და ცეკვების ცოდნას.

განუზომლად დიდია არჩილის როლი სამშობლოს აღორძინებისა და მისი კულტურის განვითარებაში.

სულხან-საბა ორბელიანი (1658–1725)

XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, განმანათლებელი და მეცნიერი **სულხან-საბა ორბელიანი**. იგი დაიბადა 1658 წლის 24 ოქტომბერს ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში. შთამომავლობით სულხან-საბა გახლდათ დიდგვაროვანი ფეოდალი. მის მამას – ვახტანგ ორბელიანს ახლო ნათესაობა აკავშირებდა სამეფო კართან. იგი იყო ქართლის სამეფოს მდივანბეგი.

სულხანმა ადრეულ ბავშვობაშივე მიიღო საფუძვლიანი განათლება. კარგად იცნობდა ქართულ საერო და სასულიერო მწერლობას, იცოდა რამდენიმე უცხო ენაც. მწერლობასთან ერთად, სულხანი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი იყო აღმზრდელი ვახტანგ VI-ისა და ნერქესი ბატონის ასულის, დედოფალ რუსუდანისა (ვახტანგ VI-ის მეუღლის).

ჯერ კიდევ ბერად შედგომამდე სულხანმა დაწერა არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“. რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა სწავლა-აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებაში.

წიგნში *„სიბრძნე სიცრუისა“* ადამიანები ეცნობიან უბრალო, მშრომელი ხალხის ჭირსა თუ ლხინს, სიხარულსა

თუ მწუხარებას, სიკეთესა და ბოროტებას; გაკიცხულია სიძუნწე, ფარისეველობა, ამპარტავნობა, სიცრუე, უმადურობა და სხვ.

ამ ნაწარმოებში მოცემულია პედაგოგიურ შეხედულებათა ერთგვარი სისტემა. იგი ემყარება როგორც ალორძინების ეპოქის აღორძის ძველ ქართულ სანაქებო ტრადიციებს, ისე სწავლა-აღზრდის მოწინავე ევროპულ იდეებს.

თავის ნაწარმოებში ორბელიანი მოითხოვს მეფის შვილის ხალხურობის პრინციპზე აღზრდას. იგი მომხრეა, რომ აღსაზრდელმა შეისწავლოს რეალური ცხოვრება, ყველაფერი ის, რაც ცხოვრების სინამდვილეს ახასიათებს. ამიტომაცაა, რომ იგი მეფისწულს სახახლის ფუფუნებას აშორებს და ნამდვილ ცხოვრებაში შეჰყავს. აღმზრდელი მას აცნობს ცხოვრების სინამდვილეს, ზრდის ყოველმხრივ, მაგრამ უპირატესობას მაინც ზნეობრივ აღზრდას ანიჭებს.

ზოგიერთების აზრით, ორბელიანისეული აღზრდის სისტემა ეწყინება სპარტანელი აღზრდის სისტემას. ეს აზრი განაპირობა იმან, რომ მეფე ფინეზი საკუთარი შვილის — ჯუმბერის აღმზრდელს სასახლის გარეთ ეძებს და მის აღზრდას ანდობს ლეონს, თვითონ კი არ ცდილობს შვილის აღზრდას, ისე როგორც ეს სპარტაში ხდებოდა. ბერძენი მწერლისა და ისტორიკოსის პლუტარქეს გადმოცემით, სპარტაში ბავშვის აღზრდის უფლება მშობელს არ ჰქონდა. აქ დაიბადებოდა თუ არა ყაჯი, მას მიუყვანდნენ უხუცესთა საბჭოს წევრებს. ისინი ბავშვს კარგად შეათვალიერებდნენ და თუ რაიმე ფიზიკურ ნაკლს აღმოუჩენდნენ, ხრამში გადაუძახებდნენ, რადგან სპარტანელებს ფიზიკურად კარგად გაწრთნილი მეომრები სჭირდებოდათ, რათა თავი დაეცვათ მონების ხშირი აჯანყებისა და თავდასხმებისაგან. ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვისგან კი მომავალი მამაცი მეომარი არ დადგებოდა.

ლეონიც ტახტის მემკვიდრეს ფიზიკურად წვრთნის, სუსხსა და მკაცრ პირობებში ამყოფებს, ფეხშიშველს არბენინებს, ეჭმელ-უსმელს იმსახურებს, ფიზიკურადაც სჯის, ზოგჯერ უმიზეზოდაც კი, მაგრამ მისი მიზანია, ასწავლოს

ალსაჩრდილის ცხოვრების აე-კარგი. სპარტანული აღზრდის მიზანი კი, პლუტარქეს გადმოცემით, იყო უსიტყვო მორჩილება, „ბრძოლაში გამძლეობა და ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება". „ჩვენ საკუთარი თვალით გვინახავს სპარტანული ბიჭები, – წერს იგი, – რომლებიც სმის ამოულებლივ იტანდნენ საშინელ ცემა-ტყეპას ორთიას საკურთხევლის წინ (101.119).

მართალია, ლეონი ფიზიკურად წერთნის ჯუმბერს, მაგრამ მიზანი ამ წერთნისა უფრო ზნეობის სრულყოფაა, ვიდრე ფიზიკური წერთნა. მისი მიზანია, ჩაუგონოს ალსაჩრდილს ის ურყევი ჭეშმარიტება, რომ თუ ადამიანს არ განუცდია ტანჯვა-წამება, არ უნახავს ცხოვრების აე-კარგი, საკუთარ თავზე არ განუცდია ყოველივე ადამიანური სვედრი, ის სხვის ტკივილსა და ტანჯვას ვერ გაიგებს და არ სამოუკალიბდება თანაალმობის გრძნობა. ცხოვრება ჯუმბერისათვის არის ზნეობის პირველი წიგნი, პირველი გაკვეთილი. აქედან გამომდინარე, ორბელიანის აღზრდის სისტემის მთავარი მიზანია ბავშვის ზნეობრივი აღზრდა, მისი გულის გაკეთილშობილება და ჭეშმარიტ, ჰუმანისტ ადამიანად ჩამოყალიბება (2, 89).

მართალია, დღეს ვერ გავიზიარებთ სულხანისეული ე. წ. „ცდის მეთოდს", რომელიც ბავშვის პირად გამოცდილებას უნიჟერსალად თვლის და, აქედან გამომდინარე, 50 ჯოხის დაკვრასაც კი არ ერიდება იმ ყარაულით, რომ ბავშვმა გაიგოს, თუ რა ცუდია უსამართლოდ დასჯა, მაგრამ ყოველივე ეს ორბელიანს უნდა გაეუგოთ, რადგან მას ღრმად სწამდა, რომ პირადად განცდილი უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა აღზრდაში, ვიდრე ჩაგონება.

ზნეობრივი დარიგებების გარდა, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში" მოცემულია უამრავი ცოცხალი მასალა ბავშვის გონებრივი ძალების განვითარების თვალსაზრისით. ამ წიგნით ბავშვი ეცნობა ცოცხალ ბუნებას, მშობლიური თუ უცხო მხარეების გეოგრაფიას (ქვეყნებს, ქალაქებს, მდინარეებს, ზღვებს და სხვ.). ყოველივე

ამას. ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის შემეცნებითი ძალების განვითარებაში.

აფორიზმების სიუხვითა და მაღალმხატვრულობით „სიბრძნე სიცრუისა“ საუკეთესო ნაწარმოებია არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. იგი თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე – რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, უნგრულ და სხვა ენებზე.

1698 წელს სულხან-საბა ორბელიანი ბერად აღიკვეცა და საბად იწოდა. მიუხედავად ბერობისა, მას არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა. ამ წლებში მან შექმნა ქალაგებათა კრებული „სწავლანი“.

„სწავლანი“ დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია. იგი შედგება 46 ქალაგებისაგან. ყოველი მათგანი გაჟღენთილია ქრისტიანულ-ჰუმანისტური შეგონებებით. ამ მხრივ მეტად საინტერესოა *„სწავლა სიყვარულისათვის“*, რომელშიც მოყვანილია ციტატები მოხე წინასწარმეტყველის, პეტრე მოციქულისა და სხვა წმინდა მამების შრომებიდან. ამ ქალაგებაში იგი გვმოძღვრავს, რომ უნდა გვიყვარდეს „ყოველნი კაცნი არა მხოლოდ ნათესავნი, არამედ უცხონიცა და მტერნიცა, ვითარ იესუმ შეგვიყვარნა ჩუენ“. საბას აზრით, მოყვასის სიყვარული ბავშვს უნდა ჩაენერგოს პატარაობიდანვე. თორემ შემდეგ გვიან იქნება. ამ ქალაგებით ორბელიანი მოითხოვს ერთ-ერთი მთავარი მცნების – „გიყვარდეს მოყვასი შენი“ – განსორციელებას.

სხვა ქალაგებში ორბელიანი ადამიანისათვის დამახასიათებელ თვისებათა შორის გმობს *ამბარტაყნობას, ყურცხლისმოყვარეობას*, რომლისგანაც „დაიბადების მოუსმინარობა, თავდაჯერებულება და ცუდდიდობა“.

თავის „სწავლანში“ საბა არ იყიწყებს ასევე *მრისხანებას*. მრისხანე კაცთან, აღნიშნავს იგი, „არ იამხანაგებს, არ იმეგობრებს, უჩიფათოდ მასთან ვერ გაიცლი, ვერ ისაუბრებ, გვერდში ვერ მიუჯდები, ცელგან და ყველაფერზე ცოფიანივით იკბინება“.

ორბელიანი „სწავლანში“ სასტიკად გმობს *სიმთვრალეს*, რადგან, მისი სამართლიანი აზრით, ნებისმიერი სიმ-

თვრალე ადამიანს აკარგვინებს წონასწორობას და მისთვის შეუფერებელ საქციელს ჩაადენინებს. ამიტომ იგი მოუწოდებს ქველა სვენგანს: „ნუ დაითვრებით ღვინით და ნუცარა დაითვრებით ულვინოდ, რამეთუ ულვინოდ სიმთვრალე უძვირეს არს ღვინოთა სიმთვრალისა“.

სულხან-საბა ქადაგებაში *„სწავლა გლახაკთა მოწყალებისათჳს“* თავის მრევლს მოუწოდებს მოწყალის სიყვარულისაკენ და მოითხოვს მათთვის მოწყალების გაცემას. იგი გვაფრთხილებს, რომ არ განვასხვაოთ ერთმანეთისგან მდიდარი და ღარიბი, ერთნაირად უნდა ვცეთ პატივი ქველას და მივუსინოთ ადგილი „ღასაჯდომელი“. თუ გლახაკს არ შეუძლია შენთან მოსვლა, უმჯობესია, შენ თვითონ მიხვიდე მასთან და „თვით შენი ხელით მიართვა რა იგი გაქვს“. დიდი მოძღვრის აზრით, ღარიბთა განკითხვა და მოწყალების გაცემა ერთ-ერთი უდიდესი სიმდიდრეა ღვთისაკენ მიმავალ გზაზე.

საბას ქრისტიანულ პედაგოგიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე მოძღვრებას *„სწავლა სტუმართმოყვარეობისათჳს ჟამსა ელიათობისასა“*. მასში იგი საუბრობს ქართველი ხალხის მაღალმორალურ თვისებებზე – სტუმართმოყვარეობაზე. „სახარების“ პერსონაჟმა *ხილოსთამ* სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა და შესანიშნავად გაუმასპინძლდა ელია წინასწარმეტყველს.

ორბელიანის მეცნიერული მუშაობის გეირგეინს წარმოადგენს მისი *„ლექსიკონი ქართული“* („სიტყვის კონა“), რომლის შედგენასაც მან 30 წელი მოანდომა.

„ლექსიკონი ქართული“ ძირითადად განმარტებითია, მაგრამ მასში ენციკლოპედიური ხასიათის ელემენტებიც შეინიშნება. ამ წიგნის საშუალებით მოზარდები ეცნობიან ქვეყანას, ბუნებას, ადამიანებს, ვარსკვლავებს და სხვა ციურ სხეულებს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ წიგნი დაწერილია დახვეწილი, მისაწვდომი, ყველა ასაკის ბავშვისათვის გასაგები ენით.

ლექსიკონს წინ უძღვის შესავალი, რომელშიც მოცემულია გრამატიკის ელემენტები, რომელსაც იგი „დრამა-

ტიკას" უწოდებს. მაგრამ მისი „დრამატიკა" შეღგენილია ასოთშეერთების მეთოდით, რომელიც შემდგომ დაგმობილ იქნა, რადგან, იან ამოს კომენსკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ეს მეთოდი ტანჯაყდა ბავშვებს, მაგრამ იმდროისათვის პედაგოგიკის ისტორია წერა-კითხვის სწავლების სხვა მეთოდს არ იცნობდა და, ცხადია, სულხან-საბას სხვა გზა არ ჰქონდა.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის *„მოგზაურობა ევროპაში"*, რომელიც საფრანგეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებსია აგებული.

ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ორბელიანმა მეტად მნიშვნელოვანი კვალი დატოვა არა მხოლოდ როგორც დიდმა ჰუმანისტმა მწერალმა, არამედ როგორც იმდროისათვის დემოკრატიული პედაგოგიკური იდეების მქონე მოღვაწემ. მან, ძველ ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით, წამოაყენა ახალი, იმდროისათვის პროგრესული იდეები მოზარდი თაობის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების შესახებ. ორბელიანმა, ასევე ერთ-ერთმა პირველმა, მიაჩერო თვალი იმდროინდელი აღზრდის პროგრესულ ევროპელ იდეებს და მათ ქართულ ნიადაგზე გადმონერგვას შეეცადა, მაგრამ მისი ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

სულხან-საბა ორბელიანი გარდაიცვალა მოსკოვში, 1725 წელს. დაკრძალულია ცესენიატსკოეში.

ვახტანგ VI (1675—1737)

სულხან-საბა ორბელიანის სახელოვან აღზრდილს, **ვახტანგ VI-ს**, მიუხედავად მძიმე ხვედრისა, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული კულტურისა და საგანმანათლებლო საქმის განვითარებაში.

XVIII საუკუნეში საქართველო კვლავ ყიზილბაშთა გავლენის ქვეშ იყო. 1712 წელს შაჰმა ვახტანგ VI საქართველოს მეფედ დაამტკიცა, მაგრამ რადგან ვახტანგმა ქრისტიანული სარწმუნოება არ უარყო და მაჰმადიანური სარ-

წმუნოება არ მიიღო, ირანში დატოვა. აქედან ვახტანგმა, სულხან-საბას მეშვეობით, ლუი XIV-თან კავშირის დამყარება სცადა, მაგრამ ამაოდ. მაშინ მან, იმედგაცრუებულმა, მაჰმადიანობა ფორმალურად მიიღო და 1719 წელს სამშობლოში დაბრუნდა. აქედან ვახტანგმა რუსეთთან გააბა კავშირი. ამან შაჰი გაანაწყენა და იგი იძულებული გახდა რუსეთის გასაზნულიყო, ოსმალ-ყიზილბაშობა კი საქართველოს ანადგურებდა.

მიუხედავად ასეთი ძნელბედობისა და მუდმივი ლტოლვისა, მეფე ვახტანგ VI-მ მაინც მოასწრო და ბევრი რამ გააკეთა საქართველოს კულტურული ცხოვრების წინსვლისათვის. იგი იყო მეფე, ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, მწიგნობარი და ქართული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI-მ მტკიცედ დაიცვა საქართველოში სწავლების ერთი ძველი, ტრადიციული წესი, რომლის მიხედვით, ყოველი მეცნიერი, სწავლული, ამავე დროს მასწავლებელიც უნდა ყოფილიყო იმ მეცნიერებისა, რომლის სპეციალისტიც იგი იყო. ასე ეწოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას არჩილ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი და თვით ვახტანგ VI.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახტანგ VI-ის ღვაწლი მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. მან შეადგინა ე. წ. „მეცნიერ კაცთა“ კომისია ბ. ცინცაძეშვილის მეთაურობით. ამ სამეცნიერო სკოლაში აღიზარდა საისტორიო მწერლობისა და გეოგრაფიული მეცნიერების დიდი წარმომადგენელი, ვახტანგ VI-ის შვილი ვახუშტი ბაგრატიონი (დაახლოებით 1696-1772). მისი ნაშრომი *„საქართველოს ისტორია“* პირველი ცდა იყო ქართველი ხალხის ისტორიის კრიტიკული განხილვისა. სხვა საკითხებთან ერთად, მასში მოცემულია სწავლა-აღზრდის გარკვეული იდეები. წიგნის დასაწყისში იგი მიმართავს მკითხველს: ის დრო და საათი, რომელსაც სწავლას არ ვახმარით, საკვალალოდ იკარგებაო. ეს წიგნი ავტორმა დაასრულა მოსკოვში, ემიგრაციაში ყოფნისას.

ვახტანგ VI-მ და მის მიერ შექმნილმა მეცნიერულმა კოლექტივებმა, ხელი შეუწყეს ასევე საქართველოში მათემატიკის განვითარებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თხზულებანი *„გარკვეულად-მრიცხველობა“* და *„ქმნილების ცოდნა“*. ეს უკანასკნელი დაიბეჭდა თბილისის სტამბაში 1721 წელს.

ცნობილია ასევე, რომ ვახტანგ VI-მ, სულხან-საბა ორბელიანთან ერთად, თარგმნა ძველი ინდოეთიდან გადმოცემული არაკების კრებული *„ქილილა და დამანა“*. ეს თხზულება მათ სპარსულიდან თარგმნეს. ამ წიგნის გარკვეული ალმწრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც მასში გატარებულია პედაგოგიური აზრი, რომ ადამიანს ამაღლებს არა სიმდიდრე, ქონება და გვარიშვილობა, არამედ მეცნიერების ცოდნა და კარგი აღზრდა.

ვახტანგ VI-მ როგორც თავის მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე თარგმნილ ლიტერატურაშიც, მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მოზარდი თაობის ***ზნეობრივი აღზრდის*** პრობლემებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ აღმოსავლურ ლიტერატურაში საკმაოდ გახმაურებული დიდაქტიკური სახიათის თხზულება *„ყაბუსნამე“*, რომელსაც ვახტანგისეულ თარგმანში *„ამირ-ნასარიანი“* ეწოდება. ამ თხზულებაში მოცემულია შეგონებები ცოლის შერთვის, სტუმარ-მასპინძლობის, მშობელთა პატივისცემის, ბავშვთა ოჯახური აღზრდის, ღვინის სმის, სწავლა-განათლების, შრომისმოყვარეობისა და სხვა საკითხებზე.

მოზარდებისათვისა განკუთვნილია ვახტანგ VI-ის მიერ რუსულიდან თარგმნილი ვრცელი დიდაქტიკური თხზულება *„სიბრძნე მალალთებული“*. მასში ყურადღებაა გამახვილებული ცოდნის მნიშვნელობაზე და მისი შეძენის აუცილებლობაზე. მოყვანილია გამონათქვამები ანტიკური სანისნოაზროვნეებისა ცოდნის შესახებ

ვახტანგ VI-მ, რუმინეთში მოღვაწე ანთიმოზ ივერიელის დახმარებით, 1708 წელს თბილისში დაარსა სტამბა და შეუდგა წიგნების ბეჭდვას. სხვა წიგნებთან ერთად, 1711 წელს

დაბეჭდაც პირველი ქართული მეთოდური სახელმძღვანელო, ხოლო მომდევნო წელს (1712) – *„გეფხისტყაოსანი“*.

როცა ვახტანგ VI-მ თბილისის სტამბაში პირველი წიგნი დაბეჭდა, მთელ საქართველოში უჯასოდ დაარიგა, სამაგიეროდ კი ხალხისაგან მოითხოვა და შეაგროვა მათი ხელნაწერები და შეინახა სიონის ტაძრის მახლობლად სპეციალურად აგებულ წიგნსაცავში.

ვახტანგ VI 1724 წელს თავისი ამალით (1200 კაცი) რუსეთში გადიხვეწა და 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა. დასაფლავებულია იქვე, მიძინების ტაძარში.

დავით გურამიშვილი (1705–1792)

თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობითა და ახალი პედაგოგიკური იდეებით არნახულ მეფის, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ს ღირსეული მემკვიდრე იყო გამოჩენილი ქართველი პოეტი და მოაზროვნე **დავით გურამიშვილი**. ამიტომაცაა, რომ მის დიდაქტიკურ მოტივებში შეინიშნება როგორც არნახულისა და ვახტანგის, ისე სულხან-საბას შეხედულებათა ანარეკლი. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ იგი თავისი დროისა და ხალხის პირშია შვილია. ნათქვამის საილუსტრაციოდ ვიკმაროთ მხოლოდ ვახტანგ VI-ისა და დავით გურამიშვილის პოეზიის პარალელებით. მაგალითად:

ვახტანგი: „სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგვცემს ბოლოდ ტკბილსა“.

დავითი: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

ვახტანგი: „მოწაფის მეტის ცემისთვის გმობისა ვინმე მიქმელია?“

დავითი: „ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კვნილი“.

ვახტანგი: „უნაყოფობა ბევრით სჯობს, ბოროტის შვილის ყოლასა“.

დაკვირვება „სულობის ყოლა უწერთნის ძალისია უწერთნელის შვილის ყოლასა“ და ა.შ.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო კვლავ ბრძოლის ველად იქცა. გარდა იმისა, რომ ხვნის ქვეყანას ირანისა და ოსმალეთის ურდოები ანადგურებდნენ, ამას ემატებოდა ე.წ. „ლეკიანობა“, ანუ ლეკთა თარეში, რომლის მსხვერპლი გურამიშვილიც გახდა. იგი, ტყვეობიდან გაქცეული, ყოლაის გზით მოხვედრილა და ვახტანგ VI-ის ამალას შეუერთდა. აქ იგი, სხვებთან ერთად, ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. 1738 წელს დ. გურამიშვილმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო და უკრაინაში დასახლდა. აქ, სოფელ ხუბოვკაში დაასრულა მან თავისი „*დავითიანი*“, რომელშიც ეხვეულია მოცემული არა მარტო პედაგოგიკური, არამედ ეროვნულ-პატრიოტული მოტივებიც. მასში განხილულია მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის თითქმის ყველა საკითხი.

„*დავითიანში*“ მკითხველი ხედავს XVIII საუკუნის დაბეჩავებულ საქართველოს რეალურ სურათს. მის ცალკეულ კუთხეებს შორის გამეფებული მტრობა („ახლებების აღმა სნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს...“). ტყვეებით ვაჭრობა, ძარცვა-რბევა და ურთიერთშუღლი კიდევ უფრო უალებელებდა გარეშე მტერს ხვნი ქვეყნის დაპყრობას.

დ. გურამიშვილის „დავითიანი“ დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია. მასში ავტორი გვესაუბრება მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკირბიროსტო საკითხებზე. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს ცოდნის მნიშვნელობასა და მის გამაკეთილშობილებელ როლზე.

პოეტი ეხება აგრეთვე მასწავლებლის, აღმზრდელისა და მშობლების მოვალეობის აღსაზრდელის წინაშე და საქმიროდ მიიჩნევს, თითოეულმა მათგანმა სათანადო წვლილი შეიტანოს ბავშვის აღზრდა-განათლებაში.

ავტორი უმაღლეს შეფასებას აძლევს ცოდნას და ურჩევს ახალგაზრდებს მის დაუფლებას. იგი წერს:

„ვისებნე და ვერა ჰპოვე რა მჯობნი ამ სწავლა-მცნებისა:

ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ცოფნა ნებისა:
ბრძენი სალაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა:
ბრძენი პერთათვის ჩემსაცით შეხლთ არვის მოექნებისა!"

ამასთან, იგი აფრთხილებს ახალგაზრდებს, რომ სწავლა ძნელი საქმეა, ისეთივე ძნელი საქმე, როგორც დედისათვის მშობიარობა, მაგრამ როგორც შვილის შეძენის შემდეგ დედას ავიწყდება მშობიარობის ტკივილები, „ეგრეთ მოწაფეს სწავლასა რა სრულეოფს, განისვენებსა". აქედან გამომდინარე, დ. გურამიშვილი არიგებს ახალგაზრდობას:

„ისმინე, სწავლის მძებნელო! მოეც დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კელაე ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თაეს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა, –
ჭირს მეოფი, ლხინში შესული, შეგნად მიითვლი ვნებასა".

დ. გურამიშვილმა კარგად იცის, რომ ცოდნის შეძენა, სიბრძნის დაუფლება რთული და ხანგრძლივი პროცესია. მას მუსლისაუხრელი შრომა და მრავალი დაბრკოლების გადალახვა სჭირდება. მაგრამ სამაგიეროდ მას'ხე ექეთეს ადამიანი ვერაფერს იპოეის. შეძენილი ცოდნის დაკარგვა, მისი მოპარვა, ან ძალით წართმევა შეუძლებელია. იგი „არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების". ამასთან:

„სწავლა სიკვდილმდე შენია, მუდამ შენთანა მეოფელი;
მას გვცილების ეერაეინ, არ არის გასაეოფელი.
სხეას ქეყანას მახე უგია, თაეისა გასაეოფელი:
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი".

აქვე დ. გურამიშვილი საკმაოდ სწორად აღნიშნავს, რომ ცოდნა ადამიანმა უნდა მიიღოს დროულად, ადრეულ ასაკში. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შეძენა დაგვიანებული იქნება, რადგან ბავშვის თავიდან აღსრდა უფრო ადვილია, ვიდრე მისი ხელახალი აღსრდა. პოეტი წერს:

„ეით ძნიად წნორი ბერყვისა დაიგრიხების წნელადა,
ეგრეთვე კაცი მხცოვანი განისწაელების ძნელადა".

ახალგაზრდობაში მიღებული ცოდნა და ზნეობრივი წრთობა ხანში შესულ ადამიანს უადვილებს ცხოვრებას,

მაგრამ სწავლას დიდი გულმოდგინება და შრომა-გარჯა სჭირდება. მისი ნაყოფი კი ტკბილია. „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“, – ამბობს პოეტი.

დ. გურამიშვილის შეხედულებით, „უსწავლელი კაცი კაცი სიბერის დროს გაწბილდების“. ამიტომ იგი მოუწოდებს ახალგაზრდებს, არ დაკარგონ დრო, არ დაიშუროთ ძალა და ენერგია და დროულად დაეუფლონ ცოდნას, რაითა ცხოვრებას მომზადებული შეხვდნენ და არ დასჭირდეთ მათხოვრობა, მოწყალების თხოვნა. „თავს სინანული სჯობია, ბოლოჟამ დანანებასა“, – ამბობს იგი.

დ. გურამიშვილი არც მშობლების მოვალეობას ტოვებს უყურადღებოდ. იგი მოაგონებს მათ – არ დაივიწყონ თავიანთი მშობლიური მოვალეობა და სამშობლოს გამოუხარდონ წესიერი შვილები. ეს უნდა გააკეთონ მათ არა მარტო შვილებისა და საკუთარი თავის ბედნიერებისათვის, არამედ ახლობლების, საგვარეულოსა და მთელი სახოგადოების საკეთილდღეოდ, რადგან უსწავლელი, უცოცხ კაცი ხიანს აქუნებს არა მარტო თავის თავს, არამედ მთელ სალხს. ამიტომ პოეტი მშობლებს შვილის ფიზიკური დასჯისკენაც მოუწოდებს („ნუ გენაღვლების სწავლაზე ერმის წკეპლის ცემით კიეთლი“), რადგან მან იცის, რომ „მალ გაირთელდების უწამლოდ მისი წყლულების ტკივილი“.

დიდი დიდაქტიკოსი უცოდინარ, გაუნათლებელ კაცს ადარებს უწერთნელ ძაღლს, რომელიც, მისი აზრით, უფრო ნაკლებ ხიანს მიაყენებს პატრონს, ვიდრე უწერთნელი შვილი. „მშობელთა შვილი უწერთნელი არიდეს მისცემს ლხენასა“, – ამბობს იგი. ამიტომ „სჯობს ყოლა უწერთნის ძაღლისა, უწერთნელის შვილის ყოლასა“.

მხცოვანი პოეტის აზრით, ყოველი ადამიანი, რომელსაც გულწრფელად სურს ემსახუროს ხალხს, დღენიადაგ უნდა ცდილობდეს ცოდნის შეძენას, უნდა ეუფლებოდეს ერის კულტურას, ხალხურ ცოდნასა და გამოცდილებას. დღევანდელობას ეხმაურება მისი სიტყვები: „...სწავლის ძიება მაძიებართაგან ახია... სწავლაზე ურჩი და მორცხვი. თვალით არ დასანახია“.

დ. გურამიშვილის პედაგოგიკური იდეების შეფასება სრულყოფილი არ იქნება, თუ არ აღვნიშნეთ, რომ ცოდნას იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიდა სარგებლობის მომტანად, როცა ეს ცოდნა გამოყენებული იქნებოდა ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მას არაფრად მიაჩნდა ის კაცი, თუნდაც დიდად განსწავლული, თუ იგი თავის ცოდნას ხალხს არ მოახმარდა. ამასთან ერთად, დ. გურამიშვილი მიუთითებს იმაზეც, რომ სწავლება უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს ხნეობრივ ალსრდას. მოსწავლე თავადანვე უნდა გაეცნოს თავისი ერის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, მის ჭირსა და ლხინს და განიმსჭვალოს მშობელი ხალხის სიყვარულით, აღიჭურვოს ერისა და ქვეყნისადმი მოვალეობის გრძნობით:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“

გარდა აღნიშნულისა, დ. გურამიშვილი ჩამოთვლის იმ მორალურ თვისებებს, რომელიც უნდა ახასიათებდეს ჭეშმარიტ ადამიანს. ესენია: სიმამაცე, თავმდაბლობა, სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა და სხვ.

იმ დროისათვის მოწინავე და პროგრესულ ნააზრევად უნდა ჩაითვალოს გურამიშვილის შეხედულება მასწავლებლის, მისი პირადი მაგალითის მნიშვნელობაზე არა მარტო მისი აღსაზრდელების, არამედ მთელი ერის აღსრდაში.

„ალ“ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია,
ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია;
ბრძენმან არ უნდა იკადროს, ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია“(53,23).

ასეთია ძირითადად დ. გურამიშვილის პედაგოგიკური იდეები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ხელმოქმედების ძალა და ცხოველმყოფელობა.

თ ა ვ ი V

სახალხო განათლება საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში

გარეშე მტრების განუწყვეტელი თავდასხმების, მუსიობელი მიიელი ტომების ყაჩაღური თარეშისა და შინაური შუღლის შედეგად საქართველო იმდენად დაუძლურდა, რომ კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. მას ფიზიკური განადგურების აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების მიუხედავად, საქართველომ თავი ვერ დაღწია მუსლიმანურ გარემოცვას და იძულებული გახდა თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთისათვის დაეკავშირებინა. 1783 წელს მეფე ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით გეორგიევსკში დაიდო ტრაქტატი (ხელშეკრულება), რომელიც გულისხმობდა რუსეთის მფარველობაში ნებაყოფლობით შესვლას სუვერენული უფლების შენარჩუნებით. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „წარსული საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთს იმ პირობით შეუერთდა, რომ იგი საერთო სახელმწიფოს ავტონომიურ ნაწილად დარჩენილიყო და სრული შინაური თვითმმართველობა, ნაციონალური თავისუფლება ჰქონოდა და თავისი თავის ბატონი ყოფილიყო“ (46, 45).

ქართველი ხალხი იმელოვნებდა, რომ ამიერიდან ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ ქვეყანა შეებით ამოისუნთქავდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მართალია, საქართველო გადაურჩა თურქეთისა და სპარსეთის მონობას, მაგრამ ახლა რუსეთმა დაადგა მას ქედზე თავისი კოლონიური მონობის უღელი. რუსეთის მიერ აღთქმული მფარველობა 1801 წელს ანექსიით შეიცვალა. 1801-1802 წლებში რუსეთის იმპერიამ დაიპყრო და შეიერთა ქართლ-კახეთი, მერე თანდათან იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი. ამრიგად, 1878 წლისათვის საქართველოს თითქმის მთელი ისტორიული მიწა-წყალი გაერთიანებული აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში.

ეროვნული შემოთ აღნიშნულის შედეგად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ისევ მძვინვარებდა ბატონყმობა და მშრომელი ხალხი გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა. ამას დაერთო ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკა. ეროვნული ეს აფერხებდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კულტურული ცხოვრება ამ პერიოდში მაინც არ ნამქრალა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: იოანე, დავით და პეტრე ბაგრატიონები, სოლომონ დოდაშვილი, დავით ჩუბინაშვილი და სხვები. 1845 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ქართული ენის კათედრა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული მეცნიერების განვითარებაში.

ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ და ქმნიდნენ თავიანთ შესანიშნავ ნაწარმოებებს სახელოვანი ქართველი პოეტები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი; პროზაიკოსები – ლაურენტი არდაზიანი და დანიელ ჭონქაძე; დრამატურგები – გიორგი ერისთავი და ს. ცურაბ ანტონოვი. 1850 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მუდმივ ქართულ თეატრს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო ქართული გაზეთებისა და ჟურნალის გამოსვლა. პირველი ქართული გაზეთი *„თბილისის უწყებანი“* გამოვიდა 1828 წელს, პირველი ქართული ჟურნალი *„ალმანახი ნაწილნი თბილისის უწყებათანი“* კი – 1832 წელს. ამ ორივე პერიოდული გამოცემის რედაქტორი იყო ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და პედაგოგი ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი.

ამ გაზეთმა და ჟურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული კულტურისა და ქართველ ხალხში ეროვნული ცნობიერების განვითარებაში.

სახალხო განათლება საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში უნუგეშო მდგომარეობაში იყო. გარეშე მტრე-

ბის შესახებ და შინაფეოდალური ომების შესუსტად, განათლების სისტემა, რომელიც XVIII საუკუნეში არსებობდა, თითქმის მთლიანად მოიშალა. სკოლები, რომლებიც გადარჩნენ ომების ქარცეცხლს და კიდეც განაგრძობდნენ მუშაობას, რესეთის მმართველობისთანაც დაისურა. ახეთი ბელი ქ'ია, თელავის სემინარიას. საჭირო შეიქმნა სახალხო განათლების სრულიად ახალი სისტემის სამოყალიბება.

პირველი სას'აელო-საალმსრდელო სას'აელებელი საქართველოში, რუსეთთან შეერთების შემდეგ, იყო ორკლასიანი დაწყებითი სას'აელებელი, რომელიც 1802 წელს გაისსნა, მაგრამ მისი არსებობა მალე შეწყდა სხვადასხვა მიზეზების გამო. 1804 წლის 31 მაისს გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სას'აელებელი, რომელიც 1830 წელს თბილისის გიმნაზიად გადაკეთდა. იგი ქართველი თავადაზნაურების შვილებისათვის იყო განკუთვნილი. მისი დანიშნულება იყო სამოქალაქო სამსახურის მოხელეებისა და თარჯიმნების მომზადება. სას'აელებელი პირველად ორკლასიანი იყო, მოგვიანებით კი ექვსკლასიანი გახდა და თავისი სტრუქტურით დაუახლოვდა მაშინდელ გიმნაზიას.

პირველ ხანებში სას'აელებლის დაკომპლექტება მოსწაელეებით გაძნელდა. ამიტომ მთავრობა იძულებელი გახდა მათთვის ერთგვარი ჯამაგირი (სტიპენდია) დაენიშნა. ამის შედეგად სას'აელებელში მოსწაელეთა რიცხვი გაიზარდა და 1818 წლისათვის 148-ს მიაღწია, 1828 წლისათვის კი — 248-ს.

სას'აელებელში ს'აელება მიმდინარეობდა ქართულ და რუსულ ენებზე. 1825 წელს აღნიშნულ სას'აელებელში ას'აელიდნენ ქართულ, რუსულ და თათრულ (აზერბაიჯანულ) ენებს, საღვთო სჯულს, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ისტორიას, რუსულ და ქართულ ლიტერატურას, ხატვას, გეოდეზიას, ცეკვას და თარგმანს.

თბილისის კეთილშობილთა სას'აელებლის ძირითადი მიზანი იყო განსწაელული მოხელეების მომზადება, ხოლო მოსწაელეთა მომზადება უმაღლეს სას'აელებელში შესასვლელად მას არ ეკისრებოდა.

ალნიშნულ სასწავლებელში მიიღეს პირველდაწყებითი განათლება ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა: ვახტანგ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა და სხვებმა.

თბილისის გიმნაზია. 1830 წლიდან, როგორც ალნიშნეთ, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. მაშინდელი რუსეთის სხვა გიმნაზიების მსგავსად, თბილისის გიმნაზიაც შვიდი კლასისაგან შედგებოდა. აქედან I კლასი იყო მოსამზადებელი, II–VII კლასები კი – ძირითადი. მოსამზადებელ კლასში სწავლების ხანგრძლივობა განსაზღვრული არ იყო. ყველა სხვა კლასში კი იგი თითო წელს შეადგენდა.

გიმნაზიის ძირითად კლასებში ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული, აზერბაიჯანული, გერმანული და ფრანგული ენები, მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია, რუსული სიტყვიერება და ლოგიკა, გეოგრაფია და სტატისტიკა, სუფთა წერა, ხატვა და ხაზვა. გარდა ამისა, სწავლების კურსში შეტანილი იყო რუსეთის სამართალმცოდნეობა და სასამართლო წესობილება. ქართულ ენას ყოველ კლასში უთმობდა 2–2 გაკვეთილი. გაკვეთილის ხანგრძლივობა კი შეადგენდა 1,5 ასტრონომიულ საათს, ანუ 90 წუთს. ქართული ენის შესწავლა სავალდებულო იყო ყველა მოსწავლისათვის, განურჩევლად ეროვნებისა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის I ნახევარში ადგილობრივი ენების სწავლებას გიმნაზიაში და ასევე სხვა სასწავლო დაწესებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მიუხედავად ამისა, თბილისის პირველი გიმნაზია თავიდანვე რუსული სკოლა იყო და რუსიფიკატორულ მისწრაფებას ემსახურებოდა.

თბილისის გიმნაზიაში 1831 წელს 307 მოსწავლე ირიცხებოდა, 1847 წლისათვის კი მოსწავლეთა რიცხვი 467-მდე გაზრდილა. არსებული წესის მიხედვით, თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულთაგან ყოველწლიურად რუსეთის კალეტთა კორპუსში უნდა გაეგზავნათ 10 კაცი, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში კი – 5 კაცი. ყველა

მაღალის უმაღლესი განათლება უნდა მიეღო სახელმწიფოს ხარჯზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული კადრების მომზადებასა და ქვეყნის კულტურულ განვითარებაში. მაგრამ წესდების მიხედვით სწავლის უფლება არ ჰქონდათ გლეხების, მუშებისა და სხვა დაბალი ფენებიდან გამოსულთა შვილებს.

1850 წელს გიმნაზია გაიხსნა ქუთაისშიც, თბილისში კი — კომერციული გიმნაზია.

სამაზრო სასწავლებლები. საქართველოში სამაზრო სასწავლებლების დაარსება იწყება 1830 წლიდან. ამ წელს სამაზრო სასწავლებლები გაიხსნა: ქუთაისში, გორში, თელავში და სამეგრელოს სოფელ ნაოღალეღში. 1831 წელს — ახალციხესა და სიღნაღში; 1834 წელს — დუშეთში, 1836 წელს — ქ. თბილისში. სამაზრო სასწავლებლები წარმოადგენდნენ გიმნაზიის მოსამზადებელ საფეხურს. სწავლების ხანგრძლივობა პირველ ხანებში იყო 2 წელი, 1835 წელს კი იგი 3-წლიანი გახდა.

სამაზრო სასწავლებელში დებულების მიხედვით მიიღებოდა ყველა წოდების ბავშვი, გარდა ქმა-გლეხებისა, სინამდვილეში კი მხოლოდ თავადაზნაურთა, სახელმწიფო მოხელეებისა და ვაჭრების შვილები სწავლობდნენ. 1837 წელს საქართველოში არსებულ 8 სამაზრო სასწავლებელში ირიცხებოდა 564 მოსწავლე, 1847 წელს კი — 958.

სამაზრო სასწავლებლის სწავლების კურსში შედიოდა: საღვთო სჯული, რუსული ენის გრამატიკა, ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული), არითმეტიკა, მსოფლიო და რუსეთის გეოგრაფია და ისტორია, გეომეტრია, ფიზიკა და ბუნებისმეტყველება, ხატვა და სხვ. სულ სწავლების კურსში შეტანილი იყო 15-მდე საგანი და ყველა ამ საგანს ასწავლიდა 2 მასწავლებელი.

ცხადია, 3 წლის განმავლობაში ასეთი ვრცელი კურსის საფუძვლიანი გაცლა და ისიც 2 მასწავლებლის ხელში, შეუძლებელი იყო. ამიტომ, ბუნებრივია, სამაზრო სასწავლებელს არ შეეძლო მიეცა მოსწავლეებისათვის სათანადო ცოდნა და მომზადება.

სასულიერო სასწავლებლები და სასულიერო სემინარია.

თბილისში *სასულიერო სემინარია* გაიხსნა 1817 წლის 1 ოქტომბერს, აველაბარში. სემინარიასთან გაიხსნა ასევე სასულიერო სასწავლებელი, რომელიც სემინარიისათვის მოსამზადებელი საფეხური. მის დანიშნულებას შეადგენდა სასულიერო პირთა შვილების სწავლება და მათი მომზადება საეკლესიო სამსახურისათვის. გარდა ამისა, სასულიერო სემინარიას უნდა მოემზადებინა მასწავლებლები სამაზრო სკოლებისა და სამრევლო სასწავლებლებისათვის. სასულიერო სემინარია განკუთვნილი იყო მხოლოდ ეკლესიის მსახურთა შვილებისათვის.

სასულიერო სემინარია, დებულების მიხედვით, შედგებოდა 3 განყოფილებისაგან. აქედან პირველი განყოფილება იყო რიტორიკის, მეორე ფილოსოფიის და მესამე – ღვთისმეტყველების. სწავლების ხანგრძლივობა სამივე განყოფილებაში იყო ორ-ორი წელი.

რიტორიკის განყოფილებაში ისწავლებოდა: მსოფლიო ისტორია, საეკლესიო ისტორია, რუსეთის ისტორია და გეოგრაფია, მსოფლიო გეოგრაფია, გალობა, ქართული და რუსული ენები.

ფილოსოფიის განყოფილებაში ისწავლებოდა: ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, მსოფლიოს ისტორია, ეკლესიების ისტორია, გალობა, რუსული და ქართული ენები, რუსულიდან ქართულად თარგმნა და პირიქით.

ღვთისმეტყველების განყოფილებაში ისწავლებოდა: ეკლესიის ისტორია ღვთისმეტყველება, ახალი აღთქმა, ებრაული, ლათინური, ფრანგული და გერმანული ენები.

ამრიგად, სწავლების კურსი სასულიერო სემინარიაში ერცელი იყო. იგი მოიცავდა ცოდნათა მრავალ დარგს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსწავლეებს აძლევდა მხოლოდ პუმანიტარულ განათლებას. საბუნებისმეტყველო ციკლის საგნები და მათემატიკა კი სწავლების კურსში არ იყო შეტანილი. ამას ემატებოდა ისიც, რომ სემინარიაში თავი-

დანიშნა დამრიგებლად უახლოესი ნათესავი და ცხოვრების წერთნა. სწავლების პროცესში გამოიყენებოდა დასჯის მკაცრი ზომები: რიხვი, კარცერი, „ლინეიკა“, დაჩოქება, კუთხეში დაყენება, გარიცხვა და სხვ. სემინარიაში აკრძალული იყო რეფორმატორული ლიტერატურის კითხვა, განსაკუთრებით ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლიუბოვის, პისარევისა და სხვათა ნაწარმოებებისა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბურსა — საერთო საცხოვრებელი, რომელიც 1827 წელს დაარსდა. ბურსაში თავიდანვე გათვალისწინებული იყო 25 მოსწავლის მიღება სრულ კმაყოფაზე, 25 მოსწავლისა კი — ნახევარ კმაყოფაზე.

თბილისის სასულიერო სემინარიამ იარსება ზუსტად 100 წელი (1817-1917).

სასულიერო სემინარიის დაარსებასთან ერთად, დაიწყო სასულიერო სასწავლებლებისა და სამრევლო სკოლების გახსნა. სამრევლო სკოლებს ჭერდა მოემზადებინა მოსწავლეები სასულიერო სასწავლებლებისათვის, ამ უკანასკნელს კი — სასულიერო სემინარიისათვის, მაგრამ სამრევლო სასწავლებლები XIX საუკუნის I ნახევარში ფაქტობრივად ვერ გაერცელდა. ორიოდე სამრევლო სკოლა, რომელიც არსებობდა ამ პერიოდში, როგორც იტყვიან, ამინდს ვერ ქმნიდა. სასულიერო სასწავლებლები კი უფრო მკვიდრ ნიადაგზე აღმოცენებული აღმოჩნდა და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ მუშაობაში.

პირველი სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა ქ. თბილისში 1818 წელს სასულიერო სემინარიასთან; მომდევნო წლებში სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა ახალქალაქში, თელავში, სიღნაღში, გორში, ქუთაისში, გურიასა და სამეგრელოში.

სასულიერო სასწავლებლებში ისწავლებოდა: რუსული და სლავური ენები, არითმეტიკა, საეკლესიო გალობა, ბერძნული და ლათინური ენების პირველდაწყებითი კურსი, საღვთო ისტორია, ზოგადი გეოგრაფია, რუსეთის ისტორია, ქართული ენა (გრამატიკა). განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თარგმნას რუსულიდან ქართულად და პირიქით

საეკლესიო, სამონასტრო და კერძო სკოლები და პანსიონები

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ერთგვარი გავრცელება ჰქონდა საეკლესიო და სამონასტრო სკოლებმა. ყოველ მოხრდილ ეკლესიასა და მონასტერთან, როგორც წესი, თავს იყრიდა რამდენიმე ბავშვი, რომლებსაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, სალვთო რჯულს და რიგ სხვა საგნებს. ამ სკოლებს ოფიციალურად დადგენილი შინაგანაწესი და პროგრამა არ გააჩნდათ. სწავლების მთელი შინაარსი, ფორმები და მეთოდები ტრადიციულად მომდინარეობდა შუა საუკუნეებიდან და დამოკიდებული იყო მოძღვარ მასწავლებელზე.

პროფ. გ. თავხელიშვილის აზრით, ასეთი სკოლები არსებობდა თბილისში სიონის, კალოუბნის, მცხეთის, ქაშვეთის, ანჩისხატის და სხვა ეკლესიებთან. სკოლები არსებობდა აგრეთვე ახტალის, გარეჯის, ბოდბის, ნინოწმინდის, გელათის, მარტყოფის, ბიჭვინთის, ცაიშის, ჯუმათის, შემოქმედის, ხონის და მრავალ სხვა ეკლესია-მონასტერთან.

ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები, ჩვეულებრივ, გაუებისთვის იყო შექმნილი, მაგრამ არსებობდა ქალთა სკოლებიც, რომლებიც ქალთა მონასტრებში იხსნებოდა.

ეკლესიებსა და მონასტრებთან არსებულ სკოლებში მიიღებოდა ყველა წოდების ბავშვი, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა.

XIX საუკუნის I ნახევარში ხოგიერთ ოჯახში არსებობდა პატარა-პატარა სკოლები და კერძო სახელმწიფლებები. აქ თავს უყრიდნენ ბავშვებს და ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვებს და ხოგჯერ ხელსაქმეს ან რაიმე ხელობასაც კი. ასეთი ტიპის სკოლებს, რა თქმა უნდა, არავითარი წესდება, დებულება, სასწავლო გეგმა და პროგრამა არ გააჩნდათ. მათ მუშაობასაც კონტროლს არავინ უწევდა.

ამ სკოლებში ბავშვებს ახდენინებდნენ გადახახალს ფულად ან ნატურით. ოჯახში არსებულ ხოგიერთ სკოლას კარგი ხელმძღვანელ-მასწავლებელი ჰყავდა და კარგადაც

ამზადებდა ბავშვებს. ასეთი სკოლების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, მაგალითად, კერდღელაშვილის სკოლა – თელავში, რცხილაძისა – შაშიანში, ჯანაშვილისა – ბოდბეში, ჯავახიშვილისა – ხიელეში და სხვ.

გარდა ამისა, XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში შეიქმნა კერძო სკოლებისა და პანსიონების გარკვეული ქსელი. ასეთი სკოლა და პანსიონი, ოჯახებში არსებული სკოლებისაგან განსხვავებით, ისხნებოდა ოფიციალური ნებართვით. ისინი მეტწილად მუშაობდნენ განსაზღვრული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით.

1834-1835 ს/წელს საქართველოში არსებულა 72 კერძო სკოლა. მათში ირიცხებოდა 1454 მოსწავლე. მათ შორის სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე 30 სკოლაში, სომხურ ენაზე – 19 სკოლაში, აზერბაიჯანულ ენაზე – 4 სკოლაში; ქართულ-სომხურ ენაზე – 11 სკოლაში და სხვა ენებზე – 8 სკოლაში.

თბილისში არსებობდა 18 კერძო სკოლა, გორში – 4, თელავში – 3, ქუთაისში – 7 და ა.შ.

XIX საუკუნის I ნახევარში დაიწყო ასევე კერძო პანსიონების გახსნა. პირველი პანსიონი თბილისში დაარსა პ. ნ. ახვერდოვამ. ამ პანსიონში ღებულობდნენ მხოლოდ მაღალი წრის ახალგაზრდა ქალებს. ასწავლიდნენ მათ ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს, მუსიკას, ანგარიშს, ცეკვას, ხატვას, ხელსაქმეს.

გარდა ამისა, 40-იან წლებში ქ. თბილისში გაიხსნა რაევსკის, პაკეს და იანიცკის პანსიონები – ქალებისათვის და სამოხელეო პანსიონი – ქალებისათვის. 1850 წლისათვის თბილისში არსებულ ყველა პანსიონში ირიცხებოდა დაახლოებით 200 ბავშვი. პანსიონებში დაწესებული იყო ღიდი გადასახადი და ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ საზოგადოების მაღალ ფენებს.

ქალთა სკოლები. XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში შეიქმნა პირველი ქალთა სასწავლებლები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი და წმინდა ნინოს სასწავლებელი.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი დაარსდა ქ. თბილისში 1842 წელს. ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა წინათ არსებულ ქალთა პანსიონის რეორგანიზაციის გზით. იმავე ლიც გახსნილი იყო სახელმწიფოს ხარჯზე 1830 წელს მცირეწლოვანი კეთილშობილი ქალებისათვის.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში იღებდნენ თავადაზნაურთა და მსხვილ მოხელეთა ბავშვებს. ინსტიტუტთან არსებობდა პანსიონი, რომელიც დახურული ტიპის სასწავლო დაწესებულება იყო.

ინსტიტუტის მოსწავლეთა კონტინგენტი თავდაპირველად განსაზღვრული იყო 80 ადგილით, აქედან 60 სახაზინო ხარჯზე, 20 კი — საკუთარ კმაყოფაზე.

ინსტიტუტში მთავარი ყურადღება ექცეოდა ფრანგულ ენას, ცეკვებსა და მუსიკას. გარდა ამისა, განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეადგენდა ლამაზი მანერების გამომუშავება. ერთი სიტყვით, ქალთა ინსტიტუტში იზრდებოდნენ არისტოკრატი ქალები, რომლებსაც დიდი ცოდნა და განათლება არ მოეთხოვებოდათ, მაგრამ მათ კარგად უნდა სცოდნოდათ ფრანგული და რუსული ენები, ცეკვა, ფორტეპიანოზე დაკვრა და მაღალ საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესები. მშობლიური ენის ცოდნა კი საგანგებულად არ ითვლებოდა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში შეიქმნა „წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, რომელიც თავის ძირითად ამოცანად მიისახავდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. ამ ამოცანის შესაბამისად, საზოგადოებამ 1846 წელს ქალაქ თბილისში და 1847 წელს ქ. ქუთაისში გახსნა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები.

ამ სასწავლებლების დანიშნულებას, წესდების მიხედვით, შეადგენდა განათლებული ქალებისა და ოჯახის კარგი დედების მომზადება. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელთან არსებობდა პანსიონი. აქ ისწავლებოდა ხელთათ რვეული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, მსოფლიო ის-

ეთნია, რუსეთის ისტორია, სუფთა წერა, გალობა, ცეკვები, ქართული და სომხური ენები (მსურველთათვის).

სწავლის ხარჯები იფარებოდა „წმ. ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ", მაგრამ მალე შემოიღეს სასწავლო გადასახადი, რის გამოც იგი მიუწვდომელი გახდა საზოგადოების ყმართა ფენებისათვის.

პროფესიული განათლება. საქართველოში პროფესიული სკოლების დაარსების საკითხი არაერთხელ დაისვა ზემდგომი ორგანოების წინაშე, მაგრამ განსახილველ პერიოდში ამ მიმართულებით არაფითარი მნიშვნელოვანი ღონისძიება არ გატარებულა. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ის მოხერხდა, რომ 1847 წელს ქ. თბილისში გაიხსნა სამხედრო უწყების ხაზით სამოქნო სკოლა, რომელსაც უნდა მოემზადებინა მომქნეები და მიწის მზომელთა თანაშემწეები. ამ სკოლაში იღებდნენ 12-16 წლის მოზარდებს, რომლებსაც გააჩნდათ დაწყებითი განათლება და ფლობდნენ რუსულ ენას. სწავლების ხანგრძლივობა იყო 4 წელი. სამოქნო სკოლასთან არსებობდა პანსიონი სახელმწიფო ხარჯზე. სკოლის ყველა მოსწავლე ირიცხებოდა პანსიონში. 1849 წელს სამოქნო სკოლაში სწავლობდა 50 მოსწავლე.

ამრიგად, 1851 წლისათვის საქართველოში არსებობდა 3 გიმნაზია – თბილისის სათავადაზნაურო და კომერციული გიმნაზიები და ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზია. სამივე გიმნაზიაში ირიცხებოდა 787 მოსწავლე. ამ დროისათვის საქართველოში არსებობდა 6 სამაზრო და 6 სამრევლო სასწავლებელი.

საქართველოში არსებულ ყველა ტიპის და საფეხურის სკოლაში 1851 წელს სწავლობდა დაახლოებით 5554 მოსწავლე. მიუხედავად ამისა, ბავშვებისა და მოზარდების დიდი უმრავლესობა მოკლებული იყო სწავლა-განათლების ყოველგვარ საშუალებას.

თ ა ვ ი VI

სოლომონ დოდაშვილი (1805–1836)

სოლომონ იგორის ძე დოდაშვილი იყო ცნობილი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და პედაგოგი. იგი დაიბადა 1805 წლის 29 მაისს, სოფელ მაღარო'ში, ხიდნაღის მახლობლად. ამ სოფლის სახელწოდებიდან წარმოსდგება მისი ფსევდონიმი – მაღაროელი. სოლომონის მამა სოფლის მღვდელი ეფთვილა, რომელსაც 9 შვილი ჰყოლია და ძალიან უჭირდა ოჯახის რჩენა. 1817 წელს მშობლებმა სოლომონი ბოლბის მონასტერთან არსებულ სკოლაში მიაბარეს, ხოლო მომდევნო წელს ხიდნაღის სასულიერო სასწავლებელ'ში გადაიყვანეს, რომლის კურსი მან 1820 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს ს. დოდაშვილმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სასულიერო სემინარია'ში და ჩაირიცხა რიტორიკის (სიტყვიერების) განყოფილების პირველ კურს'ზე. სადაც ექვსი საგანის ფრიადებზე სწავლობდა. ამიტომაც, იყო, რომ სემინარიის გამგეობის დადგენილებით, 1822 წლის 30 მარტს, როცა ჯერ კიდევ სემინარია არ ჰქონდა დამთავრებული, იგი დაინიშნა ხიდნაღის სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასის მასწავლებლად, მცირე ხელფასით (120 მანეთი წელიწად'ში).

ახალგაზრდა ს. დოდაშვილი გულმოდგინედ შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ იგრძნო, რომ საამისო მომზადება არ გააჩნდა და გადაწყვიტა უმაღლესი განათლების მიღება. ამიტომ 1823 წლის იანვარ'ში სოლომონი თავისი თხოვნით განთავისუფლდა მასწავლებლობიდან, ამოირიცხა სასულიერო წოდებიდან და შეუდგა უმაღლესი განათლების მისაღებად მზადებას. მომდევნო წელს იგი გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც ქართველი მწიგნობრის გიორგი ავალიშვილისა და ივანე ხელაშვილის დახმარებით მოეწყო ბაგრატ ბატონიშვილთან მისი შვილების აღმზრდელ-მასწავლებლად, რომელთანაც მან მთელი 3 წელი (1824-1827) დაჰყო. იგი პატარებს მრავალ საგანს ასწავლიდა,

უნივერსიტეტის ეთნოლოგია კი, ქართულ ენას, ბაგრატ ბატონიშვილი იმ დროს სანატორი იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა. იგი განსაირჩეოდა თავისი განათლებითა და მეცნიერობით. სწორედ მისი და სხვა ქართველი ბატონიშვილების დამსახურებით ს. დოდაშვილი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი, სადაც მან ფილოსოფიურ მეცნიერებათა დრმად დაუფლების დიდი ნიჭი და უნარი გამოამჟღავნა. აქ სწავლის წლებში იგი ენერგიულად დაეწაფა თეთგანათლებას, დაუახლოვდა იმდროინდელი რუსეთის გამოსენილ მწერლებს, მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს და მათი ძლიერი გავლენა განიცადა. იგი ახლოს გაეცნო დეკაბრისტულ მოძრაობას, თარგმნილა დეკაბრისტების ნაწარმოებებს და პირველ პოლიტიკურ ნათლობას იღებდა. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ს. დოდაშვილი დაუკავშირდა პეტერბურგში მყოფ ბაგრატიონთა წარმომადგენლებს, რომლებიც მეფის ხელისუფლებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი.

ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის მოწინავე პროგრესულ მოღვაწეთა იდეებმა. პეტერბურგში იგი დაესწრო დეკაბრისტების გამოხელას და მათი უმოწყალო დასჯის მოწმე გახდა, რამაც მასზე წარუშლელი კვალი დატოვა. მან საქართველოში ჩამოიტანა დეკაბრისტი პოეტის, *რილეევის* მიერ ჩამოხრჩობის წინ ცოლისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც დაპატიმრების დროს აღმოუჩინეს. აქედან ცხადია, რომ ახალგაზრდა ქართველი მოაზროვნე სიმპათიით იყო განწყობილი დეკაბრისტებისადმი.

პეტერბურგში სწავლის დროს, III კურსზე, ს. დოდაშვილმა დაწერა თავისი ცნობილი ფილოსოფიური ნაშრომი „ფილოსოფიის კურსი, ნაწილი I. ლოგიკა“, რომელიც 1827 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე დოდაევ-მაღაროელის ხელმოწერით. ამ ფილოსოფიურმა ნაშრომმა ს. დოდაშვილს დიდი სახელი გაუთქვა. მას საყურადღებო რეცენზიები მიუძღვნეს და მეტად მაღალი შეფასება მისცეს იმდროინდელ-

მა რუსულმა ჟურნალ-გაზეთებმა – „მოსკოვსკი ტელეგრაფმა", „მოსკოვსკი ვესტნიკმა" და „სევერნაია პჩელამ". ასე, მაგალითად, ცნობილი რუსი მეცნიერი, ჟურნალ „მოსკოვსკი ტელეგრაფის" გამომცემელი ნ. ა. პოლევოი ს. დოდაშვილის „ლოგიკას" უწოდებს „შესანიშნავ მეცნიერულ თხზულებას" და დასძენს, რომ „დღემდე ჩვენ სრულიად არ გვქონდა კარგად გამოცემული ლოგიკა, წიგნი ეგზომ საჭირო აღზრდისათვის" (122, 41). 1827 წლის 15 იანვრის ს. ხელაშვილი ს. დოდაშვილს სწერდა: „ლოღიკის" გამო ყველა ვაშა-ვაშას გიძღვნიან, მეტადრე „პჩელაში" დაბეჭდილი წერილის შემდეგ" (54, 27).

პეტერბურგის უნივერსიტეტი ს. დოდაშვილმა 1827 წელს დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წელს იგი მიიწვიეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული ენის, ლოგიკის, რიტორიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. ს. დოდაშვილი შეუდგა ნაყოფიერ პედაგოგიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. იგი შეიყვანეს 1828 წლის იანვრის დაარსებული გაზეთის „ტფილისის უწყებანი"-ს (გამოდიოდა რუსულ და ქართულ ენებზე) კომიტეტის წევრად. მაგრამ მალე იგი ამ გაზეთის ფაქტობრივი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი გახდა.

ს. დოდაშვილი თბილისში ეცნობა და ახლო ურთიერთობას ამყარებს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ვახტანგ ორბელიანთან, დიმიტრი ყიფშიანთან, სოლომონ რაზმაძესთან, პლატონ იოსელიანთან და სხვებთან.

1830 წელს სოლომონ დოდაშვილმა გამოსცა თავისი ცნობილი სახელმძღვანელო – „შემოკლებული ქართული ღრამატიკა", რომელსაც არა მარტო სასწავლო-პედაგოგიური, არამედ მეცნიერულ-ფილოსოფიური დირსებაც აქვს. ს. დოდაშვილის „ლოგიკა" და „ქართული ღრამატიკა" გამოიყენებოდა ძირითად სახელმძღვანელოებად თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში და სასულიერო სემინარიაში. ს. დოდაშვილმა შეადგინა და გამოსცა აგრეთვე ქართული ენის დეკანი.

ზემოთ აღნიშნული სახელმძღვანელოების გარდა, ს. დო-

დაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე რიტორიკისა და ლოგიკის მეორე ნაწილის ნაწყვეტები, „ლოგიკის მეთოდოლოგია“ და სხვა ნაწარმოებები.

„რიტორიკაში“ ს. დოდაშვილი განიხილავს ესთეტიკის ზოგად პრობლემებს – პროზის, პოეზიის, მკერმეტყველების, ხელოვნების თეორიისა და სხვა საკითხებს.

1832 წლის იანვრიდან ს. დოდაშვილმა დაიწყო ქართული გაზეთის – „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურული დამატების გამოცემა, სათაურით: „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომლის მთავარი მიზანი იყო, როგორც თვითონ აცხადებს, გაეცნოთ ქართველთა შორის „სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა“ და საზოგადოებაში დაენერგა „თაყვისუყვალი აზრები“ (5, 18). სამწუხაროდ, ს. დოდაშვილმა ამ ჟურნალის მხოლოდ 5 ნომრის გამოცემა მოასწრო, რომელშიც დაიბეჭდა მისი სტატიები: „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა“), „მეფობა ირაკლი მეორისა“, „წერილი პეტერბურლიდამ ტფილისს ძმასთან“ და სხვ. ამ წერილებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ ს. დოდაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ესთეტიკურ და პედაგოგიკურ შეხედულებათა განხილვისათვის.

1832 წლის 23 დეკემბერს ს. დოდაშვილი დააპატიმრეს დეკაბრისტების შეთქმულებაში მონაწილეობის გამო. როგორც ცნობილია, ამ შეთქმულების იდეური სულისჩამდგმელები იყვნენ რუსეთში გადახვეწილი ბაგრატიონების შთამომავალნი, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ს. დოდაშვილი ბაგრატიონთა მონარქისტული დინასტიის აღდგენისათვის კი არ იბრძოდა, არამედ მისი მიზანი იყო საქართველოს გათავისუფლება ცარიზმის კოლონიური უღლისაგან და მისი დემოკრატიზმის რელსებზე დაყენება. ამის გამო მეფის ხელისუფლებამ იგი სასტიკად დასაჯა – წელიწადნახევრის პატიმრობის შემდეგ 10 წლით გადაასახლეს ვიატკაში (მოგვიანებით ქალაქი კიროვი), საიდანაც პატიმრობის მოხდის შემდეგაც საქართველოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა. აქ გადასახლებული იყვნენ ასევე გამოჩენილი რუსი რეფო-

ლუკიანურ-დემოკრატი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ე რ ც ე ნ ი და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი. ერთ-ხანს ისინი ერთად მუშაობდნენ ვიატკის გუბერნატორის კანცელარიაში და ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ მათი მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ს. დოდაშვილმა, რომელიც ისედაც სუსტი ყოფილა ფიზიკურად, ცერ აიტანა ვიატკის სუსხიანი ჰაერი და ჭლექით დაავადდა. 1936 წლის საქმიო შემოწმების ოქმში ეკითხულობთ: „თვალები ამღვრეული და ღრმად ჩაცვენილი, სახე გაყვითლებული... ხმა მილეული, სიტყვის გამოთქმა უჭირს: ხველას, საუბარსა და მოძრაობას თან სდევს გულის წასვლა; ამგვარი ნიშნები აშკარად მოწმობენ ფილტვების დასნერქვნაზე ან მათ სირქოვან ჭლექსე და აგრეთვე იმაზე, რომ შედიცინას არ გააჩნია არავითარი უტყუარი საშუალება ასეთი რთული და სანდაზმული სენის განსა-კურნებლად, განსაკუთრებით აქაური ნრდილოეთის ჰაერის პირობებში“ (5, 20-21).

ს. დოდაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე ყოფილა, რომ თვით ვიატკის გუბერნატორის გულიც კი გაულღვია და 1835 წლის 10 ივლისს მას შეამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა იგი ჯანმრთელობის უკეთურესად გაუარესების გამო, სამხრეთის რომელიმე თბილ გუბერნიაში გადაეყვანათ, მაგრამ იმპერატორმა ეს თხოვნა ყურად არ იღო და 1836 წლის 20 აგვისტოს 31 წლის ახალგაზრდა სამუდამოდ გამოეთხოვა წუთისოფელს. მისი ცხედარი ვიატკის ცივ მიწას მიაბარეს, დამწუხრებული მეუღლე კი, ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, საქართველოში გამოემგზავრა.

სიკვდილთან მებრძოლი ს. დოდაშვილი მოუნახულებია ალ. გერცენს. თავის დღიურში იგი წერს: „მან ვერ აიტანა სუსხიანი ჰაერი და უბოროტესმა ჭლექმა შეიპყრო. მე ვინახულე იგი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე. ის ძლივსღა სუნთქავდა, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით მითხრა: „ღმერთს გაჰაფხულზე არ გაეხდე უფრო ცუდად, თორემ შეიძლება ჭლექი გამოჰნდესო“ (118, 140).

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, ს. დოდაშვილმა მაინც ბევრი რამის გაკეთება მოასწრო და კეთილი კვალი დატოვა ამქვეყნად. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა მარტო იმით როდი ამოიწურება, რომ პრაქტიკოსი პედაგოგი იყო. გარდა ამისა, იგი მეტად ნაყოფიერ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სახალხო განათლების თეორიული საკითხების დამუშავებას. იგი, როგორც განმანათლებელი, საზოგადოების კეთილდღეობის საფუძველს განათლებაში ხედავდა. თბილისის უწყებათა სალიტერატურო ნაწილში მოთავსებულ სტატიაში „მოკლე განსილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ სოლომონ დოდაშვილი წერდა: „განათლება არს უმტკიცესი და უესაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“ (122, 64).

აქედან გამომდინარე, პროგრესის ძირითად პირობად ს. დოდაშვილს ***ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდა*** მიაჩნდა. „აწინდელსა დროსა მამულისა ჩვენისათვის ღიდ ფრიად საჭირო არს სწავლა“, – წერდა იგი (54, 282).

მისი აზრით, ქვეყნის მომავალი, მისი წინსვლა-განვითარება დამოკიდებულია საზოგადოების წევრთა განათლებაზე, მათ აღზრდაზე, მათ ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზე. ამის გარეშე ს. დოდაშვილს ვერ წარმოედგინა ქართველი ხალხის ბედნიერი მომავალი. „სწავლათა შინა... მამული ჩვენი მოელის ბედნიერებასა“, – ამბობს იგი (68, 263). ამიტომაც ს. დოდაშვილი დიდ ინტერესსა და ყურადღებას იჩენდა ქართველი ხალხის განათლებისა და მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდისადმი.

„რიტორიკაში“ დოდაშვილს ადამიანის მთავარ ნიშანთვისებად „განათლებული გონება და განვითარებული გული“ მიაჩნდა. ხოლო ამის მიღწევის საშუალებად – „ზნეობითი ფილოსოფიური სწავლანი“, ასევე „მათემატიკური“ და „პოლიტიკური სწავლანი“ (54, 164).

ს. დოდაშვილი ცდილობდა აღზრდა-განათლების მიზნებისა და შინაარსის განსაზღვრასაც. იგი მოითხოვდა პირო-

ენების ცოდნამხრივ, ჯარმოთულ განვითარებას, რასაც თავისებურად ასაბუთებდა: „ვინც ადამიანს დაკვირვებია, – წერს დოდაშვილი, – მან იცის, რომ... ესწრაფვის რა ჰარმონიას თავისი ბუნებით, ადამიანი შეუწყვეტლად ეძებს მას გარეგან ბუნებაშიც“ (54, 45).

მაგრამ მიზანის მიღწევა ყველას ხელთრი რთლია. ამისათვის საჭიროა „გარკვეული ადამიანური ცოდნის სისტემა“, მეცნიერებათა ღრმად შეთვისება-დაუფლება, განსაკუთრებით ფილოსოფიისა, რომელიც, ს. დოდაშვილის აზრით, „არავის არა აქვს თანდაყოლილი; იგი შეძენილ უნდა იქნეს საკუთარი გონების ძალით, ამ გონების საკუთარი მოქმედებით“... (54, 43)

განათლების შინაარსში შემაჯალი საგნებიდან ს. დოდაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბუნებისმეტყველო და პუმანიტარულ მეცნიერებებს, ხოლო ამ უკანასკნელთაგან – სიტყვიერების სწავლებას, რადგან ენა არის ყველა მეცნიერების შესწავლის საფუძველი.

„ლოგიკის“ მეორე ნაწილის დასაწყისში ს. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ ცოდნა აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული ცხოვრებაში, პრაქტიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავითარი ფასი არა აქვს.

იმდროისათვის სწავლება ჩვენს სკოლებში ძირითადად მოსწავლეთათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ახალგაზრდები სრულფასოვან ცოდნას ვერ იძენდნენ. ამიტომ ს. დოდაშვილი იბრძოდა სკოლებში სწავლების მშობლიურ ენაზე წარმართვისათვის.

ს. დოდაშვილი მოითხოვდა ასევე ყველასათვის განათლების ერთნაირი უფლების მინიჭებას, განურჩეველად ქონებრივი, წოდებრივი და სოციალური მდგომარეობისა: „სწავლასა შინა, – სწერდა იგი 1827 წელს თავის სულიერ მეგობარს – იოანა ხელაშვილს, – დიდის კაცისა და მცირისა ერთნი და იგიეე არიან, ესე იგი, ერთად შესარაცხ (მისანინეე – ნ. ბ.) არიან მასწავლებლისა თანა“ (54, 255).

ახალგაზრდობის სწავლა-განათლების მიზნების პრაქტიკულ ხორცშესხმას ს. დოდაშვილი აკისრებდა ***სკოლას,***

„სასწავლო აღსრულას". სასოფლადოებრივი აღსრულა, ანუ აღსრულა სკოლაში, მოსწავლეთა კოლექტივში, ს. დოდაშვილს მიაჩნდა იმ გზად, რომელიც „ქვეყანას ევროპული განათლების საფეხურზე აიყვანდა" (54, 41). მაგრამ მისი დროისათვის სკოლებისა და მასწავლებლების რიცხვი საქართველოში ისე მცირე იყო, რომ იდნაყადაც ვერ აკმაყოფილებდა მსურველებს. „...მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებელნი მცირენ", – სწერს იგი იოანა ხელაშვილს (5,14). ამასთან, მისი გადმოცემით, სწავლება ქართულ სკოლებში ძალზე დაბალ დონეზე იდგა და არავინ ზრუნავდა მისი გაუმჯობესებისათვის. დიდ ფილოსოფოსს გული შესტკიოდა იმის გამო, რომ იმდროინდელ საზოგადოებაში სუფევდა გულგრილი დამოკიდებულება სწავლისადმი. იგი წერს: „არ არსს მიდრეკა... სიბრძნისადმი, არა არს მეცადინეობა, არა არს სიყვარული სწავლისა და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულვილი და მტრობა" (54, 277). ამის მიზეზს იგი თავისი დროის სკოლისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებში ხედავდა. ამიტომ ს. დოდაშვილი ადგილობრივი ხელმძღვანელებისაგან დაუინებით მოითხოვდა სასწავლებელთა ქსელის გაფართოებას და არსებულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, რათა სკოლას სწავლის სურვილი აღეძრა იმათთვის, ვისაც ეს სურვილი ჯერ კიდევ არ გააჩნდა.

ამრიგად, არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს ს. დოდაშვილი, როგორც განმანათლებელი, მომავალი თაობის განათლებაში ხედავს.

საინტერესო და აქტუალურია თანამედროვეობისათვის ს. დოდაშვილის აზრი ახალგაზრდობის *ზნეობრივი აღზრდის* შესახებ. მისი აზრით, „ადამიანთა მოდგმის აუცილებელი მიზანია პქონდეს ზნეობის წესები" (54, 329), რომელთა დაცვა ყველასათვის სავალდებულოა. დიდ ფილოსოფოსს გული წყდებოდა იმის გამო, რომ იმდროისათვის სასამართლოში გაბატონებული იყო ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა და უსამართლობა, რის გამოც ხშირად პატიოსანი და უდანაშაულო ადამიანი ინაგრებოდა (სამწუხაროდ, ამას ხოგ-

ჯერ დღესაც აქვს ადგილი). იგი გადაჭრით ილაშქრებდა ბატონყმობისა და ცარიზმის მოხელეების მიერ გლეხთა ჩაგვრის წინააღმდეგ და მოითხოვდა, რომ ქვეყანას მართაველნენ ისეთი ადამიანები, „რომლებიც ხალხის საკუბით მცოდნენი იქნებიან“.

ჩნეობრივი აღორძის შემადგენელ ნაწილთა შორის ს. დოდაშვილი პირველ ადგილზე აყენებს *პატრიოტიზმს*, სამშობლოს სიყვარულის უპირველეს და უწმინდეს გრძნობას. „სურვილი, სახარგებლო ვიყო ჩემ თანამემამულეთათვის, მუდამ წმინდა მოვალეობა იქნება ჩემთვის... – წერს იგი თავისი „ლოგიკის“ შესავალში (54, 41).

მისი აზრით, სწავლებამ ბავშვს უნდა ჩაუნერგოს თავისი ქვეყნის სიყვარული. სკოლამ უნდა აღზარდოს ისეთი მომავალი თაობა, რომელიც იცრუნებს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ მზად იქნება „ძიებდეს სარგებლობასა მამულისასა“. 1826 წელს იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი წერს: „...ვიცრებ სიბრძნესა მამულისათვის..., არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის კმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა...“ (54, 246). სწორედ ეს მისანი ამოძრავებდა მას, როცა სასწავლებლად პეტერბურგში ჩავიდა. იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ამაეე წერილში იგი აღნიშნავს, რომ მეც შემძლო საქართველოში ცხოვრება. მაგრამ მამულის სიყვარულმა მაიძულა, დავუყვებოდი სიბრძნეს. მართალია, მე აქ. უნივერსიტეტში, წმინდა თეორიულ ცოდნას ვიღებ, მაგრამ შემდეგ ყოველივე ამას ჩემს ქვეყანაში შევასხამ ხორცსო (54, 246).

დიდ მოაზროვნეს გული შესტკიოდა იმის გამო, რომ საქართველო, რომელიც თამარ მეფის დროს ბრწყინავდა, მისი დროისათვის დაცემული და დამონებული იყო. ამიტომ დოდაშვილს, როგორც დეკაბრისტების იდეათა მიმდევარს, მოზარდი თაობის ძირითად ამოცანად მიაჩნდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

ს. დოდაშვილი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა ყველა ერს, მათ ღირსებასა და კულტურას. გა-

ნიკაკუთრებით გულთბილად იხსენიებდა იგი „პატიოსან და შრომელ“ რუს ხალხს და დიდად აფასებდა „მკვირცხლ გასწრაფებასა... როხიელთასა სწავლათა შინა“ (68, 277).

ს. დოდაშვილი პიროვნების ფორმირებაში დიდ როლს ანიჭებს ***შრომას*** და სახტიკად გმობს „მცონარობასა და უქმობას“. მისი აზრით, სწავლა შრომასთან არის დაკავშირებული და იგი სიამოვნების სათაყვანო. როცა პიროვნება შრომას ათაყვანებს, იგი დიდ სიამოვნებასა და კმაყოფილებას განიცდის. ამიტომ, თუ კაცს ტკბილი სიბერე სურს, ახალგაზრდობის დროს გულმოდგინედ უნდა შრომობდეს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ს. დოდაშვილის პედაგოგიკური შეხედულებანი მაინც არ მოიცავს აღზრდის ყველა მხარეს. იგი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ბავშვთა გონებრივ და სხეობრივ აღზრდაზე, ესთეტიკურ და შრომით აზრდას კი გაკვრით ეხება, ხოლო რაც შეეხება ფიზიკურ აღზრდას, მასზე იგი საერთოდ არაფერს ამბობს.

მეტად ძვირფასია ს. დოდაშვილის მოსაზრებანი ***მასწავლებლის შესახებ***. იგი მასწავლებლისაგან მოითხოვდა მოზარდის საფუძვლიანად შესწავლას, მის გადაქცევას, როგორც თვითონ ამბობს, „კელეტის უშუალო საგნად“. მისი აზრით, მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს ბავშვის როგორც ასაკობრივი, ისე ინდივიდუალური თავისებურებანი: მისი ნიჭი და უნარი, ბუნება და ხასიათი, ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებანი და ამის საფუძველზე უნდა წარმართოს მისი აღზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბავშვის სწავლება და აღზრდა უნდა შეესაბამებოდეს მის ბუნებას, რადგან ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ნიჭით, უნარითა და შესაძლებლობით. „ადამიანს არ შეუძლია ყველა საგანი იცოდეს, – წერს დოდაშვილი. – მისი ცოდნის ფარგალი შეზღუდულია...შემეცნების ჰორიზონტი... დამოკიდებულია დროსა და ადამიანის ძალ-ღონეზე“ (54, 328).

ყოველივე ეს კარგად უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს თავის მუშაობაში ნებისმიერი საგნის მასწავლებელმა.

ს. დოდაშვილის აზრით, ბავშვი სკოლაში უნდა შეეცვანოთ „რვიდან თორმეტ წლამდინ“, რადგან „არა რომელს სახსწავლებელში ექვსის წლისას არ მიიღებენ“ (54, 306).

მასწავლებელი ყალდებულია ყველა ბავშვს, ვისი შვილიც არ უნდა იყოს იგი. ერთნაირად ეპყრობოდეს როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი მუშაობის დროს. რაითა აქცეოს იგი „სხუა ადამიანად“.

ს. დოდაშვილი კარგად იცნობდა ფრანგი მატერიალისტების შეხედულებებს აღზრდის ყოვლისშემძლეობის შესახებ. მაგრამ იგი მათზე წინ წაიწია. ეს კარგად ჩანს ი. ხელაშვილისადმი გაგზავნილ მის ერთ-ერთ წერილში, სადაც იგი ამბობს: „...განათლება გონებისა და განცითარება გულისა ხშირად შესცელის ყოველადობასა კაცისასა“ (54, 279).

ამრიგად, ს. დოდაშვილი მიიჩნევს, რომ გონებრივ და სხეობრივ აღზრდას შეუძლია პიროვნების შეცვლა „ხშირად“ და არა ყოველთვის, როგორც ამას ფრანგი განმანათლებლები ფიქრობდნენ. ამ ამოცანას მასწავლებელი მხოლოდ მაშინ გაართმევს თავს, როდესაც მას კარგად ეცოდება შესწავლილი ბავშვი, როგორც აღზრდის ობიექტი. გარდა ამისა, ეს დამოკიდებულია, ერთის მხრივ, იმ გარემოზე, რომელშიც მიმდინარეობს აღზრდა და მეორეს მხრივ, თვით აღსაზრდელზე. ამიტომაც მიაჩნდა მასწავლებლობა ს. დოდაშვილს „ძნელეს თანამდებობად“, მაშინ როცა მისი მატერიალური მდგომარეობა, ანუ ხელფასი, ძალზე არახახარბიელო იყო.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა თავისი საპატიო მოვალეობა შეასრულოს, ს. დოდაშვილის აზრით, იგი უნდა „აზროვნებდეს მეთოდურად “. ასეთი მასწავლებლები კი იმდროინდელ ძალზე ნაკლები იყვნენ. ამიტომ სკოლა „განათლებული გონებისა და განცითარებული გულის“ მომავალი თაობის აღზრდას ვერ ახერხებდა. რაც ძლიერ აწუხებდა მწერალ მამულიშვილს.

ს. დოდაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის განვითარებაში. თავის „შემოკლებულ ქართული ენის გრამატიკაში“ იგი იხილავს გა-

ჭართული წერა-კითხვისა და სწორი მეტყველების სწავლების საკითხებს.

ს. დოდაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ავრეთვე ***ქართული ენის სიწმინდის დაცვასა და წერის კულტურას,*** „ჟრახის სიცხოველეს". გმობდა მრავალსიტყვაობას, გაუგებარ, ბუნდოვან აზრებს და მოითხოვდა სათქმელის ნათლად და გასაგებად, ლაკონიურად გადმოცემას; ასევე ილაშქრებდა ენის ბარბარიზმებით გადატვირთვის წინააღმდეგ და ქართველი საზოგადოებისაგან მოითხოვდა, „თვალის ხინივით გაყრთხილებოდა ერთვნულ ენას". მისი აზრით, „...ქართული ენა იმდენად მდიდარია თავისი ბუნებით, რომ მას კარგი მწერლის ხელში შეუძლია დაწვილებულად გამოხატოს აზრის ყოველი უმცირესი მოძრაობა, გრძნობის ყოველი ნიუანსიც კი" (54, 33).

ს. დოდაშვილს ენისა და სიტყვიერების სიმდიდრე მიაჩნდა ერის წარმატების მაჩვენებლად. „...სიმდიდრე ენისა არის სიმდიდრე გულის-ხმის-ყოფისა... წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა", – წერს იგი თავის „ლოგიკაში" (54, 238).

სოლომონ დოდაშვილი იყო პირველი განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე საქართველოში. ის იყო პედაგოგი, პოეტი ბელეტრისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. მან დაგვიტოვა ასევე მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობაც (წერილები ი. ხელაშვილისადმი, ი. ფ. კიკნაძისადმი, ანა დეკანოზისადმი, ოქროპირ ბატონიშვილისადმი და სხვ.).

ს. დოდაშვილის პიროვნება ყოველთვის იქცევდა ქართველი საზოგადოების ყურადღებას. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მოღვაწენი – ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი, სერგეი მესხი, თედო ჟორდანია და სხვები მოწიწებით იხსენიებდნენ მის სახელს, მის მოღვაწეობას, მაგრამ მათ, სათანადო მასალის უქონლობის გამო, შესაძლებლობა არ ჰქონდათ ბევრი რამ ეთქვათ ს. დოდაშვილზე. დღეს კი ს. დოდაშვილის შემოქმედებაზე უამრავი ნაშრომია დაწერილი და გამოქვეყნებული.

თ ა ვ ი VII

სახალხო განათლება XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში

XIX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები განხორციელდა. 1850 წელს დაარსდა ქართული თეატრი, 1851 წელს გამოსცემა დაიწყო ქართულმა ჟურნალმა „ცისკარმა“, გაიხსნა რამდენიმე სასწავლებელი და სხვა, მაგრამ XIX საუკუნის II ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ მოვლენას მაინც ბატონყმობის გაუქმება და კაპიტალიზმზე გადასვლა წარმოადგენდა. კაპიტალიზმის წარმოშობამ მწვავედ დააყენა ღღის წესრიგში სახალხო განათლების რადიკალურად გარდაქმნისა და განვითარების საკითხი.

მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ამ გარემოებისათვის და 60-იან წლებში გატარდა რეფორმები სახალხო განათლების დარგში. 1864 წელს, ფართო განხილვის შემდეგ, მთავრობამ დაამტკიცა სახალხო სკოლების ახალი დებულება და გიმნაზიის წესდება, რომელიც ითვალისწინებდა მთელ რიგ ცვლილებას განათლების სისტემაში. ამ რეფორმამ თავისი გამოხატულება პოვა კავკასიაშიც, სადაც მიღებულ იქნა „კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის დებულება“, რომლის მიხედვით სახალხო სკოლებში სწავლება პირველ 2-3 წელს მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, რუსული ენის შესწავლა კი იწყებოდა სწავლების მეორე წლიდან, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საგანი. გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში გაუქმდა წოდებრივი ბარიერები; აიკრძალა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა, სკოლებთან შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას უწევდნენ სასწავლებლებს.

70-იანი წლების კონტრრეფორმები. მიუხედავად იმისა, რომ 60-იანი წლების რეფორმები სახალხო განათლების დარგში ძალზე შეკვეცილი და რეაქციული იყო, საზოგა-

ღოების მმართველი ფენებისათვის იგი მაინც მიუღებელი აღმოჩნდა და დაიწყო შეტევები ამ რეფორმების წინააღმდეგ. ამ საქმის სათავეში ჩაუდგა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრი დ. ტოლსტოი. მან თავის უპირველეს მიზნად დაისახა 60-იანი წლების რეფორმების დემოკრატიული ელემენტების ლიკვიდაცია და შეუდგა კონტრრეფორმების განხორციელებას. 1872 წლის დებულებით გაუქმდა სამაზრო სკოლები და მათ ნაცვლად შეიქმნა საქალაქო სასწავლებლები, საიდანაც გიმნაზიაში გადასვლა არ შეიძლებოდა. სახალხო სკოლა თავის მხრივ უკვე არ წარმოადგენდა მოსამზადებელ საფეხურს საქალაქო სკოლაში შესასვლელად ამრიგად, სახალხო განათლების სისტემის ერთგვარი მთლიანობა, რომელიც აღრე არსებობდა, დაირღვა, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა მშრომელთა შვილების სწავლა-განათლებას.

კიდევ უფრო რადიკალური ზომები გატარდა საშუალო სკოლების საზით. 1864 წლის წესდება გაუქმდა და იგი შეიცვალა 1871 წლის წესდებით, რომელიც უმნიშვნელოდ ცვლილებებით 1917 წლამდე მოქმედებდა.

1871 წლის წესდებამ მოსპო ის მცირეოდენი დათმობა, რომელიც საქართველოს გიმნაზიებში იყო დაშვებული 1867 წლის დებულებით. რუსეთის ყველა გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში უნიფიცირებულ იქნა სასწავლო გეგმები და პროგრამები. კავკასიის გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში სასწავლო გეგმიდან ამოიღეს ნაციონალური ენები (ქართული, სომხური და აზერბაიჯანული). ეს საგნები გამოცხადდა არასავალდებულოდ და დაშვებული იყო მხოლოდ პროგიმნაზიულ (დაწყებით) კლასებში.

1871 წლის წესდების საფუძველზე ჩამოყალიბდა რვაკლასიანი კლასიკური გიმნაზია, მოსამზადებელი განყოფილებით, რეალური გიმნაზია კი გადაკეთდა რეალურ სასწავლებლად და აღიარებულ იქნა დაბალი ტიპის საშუალო სასწავლებლად, რომელიც კურსდამთავრებულთ უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას არ აძლევდა. დაწესდა გამოცდები სიმწიფის ატესტატ-

ზე და წარინიებული მოსწავლეების მეღლებით დაჯილდოება; შემოღებულ იქნა ფორმის ტანსაცმელი, გაძლიერდა მოსწავლეებზე მეთვალყურეობა სკოლასა და სკოლის გარეთ; დაკანონდა დასჯის მკაცრი ზომები.

2. ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის სახალხო განათლების სისტემის ძირითად დანიშნულებას ამიერკავკასიაში წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის, ე.წ. „ინოროდცების" („სხვატომელები") გარუსება. იანოვსკები, კატკოვები, ლეონტკები, კუკშინსკები, სლავინსკები, ზავადსკები, რუდოლფები, სუვორინები, ვოსტორგოვები და „ბნელეთის სხვა მოციქულნი", როგორც მათ ი. გოგებაშვილი უწოდებდა, ყოველნაირად ცდილობდნენ სკოლიდან განედევნათ ქართული ენა. უკიდურეს შემთხვევაში, ისე შეემცირებინათ ქართული ენისა და ლიტერატურის საათები, რომ იგი მეორეხარისხოვან საგნად ექცეათ. მათი მეთაური და სულისჩამდგმელი იყო კირილე პეტრეს ძე ივანოვსკი, რომელიც საქართველოს 1878 წელს მოევლინა. ამ წელს იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა, ოცდაორი წლის მანძილზე (1878-1901 წწ.) ამ თანამდებობაზე მუშაობდა და ბევრი ბნელი საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო.

პირველ ხანებში იანოვსკის ქართველი ხალხის მოსიყვარულედ მოჰქონდა თავი და ისეთ წერილებს ათავსებდა გაზეთ „კავკაზში", რომ ილია ჭავჭავაძემ და სერგეი მესხმა მას იმედით აღსავსე წერილები მიუძღვნეს. მაგრამ იანოვსკიმ მალე გვიჩვენა თავისი ნამდვილი სახე. როგორც იტყვიან, შუბი ხალათში დიდხანს არ დაიმალა. XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან იგი დაადგა ქართველი ხალხის სრული გარუსებისა და ქართული ენისა და კულტურის მოსპობის გზას. მალე მან შეიმუშავა 1881 წლის სასწავლო გეგმა და გამოაქვეყნა ცირკულარი, რომელთა მიხედვით რუსული ენის სწავლება არარუსულ სკოლებში იწყებოდა არა მეორე კლასიდან, როგორც ეს წინათ იყო, არამედ პირველი კლასის მეორე ნახევრიდან, მშობლიური ენის სწავლება კი ექვ-

ლა ტიპის ქართულ სკოლაში გამოცხადებულ იქნა არასავალდებულოდ. დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ყველა საგანი მხოლოდ პირველ წელს უნდა ესწავლათ მშობლიურ ენაზე. მეორე წელს კი – პირველ სემესტრში მშობლიურ და მეორე სემესტრში რუსულ ენაზე. ხოლო შემდეგ ყველა საგნის სწავლება რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო და ქართული ცალკე საგნადაც არ უნდა ყოფილიყო. ქართულ ენას, როგორც არასავალდებულო საგანს, სკოლაში პირველ და მეორე კლასებში ეთმობოდა ძალზე ცოტა საათები და ისიც მხოლოდ ყველა გაკვეთილის ბოლოს, როცა მოსწავლეები გადაღლილი იყვნენ.

ქართველს საქართველოში მშობლიურ ენაზე არა თუ სწავლა-განათლების მიღება, არამედ, უბრალოდ, საუბარიც კი ეკრძალებოდა მაღალ საზოგადოებაში.

თავისი გეგმით იანოვსკი ეწინააღმდეგებოდა გაზეთ „კავკაზში“ ერთი წლის წინ მის მიერვე გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც წერდა: „ყოველ კარგად მოწყობილ სკოლაში სწავლება უპირატესად დედაენაზე უნდა წარმართოსო“, მის გეგმაში კი ყველა დისციპლინის სწავლება მესამე წლიდან რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო.

იანოვსკის ანტიპედაგოგიკური სისტემა გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა არა მარტო რუსული ენის არმცოდნე ქართველ მოსწავლეებს, არამედ ქართული ენის არმცოდნე რუს პედაგოგებსაც, რომლებიც გამოსაცალს ე. წ. „მუნჯურ მეთოდში“ (ბუნებრივი მეთოდი) ეძებდნენ, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორი ლ ე ე ი ც კ ი. ამ მეთოდის დანერგვას მოჰყვა სკოლებიდან ქართველ მასწავლებელთა განდევნა, რომელთა ადგილს იჭერდნენ ქართული ენის არმცოდნე, უწიგნური რუსი მასწავლებლები.

მუნჯური მეთოდი მასწავლებელს უკრძალავდა რუსული ენის გაკვეთილზე მოსწავლეებისათვის უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების განმარტებას მშობლიურ ენაზე, ან მათ თარგმნას. ყოველი რუსული სიტყვა მასწავლებელს უნდა აეხსნა მოსწავლეებისათვის მხოლოდ რუსულ ენაზე

თვალსაჩინოებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით. ცხადია, ასე „ახსნილი“ ბევრი სიტყვა მოსწავლეთათვის გაუგებარი იყო და ისინი იძულებული იყვნენ დაეზეპირებინათ სიტყვები თუ მთლიანი ტექსტი, რომელთა მნიშვნელობა მათ არ ესმოდათ.

მუნჯური მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ეარდებოდა. იგი ხან ძაღლს, ხან ძროხას, დათვს, ქათამს თუ სხვა ცხოველებსა და ფრინველებს ბაძავდა.

ლეჟიცკიმ 1894 წელს შეადგინა და გამოსცა რუსული ენის სახელმძღვანელო მუნჯური მეთოდის საფუძველზე – „Курс русского языка для начальных школ Закавказья“. იგი, როგორც სახალხო სკოლების დირექტორი, იყენებდა თავის ძალაუფლებას და აიძულებდა მასწავლებლებს მისი სახელმძღვანელოს გამოყენებას და ამით სურდა ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ ხმარებიდან ამოღება.

პირველ ხანებში ქართულ ენაზე სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ საეკლესიო სკოლებში, მაგრამ მალე ამასაც მოეღო ბოლო. საეკლესიო სკოლებიდანაც მშობლიური ენის განდევნის საქმეს საითაენში ჩაუდგა მღვდლის ანაფორაში გახვეული შაერაზმელი, შოვინისტი და ქართველი ხალხის მოძულე ვ ო ს ტ ო რ გ ო ვ ი. მან საეკლესიო-სამრევლო სკოლებში 1901 წელს შემოიღო ახალი სასწავლო გეგმა, რომლითაც მშობლიურ ენაზე სწავლება აღნიშნულ სკოლებშიც გაუქმდა.

ვოსტორგოვის გარდა, იანოესკის მხარს უმშენებდნენ ეგზარქოსი პავლე, თბილისის სემინარიის რექტორი ჩუდეცკი და ცარიზმის მრავალი სხვა შაერაზმელი მოხელე. ჩვენდა სამწუხაროდ, მას მხარდამჭერები აღგილზეც ჰყავდა, ე.წ. შელოვე მშობლების სახით, რომლებიც ყიქრობდნენ, რომ მათ შვილებს ყარიო ასპარეზისათვის რუსული ენა უფრო სჭირდებოდათ, ქარიული ენის ცოდნა კი არაფერში გამოადგებოდათ. ასეთებს თავიანთი შვილები, ეკრეთ წოდებული „მესამე ძალის“ სკოლის გარეშე, რუსულ სკოლაში შეჰყავდათ და არ ყიქრობდნენ იმაზე, რომ უცხო

ენაზე განათლებამიღებული კაცისათვის დედა ენად ის ენა ხდება, რომელსაც მან განათლება მიიღო, მისი მშობლიური ენა კი თანდათან მივიწყებას ეძლევა, მითუმეტეს მაშინ, როცა ოჯახში მშობლებიც არ ლაპარაკობენ თავიანთ ენაზე და უცხო ენის ცოდნით იწონებენ თავს. ასეთი მერეოებები, სამწუხაროდ, დღესაც საკმაოზე მეტი გვყავს. ახლა საქართველოში ინგლისური ენის ბუმია და ბევრ ვაიქართველს შვილი ინგლისურენოვან სასწავლებელში შეჰყავს, ან ისეთ სკოლაში, სადაც ინგლისური ენა დაწყებითი კლასებიდანვე ისწავლება.

1884 წელს იანოვსკი ვერაგული გეგმის განხორციელებას შეუდგა. კაცი, რომელიც ყოველიეე ქართულს ებრძოდა, მეგრელთა „ინტერესების დამცველად“ მოგვეელინა. მისი წაქეზებით, აღმოსნდნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მეგრული ენა სხვა ენაა და მას საერთო არაფერი აქვს ქართულთანო. ასეთები მოითხოვდნენ სამეგრელოს სამრეელო სკოლების სასწავლო გეგმიდან ქართული ენის ამოღებას და მეგრულ ენაზე სწავლებას, შემდეგ კი ამ უკანასკნელზე დაყრდნობით რუსული ენის შესწავლას. ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის, ფ. ლეეიცკის აზრით, იმის გამო, რომ მეგრელები მათთვის უცხო ქართულ ენაზე სწავლობენ, მათი რიცხვი მცირდა როგორც საქალაქო და სასულიერო სასწავლებლებში, ისე სამასწავლებლო სემინარიებში, ინსტიტუტებსა და გიმნაზიებშიო.

მეგრელთა სწავლა-განათლების შესახებ თავისი მოსაზრებები იანოვსკიმ გამოთქვა 1886 წლის 18 თებერვალს განათლების მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში. მასში იგი წერდა: „მეგრული ენა სრულიად განსხვავდება ქართული ენისაგან და სრულიად გაუგებარია ქართველებისათვის, ისე როგორც ქართული გაუგებარია მეგრელებისათვის... სწავლება შეიძლება დაწყებულ იქნეს მეგრული წერა-კითხვით და არა ქართულით, რაც ადგილობრივ მეგრულ სკოლებში მიღებული იყო რუსული ენის შესწავლის საზიანოდ... მე აუცილებლად ვთვლი ამ ენისათვის შეღგენილ იქნეს საკუთარი ანბანი... მეგრული ანბანი, ჩემი ღრმა რწმე-

ნით, რუსულ ალფაბეტზე უნდა იქნეს დაფუძნებული იმ საჭირო ცვლილებებით, რომელიც გამოწვეულ იქნება რუსულ გამოთქმაში არსებული რამდენიმე ბგერით" (33,197).

იანოვსკის მიერ განათლების მინისტრისადმი გაგზავნილ ამ წერილის საფუძველზე პეტერბურგიდან საქართველოში სპეციალურად მოაწვლინეს ქართველური ენების მცოდნე ენათმეცნიერი ა ლ. გ რ ე ნ ი, რომელმაც რუსულზე დაყრდნობით შექმნა მეგრული „ანბანი". შემდეგ შინაც გამოგვცნდა დამპერიობლის მსახური და ლაქია ქართველი მასწავლებლის თ ა დ ა ა შ ო რ დ ი ა ს სახით. ამ უკანასკნელმაც 1899 წელს რუსულზე დაყრდნობით შექმნა მეგრული ანბანი „დიდა ნინა", რომელიც 1904 წლამდე გამოიყენებოდა სამეგრელოს სკოლებში.

ორი ანბანის ერთდროულად დაბადებამ აშორდიასა და გრენის შორის მტრობა ჩამოაგდო. ორივე ცდილობდა თავისი ანბანის გაერცელებას. განათლების მოხელეები ცდილობდნენ ისინი შეერიგებინათ ერთმანეთთან და ორიცეს ერთი საერთო ანბანი შეექმნათ, მაგრამ მათი შერიგება ვერ მოხერხდა. უპირატესობა გრენის ანბანს მიეცა, რომელიც პეტერბურგში მისი დაკვეთით ჩამოასხეს, მაგრამ ამ ანბანის გამოყენებას ხელს უშლიდა მეგრული სახელმძღვანელოების, საკითხავი ტექსტებისა და ლიტერატურის არ არსებობა. ამიტომ იანოვსკი და ლევიცკი აძალებდნენ მასწავლებლებს, შეედგინათ მოსწავლეებისათვის რუსული ასოებით მეგრული ტექსტები. იმ მასწავლებლებს, ვინც მეგრული ენა არ იცოდა და ამას ვერ ახერხებდა, ათავისუფლებდნენ და მათ ადგილებზე მეგრელებს ნიშნავდნენ. განათლების მოხელეთა მთავარი მიზანი იყო მეგრელებსა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდება და მათი ურთიერთდაპირისპირება, საბოლოოდ კი, სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნა და რუსულის დამკვიდრება.

იგრძნო რა საკითხის მთელი სერიოზულობა, იანოვსკის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა სამეგრელოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებამაც. 1885 წელს გაზეთი „დროება" აქვეყნებს ე. ჩ ი ნ ჩ ა ლ ა-

ი ა ს წერილს, რომელშიც ნათქვამია: „მეგრელები კიდევაც რომ ქართველები არ იყვნენ, როგორც გონიათ ზოგიერთთ, მაშინაც დიდი უსამართლობა, შეცდომა იქნებოდა, რომ მეგრელებისათვის ქართული ენა არ ესწავლებინათ... თუ არა ქართული ენის, სხვა რომელი ენის საშუალებით ეიქონიოთ მეგრელებმა ალებ-მიცემა იმერეთში, გურიაში, რაჭაში, ქართლ-კახეთში და ლეჩხუმში“ (33, 200).

პროგრესულად მოაზროვნე მეგრელთა შორის აღმოჩნდა თავადი ო ტ ი ა დ ა დ ი ა ნ ი ც, იმპერატორ ალექსანდრე მეორის ყოფილი კამერგერი, პოლკოვნიკი, რომელიც მაშინ ზუგდიდში ცხოვრობდა. ერთხელ ოტია დადიანს შვილის ქორწილზე, სხვებთან ერთად, თადა აშორდიაც დაუპატიჟებია. როცა ლხინი ეშხში შესულა, საუბარი ჩამოვარდნილა სამეგრელოს სკოლებში მეგრული ენის სწავლების შემოღების შესახებ. ამ საუბრის აქტიური მოთავე აშორდია ყოფილა, რისთვისაც „მეგრელებმა თადა აშორდია სასტიკად სცემეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს და ამით სამუდამოდ ამოაგდებინეს გულიდან იანოვსკის „განმანათლებლური იდეებისადმი“ ერთგულებისა და მსახურების გრძნობა“ (51). ამასთან დაკავშირებით ზუგდიდში ჩამოსულან კირილე იანოვსკი და მისი ინსპექტორი სლავინსკი. ორივე ერთი დიდი თანამდებობის პირთან გაჩერებულან და იანოვსკის წერილი გაუგზავნია ოტია დადიანისათვის, რომელშიც ამ უკანასკნელს თავისთან იბარებდა. დადიანს წერილის მეორე მხარეს მიუწერია: „მე თქვენთან საქმე არაფერი მაქვს და თუ თქვენ გაქვთ ჩემთან საქმე, მე სახლიცა მაქვს და კარიც, აქ მობრძანდით და ვილაპარაკოთო“ (125, 63).

ასეთი მკვახე პასუხი თავმოყვარე იანოვსკის, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა და დადიანს შინ არ სწვევია, მაგრამ შემდგომ, ზუგდიდში ყოფნის დროს, მთავრობის დიდ მოხელეებს მაინც მოუხერხებიათ მისი დადიანთან შეხვედრა. იანოვსკის ოტიასათვის უთქვამს – ძალიან ცუდად მოქცეულხართ, რომ ჩვენი მასწავლებელი თადა აშორდია გაგიდლახავთო, რაზედაც ოტია დადიანს უპასუხებია: „მეგრელები ქართველები ვართ და ჩვენ სკოლებში მეგრული ენის

შემოღება კი არ გვინდა, არამედ მშობლიური ქართული ენის სათანადო დონეზე დაყენება გვსურს, რასაც თქვენის მხრით ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა... და თუ კი იმისათვის გაისარჯეთ და ჩამობრძანდით, რომ აქ თადა აშორდიას ქომაგობა გაუწიოთ, ჩემი კეთილი რჩევაა,სანამ თქვენ და თქვენს მხლებელს აშორდიას ბედი არ გწყეიათ, საჩქაროდ აქედან გაემგზავრეთო“ (125, 63).

1902 წელს იანოვსკი გარდაიცვალა. პეტერბურგის პედაგოგიურმა საზოგადოებამ მისი ხსოვნის საღამო გამართა, რომელზეც აღინიშნა იანოვსკის „დიდი დამსახურება“ ერისა და ქვეყნის წინაშე. კერძოდ, სხდომაზე ითქვა: „განსვენებულის განსაკუთრებული დამსახურება ის გახლავთ, რომ მან გრუზინიზმი და პანგრუზინიზმი დაამარცხა და დათრგუნაო. პანგრუზინიზმი კი ქართველებს თურმე იმით გამოუხატავთ, რომ ქართული ენის შემოღება და გავრცელება მოუნდომებიათ გურიასა და სამეგრელოში“ (18, 55).

აღნიშნულ სხდომაზე ვინმე *ველიყანოვს* უთქვამს: „კავკასიაში თითხმეტ წელიწადს ვცხოვრობდიო. ამ თითხმეტ წელიწადს ისე შევისწავლე კავკასია, როგორც ჩემი ხუთი თითი. ყოველი მხარე დავიარე, არაფერი არ დამრჩენია უნახავი და უნდა გაუწყოთ, რომ კავკასიელები არ იყიწუებენ თავის ენას, და ეს იმიტომ, რომ უკანასკნელ დრომდის მათ რუსულ ენას არ ასწავლიდნენ „ბუნებრივის მეთოდითო...“ მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ქართველები ცდილობენ (დღემდის მაინც ცდილობდნენ!) მთელის კავკასიის გაქართველებას! წარმოიდგინეთ, ქართველებს უნდათ, რომ ქართული ლაპარაკი იყოს, ქართულად სწირავდნენ სამეგრელოსა და გურიაშიო“ (51).

აი, ამ ვინმე ველიყანოვის ნაცოდვილარში აშკარად ჩანს ის „დანაშაული“, რაც ქართველ ხალხს მიუძღოდა დამპყრობელთა წინაშე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად, სკოლა მთლიანად მოწყდა ეროვნულ ნიადაგს და ხალხის დენაციონალიზაციისა და ასიმილაციის იარაღად იქცა. ამის წინააღმდეგ ხმალშემართული იბრძოდნენ ქართველი განმანათლებლები,

„თერგდალეულები“ – ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხვედაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ღოღობერიძე, ილია წინამძღვრიშვილი და სხვები. მათი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ილია ჭავჭავაძე. მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხს დიდმა ილიამ მიუძღვნა არაერთი სტატია თუ წერილი, რომელთა შორის გამოირჩევა მისი სტატია „ბ-ნი იანოვსკის წერილის გამო“, რომელიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა (1881 წლის №33). მასში ილია კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს 1881 წლის სასწავლო გეგმას და ასაბუთებს, რომ მშობლიური ენა და ეროვნული კულტურა უნდა იყოს სწავლა-აღზრდის საფუძველი გონიერულად მოწყობილ ყოველ სკოლაში.

ამავე საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ი. გოგებაშვილი თავის სტატიაში „მზრუნველ იანოვსკის სასწავლო გეგმა“. ამ სტატიაში იაკობი აღნიშნავს, რომ იანოვსკი ერთს ამბობს და მეორეს აკეთებსო.

მშობლიური ენის დაცვის, მისი როლისა და მნიშვნელობის ამაღლებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ი. გოგებაშვილის „დედა ენამ“ (1876 წ.), „ბუნების კარმა“ (1868 წ.) და ერცელმა სტატიამ „ბურჯი ეროვნებისა“, რომელიც პირველად 1890 წელს გამოქვეყნდა.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გარდა, ხმარებაში იყო და შეიქმნა ახალი სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სიტყვიერების თეორიაში, საქართველოს ისტორიაში და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. დ. ჩუბინაშვილის „ქართული ქრესტომათია“, მისივე „ქართული ენის გრამატიკა“; კირიონისა და დ. უფლისის – „სიტყვიერების თეორია“, მ. ჯანაშვილის – „საქართველოს ისტორია“, დ. ბაქრაძის – შრომები საქართველოს ისტორიასა და ეთნოგრაფიაში.

იყანე როსტომაშვილმა შეადგინა და გამოსცა კლასგარეშე და ოჯახში საკითხავი რამდენიმე საინტერესო წიგნი, ასევე არითმეტიკულ ამოცანათა კრებული.

ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლებას ი. გოგებაშვილმა მიუძღვნა თავისი შესანიშნავი სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“, რომელიც პირველად 1987 წელს გამოიცა.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც დაერთო მოსწავლეთა გაფიცვები და რეპრესიები, მოსწავლეთა გარიცხვა სასწავლებლიდან წეეულებრივ მოვლენად იქცა. ამიტომაც იყო, რომ 1885 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლემ ს. ჯიბლაძემ სასტიკად სცემა სემინარიის რექტორი, შავრაზმელი პ. ჩუდეცკი, ხოლო 1886 წლის 24 მაისს სემინარიიდან გარიცხულმა მოსწავლემ იოსებ ლაღიაშვილმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ეს იყო მოვლენა, რომლის მსგავსი არ ახსოვდა კავკასიაში რუსეთის მმართველობის ისტორიას.

საქართველოს ეგზარქოსმა პ ა ე ლ ე მ (ლებედევმა) დასწყევლა და შეაჩვენა საქართველო და ქართველი ერი. რომელმაც, მისი აზრით, დაბადა ლაღიაშვილის მსგავსი აკაზაკი, რასაც მკაცრი პასუხი გასცა დ. ყიფიანმა და კიდეც შეეწირა ამ საქმეს. იგი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც მეფის ერთგულმა მსახურებმა ღამით მძინარეს თავში გირის ჩარტყმით მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ახალი სკოლისათვის ბრძოლასა და ქართველთა ეროვნული ცნობიერების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა „ქართველია შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომლის შესახებაც საუბარია მომდევნო თავში.

თ ა ვ ი VIII

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და პირველი ქართული სკოლა აჭარაში

XIX საუკუნის მეორე ნახევარის საქართველოში დიდი მოვლენა იყო 1879 წლის 15 მაისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსება. ეს მოხდა თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში, სადაც შედგა საზოგადოების პირველი ყრილობა.

საზოგადოება იწოდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებლად, მაგრამ მისი მიზანი ძალზე ფართო იყო, კერძოდ, იგი ითვალისწინებდა სკოლების გახსნასა და ხალხში განათლების შეტანას, ეროვნული და სოციალური თვითშეგნების ამაღლებას, ცრუმორწმუნეობისა და მავნე ადათ-წესების აღმოფხვრას, ენისა და ლიტერატურის აღორძინებას, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების დამკვიდრებას და დაშლილ-დაქსაქსული ერის გაერთიანებას.

იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, საზოგადოების დაარსების იდეა დაიბადა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონში, მაგრამ განსრახვის სისრულეში მოყვანას დიდი დრო დასჭირდა. ამ იდეას ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული პრესა და მოითხოვა მისი რაც შეიძლება მალე განხორციელება. გაზეთი „დროება“ (1874 წ., №424) წერდა: „უნდა ვიზლოთ ჩვენი დაკარგული, უნდა ეუშველოთ ჩვენს აწმყოს თუ არა, მომავალს მაინც. რასაკვირველია, ამის პირველი მალამო ის არის, რომ უნდა შედგეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, ეახტანგ თულაშვილი და სხვები.

ილია ჭავჭავაძე 1879 წლის აპრილის „შინაურ მიმოხილვაში“ მიესალმა ამ საზოგადოების დაარსებას და იმთავითვე განსაზღვრა მისი მნიშვნელობა და დანიშნულება: „...საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოში..., ღირსია ყურადღებისა. ეს საზოგადოება თავის დანიშნულების აღსასრულებლად მოკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო სკოლების გამართვას, არამედ დაარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს, მასწავლებლებს გამოსრდის ან თავისგანვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან თავისის ხარჯით; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას და სხვ.“ (139, 43).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ხალხში განათლების შეტანა და მათი ცნობიერების განმტკიცება. რუსულ სკოლაში კი ქართველი ბავშვი ეროვნული ცნობიერების საზრდოს ვერ იპოვიდა. ამიტომ ქართველმა განმანათლებლებმა გამოსავალი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და ქართული ეროვნული სკოლის გახსნაში იხილეს.

პირველ ხანებში საზოგადოებას კერძო წრის სახე ჰქონდა, რომლის წევრები აგროვებდნენ ფულს საქველმოქმედო საქმისათვის, უწინარეს ყოვლისა, დაწყებითი სკოლების გახსნისათვის. პირველი ასეთი სკოლა წრემ მთაწმინდის ნებართვით გახსნა სოფელ ხოვლეში. მეოთხე კლასამდე სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მეოთხე კლასში განათლების ორგანოების დაჟინებული მოთხოვნით ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლებინათ. „არაფრად გეგეხტნავა, – მოგვითხრობს ი. გოგებაშვილი, – მაგრამ რას ვიზამდით, გავხსენით სკოლა, გავამწესეთ მასწავლებელი და გავაჩალეთ სწავლა, მაგრამ საქმემ ჭრთები ვერ გაშალა, რადგანაც დედა-ენის უფლების შესწავლამ ცოტი წყალი გადაასხა წრის წევრებს. ჩვენ გვსურდა სამაგალითო სკოლა დაგვეარსებინა, რომლისთვისაც უნდა მიებაძნათ ყველა სოფლის სკოლებსა, მაგრამ სამო-

სწავლო ბიუროკრატიამ მეტად დააკოჭლა ჩვენი სკოლა, ნაყოფიერება მისი საგრძნობლად შეამცირა და დაუკარგა მიმზიდველობის ძალა. ამიტომ სკოლამ ვერ იბარტყა და დარჩა ობლად. არც ერთი სხვა სკოლა ამ წრეს არ გაეხსნია და მხოლოდ სოფლის ერთს სკოლას აწარმოებდა, ისიც ვაინაჰროობით.

საქმის მდგომარეობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენის მიზნის და წადილის მისაღწევად კერძო წრე უძლურია, და საჭიროა ფართო საზოგადოება. ჯეროვანი წესდებულებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა იქნას დამტკიცებული და დაკანონებულით“ (46, 253).

ამიტომ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე 1876 წლიდან შეუდგნენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებისათვის ზრუნვას. „ორივე მეგობარი გრძნობდა, – წერს ა რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი, – რომ მხოლოდ ქართული აღსრდის საშუალებით შეიძლებოდა ქართული კულტურის ამაღლება, ამიტომ ბევრს იბრძოდნენ ქართული სკოლისათვის. ისინი იყვნენ ქართული სკოლის კეთილშობილი ფანატიკოსები და თვით მისივე ნამდვილი შემქნელები. მათი სიცოცხლის მიზანი იყო ბრძოლა ქართული სკოლისთვის“ (79, 38). ვახტანგ თულაშვილის სიმამრის მეშვეობით მათ მიულიათ „წერა-კითხვის გამავრცელებელი უკრაინის საზოგადოების“ წესდება და მის საფუძველზე დაუწყიათ ჩვენი საზოგადოების წესდების შემუშავება. ი. გოგებაშვილის ავადმყოფობის გამო, წესდება ძირითადად დ. ყიფიანმა და ნ. ცხვედაძემ შეიმუშავეს, მაგრამ ი. გოგებაშვილმა იგი სრულყოფილად არ მიიჩნია, რადგან მასში არ იყო გარკვეით ნათქვამი, რომ სწავლება საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლებში მხოლოდ მშობლიურ, ქართულ ენაზე იწარმოებდა. „წესდებულების დამთავრების შემდეგ იგი გამოვართვი ცხვედაძეს და გულდადებით გადაეკითხე, – წერს იაკობ გოგებაშვილი. – აღმოჩნდა, რომ მუხლი დედა-ენაზედ საგნების სწავლების შესახებ არ შეეტანათ შიგა. როცა მისჯისი ვიკითხე, ცხვედაძემ მითხრა, რომ დიმიტრი ყიანეს-ძეს (დ. ყიფიანი –

ნ. ბ.) ა'სრით მაგ მუსლს მთავრობა არ შეიწ'ნარებს, წ'სდებულებას არ დაგვიმტკიცებს და სა'ზოგადოებას ვერ დავაარსებთო. მე ვუპასუხე: „თუ ეგ მუხლი არ იქნება მოქცეული წ'სდებაში, სა'ზოგადოების დაარსება ამაო იქნება, რადგანაც ბიუროკრატიას უფლება მიეცემა სწავლება სა'ზოგადოების სკოლაში რუსულ ენაზე მოითხოვოს და მაშინ ჩვენი სა'ზოგადოება ქართველის ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარების და მის გონების დაბნელებას დაეხმარება მეთქი". და მაშინვე ჩემი ხელით წ'სდებულებაში, რომელიც დაწერილი იყო ცხვედაძის მიერ რუსულ ენაზე შავად, ნაწერთე შემდეგი პარაგრაფი:

«Общество достигает своей просветительной цели посредством организации всего начального обучения на родном, понятном детям, языке, и способствует обучению русскому языку» (46, 255)*.

წ'სდება, რომელსაც ხელს აწერდა 126 დამფუძნებელი, 1878 წლის 20 ივნისს დასამტკიცებლად წარედგინა კაეკასიის მეფისნაცვალს და დიდი ბრძოლის შემდეგ დამტკიცდა მხოლოდ 1879 წლის 31 მარტს. ამ საქმეში ქართველი მოღვაწეებისათვის ქმედითი დახმარება გაუწევია ილია ჭავჭავაძის ქვისლს — გენერალ დიმიტრი სტაროსელსკის, რომელიც მაშინ, ი. მარსკეტაშვილის გადმოცემით, კაეკასიის მთავარმართებლის თანაშემწე იყო. დამფუძნებელთა პირველი ერილობა შედგა 1879 წლის 15 მაისს თბილისის საადგილმამულო ბანკის შენობაში დ. ყიფიანის თავმჯდომარეობით. ერილობაზე სა'ზოგადოების ნამდვილ წევრად არსებულ იქნა 60 კაცი. დაისვა საკითხი სა'ზოგადოების გამგეობის არსების შესახებ. დასახელებულ 35 კანდიდატიდან კენჭი უყარეს 19-ს, რომელთაგან ხმის უმრავლესობით აირჩიეს:

---

* *„სა'ზოგადოება თავის საგანმანათლებლო მიზანს განახორციელებს დაწესებით კლასებში სწავლების გავრცელებისათვის გასაგებ მშობლიურ ენაზე შემოღებით, რაც ხელს შეუწყობს რუსული ენის შესწავლას".*

ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და რაფიელ ერისთავი, საზოგადოების კანდიდატებად კი არჩეულ იქნენ – ნ. ქანანოვი, დ. ავალიშვილი და გ. უთურგაული.

საქმე მიდგა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის არჩევაზე. ამ საპატიო მოვალეობის შესრულება პირველად გრიგოლ ორბელიანს შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა და მისივე წინადადებით ერთხმად იქნა არჩეული დიმიტრი ყიფიანი. გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) – ი. ჭავჭავაძე, მდივნად – ალ. სარაჯიშვილი (მალე იგი ამ თანამდებობაზე ილია მეუნარგიამ შეცვალა) და მოლარედ – რ. ერისთავი (153, 7).

დიმიტრი ყიფიანის შემდეგ საზოგადოებას სხვადასხვა დროს თავმჯდომარეობდნენ: ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1882-1885 წწ.), ილია ჭავჭავაძე (1885-1907 წწ.), გიორგი ყაზბეგი (1907-1921 წწ.) და ალ. ჭყონია (1921-1927 წწ.).

დამფუძნებელ წევრებს საზოგადოების სასარგებლოდ წელიწადში უნდა შეეტანათ 20 მანეთი, ხოლო ნამდვილ წევრებს – 6 მანეთი. დამხმარე წევრებს ფულის შეტანა არ ევალებოდათ.

საზოგადოების დამაარსებლებმა იმთავითვე მიზნად დაისახეს ქართული ნაციონალური სულის აღზევება, რაც მათ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ბრწყინვალედ შეასრულეს. საზოგადოების წესდებაში ი. გოგებაშვილის ინიციატივით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიტანეს პარაგრაფი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სწავლება საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლაში წარიმართებოდა ბავშვებისათვის გასაგებ მშობლიურ ენაზე. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა (დიმიტრი ყიფიანი, ბესარიონ ღოღობერიძე, ნიკო ცხვედაძე, ვახტანგ თულაშვილი და სხვები) ეჭვქვეშ აყენებდა აღნიშნული პარაგრაფის შენარჩუნებას. ეგონათ, რომ ცარიზმის მოხელეები არ დაუშვებდნენ წესდების ასეთ მოთხოვნას, მაგრამ ი. გოგებაშვილი ეყრდნობოდა მეფე ალექსანდრე მეორის 1864 წლის 30 აგვისტოს რესკრიპტს, რომელიც ეხებოდა პოლონელი ახალგაზრდე-

ბის სწავლების საქმეს. ამ რესკრიპტის 49-ე პარაგრაფში ეწერა: „ყოველს პირველ-დაწყებითს სასწავლებელში სწავლა უნდა იყოს იმ ენაზედ, რა ენაზედაც ლაპარაკობენ იმ ქალაქისა და სოფლების მცხოვრებნი, სადაც სკოლაა გამართული“ (44, 277).

ამრიგად, რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ხალხს უფლება ჰქონდა, სწავლება წარემართა მშობლიურ ენაზე. ამიტომ ეს პუნქტი უცვლელად დაუტოვებიათ. მიუხედავად ამისა, მეფის რუსეთის მოხელეები საქართველოში მაინც აშკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდნენ. ისინი ეროვნული კულტურისა და სწავლა-განათლების ყოველ ნასახს ძირშიეე სპობდნენ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაერცელებელი საზოგადოება“ არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც ითვალისწინებდა ქართველი მოსახლეობისათვის სკოლების გახსნას, არსებულის შენარჩუნებას, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მოწყობას, წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემას, პედაგოგთა კადრების მომზადებას და სხვა. მაგრამ პირველ ხანებში საზოგადოება დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. სახელდობრ, ნელი ტემპით იზრდებოდა საზოგადოების წევრთა რიცხვი. პირველ წელს საზოგადოებას 245 წევრი ჰყოლია, მეორე წელს – 282, მესამეს – 311, 1883 წლს კი მათი რიცხვი 319 კაცს შეადგენდა. გარდა ამისა, არა მარტო ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილი, არამედ თვით საზოგადოების წევრებიც გულგრილობას ინენდნენ საზოგადოების მიმართ. მათი უმრავლესობა არ ესწრებოდა არც საზოგადოების მიერ გამართულ კრებებს და არც საწევროს იხდიდა. ასე, მაგალითად, 1882-1883 წელს საზოგადოებას უნდა შემოსულოდა საწევროს სახით 3.572 მანეთი, შემოვიდა კი მხოლოდ 370 მანეთი (153, 10-11).

80-იანი წლების მეორე ნახევარში საზოგადოებამ თავისი შემოსავლის გაზრდის მიზნით იწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებების ტარება, ასევე ცალკეული პირებისა-

გან ფულის შეგროვება, სპონსორების გამონახვა და სხვა, მაგრამ შემოსავალი გასავალს მაინც ვერ ფარავდა.

საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული სკოლის გახსნას ისეთ ადგილებში, სადაც მოსახლეობა, სკოლების უქონლობის გამო, მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებას. იმ პერიოდში ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო აჭარა, რომელიც სამასი წლის განმავლობაში თურქთა უღლის ქვეშ ყოფნის შემდეგ 1878 წელს სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს – საქართველოს და საერთო მისი საერთო ცხოვრების ფერხულში, მაგრამ იგი განათლებით, კულტურითა და ეროვნული თვითშეგნებით დიდად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა კუთხეებს. „დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში, – წერს პროფ. ნ. გუგუნავა, – განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეროვნული განათლების პრობლემა. რუს და თურქ მოხელეთაგან ქართული ენის დევნას თან ერთვოდა რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი სირთულეებიც. მკვეთრად ისახებოდა ორი გზა: ქართული ეროვნულობის დაკარგვა ან განათლების სისტემის ქართულ ენაზე დაფუძნება და დედასაქართველოსთან სულიერი ერთობა“ (52, 18-19).

ამიტომ აჭარაში ქართული სკოლის გახსნა ფრიად მნიშვნელოვანი საქმე იყო. იგი ხელს შეუწყობდა ქართველი მუსლიმანების მიერ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას და მათი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, მაშინ როცა ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის – მემედ აბაშიძის გადმოცემით, მეფის სინოდალებმა ბათუმის ოლქის ყველა მუსლიმანი ქართველი თურქებად მონათლეს, რათა ხელი შეეშალათ ქრისტიან ქართველებთან მათი შეკავშირებისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველი განმანათლებლები ჩქარობდნენ აჭარაში ქართული სკოლის გახსნას და ადგილობრივ მკვიდრთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, რასაც აქაური მცხოვრებლებიც დაბეჯითებით მოითხოვდნენ. ამის დასტურია 1878 წელს თბილისში გამართულ სადილზე შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი მიერ წარმოთქმული სიტყვა: „განათლება სჭირდება, ბატონებო, იმათ (აჭარლებს

– ნ. ბ). ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ვისგან აქ მოიცვანეთ; სკოლა გამართეთ, ასწავლეთ“ (73,139).

ბათუმის სკოლის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ გაზეთ „დროების“ (1880 წ.№227) ფურცლებზე ყკითხულობთ: „ამ ორი კვირის განმავლობაში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თაოსნობით და ხარჯით ბათუმში იხსნება ქართული სკოლა. სხვაგან რომ სადმე იხსნებოდეს სკოლა, ჩვენ მაგდენ ყურადღებას არ მივაქცევდით; რასაკვირველია, სკოლის გახსნა ყოველთვის და ყოველგან სასიამოვნო და სანატრელია, მაგრამ ყველა სკოლის გახსნაზე გაზეთში სტატიების წერა არ არის საჭირო. აქ კი სულ სხვაა... ამ სკოლამ თავიდანვე, პატარაობიდანვე უნდა ჩაუნერგოს აქაურ მცხოვრებლებს გულში, რომ ისინი და ჩვენ ერთის მიწის შვილნი ვართ, ჩვენ და ისინი ერთს ისტორიულ ბელთან ვართ დაკავშირებულნი, რომ ჩვენ ერთი დედაენა გვაქვს, ერთი სამშობლო... ერთი სნე, ერთი ხასიათი...“

ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნის ძირითადი მიზანი იყო მაჰმადიან ქართველთა მოზიდვა, მათთვის პირველდაწყებითი განათლების მიცემა და მათი ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, რადგან აქაურ მკვიდრთა შორის (იგულისხმებიან ქართველი მუსლიმანები) ქართულ ენაზე წერა-კითხვის მცოდნენი თითებზე ჩამოითვლებოდნენ. მოგვიანებით იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც „წერა-კითხვის საზოგადოება“ შეუდგა ამ ათის წლის წინად, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განსრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებული მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, პირველდაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათის შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართულის წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შორის, რომელნიც ულმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა... (45, 59).

და აი, ქართველი განმანათლებლების თაოსნობით, 1881 წლის 12 მარტს ბათუმში სა'სეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა*.

ბევრი მოწინავე აჭარელი დიდი სიხარულით შეხვდა ბათუმში ქართული სკოლის გახსნას და თავიანთი შვილები მისცეს ამ სახ'ავლებელში. 1881 წლის 8 მაისის ცნობით (ე. ი. ბათუმის სკოლის გახსნიდან თვენახევრის შემდეგ) სკოლაში სიით ირიცხებოდა 28 მოსწავლე, აქედან 11 მაჰმადიანი ქართველის შვილი, რომელთა შორის იყო ერთი გოგონა – ხუსეინ აბაშიძის ქალიშვილი ულვიე (შემდეგ აბა-

---

*ალნიშნული სკოლის 12 მარტს გახსნის შესახებ პირველად თავისი მოსაზრება გამოთქვა პროფესორმა რამაზ სურმანიძემ (იხ. გაზ. „ლიტ. საქართველო", 1987 წლის 1 იანვარი). აქამდე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით კი, იგი გაიხსნა 1881 წლის 23 მარტს. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად რ. სურმანიძე (შემდეგ აკად. გ. შარაძეც) იშველიებს 1881 წლის 20 მარტს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომლისაც ხელს არ-ერის ვინმე „კრაზანა" (სურმანიძის და შარაძის აზრით, ლევან მჭედლიშვილი). ინფორმაციაში ვკითხულობთ: „როგორც იყო ძლივს გვალირსა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" პირველი სასწ'ავლებლის გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოყ'ოფილი ო. ი. გ. ჭავჭავაძე", სკოლის გახსნის თარიღ'ზე კი მასში არაფერია ნათქვამი. მხოლოდ დასასრულს მიწერილია: „კრაზანა. ბათუმი. 12 მარტს". ჩვენ ამით არ დაგეკმაყოფილდით, რადგან 12 მარტი შეიძლება ყოფილიყო ინფორმაციის დაწერის და არა სკოლის გახსნის თარიღი. ამიტომ გავეცანით სკოლის გახსნის ზუსტი თარიღის დამადასტურებელი საბუთის ძიება და ამაღე გაზეთის 1881 წლის 19 აპრილის ნომერში (№80) აღმოვაჩინეთ მეორე ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია: „დროების" მკითხველებმა იცით, რომ წელს 12 მარტს ბათუმში ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" გახსნა საერო სკოლა ქართველ მაჰმადიანთათვის. რასაკვირველია, ბათუმში სკოლის დაარსება ყველასათვის სასიამოვნოა, რადგანაც ეს პირველი და ერთადერთი სკოლაა აღმოსავლეთ საქართველოსათვის".

ამრიგად, ბათუმის პირველი ქართული სკოლა გაიხსნა არა 1881 წლის 23 მარტს, არამედ 12 მარტს, რამაც ამიერიდან სწორი ასახვა უნდა პოვოს შესაბამის პედაგოგიკურ ლიტერატურაში.

მიძის ბიძაშვილი), რომლის ჩარიცხვამ „გიმნაზიის" სკოლაში უარყოფითი გამოხმაურება ჰპოვა მუსლიმანურ საზოგადოებაში.

აღნიშნულ რეაქციონში ქართული სკოლის გახსნის საკითხი პირველად ნიკო ცხვედაძეს წამოუყენებია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის 1879 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე: „ჩვენ, ქართველ საზოგადოებას, ბევრი აღთქმა მიგვეცია ამ ახლად შემოერთებული ჩვენი თესლტომებისათვის, მაგრამ საქმით კი ჯერ არა გაგვეკეთებია რაო", – უთქვამს მას (119, 36).

ამავე სხდომაზე ქ. ბათუმში ქართული სკოლის გახსნის საკითხის მოგვარება დაუვალებიათ ი. ჭავჭავაძისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელის მოუცლელობის გამო, ეს ვალდებულება ნ. ცხვედაძეს უკისრია და წარმატებითაც შეუსრულებია. მას მხარში ედგნენ პროგრესულად მოაზროვნე ადგილობრივი მკვიდრნი: იბრაიმ და ხუსეინ აბაშიძეები, ექვთიმე ბერძენიშვილი, ნიკო საბაშვილი (საბაევი), პლატონ გიგინეიშვილი, ქეთევან ჟურული, მაკრინე ღლონტი, გრიგოლ ელიაშა, სეფე მხეიძე, ილია ყერაძე. ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე, ქალაქის გამგეობის წევრი გრ. ვოლსკი, გამგეობის მდივანი ივანე მესხი და აჭარის მოწინავე საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. მათგან ზოგი სკოლის მშენებლობაში ღებულობდა მონაწილეობას, ზოგი მოსწავლეთა მოსიდვასა და მათში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მატერიალურადაც ეხმარებოდნენ სკოლას. მათგან, უწინარეს ყოვლისა, გამოირჩეოდა დურმიშხან და ქეთევან ჟურულების ოჯახი. ეს უკანასკნელი სკოლის სახარგებლოდ მართავდა წარმოდგენებს, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან ჩამოსული მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, მაგრამ ეს წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა. მაშინ გრიგოლ ვოლსკიმ და ივანე მესხმა, გადმოგვცემს დავით კლდიაშვილი, გადაწყვიტეს, ყოველი წლის 14 იან-

ცარს განსხვავებული სალამოს „ნინოობის“ გამართვა. პირველ სალამოზე შეგროვებულა სამი ათას მანეთზე მეტი, რაც მაცოცხლებელ წყაროდ ქცეულა სასწავლებლისათვის. მაგრამ ყოლსკი და მესხი ამითაც არ დაკმაყოფილებულან და სკოლისათვის საკუთარი შენობის აგება გადაწყვიტეს, რისთვისაც საჭირო იყო მიწის ნაკვეთი, რაც ძალზე გაძნელებული. მაშინ ხუსეინ აბაშიძეს (შემდეგ აბაშიძის ბიძა) სპეციალური წერილი გაუგზავნია ილია ჭავჭავაძისათვის და უცნობებია: „ჩემი მამულიდან ას საჟენ მიწას შეგწირავ სკოლის შენობის ასაგებადო“ (98, 33).

მას მალე სიტყვა საქმედ უქცევია და იმ ადგილას, სადაც ახლა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის №1 საჯარო სკოლაა, გამოუყვია მიწის ნაკვეთი. სულ მოკლე ხანში ბათუმის პირველი ქართული სკოლისათვის აუშენებიათ ერთსართულიანი შენობა, რომელიც შედგებოდა ორი საკლასო ოთახისაგან, ერთი დარბაზისაგან, საბიბლიოთეკო და ერთი საშუალო ზომის ოთახისაგან. მოგვიანებით სკოლაზე დაშენდა მეორე სართული. აღნიშნული სკოლის შენობა დაანგრიეს 1970 წელს და მის ადგილას აშენდა ქ. ბათუმის ამჟამინდელი №1 საჯარო სკოლის ოთხსართულიანი შენობა (77, 7-8).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სხდომაზე ქ. ბათუმის სკოლის პირველ მასწავლებლად ფარული კენჭისყრით აურჩევიათ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, პეტერბურგის სამხედრო აკადემიის ყოფილი სტუდენტი, რომელიც მესამე კურსიდან ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გაურიცხავთ.

ალ. ნანეიშვილს მხოლოდ წელიწადნახევარი უმუშავია ბათუმის სკოლაში, მაგრამ ამ მოკლე ხანში მას ბევრი რამ გაუკეთებია სკოლის ფეხზე დაყენებისათვის. 1882-1883 სასწავლო წელს კი სკოლას სათავეში ჩადგომია მ ო ს ე ნ ა თ ა ძ ე, რომელიც მანამდე ხუთის ორკლასიან სასწავლებელში მუშაობდა. ამ დროისათვის სკოლაში მხოლოდ 32 მოსწავლე ყოფილა, მაგრამ ნათაძის თაოსნობით შრო-

მას სასურველი შედეგი გამოუღია და მომდევნო წელს მოსწავლეთა რიცხვი გაორმაგებულა, რის გამოც მასწავლებელი იძულებული გამხდარა არ ცნელად ემუშავა.

მოსე ნათაძის ენერგიული და თავდადებული მუშაობის შესახებ არაერთხელ იშნავს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავის სხდომაზე.

1883 წლის მაისში ბათუმის სკოლის მუშაობა შეუსწავლია საზოგადოების გამგეობის წევრს, გიორგი იოსელიანს, რომელიც თავის მოხსენებაში წერს: „ბათუმის სკოლა სწორედ რომ სახიამოვნო სანახაობაა და შეადგენს ჩვენის საზოგადოების ყველა სკოლების თვალს. და ეს არის დამოკიდებული უმთავრესად თვითონ მასწავლებლის ღირსებაზეო“ (98, 25).

1887 წელს მ. ნაითაძე საზოგადოებას სთხოვს ბათუმის სკოლიდან გათავისუფლებას. მიზეზად ასახელებს ქალაქის ციებებიან კლიმატს, მაგრამ საზოგადოებას მისი თხოვნა არ დაუკმაყოფილებია და 1890 წლის დეკემბრის ბოლოს თუ 1891 წლის იანვარში იგი მოულოდნელად გარდაცვლილა (98, 27). მის ნაცვლად იღია ჭავჭავაძეს ბათუმის სკოლის გამგე-მასწავლებლად გამოუგზავნია მ ი ხ ე ი ლ შ არ ა შ ი ძ ე. აი, რას წერს ეს უკანასკნელი თავის მოგონებაში: ბათუმში გამგზავრებამდე, იღია ჭავჭავაძემ მიმიხმო ბინაზე და ასე დამარიგა: „ჩემი პირადი სურვილი და განკარგულება იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ ადგილზე გამეგზავნე. იმედია გააამართლებ ჩემს ნდობას... დიდი სიფრთხილით არის მუშაობა საჭირო ქართველ მუსლიმანებს შორის. გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები — ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რათა მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. იარე საკვირაოებში, ნუ დაერიდები სარდაფებში, მეჩეთში, და ერთი სიტყვით, იქ სადაც ქართველ მუსლიმანებს ჩვეოათ თავის შეყრა. დიდი მიღწევა იქნება ჩვენი მხრივ თუ წერა-კითხვასთან ერთად მათ შეაგნებინებ, რომ ისინი ქართველებია, რომლებიც ჩვენგან განირჩეოან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით“ (126, 36).

ბათუმის პირველმა ქართულმა სკოლამ დიდი როლი შეასრულა ადგილობრივ მაჰმადიან ქართველთა შვილებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და „გონებითა და გულით გალეკილებული“ (ი. ჭაჭავაძე) მომავალი თაობის აღზრდაში. ამის დასტურია ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის პაიდარ აბაშიძის სიტყვები: „მე სრულიად ახალგაზრდამ შეეიგნე, რომ „თათარი“ კი არა, ქართველი ვიყავი. ამის შეგნება ყველაზე ადრე შეამინერგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის ქართულმა სკოლამ“ (3).

ასე დაიწყო აჭარაში ქართული წერა-კითხვისა და ეროვნული კულტურის აღორძინება, რაშიც უდიდესი დამსახურება ქართველ სამოციანელებს, უწინარეს ყოვლისა კი, ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს მიუძღოდათ.

საზოგადოებამ ასეთივე სკოლები დაარსა: ქუთაისსა და თბილისში (1880 წ.), წინარეხში (1882 წ.), ოონეთში (1883 წ.), ძველ სენაკსა და ხელთუბანში (1884 წ.), კაქაკაში (1888 წ.), გომარეთში ((1897 წ.) და ყალამაშაში ((1904 წ.). ამ სკოლებში 1907 წლამდე მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლება მიიღო 19.474 ქართველმა ახალგაზრდამ (119, 35).

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას განზრახული ჰქონია სხვა სკოლების გახსნაც (მცხეთაში, ვაყაში, დიღომში და სხვ.), მაგრამ მეფის მთავრობას ამის ნება არ დაურთავს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საზოგადოება დიდ დახმარებას უწევდა საუწყებო სკოლებს რუისში, ახალგორში, კავთისხევში, მეტეხში, ჯავახეთში (ხერთვისი, ხიზაბავრი, ბარალეთი), ახალციხეში, ხეთაში (124, 311).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნით, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნების გამოცემით და მკითხველთათვის მათი მიწოდებით ხელი შეუწყო დაწყებითი განათლების გავრცელებას ხალხში და ქართული სულის ამოქმედებას როგორც მის მიერ გახსნილ, ისე საკვირაო და სამრევლო-საეკლესიო სკოლებში. საზოგადოება

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სამრევლო და საკირაო სკოლებს, სადაც 90-იან წლებამდე გაკვეთილები მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა ი.გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით. აღნიშნული სახელმძღვანელო გაიგზავნა საქართველოს ყარაულებს გარეთ მცხოვრები ქართველებისთვისაც: თურქეთში, ყლადიკავკაზში, ბაქოში, ნალჩიკში, მოზდოკში და სხვა ქალაქებში. მაგრამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მარტო თავისი უშუალო მოვალეობის შესრულებით – ქართული სახალხო სკოლების გახსნითა და ხალხში წერა-კითხვის გავრცელებით როდი კმაყოფილდებოდა. ამის გარდა, საზოგადოება მართავდა საღამოებს, წარმოდგენებს, სპორტულ შეჯიბრებებს, ბეჭდავდა სახელმძღვანელოებსა და საკითხავ წიგნებს, აარსებდა სამკითხველოებს და სხვ. ამით იგი უპირისპირდებოდა მეფის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობას უკრძალავდა მშობლიურ ენაზე სწავლასა და ქართულ ენაზე დაწერილი წიგნების კითხვას.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, საზოგადოებას გააჩნდა სხვადასხვა ფონდი, საიდანაც დროგამოშვებით დახმარება ეძლეოდათ ხელმოკლე სტუდენტებსა და მწერლებს: ალექსანდრე ყაზბეგს, ეგნატე ნინოშვილს, აკაკი წერეთელს, რაფიელ ერისთავს, ვაჟა-ფშაველას, იროდიონ ევდოშვილს და სხვებს.

საზოგადოების, დამფუძნებელ და დამხმარე წევრებს გარდა, ჰყავდა საპატიო წევრები, რომელთა შორის იყვნენ პროფ. დ. ბუბნოვი, ნიკო დადიანი-მინგრელსკი, ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა. ეს უკანასკნელი თბილისში ატარებდა ლატარიას, საიდანაც მიღებულ წმინდა მოგებებს საზოგადოებას სწირავდა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ იარსება 1927 წლამდე. ჯერ კიდევ 1925 წლის დეკემბერში განათლების კომისარიატის დადგენილებით საზოგადოების წიგნსაცავი, მუზეუმი და არქივი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ნაწილი კი – საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებას. 1927 წლის

31 იანვარს საქართველოს განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დანარჩენი ქონება გადასცემოდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს (153, 156-157).

1927 წლის 20 იანვარს სალიკვიდაციო კომისიამ დაამთავრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქონების სხვადასხვა დაწესებულებებზე გადანაწილება და საზოგადოებამ მუშაობა შეწყვიტა. ამიერიდან მისი ფუნქცია იკისრა საქართველოს განათლების სამინისტრომ და საზოგადოების არსებობას საფუძველი გამოეცალა.

ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს და მუდამ მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელმძღვანელებსა და მის წევრებს, რომლებიც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგნენ განათლებისა და კულტურის აღორძინების სასიკეთო საქმეს სვენს ქვეყანაში.

აჭარის მკვიდრთა მეხსიერებიდან არ ამოიშლება ალექსანდრე ნანეიშვილის, მოსე ნათაძის, მიხეილ და ერმილე შარაშიძეების, იულიანე გოგოლიშვილის, ალექსანდრე მგელაძის, ისიდორე რამიშვილის, ნიკო ჯაველისა და სხვათა სახელები, რომლებიც აჭარაში იმ ძნელბედობის ჟამს მოღვაწეობდნენ და, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, თავიანთი უანგარო შრომით ასობით ახალგაზრდას ასწავლეს ქართული წერა-კითხვა, შთაუნერგეს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და თაყვანება. განუმტკიცეს ეროვნული გრძნობები.

თ ა ვ ი IX

გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) ზნეობრივი ქადაგებანი

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე თავდაუზოგავად და უანგაროდ ემსახურებიან მშობელ ხალხს, ერისა და ქვეყნის სასიკეთო საქმეს, სამაგიეროს კი არაფისგან მოითხოვენ. მათი დევიზია: „ყველაფერი ხალხისათვის, არაფერი თავისათვის.“ ასეთი ადამიანების სახელსა და ნაღვაწს დრო და ჟამი ვერაფერს აკლებს. ისინი სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს და ღრმა კვალს ტოვებენ ერის სულიერ ცხოვრებაში, თავისებურ იდეალად, ეტალონად რჩებიან ნებისმიერი თაობისათვის.

ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა XIX საუკუნის II ნახევრის გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწე *გაბრიელ* (ერისკაცობაში გერასიმე) *ქიქოძე* (1825–1896).

გაბრიელი იყო იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი 1860 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, 1896 წლამდე. იგი დაიბადა 1825 წლის 15 ნოემბერს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, გურიის უკანასკნელი მთავრის – მამია გურიელის მოძღვრის მრავალშვილიან ოჯახში. დაწყებითი განათლება გაბრიელმა ოჯახში მიიღო, ხოლო 1837 წელს მამამ იგი თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, 1839 წელს კი სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერი სემინარიაში, რომელიც მას არ დაუმთავრებია, რადგან სემინარიის სიტყვიერების პროფესორი გ. კ ა ნ ე ვ ს კ ი ფსკოვის სასულიერო სემინარიაში გადაიყვანა და გერასიმეც თან წაიყვანა. ფსკოვში იგი 1841-1843 წლებში გ. კანევსკის ხარჯზე სწავლობდა, 1844 წელს კი პეტერბურგის სემინარიაში გადაიყვანა. 1845 წელს, აღნიშნული სემინარიის დამთავრების შემდეგ, გერასიმე სწავლას აგრძელებს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში და ამთავრებს მას 1849 წელს. ამავე წელს გ. ქიქოძე დაოჯახდა. ცოლად შეირთო მარიამ ნიკოლოზის

ასული ელადიკონა, პეტერბურგელი მღვდლის ქალიშვილი, და სამუშაოდ გადმოვიდა თბილისში. აქ იგი ინიშნება სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ საბუნებისმეტყველო ციკლის საგნებში. 1851 წელს კი შეთავსებით დაინიშნა ფიზიკა-მათემატიკის პროფესორად და აქტიურად ჩაება სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში.

1854 წელს გ. ქიქოძემ თავი დაანება ინსპექტორობას და მასწავლებლობდა სემინარიასა და თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში. პედაგოგიური საქმიანობის გარდა, იგი აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ფსიქოლოგიით, ფილოსოფიითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით. 1856 წელს მან დაასრულა და პეტერბურგში დასაბეჭდად გაგზავნა ნაშრომი ფსიქოლოგიაში – „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", რომელიც ორი წლის შემდეგ გამოიცა რუსულ ენაზე. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა ნ. დობროლიუბოვმა ჟურნალ „სოვრემენნიკ"-ში. ამიტომაც იგი რუსეთის სემინარიებში დიდხანს ფსიქოლოგიის სასწავლო სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა.

1855-1856 წლებში გ. ქიქოძეს თავს დაატყდა საშინელი უბედურება – შავმა ჭირმა იმსხვერპლა მისი მეუღლე და ხუთი შვილი. ამ დიდი მწუხარების გამო გერასიმე ბერად აღიკვეცა და გაბრიელად იქცა, თუმცა პედაგოგიური მოღვაწეობისთვის თავი არ მიუნებებია.

1858 წელს გაბრიელი ინიშნება დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვრად. იმავე წელს იგი გადაჰყავთ გორის ეპისკოპოსად, 1860 წელს კი იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად ეკურთხა და 36 წლის მანძილზე ღირსეულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. სწორედ ამ მოღვაწეობაში ჰპოვა მან ცხოვრების აზრი.

1865 წელს გამოვიდა გაბრიელ ეპისკოპოსის წიგნი „სიტყვანი და მოძღურებანი", რომელიც ორი წლის შემდეგ ითარგმნა და გამოიცა ლონდონში ინგლისურ ენაზე, 1893 წელს კი – რუსულ ენაზე. 1884-1885 წლებში თბილისში გა-

მოვიდა გაბრიელ ქიქოძის ქადაგებანის I-II ტომი, ხოლო 1913 წელს ქუთაისში – ორივე ტომი. ეს გამოცემა 1989 წელს უცვლელად დასტამბა განმეორებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

გაბრიელ ქიქოძე გარდაიცვალა 1896 წელს. დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

გაბრიელი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საპატიო წევრი. მან საკუთარი სახსრებით გახსნა რამდენიმე სკოლა საქართველოში, კერძოდ, ქალთა ეპარქიული სასწავლებელი და სასულიერო სემინარია ქუთაისში.

გაბრიელ ეპისკოპოსს დიდად აფასებდა და პატივს სცემდა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. მისი დასაფლავების დღეს დიდმა ილიამ თქვა: „მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, – საერო თუ სამღვდელო, – რომლის გულშიაც... ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოღვაწადვე ღრმად-მორწმუნეცა...

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება – მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა...“ (144, 420-421).

სწორედ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით იქნა გაბრიელი არჩეული 1890 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საპატიო წევრად.

გაბრიელ ეპისკოპოსის შემოქმედებითი ნიჭი, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა მის ქადაგებებში, იმ სიტყვებსა და მოძღვრებებში, რომელთაც სისტემატურად წარმოთქვამდა ხოლმე იგი ეკლესიებში მრევლთან შეხვედრების დროს.

„ქადაგებანი“ სასულიერო მწერლობის იმ ჟანრს განეკუთვნება, რომელიც ჰომილეტიკის სახელითაა ცნობილი. „დიდი ქართველი მქადაგებელი გაბრიელ ქიქოძე, – წერს ცნობილი მჭერმეტყველი ნიკოლოზ კანდელაკი, – ახალი დრო-

ის მსოფლიო ჰომილეტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია... ის თავისი ცოცხალი სიტყვის უხვი საუნჯით ამდიდრებს მსოფლიო სამქადაგებლო ხელოვნებას და ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს საკაცობრიო ზეპირი მეტყველების ისტორიაში“ (74, 356).

გაბრიელ ეპისკოპოსი თავის ქადაგებებში, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებზეც. აღზრდა-განათლების ძირითად მიზნად მაქს მიანიჭა ადამიანის მომზადება საზოგადო-ბრივი და იმქვეყნიური ცხოვრებისათვის; მისი შეიარაღება იმ ცოდნა-გამოცდილებით, რომელიც მას ასწავლის ბუნების ძალთა შეცნობას და მის გამოყენებას საზოგადოების საკეთილდღეოდ. ეს კი პიროვნების ჰარმონიული განვითარების გარეშე შეუძლებელია, რაშიც გადამწყვეტ როლს სნეობრივი აღზრდა ასრულებს. მომავალი საზოგადოების შემქმნელი და აღმშენებელი უნდა იყოს თავისი ერისა და ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარული, ჭეშმარიტი ჰუმანისტი, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, შრომისმოყვარე, გონებრივად და ესთეტიკურად განათლებული ადამიანი.

პიროვნების ზნეობრივ სრულყოფაში გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ როლს ანიჭებდა განათლებას, რადგან იგი ამაღლებს და ამდიდრებს კაცის გონებას, მაგრამ „განათლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, – წერს იგი, – რომელიც აღამაღლებს და გააკეთილებს კაცსა ყოველის მხრით... თვითონ სწავლა არის ორპირიფანი იარაღი; შეიძლება კაცმა მოიხმაროს ის კეთილ საქმე'სედაც და ბოროტ'სედაც...“ (31, 402).

გაბრიელის აზრით, რამდენი კაცია გონებრივად განათლებული, განსწავლული, მაგრამ „მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან“ (31, 403).

ამის მიზეზი, დიდი მოძღვრის აზრით, არის ზნეობრივი აღზრდის უკმარისობა. ამიტომ სკოლასა და ოჯახში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდი თაობის ზნეობრივ აღზრდას. ყოველმა კაცმა განათლებულობა, განსწავ-

ლულობა უნდა გამოხატოს, უწინარეს ყოველისა, თავისი „საქმითა და ცხოვრებითა“. სწავლების პროცესი ისე უნდა წარიმართოს სკოლაში, რომ იგი მოსარდს ამზადებდეს ცხოვრებისათვის, პრაქტიკული შრომა-საქმიანობისათვის. ამისათვის სწავლებას უნდა ჰქონდეს აღმსრდელობითი მიმართულება, აღმსრდელობითი ხასიათი, რათა ცოდნასთან ერთად, მოსწავლეები იძენდნენ იმ მორალურ თვისებებს, რაც აღზრდის მიზანდასახულობიდან გამომდინარეობს.

გაბრიელ ეპისკოპოსს გული წასდებოდა იმის გამო, რომ საზოგადოებაში მომრავლდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თანამოაზრეთა „საიდუმლო შესმენითა და დაბეჭდვებით“ ცდილობენ მთავრობის გულის მოგებას. ასეთი ბეჭდვობის ობიექტად თავადაც არაერთხელ ქცეულა. „ოცდასამი წელიწადი ვარ მე ამ სამწყსოში, – აღნიშნავს იგი ერთ-ერთ თავის გამოსვლაში, – და ვგრძნობ, ნამეტანი არ იქნება, რომ ვსთქვა, ორასი მაინც, თუ არა მეტი, დაბეჭდება და შესმენა მიუციდა ჩემს უმაღლეს მთავრობას. რა ცოდვა და უსჯულოება არ მომაწერეს იმ დაბეჭდვებში!“ (31, 417).

გაბრიელი, როგორც მღვდელმსახური, თავადაც მიუტევებდა მათ ამ ადამიანურ სულმდაბლობას და სხვებსაც მოუწოდებდა სულგრძელობისაკენ, რადგანაც უფალი იესო ქრისტე მორწმუნე კაცს თვით მტერსედაც კი არ აძლევს შურისძიების ნებას. ცილისმწამებლებს სასჯელად ისიც ეყოფათ, „საკუთარი ხელით რომ სწერენ სიგელს თავისი ცოდვისასო“, – დაასკვნის ეპისკოპოსი.

ზოგიერთი ღვთისმოსავი, გაბრიელის აზრით, თავს იმით ინუგეშებს, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენია, ცოდვა არ აწევს კისერზე, რომ იგი „არ არის ქურდი, კაცის მკელელი, მემრუშე!“ (30, 26). ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნებისათვის საკმარისი არ არის. ნამდვილი ზნეობრივობა მხოლოდ მოქმედებაში, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებაშია. ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ზრუნაეს, ბევრად არ განირჩევა პირუტყვისაგან. მისი კაცური კაცობა იმ დღიდან იწყება, როცა იგი სხვათა ჭირისა და ლხინის

მო'სიარე ხდება. რაც'ა თავს ბედნიერად არ გრძნობს, თუ სხვები უბედურნი არიან.

'სოგიერთი კი თავს იმით იმართლებს, რომ მას'ხე უარესებიც არიან, რომ იგი არაა „ყოველთა უკ'ულესი", „...მადლობა ღმერთს, ჩემზედ უარესიც არიან (30, 26). ასეთი სიტ'ყვებით, გაბრიელის აზრით, პიროვნება სხვას აკნინებს, ამცირებს, თავის თავს კი სხვებზე მაღლა აყენებს და განადიდებს. „ეს თვისება არის შეურაცხყოფა, ანუ დაკნინება მოყვასისა, — წერს გ. ქიქოძე: — *არა ვარ ვითარცა სხვანი კაცნი* (კურსივი ქიქოძისაა — ნ. ბ). მე არ ვემსგავსები სხვათა კაცთა, მე სხვა'ზედ უმჯობესი ვარ, სხვანი ცუდნი არიან"-ო (30, 34).

კაცმა საკ'უთარი თავი მასზე უფრო ც'უდს კი არ უნდა შეადაროს, არამედ უფრო კარგს და მუდამ უნდა ცდილობდეს, დაემსგავსოს, მხარი აუბას მას.

ბიწ'იერების, უ'სნეობის ერთ-ერთ ნიშნად გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნია *ორპირობა, ფარისეველობა*. მისი ა'სრით, „ფარისეველობა... არის ერთი უსაშინელესთა და უმძიმესთა ცოდვათაგანი, რომელნი პბუდობენ გულსა შინა კაცისასა" (30, 29). მართალია, ზოგიერთი ადამიანის ფარისეველობა გარეშე თვალისათვის დაფარულია, მაგრამ ღმერთს არაფერი დაემალება. იგი ყველაფერს ხედავს და ამჩნევს. ამიტომაც მოძღვრავს გაბრიელი მრევლს: „ნუ ვითვალთმაქცებთ, ვიყოთ გულახდილნი და გულწრფელნი".

გაბრიელ ეპისკოპოსი სვამს კითხვას — რა არის ფარისეველობა? — და აქვე პასუხობს: — „ფარისეველობა ის არის, ძმაო, როდესაც კაცი შეპკრავს პირობას თავის სვინდისთან, როდესაც იგი შეურიგდება და დაუმეგობრდება სიცრუესა, დააწ'უმებს თვისს სვინდისსა და გრძნობას რომელითამე გარეგანითა, ყალბითა და ცრუთა სათნოებითა, როდესაც იგი ითმენს თავის ს'ულში სიმრუდესა, სიცრუესა, სიყალბესა..." (30, 38).

ფარისეველი, მლიქვნელი კაცი უფროსს, მისი გული რომ მოიგოს, პირში აქებს, პირს უკან კი აძაგებს. ამიტო-

მაც მიიჩნევს გაბრიელ ქიქოძე ფარისეველობას სულის წამწყმედ ბიწიერებად.

ფარისეველობის დიდ ცოდვას გაბრიელი იმაშიც ხედავდა, რომ მლიქვნელობითა და ორპირობით ადამიანს ჭეშმარიტების გზას ვაცდენთ და გონების თვალს ეუბნელებთ. მოყვასისათვის ნათქვამი მართალი სიტყვა კი, თუგინდ იგი მწარეც იყოს, დაეხმარება მას სნეობრივ გაკეთილშობილებასა და ცოდვებისაგან განწმენდაში.

თავის პირველ ნაშრომში „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" გ. ქიქოძე სინდისის განმარტებასაც იძლევა. მისი აზრით, სინდისი არის სნეობრივი თვითცნობიერება „და ის წარმოადგენს საკუთარ ქცევათა მოწონებას ან დაწუნებას და ამ საფუძველზე წარმოშობილ სიამოვნების ან უსიამოვნების გრძნობას" (32, 59).

გაბრიელ ქიქოძე აქვე ყურადღებას ამახვილებს უსინდისო კაცის დამახასიათებელ თვისებებზე. „ახლა გადავიდეთ სევნკენ და სევნში მოვეძებნოთ მაგალითები, – დასძენს იგი. – ვთქვათ, რომ შენ ხარ, ძმაო, ერთი ხელმწიფის მოსამსახურე, ანუ ჩინოვნიკი და საბელურად ქრთამს იღებ. სვინდისი კი გამხილებს, რომ არ ვარგა ეს, მაგრამ შენ ესრეთ აჩუმებ მას: რა ექნაო, ცოტა ჯამაგირი მეძლევაო, ცოლშვილს რჩენა უნდაო, სხვანი ხელზე უარესად იღებენო, სულელანი ასრე შერებიანო..." (30, 39).

მეორე ბიწიერება, რომელიც მოსდგამთ ადამიანებს, არის *ანგარება*. „ანგაარის მოყვარის კაცის საუნჯე არის ყერცხლი, ანუ სიმდიდრე და იგი ყოველსა თვისსა გულსა და ღონესა ხმარობს სიმდიდრის შეძინებისათვის, – წერს გაბრიელი, – დღე და ღამე ყოველთვის იმას ფიქრობს და იმას სრუნავს, რომ ფული შეიძინოს" (30, 65).

ყოველივე ზემოთქმული ცხოვრებაზე უარის თქმას როდი ნიშნავს, მაგრამ კაცმა სული არ უნდა წაიწყმიდოს, სნეობრივი სიწმინდე უნდა შეინარჩუნოს და იქროყერცხლს არ უნდა დაემონოს, რადგან „ამა სოფლის ყოველივე წარმავალი არის". ამ „ცრუ საუნჯისადმი" თაყვა-

ნისცემა და პირობა კი ადამიანს დააკარგვინებს ჭეშმარიტ ზეციურ საუნჯეს.

გაბრიელ მღვდელმთავარი სასჩივად გმობს ასევე ***ამპარტავნობას, ანუ ქედმაღლობასა და მედიდურობას***. ამპარტავნობის უმაღლეს ხარისხად კი მას მიაჩნია ქედმაღლობა და გულსვიადობა. „ყველა გრძნობათაგან, – წერს იგი თავის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში“, – ამპარტავნობა უახლოესი ნაშიერია საკუთარი თავის სიყვარულისა და რადგან არ არსებობს ადამიანი საკუთარი თავის სიყვარულის გარეშე, იშვიათია ადამიანი ამპარტავნობის გარეშე“ (32, 126).

გაბრიელის აზრით, ამპარტაყანი ადამიანი თავის თავს სხვას ადარებს და საკუთარ თავს ყოველთვის სხვებზე მაღლა აყენებს. „ხშირად მათხოვრებიც კი ტრაბახობენ ერთმანეთის წინაშე თავისი ძონძებით და აბუჩად იგდებენ ურთიერთს“, – წერს იგი (32, 126).

ჭეშმარიტი ზნეობრივი აღზრდის საფუძვლად გაბრიელ მღვდელმთავარი მიიჩნევს ***სიმართლისმოყვარეობასა*** და საქმეში ბეჯითობას, რომელსაც, მისი აზრით, უნდა დაეფუძნოს „გამოზრდა შვილთა“. ამ ორ თვისებაში ხედავს იგი როგორც ამქვეყნიური, ისე იმქვეყნიური ცხოვრების საფუძველს.

გაბრიელ ეპისკოპოსს ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა ***სიკეთის ქმნა,*** სამადლო საქმის კეთება. მოყვასისადმი სიკეთის ქმნა ყოველი ადამიანის დამახასიათებელი თვისება, შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს. ამაში იგი სიამოვნებას უნდა პოულობდეს, მაგრამ, გაბრიელის აზრით, „დიდი ბრძოლა და ძალისხმევაა საჭირო, რომ მიიყვანოთ თაყი ამ მდგომარეობამდე“ (32, 171).

ამასთან, სიკეთე კარგია მხოლოდ მაშინ, როცა პიროვნება მას „საკუთარი გულის კარნახით“, უანგაროდ ასრულებს, რადგან „თუ სიკეთეს მიზეზი აქვს, ის უკვე აღარ არის სიკეთე, თუ ამ სიკეთეს აქვს შედეგი – ჯილდო, ესეც აღარ არის სიკეთე“. (ლ. ტოლსტოი). ამიტომაცაა, რომ გაბ-

რიელ მღვდელმთავარი გმობს იმ ადამიანთა საქციელს, რომლებიც მათ მიერ „მდიდრულად და უხვად“ გაღებულ მოწყალებას ქვეყანას მოსდებენ, ბუკსა და ნაღარას დასცემენ, წარა-მარა ტრაბახობენ. ასეთი მოწყალება, მისი აზრით, თაყვის გამოსენების, ქება-დიდების მიზნით სრულდება. რაც უსნეო საქციელია, რადგან „სიკეთეს აფიშირება არ უყვარს“ (ნოდარ დუმბაძე).

პატიჟმოყვარეობით შეპყრობილი ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ქება-დიდება დაიმსახურონ და ნინ-მედლები მიიღონ მთავრობისაგან. სააშისოდ ისინი ყველა ღონეს მიმართავენ და პირად კეთილდღეობაზე ზრუნვას ყველაფერს სჯირავენ.

ზნეობრიულად სრულყოფილი ადამიანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნია *პატიოსნება*. მისი აზრით, „პატიოსნება ის არის, როდესაც კაცი ყოველთვის სიმართლით და გულწრფელად იტყვის, ყოველსა ალთქმას და პირობასა მოუკლებლად ალასრულებს, ეშინია და რცხვენია სიცრუის თქმა, მრუდედ და მზაკვრად მოქცევა“ (30, 439-440).

გაბრიელ ეპისკოპოსის სამართლიანი შენიშვნით, „პატიოსნება ისე არსად არის საჭირო, როგორც ალებ-მიცემაში, ანუ ვაჭრობაში“ (30, 442). მაგრამ, სამწუხაროდ, დასძენს იგი, ზოგიერთი მოვაჭრე სულაც არ ფიქრობს თაყვის სახელზე და რაღაც ორიოდე გროშში ცვლის თაყვის ღირსებას. „ძმაო, თუ შენი თაყვი გაქვს, თუ გსურს, რომ სხვებმაც პატივი გცენ, – წერს იგი, – დაიმარხე და გაამტკიცე საკუთარი შენი პატიოსნება! უძვირფასესი ქონება კაცისა არის პატივი; სიკვდილი გირჩევნიოდეს პატივის მოკლებასა; თუ ადამიანობა გსურს, შენი პატივი დაიმარხე პატიოსნებითა შენითა“ (30, 443-444).

ზნეობრივი სიწმინდე, კეთილშობილება, პატიოსნება ბავშვს უნდა ჩაენერგოს პატარაობიდანვე, რადგან ყველაფერი ბავშვობაში იწყება, „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ (სენტ-ეგზიუპერი). გაბრიელის აზრით, ბავშვს იმთავითვე ემჩნევა, საითკენაა მიმართული მისი პი-

როგორული ბუნება. „ღმერთი შენი არის ჩვენი, – წერს იგი, – შეატყობ მას, რომელ მის გულში არის ნერგი ყოველთა მომავალთა თვისებათა, მაშასადამე იქითგანვე უნდა იწყო მისი სწავლა და გამოზრდა, იქითგანვე უნდა მიაჩვიო ყოველსა კეთილსა და გარდაიჩვიო ყოველისა ბოროტისაგან“ (30, 343).

გაბრიელის აზრით, ყველა ის მანკიერი თვისება, რაც ადამიანებს ახასიათებთ, იმის შედეგია, რომ ისინი „სიყრმითგანვე იქცნენ მოკლებულნი კეთილ-გონიერსა ყურადღებასა და გამოზრდასა“. ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ნორჩის გულში სიკეთის ნერგმა იხაროს.

კაცი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს თავმოყვარე, საკუთარი თავის პატივისმცემელი, უნდა გააჩნდეს საკუთარი თავის ღირსების გრძნობა და თავი არ უნდა შეირცხვინოს სიცრუის თქმით. ასეთი კაცი სასარგებლოა ერისა და ქვეყნისათვის, „ხოლო ვინც მოკლებულია პატიოსნებითა, იგი არის ჭირი და შემაწუხებელი მოყვასთა თვისთა“ (30, 441).

მშობელთან ერთად, მოზარდებში პატიოსნების აღზრდაში არანაკლები როლი ენიჭება *მასწავლებელს*. „მასწავლებელმა მარტო წიგნი, ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფეს, – წერს იგი, – არამედ უწინარეს ყოვლისა პატიოსნება, შრომის მოყვარეობა“ (30, 14).

ზნეობრივი ადამიანის შემდეგ დამახასიათებელ თვისებად გაბრიელი მიიჩნევს *გულწრფელობას*. „ცხონებ, რომ უმჯობესი და ყოველად საქები ხრდილობა ის არის, როდესაც კაცი იქცევა გულწრფელად“, – წერს იგი (30, 31). ჭეშმარიტი ხნეობა მას ვერ წარმოუდგენია ღვთის რწმენის გარეშე.

ადამიანის შემდეგ ზნეობრივ თვისებად გაბრიელი მიიჩნევს *ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცეს*. „ყოველსა კაცსა, დიდსა და მცირესა, მდიდარსა და ღარიბსა, – წერს იგი, – უკეთუ ჰსურს, რომ იგი იყოს კაცი, ადამიანი და არა პირუტყვი, თავის თავის და ქვეყნის სასარგებლოდ უნდა ჰქონდეს სიმტკიცე და სიმაგრე ხასიათისა, ესე იგი იქცეოდეს თავის სინდისით და ჭკუით და არა სხვის შეგონებით.

კაცი, მოკლებული ხასიათისა სიმტკიცესა, ვერ მიეყრანს ბოლომდე ვერცა ერთსა უმცირესსა საქმესა“ (30, 126).

მოხარული თაობის ზნეობრივ აღორძინაში გ. ქიქოძე დიდ როლს ანიჭებდა იმ ***გარემოს***, რომელშიც ბავშვი იზრდება. „როდესაც ბავშვი შეიქმნება სამისა ანუ ოთხისა წლისა, ესე იგი, ფიქრი რომ აიდგა, თავის თავად შეიძლო სიარული, – წერს გაბრიელი, – ამ ჟამითგანვე დაწყებული იგი არის სრულიად თავისუფალი და აშვებული: დადის ყოველგან, დარბის ქუჩებში; რას ნახავს, რას გაიგონებს, რას ეკვეცა, რა ჰხსრი და თვისება გაუჩნდა, ამას არავინ იკითხავს... (30, 363-364).

აქედან გამომდინარე, გაბრიელი მოძღვრავს მშობლებს, რომ მათ უყურადღებოდ, ქუჩის ამარა არ მიატოვონ ბავშვები, რადგან მათი გაუწვრთნელი გონება „ყოველს ცუდს საქმეს“ შეითვისებს და „გახირწყნება“. „ბავშვს, როგორადაც მდაბიურად იტყვიან, – წერს გაბრიელი, – ჭკუა თვალში აქუს: რასაც ხედავს, იმას მიეჩვევა; რაც ესმის, იმას დაიმახსოვრებს“ (30, 364).

ამრიგად, გაბრიელის აზრით, ბავშვთა ოჯახურ აღზრდაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ***მშობელთა პირადი მაგალითი***. „სასუფეველი ღვთისა არს იმ სახლში, ანუ ოჯახში, – წერს იგი, – სადაცა ჰსუფევს მშვიდობა, ერთობა და სიყვარული, სადაცა მშობელნი ანჩენებენ შვილთა თვისთა კეთილთა მაგალითთა, შვილნი ემორჩილებიან და პატივს სცემენ მშობელთა თვისთა, ერთის სიტყვით, იმ სახლში, რომელიცა სიწმინდითა, სიმართლითა, ემსგავსება თვით ეკლესიას“ (30, 22). იმ ოჯახში კი, სადაც აღგილი აქვს ერთმანეთის შორის სიძულვილს, ურთიერთშეხლასა და მტრობას, – „ძმა ძმას ემტერება, მამა და შვილნი ყველარ სდგებიან ერთად: დედანი ხშირად სწყევლიან შობილთა თვისთა, ძენი ალარ ემორჩილებიან მშობელთა“ (30, 467), – წესიერი ადამიანი არ გაიზრდება.

გაბრიელი გმობს იმდროინდელი მშობლების მიერ შვილთა აღზრდის მეთოდს. „ჩვენში კარგად გაზრდილი ერმა ის არის, – წერს იგი, – რომელმან ისწავლა კარგად

თავის დაკვრა, კარგად შესვლა და გამოსვლა, სტუმრებთან დგომა და ჯდომა, შესაფერი ზრდილობიანი ლაპარაკი და პასუხის-გება, ერთი სიტყვით, რომელიც არის კარგი დარბაისელი, ამას ეახიან ჩვენში გაზრდას!" (30, 459). მაგრამ მღვდელმთავარს ასეთი აღზრდა არ აკმაყოფილებს. იგი თვლის, რომ გარეგნული თავაზიანობა მხოლოდ მაშინ არის საქები და პატივსაცემი, როცა იგი შერწყმულია შინაგან სულიერ სიფაქიზესა და სიკეთესთან. „თუ გსურს, ძმაო, რომ შენი შვილი გამოვიდეს კეთილი და ბეჯნიერი კაცი, – მიმართავს გაბრიელ ეპისკოპოსი მრევლს, – ორი საქმე ასწავლე მას, ორი თვისება დანერგე მის გულში. პირველად ეცადე, რაც შეგიძლია, რომ შენს შვილს შეაყვარო სიმართლე, მიაჩვიო გულ-წრფელობას... მეორედ, ეცადე და ყოველი ღონის-ძიება იხმარე, რომ შენი შვილი მიეჩვიოს ყოველს საქმეში ბეჯითობასა" (30, 460).

ამ უკანასკნელში გაბრიელ ეპისკოპოსი გულისხმობს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარს. მისი აზრით, ყოველმა ადამიანმა თავისი საქმე უნდა შეასრულოს „ბეჯითად და კეთილსინდისიერად". ამ ორ თვისებაში ხედავს იგი ზნეობრივი აღზრდის საფუძველს.

მშობლების უპირველეს მოვალეობად გ. ქიქოძე მიიჩნევს ბავშვებში ***შრომის სიყვარულის ჩანერგვას***, რადგან „მიწა და მამული გვაქვს ფრიად ნაყოფიერი, გარნა მაინც ღარიბნი ვართ". მისი აზრით, „ამ მშვენიერს მამულში რომ იდგნენ ვინმე უცხო თესლნი, ძრიელ მდიდარნი და გაკეთებულნი იქნებიან" (30, 468).

ამის მიზეზი, გაბრიელ ეპისკოპოსის აზრით, არის ის, რომ შრომა ზოგიერთებს, განსაკუთრებით კი დიდგვაროვანთა შვილებს, სასირცხო საქმედ მიაჩნიათ. „შრომა და მუშაობა არ დაამდაბლებს კაცსა, – გვასწავლის იგი, – არამედ უქმობა უმეტესად წაახდენს და დაამდაბლებს კეთილშობილსა წოდებასა" (30, 468).

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებში ყურადღებას ამახვილებს ასევე ***მოძღვრის პირად მაგალითზე***, მისი სიტ-

ქვისა და საქმის ერთიანობაზე. იგი წერს: „ეპისკოპოსი, რომელი სიტყვითა ასწავებს სიწმინდესა და მოითხოვს, რათა ყოველნი უბრალოდ და უბიწოდ ატარებდენ თვისს ცხოვრებასა, თვით პირველი უნდა აძლეოდეს მათ სახესა კეთილად ცხოვრებისასა, – არა თუ მხოლოდ სიტყვითა, არამედ საქმითაცა და ყოველითა ცხოვრებითა თვისითა“ (30, 2). ამის ჯეშმარიტი მაგალითი თვითონ იყო. „მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი იყო, – წერს ი. გოგებაშვილი. – ნამდვილი გულწრფელობა და სამართლიანობა ახასიათებდა ყველა მის ქცევას, მოქმედებას და მთელ მის ცხოვრებას. მის ბაგეს ერთი არამართალი სიტყვაც კი არასოდეს წამოსცდებოდა. ერთხელ, ერთმა მოსწაულემ იცრუა სემინარიის რექტორ არქიმანდრიტ იზრაილის წინაშე. რექტორი მოსწაულეს ეუბნებოდა: „როგორ არ გრცხვენიათ, ასე რომ ცრუობთ, აიღეთ მაგალითი თქვენი ინსპექტორისაგან, რომელშიც არავითარი სიყალბე არ არის“ (45, 160).

გაბრიელ ქიქოძე, ისე როგორც ქართველი სამოციანელები, იბრძოდა მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის. 1880 წელს ქუთაისში იანოვსკის ინიციატივით მოუსმენიათ მასწავლებელთა გაკვეთილები სხვადასხვა საგანში. მოსმენილი გაკვეთილების განხილვას, სხვებთან ერთად, გაბრიელ ეპისკოპოსიც დასწრებია. შეკრებაზე ცხარე კამათი გაჩაღებულა იმის შესახებ თუ რომელ ენაზე უნდა წარიმართოს სწავლება სკოლებში. გაბრიელს გაულაშქრია ქართულ სკოლებში ცალკეული საგნებისა და განსაკუთრებით, საღვთო სჯულის უცხო ენაზე სწავლების წინააღმდეგ. მას უთქვამს: „თუ სწავლა სკოლაში მშობლიურ ენაზე არ სწარმოებს, ფუჭია ყოველი შრომა და მეცადინეობა. არა თუ დაბალ კლასებში, გიმნაზიებშიც სწავლება სამშობლო ენაზე უნდა იყოს. რა დიდი შეცდომაა, როცა ზოგიერთების აზრით არა თუ სხვა საგნები, ასე გასინჯეთ საღვთო სჯულიც უცხო ენაზე უნდა ისწავლებოდეს“-ო (50, 274).

გაბრიელი წინ აღუდგა ასევე „მუნჯურ მეთოდს“ სწავლებაში, რომლის მიზანი იყო ქართული ენის სრული განდევნა სკოლებიდან. 1872 წელს მან გაილაშქრა გ. შუხრან-

ბატონის (მუხრანსკის) წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა ქართული ენის გაქრობის, მოსპობის გარდუვალობას.

როგორც დაინახეთ, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში დასმული ბევრი პრობლემა ისევე სასიცოცხლო მნიშვნელობისა და აქტუალურია დღეყანდელი ჩვენი საზოგადოებისათვის. რაგორც იმ პერიოდისათვის იყო, როცა ისინი წარმოითქვა. ამიტომ გაბრიელის ქადაგებებსა და შეგონებებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ცხოველმყოფელობა და არც არასოდეს დაკარგავენ. ამ შეგონებებზე იზრდებოდნენ და კვლავაც აღიზრდებიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები ჭეშმარიტ მამულიშვილებად, ერისა და ქვეყნის მსახურებად.

თ ა ვ ი X

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური ნააზრევი (1837–1907)

ყოველ ერს ჰყავს უსაყვარლესი შვილი, ყველასაგან გამორჩეული, ყოველმხრივ შემკული თავისი ღვაწლითა და მამულიშვილობით. ქართველი ერისათვის ერთ-ერთი ასეთთაგანია ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეცნიერსა, დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე *ილია ჭავჭავაძე* – ერის სულიერი მამა, „ყველა დროის საქართველოსათვის საჭირო კაცი“.

ილია ჭავჭავაძე არა მარტო სიტყვით იყო ქართველი ხალხის ჭირ-ვარამის მოზიარე, არამედ ამას იგი საქმითაც ამტკიცებდა. არავინ ისე ღრმად არ ჩასწვდომია ერისა და ქვეყნის საჭიროებას, როგორც ილია. XIX საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი თუ მოვლენა, რომელსაც მისი მადლიანი კალამი არ შეხებოდეს. ცხადია, იგი უეჭველად ბევრ არ ეწეოდა პედაგოგიკის პრობლემებსაც. მუდამ გვერდით ედგა იაკობ გოგებაშვილს და მასთან ერთად ხელმძღვანელობდა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებს, რითაც მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული პედაგოგიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების პრობლემები ილიას განხილული აქვს სტატიებში: „პედაგოგიის საფუძვლები“, „თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“, „ისევ განათლების საკითხებზე“, „ქალთა უფლების საქმე და ქალთა განათლება“, „ქალთა განათლების საკითხებზე“, „ჩვენი ხალხი და განათლება“ და მრავალი სხვა.

ი. ჭავჭავაძემ განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლებისათვის ბრძოლაში.

1871 წელს საქართველოში ჩამოსვლას აპირებდა რუსეთის იმპერატორი, ალექსანდრე მეორე. „თერგდალეულებმა“,

ილიას მეთაურობით, გადაწყვიტეს, რომ იმპერატორისათვის მისართმევ ადრესში შეეტანათ მოთხოვნა თბილისში უნივერსიტეტის გახსნაზე. მაგრამ თავადაზნაურებობის მარშალმა *რუკაზ ანდრონიკაშვილმა* თვითნებურად შეცვალა ეს გადაწყვეტილება და იმპერატორს წარუდგინა სხვა ადრესი, რომელშიც უნივერსიტეტის ნაცვლად თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნას ითხოვდა. ასეთმა მოღალატურმა საქციელმა ილიას დააწერინა პამფლეტი „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, რომლებშიც გამოააშკარავებული იყო მლიქვნელ თავადაზნაურთა სახეები.

ილიას არც შემდგომ შეუწყვეტია ბრძოლა საქართველოში უმაღლესი განათლების კერების დაარსებისათვის და მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე განაგრძობდა.

მართალია, ილია ჭავჭავაძემ ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმის პირობებში ვერ მოახერხა საქართველოში ქართული უნივერსიტეტის დაარსება, მაგრამ მან ამისათვის სათანადო ნიადაგი შეამზადა უნივერსიტეტის შენობის აგების ჩათვლით, რომელიც, ილიას ხელშეწყობით, განახორციელა მისმა მეგობარმა ნიკო ცხვედაძემ.

დიდი ილიას პედაგოგიკურ ნააზრევში ერთ-ერთი საპატიო ადგილი *ადზრდის მიზნის საკითხს* უჭირავს. ეს საკითხი ყოველთვის იდგა მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობის ყურადღების ცენტრში. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნეები დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და სხვები მოითხოვდნენ პიროვნების ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიულ განვითარებას, რაც ანტიკურ პედაგოგიკურ ლიტერატურაში გამოიხატა ფორმულით: „კალოს კაი აგათოს“, რაც ნიშნავს ჩინებულს გარეგნულად ანუ ფიზიკურად და შინაგანად ანუ სულიერად.

მოგვიანებით მსოფლიო პედაგოგიკის ფუძემდებელი, დიდი ჩეხი პედაგოგი ი. ა. კომენსკი ჰარმონიულ განვითარებას ადამიანის აღზრდის იდეალად მიიჩნევდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩენილმა გერმანელმა პედაგოგმა ი. ფ. ჰერბარტმა კი პიროვნების ცალმხრივი განვითარების იდეას დაუპირისპირა ადამიანის „ინტერესთა მრავალმხრიო-

ბის“ პრინციპი, რომელშიც იგი პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას გულისხმობდა.

პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების შესახებ ლაპარაკობდნენ ასევე რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი კ.დ. უშინსკი, ხოლო საქართველოში – ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვები.

ილია ჭავჭავაძე აღზრდის მიზანს უკავშირებდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს და მოითხოვდა ყოველმხრივად განვითარებული მოქალაქის თაობის აღზრდას, რომელიც შეძლებდა „ჩვენი დაცემული ეროვნების აღდგენას, ფეხზე დაყენებას და დაცვას ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“. მისი აზრით, „...ადამიანი უნდა იწ'ვრთვნებოდეს სკოლაში ყოველმხრივ: გონებით, ზნე-ხასიათით, სულითა და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს“ (143, 221).

ამ ამოცანის გადაჭრა, ილიას აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ახალგაზრდობის მიერ ფართო მეცნიერული განათლების დაუფლებით. მაგრამ ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის მარტო გონებრივი განვითარება რაღაა საკმარისი. ამასთან ერთად, საჭიროა მისი ***„ზნე-ხასიათის გაწვრთნა“***: „ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწ'რთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეერთებაა განუყრელად, – წერს იგი. – თუ კაცს არ ერთი აკლია, არ მეორე, იგი განათლებული არ არის...“ (143, 209). მისი აზრით, მოზარდ თაობაში მაღალი, კეთილშობილური გრძნობების გაღვივება უფრო მთავარია, ვიდრე გონების გამდიდრება ცოდნით.

დიდ ილიას გული წყდებოდა იმის გამო, რომ იმდროინდელ სკოლებში (და ახლაც) მთელი ყურადღება გადატანილი იყო მოსწავლის ცოდნით შეიარაღებაზე და მივიწყებული იყო მისი აღზრდა, „ზნე-ხასიათის წვრთნა“. „ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, – წერდა იგი. – რომ კატარა ბავშის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა

დასტიოს, ქნაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის“ (143, 213). ამიტომ ილია მოითხოვდა სწავლებისა და აღზრდის ერთიანობას, აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის დაცვას. ....სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთნიდეს კიდეც ბავშსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთნა და სწავლა ხელი ხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“ (143, 208), – გვასწავლის ბრძენი ილია.

იშვიათი რიდია შემთხვევა, რომ კაცი გონებრივად განათლებულია, მაგრამ ამავე დროს უზნეო და საზოგადოებისათვის ხელმეტი ბარგია. „საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს, – აღნიშნავს ილია. – ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობა მარტო ხანეხანისათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამდენადაც მეცნიერია და დიდი სწავლული, იმდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია“ (143, 208). ამიტომ, ილიას აზრით, განათლებულ უზრდელს გაუნათლებელი და ზნე-ხასიათგაწვრთნილი კაცი სჯობია.

აღზრდის პროცესში, გვასწავლის ილია, ბავშვის სულიერი ძალების განვითარებასთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მის *ფიზიკურ აღზრდასაც*. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ცალმხრივად განვითარებულ ადამიანთან.

ფიზიკური აღზრდის ძირითად მიზნად ილიას მიაჩნდა ჯანმრთელი, მხნე, სიძლიერეთა ამტანი, გამძლე, მებრძოლი და გმირული სულისკვეთებით გაჟღენთილი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც შეძლებდა ჩვენი ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოყვანას და მის ყოველგვარი გასაჭირისაგან დახსნას.

დიდ ილიას გული წყდებოდა იმის გამო, რომ იმდროინდელი სკოლები ამ ამოცანას თავს ვერ ართმევდნენ. „დავიწყებულია, – წერს იგი, – რომ კაცს ტანი და აგებულო-

ბაცა აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გალონიერდეს, გაჯანსაღდეს, გამაგრდეს...“ (143, 228).

ილია მოწარდი თაობის სულიერ განსჯებაში დიდ როლს ანიჭებდა ასევე *ესთეტიკურ აღზრდას*. ბუნებისა და ხელოვნების სიყვარული მას არა მარტო მხატვრული აღზრდის, არამედ ადამიანის გამაფაქიზებელ უღიდეს ძალად მიაჩნდა.

პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების ერთ-ერთ შემაღგენელ ნაწილად ი. ჭავჭავაძე მიაჩნევდა ასევე *შრომით აღზრდას*, რომელშიც იგი ძირითადად პროფესიულ განათლებას გულისხმობდა. ილია ძალზე კარგად გრძნობდა, რომ კაპიტალიზმის აღმავლობის პერიოდში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და ამის შედეგად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება მოითხოვდა ახალი კადრების მომზადებას. ამიტომ იგი ხარჯავდა პროფტექნიკური განათლების გავრცელებისა და სათანადო ტექნიკური კადრების მომზადებისათვის. ამიტომაც იყო, რომ იგი აღფრთოვანებული შეხვდა წინამძღვრიანთკარში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო მისიცე მეგობარი და სეხნია ილია წინამძღვრიშვილი.

ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებასა და საზოგადო მოღვაწეობას გეორგიანად ადგას ჭეშმარიტი *პუმანიზმი*, ნათელი მომავლისათვის მეღვარი ბრძოლის იდეა.

ილიას, როგორც ნამდვილ ქართველს, უყვარდა ქვეყანა და ამაყობდა რომ იგი „მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველია“. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან მიზნად დაისახა ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება და თამამად განაცხადა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ (142, 61). ამ სიტყვებით დიდი ილია გამოხატავდა თავისი მომავალი მოღვაწეობის პროგრამას, რომელიც მან შესანიშნავად გვიჩვენა ლექსში „პოეტი“. მასში იგი გაბედულად აცხადებს:

„მე ცა მნათობს და ერი მზრდის,

მიწიერი სულიერსა:
ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ,
რომ წარუვალნე წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხეველის
მისთვის ღვთის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წელელი მანდეს წყლულად,
მეწოლეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...“

პეტერბურგიდან, ოთხი წლის დაშორების შემდეგ, სამშობლოში მომავალი მწერლის გონება, ფიქრი და ოცნება ერთ საგანს დასტრიალებდა – ეს იყო სამშობლო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი: „როგორ შეეცვლები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემცვლება იგი მე... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?“ (140, 199).

სამშობლოში დაბრუნებული მწერლის მოსანი იყო – დავრდომილი ქვეყნისათვის სანუგეშო სიტყვა ეთქვა, ხალხში იმედის ნაპერწკალი მოენახა, ერთად შეეგროვებინა და ბრძოლის კოცონად ექცია. მხოლოდ მაშინ არ ჩათვლიდა იგი უქმად რუსეთში გატარებულ ოთხ წელს.

თავის უკანასკნელ ნაშრომებში, ასევე სიტყვითა და საქმით, ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა ადამიანობას, კაცურკაცობას, მოყვასის სიყვარულსა და პატიოსნებას. პუმანიზმში პოვა მან თავისი ცხოვრების საგანი და „წუთისოფლის სუფრაზე“ მიიტანა ის, რასაც „ჟამი ითხოვდა“. მაგრამ ილიას სიყვარული ოთარაანთ ქვრივის სიყვარულსა ჰგავს. „...ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე. – ამბობს იგი. – სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან“ (140, 535).

ი. ჭავჭავაძის პუმანიზმი, ჭეშმარიტი, ხალხური პუმანიზმია. იგი ქადაგებდა არა ყველას, არამედ მხოლოდ მშრო-

მული. ბედისაგან დაჩაგრული ადამიანის სიყვარულსა და დაფასებას.

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს –
ეგ ცეროფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, –
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“ – ამბობს პოეტი.

მისი აზრით, ჰუმანისტმა ადამიანმა წესად უნდა აქციოს და ყოველდღე თავს ჰკითხოს – „აბა მე დღეს ვის რა ვარგე“-ო. ეს ჭეშმარიტი ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილება და იდეალი უნდა იყოს, სხვაგვარად მოქცევა მას არ უნდა შეეძლოს. ასე იქცევა სინდისიერი, ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანი, რომელსაც სიკეთე ყოველდღიურ მოთხოვნილებად აქვს გადაქცეული. ასეთი ადამიანი ზნეობრივად იქცევა მაშინაც კი, როცა იგი მარტოა და არავინ უთვალთვალებს, ამასთან, დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს არც ამ საქმის კეთების დროს და არც მის შემდეგ. ილიას აზრით, ასეთ ადამიანს „ნამუსის მეტი სხვა არაფერი აქვს გასაფრთხილებელი და შესანახი“.

დიდი ილიასათვის ადამიანის სიყვარული მარტო ეკონომიკური დახმარება და ქველმოქმედება როდია, არამედ ეს არის ადამიანისადმი მხარდაჭერა, მისი ძალების რწმენა, მისი პიროვნების პატივისცემა, საჭიროების შემთხვევაში კი, მისთვის თავდადებაც. კეთილი სიტყვა, უფრო მეტი, კეთილი საქმე უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის მეგზური ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფრის მაქნისი ვიქნებით ქვეყნისათვის, ხალხისათვის – ვერც ვერავის გავიტანთ და არც არავინ გაგვიტანს.

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. საზოგადოებაში ცხოვრება მისი არსებობის ფორმაა, მაგრამ ერთია საზოგადოებაში ცხოვრება და მეორე – საზოგადოებისათვის ცხოვრება. ყველა ჩვენგანი ცხოვრობს საზოგადოებაში (იშვიათი გამონაკლისის გარდა), როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პიროვნებები, მაგრამ ყველა როდი ცხოვრობს საზოგადოებისათვის. ლუარსაბ თათქარიძეც ცხოვრობდა საზო-

გადოება'ში, ადამიანებთან ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ იგი არ ცხოვრობდა სა'ზოგადოებისათვის, რადგან მას სხვებისათვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებია, ჩხირიც არ გადა'ბრუნებია. ამიტომ იგი არ იყო სოციალური, სა'ზოგადოებრივი არსება. ადამიანის ნამდვილ სოციალურობას დიდი ილია მხოლოდ სხვა ადამიანებისადმი სამსახურსა და თავდადებაში ხედავდა, ლუარსაბი კი მხოლოდ საკუთარ კუჭზე ზრუნავდა. სხვა დარდი და საფიქრალ-საზრუნაო მას არ გააჩნდა. ამ საქმეში ლუარსაბს საკადრის პარტნიორობას უწევდა მისი მეულლე დარეჯანი. ამიტომ იყო, რომ „დღეს რა ვჭამოთ", – იტყოდნენ დილით. „ხვალ რა ვჭამოთ", – იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის სა'ხრდო, ეს იყო იმათი გონების ა'რჯი'ში, ეს იყო იმათი ა'სრის აღებ-მიცემა", – დასძენს ილია (140, 308).

ი. ჭავჭავაძის ა'სრით, ჭეშმარიტი ადამიანის ვალია, ემსახუროს ხალხს. 'შენ ისევე უნდა ი'ხრუნო ჩემ'ზე, როგორც მე 'შენ'ზე. „სხვა 'შენთვის და 'შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა", – ამბობს „კლარნეტის ნაამბობის" ერთ-ერთი პერსონაჟი, კერძოდ, საინოებითა და კაცთმოყვარეობით აღსავსე მღვდელი. ვისაც ეს არ ესმის, ის ზნეობრიულად უვიცი და სა'ზოგადოებისთვის ზედმეტი ბარგია. რაკი ადამიანი სა'ზოგადოების წევრია, იგი ვალდებულია თავისი ცხოვრების მიზნად სხვა ადამიანებისადმი სამსახური გაიხადოს, იფიქროს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ იმა'ზეც, თუ ვის რა'ში გამოადგეს, ვის რა სიკეთე უყოს. ეს მისი ადამიანური ვალია. სიკეთის ტვირთი 'შეძლებისდაგვარად ყველამ უნდა ზიდოს, ვისაც ღმერთმა ამ წუთისოფელ'ში ცხოვრება არგუნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მის ამქვეყნად არსებობას ფასი არა აქვს.

„ყეფხისტყაოსნის" ჭეშმარიტი გმირი, ავთანდილი ეუბნება ასმათს: „კაცი ვარ, ადამიანი". დიდი ილია კი სვამს კითხვას: ლუარსაბიც კაცია, ადამიანია? და იძლევა პასუხს: არა, ის კაცი, ადამიანი არაა, რადგან მას არაფერი სასიკეთო საქმე არ გაუკეთებია ადამიანებისათვის, სხვას არაფერში გამოდგომია, ხალხისთვის სასარგებლო არაფე-

რი შეუქმნია. ლეარსაბი მხოლოდ ცოცხლობს და არ ცხოვრობს, რადგან არავითარ მატერიალურ და სულიერ ღირებულებას არ ქმნის. ის იმიტომ ცოცხლობს, რომ სვას და ჭამოს და იმიტომ ჭამს, რომ იცოცხლოს. ასეთი კაცი ცხოველია და მეტი არაფერი.

ბრძენი ილიას კონცეფციით, საზოგადოებისათვის არსებობა ნიშნავს შენი ცხოვრების მიზნად აქციო სხვა ადამიანებისადმი სამსახური; იფიქრო არა მარტო საკუთარ სიამოვნებაზე და განცხრომაზე, არამედ იმაზეც, თუ ვის რაში გამოადგე, ვის რა სიკეთე გაუკეთო. „გლახის ნაამბობის“ იგივე პერსონაჟი ასე ახასიათებს კაცს: კაცი ის არის, ვინც „თითონ დამწყარა, ხლაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გაუნათებია. კაცი ის არის..., რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს“ (140, 391).

ჭეშმარიტ პუმანისტს ერთი შეხედვით უნდა შეეძლოს მეორე ადამიანის წუხილისა და დარდის გაგება, ჭირვარამის თვალებში ამოკითხვა. იგი მუდამ მზად უნდა იყოს, დახმარების ხელი გაუწოდოს დავრდომილსა და გაჭირვებულს, გული გაუთბოს დადარდიანებულ და დამწუხრებულ ადამიანს, რომელსაც ჰაერივით სჭირდება სხვისი თანაგრძნობა და გამხნევება. მან კარგად უნდა იცოდეს, რომ ადამიანი „იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი“ (138, 7-8). მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც საკუთარი „მე“-ს გარდა არაფერი იციან, დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ, ვის რა წააგლიჯონ. „სიტყვა ხომ არაფერია და კაცს არაფრად ულირს, – ამბობს ილია, – მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ – მოძმესათვის ისიც არ ემეტება“ (140, 396). ამიტომ ილია ჭაჭავაძე მოითხოვდა ბავშვებში პატარაობიდანვე კეთილი გრძნობების – სხვათათვის სიხარულის მინიჭების, სხვების გულის გათბობისა და მათი სიხარულით გახარების უნარის გამომუშავებას,

რამეთუ, მისი აზრით, „ჭეშმარიტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა“. ამიტომაც მიმართავს იგი ახალგაზრდობას: „თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი ნერგი დარგე, რომ სვალეშა მადლობით სთქვას: ნანერგითა შენით მარგე“.

ზოგიერთები თავს იმით ინუგეშებენ, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენიათ, ცოდვა არ აწევთ კისერზე. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ზნეობრივად სრულქმნილი პიროვნებისათვის საკმარისი არ არის. ადამიანი, რომელიც არაფერს აშავებს, მაგრამ არც სასიკეთო საქმეს აკეთებს და მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით ამოიწურება, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება. ნამდვილი ზნეობრიობა მხოლოდ მოქმედებაში, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებაშია. ეს აზრი კარგად აქვს გამოხატული ილიას მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ლუარსაბი ევედრება ღმერთს შვილი მისცეს: „წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, – რაზედ ვარისხებ ღმერთსა?“ – კითხულობს იგი. დიდი ილია კი ღმერთის პირით პასუხობს: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, – ესეც კარგია... მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?“ (140, 308). შენ მხოლოდ საკუთარ კუჭზე ზრუნავდი, საღილზე რომ კარგად გამოძღებოდი, იკითხავდი: „ამაღამ ვახშმად რა გვაქვს?“ – ეს იყო შენი მთავარი საზრუნავი და სადარდებელიო, – მიანიშნა თავისი პასუხით ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბსა და მისთანებს.

უცელაზე დიდ მანკიერებად ადამიანში ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა გულგრილობა. „თვალებზე ხელის მიფარება“. მისი აზრით, ვისაც ადამიანის სიკეთე სურს, იგი დაუნდობლად უნდა ებრძოლოს უსამართლობას, ბოროტებას, ადამიანებში ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერებას, მაგრამ ამ ბრძოლაში იარაღს კი არ უნდა იყენებდეს, სისხლს კი არ უნდა ღვრიდეს, არამედ სიბრძნესა და სულგრძელობას იშველიებდეს.

„კეთილი ყარაღ უფარე, შენთვის ბოროტის მდომსაო“, – გვმოძღვრავს პოეტი, რადგან მან კარგად იცის, რომ შურიანი, ბოროტი კაცი ისეთივე საბრალოა, როგორც ფიზიკურად მახინჯი, იგი სულით მახინჯია. ამიტომაც წერს იგი:

„გებრალებოდეს, ნუ ჰკიცხავ,
კაცს შენზე შურით მწყდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე,
ცოდვის გუბეში მდგომსაო“.

ასე და მხოლოდ ასე უნდა ჩაქროს კაცთმოყვარე ადამიანმა ავისმსურველთა გულში დანთებული სამსაკვრო ცეცხლი და დააშროს „ცოდვის გუბე“. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის წინსვლა-განვითარება შეუძლებელია.

პიროვნების ხნეობრივ სრულყოფაში ილია ჭავჭავაძე, ჰუმანიზმთან ერთად, დიდ როლს ანიჭებდა *პატრიოტიზმს*. „ეროვნულ-პატრიოტული გრძნობას, – წერდა იგი, – დიდი ხნის ხრუნვა, ყურის გდება და ეროვნულება სჭირდება“. ჭეშმარიტი პატრიოტიზმი ღრმა ადამიანური გრძნობაა და იგი არასოდეს არ გულისხმობს სხვა ეროვნების ხალხებისა და მათი ზნე-ჩვეულებებისადმი უდიერ დამოკიდებულებას და შეუწყნარებლობას. ამიტომაც ამბობდა იგი: „ეხლანდელ დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად არ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვისა და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველი პატიოსანი და გონებაგახსნილი კაცისაგან“ (10, 304-305).

ილიას აზრით, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი უკვდავია.

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს ღვენია,
მკვდრად ისა თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

ყოველმა ადამიანმა უნდა აკეთოს ის საქმე რისი „შემძლებელიც“ არის. ასეთი ადამიანის განსახიერებაა „ქართველის დედა“. როცა იგი გაიგებს, რომ „ხალხი აზვირთდა,

ხალხი აღსდგა. ხალხი მოჭმელებს", უმალ იგიჟებდა სიბერეს, დედაშვილურ სიყვარულს და თავის ერთადერთ პირმშოს. რომლითაც უდგას „ძლურის ტანში უძლური სული", მამულის დაცვისათვის საბრძოლველად მოუწოდებს: „აჰა, ამ ღვინოვის გაგიზარდე. მამულო, შვილი, სიცოცხლე მიქვს. რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი", – ამაყად აცხადებს იგი. ამით ქართველის დედამ საკუთარ, პირადულ, დედაშვილურ სიყვარულზე მაღლა მამულის სიყვარული დააყენა. მაგრამ ეს არ მოსწყარა უმტკივნეულოდ. ფაქტობრივად დედამ სამშობლოს არა მარტო შვილი, არამედ საკუთარი თავიც შესწირა. რადგან, შვილის ფრონტზე გასტუმრების შემდეგ, სული განუტევა.

სამშობლოსათვის თაყვანდების ბრწყინვალე მაგალითს გვიჩვენებს ილია ასევე პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული". როცა ახალმა ცოლმა დიმიტრის შემოუთვალა: „გამოცხადდი ჩემ-წინ შენო, თუ არ მოხვალ, შენ ქვეყანას ნაცარ-ტუტას ავადენო", მეფე დიმიტრი არჩევანის წინაშე დადგა. დაეკმაყოფილებინა ცოლის თხოვნა და გამოცხადებულიყო მასთან, თუ თავი გადაერჩინა და სამშობლო გაეწირა.

მეფე თავისუფალი იყო ამ არჩევანში. მას შეეძლო აერჩია ერთიც და მეორეც, მაგრამ მან სამშობლოს გაწირვას საკუთარი თავის გაწირვა ამჯობინა. როცა იგი სამგზავროდ გამზადებული დიდებულებთან ერთად ხალხის წინაშე წარსდგა, ხალხი მას ცაი-ცაშითა და ტირილით შეხვდა. ამ დროს ბრბო გაირღვა და მეფემ დაინახა, რომ თეთრწვერა მოხუცი, რომელსაც ორი ვაჟკაცი ბიჭი მხრებში ამოდგომოდა, მისკენ მობაჯბაჯებდა. იგი მეფის წინ შეჩერდა და ამ უკანასკნელს სთხოვა. ცაენთან წასვლაზე უარი ეთქვა და ვაჟკაცურად შებრძოლებოდნენ მტერს.

„აჰა, მეფეე, ორი ბიჭი, მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივე ჩემი შვილი არი, ერთი მეორეს მჯობია;
მიირთვი და ინაცვალე, ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფეე, გაჩვენებენ, რა ლომებს პზრდის ქართლის ბუდე".

აქაც ისეთივე თავგანწირვაა სამშობლოსათვის, როგორც „ქართველის დედაში“. ამ ბერიკაცის თავდადება დიმიტრი თავდადებულის საქციელზე ნაკლები როდია, რადგან საკუთარი შვილების გამეტება სასიკვდილოდ უფრო ძნელია, ვიდრე თავის გაწირვა.

ასეთივე პოზიციაა გამოხატული ლექსში „ნანა“. დედამ კარგად იცის, რომ „უკვდავი არის შვილი, მამულისთვის მომკვდარი“. ამიტომ იცი თავის შვილს აკვნიდანვე უნერგავს იმ აზრს, რომ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი და სათაყვანებელია სამშობლო, მამული. როცა საქმე არნევანზე მიდგება, ჭაშმარიტმა ალამიანმა სამშობლო უნდა დააყენოს ყველაზე წინ.

„მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია!..“ – ამბობს პოეტი.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ ნააზრევში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ასევე ***შრომითი აღზრდის*** საკითხს. ეს საკითხი დღეს ძალზე აქტუალური და თანადროულია, რადგან ჩვენი ქვეყანა უკანასკნელ ხანს ეკონომიკურად დაუძლურებული და სხვისი ხელის შემყურედაა ქცეული. სხვისი ხელის შემყურეობას კი, დიდი ილიას აზრით, არასოდეს ხეირი და სიკეთე არ მოუტანია არც ცალკე კაცისა და არც მთელი სახოგადოებისათვის. გაჭირვებიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა მხოლოდ თავდადებული შრომა და გარჯაა. და ამ საქმეში, საკუთარი თავის გარდა, ვერაფინ გვიშველის, ვერაფინ დაგვეხმარება. „კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, – წერს ილია, – აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკანავის, ღვთის გულისათვის მი'შველე რამეო, იგი მთხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი. ამისთანა კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისეც იმავე დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამადლოდ გამოხსნამდე იყო“ (143, 275). ამიტომ ილია ჭავჭავაძე თაყვანს სცემს და აიდეალებს მშრომელ კაცს, საქმის ამხენსა და შემოქმედს, ვისაც „წუთისოფლის სუფრაზე“ საკუთარი კერძი თვითონ მოაქვს. სწორედ

ასეთი შრომაა „პატიოსანი, ნამუსიანი და ისეთივე თავმოსაწონებელი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო".

ილია მოუწოდებს ახალგაზრდობას, შეეშვას „ტკბილ მამა-პაპურ ძილს", თავი დაანებოს სხვისი იმედით ცხოვრებას და საქმეს მოჰკიდოს ხელი, რამეთუ უმოქმედობას, მოლუნებულ ცხოვრებას, ისე როგორც ზოგიერთ კაცს, ხავსი ედება, მხოლოდ მარადიული მოძრაობა არის „ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი". თვით გენიალური აზრებიც კი კარგავს ღირებულებას, თუ ისინი საქმეში არ იქნა გამოყენებული. აზრი, თუ ის ნამდვილი და სწორი აზრია, გვასწავლის ბრძენი ილია, საქმეში უნდა გადავიდეს, მატერიალურ ძალად უნდა იქცეს.

ი. ჭაჭავაძის აზრით, შრომა არა მარტო მატერიალური და სულიერი ღირებულების საფუძველია, არამედ ზნეობრივადაც ამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანს, რადგან ჭეშმარიტი მშრომელი არასოდეს იკადრებს არასაკადრისს. სწორედ ბეჭითმა და პატიოსანმა შრომამ აქცია ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი სულით მდიდარ და ზნეობრივად სუფთა ადამიანებად. ისინი არა მარტო თვითონ შრომობენ, ღვრიან ოფლს, არამედ სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებენ: „დაგიღია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი ღვენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო... რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლაეები!.." — არცხვენს მათხოვარს ოთარაანთ ქვრივი (140, 451).

როცა ილია შრომის გარდამქნელ, გამაკეთილშობილებელ ძალაზე ლაპარაკობს, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა და არა იძულებითი, მონური შრომა. შრომა იმ შემთხვევაში აამაღლებს და განაკაცებს ადამიანს, როცა იგი თვით ადამიანის საკუთარი ზრახვებითა და მრწამსითაა ნაკარნახევი, როცა ადამიანი თვით არის ამ საქმის წამომწყებიცა და მოთავეც. ასეთი შრომა ფრთებს ასხამს ადამიანს, დარდს ავიწყებს და ხვალინდელი დღის იმედით ავსებს, მონური შრომა კი უხალისოა და უნაყოფო, ხოლო ადამიანის ღირსება — გა-

თელიელი. ამიტომაც იყო, რომ ილია სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა „შრომის ახსნისათვის“ და გულწრფელი სიყვარულით უმღეროდა შრომის შვილებს, ხოლო ლუარსაბ თათქარიძესა და მისთანებს, რომლებსაც „ყაფუკი ხელები გულ'სე დაეწყოთ და გაიძახოდნენ, გვასვით და გეაჭამეთო“, სამარცხვინო ბოძ'ზე აკრაელა.

დიდი ილიას ა'ხრით, ლ'უარსაბი და მისთანანი „არც თავიანთი სიცოცხლით 'უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ“. ისინი ცხოვრობენ მხოლოდ იმისთვის, რომ სვან, ჭამონ და მარტო საკუთარ თავ'ზე იფიქრონ, ქვეყნის სატკივარი და ადამიანების საზრუნავი კი მათთვის არ არსებობს.

ყოველივე ზემოთქმ'ულიდან გამომდინარე, ილიას მიხედვით, „ა'ხრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო: ჟამი რას ითხოვს“ და აკეთო ის საქმე, რაც შეგიძლია.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ერთერთი საპატიო ადგილი *მშობლიურ ენაზე სწავლების როლისა და მნიშვნელობის* დასაბუთების საკითხს უჭირავს. მისი სამართლიანი მტკიცებით, „არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული – ენაა“ (144, 213); იგი არის ერის სულიერი ცხოვრების მატიანე, ის დედაძარღვი, რითაც ადამიანი თავის ერს უკავშირდება. უდედაენოდ არ არსებობს ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული კულტურა, ეროვნული ა'ხროვნება და თვით'შეგნება; ენაშია ხალხის ხსოვნა, მისი ისტორია, მისი აწმყოცა და მომავალიც. მისი დაცემა კი მა'შინ იწყება, გვასწავლის ილია, როცა თავდება წარსულის ხსოვნა. ეს ჭეშმარიტება კარგად იცოდნენ იმათ, ვისაც პატარა ერების მოსპობა სურდა. ამიტომ იწყეს სკოლაში ეროვნული ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის განკ'უთვნილი საათების თანდათანობით შემცირება და ბოლოს თითქმის ნულამდე დაიყვანეს.

ჩვენდა საბედნიეროდ, „თერგდალეულები“, ქართველი სამოციანელები, ქედმოუხრელად ებრძოდნენ შავრაზმელებს მ'შობლიური ენის დცვ'ნის გამო, რომელთა შორის, როგორც ყოველთვის, პირველი იყო ილია ჭავჭავაძე. იგი ღრმად იყო

დარწმუნებული იმაში, რომ „უცილოდ-ენოდ გონების გახსნა ბავშისა ყოველად შეუძლებელია“.

მშობლიური ენა არის ადამიანთა ურთიერთობისა და აზროვნების საშუალება. უცხო ენაზე სწავლება ადამიანში ახშობს სიტყვისა და აზრის სრულყოფილად გამოთქმის შესაძლებლობას, რადგან კაცი უცხო ენას ისე ვერ დაეუფლება, ისე ვერ გაითავისებს, რომ ამ ენაზე შეძლოს სრულყოფილად აზროვნება. უცხო ენას კაცი ისე მოირგებს, როგორც „სხვის ტანზედ შეკერილ ტანისამოსს“, – ამბობს ილია.

თავისი აზრის გასამტკიცებლად ილია ჭავჭავაძე ხშირად იშველიებს გამოჩენილი კლასიკოსი პედაგოგების – ი.ა. კომენსკის, ჰ. პესტალოცის, ა. დისტერვეგის, კ. დ. უშინსკისა და სხვათა მოსაზრებებს. მათზე დაყრდნობით ილია მიიჩნევს, რომ ახალი უნდა ისწავლებოდეს ძველის მეშვეობით, შორეული მასლობლით, უცნობი ცნობილით და ამ საქმეში შუამავლის როლი მშობლიურმა ენამ უნდა შეასრულოს; ამიტომ ყოველი ეროვნების ბავშვი თავის დედაენაზე უნდა იწყებდეს როგორც მეტყველებას, ისე სწავლას. ამასთან, დედაენა ყველამ ძალიან კარგად უნდა შეისწავლოს, რადგან მისი ჭეშმარიტი ცოდნა ააღორძინებს მშობლიურ ენაზე სხვადასხვა საგნის შესწავლას.

1876 წელს გორში გაიხსნა საოსტატო სემინარია, ანუ, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმისთანა სასწაულებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელნი სკოლის სახალხო სასწავლებელთათვის“ (143, 229), მაგრამ სემინარიის დირექციას ქართული ენა ამოუღია სასწავლო გეგმიდან, მაშინ როცა მასში 50 მოსწავლიდან 31 ქართველი ყოფილა. თავისი მზაკვრული ჩანაფიქრის გამართლების მიზნით, სემინარიის ხელმძღვანელობას იმერლები, გურულები, ფშაველები და საქართველოს სხვა კუთხის შვილები ქართველებად არ ჩაუთვლია, რითაც 31 ქართველი მოსწავლიდან მხოლოდ 13 უცქერია ქართველად. ამაზე აღშფოთებული ილია ჭავჭავაძე 1877 წელს თავის ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“ ათავსებს სატირულ წერილს „ვიცინოთ

თუ ვიტიროთ“, რომელშიც იგი ირონიულად შენიშნავს: დირექტორს (ს. ი. დიევარს – ნ. ბ.) უფიქრია, „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხავენ ოც-და-თერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკიეთო. ის არა სჯობია, ესთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო“. ძალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?“ – კითხულობს ილია (143, 230).

ამაზე სემინარიასთან არსებულა მოსამზადებელი კლასი (პროსემინარია), რომელიც ქართველებისთვის ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ მის მეორე განყოფილებაში ქართულს საერთოდ არ ასწავლიდნენ. „შესაძლებელია, – წერს ილია, – რომ გორის სემინარიის გამგეობას ქართულის ენისათვის დრო არა ჰქონდეს, რადგანაც გვარ-ტომობის გამოკვლევას ეგრე წარჩინებულად შესდგომია თავის-და სასახელოდ და იმ გამოკვლევაშია გართული. ჩვენ აქ არა გვეთქმის-რა, მაგრამ ქართულს სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ – ეს მაინც-და-მაინც დაუჯერებელია. ჩვენ მარტო ამას ვკითხულობთ: ამაზედ ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?“ (143, 230).

მართალია, პროსემინარიის პირველ განყოფილებაში, სადაც მასწავლებლად მუშაობდა ვინმე ნათიევი, რუსულის პარალელურად ქართულიც ისწავლებოდა, მაგრამ ნათიევი მოსწავლეებს ქართულ სიტყვებს რუსულად აწერინებდა, თურმე, რისთვისაც მას „ჩვენის ხმების გამოსახატავად“ შემოუღია თხუთმეტამდე ისეთი ნიშანი (ასო), რომელიც „რუსულს ანბანს აკლია“. ყველაფერ ამაზე ილია ირონიულად მიმართავს ბავშვებს: „ვაი თქვენი ბრალი, საწყალო ბავშვებო! არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები, რომ „ნათიაური“ ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ, არ გამოსჭირნილიყო?! ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?“ – სულამს კითხვას ავტორი და იქვე ამატებს: „მეცხრამეტე საუკუნეში, ესე აშკარად სამასხაროდ საქმე გამხდარა სადმე?“ (143, 232).

ილიას კრიტიკამ სასურველი შედეგი გამოიღო: გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი ს. ი. დიყარი 1878 წლის ივლისში გაათავისუფლეს თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნეს კ.დ. უშინსკის იდეების მიმდევარი, პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი დიმიტრი სემიონოვი*, რომელმაც ამ თანამდებობაზე 1884 წლამდე იმუშავა და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. 1879 წლის სექტემბრიდან მან სემინარიაში შემოიღო ქართული ენის სწავლება და პირველ მასწავლებლად მოიწვია პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ქართული ენის სახელმძღვანელოების ავტორი არისტო ქუთათელაძე, 1881 წლიდან კი – მიხეილ ყიფიანი, ხოლო 1883 წლიდან 1915 წლამდე (გარდაცვალებამდე) გორის საოსტატო სემინარიაში ქართულ ენას ასწავლიდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლომოური.

დედაენაზე სწავლებას ილია ჭავჭავაძე „ჭირთა ამხსნელ სახსარს", „კეთილდღეობის მომფენ საშუალებას" უწოდებდა. ამიტომ იყო იანოვსკისაგან დაჟინებით მოითხოვდა ქართულ სკოლებში სწავლების მშობლიურ ენაზე წარმართვას.

როცა ილიამ იანოვსკის დარწმუნება ვერ შეძლო სხვა ხერხს მიმართა: მოითხოვა დაწყებითი სკოლის კურსის სამი წლიდან ექვს წლამდე გაზრდა, სადაც პირველ სამ წელს სწავლება მშობლიურ (ქართულ) ენაზე იქნებოდა და ამით სკოლა თავის ძირითად მოვალეობას შეასრულებდა, ხოლო მეორე სამ წელს, როცა ბავშვები მშობლიურ ენაში კარგად გაიწაფებოდნენ, – რუსულ ენაზე, მაგრამ იანოვსკიმ ილიას ეს მოთხოვნაც ყურად არ იღო. თავის უარს იგი იმით ასაბუთებდა, რომ ასეთი სკოლები რუსეთში არ არსებობსო. მაშინ ილიამ სცადა, დაერწმუნებინა იგი, რომ მშობლიური ენა არის უცხო (ამ შემთხვევაში რუსული) ენის შესწავლის საფუძველიო, მაგრამ იანოვსკის ამის გა-

---

* *დიმიტრი სემიონოვი იყო კ. დ. უშინსკის სიძე, მისი ქალიშვილის – ოლღას ქმარი.*

გონება არ სურდა, რადგან მისიისს არსებობდა მხოლოდ ერთი მიზანი – ქართული ენის განდევნა როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, ისე ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლიდან.

ქართველთა გადაგვარებისაკენ მიმართული მეფის რუსეთის პოლიტიკა მთელი ძალით მოქმედებდა. ილია და მისი გუნდის წევრები კი ფარ-ხმალს არ ყრიდნენ. ისინი გამუდმებით იბრძოდნენ მეფის შავრაზმელი მოხელეების მიერ შელანძღული ქართული ენის აღდგენისათვის, მაგრამ იმ პირობებში, რომელშიც მათ მოღვაწეობა უხდებოდათ, საკურველი მიზნის მიღწევა ძალზე ძნელი იყო.

მიუხედავად ამისა, დიდი ილია ერთი წუთითაც არ კარგავდა იმის იმედს, რომ დადგებოდა დრო და ქართული ენა კვლავ აღსდგებოდა, კვლავ მოიპოვებდა ჩვენს სკოლებში თავის პირვანდელ უფლებას, ქართველი ხალხი კი ელირსებოდა ნანატრეროვნულ თავისუფლებას, რაშიც განსაკუთრებული როლი ეროვნულ სკოლას უნდა შეესრულებინა.

„ივერიის" თანამშრომლის, ა რ ტ ე მ ა ხ ნ ა ზ ა რ ო ვ ი ს გადმოცემით, ერთხელ დავით ერისთავს ილიასთვის უთქვამს:

„ – ილია, ამ ქართულს გაზეთს ტყუილად აკლავ თავს. ქართველ ხალხს, რაკი იგი რუსეთს ჩაუვარდა ხელში, ვერაფერი იხსნის რა, ეს ას მილიონიანი ხალხი შთანთქავს ერთ მუჭა ქართველობას და ქართული ენა მოისპობაო.

ილიამ უპასუხა:

– ეგ არასოდეს არ მოხდება, საქართველომ საუკუნეთა განმავლობაში გარშემორტყმულ და მოსლვაეებულს სპარსეთსა და ოსმალოებს დაახწია თავი, ღღემდე მოიტანა თავისი ენა და კულტურა და დარწმუნებული ვარ, რომ ეხლაც თავს გაიტანს" (8, 299).

დაწყებით კლასებში ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნით ილია რუსული და სხვა უცხო ენების შესწავლის წინააღმდეგ კი არ გამოდიოდა, არამედ საჭიროდ მიიჩნევდა მათ შესწავლას დაწყებითი სკოლის შემდეგ, როცა ბავშვები მშობლიურ ენაში კარგად გავარჯი-

შებეჭდილი იქნებოდნენ. „ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, – წერდა იგი, – როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწურთნილი იქნება“ (145, 209). მან კარგად იცოდა, რომ „უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ძნელად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა“ (143, 195). მისი აზრით, თუ ამას არ გავითვალისწინებთ და ერთდროულად დავაწყებინებთ ორივე ენის შესწავლას, მაშინ ბავშვი ამაოდ დაშვრება და ვერც ერთს შეისწავლის და ვერც მეორეს. იანოვსკიმ კი ყოველივე ეს „დაიწყო“ და ილიას ცილი დასწამა, თითქოს იგი სკოლიდან რუსული ენის განდევნას მოითხოვდა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ილია მკაცრად ილაშქრებდა ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ, იგი თავგამოდებით მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდებს, მშობლიურ ენასთან ერთად, საფუძვლიანად შეესწავლათ უცხოური ენები, განსაკუთრებით კი რუსული ენა, რომელსაც თავად ბრწყინვალედ ფლობდა. რუსულ ენას იგი „გონების საზრდოს“ უწოდებდა. ამასთან, იგი არ უარყოფდა იმ დიდ ზემოქმედებას, რაც რუსულმა ლიტერატურამ ქართველი ახალგაზრდების ფორმირებაზე მოახდინა. „თქმა არ უნდა, – წერდა ილია, – რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ... რუსულმა სკოლამ – მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორ წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა“... (143, 277-278).

ილია ჭავჭავაძეს საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე ***ენის განვითარებისა და მისი სიწმინდის***

დაცვის საკითხებზე. იგი გაბედულად იცავდა მშობლიურ ენას არა მარტო ცარიზმის რუსი მოხელეების მიერ აბუჩად აგდებისაგან, არამედ იმ ქართველებსაც არ ინდობდა, ვინც უდიერად ექცეოდა მშობლიურ ენას. მისი აზრით, „ენა სალეთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოლქმილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (142, 25). ამიტომაც იყო, რომ მან 1861 წელს, საქართველოში დაბრუნებისთანავე, ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რეჟას შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილი“-ს თარგმანისაგან“. მასში ახალგაზრდა პოეტმა მკაცრად გააკრიტიკა ძველი თაობის წარმომადგენელი რევაზ ერისთავი იმის გამო, რომ მან უხეიროდ თარგმნა კოზლოვის ისედაც უსუსური პოემა „შეშლილი“. ილია აღშფოთებულია იმით, რომ რ. ერისთავმა თავისი თარგმანით შეურაცხყო ის ენა, რომელზედაც დაიწერა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და სხვათა ლექსები. „გვიკვირს, – წერს იგი, – კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია!..“ (142, 15).

ამავე წერილში ილია ჩააგონებს საზოგადოებას: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“ (142, 25).

ი. ჭავჭავაძის აღნიშნულმა სტატიამ ააფორიაქა და ფეხზე დააყენა მთელი იმდროინდელი საქართველო. ვისაც წერა ემარჯვებოდა, თითქმის ყველამ გამოთქვა თავისი აზრი ამ წერილის შესახებ. ზოგი მას იწონებდა, ზოგი კი მკაცრად აკრიტიკებდა. ილიას საპასუხო წერილები გამოაქვეყნეს „მამათა“ მხრიდან: გიორგი ბარათაშვილმა, ბარბარე ჯორჯაძემ, ალექსი-მესხიშვილმა, ექვთიმე წერეთელმა, გენ. გიორგი ერისთავმა და სხვებმა, ილია ჭავჭავაძეს კი მხარი დაუჭირეს აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა, კირილე ლორთქიფანიძემ და ახა-

ლი თაობის სხვა წარმომადგენლებმა. გაკრიტიკებული რევა'ს ერისთავი თავს იმით იმართლებდა, რომ კოსლოვის პოემა დიდი ხნის წინ ვითარგმნეო. ბოლოს იგი ილიას მისამართით წერდა: „მამული, სარწმუნოება და ენაო", – მეოთხეს – ჩვენი წინაპრების ნაანდერძევ 'სრდილობას კი ივიწყებსო. 'სრდილობაზე ერისთავი იმიტომაც ამახვილებდა ყ'ურადღებას, რომ იმ დროს ილია მხოლოდ 24 წლის იყო და უფრო მეტი მორიდება გმართებს 'უფროსებისადმიო, – ჩააგონებდა რევა'ს ერისთავი.

'ემოთ ნახსენებ ტრიადაში (მამული, ენა, სარწმუნოება) ილია ენას მეორე ადგილ'ე აყენებს, მაგრამ მან ძალიან კარგად იცოდა, რომ მამულისა და ერის გადარჩენის ძირითადი გზა ენაა. ამიტომ იგი შემდგომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილ'ე ქართული ენის გადარჩენისა და მისი აღორძინებისათვის იბრძოდა.

ენის სიწმინდის დაცვა ყველას ვალია, რაც მამათა თაობამ ვერ შეძლო. ილია საყვედურობს „მამებს":

„ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?!
შიშით – არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად...
ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოდვად გვითელით ჩვენ,
რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!" (141, 112-113).

დიდ ილიას ენა წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც 'სრდისა და განვითარების კანონებს ემორჩილება. „კაცის ენა, – წერდა იგი, – კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ 'სრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი 'სრდაში ვიცვლებით ხოლმე..." (142, 37). ამ ცვალებადობისა და გარდაქმნის მიზეზად ილია მი-

იწრეს ხანდაზმულობას და ენაში უცხო სიტყვების შემოჭრას, რასაც ვერც ერთი ენა თავს ვერ დააღწევს და ეს არცაა სასურველი, რადგან ამის გარეშე ენა ვერ განვითარდება. ასე გამდიდრდა და განვითარდა ქართული ენაც. ამიტომ ილია მოითხოვდა არა მარტო უცხოური ენების შესწავლას, არამედ ქართულ ენაში უცხო სიტყვების შემოტანასაც. იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ვერც ერთი ენა ვერ განვითარდება და გამდიდრდება, თუ მან მონაწილეობა არ მიიღო ენების შორის არსებულ ალებ-მიცემობაში. მაგრამ ცალკეულ ენებს შორის ასეთი კავშირურთიერთობა მას დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ მაშინ, როცა მსესხებელ ენას თავის ლექსიკურ ფონდში სანაცვლო სიტყვა არ გააჩნია და უცხო სიტყვისა და გამოთქმის გადმოღება აუცილებლობით არის გამოწვეული. ილიას აზრით, „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს". ამ აზრის მოწინააღმდეგეების საყურადღებოდ იგი წერდა: „ინგლისის ენაში თითქმის ნახევარი სიტყვები ფრანგულია, მოდით და წინ გადაუდგეს ან ენაწმინდა ქართველი, ან ენაწმინდა სომეხი და დაუვიროს, — ჩვენ გვჯობიყართო" (144, 45).

ილია ჭავჭავაძეს, როგორც ტიპურ განმანათლებელს, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენის", ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარ საშუალებად მიაჩნდა მომავალი თაობის მომზადება ცხოვრებისთვის, მისი შეიარაღება სათანადო მეცნიერული *ცოდნითა და სწავლა-განათლებით*. „ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის ულონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენის უბედურებისა, — უმეცრება და უსწავლელობაა", — წერს იგი (144, 244).

განათლება დიდ ილიას მიაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდამქმნელ, რევოლუციურ ძალად, რომელიც ბორკილებიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზაა. სხვა „არა ღონე არ ექნება გაუნათლებელ კაცს თავისი ჯაჭვის დასამტრევად", — ამბობს იგი.

ილიას სამართლიანი მტკიცებით, საქართველო, „ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანასელ უფრო მდიდარია, უფრო საკვსეა“, მაგრამ მაინც ღარიბები ვართ, იმიტომ რომ „არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია, ...საიდამ რა ამოვიღოთ“. დიდი მწერლის აზრით, ამისათვის საჭიროა ცოდნა, განათლება. „ეხლანდელს დროში, – წერს იგი, – ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“ (144, 399). მისი აზრით, „მცოდნე კაცი...ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოესვენება“ (143, 269).

აი, ამიტომაც იყო, რომ ბრძენმა ილიამ ცოდნის მნიშვნელობის დასაბუთებას და ამ აზრის ხალხში გაერცელებას მთელი სიცოცხლე შეალია. თავის მრავალრიცხოვან სტატიებში იგი თავგამოდებით მოუწოდებდა ქარველ ახალგაზრდობას ცოდნის, სწავლა-განათლების დაუფლებისა და ამ ცოდნის ერისა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენებისაკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლებლად მიაჩნდა „ხალხის სიღარიბიდან გამოყვანა“. ილია ცდილობდა ერი დაერწმუნებინა, რომ მცოდნე და განათლებული კაცი ყველა სიძნელეს ადვილად დაძლევს. „პატარა ბავშიც კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერი ცოდნა აქვს, – წერს იგი, – ძლიერია უცოდინარს გოლიათზედა და უფრო შემძლებელი

ქვეყნის შეგნებული ნაწილი კარგად გრძნობს განათლების მნიშვნელობას, მაგრამ არიან ისეთი გადაგვარებული ადამიანებიც, აღნიშნავს ილია, რომლებიც სრულებით არ გრძნობენ განათლების საჭიროებას. ისინი „ბევრს არ იცემენ თავში, – რატომ სწავლა არა მაქვსო“. სწორედ ასეთი იყო ლუარსაბი, ვისი აზრითაც, ადამიანი ძირგაყვარდნილი ქვეყრია, რომელშიც ყოველდღე უნდა ყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ ვერ უნდა აავსო.

აი, როგორ მსჯელობს იგი: „დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა, ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენ შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვე-

ღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, – ეგ ხომ ქალის საქმეა" (140, 274).

ლუარსაბის სახით ილია ჭავჭავაძემ გვიჩვენა, თუ რა დონემდე შეიძლება დაეშვას გაუნათლებელი და შეუგნებელი ადამიანი. ამისთანა კაცი ცხოველია, რომელიც მხოლოდ ჭამა-სმაში ხედავს ცხოვრების აზრს. მას ბიოლოგიური მოთხოვნილების გარდა, სხვა რამ უფრო მაღალი, უფრო ღირებული სოციალური მოთხოვნილებანი არ გააჩნია. ამიტომაც იყო, რომ ბრძენმა ილიამ ლუარსაბსა და დარეჯანს შვილი არ მისცა, რათა მათი ფესვი და ჯილაგი საერთოდ ამოეგდო ჩვენი ცხოვრებიდან. ისინი ისე წაიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ მას თავიანთი კვალი ვერ დააჩნიეს, წაიდნენ ისე, თითქოს არასოდეს მოხულან ამქვეყნად.

ქართველები, განსაკუთრებით თავადაზნაურები, ნაკლებად ეტანებოდნენ სკოლებსა და სასწავლებლებს „ცოდნისა და სწავლა-განათლების კარის გასაღებად", მაშინ როცა სხვა ეროვნების წარმომადგენლები ამ მხრივ დიდ გულმოდგინებას იჩენდნენ. 1979 წელს ილია წერდა: „წელს... კლასიკურს გიმნაზიაში ოც-და-ერთმა ყმაწვილმა კაცმა დაასრულა კურსი. ამ ოც-და-ერთში, ჩვენ სამწუხაროდ და, უკეთ ესთქვათ, საუბედუროდ, არც ერთი ქართველი არ ურევია" (145, 183).

უკეთესი მდგომარეობა არც შემდგომ წლებში ყოფილა. თბილისის რეალურ სასწავლებელში, აღნიშნავს ილია, „გასულ წელს (იგულისხმება 1888 წელი. – ნ. ბ.) ... ყოფილა სულ 358 შეგირდი და ამათ შორის ქართველი მხოლოდ 27, მაშინ როდესაც რუსი ყოფილა 138, სომეხი – 136, გერმანელი – 24, პოლშელი – 16, თათარი – 10, ბერძენი – 4 და ებრაელი – 3. მოდით და გული ნუ დაგეწვით მწუხარებით ამისთანა ამბის გაგონებისაგან!" (143, 271), – დასძენს იგი.

ილიას აზრით, ამის მიზეზი ქართველთა უმეცრებაა და არა სიღარიბე, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებდნენ. „ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მო-

სული გერმანელი-კი იმოდენად მდიდარია, რომ შვილების გაზრდის ხარჯსაც პშოულობს და სახლობასაც გაუჭირვებლივ კეებავს. რათა?" (143, 272), – სვამს კითხვას ბრძენი ილია და თვითონვე პასუხობს, რომ გერმანელმა კარგად იცის სწავლის ფასი, ჩვენ კი არაო.

მართალია, ი. ჭავჭავაძე პიროვნების ფორმირებაში დიდ როლს ანიჭებდა თეორიულ ცოდნას, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებლად მიაჩნდა ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის აღზრდაც, რაც მარტო წიგნების კითხვით არ მიიღწევა. „არც უწიგნობა ვარგა, – წერდა იგი, – და არც მარტო წიგნებიდამ გამოხვლეკა. უწიგნოდ თვალთახვლეკის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის" (140, 487).

ილიას აზრით, ცოდნა, სწავლა-განათლება თავისთავად დიდი ძალაა, მაგრამ, იგი რეალურ ძალად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა ქვეყნის შენებისა და გარდაქმნის საქმეში გამოიყენება. ამიტომაც იყო, რომ იგი ყველგან და ყოველთვის, როცა განათლების საკითხებს ეხებოდა, მტკიცედ იცავდა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის იდეას. იმდროინდელი ბავშვები კი ვერ ახერხებდნენ თავიანთი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, რადგან სკოლაში სწავლება ძირითადად მათთვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და იძულებული იყვნენ ყველაფერი დაესპირებინათ.

ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების მიზნით, ილია მოითხოვდა საქართველოს შორეულ და ჩამორჩენილ სოფლებში პირველდაწყებითი სკოლების გახსნას. ამ მხრივ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ახლადშემოერთებული აჭარის მიმართ. სწორედ მისი თაოსნობით გახსნა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1881 წელს პირველი ქართული სკოლა ბათუმში.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ***მასწავლებლის როლისა და დანიშნულების საკითხს.*** ეს საკითხი მას განხილული აქვს თავის მრავალ ნაშრომში, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევა ეტიუდი „უცნაური ამბავი", რომლის მთავარი

პერსონაჟია სემინარიის კურსდამთავრებული *სოლომანი.* იგი გატაცებით ლაპარაკობს ბავშვის აღზრდაზე და ამ საქმის სირთულეზე. ეს იმიტომ, რომ „ბავშის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა... ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია". ამიტომ ამ „საიდუმლოთა საიდუმლოს" ამოხსნა ყველას არ ძალუძს. ამისათვის საჭიროა ფართო პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური განათლება და, რაც მთავარია, ბავშვების ღრმა და გულწრფელი სიყვარული. „თუ წერთნა გინდა ბავშისა, – წერს ილია, – იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ" (145, 455).

პიროვნების ფორმირებაში, ილია ჭავჭავაძე იმდენად დიდ როლს ანიჭებს პედაგოგს რომ თამამად აცხადებს:

„სწავლას ნურას დააბრალებთ,
თუ ვერ იქმნა შეილი წვრთნილი,
ცემა გმართებთ გაბრდელისა,
რა ყრმა ნახოთ ავად ზრდილი".

ილია ჭავჭავაძის აზრით, ბავშვებთან დამოკიდებულებაში მასწავლებელს მოეთხოვება თავშეკავება, ზომიერება და ტაქტი. ამის ნათელი მაგალითია მის მიერ მოხმობილი ერთი საგულისხმო მაგალითი:

ახალგაზრდა კაცი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობას იწყებს ერთ-ერთ სასწავლებელში. პირველი გაკვეთილის ჩატარება მას მოუხდა კლასში, რომელშიც ბავშვობიდან ერმობაში გადამდგარი მოსწავლეები იყვნენ თავმოყრილი. ახალი მასწავლებელი კლასს წარუდგინა სკოლის დირექტორმა. მასწავლებელმა „ორიოდა თბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს". ახალი მასალის ახსნისას მას დაფა დასჭირდა და როცა წერას შეუდგა, რომელიღაც მოსწავლემ უკანა რიგებიდან დაღეჭილი ქაღალდი ესროლა, რომელიც, ილიას სიტყვებით რომ ეთქვათ, დაფას „ხელ დააჯდა". მასწავლებელმა, თითქოს არაფერი მომხდარაო, წერა განაგრძო, ისე რომ უკან არ მოუხედავს. როცა წერას მორჩა, იგი მაშინ შებრუნდა მოსწავლეებისკენ და მიმართა: „მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისი ცელ-

ქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი რომ შეიტყო, – ვინ იცის, მეც კაცი ვარ – იქნება გული იმისი ჯავრი ჩაიყოლიო და ჯავრმა (ღმერთად თუ ბეჯერად იმას) გული ამაყრეინოს“ (145, 322). მაგრამ მიკვირს, რაღომ ჩქარობთ, იქნებ თქვენთვის საყვარელი მასწავლებელი გამოეყდეს. ჯერ კარგად გამიცანით და შემდეგ გამიკითხეთო.

მოსწავლეებში ჩურჩული ატყდა. ბოლოს ერთ-ერთი მათგანი წამოდგა და მასწავლებელს ყველას სახელით პატიება სთხოვა, თან აღუთქვა, რომ ასეთი რამ მომავალში არ გაიმეორდებოდა. მასწავლებელმაც სულგრძელობა გამოიჩინა და დავიწყებას მისცა ეს უსიამოვნო შემთხვევა.

ბოლოს ილია დასძენს: „ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირობა გრამატიკისა,თუ სხვა რისამე ამისთანისა“(145, 323).

ილია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სოფლის მასწავლებლებს, მოითხოვდა მათი საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. რამეთუ, მისი აზრით, ისეთ პირობებში მუშაობა, როგორშიც სოფლის მასწავლებლები მუშაობდნენ, „თაყვის გაწირვაა“.

დიდი ილიას პედაგოგიკურ ნააზრევში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ***ოჯახური აღზრდის საკითხს*** უჭირავს. ოჯახს ის „ყმაწვილთა აღზრდის პირველ ძირს“, პირველ კერას უწოდებს.

ილიას აზრით, „ბავშში სათაყვანო, დასაწყისია დიდის ადამიანისა“, რა თვისებებსაც ჩაეყრება საფუძველი მის გრძნობა-გონებაში ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე, ის თვისებები გაღვივდება და განვითარდება მასში. ამიტომ, სანამ გვიან არ არის, გვაფრთხილებს დიდი მწერალი, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რათა ჩვილობაშივე არ შევურყიოთ ნირი და ზნე, არ აყამლყრიოთ ის სათაყვანო, რომელიც ოჯახში იწყება.

დედების მიერ თაყვანთი უშუალო მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის ილია მოითხოვდა მათ მიერ აღსრ-

დის ხელოვნების დაუფლებას და გონების ჭეშმარიტი ცოდნით შეიარაღებას.

ცოდნის შეძენასთან ერთად, მშობლებმა კარგად უნდა შეიგნონ ის საპასუხისმგებლო მისია, რაც მათ აკისრიათ. რომ „...შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა... გაზრდა შვილისაკი ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შეეწიროთ, ამას უნდა შეეალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დაიკლოთ და ყოველივე ნაწვაც-ნადაგი, ყოველივე ამაგი... ამას უნდა შევახმაროთ“ (145, 352-353).

მაგრამ ბავშვის სწორად აღზრდაში მარტო მოვალეობის ღრმად შეგნება და სურვილი არაა საკმარისი. ამასთან ერთად, „მზრდელი ყრმისა“ „კაი კაციც უნდა იყოს“, რამეთუ აღზრდაში ისე არაფერი ფასობს, როგორც აღმზრდელის პირადი მაგალითი, მისი მორალური სახე. ამიტომაც ამბობდა ილია: „ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის“ (145, 342). თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილი იმთავითვე ჭკვიერ ადამიანად გავზარდოთ და სწორ გზაზე დავაყენოთ, მას ლიტონი სიტყვებით კი არ უნდა ვმოძღვრავდეთ სიკეთეზე ან მამულიშვილობაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საქმით, საკუთარი პირადი მაგალითით უნდა ვზრდიდეთ.

ბავშვის ოჯახურ აღზრდაში დიდი ილია გადამწყვეტ როლს დედას აკისრებს. იგი თაყვანს სცემს და აიდეალებს იმ ძველ დედათა აჩრდილებს, ვინც „უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“ და მოუწოდებს თანამედროვე ქალს – „ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“.

ასეთი დედის განსახიერებაა „ქართველის დედა“, რომელმაც თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა და თავადაც სული განუტევა.

მაღალი სულის ადამიანი, ჭეშმარიტი დედაა ასეთე ოთარაანთ ქვრივი. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა შრომისმოყვარეობა. იგი „მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდამ სალამომდე არ დადგებაო“, – ამბობენ ქვრივის მეზობლები. ამიტომ იყო, რომ მან ქმრისაგან დატოვებულ დოვლათს არა თუ დააკლო რამე, არამედ მიუმატა კიდეც.

ოთარაანთ ქვრივის ჭეშმარიტი დედობა მაინც ყველაზე მეტად მის დედაშვილურ სიყვარულში მჟღავნდება. მიუხედავად იმისა, რომ მას ერთადერთი სიმწრით გაზრდილი შვილი ჰყავს და მზე და მთვარე მასზე ამოსდის, თავის ამ უკიდეგანო სიყვარულს შვილს არ აგრძნობინებს, ზოგიერთებიეით ზედმეტად არ ეალერსება, შრომას არ არიდებს და ყველა მოთხოვნას არ უსრულებს.

იმისათვის, რომ ოჯახმა ქარმატებით გაართვას თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას, გვასწავლის ილია, მას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს სკოლასა და მასწავლებელთან. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს იგი, ჩვენი პედაგოგები სკოლისა და ოჯახის კავშირის განმტკიცების ნაცვლად, „ეურჩებიან იმას, რაც კი სკოლისა და ოჯახის კავშირის დამკვიდრებას შეელის“ (144, 236).

და ბოლოს, სკოლასა და ოჯახთან ერთად, მოზარდი თაობის პიროვნებად ჩამოყალიბებაში ილია ჭავჭავაძე დიდ როლს აკისრებს იმ გარემოს, იმ საზოგადოებას, სადაც ამ თაობის აღზრდა მიმდინარეობს. ეს იდეა ყველაზე უკეთ გამოკვეთილია მოთხრობაში „სარჩობელაზედ“. ამ ნაწარმოებში ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ ორი ახალგაზრდა ძმა ავაზაკობასა და „სარჩობელამდე“ მიიყვანა საზოგადოების უყურადღებობამ, ცუდმა საზოგადოებრივმა გარემომ და აღზრდამ. ამიტომ დიდმა ილიამ „თოკის ყულფში იმ ბიჭთან ერთად თავი გააყოფინა მთელ იმდროინდელ საზოგადოებას, რომელმაც ეს ბიჭი ნებსით თუ უნებლიეთ ქურდობისა და დანაშაულის გზაზე დააყენა“ (ა. გეწაძე). „ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგეძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ

ბოლო... განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთადერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!" (140, 258 და 260), — მიმართავს ჩამოხრჩობილის ძმა მეურმე პეტრეს, რომელსაც უმუალოდ არაფითარი ბრალი არ მიუძღვის მისი ძმის ჩამოხრჩობაში, მაგრამ, როგორც სასოგადოების წევრი, მორალურად მაინც პასუხისმგებელია მის წინაშე.

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად რთული პერიოდის მიუხედავად, ვაჟკაცურად გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება და მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ატარა ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელი და ეროვნული დროშა, რომელიც მას ქართველმა ხალხმა გადასცა, როგორც თავის სულიერ მამასა და წინამძროლს.

კითხულობ ილია ჭავჭავაძის ღრმააზროვან სიტყვებს და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ეს სიტყვები ჩვენს დროში იყოს დაწერილი. ამიტომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ზემოქმედების ძალა და ცხოველმყოფელობა, ერის სამსახურის დიდი გრძნობა. პირიქით, ილიას ლექსები, პოემები, მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები, რომლებზეც ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობა აღიზარდა, დღესაც ერთგულად ემსახურებიან სამშობლოსა და ხალხს, დღესაც გვაღელვებენ, გვეხმარებიან და გვასწავლიან სიკეთეს, სიყვარულს, პატიოსნებასა და ზნეობრივ სიწმინდეს.

თ ა ვ ი XI

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილი (1840-1912) იმ უკვდავ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სახელს დრო-ჟამი ვერაფერს დააკლებს. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება მისდამი სიყვარული და ინტერესი. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდ ქართველ მოღვაწეთა შორის გოგებაშვილს პირველს დაუმკვიდრა ხალხმა განმანათლებლის სახელი. ეს იმიტომ, რომ იაკობის ა'ხროვნება არ ყოფილა შემოფარგლული მხოლოდ პედაგოგიკის პრობლემებით, იგი სცილდებოდა მას და ღრმად იჭრებოდა პოლიტიკისა და ფილოსოფიის სფეროში. იმ დროის საქართველოს ცხოვრებაში არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი თუ მოვლენა, რომელსაც ამ დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის მადლიანი კალამი არ შეხებოდეს, მაგრამ იგი მაინც ცნობილია როგორც პედაგოგი, საბავშვო მწერალი და ქართული ენის დედაბოძი. მას ისტორიამ წილად არგუნა, საქართველოში ყოფილიყო მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი და შემოქმედი. იაკობამდე საქართველოს არ ჰყოლია ესოდენ ფართო ჰორიზონტისა და დიაპაზონის მქონე პედაგოგი – მოაზროვნე, რომლის სახელს განუყრელად დაუკავშირდა სახალხო განათლების დარგში გადადგმული ყველა ნაბიჯი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული და მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთებით დამთავრებული. ცნობილი ქართველი პედაგოგი ილია ბახტაძე წერდა: „...მცდარია ვინც ფიქრობს, რომ იაკობ გოგებაშვილი მოკვდა. იაკობ გოგებაშვილი არ მომკვდარა, ის ცოცხალია. საზოგადო მოღვაწე არ კვდება, ერისათვის თავდადებული პირი არასოდეს არ იშლება ხალხის მეხსიერებაში. იაკობმა თავისი შრომით ქართველი ხალხის გულში ხელთ-უქმნელი ძეგლი აიგო. არ მოკვდება იაკობი, სანამ იარსებებს საქართველო, არ მოკვდება იაკობი, სანამ ქარ-

თქვლები იქნებიან, არ მოკვდება იაკობი, სანამ იარსებებს და არ მოკვდება ჩვენი დედა-ენა“ (9).

იაკობი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, როგორც თვითონ აღნიშნავს, თავგამოღებით იცავდა „თვითმმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას, დედა-ენაზე, ქართული ეკლესიის განთავისუფლებას, ანუ ავტოკეფალიას, ქართლის ტერიტორიის გადასვლას ქართველის გლეხების ხელში და სხვ“. (47, 583). ამ რწმენისათვის მას არასოდეს უღალატია და ქართველი ხალხისთვის ხურგი არ შეუქცევია. იგი მუდამ ერთხელ არჩეული გზით დადიოდა და ამაში ოდნავადაც არ შემცდარა. მისი გაკვალული გზის სისწორე თვით ცხოვრებამ, პრაქტიკამ დაადასტურა. „ის იყო განსახიერება სამშობლოს წმინდა სიყვარულისა, მამულიშვილის მთლიანი ტიპი, – წერს ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე *სამსონ ფირცხალავა*. – მან არ იცოდა ყოყმანი და ორჭოფობა მშობელი ქვეყნის ინტერესების საკითხში. ყველაფერს ქართველი ხალხის სარგებლობის თვალით უყურებდა... იგი აღმსრდელი იყო ჩვენი არა მარტო წიგნებით და საგაზეთო წერილებით, არამედ თავის მაღალზნეობრივი პიროვნებით“... (117, 44).

გოგებაშვილი სანთელივით იწვოდა ხალხისათვის. იგი გმირული შემართებით ებრძოდა ყველას, ვინც კი შეეცდებოდა გადაღობებოდა ქართველი ხალხის კულტურულ წინსვლას, განათლებასა და ეროვნულ განვითარებას. იოსებ იმედაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, იაკობი „სამშობლოს სადარაჯოზე ისე იდგა კალმით, როგორც ერეკლე მეორე მტრის წინააღმდეგ ხმალამოღებული“ (70, 255). თუ რაიმე პოლიტიკის შესახებ წამოიჭრებოდა საკითხი და გაზეთში პასუხის გაცემა იქნებოდა საჭირო, მაშინვე ყველა ი. ჭავჭავაძეს მიაპყრობდა თვალს, ხოლო როცა სწავლა-აღზრდის საკითხზე მიდგებოდა საქმე, ი. გოგებაშვილს დაუწყებდით ცქერასო, წერს ცნობილი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია (69, 330).

იაკობ სიმონისძე გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს გორის მაზრის სოფელ ვარიანში. იაკობის მამა

სოფლის ღარიბი მღვდელი იყო, რომელსაც 8 შვილი (6 ვაჟი და 2 ქალიშვილი) ჰყავდა. იაკობი 8 წლამდე სოფელში იზრდებოდა. თანატოლთაგან იგი გამოირჩეოდა თავისი გონებამახვილობით, სიმკაცრცხლით, გულკეთილობით, მუსიკალური ნიჭითა და სხვა დადებითი თვისებებით. ეს თვისებები მას მთელი სიცოცხლის მანძილზე თან გაჰყვა და გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში. არანაკლები როლი ითამაშა ამ საქმეში ასევე მისმა მშობლიურმა სოფელმა. აი, როგორ აგვიწერს დიდი პედაგოგი თავის სოფელსა და იქ გატარებულ ბავშვობას: „პატარაა და ღარიბი ვარიანი, მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარს. მიყვარს იმის გამო, რომ იქ დაიბადე, იქ ვიხილე სინათლე მზისა, იქ გაატარე ბედნიერი დღეები ჩემი ბავშვობისა, იქა ვტკბებოდი მშობლების, ძმების და ღების სიყვარულით, იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი; იქაურ მწვანე ტყე-ველს ალტაცებაში მოვყავდი; იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშობელი ხალხი. იქვე სასაფლაოზე მარხიან ჩემი ძვირფასი დედამამა, ძმები, ნათესავები“ (49, 18).

8 წლის იყო იაკობი, როცა მშობლებმა გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ მალე თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს, რომელიც მან 1855 წელს წარჩინებით დაამთავრა და იქვე სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა. 1860 წელს იაკობი ასევე წარჩინებით ამთავრებს სემინარიას და მშობლების სურვილით ერთი წლის შემდეგ სწავლას აგრძელებს კიევის სასულიერო აკადემიაში, მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა მარტო აქ მოსმენილი ლექციები და აკადემიის პარალელურად ესწრებოდა საბუნებისმეტყველო ციკლის საგნების ლექციებს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში ი. გოგებაშვილი გაეცნო რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და მსოფლიოს კლასიკოსი პედაგოგების – იან ამოს კომენსკის, ჟან ჟაკ რუსოს, პენრიხ პესტალოცის, ლევ ტოლსტოის, ნიკოლოზ

პიროგოვის, კონსტანტინე უშინსკისა და სხვათა შრომებს, რამაც განსაზღვრა მომავალი პედაგოგის მოღვაწეობის მიმართულება და ხასიათი.

1863 წელს იაკობი ავადმყოფობის გამო თავს ანებებს კიევში სწავლას და თბილისში ბრუნდება. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთიდან სამშობლოში ახალდაბრუნებული ილია თავის გარშემო იკრებდა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცეცხლს აღვივებდა. იაკობი შეუერთდა ამ ჯგუფს და სიკვდილამდე დიდი ილიას ერთგული თანამებრძოლი იყო.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე იაკობი მუშაობას იწყებს გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ცოტა ხნის შემდეგ იგი გადაჰყავთ ამავე საგნების მასწავლებლად სასულიერო სემინარიაში, 1868 წელს კი ინიშნება თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად. ამ თანამდებობაზე იაკობმა 6 წელი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში მან გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი და დაშლილ-გაპარტახებული სასწავლებელი ფეხზე დააყენა. მან სასტიკად აკრძალა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა და ფართო გასაქანი მისცა მათ თავისუფალ, შემოქმედებით აზროვნებას, რაც ბევრს არ მოეწონა. „ვინ იცის, — წერს თავის მოგონებაში მწერალი ვასილ ბარნოვი, — იქნება ბეჯგამწარებულს მრავალთა მსგავსათ მეც დეზი მეკრა სასწავლებლისთვის, რომ ამ დროს ზედამხედველად არ დაენიშნათ იაკობ გოგებაშვილი... შემოსულისთანავე ყველაფერს თავისი მადლიანი ბეჭედი დაასვა. უწინარეს ყოვლისა, სასტიკად აკრძალა მოწაფეთა ბარბაროსული დასჯა, რაც სხვა მასწავლებლებს არაფრად ეჭაშნიკათ. ო, დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა ცხონებულს, რომ ნორჩ სულთა საჯალათო სასწავლებლისათვის დაეძსავებინა“ (81, 13-14).

1871 წელს ი. გოგებაშვილმა შეადგინა და თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას წარუდგინა „სასულიერო სასწავლებელთა გარდაქმნის პროექტი“, მაგრამ ეს ნაბიჯი მას მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებად ჩაუთვა-

ლეს და, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, აღრიცხვა-ზე აიყვანეს.

1872 წელს, თითქოსდა სასულიერო სასწავლებლის, სინამდვილეში კი გოგებაშვილის მუშაობის შესასწავლად, პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა სინოდთან არსებული სასწავლო კომიტეტის წევრი ზ ი ნ ჩ ე ნ კ ო, რომელიც გაეცნო სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას სემინარიაში და ძალზე კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით მოეწონა მოსწავლეთა მომზადება რუსულ ენაში. იაკობი აღნიშნავს, რომ ზინჩენკომ ათამდე მოსწავლის ნამუშევარი თან წაიღო იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი წარმატება იყო მოპოვებული რუსული ენის შესწავლაში იმპერიის შორეული კუთხის არარუს მოსახლეობაში. ზინჩენკოს აზრით, მთელი იმპერიის სასწავლებელთა შორის იმ დროს ასეთი სასწავლებელი არ მოიპოვებოდა.

სასწავლებლის ასეთმა შექებამ შურით აღავსო იაკობის მოწინააღმდეგები. მას ზე დაიწერა არაერთი დასმენა. მისი მუშაობის შესასწავლად რევიზია რევიზიაზე მოდიოდა. ეგზარქოსი ევსევი შიშის ზარს სცემდა ყველას, მაგრამ იაკობი მას ყოველთვის წარბშეუხრელად ხვდებოდა, რაც ამაყ ბერს აღიზიანებდა. „ისე არ მოვიდოდა სემინარიაში, – იგონებს მწერალი ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი (არბოელი), – რომ იაკობის გაკვეთილს არ დასწრებოდა და მაშინ უნდა გენახათ ეს საკვირველი კაცი, როგორ დატრიალდებოდა ხოლმე ჯარასაყით კლასში, როგორის უნარით აუხსნიდა მოსწავლე-ებს გაკვეთილს, გაამეორებინებდა, დაასწავლიდა და ბოლოს მოკლედ, კონსპექტიურად, ჩააწერინებდა მის შინაარსს რვეულებში. ექზარხოსის შენასკული წარბები ნელ-ნელა იხსნებოდა, მრისხანე სახეს სათნოიანი გამოხატულება ეფინებოდა და ნაცვლად წინადღე დამზადებული შენიშვნებისა, ლოცვა-კურთხევა გადმოდიოდა მის ბაგიდან. „დიდი ნიჭის პატრონია, – უთხრა დაბალის ხმით ერთ ამისთანა დროს რექტორმა, – ეს რომ მატერიალისტი არ იყვეს, ღირსია დიდი თანამდებობისაო“ (69, 471).

მიუხედავად ამისა, 1874 წელს თბილისში ჩამოვიდა რე-

ყი'სორი კ ე რ ს კ ი, რომელსაც სინოდის მიერ დავალებული პქონდა ი. გოგებაშვილის მუშაობის შესწავლა და მისი სამსახურიდან დათხოვნა.

კერსკის რევიზიას იაკობი არ ესწრებოდა. იგი იმ დროს სააქალმყოფოში იწვა. რევიზიის შედეგად ი. გოგებაშვილი სამსახურიდან დაითხოვეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი. ეს ამბავი რომ გაიგო, იაკობი სააქადმყოფოდან გაიპარა და მტკვარში გადახტა თავის დასახრჩობად, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, იქ აღმოჩნდა მისი მეგობრის, ნიკო ცხვედაძის ძმა ალექსანდრე ცხვედაძე და დახრჩობას გადაარჩინა. ამის შემდეგ იაკობმა ცეკხლს მისცა ყველა თავისი ოფიციალური დოკუმენტი, რათა სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურის სურვილი არ გასჩენოდა. „ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმაროო", — განაცხადა მან და, მართლაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა ხალხს და ოფიციალურ თანამდებობაზე არ უმუშავია. იგი ბოლომდე თავისი გადაწყვეტილების ერთგული დარჩა.

ი. გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 1 (14) ივნისს, 72 წლის ასაკში. პირველად იგი დაასაფლავეს დიდუბის პანთეონში, ხოლო 1940 წელს, დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ნეშტი გადმოასვენეს და დაკრძალეს მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის საფლავის მახლობლად. სიკვდილის წინ თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და მდიდარი ბიბლიოთეკა იაკობმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" უანდერძა.

ი. გოგებაშვილმა, როგორც ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, დ. ყიფიანისა და სხვა ჭეშმარიტი მამულიშვილების თანამოსაგრემ, თავის თავზე იტვირთა სახალხო განათლების დარგში ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, სახალხო სკოლების შექმნის, ახალი სახელმძღვანელოების შედგენისა და ხალხის ფართო მასებში ცოდნის გავრცელების საკითხი. ამ მიზნით იგი აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ქართულ და რუსულ პრესაში.

იაკობმა დიდი ამაგი დასდო ქართველ ხალხს თავისი უკვდავი ***სახელმძღვანელოებით.*** 1865 წელს მან გამოსცა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, რომელიც თავისი პედაგოგიური ღირსებით ცამოცირწყა მანამდე არსებულ სახელმძღვანელოთა შორის. მისი ღირსება ისაა, რომ იგი აგებულია ბგერით ანალიზურ მეთოდზე, რითაც ქართული წერა-კითხვის სწავლების ისტორიაში ახალგაზრდა პედაგოგმა ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. ეს იყო თითქმის უპრეცედენტო შემთხვევა. ასეთ რთულ საქმეს ჩვეულებრივ ხელს ჰკიდებენ დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პედაგოგები და სახოგადო მოღვაწეები. ლევ ტოლსტოიმ ანბანის სახელმძღვანელო თავისი უკვდავი რომანის „ომისა და მშვიდობის“ დაწერის შემდეგ შექმნა, რის შესახებაც ნ. სტასოვს სწერდა: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანით“ სამარადისო ძეგლი დავიდგიო“. დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკიც საქვეყნოდ აღიარებდა, რომ ყველაზე ძნელი დიდაქტიკაში სწორედ დედაენის ანბანის სახელმძღვანელოს შედგენაა. და ამ რთულ საქმეს გოგებაშვილმა შესანიშნავად გაართვა თავი. „ქართული ანბანის“ დახვეწისა და გადამუშავების შემდეგ ი. გოგებაშვილმა შექმნა თავისი სწორუპოვარი სახელმძღვანელო „დედა ენა“ (1876), რომელსაც საქართველოში თაობები აღიზარდა და კვლავაც იზრდება. და ეს გააკეთა ახალგაზრდა პედაგოგმა იმ დროს, როცა მეფის რუსეთის მოხელეთა და ჩინოვნიკთა რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ქართულ ენას მოსპობა და გადაგვარება ემუქრებოდა. ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ზოგიერთ ქართველსაც კი ეს პროცესი გარდაუვალად მიაჩნდა. მაგალითად, ამას ამტკიცებდა გიორგი მუხრანბატონი (მუხრანსკი) თავის ბროშურაში მცირე ერთა შესახებ, რომელსაც საკადრისი პასუხი გასცეს ქართველმა სამოციანელებმა, მათ შორის, იაკობ გოგებაშვილმა.

1944 წელს ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ გადაამუშავეს საქართველოს სკოლის დამსახურებულმა მასწავლებლებმა, დებმა ნინო ბოცვაძემ და ეკატერინე ბურჯანაძემ. მას შემ-

ღეგ ეს სახელმძღვანელო წლების განმავლობაში ემსახურებოდა ქართველი მომავალი თაობის აღზრდას და მათგან ჭეშმარიტი მამულიშვილების ჩამოყალიბებას.

„დედა ენის“ შექმნამდე, 1868 წელს იაკობმა შეადგინა და გამოსცა დაწყებითი სკოლის უფროს კლასებში საკითხავი წიგნი „ბუნების კარი“, რომელიც შეიცავს ბავშვის ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩენილ საკითხავ მასალებს მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგიდან.

ზემოთ დასახელებული სახელმძღვანელოების გარდა, ი. გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ქართული სკოლებისათვის შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“ (1887 წ.), ნაწილი I, რომელიც 37-ჯერ გამოიცა. ამ წიგნმა თავისი პედაგოგიკურ-მეთოდური ღირსებებით იმთავითვე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ნაციონალური რესპუბლიკებისათვის შედგენილ რუსული ენის სახელმძღვანელოთა შორის. წიგნის ღირსებაზე ისიც მეტყველებს, რომ მას იყენებდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ერებიც. 1888 წელს გამოვიდა „რუსკოე სლოვოს“ II ნაწილი, საკითხავი წიგნი რუსულ ენაში, ხოლო 1906 წელს — „დედა ენის“ მეორე ნაწილი, საკითხავი წიგნი II განყოფილებისთვის,

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები წლების მანძილზე გონებას უსწნიდა, სამშობლო მსარეს აყვარებდა, ეროვნულ მეობას, ეროვნულ თვითშეგნებას უღვიძებდა და საბრძოლველად აიარაღებდა ქართველოა მრავალ თაობას. ამიტომაც წერს ჩვენი ერის სასიქადულო მწერალი ნოდარ დუმბაძე: „ძნელია „დედაენის“, „ბუნების კარის“ და „რუსსკოე სლოვოს“ შეფასება. ეს სამი წიგნი ნათელი შარავანდედით ამკობს გოგებაშვილის სახელს. ეს ის სამი წიგნია, სამი სვეტი, რომლებზეც ეყრდნობა გოგებაშვილის შემდეგდროინდელი ქართული პედაგოგიური მეცნიერება და ლიტერატურა“ (60 122).

ი. გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ დედაენის სრულყოფილი სახელმძღვანელოს შედგენა შეუძლებელი იყო მა-

ღალმხატვრული საბავშვო ლიტერატურის გარეშე და ხელი მიჰყო უმცროსკლასელთათვის საბავშვო მოთხრობებისა და მეცნიერულ-პოპულარული სტატიების წერას, რითაც საგრძნობლად გაამდიდრა ქართული საბავშვო მწერლობა. მისი ათამდე მოთხრობა ცალკე წიგნებად გამოვიდა, რომელთა შორის აღსანიშნავია: „იაკინანამ რა ქქმნა“, „ასპინძის ომი“, „იოთამ ზედგინიძე“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „თავდადებული ქართველნი“ და მრავალი სხვა.

გარდა ამისა, ი. გოგებაშვილი პერიოდულად სცემდა სხვადასხვა ასაკის ბავშვთა საკითხავ წიგნებს, როგორიც იყო: „კოკორი“, „კუნწულა“, „აკიდღო“, „კონა“, „ხომალი“ და სხვ. თაეად მან შექმნა 150-მდე ორიგინალური საბავშვო მოთხრობა და წერილი მოზარდი თაობის სწაელა-აღზრდის საკითხებზე.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ტიპური სამოციანელი, თავის პედაგოგიკურ მოძღერებას საფუძელად უდებს ***ხალხურობის პრინციპს***. ამ პრინციპით არის გაჟღენთილი ყეელა მისი სტატია, სახელმძღვანელო და მთელი მისი პედაგოგიკური მემკიდრეობა.

აღზრდის ხალხურობის პრინციპში ი. გოგებაშვილს ესმოდა: საყოველთაო-სახალხო სწაელება და რეალური განათლების მიცემა ორიე სქესის ბავშვებისათვის, სწავლება მშობლიურ ენაზე, ქართველი ხალხის მიერ რუსული ენის დაუფლება და მდიდარი რუსული კულტურის შეთვისება, სამშობლოსადმი სიყვარულის გაღვიეება, ინტერნაციონალიზმი, ჰუმანიზმი, ბუნებისადმი საოუთი დამოკიდებულება და სხვ.

აღზრდა იაკობს მიაჩნდა დიდ ეროვნულ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ, რომელსაც საზოგადოების ცხოვრებაში გადამწყვეტი ფუნქცია აკისრია. ***აღზრდის ძირითად მიზნად*** მას მიაჩნდა „ახალი ტიპის ქართველის“ მომზადება, ანუ ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა სამშობლოსადმი უსაზღერო სიყვარულითა და ღრმა მეცნიერული განათლებით, თაობისა, რომელსაც სიცოცხლის დაუშურეებლად უნდა ებრძოლა ეროვნულო-

ბის შენარჩუნების, მშობლიური ენისა და ლიტერატურის დაცვის, ეროვნული კულტურის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის.

„ახალი ტიპის ქართველი" უნდა ყოფილიყო ყოველმხრივად აღსრდილი, ჰარმონიულად განვითარებული, რაშიც გოგებაშვილი, პროფ. გ. თაყაიშვილის აზრით, გულისხმობდა გონებრივ, სნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას. აქედან დიდ პედაგოგს თაყის ნაშრომებში ყველაზე ვრცლად წარმოდგენილი აქვს გონებრივი და სნეობრივი აღზრდა, ხოლო რაც შეეხება შრომით აღზრდას, იგი მას სნეობრივი აღზრდის შინაარსში განიხილავს.

გონებრივ აღზრდაში ი. გოგებაშვილი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ცოდნის შეძენას, რომელიც აღამაღლებს „ასწავლის სედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას" და „სოციალური პროგრესისათვის ბრძოლას".

„ახალი ტიპის ქართველის" გონებრივი განვითარებისათვის ი. გოგებაშვილი მოითხოვდა მის შეიარაღებას რეალური ცოდნითა და პრაქტიკული მოღვაწეობის უნარ-ჩვევებით, რაც მას ქვეყნის წინსვლა-განვითარების ძირითად პირობად მიაჩნდა. ამ ამოცანის შესრულებას იგი სახალხო სკოლას, მასწავლებელს აკისრებდა. სწორ გზაზე დაყენებული სახალხო სკოლა მას მიაჩნდა „სიღარიბის უებარ წამლად". „კარგად მოგეხსენებათ, რომ ხალხის განათლება დღეა ბოძია, მთავარი ბურჯია ქვეყნის კეთილ-დღეობისა, ბედნიერებისა, – წერდა იგი. – ისიც კარგად აქვს შეგნებული ყველა მოაზრე ქართველსა, რომ სკოლა არის უპირველესი და უძლიერესი წყარო ხალხის განათლებისა" (45, 138). აქედან გამომდინარე, იაკობის აზრით, „ჩვენმა სკოლამ უნდა გაუხსნას ბავშვს გონება" და მოამზადოს ის ცხოვრებისათვის, „იმ იარაღის სახმარებლად, რომელიც ბუნებისა და კაცთა უსამართლობის წინააღმდეგ საჭიროა". ამ ამოცანის შესრულება ქართველ კლასიკოსს მიაჩნია მხოლოდ მაშინ, თუ სწავლა წარიმართება ბავშვებისათვის გასაგებ მშობლიურ ენაზე.

დიდ პედაგოგს გული წყდებოდა იმის გამო, რომ იმ-დროინდელი სკოლა ამ ამოცანას ვერ ასრულებდა. იგი არ იძლეოდა იმ ცოდნასა და განათლებას, რაც ხალხს ესაჭი-რეობოდა. „სწავლამ და ცოდნამ იგი (ხალხი — **ნ. ბ.**) უნდა მოამზადოს ერთი მხრით ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეო-რეს მხრით სოციალურ სანატრელს ცხელილებისათვის", — წერდა იაკობი (81, 36).

მისი აზრით, განათლებული ახალგაზრდობა ვერ შე-ეგუება „სათაკილო და დამამხობელ ჩვენს მდგომარეობას", „უკანონო დაბრიყვებას" და ალიდგენს დაკარგულ ადამია-ნურ ღირსებას. სწავლა-განათლება გაუკვალავს მას გ'ხას, „რომ თავი დაახწიოს კანცელარიის ყმობას, გახდეს ბატო-ნი ჩვენის მდიდარის ბუნებისა, გადააქციოს იგი დაუშრო-ბელ წყაროდ ქონებისა და იცხოვროს ღირსეულად, დამოუ-კიდებლად და სასარგებლოდ ქვეყნისათვის" (45, 258).

იოსებ სრესელის გადმოცემით, ერთხელ იაკობს სწვე-ია თანასოფლელი გლეხები. მათთან საუბარში დიდ პედა-გოგს უთქვამს: „...უსწავლელი კაცის ფასი — ჩალის ფასია. თუ გინდათ, რომ თქვენი შვილები თქვენსავით ბეჩავები არ გამოვიდნენ, წიგნი უნდა ასწავლოთ. სწავლა, განათლება, ყველაზე ძვირფასი განძია, იგი ამაღლებს ადამიანს და გ'ხას უნათებს ჩირაღდანივით" (112, 43).

ეს აზრი გატარებული აქვს იაკობს ასევე 1879 წლის იანვრის „შინაურ მიმოხილვაში".

ნამდვილი სახალხო სკოლა, რომელიც აიგება საღ პე-დაგოგიკურ პრინციპზე, ღვთისა და კაცის სიყვარულ'ზე, მა-ღალ გრძნობებსა და მისწრაფებებზე, გვასწავლის იაკობი, მოამზადებს ყმაწვილებს ახალი ცხოვრებისათვის, ხელს შეუწყობს მათ გონებრივ და ფი'სიკურ განვითარებას, ზნეო-ბრივ სრულყოფას.

დიდი პედაგოგისა და განმანათლებლის აზრით, ყველ-გან, სადაც კი სახალხო სკოლა სწავლებას სრული შეგნე-ბულობისა და გონიერების საფუძველზე აგებდა, იზრდებო-და შრომის ნაყოფიერება, უმჯობესდებოდა ხალხის ეკონო-მიკური მდგომარეობა, მცირდებოდა ბოროტმოქმედება, მაღ-

ლდებოდა კანონიერებისადმი პატივისცემა და ხალხი ყითარდებოდა გონებრივად, სნეობრივად და სარწმუნოებრივად.

როცა განათლების როლსა და მნიშვნელობაზე საუბრობდა, იაკობი უპირატესობას ანიჭებდა რეალურ განათლებას. „მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები მომხრე რეალური სისტემისა“, – წერდა იგი (45, 56). რეალური განათლება მას მიაჩნდა ხალხისათვის, მეტადრე ქართველებისთვის, უფრო საჭიროდ და სასარგებლოდ, ვიდრე კლასიკური განათლება. „ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, – წერდა იაკობი, – ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტის ცოდნისას. ხოლო ამ გვარს ცოდნას იძლევა ესრედ წოდებული რეალური სისტემა განათლებისა. ამ სისტემას ყველა უპირატესობა აქვს კლასიკური სისტემის წინაშე... ამას აღიარებენ ახლა საუკეთესო პედაგოგები, მათ შორის დიდი პედაგოგი რუსეთისა უშინსკი...“ (45, 72-73).

რეალური განათლების სასარგებლოდ კლასიკურის ხელაღებით უარყოფა მთლად სწორი არ იყო, მაგრამ იმ დროს ამას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამით იაკობი მოზარდ თაობაში სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა და სახალხო მეურნეობისათვის ეროვნული კადრების მომზადების საკითხს აყენებდა. „ჩვენის ქვეყნის ბუნება ძლიერ მდიდარია, – წერდა იგი, – ჩვენ კი ძლიერ ღარიბები ვართ. რადა? იმიტომ, რომ მოვლა არ ვიცით ამ ბუნებისა. სხვებმა იციან ეს მოვლა... და ხელიდგან გვაცლიან მიწა-წყალსა. ამ მოვლენას თუ ბოლო არ მოეუღეთ, იგი ჩვენ თვითონ აგვიგებს ანდერძსა“ (45, 73). თუ ქართველი ხალხი თვითონ არ მიხედავდა თავის მიწა-წყალს და არ ისწავლიდა ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებას, მას სხვა ეროვნების მცოდნე ხალხი იკისრებდა და ხელიდან გამოგვაცლიდა მიწა-წყალს, რასაც ჩვენი ერის გაქრობა მოჰყვებოდა, რადგან, იაკობის აზრით, *„მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდგან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“* (კურსივი იაკობისაა – ნ. ბ.) (45, 74).

ასე ასაბუთებს იაკობი რეალური განათლების უპირატესობას კლასიკურთან შედარებით.

ი. გოგებაშვილის აზრით, ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, „თუ მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ცხოვრებასთან". ამიტომ ყველა საგანი მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

იაკობი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოზარდ თაობაში სასოფლო-სამეურნეო და საბუნებისმეტყველო განათლების გავრცელებას, რადგან იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბუნება ემორჩილება და ემსახურება მხოლოდ იმას, ვინც მისი კანონები იცის. „დაწინაურებულს განათლებულს ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, – წერს იაკობი, – რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისას. ამის გამო იქ ბუნების შესწავლას დიდს ადგილს უთმობენ ბავშვების განვითარებაში როგორც ოჯახები, ისე სკოლები" (41, I).

დიდ იაკობს გული შესტკიოდა იმის გამო, რომ ქართველი ხალხი ამ მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდა ევროპას, მაშინ როცა „საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალ-ფეროვანი, რომ ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც არ მოვა. მაგრამ ჩვენ ამ მდიდარის ბუნებისა არაფერი გაგვეგება, უკუღმართი აღზრდის წყალობით. ამის გამო ჩვენს ბუნებას ეპატრონებიან უცხოელნი, შეიარაღებულნი რეალური ცოდნით, იძენენ აუარებელს ქონებას და ჩვენ კი ხახა-მშრალები ვრჩებით" (41, I). ამის ძირითად მიზეზად იაკობს მიაჩნდა ქართველი ხალხის მიერ განათლების როლის შეუფასებლობა. „ჩვენ, ქართველებს, – წერს იგი, – ჯერედ არა გვაქვს გამორკვეული დიდი მნიშვნელობა ხალხის განათლებისა. სწავლას ჩვენ ეუცურებთ, როგორც სახსარს ჩინებისა, ორდენებისა და ჯამაგირიან ადგილების მიღებისას" (44, 287), მაშინ როცა ცოდნა, განათლება „იმდენადვე საჭიროა ერის არსებობისა და წარმატებისათვის, რამდენადაც ჰაერი სუნთქვისა და სიცოცხლისათვის" (45, 231).

ი. გოგებაშვილს საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე ***ზოგადი და სპეციალური განათლების ურთიერთობის საკითხებზე.*** ეს საკითხი ყოველთვის აქტუალური და სადაო იყო. გოგებაშვილი იზიარებდა კლასიკოსი პედაგოგების – კომენსკის, უშინსკისა და სხვათა შეხედულებებს ამ საკითხზე და აღნიშნავდა, რომ ზოგადი განათლება წინ უნდა უსწრებდეს სპეციალურ განათლებას, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სპეციალობის სრულყოფილად დაუფლება. გარდა ამისა, იგი ადამიანის ნიჭისა და უნარის გამოვლენისა და განვითარების საუკეთესო საშუალებაა. „ახლა ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა, – წერდა იგი, – რომ სპეციალური სწავლა უძლურია მეტ-ნაკლებობით, თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვითარება, რომელიც უფურჩქნის მოსწავლეს ყოველს გვარს ნიჭსა და ჰყოფს მას სრულ ადამიანად. სპეციალისტი, მოკლებული საზოგადო განვითარებას, მოგაგონებს მაშინასა, რომელიც ერთს რამეს აკეთებს მექანიკურად და სხვა რისამე რიგიანად გაკეთება მისთვის შეუძლებელია“ (45, 68).

სწავლებისა და აღზრდის იდეალად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა „ადამიანის პარმონიულად განვითარება“, რაშიც იგი გადამწყვეტ როლს ***ზნეობრივ აღზრდას*** ანიჭებდა. მისი აზრით, ახალგაზრდობის გულში მაღალი კეთილშობილური გრძნობების აღზრდა უფრო მთავარია, ვიდრე მათი გონების გამდიდრება ცოდნით.

ზნეობრივმა აღზრდამ ბავშვს უნდა ჩაუნერგოს „ნამდვილი ადამიანის ღირსებები“. ამ ღირსებათაგან გოგებაშვილი, უწინარეს ყოვლისა, ასახელებს საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას, რაც, მისი აზრით, ნიშნავს ხალხისადმი უანგარო სამსახურს, მისი „ტკივილების მოშუშებას“.

ზნეობრივი აღზრდის ქვაკუთხედად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა ***პატრიოტიზმი.*** „არა გვგონია ვისთვისმე უცნობი იყოს ის აზრი, – წერდა იგი, – რომ მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისათვის“ (44, 232). რაც უფრო მეტი ჭეშმარიტი მამულიშვილი ეყოლება ქვეყანას, მით უფრო

ძლიერი და მდიდარი იქნება იგი. მაგრამ ვის შეიძლება ქწოდოს ნამდვილი პატრიოტი? – სვამს კითხვას ი. გოგებაშვილი და იძლევა ორიგინალურ პასუხს: პატრიოტი ჰქვია მას, „...ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ხრუნვისათვის, ვისაც ქლაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“ (44, 233).

ი. გოგებაშვილის აზრით, „ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას“ (46, 150). ვისაც თავისი ქვეყანა და ერი არ უყვარს, ის სხვას ვერ შეიყვარებს. თავად იაკობი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, ამა თუ იმ ერის დამსახურებას კაცობრიობისა და კულტურის წინაშე აფასებდა არა მათი ქვეყნის ტერიტორიული სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, არამედ იმ როლით, რომელსაც ისინი ასრულებდნენ როგორც საკუთარი ხალხის, ისე კაცობრიობის წინაშე.

ი. გოგებაშვილის პატრიოტიზმი თავისუფალია ნაციონალიზმის იმ შხამისგან, რომელსაც ცარიზმი აღვივებდა განაპირა ხალხთა შორის. პატრიოტიზმის იაკობისეული გაგება გულისხმობს, ერთის მხრივ, საკუთარი მამულისა და მიწა-წყლის სიყვარულისა და მისი უკეთესი მომავლისათვის შეუღრეკელ ბრძოლას, მეორეს მხრივ, სხვა ხალხებისადმი პატივისცემას, მათი ეროვნული უფლებებისადმი ანგარიშის გაწევას, მათთან ძმურ თანამშრომლობას. ყოველი კაცი ქვეყნა ადამიანს უნდა „უყურებდეს განურჩევლად წარმოშობისა და ეროვნებისა, – წერს იგი, – როგორც თანასწორ ძმებს, და ულირსად თვლიდეს და ზიზღით ეპყრობოდეს მდაბალი ინსტინქტებით შეპყრობილ იმ ადამიანებს, რომლებიც სარგებლობენ ადამიანთა ეროვნული განსხვავებით და შუღლსა და მტრობას თესენ მათ შორის“ (47, 133).

ქართველ ხალხს იაკობ გოგებაშვილი ბუნებით ინტერნაციონალისტად თვლიდა და ამის საბუთად იმას ასახელებდა, რომ საქართველოში სხვა ერის წარმომადგენლები

ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. იკი საქართველოს თელის ერთადერთ ქვეყანად, სადაც არ განუცდიათ შეურაწოება არც ერთ ერს, და მათ შორის, ებრაელებსაც, რომლებიც ყველა სხვა ქვეყანაში რბევა-აწიოკებების ობიექტები იყვნენ.

ინტერნაციონალური აღზრდის ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად იაკობი თელიდა სკოლაში შესასწავლი საგნებისა და ოჯახში საკითხავი წიგნების ინტერნაციონალური თემებითა და იდეებით გამდიდრებას. ამ მხრივ ის თვითონ იძლეოდა იშვიათ მაგალითს თავისი სახელმძღვანელოებითა და მოთხრობებით. მისი „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“ ინტერნაციონალური ხასიათის მრავალ მასალას შეიცავს. ამ იდეებით არის აგრეთვე გაჯერებული მისი მოთხრობები – „ივანიამ რა ქმნა“, „თავდადებული მდედელი თეედორე“ და სხვ.

პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის საფუძველს ი. გოგებაშვილი ხედავდა *ჰუმანიზმში* – ადამიანის ჭეშმარიტ სიყვარულში. მისი სამართლიანი მტკიცებით, ადამიანის სიყვარულისა და პატივისცემის გარეშე შეუძლებელია სიყვარული და პატივისცემა როგორც საკუთარი ერის, ისე კაცობრიობისა. „ვინც გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარულით, – წერს იაკობი, – ის ამ კეთილშობილურ გრძნობას ახორციელებს პირველ ყოვლისა თავის სამშობლოსა და იუისტომთა მიმართ, როგორც კაცობრიობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც უფრო ახლოა მასთან... მაგრამ ამავე დროს ის სიყვარულითა და სამართლიანობით ეპყრობა სხვა ერებსაც და, ამგვარად, ემსახურება საყოველთაო ძმობის მაღალი ცნების განხორციელებას“ (67, 344).

ჰუმანიზმის სულისკვეთებითაა გაჯერნთილი იაკობის ყველა სახელმძღვანელო და განსაკუთრებით, მისი „დედა ენა“. ამ მიზნით შეიტანა მან თავის სახელმძღვანელოში ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „ბერიკაცი და ნამყენი“, „ქორი და წიწილა“, „კეთილი გული“, „ვანო და ფრინველები“ და მრავალი სხვა.

ი. გოგებაშვილი ***შრომით აღზრდას,*** როგორც აღვნიშნეთ, განიხილავდა სწავლების შინაარსში. ფიზიკური შრომა მას მიაჩნდა მოსწავლეთა გონებრივი და სულიერი განვითარების მძლავრ საშუალებად, რისთვისაც მშობლებისგან მოითხოვდა მეცადინეობისგან თავისუფალ დროს შვილების შრომით საქმიანობაში აქტიურად ჩაბმას.

ანალოგიურ მოთხოვნებს უყენებდა იაკობი მასწავლებლებსაც. ფიზიკურ და გონებრივ შრომას იგი განიხილავდა ორგანულ კავშირში. მისი აზრით, მოსწავლე, რომელიც ბეჯითად, გულმოდგინედ და სისტემატურად ასრულებს სასწავლო დავალებებს, კეთილსინდისიერად შეასრულებს საზოგადოების საკეთილდღეო შრომასაც. ამიტომ იგი მოითხოვდა ფიზიკური და გონებრივი შრომის ერთმანეთთან შენაცვლებას.

იაკობ გოგებაშვილს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია მოსწავლეთა ***ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა.*** ბავშვთა სხეულის გაჯანსაღების მიზნით იაკობი დიდ ყურადღებას უთმობდა სპორტულ და, საერთოდ, თამაშობებს, ხოლო ესთეტიკურ აღზრდაში უდიდეს როლს ანიჭებდა ხელოვნებასა და ლიტერატურას – სიმღერას, ხატვასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. „სიმღერა სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად, – წერდა ი. გოგებაშვილი. – იგი უვითარებს ბავშვს სმენასა, აჩვევს ჰარმონიასა, უსუსტებს და უსპობს ხეპრობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზესა. ეროვ სიტყვით, აკეთილშობილებს მის ბუნებასა“ (44, 93).

ი. გოგებაშვილი, როგორც „ბუნების კარის“ ავტორი, მოითხოვდა მოსწავლეთა მიერ ბუნების კანონების დაუფლებას. ბავშვებში ***ბუნების სიყვარულის აღზრდას,*** ჩვენი ფსიქიკისა და ფაუნისადმი მზრუნველი დამოკიდებულების ჩანერგვას. მისი სამართლიანი მტკიცებით, საქართველოს ბუნება უხვი და მრავალფეროვანია, ჩვენი ხალხი კი ღარიბია იმის გამო, რომ მან ბუნების კანონები არ იცის და მას უსიერად ეპყრობა, ბუნებას კი სასტიკი კანონები აქვს. იგი „ემორჩილება მხოლოდ მას, ვინც მისი კანონების ცოდნით

არის აღჭურვილი“ (44, 299). მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს იაკობი, „...ჩვენს ხალხს თავისი მდიდარი ბუნებისა არაფერი გაეგება, იმდენად არაფერი, რომ ხშირად იგი ებრძვის იმისთანა ბუნების ძალებს, რომელნიც მისთვის მეტად სასარგებლონი არიან... ხშირად ქართველი თავისს მეგობრებს, ბუნებისაგან მიჩემებულს, მტრულად ეკიდება, მტრებს-კი მოყვრობას უწევს და თავისს თავს თვითონვე ვნებს“, – ეკითხულობთ იაკობის 1896 წელს გამოცემულ პატარა ნაშრომში, რომელსაც „მოსაველის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“ ჰქვია (21, 209).

ი. გოგებაშვილის ზემოთ გადმოცემულ მოსაზრებას ნათლად ადასტურებს ჩვენი დღეგანდელი ცხოვრება. ის უბედურებანი, რაც თავს დაატყდა ჩვენს რესპუბლიკას უკანასკნელ ხანს (ზვავები, მეწყერები, ღვარცოფები და ა.შ.), გამოწვეულია ბუნებისადმი ჩვენი უღიერი დამოკიდებულებით.

ი. გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, აღსრდა სჭირდება. იგი ისეთივე ზრუნვას მოითხოვს საზოგადოებისაგან, „როგორც კარგის შვილის აღსრდა დედ-მამისაგან“. ეს კი დიდ იაკობს შეუძლებლად მიაჩნდა ***მშობლიურ ენაზე სწავლებისს*** გარეშე. „სადაც-კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, – წერს იგი, – დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედა-ენა, სწავლება დედა-ენაზედ... რომელს ქვეყანაშიაც კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ – დაბნელება და ზნეობის განწმენდის და ამაღლების მაგიერ – მისი დაცემა“ (45, 50).

უცხო ენაზე სწავლა-განათლების მიღების მავნე შედეგების საილუსტრაციოდ ი. გოგებაშვილი იშველიებს კარლ ფოხტის სიტყვებს: „თუ ხალხი თავისს დედა-ენას სცვლის სხვა ენაზე და ამ უკანასკნელზე იღებს განათლებას, იგი ვერ აიცილებს თავიდგან გონების დაჩაგვრას, დამდაბლებას და მეტ-ნაკლებობით დაკარგავს შემოქმედებითს ნიჭსა“ (45, 15). ამის მაგალითად ფოხტი ასახელებს გერმანიის დასავლეთ ნაწილს, ელზასს, რომელმაც შუა საუკუნეებში

მსოფლიოს მისცა არაერთი გამოჩენილი მოღვაწე, მაგრამ შემდეგ, როცა იგი ხელში ჩაიგდო საფრანგეთმა და თავისი ფრანგული ენა გაამეფა, ელ'სასმა ვერც ერთი მსოფლიო ნიჭის კაცი ვერ ამუქა კაცობრიობას, თუმცა ცხოვრების ისეთი პირობები შეუქმნა, რომელიც მათ ადრე არ გააჩნდათ (45, 15).

ამიტომაც იყო, რომ გოგებაშვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე დარაჯად და ქომაგად ედგა მშობელ ხალხსა და მის ენას, რადგან იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა-ხდაა".

თავის მრავალრიცხოვან სტატიებსა და შრომებში, რომლებსაც იგი აქვეყნებდა ქართულ და რუსულ ენებზე, ი. გოგებაშვილი თავგამოდებით იცავდა დედაენას. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სტატია „ბურჯი ეროვნებისა", რომელმაც დიდი როლი შეასრულა და დღესაც ასრულებს ქართველ ახალგაზრდებში მშობლიური ენისადმი სიყვარულის გაღვივებასა და ეროვნული გრძნობების გამომუშავებაში.

კომენსკის, უშინსკისა და კორფის მოძღვრებათა ერთგული ი. გოგებაშვილი ამოდიოდა იმ ძირითადი პრინციპებიდან, რომ მშობლიური ენა განათლების პირველი საფუძველია, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ბავშვის ნორმალური განვითარება. იაკობის აზრით, უცხო ენის შესწავლა უნდა აიკრძალოს მშობლიური ენის საფუძვლიან ცოდნაზე. იგი ხშირად იშველიებდა ი. ა. კომენსკის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „გსურდეს ასწავლო ბავშვს უცხო ენა მანამდე, სანამ ის მშობლიურ ენას ისწავლიდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ გსურდეს ცხენოსნობა ასწავლო ბავშვს იმაზე ადრე, ვიდრე ის სიარულს დაიწყებდეს". დედაენის ცხოველმყოფელ გავლენას მოკლებული ბავშვი ვერასოდეს განვითარდება სრულყოფილად, ვერ ისწავლის „ჯეროვან აზროვნებას" და „ისეთიც უხეირო ჭკუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მემუსიკედ შეიქმნება ადამიანი, მესკრიპკედ დაბადებული და მეფორტეპიანედ ძალად გაზრდილი" (45, 10). უცხო ენაზე გაზრდილ ბავშვს იაკობი ადარებს იმ

საცოდავ მერცხალს, რომელსაც მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და შო'შიას სტვენას ასწავლიან. „ამ უკულმართი გ'ხით აღ'სრდილი ბავშვი, – დასძენს იგი, – ვერას დროს ვერ აყა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეყვერება მის ბუნებითს ნიჭსა, ვერ მიეწვეა, ვერ ელირსება ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას, მეტნაკლებობით გამოყა ნეკერ-ნეკერა, ქარაფშუტა პირი, უხასიათო ადამიანი და იმის ნახვარსაც ვერ გააკეთებს თავისს სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მოუცია“ (45, 10).

ზემოთ გამოხატული აზრის დასასაბუთებლად იაკობი რუსი ხალხის ცხოვრებიდან იშველიებს შემდეგ მაგალითს: „...მას შემდეგ, როდესაც მაღალს წოდებაში ფრანგულის თაყვანისცემა შემცირდა და ჯეროვანი პატივი მიენიჭა რუსულ ენას და ლიტერატურას როგორც ოჯახობაში, ისე სკოლაში, – წერს იგი, – სალიტერატურო ასპარეზზედ უნიჭო სუმაროკოვების, ხერასკოვების, ტრედიაკოვსკების მაგიერ გამოვიდნენ გრიბოედოვი, გოგოლი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბელინსკი და სხვები“ (45, 30).

აი, კიდევ მეორე მაგალითი. წინათ აჭარლები და „შავშელ-ერუშელები“, დასძენს იაკობი, განთქმული იყვნენ თავიანთი მამაცობით და ვაჟკაცობით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი მოექცნენ ოსმალეთის ულლის ქვეშ, ულალატეს ეროვნებას და დაივიწყეს მშობლიური ენა, საკვალალო შედეგები მოიმკეს. „ვისაც კი ბ-ნ ყაზბეგის მოგზაურობა წაუკითხნია, ...ეცოდინება, რომ ეხლა შავშელ-ერუშელები ყოველად საცოდავნი, მხდალნი და წყალწაღებულნი არიან. წინად მათ შური თვალით უყურებდნენ მეზობლები, ახლა კი დაბრიყვებულნი და მასხრად აგდებულნი ჰყავთ. სრულიად სხვა სურათსა ვხედავთ აჭარაში. მართალია, აჭარლებმაც სარწმუნოება შეიცვალეს, მაგრამ ენასა და ეროვნებას არ ულალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებად. და დახეთ, რა ვაჟკაცობით, გამბედაობით და მხნეობით არიან შემკულნი!“ (45, 34).

დიდ იაკობს გული წყდებოდა იმის გამო, რომ ქართული ენა უფლებააყრილი და განდევნილი იყო არა მარტო

სკოლებიდან, არამედ ოჯახებიდანაც. მშობლიური ენის ასეთმა უუფლებობამ და მისმა განდევნამ როგორც სკოლებიდან, ისე ოჯახებიდან აოქმეინა იაკობს: „ქართული ენა ამ ქამად ჰგავს მშუენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ჰხმარობს და ვანგს აჭმეინებს“-ო (45, 7). ამ პირობებში ქეეანას ესაჭიროებოდა კონკრეტული ვითარების შესაფერისი სახელმძღვანელო, რომელიც ხელს შეუწყობდა არა მარტო წერა-კითხვის გავრცელებას ხალხში, არამედ ქეენის ეროვნულ ალორძინებას, განათლების გავრცელებას და მსოფლიოს კულტურის ღირებულ მონაპოვართა ათვისებას. ეს დიდი საშვილიშვილო საქმე თავს იდო იაკობ გოგებაშვილმა და, როგორც ცნობილია, ბრწყინვალედ დააგვირგვინა. მაგრამ იმ დროს, როცა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ი. გოგებაშვილი, იანოვსკები, კატკოვები, ლეონტკები, ორლოვები, რუდოლფები, ეოსტორგოვები და „ბნელეთის სხვა მოციქულები“, ყოველნაირად ცდილობდნენ სკოლებიდან განედევნათ ქართული ენა, უკიდურეს შემთხვევაში, ისე შეემცირებინათ ქართული ენისა და ლიტერატურის საათები, რომ იგი ფაქტობრივად მეორეხარისხოვან საგნად ექცათ. იაკობ გოგებაშვილის სახით, სკოლებიდან განდევნილ და აბუნად აგდებულ ქართულ ენას გამოუჩნდა ერთგული ჭირისუფალი და დამცველი, რომელმაც მსოფლიო პროგრესული პედაგოგიკური აზრის მოშველიებით, არა მარტო დაასაბუთა დედაენისა და დედაენაზე სწავლების როლი და მნიშვნელობა მოზარდი თაობის ჰარმონიულ განვითარებაში, არამედ, ამასთან ერთად, ნათლად გვიჩვენა ქართული ენის სიდიადე და ბრწყინვალება. იაკობის აზრით, „ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა... ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია“ (45, 6).

იაკობ გოგებაშვილს ენა მიაჩნდა ეროვნულობის ძირითად ნიშნად, ერის სულიერი ცხოვრების მატიანედ, იმ მთავარ ძარღვად, რომლითაც ადამიანი თავის ერს უკავშირდება. ადამიანი კი თავის ერთან კავშირს მაშინ წყვეტს,

როცა მის ენას ივიწყებს. სწორედ აქედან იწყება მისი ეროვნული გადაგვარება. ამიტომ იყო, რომ ენას დიდმა პედაგოგმა ეროვნების ბურჯი უწოდა.

ერისათვის დედაენა მარტო კომუნიკაციის, ადამიანთა ურთიერთობის საშუალება როდია. ენაშია ხალხის ხსოვნა, მისი ისტორია, მისი აწმყოცა და მომავალიც. „...იგი როდი პგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამჯდარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა-და რბილში, მთელს მის ბუნებაში“ (45, 9).

თავის „განმარტებით წერილში სამეურნეო სასწავლებლის გეგმისა, რომელიც არსდება სოფელს წინამძღვრიანთკარში“ დედაენის მნიშვნელობის შესახებ იაკობი კ. უშინსკის შრომებიდან აკეთებს ერცელ ამონარიდს: „ენაში სახიერდება მთელი ხალხი და მთელი მისი სამშობლო... სანამ ცოცხლობს ხალხის ენა ხალხის ბაგეზე, მანამ ცოცხლობს თვით ხალხიც... წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს იგი; მაგრამ წაართვით ხალხს ენა და ის ვერასდროს ვეღარ შექმნის მას; ხალხს შეუძლია თვით ახალი სამშობლოს შექმნა, მაგრამ ენისა კი — არასოდეს: მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც“ (44, 270*

კ. დ. უშინსკის მოსაზრებები დედაენის მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც იაკობი იშველიებს თავისი ნათქვამის დასასაბუთებლად, მშვენიერად გაულექსავს სიმონ გუგუნავას. აი, ისიც:

დედას რომ შვილი მოსტაცო
ალარ არვენო თვალითა,
მშობლურის გრძნობით ნაწლევი
დაეწვეს ცეცხლის ალითა;
ვერ შეუმცირებ სატანჯველს

---

* *ეს ციტატა იაკობს წარმოდგენილი აქვს რუსულ ენაზე. ჩვენ კი მკითხველს ვთავაზობთ მის თარგმანს, რომელიც მოთავსებულია კ.დ. უშინსკის რჩეულ პედაგოგიურ თხზულებებში (თბ., 1974, გვ. 149-150).*

ვერა ყინულის წყალითა,
მაგრამ მკორეს დაბადებს
ბუნებრივისა ძალითა.
...თუ ხალხს სამშობლო წაართვით
განსდევნეთ სხვაგან ბნელშია,
ხალხი კვლავ ხალხად დარჩება,
არ დაინთქება ხვრელშია:
– ან შეიქმნს ახალ სამშობლოს,
უდაბურს ტყე და ველშია,
ან დაიბრუნებს თავისას,
მტერს გამოსტაცებს ხელშია.
რაცა აქვს, ყველა წაართვით,
ნუ შეეხებით ენასა,
და როცა ენას წაართმევთ,
დაჰკარგავს ხედვა-სმენასა!
ვერ დაიბრუნებს წართმეულს,
დაიწყებს კბილთა ღრჭენასა,
ბოლოს გაქრება, მოკვდება,
მოსპობს სულისა ქშენასა... (87, 20).

როგორც დავინახეთ, დედაენის დაკარგვა ერის გადაგვარებას, მის სიკვდილს ნიშნავს. ამიტომ, როცა იაკობი ქართული ენის უფლებებსა და მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის იბრძოდა, ამით იგი ეროვნების შენარჩუნებისა და ქართული ენის გადარჩენისათვის იღვწოდა. მშობლიური ენის გარეშე ი. გოგებაშვილს ვერ წარმოედგინა ბავშვისა და, საერთოდ, პიროვნების სრულყოფილი განვითარება, მისი ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების მთლიანად გაშლა-გაფურჩქნა. დიდი პედაგოგის აზრით, „ყოველს ადამიანს დაბადებიდგან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებითგანვე ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს – იადონური გალობის ნიჭი და სხვა“ (45,9).

ი. გოგებაშილის აზრით, სკოლა დედაენის გარეშე „საპყრობილეა ყმაწვილის ნორჩი ბუნებისათვის... აქ სუფევს

გულ-მოსაკლავი, უაზრო სპეპირობა გაუგებარი სიტყვებისა და მშრალი მექანიზმი" (47, 162). ამიტომ ბავშვმა სასკოლო განათლება დედაენაზე უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სრულყოფილად ვერ განვითარდება. მისი ბუნებრივი ნიჭი ისე ვერ გაიშლება და განვითარდება, როგორც ეს მშობლიურ ენაზე სწავლების დროს მოხდებოდა. დედაენას მოკლებული მოსწავლე, „თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარს სიტუაციაზედ ჩამოხტება" (45, 16-17). ასე სჯის ბუნება იმ ადამიანს, რომელიც მისი კანონების წინააღმდეგ წავა და შეცდომას წაართმევს იმ შესანიშნავ იარაღს, რომლისთვისაც ხალხს დედაენა შეურქმევია.

თავისი აზრის ნათელსაყოფად ი. გოგებაშვილი იშველიებს ბ. ბელინსკის მაგალითს და აღნიშნავს, რომ იგი რუსულად წერდა ისე კარგად, რომ მისი ბადალი არავინ იყო და არც ახლა არის რუსეთში, მაგრამ სახელგანთქმული კრიტიკოსი ძალიან სუსტი იყო უცხოური ენების შესწავლაში. დიდი მონდომების მიუხედავად, მან „ვერ შეითვისა ვერც ნემცური და ვერც ფრანგული, თუმცა ამ ენებს რუსულს ენასთან ახლო ნათესაობა აქვს". ბელინსკის რომ უკეთესმარჯვი მშობლები ჰყოლოდა, აღნიშნავს იაკობი, და ბავშვობიდან რუსული ენის ნაცვლად მისთვის უცხო ენა ესწავლებინათ, სახელოვანი კრიტიკოსის ნაცვლად მივიღებდით უხვეირო მწერალს, მოკლებულს ყოველგვარ ძალასა და გაელვებას. ამიტომაც იყო, რომ რუსი პოეტი პლეშჩეევი, რომელიც არისტოკრატიულ ოჯახში იზრდებოდა და პატარაობიდანვე დაეუფლა ფრანგულ ენას, შემდეგ კი რუსულს, მშვენიერ ლექსებს წერდა რუსულად, ფრანგულად კი პატარა ლექსის დაწერასაც ვერ ახერხებდა, თუმცა ფრანგულ ენას რუსულზე უკეთ ფლობდა. ეს იმიტომ, რომ „ფრანგული ენა იყო მისთვის მეხსიერების ენა, ლექსების წერა კი ითხოვს ენას გრძნობისას, ენას გულისას და სამეტყველო მუსიკისასა" (45, 24-25).

დიდი იაკობის ამ დებულების უტყუარობაზე მიუთითებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები. აქ იაპონელი ბავშვების ერთ ჯგუფს პირველდაწყებითი და საშუალო განათლება მიაღებინეს ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორე ჯგუფს – მშობლიურ, იაპონურ ენაზე. შედეგი კი ასეთი იყო: იმ ბავშვებმა, რომლებმაც მშობლიურ ენაზე მიიღეს განათლება, გაცილებით უკეთ განაცითარეს თავიანთი ნიჭი და უკეთესი სპეციალისტებიც დადგნენ, ვიდრე იმათ, ვინც არამშობლიურ ინგლისურ ენაზე მიიღო განათლება (37).

აქედან გამომდინარე, ბავშვის მიბარება უცხოური ენის სკოლაში მისი ბუნების საწინააღმდეგო მოქმედებაა, რაც დიდად ვნებს არა მარტო მის გონებრივ განვითარებას, არამედ ზნეობრივ სრულყოფასაც.

იაკობის აზრით, ასეთი ბავშვი, მოგვიანებით რაგინდ საფუძვლიანად შეისწავლოს მშობლიური ენა, თავისი ერისთვის უცხო არსებად იქცევა. იგი ვერასოდეს გაუგებს თავის ხალხს და ხალხი მას; „ვერას დროს ვერ მიესიყვარულება თავისს მშობელთა და ნათესავთა სრულის გრძნობის გამომხატველ სიტყვებით..., როგორნიც არიან „შენი ჭირიმე", „შენ გენაცვალე", „შენ გეთაყვანე", „თაყ შემოგევლე", „წამლად დაგეგდე" და მრავალი სხვანი" (45,11). ამიტომ „ყველა სკოლა, განსაკუთრებით სახალხო, დედა-ენაზედ უნდა იყოს დაფუძნებული; დედა-ენით უნდა საზრდოობდეს, მით უნდა ვითარდებოდეს, მით უნდა ხარობდეს. დედა-ენა სულია სკოლისა. თვით ღატაკი სკოლა მძლაერია, როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედა-ენის შუამავლობით. თვით უმდიდრესი, ყოველი მხრით შემკული სკოლა უძლურია, როცა ამ ნიადაგს მოკლებულია", – დაასკვნის იაკობი (47, 161).

სწავლა-განათლების მიღებას მხოლოდ დედაენაზე რომ ითხოვდა, ამით ი. გოგებაშვილი უცხო ენების შესწავლის წინააღმდეგ როდი გამოდიოდა. ამ საკითხზე საუბრისას იგი ეყრდნობა ჟან-ჟაკ რუსოს მოსაზრებას, რომ ყოველი დედა, რომელსაც სურს, შვილი ჯანმრთელი ჰყავდეს, საკუ-

თარი ძუძუთი უნდა სრულიდეს მას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბავშვს დედის რძის მეტი ნურაფერს მიაკარებთო, არამედ იმას, რომ ბავშვი ჯერ დედის რძით უნდა სავსრულოობდეს და როცა საკმაოდ მომაგრდება, სხვა საჭმელიც უნდა მივაწოდოთ. იაკობის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას დედაენის შესახებაც. „პირველს სულიერს საზრდოს, – წერს იგი, – დედა-ენა უნდა აძლევდეს ბავშვსა და როდესაც ეს საზრდო გაამაგრებს მის გონებასა, მაშინ დედა-ენა უნდა გახდეს საძირკვლად, რომელზედაც აშენდება უცხო ენათა გონიერული შეთვისება... მხოლოდ მტკრს შეუძლიან ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებსა და დარჩით მარტო დედა-ენის აშარაო“ (45, 26-27). რაც შეეხება რუსული ენის ცოდნას, იაკობი წერდა: „...რუსული ენის ცოდნა უღიდესი სიკეთეა ყველა კაეკასიელისათვის, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს მათ იყონ დიდი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას...“ (45, 446).

ამ საკითხზე საუბრისას იაკობი ხშირად იშველიებდა დიდი გერმანელი პოეტის – გოეთეს სიტყვებს: „ვინც დედაენის გარდა არა ენა არ იცის, მან რიგიანად არც ეს დედაენა იცისო“ (45, 26). მაგრამ უცხო ენის შესწავლა ბავშვს უნდა დავაწყებინოთ მაშინ, როცა იგი საფუძვლიანად დაეუფლება მშობლიურ ენას.

ამრიგად, იაკობის აზრით, ქართველმა ბავშვმა ჯერ ქართული ენა უნდა ისწავლოს კარგად და, როცა დედაენაში მომძლავრდება, შემდეგ შეიძლება უცხოური ენების შესწავლა, რაშიც შუამავლის როლი მშობლიურმა ენამ უნდა შეასრულოს.

დიდი იაკობის ეს მოსაზრება დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და მას ანაგარიში უნდა გაეუწიოთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვირჩევს იაკობი, „რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნობის ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შეეგაბათ ძირში ქართული ენა და ყველად მიეუბათ რუსული ენა და სხვა ენები. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, ეტლი ჩვენის

ეროვნებისა და ეროვნების სისწრაფით იქცის ცხოვრების გზასელ და მიაღწევს სამშვიდობო სადგურსა“ (45, 28).

ი. გოგებაშვილი თავის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ყურადღებას ამახვილებს ასევე ***სწავლების პრინციპებზე,*** როგორიცაა: შეგნებულობისა და აქტიურობის, თვალსაჩინოების, თანმიმდევრობისა და თანდათანობის, მისაწვდომობისა და დასაძლეობის, ცოდნის მტკიცედ დაუფლებისა და აღმზრდელობითი სწავლების პრინციპები.

სწავლების ეს ზოგადდიდაქტიკური პრინციპები გოგებაშვილმა შესანიშნავად დაიცვა თავის სახელმძღვანელოებში. „ამ მხრივ იგი უბადლო დიდაქტიკოსია“ (დ. ლორთქიფანიძე).

ძირითად დიდაქტიკურ პრინციპად გოგებაშვილი თელიდა *შეგნებულობასა და აქტიურობას სწავლებაში.* ეს პრინციპი პედაგოგიკაში კომენსკიმ დაამკვიდრა, გოგებაშვილი კი ამ პრინციპის თავგამოდებული დამცველი იყო. იგი ილაშქრებდა სწავლებაში უაზრო ზეპირობისა და სქოლასტიზმის წინააღმდეგ. მისი აზრით, „სწავლებას, რომ ის პედაგოგიური და განმავითარებელი იყოს, ყოველ ნაბიჯზე და ყოველ სიტყვაზე თან უნდა ახლდეს სრული გაგება“. ამის გარეშე სწავლებაში წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

დიდი იაკობი დაუნდობლად აკრიტიკებს თავისი დროის სკოლას, რომელშიც სუფევდა „გულ-მოსაკლავი, უაზრო ზეპირობა გაუგებარი სიტყვებისა“. მისი აზრით, „ამისთანა სკოლა საპყრობილეა ყმაწვილის ნორჩი ბუნებისათვის“, რადგან იგი ამზადებს არა შეგნებულ ადამიანებს, არამედ „ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ თუთიყუშებს“. ამიტომაც იაკობი მოუწოდებს საზოგადოებას ზურგი შეაქციოს ასეთ სწავლებას, „ფორმულების ზეპირობას“ და შეუდგეს ნამდვილი, ჭეშმარიტი ცოდნის შეძენას.

შეგნებულობის პრინციპის განხორციელების მთავარ გზად გოგებაშვილს მიაჩნდა მშობლიურ ენაზე სწავლება და მის პროცესში *თვალსაჩინოების გამოყენება.* იაკობი არაერთხელ მიუთითებდა, რომ სწავლებას არ ექნება შეგნებული ხასიათი, თუ არ ხდება თვალსაჩინოების გამოყენე-

ბა. იგი ეიცხავდა იმ მასწავლებელს, რომელიც ბალახებზე ესაუბრებოდა ბავშვებს და კლასში არ ჰქონდა წინასწარ შეგროვილი ბალახების მარტივი კოლექცია. „პედაღოღია ამბობს, – წერს იაკობი: – უწვენე თვალით ყმაწვილს ის საგანი, რაზედაც ელაპარაკები, ან მისი სურათი მაინც, თუ გსურს, რომ იმან მისი ჭეშმარიტი წარმოდგენა გამოიხატოს გონებაში“ (6, 186).

ამასთან, იაკობი თვალსაჩინოების გამოყენებაში მოითხოვდა ზომიერების დაცვას, რათა არ შეფერხებულიყო ბავშვის აბსტრაქტული აზროვნების განვითარება. ასევე ამ საქმეში მას აუცილებლად მიაჩნდა ბავშვების ასაკის, სასწაელო მასალის თავისებურებისა და იმ პირობების გათვალისწინება, რა პირობებშიც მიმდინარეობს სწავლება.

იაკობ გოგებაშვილის აზრით, თვალსაჩინოების გამოყენებისას უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: „...ჯერ საგანი, შემდეგ მისი სახელწოდება; ჯერ მხედველობითი შთაბეჭდილება, შემდეგ სმენით აღქმა. თუ არ შეგიძლიათ უჩვენოთ თვით საგანი, უჩვენეთ ბავშვებს ნახატი. თუ ხელი არც ერთი გაქვთ და არც მეორე..., მაშინ მოიშველიეთ ცოცხალი სიტყვა“ (81, 40).

სწავლებაში წარმატების აუცილებელ პირობად, მის „ურყევ კანონად“ გოგებაშვილს მიაჩნდა *თანმიმდევრობისა და თანდათანობის დაცვა*. ამ პრინციპის გათვალისწინებით აქვს შედგენილი გოგებაშვილს თავისი ყველა სახელმძღვანელო. მათში მკაცრად არის დაცული ისეთი დიდაქტიკური წესები, როგორიცაა: ნაცნობიდან უცნობზე, მარტივიდან რთულზე, ადვილიდან ძნელზე, ახლობლიდან შორეულზე გადასვლის წესები. მისი აზრით, დაწყებით კლასებში წერა-კითხვის სწავლებაც ამ წესების დაცვით უნდა წარიმართოს.

თავის ნაშრობებში ი. გოგებაშვილი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ასევე *მისაწვდომობისა და დასაძლეობის პრინციპს*. „...პედაგოგიაში არსებობს ერთი კანონი, – წერს იგი, – რომელიც ამ გვარათ გამოიხატება:*ერთბაშად ბავშვს მიეცეს მარტო ერთი სიძნელე* (კურსივი იაკობისაა – ნ. ბ.).

ამ კანონს მეტად ღრმა საფუძველი აქვს: როდესაც თქვენ ბავშვს კისერზედ ახვევთ, მაგალითად ორ საქმეს ერთბაშად, მაშინ თვითოეული მათგანი ბავშვს ერთი-ორად უძნელდება და მთელი ჯაფა ერთი-ოთხად მატულობს... საუბედუროდ, ეს გონების ჩაწყვეტა ბავშვს მაშინვე როდი ეტყობა, არამედ შესამჩნევი ხდება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ..." (47, 83-84).

იაკობ გოგებაშვილი სათანადო ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა მიერ *ცოდნის საფუძვლიანად და მტკიცედ დაუფლებას.* ამ საქმეში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შესასწავლი მასალის განმეორებასა და მოითხოვდა სწავლების ისე წარმართვას, რომ განვლილი მასალა განმტკიცებულიყო ახალი, შესასწავლი მასალით და ხშირი განმეორებით. ამ პრინციპზე აქვს აგებული მას საამბანო გაკვეთილები. ყოველი შესასწავლი ასო-ბგერა მეორდება შემდგომ გაკვეთილებზე ახალ კომბინაციებში.

იაკობი სასტიკი წინააღმდეგი იყო სწავლებაში ანქარებისა. მისი აზრით, ჯობს ასოების შესწავლას დიდი დრო მოვანდომოთ, ვიდრე ჩქარა დავამთავროთ და მოსწავლეებმა მტკიცედ არ იცოდნენ.

ი. გოგებაშვილის ყველა სახელმძღვანელო გამსჭვალულია *აღმზრდელობითი სწავლების პრინციპით.* კ. უშინსკის მსგავსად, რომელიც სწავლებას თვლიდა აღზრდის მთავარ ორგანოდ, იაკობს ვერ წარმოედგინა აღზრდისაგან მოწყვეტილი სწავლება. სალხურობის პრინციპიდან გამომდინარე, აღმზრდელობითი სწავლების საფუძვლად მას მიაჩნდა ბავშვებში პატრიოტიზმის, ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაღალი გრძნობების აღზრდა. იაკობის სახელმძღვანელოებში მოთავსებული ყველა ნაწარმოები ემსახურება მოსწავლეებში სწავლის, შრომის, მშობლიური ბუნებისა და მშრომელი ხალხისადმი სიყვარულისა და სხვა მაღალზნეობრივი თვისებების აღზრდას.

ი. გოგებაშვილს ***ხალხის განათლება*** მიაჩნდა ქვეყნის კეთილდღეობისა და მისი წინსვლა-განვითარების საფუძვლად, ერთ-ერთ გადაუდებელ საქმედ. „შვეიცარიის უაღრე-

სად ჯუმანური, უკეთილშობილესი შვილი და თანამედროვე რაციონალური პედაგოგიკის მამა პესტალოცი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლეგს ამბობდა, – წერს იაკობი, – რომ ხალხის მატერიალური გაჭირვება, ეკონომიური სიღატაკე მისი გონებრივი სიღარიბისა და ზნეობრივი სიღატაკის შედეგიაო“ (45, 409).

ქართველი ხალხის ამ მდგომარეობიდან გამოხსნის მთავარ საშუალებად ი. გოგებაშვილს მიაჩნდა დაწყებითი სახალხო სკოლების ქსელის გაშლა, რომელიც ხალხთა მასების ცოდნა ფენას მოჰფენდა „დაწყებითი განათლების შუქს“.

დაწყებით სკოლას ი. გოგებაშვილი თვლიდა საყალდებულოდ მთელი მოსახლეობისათვის და ამის გამო მას სახალხო სკოლას უწოდებდა. მისი აზრით, ის უნდა აძლევდეს მოსწავლეებს ელემენტარულ, მაგრამ მტკიცე ცოდნას მშობლიურ ენაში, რუსულ ენაში, არითმეტიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებაში და აძლევდეს მათ სასარგებლო შრომას სახალხო მეურნეობის ან მრეწველობის რომელიმე დარგში.

სახალხო სკოლაში, აღნიშნავს იაკობი, უნდა ისწავლებოდეს ასევე საღმრთო რჯული და პიგიენა.

სოფლად იაკობი მოითხოვდა შრომის სკოლების გახსნას. 1879 წელს იგი წერდა: „სოფლის შკოლა ის ადგილია, საცა პირველი... ფეხი უნდა აიდგას კაცის სულმა და გულმა, საცა პირველი უნდა ჩაინერგოს თესლი ზნეობისა, სიკეთისა, კაი-კაცობისა, ადამიანობისა“ (44, 141-142).

იაკობ გოგებაშვილის აზრით, სკოლა მაშინ შეიძლება იყოს ხალხის კულტურისა და განათლების ნამდვილი კერა, თუ იგი აგებული იქნება ჭეშმარიტ პედაგოგიკურ პრინციპებზე და ითვალისწინებს ეროვნულ ინტერესებს. იაკობი კარგად ხედავდა, რომ მაშინდელი სკოლა მოწყვეტილი იყო ხალხურ ეროვნულ ნიადაგს და ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამიტომ იგი იბრძოდა ნამდვილი სახალხო სკოლისათვის, ცხოვრებისა და სწავლების პირობების გაუმჯობესებისათვის. მისი აზრით, ცუდად მოწყო-

ბილი სკოლა უფრო საშიში და მაცნეა, ვიდრე მისი სულ არ არსებობა. „სკოლა ორპირი იარაღია, – წერდა იგი, – მას შეუძლიან დიდი სიკეთეც შესძენას თავის პატრონსა და დიდი ზარალიც მიაყენოს“ (45, 138). აქედან გამომდინარე, გოგებაშვილს სწავლების მშობლიურ ენაზე დაფუძნება საზოგადოების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიაჩნდა.

სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაწყვეტას ი. გოგებაშვილი მჭიდროდ უკავშირებდა ***მასწავლებელს,*** რადგან ამ უკანასკნელის გარეშე სკოლა ვერ გადაწყვეტს იმ ამოცანებს, რაც მას აკისრია. გარდა ამისა, მასწავლებელი, ი. გოგებაშვილის აზრით, „ითვლება ერთ-ერთ დედაბოძად ქვეყნის წარმატებისათვის“. ის არის სახალხო ინტელიგენციის მძლავრი ნაწილი, „მჭიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ხალხს შორის“. ამრიგად, მასწავლებელი გადამწყვეტ როლს ასრულებს ერის წინსვლა-განვითარებაში. რაც შეეხება, სოფლის მასწავლებელს, მისი დამსახურება, იაკობის აზრით, ერისა და ქვეყნის წინაშე განუსაზომელია. „ჩვენ არ ვიცით სხვა ისეთი სამსახური, – წერს იგი, – რომელიც თავისის მაღალის მნიშვნელობით შეედრებოდეს სოფლის შკოლის მასწავლებლობასა“ (44, 141).

როცა ამ სიტყვებს ამბობდა, ი. გოგებაშვილს მხედველობაში ჰქონდა ის, რომ სოფლის სკოლის მასწავლებელი, გარდა თავისი უშუალო მოვალეობისა – ასწავლოს ბავშვებსა და ემსახუროს სოფლის სკოლის ზემოაღნიშნულ მიზნებს – ყალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციაში, განამტკიცოს კავშირი სკოლასა და ოჯახს შორის, ეწეოდეს წიგნის პროპაგანდას მოსახლეობაში, ჩაატაროს საუბრები გლეხებთან კულტურის, ჯანმრთელობისა და საოჯახო ურთიერთობათა საკითხებზე. სწორედ ამაზე მიუთითებდა იაკობი, როცა წერდა: „...გონებრიემა მოძრაობამ, მწიგნობრობის სიყვარულმა ჩვენში ერთი ათად მაინც იმატა. ეს სანუგეშო მოელენა ააღორძინა არა ერთმა გარემოებამ და მიზეზმა, არამედ ბევრმა. მაგრამ... უფროს მიზეზად უნდა ჩაითვალონ სახალხო სკოლების მასწავლე-

ბელნი. მათ გააერცელეს წერა-კითხვა და მათ მოუმზადეს ახალი მკითხველები წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებსა. ეს... დიდი ღვაწლი გახლავთ ქვეყნის წინაშე“ (45, 266).

იმისათვის, რომ მასწავლებელმა წარმატებით გაართვას თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას, იაკობის აზრით, იგი უნდა იყოს ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანი, ღრმად განათლებული და სამაგალითო, მისაბაძი პიროვნება. მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ უნდა სცილდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ ექნება არც მოსწავლეთა თვალში და არც საზოგადოებაში სათანადო ავტორიტეტი, რომლის გარეშეც წარმატებების მოპოვება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში შეუძლებელია. ნათქვამის საილუსტრაციოდ იაკობი იშველიებს თავისი აღმზრდელის, ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და მეცნიერის გერასიმე ქიქოძის იშვიათ ნიჭსა და პედაგოგისათვის აუცილებელ დამახასიათებელ თვისებებს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ჭეშმარიტი პედაგოგის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად ღიად იაკობს მიაჩნდა ასევე სიკეთე, ადამიანების მხურვალე სიყვარული. „ისეთ უაღრესად რთულ და ცოცხალ საქმეს, როგორიცაა ადამიანის აღზრდა და სწავლება, – წერს იგი, – მხოლოდ იმათ შეუძლიათ წარმატებით მოკიდონ ხელი, ვისაც იტაცებს წრფელი სიყვარული მოყვასისა, ადამიანისა“ (45, 394).

მასწავლებელს, უწინარეს ყოველისა, მოეთხოვება ბავშვების გულწრფელი სიყვარული და პროფესიული მომზადება. ეს ეხება განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მასწავლებლებს. იაკობი იმოწმებს უშინსკის სიტყვებს, რომ „თვით ბრწყინვალე პროფესორი უნივერსიტეტისა, ...ვერ შესძლებს ჯეროვნულად უხელმძღვანელოს პირველ-დაწყებითს სკოლას“ (45, 336), რამეთუ ამისათვის საჭიროა არა მარტო განათლება, არამედ სპეციალური მომზადება. „...სპეციალური მომზადება ჩვენშიაც, რუსეთშიაც და ევროპაშიაც, – წერს იაკობი, – მიაჩნიათ აუცილებელ საჭიროებად

დაბალის სკოლების სწავლებისა, ხელმძღვანელობისა და მართვისათვის" (45, 336).

ი. გოგებაშვილს მასწავლებელი მიაჩნდა ქვეყნის ღვაწლმოსილად და გამუდმებით იბრძოდა მისი უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. დიდ პედაგოგს გული წყდებოდა იმის გამო, რომ „...ეს მოღვაწენი...თითქმის ყველას დაეწყებულნი აკვს და მათი ღვაწლი საკვებით გათვალისწინებული არაფისა აქვს. ეს უჩინარნი მხვნელნი და მთესველნი გონებრივის ყანისა არა ჯილდოვდებიან არც ნივთიერად და არც სულიერად... პენსია მათთვის ჯერ არ გაუწესია ღმერთს და ჯილდოსაც ისე იშვიათად ელირსებიან ხოლმე, როგორც უდაბნო სახარა წკიმასა. არ არსებობს არაფითარი საზოგადოებრივი დაწესებულება, საიდანაც შეეძლოთ გაჭირვებისა და უბედურების დროს ხელი მოიმართონ ან სესხით, ან შემწეობით" (45, 266).

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ყოფილან იმ დროისათვის სოფლის მასწავლებლები. „აუწერელია ის გაჭირვება, რომელშიაც ნაცვივნულან სახალხო სკოლების მასწავლებლები, – წერს იაკობი. – საქმე იქამდინ მისულა, რომ ბევრს მათგანს ქალამნის ფასიც კი ენატრება და ფეხშიშველა დაიარება" (46, 117).

გამოდიოდა რა სახალხო მასწავლებელთა ასეთი მძიმე მდგომარეობიდან, ი. გოგებაშვილი მოითხოვდა მათი ხელფასის გაზრდას. „ჯამაგირად სოფლის მასწავლებელს, – წერს იგი, – უნდა დაენიშნოს, სულ უკანასკნელი, სამი თუმანი თვეში. ეს ფული ბოლოს ხანს აღიარებულ იქნა მინიმუმად რუსეთისათვის, სადაც ცხოვრება უფრო იაფად ჯდება, ვიდრე საქართველოში, და მით უფრო საჭიროა ეს მინიმუმი ჩვენის ქვეყნის მასწავლებლისათვის" (46, 117).

მასწავლებელთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად ი. გოგებაშვილი, ხელფასის მომატებასთან ერთად, საჭიროდ მიიჩნევდა „დამხმარებელი კასის" (შემდგომში „ურთიერთდამხმარე სალარო") შემოღებას, რომლის შეესებაში ყველა ქართველს, ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა, უნდა მიეღო მონაწილეობა.

ი. გოგებაშვილი იყო ღარიბ მასწავლებელთა დახმარების ფონდის ინიციატორი. ეს ფონდი შექმნილი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობასთან. ამ მიზნით იგი ყოველწლიურად გარკვეულ თანხას იხდიდა და სხვებსაც მოუწოდებდა სალაროს გასაძლიერებლად გარკვეული თანხის გაღებას.

ი. გოგებაშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებაში. იგი ოცი წლის მანძილზე იყო ამ საზოგადოების გამგეობის წევრი (1901 წლამდე), თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე), მდივანი, პედაგოგიური სექციის თავმჯდომარე და ა.შ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია *ი. გოგებაშვილის დამსახურება აჭარის წინაშე*. იგი კარგად იცნობდა აჭარას, მის ბუნებას, ხალხის საქმიანობას, აჭარის მკვიდრთა თავისებურებებს. ამის დასტურია მისი სიტყვები: „აჭარელი გურულივით მარდია, მხნე და გამბედაია; თოფ-იარაღი ძლიერ უყვარს და მეტად მარჯვე მსროლელიც არის. ამას გარდა, საუკეთესო ზნეობითი თვისებანი აჭარლებისა არის: მოხუცებულის პატივისცემა, სტუმრის მიგებება, ღირსეულად თავის დაჭერა, ზრდილობა, თავაზიანობა, ცნობის-მოყვარეობა და დაუღალავი გამრჯელობა“ (41, 522).

იაკობის აქტიური მონაწილეობით 1881 წელს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. ამის შესახებ იგი 1892 წელს წერდა: „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც „წერა-კითხვის საზოგადოება“ შეუდგა ამ ათის წლის წინად, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განსახვრა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობს იმაში, რომ ახლად შემოერთებული მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, პირველ-დაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათის შუამდგომლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართულის წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შორის“... (45, 59).

ი. გოგებაშვილი არ კმაყოფილდებოდა ბათუმის სკო-

ლის გახსნით და სხეაგანაც მოითხოვდა ქართული სკოლის გახსნას. იგი წერდა: „...ქობულეთში სკოლის დაარსება იქნება პირველი ნაბიჯი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მოქმედებისა მაჰმადიან საქართველოში. ამას უნდა მოჰყვეს მეორე ნაბიჯი – გამართვა სკოლისა აჭარაში, მაგალითად, ქედაში. მეორე ნაბიჯს უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯები, რათა საზოგადოება მოეწიოს თავის წადილსა: – განათლების მოყვანას სამხრეთ საქართველოში და განახლებას ძმური კავშირისას ჩვენსა და აჭარელ-ქობულეთელთა შორის ერთერულს ნიადაგზე“... (45, 61-62).

იაკობ გოგებაშვილი ხშირად ჩამოდიოდა ბათუმის ქართული სკოლის მუშაობის შესასწავლად და გასაუმჯობესებლად. უკანასკნელად იგი ბათუმის სკოლას სწვევია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივან ალ. მიქაბერიძესთან ერთად. ისინი ერთობლივად დასწრებიან მასწავლებელ ი. რამიშვილისა და სკოლის გამგის ი. გოგოლიშვილის გაკვეთილებს, მოსწონებიათ მათი გაკვეთილები და დიდად ნასიამოვნები დაბრუნებულან თბილისში.

ი. გოგებაშვილი არ იყო კუთხური დედაენების შედგენის მომხრე, მაგრამ ისტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე, აჭარაში ამ მიმართებით გამონაკლისი დასაშვებად მიაჩნდა. ამიტომ მან, მემედ აბაშიძის თხოვნით, აჭარელთათვის სპეციალურად შეადგინა „დედა-ენა“, რომელშიც ქრისტიანული რელიგიის კომპონენტები მაჰმადიანური ელემენტებით იყო შეცვლილი, ხოლო „შიგ ჩახატულ ბიჭებს და გოგონებსაც, კაცებსაც და ქალებსაც მუსლიმანური სახელები ერქვათ“ (ფრ. ხალვაში).

ი. გოგებაშვილი დიდი ქველმოქმედიც იყო. იგი ეხმარებოდა მატერიალურად ღარიბ მოსწავლეებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მატერიალური დახმარება ეგნატე ნინოშვილისადმი.

იაკობი ისე გარდაიცვალა, რომ ოჯახი არ შეუქმნია. ამის მიზეზი იყო მისი განუკურნებელი სენი – ფილტვების ტუბერკულოზი. სწორედ ამიტომ არ დაგეორგეინდა ქორწი-

ნებით იოსებ მამაცაშვილის ასულის დარიასა და იაკობის სიყვარული.

ასეთი მაღალი სულისა და ზნეობის ადამიანი იყო იაკობი. ამასთან, იგი თავმდაბლობითაც გამოირჩეოდა. ეს კარგად ჩანს მის პასუხში გაზეთ „ივერიის“ 1900 წლის 83-ე ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ ქართველი საზოგადოება აპირებს ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად სადილის გამართვასო.

სამი დღის შემდეგ ამავე გაზეთში გოგებაშვილი წერდა: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან ჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამიმართოს საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოგახსენებთ, და გთხოვთ დიდი თხოვნით ხელი აიღოთ ამ თავის წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უნემოდ ჩაიელის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე... მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზე უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზებსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ და მერმე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ“ (45, 40-41). ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მაგრამ ქართველი ხალხი იაკობ გოგებაშვილს არავისზე ნაკლებად არ მიიჩნევდა.

სასიქადულო პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის დაკრძალვაზე მისმა განუყრელმა მეგობარმა და ცნობილმა პედაგოგმა *ლუარსაბ ბოცვაძემ* თავისი გამოსათხოვარი სიტყვა ასე დაასრულა: „დიდებულო ადამიანო, ინუგეშე მით, რომ შენს ამაგს, შენს სახელს არცეროი ქართველი არ დაივიწყებს, ვიდრე ქართველობა არსებობს ქვეყანაზე“... (69, 586).

მართლაც, თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მასთან ერთად, მარად იცოცხლებს იაკობ გოგებაშვილის სახელი ყოველი ჭეშმარიტი ქართველის გულში.

თ ა ვ ი XII

აკაკი წერეთელი და პედაგოგიკის საკითხები

როგორც დღე მისდევს დღეს, ისე მოდიან თაობები და სცვლიან ერთმანეთს, მაგრამ აკაკი, ბულბული საქართველოსი, შუამავალი ცისა და მიწისა, უცვლელია. იგი ყოველ დილით ამოდის საქართველოს ცაზე ბრდღვიალა მზესავით, რომ ნათელი მოჰფინოს სულ ახალ და ახალ თაობებს.

ნოდარ დუმბაძე

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი *აკაკი წერეთელს* (1840-1915) უჭირავს. მისი დროის საქართველოს ცხოვრებაში არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი თუ მოვლენა, რომელსაც იგი, ილიას მსგავსად, საქმით არ გამოხმაურებოდა ან მასზე თავისი ბრძნული აზრი არ გამოეთქვა. აკაკი იყო დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური. დიდ ილიასაგით, მასაც ერის წყლული საკუთარ წყლულად მიაჩნდა და დღენიადაგ ზრუნაობდა მისი განკურნებისათვის.

ამასთან ერთად, აკაკი წერეთელმა დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში არა მარტო როგორც საბავშვო მწერალმა, არამედ როგორც აღმზრდელმაც, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მართალია, იგი პროფესიონალი პედაგოგი არ ყოფილა, მაგრამ უშუალოდ სწავლობდა აღზრდის პრობლემებს და დიდად იყო დაინტერესებული ამ საქმით, რადგან იმ დროს მის ქვეყანას, ქართველ ხალხს ეს სჭირდებოდა. დიდი მგოსანი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რათა თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეთქვა კითხვაზე, თუ როგორ უნდა იზრდებოდეს ბავშვი, მოზარდი, რა სულიერი საზრდო უნდა მიეწო-

დოთ მას, რომ იგი „ახალი ტიპის ქართველად“, ერისა და ქვეყნის მსახურად იქცეს. ამავე დროს, მწერალი მკაცრად ილაშქრებდა სპირობისა და ჯოხის დისციპლინის მახინჯი საგანმანათლებლო სისტემის წინააღმდეგ. რომლის „სიკეთე“ მან საკუთარ ’სურგ’ზე გამოსცადა და დაუვიწყარი ფერებით წარმოგვიდგინა მოთხრობაში „ჩემი თაყვანდასაცემი“.

დიდი მგოსნის თითქმის ყველა ნაწარმოები შეიძლება გამოყენებულ იქნას აღმზრდელობითი მიზნებისათვის. ამიტომ უჭირავთ მათ ესოდენ ფართო ადგილი სასკოლო ქრესტომათიებში, მოსწავლეთა სულიერ ყორმირებაში, ესთეტიკური და ზნეობრივი გრძნობების გამომუშავებაში.

აკაკი წერეთელი მოითხოვდა პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას. ეს იდეა სათავეს იღებს ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნეებიდან, მაგრამ მას თავისი მიმზიდველობა არც XIX საუკუნეში დაუკარგავს. გამოჩენილი ქართველი პედაგოგები და მწერლები – ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ლუარსაბ ბოცვაძე და სხვები ერიოან დიდი სიმპათიით იყენებ განწყობილი პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების იდეისადმი. აკაკი წერეთელიც ამ იდეის მიმდევარია. ასეთი ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად მიჩნეულია *გონებრივი აღზრდა*.

აკაკი წერეთელს, ისე როგორც ქართველ სამოციანელთა მთელ პლეადას, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოხსნის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიაჩნდა ხალხში სწავლა-განათლების, „ცოდნის წყურვილის ცეცხლის“ გაღვივება. მას ღრმად სწამდა, რომ ცოდნას, განათლებასა და სათანადო აღზრდას მოკლებული ხალხი თავს ვერ დააღწევდა ჩამორჩენილობას, ვერ იპოვიდა იმ საჭალ გზას, რომელიც ხელს შეუწყობდა მის აღმავლობასა და ქვეყანას მოწინავე ევროპული აზროვნებისაკენ წაიყვანდა. „ერთხელ კიდევ გაიმეორებ, – წერს იგი, – რომ დღევანდელი ჩვენი უვარგისობა – დამახინჯებული აღზრდის ბრალია, რომელსაც მომა-

ვალ'ში ბოლო უნდა მოეღოს". იგი გა'უნათლებლობას მიაწერდა ასევე 'სნეობრივ სიმახინჯეს, რომლის მაგალითებსაც ბლომად ხელავდა ჩვენს საზოგადოებაში.

გონებრივი აღ'სრდის აუცილებელ წინა პირობად აკაკის მიაჩნდა სწავლა. მოთხრობა'ში „პატარა ტარიელი" იგი მას'წავლებლის პირით ჩააგონებს ბავშვებს, რომ ადრე ჩვენ'ში გონებრივი განათლება ნაკლებად ფასდებოდა, სამაგიეროდ, ბ'ერთაობა, ჯ'ირითი, ნადირობა და სხვა სანახაობანი საპატიო და სანაქებო საქმედ ითვლებოდა, „დღეს კი სწავლა-მეცნიერება'ზეა ყველაფერი დამოკიდებული, მკლავის ძალა გრძნობა-გონების ძლიერებით შეიცვალა, ფარ-ხმალის ადგილი ენამ დაიჭირა და მშვილდ-ისრისა – საწერ-კალამმა... თქვენი სანადირო ტყე-ველი, თქვენი საბ'ურთაო მოედანი სასწავლებელია" (133, 372-373). ყმაწვილის მამაცობის საგანი წიგნი და სწავლაა. ახალგაზრდამ სამშობლოს სამსახური, უწინარეს ყოვლისა, კარგი სწავლით უნდა გამოხატოს, რათა შემდგომში შეძლოს ერისა და ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა. ამიტომაცაა, რომ პატარა ბიჭის თხოვნაზე – „დედილო, მომეც ფარ-ხმალი, რომ ავისრულო ვალიო", დედა პასუხობს: „აღრეა, შვილო, ჯერ კიდევ წიგნია შენი ვალიო" („დედა და შვილი"), რადგან მან კარგად იცის, რომ ბავშვმა სამშობლოს წინაშე ვალი კარგი სწავლით უნდა მოიხადოს და არა მტრის წინააღმდეგ ბრძოლით.

აკაკი სამართლიანად დასძენს, რომ ცოდნის შეძენა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ენაზე იღებს მას მოსწავლე. ამ საქმე'ში იგი, როგორც ტიპური სამოციანელი, გადამწყვეტ როლს ***მშობლიურ ენას*** ანიჭებს. დედაენა აკაკის მიაჩნია აზრისა და გრძნობის გამოხატვის საუკეთესო საშუალებად, ადამიანთა ურთიერთობის იარაღად, ერის ნაფიქრ-ნააზრევის გამოულენის ძირითად გზად და მისი წინსვლა-წარმატების მაჩვენებლად.

აკაკის აზრით, უდედაენოდ ყოველად შეუძლებელია ბავშვის გონების გახსნა და მისი სასახელო ადამიანად ჩამოყალიბება. მოსწავლეს რომ სწავლა „დედის რძესავით შეერგოს", – გვასწავლის დიდი მგოსანი, – ის უნდა იყოს

მისთვის ადვილად გასაგები და შესათვისებელი. ამისათვის საჭიროა მან „თვალი გაახილოს და გულისყური გაიხსნას იმ ხელსაწყოს წყალობით, რომელიც უფრო ეიდვილება, ე.ი. იწყოს სწავლა იმ ენაზე, რომელზეც იმას პირველად სმა ამოუღია და შეუთვისებია“ (134, 460).

დიდი მოსინის აზრით, როცა ბავშვი დედაენაზე იწყებს სწავლას, ის ძალდაუტანებლად იძენს ცოდნას და მშობლიურ ენასაც უკეთ ეუფლება, შემდეგ კი უფრო ეიდვილება უცხოური ენების შესწავლა, ხოლო ისინი, ვინც მშობლიურ ნიადაგს „მოსწყდებიან“ და უცხო ენაზე დაიწყებენ სწავლას, „ორთაშუა რჩებიან და ვერარც ერთის ვერ წვდებიან“. „აბა მიხვედით ჩვენში იმისთანა ნიჭიერი მოღვაწე ვინმე, რომ თავდაპირველად მშობლიურ ენაზე არ დაწყოს ვარჯიშობა, არ ესწავლოს მხედრული და ხუცური წიგნი, ხალაპრები და ანდაზები არ ცოდნოდეს“, – წერს იგი (6, 181).

აკაკი, ქართველ სამოციანელებთან ერთად, თავგამოდებით იბრძოდა ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკისა და მისი მოხელეების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველი ხალხის გარუსებას, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატებოდა მშობლიური ენის შეცვლაში და დევნაში. ასეთები იყვნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველები იანუარ ნეკეროვი და განსაკუთრებით, ქართველების მოძულე, შავრაზმელი კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, რომლებიც ამ თანამდებობაზე მუშაობდნენ, პირველი 1864-1878 და მეორე 1878–1901 წლებში. მათ შესახებ2 ლექსში „რაჭა-ლეჩხუმი“ აკაკი წერდა:

„სამასწაელებლო მზრუნველად
ნიშნავდენ იმისთანასა,
ვინც ქართველობას პირდაპირ
ყელზე აჭერდა დანასა“...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აკაკი წერეთელი მშობლებისა და მასწავლებლებისაგან მოითხოვს სწავლების დედაენაზე დაფუძნებას და ცოდნა-განათლების მიღებას მხოლოდ მშობლიურ ენაზე.

უცხო ენაზე სწავლება, დასძენს აკაკი, ჯოჯოხეთად აქცევს ბავშვის ცხოვრებას, ტანჯავს და აუბედურებს მას. „როგორც ყოველწლობით, ისე ახლაც ვხედავთ ქუჩა-ქუჩა მომტირალ პატარა ყმაწვილებს და მათთან ერთად დაღონებულ და თითქმის ცრემლახა და ყოველისფერის მგმობელ გამწარებულ მოხუცებულებს", – წერს იგი (130, 198). ამის მთავარ მიზეზად აკაკის მიაჩნია ბავშვებისათვის უცხო, გაუგებარ რუსულ ენაზე სწავლება.

პატარა მოთხრობაში „ორი სიზმარი" აკაკი გვიჩვენებს იმდროინდელი რუსი მასწავლებლების დამოკიდებულებას ქართველი მოსწავლეებისა და ქართული ენისადმი. ქართულ ენას ისინი „ძაღლის ენას" უწოდებდნენ და ქართველ ბავშვებს აიძულებდნენ ყველაფერი რუსულ ენაზე ესწავლათ, უფრო მეტიც, ქართულ ენაზე დაწერილი წიგნების კითხვასაც კი უკრძალავდნენ. ერთხელ საღვთო რჯულის მასწავლებელმა აკაკის მისცა რუსულ ენაზე დაწერილი სახარება. მაგრამ პატარა კაკომ მასში ბევრი ვერაფერი გაიგო. მაშინ მამამ მას ქართულ ენაზე დაწერილი სახარება მისცა და ბიჭმა შვებით ამოისუნთქა. „...შეუდექი კითხვას, – წერს იგი, – და ადვილის ენის წყალობით ყველაფერი გაიგებე და დავმშვიდდი.

– როგორ ხართ შენ და შენი სახარება, კითხულობ ხოლმე? – დამეკითხა ერთხელ რჯულის მასწავლებელი.

– როგორ არა, ეკითხულობ კი არა, გაყრითაც არ ეყრები, სულ თან დამაქვს.

– ძალიან კარგი გიქნია! მაშ აბა, ერთი მაჩვენე აქა!

მე მაშინვე მივართვი ჩემი სახარება. იმან ღააკვირდა თვალები, გადაატრიალ-გადმოატრიალა ხელში და მკითხა: რა არის ეს?

– სახარება!

– ეს რა სახარება არის?

– ქართულის. ქართულად არის დაწერილი.

– მერე და ამის კითხვა გითხარი მე შენ?

– ის ვიკითხე და ვერ გავიგე.

– კმ!.. მაშ აგრე?.. ჩვენი წმინდა სახარება, სამართლმადიდებლო და საქრისტიანო, მიაგდე განზე და ამას ამჯობინე თქვენი, რალაც ძაღლის ენაზე დაწერილი წიგნი?..

ამ სიტყვებით მიახეთქა წიგნი კედელს... ისეთის გულ მოსულობით, რომ ფურცლებმა ფრიალი დაიწყეს აქეთიქით.

მთელი კლასი ფეხზე წამოდგა. მე გავშეშდი და რალაც უჩვეულო გრძნობამ გამკრა გულში. გამოვცვარდი კლასიდან ისარნაკრაკივით და როდის, რანაირად მივედი სახლში, აღარ მახსოვს!.. მხოლოდ ის კი მაგონდება, რომ პირდაღმა ბალიშში თავჩაღებული გულამომჯდარი ვტიროდი და თავზემდგომი დამფრთხალი დედ-მამა მანუგეშებდა"(133,396-397).

ქართული ენის შეყვარება და ბავშვებისათვის გაუგებარ, რუსულ ენაზე სწავლება იყო სწავლისადმი ქართველი ახალგაზრდობის გულგრილი დამოკიდებულების მიზეზი და არა „ეკლესრობა", როგორც ამას ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ორლოვი ამტკიცებდა გაზეთ „კავკაზში" (1882, №225) გამოქვეყნებულ თავის სტატიაში, რომელიც რაჭის, ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრების მოსახლეობის ჩამორჩენილობასა და სწავლისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ეხებოდა. აკაკიმ მკაცრი პასუხი გასცა ორლოვს. ახალგაზრდობის გულგრილ დამოკიდებულებას სწავლისადმი იგი ხსნიდა სკოლის უყვარგისობით და, უწინარეს ყოველისა, მშობლიური ენის უგულებელყოფით. „რა ბრალია ყმაწვილის, რომ მისი დედა ენა სხვა არის და არ იცის ის ენა, რომელზედაც ასწავლიან?" – კითხულობს იგი (130,199). ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ადათ-წესებსა და მშობლიურ ენას მოწყენტილ სკოლას აკაკი ჯოჯოხეთს ადარებს და მკაცრად ილაშქრებს ასეთი სკოლების წინააღმდეგ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აკაკი წერეთელი მშობლებისა და მასწავლებლებისაგან მოითხოვს სწავლების დედაენაზე დაფუძნებას და ცოდნა-განათლების მშობლიურ ენაზე მიღებას. დედაენას იგი თვლის ეროვნულობის ბურჯად, „ქონების კარის პირველ გასაღებად". მწერალი გვა-

ფრთხილებს, რომ დედაენის უარყოფას მოსდევს „უგზო-უკვლობა, უმეცრება, ცხოვრებაში გაბოროტება და ზნეობითი სიკვდილი“ (134, 462).

აკაკის აზრით, დედაენაზე დაფუძნებული სწავლება აადვილებს ასევე შესასწავლი მასალის შეგნებულ შეთვისებას, ყმაწვილებს ათავისუფლებს უაზრო სიტყვების ზეპირობის მძიმე ტვირთისაგან, ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების გაძლიერებას, რაც კარგ პირობებს ქმნის ეროვნული სიამაყის გრძნობის განვითარებისა და ღირსეულ მამულიშვილთა აღზრდისათვის.

აკაკი წერეთელს რომ თავდავიწყებით უყვარდა თავისი მშობლიური ენა, ეს ყველასათვის ცნობილია. ამას იგი ყველგან და ყოველთვის ამჟღავნებდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ასევე 1890 წელს მსოფლიოში სახელგანთქმული იტალიელი მსახიობის *ერრესტო როსის* პატივსაცემად გამართულ ვახშამზე წარმოთქმული მისი სიტყვები: „მარტო ენის უცოდნელობას ნუ მიაწერ, რომ მე დღეს ქართულად გიპირებ შესხმით სიტყვას!.. გამოვტყდები, ზედმიწევნითაც რომ ვიცოდე უცხო ენა, მაინც მაშინაც ქართულს ვერ ვუღალატებდი, რადგანაც ეს ჩემი დედა-ენაა, ყოველ ენაზე უფრო უტკბესი და უძვირფასესი ჩემთვის, და ამიტომაც მსურს, რომ გულითად სარჩულად დავუდვა იმ ბრებს, რომელსაც შენ შესახებ წარმოვსთქვამ“ (134, 463).

აკაკის ეს სიტყვები ალბათ იმათ გასაგონად უფრო ითქვა, ვინც მშობლიურ ენაზე ლაპარაკს თაკილობდა და უცხო ენაზე „ჭიკჭიკებდა“. ასეთი ქართველი კი იმდროისათვის საკმაოდ ბევრი იყო, მეტწილად თავადაზნაურთა წრეში. გამოჩენილი ინდოელი კლასიკოსი მწერალი და პედაგოგი რაბინდრანათ თაგორი იგონებს: ერთხელ, როცა მამამ ერთ-ერთი ნათესავისაგან ინგლისურ ენაზე დაწერილი წერილი მიიღო, იგი მაშინვე უკან დააბრუნაო.

დიახ, ყველა ასე უნდა იქცეოდეს, რადგან იმ კაცისგან, რომელიც პატივს არ სცემს თავის მშობლიურ ენასა და კულტურას, სიკეთეს ნუ მოელი. ასეთი მოქმედება ნიშნავს – კაცს დედა დავიწყებოდეს და დედინაცვალს ფიცულობ-

დეს. ეს კარგად უნდა შეიგნოს ყველამ, რადგან ქვეყნშიც ცოტანი რიდი არიან „დედინაცვალ'ს" უ'სომოდ შეყვარებულები.

დიდი აკაკი გულისტკივილით წერს, რომ შარ-აბასის დროიდან სპარსეთ'ში გადასახლებული ქართველები დღესაც წ'მინდად ლაპარაკობენ ქართულს და აქ შუაგულ საქართველო'ში კი „მშობლები განძრახვით არ ას'წაელიან დედა-ენას. – ბევრს ოჯახს შეხვდებით, სადაც დედ-მამა, სიამოვნებით ტრაბახობს, რომ მისმა შვილებმა ერთი სიტყვაც არ იციან დედა-ენისა". დღევანდელი დღეები, განაგრძობს აკაკი, ყმაწვილებს „მამისა" და „დედის" ნაცვლად, „პაპასა" და „მამას" ასწაელიან (134, 325, 335).

დედაენისადმი ამგვარ უპატივცემულო დამოკიდებულებას აკაკი „ურგებ-შვილობას" უწოდებდა და „ბაღალ წრეებ'ში" ქართველ ქალთა ერთ ნაწილ'ში გავრცელებულ ამ სენს აძაგებდა. მას გულს უკლავდა ის გარემოება, რომ „ბევრს ოჯახს შეხვდებით მისთანასა, სადაც დედაც ქართველია და მამაც (ენის ცოდნით) და შვილებმა კი ერთი სიტყვაც აღარ იციან ქართული. თავისი ერცხვინებათ, სხვისი კი ეკებათ. ასს ქალ'ში ოცს ვერ ნახავთ, რომ ქართ'ულის წაკითხვა შეეძლოს და რაც შეეხება წერას, უბრალო ჰაზრის გამოთქმაც არ შეუძლიათ მოახერხონ" (130, 124).

აკაკი სასტიკად გმობს იმ ქართველი ახალგაზრდების საქციელს, რომლებმაც ჯერ ქართულიც არ იციან რიგიანად და უცხო ენას ეპოტინებიან. 1868 წელს გამოქვეყნებ'ულ ერთ-ერთ უსათაურო ლექს'ში იგი ასეთი ახალგაზრდების საყურადღებოდ ამბობს:

„ჯერ ქართულიც არ იცი,
უცხოს რაღას ედები?
სიარული რომ გიჭირს,
მაღლა რაღაზე ხტები?"

აკაკი წერეთელს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ბრძოლა დედაენის უფლებების დაცვისათვის. პოემაში „ჟორჟინცოვი", რომელიც ცენზურამ აკრძალა და პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებ'ულა, იგი წერს:

„სასწაულებელში ყველგან საერთოდ
მოსპობილია ენა ქართული.
გვეგმობენ აწმყოს და მას ცდილობენ;
რომ შეგვაძულონ ჩვენი წარსული.
ღღეყანღელ გეგმით ჩვენი შვილები
ვერა სწაელობენ, ტყეილად ცდებიან,
და ორია შუა გამომწყედეული.
ვერც აქ და ვერც იქ ყველარ წვდებიან!"

იგივე აზრია გატარებული ლექსში „რაჭა-ლეჩხუმი":

„შკოლებში მოსწაელებსა
უსპობენ დედა-ენასა,
ყურს არ უგდებენ იმათი
მშობლების ცრემლის დენასა".

აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, გამუდმებით ზრუნავდა ქართული ენის სრულყოფისა და განვითარებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იგი ენის სიწმინდის დაცვას, მკაცრად იბრძოდა უცხო სიტყვებით მისი დანაგვიანების წინააღმდეგ. პოეტი დაუნდობლად კიცხავდა ყველა იმას, ვინც წერის დროს უმართებულო ენობრივ ფორმასა და ლექსიკას მიმართავდა. ამის ნათელი მაგალითია მისი გალაშქრება ჟურნალ „მწყემსის" წინააღმდეგ, რომელსაც ქართული ენის სპეციფიკის გვერდის ავლით შემოაქონდა ისეთი გრამატიკული ფორმა, რომელიც ქართულს არ ახასიათებს. „მწყემსი", – წერდა აკაკი, – თავის თავადაც ვარდება ხოლმე ცოდვაში, როცა რუსულის წამხედურობით ქართულშიაც შემოაქვს სქესი და მდედრობით სქესს ხმარობს: „მეფა", „ხელმწიფა". „ებრაელების კნეინა" წმ. ნინა (ნინოს მაგიერ) და სხვანი" (131, 389).

პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში ა. წერეთელი დიდ როლს ანიჭებდა ასევე *ზნეობრივ აღზრდას*. ზნეობრიობა მას მიაჩნდა ადამიანის სრულყოფის აუცილებელ პირობად, მასში ერისა და ქვეყნისადმი ერთგულების, კაცთმოყვარეობის, კეთილშობილური გრძნობების, ხრლილობის, პატიოსნებისა და სხვა თვისებების ჩამოყალიბების მძლავრ საშუალებად. მისი სამართლიანი შეფასებით,

„ყოველი კაცი განსხვავდება პირუტყვისაგან ზნეობის უზენაესობით, რომელიც უმეტეს ნაწილად სინდისში გამოცხადდება ხოლმე. მაგრამ თუ კაცმა... სინდისი წაიწყმიდა, მაშინ ის ყოველ პირუტყვზედაც უპირუტყვესი შეიქმნება ხოლმე“ (133, 211)

აკაკი წერეთელი ქველგან ხოტბას ასხამს მტკიცე მეგობრობას, ნდობასა და ერთგულებას, გმობს ღალატს, ფლიდობას, ბოროტებას, ყოყოჩობასა და ამპარტავნობას. მისი იდეალია ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოლებს საზოგადოებაში არსებული ბოროტების, უზნეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. „შეჩვენებულ იყოს ის ახალგაზრდა, – წერს იგი, – რომელიც ხედავს საზოგადოებაში ცუდს, მაენებელ რასმე მოვლინებას და არ ამხილებს უშიშრად და დაუფარავად!“ (134, 63).

მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემებზე აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებს მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“. მასში საუბარია ბავშვებში პატარაობიდანვე ზნეობრივი გრძნობების აღზრდის აუცილებლობაზე, რათა ყმაწვილის სულში, „მის შეგნება-ცნობიერებაში“ არ ჩაიბუდოს მანკიერ თვისებათა მარცვალმაც კი, რადგან მისი აღმოფხვრა შემგომში ძალზე ძნელია.

ეს პრობლემა წინა პლანზეა წამოწეული ასევე მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“. ზნეობრივი კეთილშობილებისა და ვაჟკაცური შემართების საუკეთესო მაგალითია აბდუშაილის დამოკიდებულება მოწინააღმდეგისადმი. მან უარი განაცხადა ბაში-აჩუკის ქურდულად და მიპარვით მოკვლაზე, თუმცა იგი თავის ღაუძინებელ მტრად მიაჩნდა და მოსაკლავადაც დასდევდა. „ან ის უნდა იყოს და ან მე! ან უნდა მოვკლა, ან უნდა შევაკვდე, მაგრამ უნდა შევხვდე სადმე და პირდაპირ უნდა მივიდეთ ერთიმეორეზე, ისე როგორც ვაჟკაცის წესია და არა ქურდულად, ღალატით, როგორც ნაბრძანები მაქვს!..“ – ამბობს იგი (133, 160).

მაღალი ზნეობრივი თვისებების მატარებელია ბაში-აჩუკიც. მასში თავმოყრილია ჭეშმარიტი ქართველისათვის დამახასიათებელი მაღალადამიანური თვისებები: სამშობ-

ლის უანგარო სიყვარული, მისთვის სიცოცხლე და თავდადება. ვაჟკაცობა, რაინდობა და მეგობრობა, სამრფოსადმი ერთგულება, ადამიანებისა და ბუნების სიყვარული, ამ უკანასკნელის მშვენიერებით ტკბობა და მრავალი სხვა.

„ბაში-აჩუკში“ აკაკი წერეთელი, მამაკაცებთან ერთად, წარმოგვიდგენს მაღალზნეობრივ, მტკიცე ხასიათისა და უღრეკი ნებისყოფის ქართველ ქალებს, რომლებიც სიცოცხლეს სწირავენ სამშობლოს, სარწმუნოების, თავიანთ უბიწოების. ოღონდ ქართველი ქალის ღირსება არ შეიბღალოს და ისინი უმალ სიკვდილს ამჯობინებენ. ამის ნათელი მაგალითია პირიმთარისას მოქმედება. იგი ტიპური წარმომადგენელია აკაკი წერეთლის მიერ დახატული „უმწეო დედაკაცებისა“. ამიტომაც ამბობდა მწერალი: „თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც ღარი უდგასო“. სწორედ ასეთმა ქალებმა შობეს და გამოზარდეს ბაში-აჩუკის, შალვა და ელიზბარ ერისთაველების, ბიძინა ჩოლოყაშვილისა და სხვათა მსგავსი ჭეშმარიტი მამულიშვილები.

ზნეობრივი აღზრდის ქვაკუთხედად აკაკი წერეთელს მიაჩნდა ***პატრიოტიზმი,*** სამშობლოსადმი ერთგულება და თავდადება. ლექსში „თერთმეტი ენკენისთვე“ იგი ლოცვა-კურთხევით იხსენიებს იმ სახელოვან გმირებს, „ვინც რჯულს და მამულს შესწირა თავი და სისხლით მორწყო კრწანისის ველი“. ამიტომ დიდი პოეტი მოითხოვდა ბავშვებში სამშობლოს სიყვარულის უპირველესი და უწმინდესი გრძნობის ჩანერგვას. ეს გრძნობა მისთვის სიცოცხლის ტოლფასია. „ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვია მამულიშვილი“, – ამბობს იგი. იგივე აზრია გატარებული ლექსში „თემურ-ლენგის ტყვე“. მასში ავტორი წერს: „ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს, არ ეთქმის ქვეყნის შვილიო“. ამიტომაც იყო, რომ სახელოვანი პოეტი მომავალ ქართველ მოქალაქეებს აკვნიდანვე უნერგავდა სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების გრძნობას. დედა ჩვილს გატაცებით უმღერის აკაკის იავნანას, რომელშიც მამულის უებრო სიყვარულია ჩაქსოვილი:

„გაიცინე და გაიზარდე პატარა მოკარეო,
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო;
შვილო, მამულის გულისთვის
სისხლი დაღვარეო“.

დიდმა აკაკიმ შესანიშნავად იცოდა, რომ „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. ამიტომ მას ღრმად სწამდა ქართველი ხალხის მომავალი და ამავე რწმენით ზრდიდა იგი ჩვენს ახალგაზრდობას. პოეტს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საქართველო თავს დააღწევდა მეფის კოლონიურ უღელს და დაიდგებოდა თავისუფალი განვითარების გზას. ერთხელ სოფრომ მგალობლიშვილს მისთვის უკითხავს:

— განა დაგვიდგება ხანა ცარიზმის ბრჭყალებისაგან თავის დახსნისა?

ამაზე აკაკის უპასუხნია:

—„შენ პესიმისტი ყოფილხარ, მე ღრმად მწამს, რომ რუსთაველის სამშობლო კვლავ აღსდგება. ჩვენ საქართველოს ბევრი რამ გადახვედრია, მაგრამ ჩვენში იმოდენა ნიჭებულებაა, ჩვენს ერში ისეთი დაფარული სულის ძალაა, რომ ჩვენი სიკვდილი შესაძლებელი არ არის“ (84, 179-178).

სწამდა რა საქართველოს მომავალი, დიდი მგოსანი როგორც ლირიკულ, ისე პროზაულ ნაწარმოებებში გვიხატავდა ისეთ ადამიანებს, რომელთათვისაც სამშობლოს სიყვარულზე უფრო მაღალი გრძნობა არ არსებობს. ამ სიყვარულის გრძნობით აღგზნებულნი ისინი თამამად მიდიან უეჭველი სიკვდილის რისკზე. ასეთი სიყვარულის ქ გალიოს პოეტი თავად იძლევა. ლექსში „მომაკვდავის ფიქრები“ იგი წერს: „თუ ჩემს სამშობლოს გამოადგებიან ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!..“

სამშობლოსათვის თავდადების ბრწყინვალე მაგალითი გვინახავს აკაკის მოთხრობაში „ბაში-ბუკი“. როცა საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შახ-აბასმა ქვეყნის აოხრების მუქარით მოითხოვა, რომ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები თავიანთი ნებით ჩაბარებოდნენ მას, ელიზბარ, შალვა ერისთავებმა და ბიძინა ჩოლოყაშვილმა პირველებმა

გაშოთქვეს სურვილი ხვარაკად შესწიროდნენ სამშობლოს, ოღონდ მისთვის საშინელი განსაცდელი აეშორებინათ. მწერალი ასე აგვიწერს სამეფო დარბაისობის სურათს, სადაც მეფე და დიდებულნი შაჰ-აბასის მიერ გამოგზავნილი წერილის თაობაზე თათბირობდნენ:

პასუხის ნაცვლად ზეზე წამოდგა მოხუცი ელიზბარი და ფანჯარაში გაიხედა. დარბაზი გაოცებით შეაშტერდა, ამბობს მწერალი.

– „დიდებულო ხელმწიფევ! – თქვა მან, – რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისეთივე ვართ ქვეყნისათვის... საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნილი. სანამდის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს რა. ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, აღრე თუ გვიან დასაცვენი, და ჩვენი მიზნით რათ უნდა მიადგეს გაჭირვება სამეფოს? არა, ჩვენიო დიდებულო მეფევ, ჩვენ, უეჭველია, უნდა ვეახლოთ ქვეს და, რაც მოსაყალია, მოგვიეიდეს!"

– ბატონო მეფევ! – წამოიძახა ჩოლოყაშვილმა, – ჩვენი სამიეს სათქმელი ერისთავმა მოგახსენათ და მე მხოლოდ დავუმატებ, რომ ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს, ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების გან'ხე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა მოწამებრივი სისხლიც ესაჭიროება სარწყაედ!.. ამგვარი მსხვერპლის უწევულო არ არის ჩვენი ქვეყანა და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მიეგებებით და მორჩილებით თავს დაედებთ!.. საქართველოს ჭირიც წაგვიღიაო!.. მიეიდა და ამოუდგა ერისთავს გვერდში.

„ამინო!" – დაიძახა შალვამ და გადადგა ბიჯი მათკენ. დარბაზს ჟრუანტელმა დაუარა", – ამბობს მწერალი და ამით ამთავრებს ამ ეპიზოდს (133, 180-181).

მართლაც, როცა დიდი მწერლის ამ სიტყვებს კითხულობ, არ შეიძლება ჟრუანტელმა არ დაგიაროს ტანში. ასე

ხარდიდა აკაკი მკითხველის გულში სამშობლოს სიყვარულის უწმინდეს და უკეთილშობილეს გრძნობას.

სამშობლოს სიყვარულის ერთ-ერთ გამოხატულებად აკაკი წერეთელს მიაჩნდა საქართველოს ქველა კუთხის ერთიანობისათვის ხრუნვა. 1876 წელს იგი „დროებაში“ (№13) აქვეყნებს ფელეტონს სათაურით „ჩანგური“. მასში ავტორი გამოხატავს ეროვნული გაერთიანების იდეას. იგი წერს: „აიღოთ, მაგალითად, ჩვენი საქართველო. ეს არის ჩანგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვ... თვითეულს ამთგანს თავის საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კერძოთ თავის-თავად არც ერთს არა აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდენ“... ეს იდეა მგოსანმა მოგვიანებით მთელი სისრულით წარმოგვიდგინა „ნათელას სიმღერაში“, რომელშიც იგი ამბობს:

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ქველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:
„ოდელა-დელა-დელაო!“
მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით
ფუტკარი... ჭიანჭველაო!..
და ჩვენ რად ვმღერით ცალ-ცალკე:
„ოდელა-დელა-დელაო?!“

პოემაში „თორნიკე ერისთავი“ მგოსანი საქართველოს, მისი სხვადასხვა მხარეებით, მოხდენილად ადარებს შვიდფერ ცისარტყელას:

„შვიდ სამთაეროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი
და გვამღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“

ამ იმედითა და სულისკვეთებით მოძღვრავდა დიდი პოეტი ახალგაზრდობას და, მასთან ერთად, მთელ ქართველ ხალხს. მისი იდეალი იყო ერთიანი, დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველო. ამისათვის იგი თავდაუზოგავად იბრძოდა და მომავალი თაობის, ახალი ტიპის ქართველის, აღ-

ხრდის საფუძველსაც ამაში ხედავდა.

აკაკი წერეთლის აზრით, ყოველ ჭეშმარიტ ადამიანს სამშობლო დედასავით უნდა უყვარდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დასძენს იგი, ზოგიერთს სიტყვა „პატრიოტი“ სალანძღავ სიტყვად მიაჩნია, ზოგს კი შოვინისმი ჰგონია. არიან ისეთებიც, რომლებსაც თავიანთი სამშობლო მხოლოდ გაშლილ სუფრასთან ახსენდებათ.

„როდესაც ჩემ წინ სუფრაზე
ცხელი შუშხუნა მწვადია,
მაშინ მე სამშობლოსათვის
ყოველი კარგი მწადია!
„მრავალ-ჟამიერ! ჟამიერ,
ჩვენს ტურფა საქართველოსა!“
ვიტყვი და შეუპოვარად
გადავკრავ სადღეგრძელოსა“, – ამბობს პოეტი ლექსში „ქართული პატრიოტობა“.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ აკაკი წერეთელი დაუნდობლად ებრძოდა კოსმოპოლიტიზმს, ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა მშობელ ხალხს, თავგამოდებით იცავდა მის ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს. პოეტის აზრით, განათლებამ, სხვა ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების შესწავლამ ეროვნული სახე კი არ უნდა დაგვაკარგვინოს, არამედ, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას, ეროვნული კულტურის გამოვლენასა და განვითარებას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ზოგადსაკაცობრიო კულტურის განვითარება. „ფერადოვანი კაცობრიობა, – წერდა იგი, – სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აიცხოს საკაცობრიო ზღვა!“ (7, 455).

ის, ვინც თავის ერს უარყოფს, არც საკუთარ თავს გამოადგება და არც სხვას. ეს აზრია გატარებული აკაკის ალეგორიულ ლექსში „ღამურა“, რომლის ლაიტმოტივი

ასეთია: „ერთმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თაგვობა" და ფრინველად გახდომა მოინდომა. ფრთებიანი თაგვი ფრინველებმაც იუცხოეს და თვისტომებმაც. არც ერთმა მიიღო იგი და არც მეორემ. თავი რომ გადაერჩინა, იძულებული გახდა ორიეს გაშორებოდა და ბნელ მღვიმეს შეფარებოდა. ღამურადქცეულმა თაგვმა მოინანია თავისი საქციელი და მოელი არსებით დასწყევლა გადაგვარების მსურველი:

„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცქვალოს ბარხელა!
თვის ტოტის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზელა!
ძველ ტოტში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა
და ახალ ტოტშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასაო!"

ასეთი ხვედრი, აკაკის აზრით, ელის ყველა იმას, ვინც თავის მშობელ ხალხს განუდგება. მაგრამ სამშობლოს სიყვარული აკაკი წერეთელს ცოტად და შეზღუდულად როდი ესმოდა. მისი აზრით, გიყვარდეს სამშობლო – ეს სრულიად არ ნიშნავს შეიძულო სხვა ქვეყნები და ერები, შეეცადო, შენმა მამულმა ბედნიერება მოიპოვოს სხვა ხალხთა უბედურების ხარჯზე. სამშობლოს ასეთი სიყვარული დიდ პოეტს მიაჩნდა შოვინიზმად, საძაგლობად. თავის ერთერთ სიტყვაში აკაკიმ პირდაპირ განაცხადა: „შოვინისტობა, ესე იგი სამშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვალებენ სხვების კეთილდღეობას და ბედნიერებას, საძაგლობაა!" (129, 465).

ამრიგად, აკაკი წერეთელი მკვეთრად განასხვავებდა ჭეშმარიტ პატრიოტიზმსა და სამშობლოს უკუღმართ სიყვარულს, ანუ შოვინიზმს. მისი აზრით, ყველას აქვს უფლება უყვარდეს მამული, ისე რომ, საჭიროების შემთხვევაში, თავიც კი გასწიროს მისთვის, მაგრამ თუ ამ სიყვარულს სხვა ერთა სიძულვილი ახლავს, თუ შენი მხოლოდ იმიტომ გიყვარს, რომ შენია, სხვისი კი მხოლოდ იმიტომ გძულს, რომ სხვისია, განურჩევლად იმისა, კარგია იგი თუ ცუდი,

ეს უკვე საძაგელობაა, შოვინისტია, რომელიც ყველა პატიოსანმა ადამიანმა უნდა დაგმოს, როგორც შეუწყნარებელი, უაღრესად მავნე მოვლენა (123, 110).

აქედან გამომდინარე, სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიყვარულთან ერთად, აკ. წერეთელი ნებისმიერი ეროვნების ადამიანისგან მოითხოვს, უაღრესი პატივისცემით მოეპყროს სხვა ერებსა და მათ სამშობლოს. მისი აზრით,

„იმას არ ეთქმის „ადამიანი“,
ვინც ალიარებს მარტო თავისს ერს,
და სხვა ტომებს-კი ისე შეჰყურებს
ჩასაცლაპაეად, როგორც მტერი მტერს“.

საბაჟშვო ჟურნალ „ნაკადულის“ მკითხველებისადმი მიმართულ სიტყვაში აკაკი წერეთელმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ხალხთა შორის სიყვარულსა და მეგობრობას: „ერი უნდა გიყვარდეს, – წერდა იგი, – მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ“ (7, 444), რაც ამაღლებს და ჭეშმარიტ პატრიოტად აქცევს ადამიანს. ცდება ისიც, ვინც ერების სიძულვილს ქადაგებს და ისიც, ვინც ვითომდა კაცობრიობის სახელით საკუთარ ეროვნებას უარყოფს. ეს იდეა აკაკიმ ნათლად გამოხატა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში: „ქვეყანაზე პირველად მე ქართველი ვარ, რადგანაც ქართველად დაებადებულვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე შოვინისტი ვიყო. სხვა ხალხის უბედურებით რომ ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი, ეს არ მინდა. არც ჩემს ხალხს შევსწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. ჩემი სურვილია, რომ ქვეყანა თავთავისად ბედნიერი იყოს, ერთი მეორის გადაუკიდებლად“ (64, 370).

ამიტომაც იყო, რომ აკაკი წერეთელი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუცხრომლად იბრძოდა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა დაახლოების და ძმობისათვის, მათი მეგობრობის განმტკიცებისათვის. განსაკუთრებით დიდი სიყვარულით ლაპარაკობდა იგი რუს, უკრაინელ, კავკასიელ და სხვა ერთა შვილებზე, იბრძოდა ქართველი ხალ-

ხის მათთან დაახლოებისათვის, მათ შორის კეთილი და-მოკიდებულების გაძლიერებისათვის, ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის დანერგვისათვის.

ხალხთა მეგობრობასა და ძმობას რომ ქადაგებდა, აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ყველა იმ მოღვაწეს, ვინც ასეთსავე მიზანს ისახავდა და ყოველი ღონისძიებით ხელს უწყობდა სხვადასხვა ერის შვილთა დაახლოებასა და მათი მეგობრული კავშირის განმტკიცებას. ამის ნათელი მაგალითია გამოხენილი სომეხი დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცისადმი მიძღვნილი მისი ერთ-ერთი ლექსი, რომელშიც იგი წერს:

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა“.

აკაკი წერეთელი გ. სუნდუკიანცს აფასებდა არა მარტო იმიტომ, რომ იგი დიდი მწერალი იყო, უფრო მეტად, იმიტომაც, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ხალხთა შორის მეგობრობის დაუცხრომელი მებრძოლი და ჭეშმარიტი პატრიოტი იყო.

ზნეობრივ აღზრდაში, პატრიოტიზმის შემდეგ, აკაკი წერეთელი ერთ-ერთ საპატიო ადგილს *ჰუმანიზმს* უთმობს. თავის ერთ-ერთ ლექსში იგი წერს:

„მისთვის მომცა ღმერთმა ენა, სიმართლისთვის გავიწირო,
ნაგრულ მოძმეს მოვეხმარო, თუნდაც ქვითაც დავიკირო;
მოძმის ვიყო შემწე ჭირში, ვიხარო და გავახარო,
რაც კი ვნახო მასში ცუდი, გამოვასწორო და არ დავფარო!..“

პოემა „თორნიკე ერისთავი“ თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ჰუმანიზმის სულისკვეთებით. ყოველი ერის ადამიანისადმი გულთბილი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით. თუ ომის ქარცეცხლში ბრძოლით აღტყინებული მოწინააღმდეგე ბანაკთა მეომრები — ქართველები, სომხები, სპარსელები, ბერძნები ერთმანეთს არ ისლობდნენ, სისხლისმღვრელი შეტაკებების შემდეგ, როცა ბრძოლის ჟინი ნაცხრა, ისინი უკვე ალარ ხედავენ ერთმანეთში მტერს. ამიტომ იყო, რომ თორნიკე ერისთავმა გასცა განკარგულება — ველა დაჭრილ მეომარს, განურჩევლად ეროვნებისა, დახმა-

რებოდნენ, არც ერთი მოკლული დაუმარხავად არ დაეტოვებინათ და არ შეურაცხეყოთ ტყვეები:

„სიკვდილი ყველას ათანასწორებს:
თეისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!..
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.
ნურვინ გაიბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!“

პიროვნების ადამიანურ ღირსებათა დაფასება და მისი პატივისცემა, მიმის სიყვარული, სხვისი მწუხარების გაზიარება, ქვრივ-ობლებზე და უპატრონო ბავშვებზე ზრუნვა, ღარიბებზე დახმარება და ჰუმანიზმის სხვა მხარეები მრავლად გვხვდება აკაკის მხატვრულ შემოქმედებაში.

ეს ა'სრია გატარებული მოთხრობაში „ვარდი და ეკალი“. მასში დედა თავის პატარა ბიჭს გარდაცვლილ მამას ასე უხასიათებს: „ის თავის პირადობას და კერძო ბედნიერებას საზოგადოს სწირავდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: „საზოგადო უბედურების დროს კაცი არ უნდა ეძებდეს თავის კერძო ბედნიერებას. თუ ჩემ გარშემო ყველანი მშიერი იქნებიან, მაშინ გემრიელი საჭმელიც უგემურად ჩაეა ჩემს პირშიო, „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისთვისაო“... იტყოდა“ (133, 211).

ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად აკაკი წერეთელს მიაჩნდა ასევე ***ფიზიკური აღზრდა,*** რადგან იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ სხეულის გამოწრთობა და სილაღე პიროვნების „ჭკუა-გონების“ გავარჯიშების, სულიერი ძალების ამაღლების, გასპეტაკებისა და სრულყოფილი განვითარების საუკეთესო საშუალებაა. იგი ხელს უწყობს ასევე მოსარდში გამძლეობის, ამტანიანობის, გამბედაობის, დროსა და სივრცეში ორიენტირების უნარის გამომუშავებას, ამასთან, აახლოებს და ამეგობრებს თანატოლებს, უნერგავს მათ კოლექტივიზმის, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის მაღალზნეობრივ გრძნობებს.

ამ საქმეში აკაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თამაშო-

ბებსა და სათამაშოებს. „ქართველების ოღენა სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არა აქვს და ეთვალგვარი სათამაშოც უთუოდ იპოვნია, რომელიც ჭკუაგონებასა და სხეულს სწერთნის, აყარჯიშებს“, – წერს აკაკი (133, 14). ბურთაობაზე იგი ამბობს: „აბა, რომელი „გიმნასტიკა“ შეედრება მას? ბურთაობის დროს თვალი, ყური, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვეება სიმარდეს“ (133, 14).

ქართველების უთვალავი სათამაშოებიდან აკაკი ასახელებს „ქორობიას“. ეს თამაში ფიზიკური აღზრდის თვალსაზრისით დიდად არაფრად მიაჩნია უკვე დაბრძენებულ მწერალს, მაგრამ იგი თავისი ქვეყნის ბედს აგონებს და ამიტომაც ჩარჩენია მეხსიერებაში. „ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტორია, – წერს აკაკი, – სწორედ ქორობიას წარმოადგენდა: საქართველო კრუხი იყო სიცოცხლეგამწარებული, და სხვა მისი კუთხეები – წიწილები!.. მტრები ქორებივით ესეოდნენ... იტაცებდნენ ხან ერთ მხარესა და ხან მეორეს“... (133, 16).

აკაკი წერეთელი დიდ სიკეთეს ხედავს ბავშვის სოფლად გაზრდაში. იგი ერთმანეთს ადარებს ქალაქსა და სოფელში ბავშვების აღზრდის პირობებს და აშკარა უპირატესობას სოფელს ანიჭებს, სადაც პატარებს სპარტანულად ზრდიდნენ. „საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ სპარტანულად გვზრდიდნენ, – წერს იგი; – არ გვაცმევდნენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დარს და არც აფდარს. დილდილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას ურბა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა; დასოველებული და სიცივისაგან გაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე ურბა შეგვეშრო...ახალ გასაფხულზე რომ წვიმა მოვიდოდა, ჩვენ სახლის ღარს თავს ვუშვერდით, რომ ოქროს ხუჭუჭი ამოგვსვლოდა“ (133, 46).

სპარტანულმა აღზრდამ კეთილმეოფელი გავლენა იქონია აკაკის ფიზიკურ აგებულებაზე. ამიტომაც იყო, რომ იგი ხანში შესულიც კი მეღგრად უმკლავდებოდა ბევრ ავადმყოფობას. სწორედ ამაში ხედავდა მწერალი ბავშვის სოფ-

ლად ვაზრდის სიკეთეს. ქალაქელი ბავშვი კი, მისი აზრით, მოკლებულია სხეულის განვითარების ბუნებრივ პირობებს. მას „ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლები სტანჯავს... გამოასულდგმულა ტანთსაცმელში, საძრახაა ალერ აქვს... იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქეციანას ურჩევნია, მაგრამ ვანა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასჭარაოს?..“ (133, 14).

აკაკი წერეთელი მოითხოვდა ალზრდის პროცესში ბავშვის ფიზიკური და სულიერი ძალების, მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით იგი იწუნებს „ჯიმნასტიკასაც“, რომელიც, მისი აზრით, „მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჯორჯვა“.

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ალზრდაში აკაკი წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასევე *ესთეტიკურ ალზრდას*. ამ მიმართულებით ალზრდის ძირითად წყაროდ მას მიაჩნდა ხელოვნება, რომელიც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე: აფაქიზებს და ასპეტაკებს მის სულს, ასაზრდოებს გონებას, აძლიერებს შრომის ხალისს, უვითარებს ბავშვებს პუმანურ გრძნობებს და ა.შ.

მოზარდი თაობის ესთეტიკურ ალზრდაში აკაკი წერეთელი არ იგნორებს ასევე მწერლობასა და თეატრს, განსაკუთრებით კი ეროვნულ და საბავშვო ლიტერატურას. მისი საბავშვო ლექსები ყველას მოსწონს – დიდსაც და პატარასაც, რადგან ისინი იმდენად მარტივადაა დაწერილი, რომ ყველასათვის გასაგები და მისაწვდომია.

თეატრი აკაკის მიაჩნდა „გასაწვრთნელ და ზნეობრივად ასამაღლებელ“ მოვლენად. ამიტომაც იყო, რომ დიდ პოეტს მთელი სიცოცხლის მანძილზე კავშირი არ გაუწყვეტია თეატრთან – წერდა პიესებს, რეცენზიებს სპექტაკლებზე, ერთხანს კიდეც რეჟისორობდა და სცენაზეც გამოდიოდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მსახიობებთან, დრამატურგებთან და ა.შ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოზარდი თაობის ჰარმონიულად ალზრდასა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარე-

ობის გაუმჯობესებაში ქართველი განმანათლებლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ***შრომით აღზრდას***. აკაკი, ილიასთან ერთად, შრომითი აღზრდის ერთ-ერთი მოთავეა ჩვენში. დიდი პოეტი თავისუფალ, შემოქმედებით შრომას მიიჩნევდა ყოველი ადამიანის ძირითად მოვალეობად და ოცნებობდა იმ დროზე, როცა შრომა ადამიანისთვის ბედნიერი ცხოვრების საფუძველი გახდებოდა.

აკაკი წერეთელი მოითხოვდა ბავშვთა შრომით საქმიანობაში პატარაობიდანვე ჩაბმას. თავის ლექსებსა და მოთხრობებში იგი მკითხველს უმტკიცებდა ადამიანზე შრომის გამაკეთილშობილებელ ზეგავლენას, არწმუნებდა, რომ ინტენსიური შრომა ყოველთვის ნაყოფს გამოიღებს და ბედნიერებას მოუტანს ადამიანსო.

პოეტი დიდი სიამოვნებით და მოწონებით იგონებს იმ წლებს, როცა სოფელში, გლეხის ოჯახში იზრდებოდა. „არ შემიძლია არ გამოვტყდე, – წერს იგი მოგვიანებით თავის „თაქვალასავალ'ში", – რომ, თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი" (133, 10).

აქ ისწავლა მომავალმა მგოსანმა ჭეშმარიტი შრომა და ცხოვრება. „ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, – განაგრძობს აკაკი, – თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკაცება, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჯამანდის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ ჩემი შესაფერი სელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი" (133, 11).

აკაკი წერეთლის აზრით, შრომა ალამაზებს, შინაარსიანსა და მიმზიდველს ხდის ბავშვის ცხოვრებას, უვითარებს დაკვირვების უნარს და აყვარებს შრომის ობიექტებს. პოეტის აზრით, ბავშვი თავის სათამაშოებს საკუთარი ხელით უნდა აკეთებდეს, ვინაიდან შრომა მასში იწვევს სათამაშოს გაფრთხილებისა და მისი მოვლა-პატრონობის ინტერესს.

„ეს ჰე ნემ თაქსე გამომმიცლია! – ამბობს მწერალი. – სხეისი გაკეთებული და ნაკიდი სათამაშოები არაფრად არ მიმანდა და ნემსას კი ვუფრთხილდებოდი ხოლმე“ (133, 14).

ეროვლიეე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აკაკი წერეთელი თქვის, რომ გონიერულად შერჩეული, მოზარდის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან შეხამებული შრომა არა მარტო აყალიბებს ყმაწვილის ხასიათს, ამდლებს მის ზნეობრივ თვისებებს, არამედ აწრთობს და აკაკებს მის სხეულს და, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას.

აკაკი წერეთელი თავის პედაგოგიკურ ნააზრევში არ ივიწყებს დიდაქტიკის საკითხებსაც. იგი „ხემ თაეგადასაველში“ და სხვა ნაწარმოებებშიც ყურადღებას ამახვილებს ***სწავლების პროცესზე, სკოლასა და მასწავლებელზე,*** ილაშქრებს იმდროინდელ სკოლებში გამეფებული მკაცრი რეჟიმისა და როზგის წინააღმდეგ. „იმ დროს, – წერს იგი, – მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო“ (133, 57) და წარა-მარა უტულაშუნებდნენ მოსწავლეებს. „დღე არ იქნებოდა, – წერს აკაკი ქუთაისის გიმნაზიაზე, სადაც იგი სწავლობდა, – რომ ყმაწვილების წიკილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული“ (133, 57).

მწერალი იგონებს მოსწავლე კრიჟანოვსკის, რომელიც ერთ დღეს ოთხჯერ გაროზგეს და მეხუთეჯერ რომ დაუპირეს გაროზგვა, გიმნაზიიდან გაიქცა და მდინარე რიონში გადაეშვა თავის დასახრჩობად, მაგრამ შემთხვევით იქ მყოფ ვილაც „კარგ მცურავ“ მეგრელ ბიჭს გადაურჩენია იგი.

ერთ ყმაწვილს, გვარად ჭაჭიაშვილს, დიდი ყურები ჰქონია. „დიდი და პატარა ყველა ყურებში აცლებდა ხელს, – ამბობს მწერალი. – ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდი აახლიჩა ყური... დაუწყო შეხორცება, მაგრამ ვინ აცალა შეხორცება! სტაცებდნენ ხელს და ხელახლა აგლეჯდნენ... ასე რომ გაეთდა სასწავლებლიდან“ (133, 58).

როზგთან ერთად, რომლებიც გიმნაზიაში „სტოროჟებს“

ეთქვალდეს მოჰქონდათ, მოსწავლეთა დასასჯელად იყენებდნენ ასევე „ლინეიკას“. ხელმძღვანელმა „ერთ მოსწავლეს – კლდიაშვილს, პირით დაკრა შუბლზე „ლინეიკა“ და თავისლე გადაადინა, ძალიც კი გაუტეხა. გულშემოყრილი ბავშვი შინ წაიღეს. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია“, – დასძენს მწერალი (133, 58).

ამ „ლინეიკის“ სუსხისგან ცერც აკაკის დაეცლებია თავი. ერთ დღეს მისთვის შეიდგერ დაეკრაოთ იგი ხელის გულზე. „ის დღე იყო და მას აქეთ... – წერს მკითხველი, – წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვეველად ვწერ“ (133, 59).

საქართველოს იმდროინდელ სასწავლებლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლება თითქმის მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მოსწავლეებს უფლება არ ჰქონდათ სასწავლებლის ფარგლებში ერთი სიტყვაც კი ეთქვათ მშობლიურ ენაზე. ვინც ამ წესს დაარღვევდა, მას სასტიკი სასჯელი ელოდა – ცემა და უსაძილოდ დატოვება. „იმ დროს, – წერს აკაკი, – შემოღებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩენებდნენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს – სახაზავს დაჰკრავდნენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგადაგდე... ამგვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი ღღით უსადილოდ“ (133, 55).

გარდა იმისა, რომ „მარკის“ გამო რუსული ენის არმცოდნე ბავშვები მუნჯებიყით იყვნენ და ხმას ვერ იღებდნენ სასწავლებელში, წერს აკაკი, „ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა. ყმაწვილები ცდილობდნენ, რომ ერთმანეთი მოეტყუებინათ, გაებრიყვებინათ როგორმე და ცბიერება-ყარისეულობას ეჩვეოდნენ“ (133, 59).

მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“ აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებს ასევე გიმნაზიაში გაბატონებულ

სწავლების მეთოდებზე. იგი გმობს იმდროინდელ დოგმატურ სწავლებას, ფორმალიზმსა და უაზრო ზეპირობას. მის ერთ-ერთ მიზეზად მწერალი პედაგოგიკის დაბალ დონეს ასახელებს. „...იმ დროს პედაგოგია, – წერს იგი, – მეტად დაბალ ხარისხზე იდგა. ბავშვებს კაჭკაჭებსავით სწვრთნიდნენ და არა ადამიანის შვილებად! ყოველი საგანი უნდა მხოლოდ ეზეპირებიათ მოსწაფლეებს, და, აზრი ესმოდათ თუ არა, ამას არავინ ჰკითხავდა“ (133, 64). აქვე აკაკი წერეთელი იხსენებს ერთ შემთხვევას, როცა მოსწავლემ გაკვეთილი ზეპირად არ იცოდა, მაგრამ თავისი სიტყვებით მშვენივრად გადმოსცა, მასწავლებელმა უთხრა: – „შენი სიტყვებით რომ ბრძანებ, განა სწუნობ მაგის დამწერის სიტყვებს?! გაუჯავრდა და გააგდო, ცუდი ნიშანიც დაუსვა. მერე მეორედ გაიცანა, როდესაც გაუზეპირებია და სულმოუბრუნებლად, სულ სხაპასხუპით ეთხრა, თუმცა კი არ ესმოდა, რას ამბობდა, მოუწონა: „აი როგორ უნდა დაისწავლოთ!“ და კარგი ნიშანიც დაუსვა. ასე იქცეოდნენ ყველა მაშინდელი მასწავლებლები“ (133.64-65), – დაასკვნის მწერალი და დაწვრილებით ახასიათებს თითოეულ მათგანს. გიმნაზიის ინსპექტორზე იგი წერს: „ეს ისეთი შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის „გაროზგვას“ არა ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმარო იყო, რომ ოთხში ამოეყოლ. ერთხელ ერთსა და იმავე დროს ორი ბავშვი „გაროზგა“: ერთი იმიტომ, რომ თმა წამოგზრდიათ და მეორეც იმიტომ, რომ მეტად ძირში მოუკრიათ!“ (133, 67).

რუსული ენის მასწავლებელი *საპეგაც* ახარებული ვინმე ყოფილა. სულ ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა და ვინმე გაცინებული რომ დაენახა, გადაირეოდა. გამოძახებულ მოსწავლეს ყოველთვის ეუბნებოდა – ნუ ფიქრობ, ისე მითხარიო. ერთ დღეს საპეგას დაფასთან გაუცანია რომელიღაც მოსწავლე და რაღაცის დაწერა დაუვალებია. ბავშვი მცირე ხნით ჩაფიქრებულა. პედაგოგი კი უკან მიპარვია, თავში ხელი უკრავს და ცხვირ-პირი დაფაზე მიუხლეჩინებია. მოსწავლეს ცხვირიდან სისხლი წასკდომია. ამ ამბავს შესწრებია დირექტორი და საპეგა სკოლიდან გაუგდია. მაგრამ არც

მის ნაცვლად მოსული *პანიხოვსკი* გამომდგარა მასზე უკეთესი. იგი არაფერს არ ასწავლიდა ბავშვებს, მხოლოდ ხელით მოუნიშნავდა: „აქედან აქამდე გაიზეპირეთო". ერთხელ ერთ თამამ მოსწავლეს მისთვის უკითხავს: „პუშკინი უკეთესი მწერალია, თუ გერცენიო?" ამის გაგონებაზე შეშინებული მასწავლებელი ხელზე წამოეარდნილა, ყურები თითებით დაუხშია და ყვირილი აუტეხია: „აქ არ ცქეფილვარ, არა გაიგონია რა, არცა გითქვამს რაო"... და ასე გაჰარდნილა კარში (133, 69).

ამ პლეადას „ამკობს" უწყინარი, მაგრამ ლოთი მასწავლებელი *როლბუევი*. რომელიც ალგებრას, გეომეტრიას, ტრიგონომეტრიასა და ფიზიკას ასწავლიდა ბავშვებს, მაგრამ არც თავისი საგნით იყო დაინტერესებული და არც მოსწავლეთა წარმატებით. მას მუდამ „ისე გაულენთილი ჰქონდა გვამი არეით, – წერს აკაკი, – რომ ხანდახან, კიდეც რომ არ დაელია, ისე თავისთავად მოუვლიდა სიმთვრალე. ერთხელ მოუარა გაკვეთილების დროს და მოწაფეს, რომელიც დაფასთან იდგა და გეომეტრიულ სახეებსა ხატავდა, – მიაყვირა: „აბა, ჩამოუარე ლეკურიო!" – და ტაშის კვრა დაიწყო" (133, 71).

ასეთები, აკაკის აზრით, მხოლოდ თანამდებობით იწოდებიან პედაგოგებად, სინამდვილეში კი პედაგოგიური მეცნიერებისა არაფერი გაეგებათ.

ძველი სკოლის უარყოფითი ტიპის პედაგოგთა გვერდით, აკაკი წერეთელი „ჩემ თავგადასავალში" და სხვა ნაწარმოებებშიც არ იშურებს მოწინავე პედაგოგებსაც. რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მასში და გარკვეული როლი შეასრულეს მის აღზრდასა და კაცურკაცად ჩამოყალიბებაში. მათ შორის პირველია დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელი *ტროე*. რომელიც გარკვეული სიყვარულითა და აუტორიტეტით სარგებლობდა მოსწავლეთა შორის.

ტროე საზეპიროს ცოტას გვაძლევდა, იგონებს აკაკი, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვდა, რომ მოსწავლეს სცოდნოდა არა თუ ა'სრი, არამედ ყოველი სიტყვის მნიშვნელობა.

„მის კლასში ქეცელა – დიდი და პატარა, – დასძენს მწერალი, – თანასწორად სმენად იყო გადაქცეული. ბუნი რომ გაფრენილიყო, გაიგებდა კაცი. მაშინ იცოდნენ და დღესაც კიდევ. მასწავლებლები რიგ-რიგად ჰკითხავენ მოსწავლეებს, ასე რომ მოწაფემ იცის, როდის მოუწევს რიგი და იმ დღისათვის უკეთ ემზადება... ტროეს კლასში კი ქეცელა მზად უნდა ყოფილიყო. ერთს რომ ჰკითხავდა, უცებ, მოულოდნელად სხვას რომელიმეს „განაგრძეო“ – მიუბრუნდებოდა. აგრეთვე არ იცოდა ძველი და ახალი გაკვეთილი: მოულოდნელად ძველიდანაც გეკითხავდა ხოლმე“ (133, 65).

ტროეს უყვარდა თავისი პროფესიაც და ბავშვებიც. ის გულმოდგინედ აკვირდებოდა თითოეულ მათგანს და სწავლობდა მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს, ამჩნევდა და ასწორებდა სწავლების პროცესში არსებულ მანკიერ მხარეებს. მან „თითოეულ სკამს მიუჩინა თითო უფროსი შეგირდი, – წერს აკაკი. – ისინი ჰკითხავდნენ ყოველდღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უსვამდნენ. იმ უფროსებისათვის მერე მე უნდა მეკითხა და დამესვა ნიშნები. ზოგიერთი მათი შეგირდებიც უნდა შემემოწმებინა და ის ნიშნები მიმერთმია მასწავლებლისათვის“ (133, 65). მწერალი მოგვითხრობს მოსწავლე გაბაშვილის შესახებ, რომელიც სოფლიდან დადიოდა და ხშირად აგვიანებდა გაკვეთილებზე. ამის გამო მას ყოველთვის კუთხეში აჩოქებდნენ. ფეხზე მდგარი იგი იშვიათად თუ უნახავს ვინმეს. ასე დაჩოქილი პასუხობდა იგი გაკვეთილსაც. ერთხელ გაბაშვილს ქუთაისში გაუთევია ღამე, სახელმძღვანელოც უშოვია და გაკვეთილი კარგად მოუმზადებია. სკოლაში დროზე მისულა, მაგრამ ჩვეულებრივ დაუჩოქია და ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. უფროს შეგირდს მისთვის „ოთხიანი“ დაუწერია. აკაკის შეუმოწმებია გაბაშვილის ცოდნა და შეფასება დაუდასტურებია. ტროეს რომ ნიშნები გადაუთვალიერებია, გაბაშვილის ოთხიანისთვისაც მოუკრავს თვალი. ძლიერ გაკვირვებია და გაკვეთილის გამოსაკითხავად გაუყვანია, მაგრამ ამ უკანასკნელს სიტყვაც ვერ უთქვამს.

– ეს ნიშანი შენ დაუსვიო, – უკითხავს მასწავლებელს

აკაკისთვის.

— დიახ, მეო, — უპასუხნია აკაკის.

— მერე რათა, რომ არაფერი იცისო, — უსაყვედურებია მასწავლებელს.

— მე რომ კითხე იცოდაო. — უთქვამს აკაკის.

— ასე მალე. ორ წუთში როგორ დააეწყებოდა. აქ რაღაც სხვა ამბავიაო, — უთქვამს მასწავლებელს გაბრაზებით და ორივე — გაბაშვილიცა და აკაკიც — კუთხეში დაუჩოქებია.

— „შე შენეულებულო, რა ჰქენი ეგა, აკი იცოდი? — დაეკითხე ჩუმად, კუთხეში რომ გაეგდით, — იგონებს მწერალი.

— ასლაც ვიცი, — მიუპასუხა ტირილით.

— მაშ, რატომ არ მოახსენე!

— ფეხზე რომ ვიდექი, ვერ მოვახერხე. ეს რამდენი ხანია — სულ დაჩოქილი ვსწავლობ და პასუხსაც ისე ვაძლევ. აი, თუ არ ვიცი! — მოჰყვა ზეპირად. — რომ ავდგე, დამებრეცა!“ (133, 66).

მასწავლებელს ყური მოუკრავს მათი საუბრისათვის და უკითხავს, რას ჩურჩულებთო. აკაკის ყველაფერი მოუხსენებია მასწავლებლისათვის. ამ უკანასკნელს დაუჩოქებია გაბაშვილი და კვლავ გამოუკითხავს გაკვეთილი. გაბაშვილს კარგად უპასუხნია. ტროეს ძლიერ გაკვირვებია, მოუტოვებია კლასი და კანცელარიაში შესულა. „იქ რა ჩაიდინა, ვინ იცის? მაგრამ იმ დღიდან კი გაბაშვილი დაჩოქილი არ გვინახავს“, — დაასკვნის მწერალი (133, 66).

ტროესთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი კიდევ ერთ შემთხვევას იგონებს, რომელიც პედაგოგის დიდ ტაქტსა და სახრიანობაზე მიუთითებს.

ერთხელ დილით პატარა კაკო უჭმელი წასულა სკოლაში. დიდ დასვენებაზე შინ შეურბენია, ცხელი მჭადის კოკორი აულია, ახალუხის ჯიბეში ჩაუდვია და სკოლაში დაბრუნებულა. მასწავლებელ ტროეს ფეხად შეუსწრია გაკვეთილზე. მას უკვე ხუთი მოსწავლე გამოეძახა და აკაკიც მათ ამოუყენა გვერდით. ცხელი მჭადი რომ მიდებია ბარძაყზე, ბავშვი შეტოკებულა. როცა ყველაფერი გარკვეულა,

მოსწავლეებს სიცილი დაუწყიათ. მასწავლებელს კაკოსათვის მჭადი გამოურთმევია და მაგიდაზე დაუდვია. სწორედ ამ დროს კლასში ის ინსპექტორი შესულა, რომელსაც „ქმაწვილის „გარიჭაგას“ არა ერჩია რა“. მას თვალი მოუკრაავს მჭადისათვის და დაულრიალია: ამ მჭადს აქ რა უნდა, ვინ მოიტანაო! ერთ მოსწავლეს უთქვამს – წერეთელს ამოულეს ჯიბიდანო.

– რად მოგიტანიაო, – მრისხანედ უკითხავს ინსპექტორს. კაკოს ენა ჩავარდნია და საქმეში ტროე ჩარეულა, ინსპექტორისთვის მოუხსენებია, ახლავე ყველაფერს გაიგებთო და წერეთლისთვის უკითხავს: – ეს რა არისო?

– მჭადიო, – უპასუხია ბიჭს კნავილით.

მასწავლებელს შეკითხვები გაუგრძელებია: რისგან კეთდება, როდის სთესენ სიმინდს, როგორ იზრდება, როგორ ამუშავებენ და ა.შ. ყველა შეკითხვაზე ტროე დამაჯერებელ პასუხს იღებდა. ბოლოს მასწავლებელს უთქვამს: ხვალ ბრინჯის მოტანა არ დაგავიწყდეს და იმის შესახებ ვისაუბროთო.

ინსპექტორს უჭიქრია, ბაუშეს მჭადი მასწავლებლის დაეალებით მოუტანიაო და ხმაამოუღებლად გასულა კლასიდან.

ტროეს მაბეზღარა მოსწავლე გაუხმია და უკითხავს: – შენ არაფერი გაქვს ჯიბეშიო? გაუსინჯავს და კოჭი აღმოუჩენია. ეს ხომ სათამაშოა, რომელიც სკოლაში არ გჭირდება და შენ ჯიბით დაატარებ. წერეთელმა მჭადი იმიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ვეღარ მოასწრო, შენ კი სკოლაში სათამაშოდ დადიხარო, უთქვამს მასწავლებელს და მაბეზღარა დაუმოძღვრავს: „რაც შენ არ გინდოდეს, იმას ნურც სხვას უზამო“.

ასე დამთავრებულა ეს ინციდენტი.

მოთხრობაში „პატარა ტარიელი“ აკაკი წერეთელი გვაცნობს კიდევ ერთ დადებითი ტიპის მასწავლებელს, „რომელიც სხვებს არა პგავდა. ის მიტომ კი არ მსახურობდა, – წერს აკაკი, – რომ ჯამაგირი აელო და უფროსების გული მოეგო, – თავის პირდაპირ მოვალეობად სთვლიდა, რომ

ნორჩი მოწაფეების გულში კეთილი სურვილები აღეძრა და ახალგაზრდობა სწორ გზაზე დაეყენებია“ (133, 371).

აკაკი წერეთელი პედაგოგის ძალზე მაღალ მოთხოვნებს უყენებდა და დაუშვებლად მიაჩნდა მისი ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევა. იგი იგონებს ერთ შემთხვევას, რომელიც ქ. ქუთაისში მომხდარა: ქუჩაში ვიღაც ახალგაზრდა მთვრალი მასწავლებელი გამოჩენილა და ყველაზე იმღერიან მისმე შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ზედამხედველს ის ქალაქიდან გაუყვანია, მაშინ, როცა სხვა პროფესიის ადამიანების ასეთ მღუმარეობაში დანახვა ხალხში მსგავს აღშფოთებას არ იწვევდა (107, 40).

კარგი მასწავლებლის დამახასიათებელ თვისებათა შორის აკაკი წერეთელი პირველ ადგილზე აყენებს ბავშვების სიყვარულს. აი, როგორ გაღმოგვცემს ამას იგი „პატარა ტარიელში“: „პატარა მოწაფე აღტაცებით ისმენდა მოძღვრის სიტყვებს და ტანში რაღაც უჩვეულო, სანეტარო ურუანტელი უვლიდა. მივარდა უცბად და მოუხდომა თვალცრემლიანმა ხელებზე კოცნა. მაგრამ უფროსმა ალარ აცალა, მიიკრა გულში მტირალი ბავშვი და ტკბილად მომღიმარი, თავზე უსვამდა ხელს. ამ ერთმა წამმა შესცვალა სამარადისოდ დიტოს ბედი. სახიკვდილოდ თაყვანადებული ბავშვი გამოიბრუნდა, გამოცოცხლდა და გაუსვა სწავლას ხელი. ბევრ ხანს ალარ გაუვლია, რომ დაკარგული პირველობა დაიბრუნა“... (133, 374).

პედაგოგიკის ისტორიამ, კომენსკის შემდეგ, არ იცის აღმზრდელის როლის ისე ამაღლება, როგორც ამას აკაკი წერეთელთან ვხვდებით. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ცემა გმარჯობთ გამზრდელისა, რა ყრმა ნახოთ ავად ზრდილი“, აკაკიმ კი ცუდ აღმზრდელს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. როცა საფარ-ბეგი შეურაცხყოფს თავისი აფხაზი მეგობრის, ბათუს ცოლს, ბათუ მას არ პკლავს, მაგრამ ავალებს:

„წადი, ნახე, ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა,
და უამბე შენი პირით,

რაც სირცხვილი დაგემართა!“

საფარ-ბეკი მიდის ყაბარდოში და ყველაფერს უამბობს თავის აღმზრდელსა და მასწავლებელს ჰაჯი-უსუბს, რომელიც ცნობილი ყოფილა „მხოლოდ ჭკუით და გონებით“.

ჰაჯი-უსუბი ყურადღებით უსმენს თავის აღსრდილს და ბოლოს ეკითხება:

„მერე? მერე?
რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?“
— „მაპატიეა შეცოდება,
როგორც ძმამ და მეგობარმა!..
მხოლოდ ეს კი დამაყალა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო!“

ამის გაგონებაზე ჰაჯი-უსუბი ფეხზე შეაყენებს ღამბაჩას. საფარს პგონია, რომ იგი მის მოკვლას აპირებს და ტყვიას მკერდს უშვერს.

„მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!.
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“
წარმოსთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთამბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია“...

მეტად ულმობელია ეს განაჩენი საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ სხვებისთვის ჭკუის სასწავლია.

თავის ნაწარმოებებში აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებს ასევე ***ბავშვთა ოჯახური აღზრდისა და მშობელთა მოვალეობის შესახებ***. ამ საქმეში იგი პასუხისმგებლობას დედას აკისრებს, რადგან დედა უფრო მეტ დროს ატარებს ჩვილის აკვანთან, ამასთან, მას, როგორც ქალს, ბავშვის სიყვარულის უფრო მეტი გრძნობა გააჩნია, ვიდრე მამაკაცს. ამიტომ აკაკი მოითხოვს „დედათა სქესის აღზრდა-განათლებას ჩვენში“, რათა დედამ შეძლოს თავისი

უპირველესი და უწმინდესი მოვალეობის პირნათლად შესრულება.

ხაიმისად აკაკი მოითხოვს ქალთა სასწავლებლების ქსელის გაზრდას და მათთვის აღზრდა-განათლების ახალი სისტემის შემოღებას. „ჩვენი სურვილია, – წერდა იგი, – რომ პატარ-პატარა სამეურნეო ბანკები გავხსნათ მაზრებში და მოვება ქმაწვილების გასაზრდელად გადაეცეთ. უეჭველად ერდა ახალი ტიპის საქალებო სასწავლებელი დაეარსოთ“ (67, 274).

აკაკი წერეთელი, კლასიკოსი პედაგოგების – კომენსკის, პესტალოცის, რუსოსა და სხვათა მსგავსად, მოითხოვს, რომ ბავშვის აღზრდა მისი დაბადებიდანვე დაიწყოს, რადგან შემდეგ „სწორი გზიდან გადახვეული ქმაწვილის“ გამოსწორება უფრო ძნელია, ვიდრე მისი თავიდან სწორად აღზრდა.

დედების უპირველეს მოვალეობად აკაკი მიიჩნევს შვილების მშობლიურ ენაზე გაზრდას, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს იგი, ბევრი დედა ტრაბახობს, რომ მისი შვილი, მშობლიური ენის ნაცვლად, უცხო ენაზე „ჭიკჭიკებს“.

აკაკი წერეთელი „თაეგადასავალში“ იდეალურ აღმზრდელებად წარმოგვიდგენს თავის ძიძას, სადუნიშვილის ქალს და მშობელ დედას, რომლებმაც ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ მისგან კარგი ადამიანი დამდგარიყო.

აკაკის დედა, იმდროისათვის, საკმაოდ განათლებული და ხალხურ პედაგოგიკას დაუფლებული ქალი ყოფილა. მას „შესწაელილი ჰქონდა... ექიმობა და მეურნეობა. რაც კი იმ დროში ქართველი ქალის ხელიდან გამოდიოდა, – წერს აკაკი, – ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელსაქნარე და მასთან კარგი აღმზრდელი. ცნობისმოყვარეობასთან შრომისმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა: დილას მამლის ყიეილზე რომ წამოდგებოდა, დაღამებამდე ფეხზე იდგა და უსაქმურად კაცი ეერ ნახავდა“ (133, 24). პირველი ინტერესი წიგნისადმი აკაკის სწორედ დედამ გაუღვიძა და მისცა სტიმული სწავლა-განათლების მიღებისა.

დედა შვილებს არ აქალაქებდა, ხელმეტად არ ეფერებოდა მათ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ხელმეტი ალერსი ქმარწყილს აფუჭებსო. შვილებს იგი პატარაობიდანვე აწრთობდა და აკაკებდა. „სულ ფეხშიშველა და თავშიშველა დავრბოდით მინდორში, – იგონებს აკაკი, – არც გაციებების გვეშინოდა და არც შიმშილის. „კაცი ისე უნდა იყოს დაჩვეული ბავშვობიდანვე, რომ ცხოვრებაში ყველაფერი აიტანოსო“, – იტყოდა ხოლმე დედაჩემი, და, მართლაც, რომ მისი რჩევა ბოლოს გამოგვადგა“ (133,45). გალახვა არ იცოდა, ამბობს მწერალი, მაგრამ მისი მაინც გვეშინოდა, რადგან არც ერთ დანაშაულს არ შეგვარჩენდაო. ამასთან, იგი ძალზე ჩვილი გულის ყოფილა. „უნდა გენახათ მაშინ, – წერს აკაკი, – როდესაც სასახლეში ავად ვინმე გახდებოდა, გინდ უკანასკნელთაგანიცა!.. დღე და ღამ მოსვენება აღარა ჰქონდა და თავის ხელით უვლიდა, როგორც შვილს“ (133, 25).

სულ სხვა ბუნების ყოფილა აკაკის მამა – როსტომ წერეთელი. იგი დედისერთა, ობოლი და ბავშვობიდან განებივრებული ყოფილა. შინ, ჩვეულებრივ, არაფერს აკეთებდა, ამბობს მგოსანი, უყვარდა ძილი, კარგი ჭამა-სმა და ჭადრაკის თამაში. ბუნებით კეთილი ყოფილა, მაგრამ ძალზე ფიცხი და ენამწარე. ამიტომ უთქვამს აკაკის დედას: „ამ ჩემ შვილებს მამამისის ენა გამოუყვათ, დახურდაებულიო“ (133, 28).

„ჩემს თაყვანისმცემლებში“ აკაკი „კურთხეულ ჩვეულებად“ თვლის ძიძაობას. ამის საკეთებლად იგი ხელადვე იმაში, რომ „ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. გარდა ნათელ-მირონობისა, – წერს იგი, – თითქმის სისხლხორცობა არ მიანდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გაზრდილ-გამზრდელობა“ (133, 10).

ძიძაობა ხოტბაშესხმულია პოემა „გამზრდელშიც“. როცა ფარდა აეხადა საფარ-ბეგის აკაკაცობას, ეს უკანასკნელი ფარ-ხმალს ერის ბათუს წინაშე და ეუბნება:

„ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,

მაზლუკუნე, რაც შეგცოლდე,
სინიდისი გამიმრთელე!“...

მაგრამ ბათუ პასუხობს:

– „არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ნემი ტკივია:
დედისემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია“...

საყვარ-ბეგის დალატს მეგობრისადმი პოეტი ალიქვამს როგორც ალმზრდელის თავზე დატეხილ დიდ უბედურებას და სახელგანთქმულ მოძღვარს უმსუბუქებს მძიმე მდგომარეობას, რაც გამოიხატება მის სიტყვებში:

„საყვარ-ბეგიც მან გაზარდა
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?“

ეს იმას ნიშნავს, რომ ალზრდა, მართალია, ძირითადი ფაქტორია პიროვნების სამოყალიბებაში, მაგრამ იგი ყოველისშემძლე არ არის. თუ გარემოსა და ალზრდასთან ერთად, პიროვნებას არ გააჩნია ბუნებრივი, მემკვიდრული მონაცემები, მაშინ მარტო ალზრდა ვერას გახდება მის კაცურკაცად გადაქცევაში. ამიტომ დაუშვებელია პიროვნების ფორმირების რომელიმე ფაქტორის უგულებელყოფა, რითაც ემპირისტული და ნატივისტური თეორიები სცოდავენ.

აკაკი წერეთლის პედაგოგიკური იდეები თანადროულია, აქტიურად ესმიანება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე გარდაქმნის ყოვლისმომცველ პროცესს. ამიტომ ყოველი პედაგოგის უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია ამ იდეების საფუძვლიანად შესწავლა და შემოქმედებითად გამოყენება.

თ ა ვ ი XIII

პედაგოგიკა გიორგი წერეთლის შემოქმედებაში

გიორგი ქუთაისის ძე წერეთელი (1842–1900) იყო ქართველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. იგი დაიბადა 1842 წელს სოფ. გორისაში (ახლანდელი სანისურის რაიონი) და გარდაიცვალა 1900 წელს ქ. თბილისში. ის იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი, მხატვრული სიტყვის ოსტატი – პროზაიკოსი, პუბლიცისტი, დრამატურგი, პოეტი, პედაგოგი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, სოციალოგი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ბუნებისმეტყველი და საზოგადო მოღვაწე.

გ. წერეთელმა 1860 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. აქ იგი გაეცნო რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებს. პირადად იცნობდა ჩერნიშევსკის. 1861 წელს სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის იგი დააპატიმრეს და რამდენიმე თვე ციხეში დაჰყო. 1863 წელს გიორგი დაბრუნდა საქართველოში და ჩაება ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც დიდი ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. მონაწილეობდა „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში, იყო გაზეთ „დროების“ პირველი რედაქტორი (1866-1869), „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემელი (1868), ჟურნალ „კრებულის“ რედაქტორი (1871-1873). 1973-1877 წლებში ცხოვრობდა შვეიცარიასა და გერმანიაში. რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1877-1878) იყო პეტერბურგის გაზეთ „გოლოსის“ სამხედრო კორესპონდენტი და იბრძოდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის. 1893-1900 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „ქვალს“.

ჯერ კიდევ გაზეთ „დროების“ დაარსებამდე გ. წერეთელმა თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა პედაგოგობით დაიწყო, რადგან პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობა მას

საქვეყნო საქმედ მიაჩნდა. ამიტომაც იყო, რომ რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე იგი იწყებს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობას ჯერ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდეგ კი თბილისის რეალურ სასწავლებელსა და ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში. მოწაფეთა (ალექსი ჯიჯინაძე, მიხეილ თუმანიშვილი) მოგონებით, გ. წერეთელი დიდი კულტურის, განათლებისა და მაღალი სნეობის მასწავლებელი იყო, აღზრდის პროგრესული იდეების მქადაგებელი, მოსწავლეთა მოსიყვარულე და გულისხმიერი პედაგოგი.

გ. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძის შემდეგ, ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, დეფინიცია. იგი წერს: „პედაგოგია ნიშნავს სწავლას აღზრდის შესახებ. ეს მეცნიერება გვასაწავლის იმას, თუ რა რიგად უნდა აღვზრდა ყმაწვილს, ან რა თვისებების არის ყმაწვილის ნორჩი აგებულება, ან როგორ უნდა მოპყრობა ყმაწვილს“ (100, 278).

გ. წერეთელი იმთავითვე ხრუნავდა მასწავლებლის მაღალი კვალიფიკაციისა და ოფიციალური უფლების მოპოვებისათვის. მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, მან ეს უფლება მოიპოვა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, გ. წერეთლის პირად არქივში (ფონდი №19), დაცულია პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ 1869 წლის 31 აგვისტოს გაცემული მოწმობა №1094, რომლითაც ირკვევა, რომ გ. წერეთელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსაელური ენების ფაკულტეტზე ფრიადზე ჩაუბარებია ქართული ენა და ამით მიღებია მასწავლებლობის ოფიციალური უფლება (146, 4-5).

ამ მოწმობის საფუძველზე 1869 წლის ოქტომბერში იგი ინიშნება თბილისის რეალური გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც მან 1873 წლის სექტემბრის ბოლომდე იმუშავა და მასწავლებლობას თავი დაანება ევროპაში გამგზავრების გამო.

ამრიგად, იგი მთელი ათი წელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და ახლოს იცნობდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჭირ-ვარამს.

თავის წერილებში, პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწარმოებებში გ. წერეთელი, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, განიხილავდა მოსახარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებსაც. ალნიშნული საკითხებისადმი მისი ინტერესი გამომდინარეობდა ქვეყნის მდგომარეობიდან, სწავლა-აღზრდის ეროვნული საჭიროებიდან. მწერალი, ფრანგი განმანათლებლების მსგავსად, საზოგადოებაში არსებული მანკიერი მხარეების აღმოფხვრას ხალხში განათლების შეტანით ფიქრობდა. განათლება მას, სხვა სამოციანელების მსგავსად, მიაჩნდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითად საშუალებად. ამიტომ იგი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მოსახარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხს. ამას იგი არ იტოვებდა არც პრესაში და არც თავის მხატვრულ ნაწარმოებებში. 1866 წელს გაზეთ „დროების“ რამდენიმე ნომერში გ. წერეთელმა მოათავსა სტატიები: „ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილ ქალებს“, „განათლების გავრცელება საქართველოში“, „რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის განათლებაზე“ და სხვა.

1870 წელს გ. წერეთელი „სასოფლო გაზეთში“ წერდა: „ჩვენ ამჟამად სხვა მტერი გვყავს სახლში. ის მტერი კაცთაგანი არ არის, მაგრამ თავის მავნებლობით სულდგმულს მტერზე უარესია. იმას ქვეყან სახელად *გაუნათლებლობა, უგუნურება* (კურსივი გ. წერეთლისაა – **ნ. ბ.**). ეს ადამის წლის ჩვენი მტერი იმდენს ზარალს გვაძლევს, რომ არც თათარს და არც ლეკს იმისი მეათედი ზარალის მოცემაც არ შესძლებია თავის ღღეში. მით უფრო საშიშია ეს შინაური მტერი, რომ თვალით ვერ ვხედავთ, ყურით ვერ ვისმენთ, გონებით ვერ მივმხვდარვართ, დღე და ღამე კი ნიადაგ განუშორებლად თან დაგვდევს: იმის გამო იხოცება ასე უწყალოდ ჩვენი ახალგაზრდობა, იმის გამო კუტდებიან ჩვენი ქალები, იმის გამო უფრო თანდათან ღარიბდება და გლახაკდება ჩვენი ხალხი“ (85, 368).

გ. წერეთლის აზრით, „პირველი საშუალება ამ მხრის მოსაცილებლად არის განათლება“, შვილების ჩაბმა სკოლებში და მათი ცხოვრებისათვის მომზადება.

აქედან გამომდინარე, გ. წერეთელს არსებული წეობილების გარდაქმნის, ქვეყნის წინსვლისა და განვითარების ძირითად პირობად მიაჩნდა განათლება, ცოდნა, რადგან იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ „...რამდენათაც უფრო გონებით გახსნილია კაცი, იმდენათ იმის შრომას მომეტებული ნაყოფი მოაქვს“ (136, 227). მისი აზრით, განათლების გავრცელებას ბუნებრივად მოჰყვება მშრომელთა ეკონომიკური გაძლიერება და პოლიტიკური ბრძოლისუნარიანობის ამაღლება. უნდა ვიფიქროთ არა მარტო იმაზე, თუ რა ვასწავლოთ მოზარდ თაობას, არამედ იმაზეც, როგორ ვასწავლოთ. მაგრამ იმდროისათვის ნაკლები ყურადღება ექცეოდა მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, აქტიური მებრძოლი ახალგაზრდობის მომზადებას, რადგან მეფის ხელისუფლებას არ სჭირდებოდა შემოქმედი, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მატარებელი ადამიანები. პირიქით, ის ცდილობდა მოემზადებინა ღვთისა და ტახტის ერთგული, უინიციატივო ახალგაზრდობა, რის გამოც მწერალი თავის მხატვრულ ნაწარმოებში „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“ გულისტკივილით დასძენს: „ჩვენი ახლანდელი აღზრდა ჩვენი გონებისა და მეხსიერებისათვის ისეთიეე საპირობილეა, როგორც მეტეხის ციხე ყაჩაღებისათვის“ (137, 42).

გ. წერეთელს არა მარტო მასწავლებლობის პერიოდში, არამედ შემდეგაც არ შეუწყვეტია ხრუნვა სკოლებზე, მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდაზე. ის, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვდა ახალგაზრდობის ჰუმანიტარულ განათლებას. „ნუ დავიიწყებთ, – წერს იგი, – რომ არა მარტო ხორცითა ცოცხალ არს კაცი, არამედ სულითა“ („კვალი“, 1893, №1). მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი პროფესიული სკოლების გახსნის წინააღმდეგ იყო. „ვინ იტყვის უარს, რომ სამეურნეო და სახელოსნო სკოლების გამართვა სასარგებლო არ იყოს ჩვენი ხალხისათვის, – წერს ის... – სამეურ-

ნეო და სახელოსნო სკოლები სწორედ აუცილებელი საჭიროა და ჩვენი საზოგადოებაც მოკალება შეუდგეს ამ დიდი საქმის განხორციელებას..." (146,9). მაგრამ, მისი სამართლიანი აზრით, ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება არა მარტო მიწის მუშები, არამედ მეცნიერებიც, მოსამართლეებიც, ექიმებიც, ინჟინრებიც, ტექნიკოსებიც, სახელმწიფო მოხელეებიც, პოლიტიკოსებიც, პუბლიცისტებიც, პოეტებიც და მწერლებიც.

გ. წერეთლის ეს მოთხოვნა საკმაოდ სწორი და სამართლიანია, რაც მისი ფართო დიაპაზონისა და სწავლა-განათლების არსში ღრმად წვდომის მანიშნებელია.

ამ საკითხზე გ. წერეთელი ყურადღებას ამახვილებს იმიტომ, რომ XIX საუკუნის მიწურულს ზოგიერთები მოითხოვდნენ სათავადაზნაურო სკოლების გარდაქმნას სამეურნეო სკოლებად და პრაქტიკოსი მიწის მუშების მომზადებას.

ამრიგად, გ. წერეთლის აზრით, ყველა სკოლა საჭირო და სახარგებლოა, თუ იგი ნორმალურად ხრდის ახალგაზრდობას, რასაც იმდროინდელი სკოლები პოლიციური რეჟიმის გამო თავს ვერართმევდნენ.

ყოველგვარი მოსალოდნელი დევნის მიუხედავად, გ. წერეთელი დაუნდობლად აკრიტიკებს სწავლების გაბატონებულ სისტემას, უკარგის მეთოდებს, პოლიციურ რეჟიმს, მოსწავლეებისადმი არაადამიანურ დამოკიდებულებას. მისი აზრით, ასეთ სკოლებს სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვს, ამახინჯებს ბავშვებს, ანლუნგებს მოსწავლეთა გონებას და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა გ. წერეთელი უბრალო, მშრომელი ხალხის განათლებას. ყოველი საზოგადოების მამოძრავებელი „ძალა მდაბიო ხალხია და ვერაფერი მისცემს რომელიმე ერს ისეთ ძალას, – წერს იგი, – როგორსაც მისცემს განათლების გავრცელება ამ მდაბიო ხალხში" (39, 108).

მაგრამ იმდროინდელი, აღნიშნავს გ. წერეთელი, საქართველოში ძალზე ცოტა წარმოდგენა ჰქონდათ განათლებაზე. „ქართველებში განათლებულს იმას ეძახდნენ, ვინც ქართულს ენაზე წერა-კითხვა იცოდა, სპარსულად ლაპარა-

კობდა და ცხენ'ხელ კარგად იჯდა. რუსულის ცოდნა მა'შინ შეიქნა უფრო საჭირო ქართველებისთვის, როცა საქართველო სრულებით შეუერთდა რუსეთსა" (136, 161).

საზოგადოება, გ. წერეთლის შეხედულებით, ვერასოდეს გახდება სრულყოფილი, თუ ამ პროცესში აქტიურად არ ჩაერთო ხალხის ფართო მასები. მისი მოსაზრებით, გაუნათლებელი, ჩამორჩენილ-დაბეჩავებული, მორალურად და მატერიალურად დამონებული ხალხი ვერ ამაღლდება იმის შეგნებამდე, რომ ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის საჭიროა ერთიანი, შეთანხმებული მოქმედება. ამიტომ, გ. წერეთლის აზრით, გონიერული წეობილების დასამყარებლად საჭიროა ხალხის განათლება და მათი თვითშეგნების ამაღლება. ამით იგი არა მარტო მატერიალურ კეთილდღეობას მიაღწევს, არამედ უკეთ მოემზადება მომავალი ცხოვრებისათვის. „ჩვენი ქვეყანა ისეა აგებული, – წერს იგი, – რომ აქ უბრძოლოთ არა გარიგდება რა. კაცი მა'შინ მოიპოვებს ბედნიერებას, როდესაც ის უბრძვის თავის დამსაგვრელს ძალას. მარტო ბრძოლა და ღვა'წლი დაადგავს კაცს უკვდაეების გეირგვინს" (136, 124). მაგრამ ბრძოლისათვის საჭიროა საკუთარი თავის კარგად შეცნობა, ჩვენი ხალხი კი, აღნიშნავს გ. წერეთელი, „თავის თავს ვერ სცნობს". ამიტომ საჭიროა განათლების მე'შვეობით საკუთარი თავის შეცნობა და ბრძოლისათვის მომ'ხადება. გ. წერეთელს სჯერა, რომ ცოდნის გაფრცელებით ცხოვრება შეიცვლება და უკეთესი გახდება. ვერაეითარი რევოლუეცია ხალხს ვერ გაათანაბრებს, თუ მათ სათანადო განათლება არ ექნებათ. იგი დარწმუნებულია, რომ განათლების უზრუნველეოფის პირობებში მცირეოდენ რჩეულთა კეთილდღეობა მთელი ერის კეთილდღეობაში გადაიზრდება, რითაც გაადვილდება და მოახლოვდება „იდეალური" საზოგადოების აშენება. მშრომელი და განათლებული ადამიანების საზოგადოებაში აღარ იქნება „დავა, აღარც ავაზაკობა, აღარც ქურდობა და კაცის კვლა". აქ გ. წერეთელი აშკარად განიცდის ფრანგი განმანათლებლების გავლენას. ისინიც საზოგადოებაში არსებული მანკიერი მხარეების აღმოფხვრას ფიქრობდნენ

ხალხში განათლების შეჩანით და მათი შეგნების დონის ამაღლებით. ამ საქმეში გ. წერეთელი დიდ როლს აკისრებს ინტელიგენციას. „ჩვენ უნდა ვიყოთ მხოლოდ მოწინავე კაცები ჩვენს ქვეყანაში, – წერს იგი თავის პუბლიცისტურ ნაშრომში „კიკოლიკი, ნიკოლიკო და კუდაბზიკა“. – ჩვენ უნდა ვიყოთ გაზაფხულის მომასწავებელი მერცხლები და მანამ ვიჭიკჭიკოთ, სანამ ეს გაზაფხული კარზე არ მოგვადგეს. სანამდის ჩვენი დედაკაცობა არ შეესძრათ უმაღლეს განათლების მისაღებად. თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, ჩვენი უმთავრესი ბედნიერებაც ეს უნდა იყოს“ (137, 353-354).

გ. წერეთლის აზრით, სამშობლოს ბედი, მისი მომავალი, უშუალოდ არის დაკავშირებული ახალგაზრდობის აღზრდასთან. „ჩვენი იმედი ახალგაზრდობაა, – წერს იგი. – რამდენადაც უფრო კარგი საფუძველი მიეცემა ჩვენს ახალგაზრდობას, იმდენათ უფრო ნაყოფიერი და განათლებული ცხოვრება მოგვეელის მომავალს დროსა... ცხოვრების სიკეთე და განათლების წარმატება დამოკიდებულია აღზრდაზე: არც კარგი წესდებულება, არც სწავლა, არც სიმდიდრე მთელი სახელმწიფოისა არ დაამყარებს ხალხში კეთილ მდგომარეობას, თუ რომ ხალხია გონებით გაუსსნელი და მდაბალის ზნისა. ხოლო თითოეული კაცის სიკეთეზე დამოკიდებულია მთელი სახელმწიფოს კეთილმდგომარეობაც და ბედნიერებაც“ (136, 230). ამიტომ იგი აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმის მოგვარებაში ერიცხული ინტერესებიდან, ქართველი ხალხის კეთილდღეობის პოზიციებიდან გამოდიოდა. ამ საქმეში იგი გადამწყვეტ როლს ანიჭებდა ***ოჯახს, მშობლებს,*** რადგან „თავდაპირველი წრე ჩვენი ახალგაზრდობისა იმათ ხელშია“ (136, 227). მისი აზრით, „გონიერი საფუძველი აღზრდაში დაიდება დედისაგან“. მაგრამ, სამწუხაროდ, „მთელი ჩვენი ახალთაობა გადის უმეცრებას აკვანში“ (136, 66). სტატიაში „ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილ ქალებს“ იგი გულისტკივილით დასძენს, რომ „ყოველი ახალგაზრდა ჩვენში სრულებით თავმინებებულია და იზრდება უყურადღებოთ. ჩვენის უმეცრების გამო ისინი მრავალს ცუდს მაგალითს ხედავენ ჩვენს

ცხოვრებაში. შეითვისებენ ცოდნას უმსგავსო ნაკლოვანებას დ. ბემდეგ ამ ცუდს დასაწყისზედ განიგრძობა იმის ოპობითი დასრულება" (136, 65). ამრიგად, ქართველი კაცის უგარგისობის მიზეზი არის მისი „შინაური და გარეგანი აღზრდა", რაც დიდ ზიანს აყენებს ქვეყანას.

გ. წერეთლის სამართლიანი აზრით, „ყმაწვილი თუ თავდაპირველ დედ-მამისაგან ცუდათ არის გაზრდილი, მერმე თუნდ ათ ნაირ შკოლაშიაც რომ გაზარდო, მაინც ცუდი კაცი გამოვა. ამნაირი ყმაწვილი რომ კარგს შკოლაშიაც გაიზარდოს და შემდეგ კარგს უნივერსიტეტშიაც რომ სწავლა დაასრულოს, იმის ხნეს მაინც არა ეშველება რა" (136, 232), რადგან, მისი აზრით, „ძალიან იშვიათად მოხდება, რომ შკოლამ გაასწოროს ყმაწვილის ცუდი ზნე. იმიტომ რომ ათას ყმაწვილში ჯეროვანი ყურის გდება შეუძლებელია მასწავლებლისთვის" (136, 66).

ბავშვთა ოჯახურ აღზრდაში არსებული ნაკლოვანებების ერთ-ერთ მიზეზად გ. წერეთელი მიიჩნევს ქალთა დიდი ნაწილის პედაგოგიური განათლების, პედაგოგიური კულტურის დაბალ დონეს. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის იგი მოითხოვს ოჯახური აღზრდის საკითხებზე წიგნების გამოცემას და ახალგაზრდა ქალების მომზადებას აღმზრდელობითი მუშაობისათვის. ამ მხრივ საინტერესოა გ. წერეთლის ერთი წერილი, სადაც ის აღნიშნავს: „როგორც „დროების" მკითხველებმა იციან, „სასიფლო გაზეთში" საქმო (სასკვრისალო) და სამეურნეო ცნობებს გარდა სამეცნიერო განეოფილებაც არის... ეს სამეცნიერო წიგნები დიდს შემწეობას აღმოუჩენენ ჩვენს საქართველოს დედაობა, თავიანთი ყმაწვილების შინ სასწავლებლათ, ვიდრე სკოლებში მისცემდნენ" (147, 25). გარდა ამისა, გ. წერეთელი ახალგაზრდა დედებს ურჩევს, გაეცნონ პეტერბურგში ახლადდაარსებულ ჟურნალს „Детский сад". მაგრამ დიდი მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ პედაგოგიური კულტურის ამაღლებისა და საკუთარი შვილების წესიერად აღზრდის ნაცვლად „ქალები ჩვენებური დედა... ცდილობს, რომ როგორმე თავიდან მოიცილოს თავისი შვილი, მიაბაროს ძიძას

და თვითონ კი თავისუფლად ისეირნოს. ამის გამო პირველდაბადებითი აღზრდა იმ ქმაწვილებისა, რომელთაც შეეძლოთ გონიერად აღზრდილიყვნენ, ჩავარდნილია ყოველად უგანურის ძიძების ხელში“ (136, 65). ამ აზრშიც აშკარად იგრძნობა ფრანკი განმანათლებლების, კერძოდ, ჟან-ჟაკ რუსოს გავლენა.

ამრიგად, მოზარდი თაობის აღზრდას საფუძველი ეჯრება ოჯახში, სკოლამდელ ასაკში. ამ საქმეში კი გ. წერეთელი, ოჯახთან ერთად, დიდ როლს ანიჭებს სკოლამდელ დაწესებულებებს. ამიტომაც იგი აღფრთოვანებით ხვდება საქართველოში საბავშვო ბაღების გახსნის იდეას და მშობლებს აცნობს გამოჩენილი შვეიცარიელი პედაგოგის ჰენრიხ პესტალოცისა და ფრებელის პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკას. იგი საბავშვო ბაღს ისეთ დაწესებულებად თვლის, რომელსაც შეუძლია საოჯახო აღზრდაში დაშვებული ხარვეზების ამოვსება. „ღმერთმან წარუმართოს ხელი იმ პირებსა, – წერს იგი, – რომელთაც ჰსურთ ტფილისში გახსნან საყმაწვილო ბაღი ნენის ახალგაზრდობის საკეთილდღეოთ“ (136, 234).

გ. წერეთელი, ისე როგორც ილია ჭავჭავაძე, მოითხოვდა პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას. ამასთან, მისი აზრით, აღზრდის ყოველი მხარე პიროვნებაში ისე უნდა იყოს განვითარებული, „რომ არც ერთი მხარე არ სძლეოდეს მეორეს“. „ჭეშმარიტი განათლება, – წერს იგი, – მდგომარეობს ადამიანის ბუნების სრულ წარმატებაში და გახსნაში; იმან უნდა იმოქმედოს როგორც სულზედ, ისე სხეულზედ. თუ ერთი რომელიმე მხარე დავიწყებულია, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ კაცი სრულიად განათლებული იყოს. განათლება უნდა შეეხოს მთელს ადამიანს, ყოველს იმის ძალას (ფიზიკურს და სნეობითს)“ (136, 150). ამავე გვერდზე იგი დასძენს: „ნამდვილად განათლებული კაცი ის არის, რომელშიაც იმის ბუნების ყოველი მხარე გახსნილია და ერთმანეთთან ისე არიან შეთანასწორებულნი, რომ არც ერთი მხარე არ დასძლევს მეორეს“ (136, 150).

მაშასადამე, სწავლა-აღზრდის ამოცანაა ყოველმხრივ განვითარებული და განათლებული ადამიანის ჩამოყალიბება. სკოლამ და ოჯახმა უნდა აღზარდოს გონებრივად განვითარებული, ფიზიკურად ჯანსაღი, ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანები, რომელთა ცხოვრების მიზანი და შინაარსი მჭიდროდ დაუკავშირდება ქვეყნის საქმეს და განიმსჭვალება ერის ინტერესებით.

აღნიშნულის მიუხედავად, აღზრდის შემადგენელ ნაწილთა შორის გ. წერეთელი ეპირატესობას მაინც ***ზნეობრივ აღზრდას*** ანიჭებს. ეს კარგად ჩანს მისი სიტყვებიდან: „რაც უნდა ნიჭიერი, მხნე და შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე იყოს კაცი, – წერს იგი „კვალში“ (1893, №4), – თუ რომ მას ზნეობა არ უყარგა... მისი მოქმედება სიკეთის მაგიერათ ბოროტს შეამთხვევს ქვეყანას...“

ზნეობრივი აღზრდის გარდა, გ. წერეთელი მიუთითებს ***შრომითი აღზრდის*** უდიდეს გამაკეთილშობილებელ როლზე. იგი, გაბრიელ ეპისკოპოსის მსგავსად, აღნიშნავს: „ჩვენს დროში ჰგონიათ, რომ ფიზიკური მუშაობა კაცს დაამდაბლებს“. პირიქით, მისი აზრით, ფიზიკური შრომა კაცს კი არ დაამდაბლებს, არამედ „გამოაცოცხლებს, გაამკვირცხლებს და სიამოვნებით აღუვსებს გულს“ (136, 151). ფიზიკური შრომა ხელს უწყობს ასევე ბავშვის გონების გახსნას, მაგრამ როგორც გონებრივ, ისე ფიზიკურ შრომაში საჭიროა დიდი ენერგია და ნებისყოფა. გ. წერეთლის აზრით, არ არსებობს დაბრკოლება, რომ კაცმა, თუ მოინდომა, ვერ გადალახოს. შეიძლება კაცს დიდი ნიჭი გააჩნდეს, აღნიშნავს იგი, მაგრამ თუ არ იშრომებს, არ იმუშავებს თავის თავზე, ნიჭი ვერაფერს უშველის. ყოველგვარ საქმიანობაში საჭიროა გარკვეული მიზნის დასახვა და ამ მიზნის განხორციელებისათვის შეუპოვარი ლტოლვა. „გენიოსები, – წერს გ. წერეთელი, – იყვნენ ყოველთვის გულ-დაღებული და დაუღალავი მშრომელნი“ (136,154) და მხოლოდ ამ გზით აღწევდნენ წარმატებებს თავიანთ საქმიანობაში.

ამრიგად, გ. წერეთელს სწორად ესმის სწავლების როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი მნიშვნე-

ლობა, სწავლებისა და აღზრდის მჭიდრო კავშირის აუცილებლობა.

პიროვნების „გონების გახსნის" საუკეთესო საშუალებად გ. წერეთელს მიაჩნდა *თვითგანათლება*, თავის თავზე დამოუკიდებელი მუშაობა. „ის სწავლა, რომელიც გეძლევა შკოლებში და სხვა სასწავლებლებში, – წერს იგი, – არის მხოლოდ დასაწყისი ჩვენი თვითგანათლებისა; ის უნდა მხოლოდ დაგვეხმაროს ჩვენს საკუთარს განათლებაში" (136, 157).

გ. წერეთლის აზრით, გონიერი სწავლება, თვითგანათლება და გულმოდგინე, მუყაითი შრომა არის განათლების მაღალი დონის უზრუნველყოფის ძირითადი პირობა.

გიორგი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილის მსგავსად, ახალგაზრდობისათვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლა და ბუნების კანონების შეცნობა. მისი აზრით, „ადამიანი ბუნების ნაწილს შეადგენს". მისი არსებობისა და განვითარების კანონები ისეთივეა, როგორც ბუნებისა. ამიტომ ბუნების კანონების შეცნობით ადამიანი თავის თავსაც შეიცნობს. „სწავლა არის ბუნების კანონების ცოდნა, – წერს იგი; – სწავლა არის გამოკვლევა იმისი, თუ რა მიზეზებიდგან რა შედეგი წარმოსდგება; ფუ რა კანონები ჰმართავენ სხვა და სხვა მოვლენებს. მაშასადამე, თუ კაცი ნამდვილათ ნასწავლი და განათლებულია, იმან იცის... ბუნების კანონები; მაშასადამე, იმასა აქვს ბუნების ცოდნა, და რადგანაც თითონაც ბუნების ნაწილს შეადგენს, იმას აქვს თავის თავის ცნობაც... კარგაია სცნობს თავის სიცოცხლის კანონებს, და თავის მოთხოვნილებებს – იმას უყვარს თავისუფლება, თავისი მამულიც..." (136, 130).

გ. წერეთლის აზრით, ბუნების მეცნიერებისა და მისი კანონების ცოდნა წინ სწევს კაცის ცხოვრებას, აუმჯობესებს და ახალ სიმაღლეზე აჰყავს იგი. ამრიგად, ადამიანის ბედნიერება ბევრად არის დამოკიდებული ბუნების კანონების ცოდნასა და თავის სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობაზე. ამისათვის საჭიროა ამ კანონების კარგად

შეცნობა და ბუნებაში არსებული მიზეზ-შედეგობრიული კავშირების დადგენა. ამის უნარი კი მხოლოდ განათლებულ ადამიანს შესწევს. „თუ ხალხი განათლებით წინ არის წასული, – წერს იგი, – მაშინ იმისი მოქმედება ბუნების გაუმჯობესებაზედ არის მიმართული და თუ განათლებით დაბლა სდგას – მაშინ ის ან სულ არ ეხება ბუნებას და ან თუ ეხება – აფუჭებს იმას" (136, 188).

ამრიგად, გ. წერეთელი მოითხოვდა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შეცნობას და ადამიანთა სამსახურში ჩაყენებას.

გ. წერეთელს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ***განათლების თეორიებზეც,*** რაც XIX საუკუნეში მსჯელობისა და კამათის საგნად იყო ქცეული. მსჯელობა მიმდინარეობდა ფორმალური და მატერიალური განათლების თეორიების შესახებ. როგორც ცნობილია, ფორმალური, ანუ კლასიკური განათლების თეორიის მომხრენი, მოითხოვდნენ ბერძნული და ლათინური ენების შესწავლას, ხოლო მატერიალური, ანუ რეალური განათლების თეორიის მომხრენი – ისეთი საგნების შესწავლას, რომლებიც ადამიანს გამოადგება ყოველდღიურ ცხოვრებაში. უცხო ენებიდან ეს უკანასკნელნი უპირატესობას ანიჭებდნენ თანამედროვე ევროპული (ფრანგული, გერმანული, ინგლისური) ენების შესწავლას. გ. წერეთელი წერს: „ახლა ჩვენ განვსაჯოთ რომელია იმათში მართალი და რომელი მტყუანი. უნდა ვსთქვათ, რომ თითქმის არც ერთი წიგნიც არ დარჩენილა ბერძნებისგან და რომაელებისგან დანატოვარი, რომ რომელსამე ევროპიულს ენაზე არ იყოს გადმოთარგმნილი... მაშ ჩემი აზრით რაღა საჭიროა ამ ენების სწავლა. არავინ იმ ენებზე აღარ ლაპარაკობს და არც ცხოვრებაშია გამოსადეგი; მაშასადამე, იმათი სწავლა ყმაწვილს ტყუილად დროს წართმევს. ის სჯობია, რომ ეს დრო ყმაწვილს მოახმარონ ბუნების შეცნიერების სწავლებაში და ბუნების კანონების შეგონებაში. ამასთანავე ასწავლონ ახლანდელი ევროპიული ენები, რადგან ეს ენები ყოველის მხრით ძალიან საჭიროა ამ ჟამად" (136, 202).

კ. უშინსკის მოგვცა ამ ორიენ თეორიის საკუთარი სწორი შეფასება. მისი აზრით, საკითხი უნდა დაისვას არა „ამ ორი მიმდინარეობიდან ერთ-ერთის უპირატესობის აღიარების შესახებ, არამედ... მათი ჰარმონიული შერწყმისა და ამ შერწყმის გზების შესახებ“ (78, 373).

გ. წერეთელი დაუცხრომლად იბრძოდა ასევე ქართულ სკოლებში ***მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის***. იგი მკაცრად ილაშქრებდა ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ. მას კარგად ესმოდა, რომ ძალდატანებითი გარუსების თვითმპყრობელური პოლიტიკა, ქართული ენის განდევნა არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებებიდან, არამედ აგრეთვე სკოლიდანაც, უღიდეს დაბრკოლებას უქმნიდა ხალხის განათლებისა და კულტურის აღმაყვავებას. ამიტომ იგი დაჟინებით მოითხოვდა ქართული ენის აღდგენას თავის უფლებებში და ახალგაზრდობის სწავლა-განათლების წარმართვას „იმ ენაზე, რომელიც იმას ესმის და ღელის ძუძუსთან შერგებია“. იგი წერდა: „თავდაპირველი საშუალება განათლებისა არის ენა... როგორც ჭკუა-გონების წართმევა არ შეიძლება, ისე არც ენის წართმევა შეიძლება... ახლა საქართველო იმისთანა მდგომარეობაშია, რომ დიდი და პატარა ყველა გრძნობს სწავლის საჭიროებას. ამ მოთხოვნილებას რომ... ხელი შეუწყოთ, უეჭველად უნდა ვისარგებლოთ ჩვენი სამშობლო ენითა“ (136, 228-230).

1879 წელს „დროების“ 31-ე ნომერში გ. წერეთელმა გამოაქვეყნა ნეკროლოგი ცნობილი პედაგოგის, ბესარიონ ღოღობერიძის გარდაცვალების გამო, რომელშიც მან ამ უკანასკნელს დიდ დამსახურებად ჩაუთვალა ის, რომ იგი თავგამოდებით იბრძოდა სკოლებში ქართული ენის დანერგვისათვის.

მშობლიურ ენაზე სწავლება გიორგი წერეთელს მიაჩნდა პირველი რიგის ამოცანად, ბავშვის გონების განვითარებისა და ხალხის გათვითცნობიერების ძირითად პირობად. ეს ნათლად ჩანს მის სიტყვებში: „დროებამ“ დაიწყო თუ არა ლაპარაკი, — წერს იგი, — მაშინვე ჯაყოფა დაუწყეს. ეს სადაური ქართულია, რომ ნახევარი სიტყვების

მოლათ არ გვესმისო... დიახ, მაგაში ჩვენც თანახმა ვართ. „დროება“ ნამდვილი ქართული ენით არ ლაპარაკობდა, მაგრამ ან კი სად უნდა ესწავლა ქართული ლაპარაკი. ცოტათი მოხრდილან თუ არა „დროების“ თანამშრომელნი, მაშინვე იმისთანა სასწაულებელში მიუცვიათ, სადაც ქართულ ენასედ ერთი აზრიც არ მოესმენიათ. ისინი გაზრდილან უცხო ენაზედ და ნამდვილს ქართულს სიტყვიერებას თან-და-თან გადაჩვეულან. იმათი გონება და აზრი თან-და-თან უცხო ენის კილოზედ დაწყობილა და ამის გამო ბუნებითი ენის კილოც დაკარგვიათ. ამაში ვინ არის დამნაშაული? მოუცილებლათ თვითონ საზოგადოებაა. ის თუ კი არ იზრუნებს თავის ენაზედ შვილის განათლებას, შვილს სად ექნება იმდენი ღონე და მიხვლომა, რომ თვითონ იყიქროს თავის სამშობლო ენაზედ“ (136, 93).

ამრიგად, გ. წერეთელი მშობლებისგან დაბეჯითებით მოითხოვს, რომ შვილებს სწავლა-განათლება მიაღებინონ მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საუბარი ახლობლებისათვისაც გაუგებარი იქნება.

1893 წელს გ. წერეთელმა „კვალში“ გამოაქვეყნა წერილი „სწავლის საქმე ჩვენში“, სადაც საუბრობს იმაზე, როგორ გულცივად შეხვდა ოზურგეთსა და ახალსენაკში მოსახლეობა სკოლების გახსნას, როცა გაიგეს, რომ სწავლა ქართულ ენაზე არ იქნებოდა. ოზურგეთელებს უარი უთქვამთ რეალური სასწაულებლის გახსნაზე. იგივე მოთხოვნები წამოუყენებიათ ახალსენაკელებს ქუთაისის გუბერნატორისათვის, როცა იგი მათთან სკოლის გახსნის თაობაზე ჩასულა (147, 34). ამის შესახებ გ. წერეთელი თავის მეგობარს – კირილე ლორთქიფანიძეს პეტერბურგში სწერდა: „ნამესტნიკის ხელქვეით პირებმა შეადგინეს ერთი პროექტი, რომელსაც აზრში აქვს აღმოფხვრას ჩვენი სახსენებელი საქართველოს არეზედ... უნდათ მასწაულებლების სემინარია დაარსონ... ამ სასწაულებელში ქართული ენა არ უნდა იყოს. როდესაც ამ სასწაულებელში შეასრულებენ სწავლას ყმაწვილები, შემდეგ იმათ გაგზავნიან მასწაულებლებათ „სასოფლო სკოლებში“, სადაც იმათ გლეხების ყმაწვილებს

უნდა ასწავლოს რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი: ქართული კი არას გზით არ უნდა ასწავლონ. ასე... მთელი ხალხობა უნდათ გაარუსონ“ (136, 414).

გიორგი წერეთელი მხარს უჭერდა ოზურგეთისა და ახალსენაკის სასოგადოებას მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნაში და არა მარტო თავად იბრძოდა ამ მოთხოვნის სისრულეში მოყვანისათვის, არამედ სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებდა. ამიტომაც იყო, რომ იგი თავის ჟურნალსა და გაზეთებში ხშირად ბეჭდავდა როგორც თავის პედაგოგიურ წერილებს, ისე ფართო ადგილს უთმობდა ავტორებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ჩვენი ქვეყნის აწმყოთი და მომავალი ცხოვრებით. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის *იპოლიტე ვართაგავას* მოგონება. იგი წერს: „1894 წელს სემინარიის დროებით დახურვის შემდეგ, მე სოფ. ხეთაში ვცხოვრობდი. ეს იყო ის დრო, როდესაც ცარიზმმა სამეგრელოს ყველა სკოლიდან განდევნა ქართული ენა. სკოლებში დამყარდა სასტიკი რეჟიმი. მეგრელ მოწაფეს აკრძალული ჰქონდა ქართული წიგნის კითხვა. ქართული ენის სწავლების მომხრე ან უბრალოდ თანამგრძნობი მასწავლებლები იდევნებოდნენ სკოლებიდან და მათ ადგილზე ინიშნებოდნენ უპრინციპო, მშიშარა, ხშირად პირდაპირ მოსყიდული და მოღალატე მასწავლებლები.. ისინი იყვნენ ცარიზმის შავი ზრახვების მატარებელნი. მათ შორის თავისი უსირცხვილობით, იაფხელობით და ჯაშუშობით გამოირჩეოდა თადა ა'შორდია.

და, აი, 1894 წელს აზრად მომივიდა დამეწერა კორესპონდენცია აშორდიასა და „აშორდიზმის“ შესახებ და გამეგზავნა გ. წერეთლის ჟურნალ „კვალში“. წერილს ჰქონდა სათაური — „კორესპონდენცია სოფ. ხეთიდან“, ეაწერდი ფსევდონიმს — „იპო ხეთელი“. გ. წერეთელმა დაუყოვნებლივ დაბეჭდა ეს კორესპონდენცია სათაურით „სამეგრელოს ვითარება“.

სემინარიის აღდგენის შემდეგ თბილისში ჩამოვედი. ამ ხანაგებმა გადმომცეს, რომ გ. წერეთელი შემოსულა პუშკინის ბაღში, რომელიც სემინარიის პირდაპირ იყო, და უკით-

ხაეს მოწაფეებისათვის – მოწაფე იპოლიტე ვართაგაია ხომ არ ჩამოსულაო. გადაქცით, რომ „კვალის“ რედაქციაში შემოვიდესო. ძალიან გამეხარდა ეს ამბავი. გ. წერეთლის გაცნობა საამო და სასურველი იყო ჩემთვის. ყველაფერი... როგორც იქნა მიველი. ჩემი გვარი რომ ვუთხარი, სათვალეებიდან ამომხედა. გამიღიმა, ხელი ჩამომართვა და ტკბილად მითხრა: „ვაჟო ხომ არ გეწყინა შენს წერილს სხვა სათაური რომ გავუკეთე? არა, ბატონო, ახალმა სათაურმა თავისთავად გააძლიერა ჩემი სუსტი წერილი-მეთქი. „ნუ მორცხვობ, შენი წერილი სუსტი კი არა, ძლიერი წერილია, ხალხის მჭრებს გულში ისარივით ჩაესო“. ლაპარაკებით გამომკითხა სემინარიაში გაყიცვის ამბავი, ქართული ენის სწავლების შესახებ და წამოსვლისას მითხრა: „ნუ დაიეწყებ ჩვენს რედაქციას. მოგვიტანე წერილები და უსათუოდ დაგიბეჭდავთ“. და მართლაც მან ზედიზედ დამიბეჭდა ჩემი სამი წერილი – „სამეგრელოს ვითარება“ (147, 38-39).

გ. წერეთელი ქებით მოიხსენიებდა ყველა იმას, ვინც გამართული ქართული ლიტერატურული ენით წერდა. ამ მხრივ იყო ყველასაგან გამოყოფდა დიმიტრი ყოფიანს. „დიმიტრი ყოფიანი დიდი ხნიდან განთქმულია ჩვენს ლიტერატურაში, როგორც სამაგალითო ენით მწერალი და დახელოვნებული მთარგმნელი შექსპირისა“, – აღნიშნავს იგი „ივერიაში“ (147, 123).

გ. წერეთელი თავის როგორც პუბლიცისტურ წერილებში, ისე მხატვრულ ნაწარმოებებში გვისვენებს, თუ რა შედეგი მოსდევს სწავლებაში მშობლიური ენის უგულებელყოფას. ამის ნათელი მაგალითია მისი რომანი „პირველი ნაბიჯი“. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია *იერემია წარბა*. მასწავლებელთა უმრავლესობის უვარგისობამ და გაუგებარი სიტყვების უაზრო ზეპირობამ გამოიწვია იერემიას სულის დამახინჯება და მისი ცხოვრების გზის გაუკუღმართება.

ცხრა წლის იყო იერემია, როცა მშობლებმა სკოლაში შეიყვანეს. ბიჭი დასაწყისში სწავლას დიდი მონდომებით შეუდგა, მაგრამ მეფის მთავრობის ეროვნული პოლიტიკის

შედეგად სკოლაში ქართული ენის სწავლება შეწყვიტეს. „ის დრო, რომელიც ხმარდებოდა ქართულ ენას, ქართულის მწიგნობრობისა და მისი ისტორიის შესწავლას, ლათინურისა და ბერძნულის ენის გაკეთილებს უნდა მოხმარებოდა“ (137, 577). ასეთმა ცითარებამ ქართველი მოსწავლეები მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან აქამდე ისინი რუსულ ენას მშობლიური ენის საშუალებით სწავლობდნენ, ახლა კი მათთვის უცნობი რუსული ენის მეშვეობით ბერძნული და ლათინური ენები უნდა შეესწავლათ. პედაგოგიკის მეცნიერება კი გვასწავლის, რომ უნობი ცნობილით უნდა იქნას შესწავლილი. ამიტომ მოსწავლეებმა სწავლაზე გული აიცრუეს და თითო კლასში ორი-სამი წელი ისხდნენ. ასეთი ანტიპედაგოგიური მოვლენის მსხვერპლი შეიქმნა იერემია წარბა, რომელმაც თანდათან უკლო სწავლას, ქუსაში გაეცდა და ძარცვა-გლეჯასა და ავაზაკობას მიჰყო ხელი. „იერემიამ დაკარგა ადამიანური წონასწორობა, თანდათან დაეშვა უზნეო ცხოვრების უფსკრულისაკენ. მისთვის ცხოვრების აზრად ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება გადაიქცა. დაუსრულებელი ქეიფი, აყალ-მაყალი, ცემა-ტყეპა, ჩხუბი, თავდასხმა, უწმაწურობა, ქალების გაუპატიურება – მისთვის ჩვეულებრივი საქმე გახდა“ (147, 381). თავისი უზნეო საქციელით იერემია წარბამ აიკლო დასავლეთ საქართველოს ქალაქები და სოფლები, საბოლოოდ კი კაცის (ესმას) მკვლელად და საზოგადოებისათვის ხელმეტ ბარგად, ხორცმეტად იქცა, რაშიც მწერალი იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, უწინარეს ყოვლისა კი, ცარიზმის გამარუსებელ პოლიტიკას აბრალებს.

მიუხედავად ამისა, გ. წერეთელი სიმპათიით ეკიდებოდა „დიდ რუს ერს“ და აღიარებდა რუსული კულტურის კეთილმყოფელ გავლენას ქართულ კულტურაზე. რუსეთი მას ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის წყაროდ მიაჩნდა, მაგრამ იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინააღმდეგი იყო ქართველი ხალხის ძალდატანებითი გარუსებისა და დაუფალავად ებრძოდა რეაქციული რასისტული თეორიის მომხრეებს.

გ. წერეთელი მოსარდი თაობის პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდ როლს ანიჭებდა *მასწავლებელს, მის პირად მაგალითსა და პედაგოგიურ ტაქტს.* თავის შესანიშნავ მოთხრობაში „სკვნი ცხოვრების ყვავილი“ იგი გვისვენებს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ტიპის მასწავლებლებს. ამ ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს, *დიტო ქველიძეს,* რომელიც ნებიერად იზრდებოდა ოჯახში, პირველივე გაკვეთილზე არ ეჭაშნიკა ქუთაისის გიმნაზიაში შექმნილი ვითარება და მასწავლებლის საქციელი. „...უსიტყვო ფოცხვერსავით ჩამოეკრიალებდა ხოლმე ყმაწვილებს, ჰკვროდა დიტოსთვის გაუგებარს რუსულს სიტყვებს, ხან ამას მიყარდებოდა და გაქოსრავდა, ხან იმას უშიშელებდა „ლინეიკას“ თავში ისე ღონიერათ, რომ ყმაწვილი ერთს იწიელებდა და გულწასული მიეყუდებოდა... კედელს...“ (137, 24).

ეს სასწავლებელი კი არა საწვალებელი ყოფილაო, დაასკვნა დიტომ და მალე სკოლიდან გაიქცა, მაგრამ ისევ უკანვე დააბრუნეს და გაქცევა ძვირად დაუჯდა. ამიერიდან მისი ხელსრი შეიქმნა ცემა და გაროზგვა. ბუნებით მკვირცხლ, ნიჭიერ დიტოს „უსიტყვისაგან“ ლინეიკის ცემით ხელისგულის კანი გასქელებული ჰქონდა, – წერს ავტორი, – და ამ კანის გასქელებას ტეინშიაც კი შეეტანებინა უარესი, გაუგებარი სიტყვების ზეპირობის გამო...“ (137, 39).

გიმნაზიის მძიმე საადმსრდელო წესებმა, უარესი ზეპირობამ და მკაცრმა ფიზიკურმა დასჯამ დიტო სულ გამოაღვინა, დაასნულგა და „ბუნებით ნიჭიერი ყმაწვილი“ კლასში „ქველაზე უნიჭო“ შეიქმნა, – დაასკვნის მწერალი.

უვარგისი მასწავლებლების გვერდით, გ. წერეთელს გამოყვანილი ჰყავს ჭეშმარიტი პუმანისტი პედაგოგი, პოლონელი *ვარსკის* სახით, რომელიც თავისი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გამო მეჯის მთავრობამ დასაჯა და პოლონეთიდან ჯერ რუსეთის ჩრდილოეთში გაგზავნა სამუშაოდ, შემდეგ სამხრეთში ქუთაისის გიმნაზიაში გადმოგზავნა.

პირველი საუკეთესო თვისება, რომლითაც უმანსკიმ მოხიბლა თავისი მოსწავლეები, არის იშვიათი კომუნიკაბელო-

ბა. იგი მოსწავლეებთან ადვილად ამყარებს წმინდა ადამიანურ ურთიერთობებს. „უმანსკიმ კიდეც გაგვაცინა, გაგვამხიარულა, ბოლოს სხეულთა თვისებებიც აგვიხსნა და დაგვასწავლა. მე, სწორედ გითხრათ, ამისთანად ჯერ გაკვეთილი არ გამიცია“ (13, 106).

ბ. წერეთელი უმანსკის წარმოგვიდგენს მეტად დინჯ, დაკვირვებულ და ბავშვების მოყვარულ პიროვნებად. „უმანსკი თითქმის არაფის უნახავს კლასში გაჯავრებული“, – ამბობს მწერალი. მისი გადმოცემით, უმანსკიმ ქველა მოსწავლეში აღმოაჩინა გარკვეული ნიჭი და უნარი. ამიტომაც „დიტოს იმაზე უხეირფასესი ქვეყანაზე აღარაფინ ჰყავდა-რა“ (137, 113).

უმანსკი ყურადღებას აქცევს სწავლების პროცესში მოსწავლეთა მიერ მასალის *შეგნებულად და გააზრებულად შეთვისებას*. მოსწავლეებს იგი ასე არიგებს: „...ეცადეთ ნამდვილად იცოდეთ თქვენი გაკვეთილი და არა მხოლოდ ზეპირად, ისე... რომ ის შეიქმნას თქვენი გონების ნაწარმოები, თქვენი ტვინის ნაყოფი; თქვენი სწავლა უნდა იყოს თქვენი ტვინის ხეზე ვაშლად გამობმული და არა იმ ვაშლად, რომელიც შაფშია შენახული და დღეს თუ ხვალ დალპება და გაქრება... ეცადეთ საკუთარი ფეხით სიარული-სა“ (137, 110).

უმანსკი სწავლების პროცესში, შეგნებულობის პრინციპთან ერთად, არ იღწუებს *აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის*. იგი ხშირად უტარებს ბავშვებს ზნეობის გაკვეთილებს და ასწავლის მათ პატიოსნებას, ადამიანის სიყვარულსა და პატივისცემას. ერთხელ გაკვეთილზე, ამბობს მწერალი, უმანსკიმ თქვა: „ქველანაზე პატიოსნებისთანა არა არის-რა“ და აქვე დაუმატა: „პატიოსნება დიდი საქონელია“. შემდეგ იგი მოსწავლეებს ეკითხება: „რა არის სრული პატიოსნება?“ და განაგრძობს: „ამბობენ პატიოსანი ის არის, ვინც ტყუილს არ იტყვის, ვინც ფიცს არ გასტეხს, ვინც დაპირებულს უსათუოდ შეასრულებს“ და ა.შ. მაგრამ მრავალი მაგალითის გარჩევის შემდეგ ბავშვები რწმუნდებიან, რომ ყოველთვის ეს ასე არ არის. ზოგჯერ კეთილ-

შობილური ტკეცილის თქმა, ფიცის გატეხა და დანაპირების შეუსრულებლობა უფრო ხნეობრივი საქციელია, ვიდრე გულუბრყვილო სიმართლის თქმა, ფიცის არგატეხა და დანაპირების უსათუოდ შესრულება.

როცა მოსწაელები ვერ ახერხებენ დასმულ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემას, მასწავლებელი ასკვნის: პატიოსნება კაცის სიყვარული, მისი სიკეთისათვის ზრუნვაო (137, 117-119).

ასე უნერგავს პუმანისტი პედაგოგი თავის აღსაზრდელებს (მეექვსეკლასელებს) ადამიანის სიყვარულს, მისი პიროვნების აღიარებასა და დაფასებას. ამიტომაც იყო, რომ დიტო ქველიძემ უმანკოსა და თავისი ნიჭის წყალობით წარმატებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სახელმწიფოს ხარჯზე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

გ. წერეთელი დაუცხრომლად იბრძოდა თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისათვისაც. „გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით,— წერს ა. ბ ა ხ ა რ ა ძ ე,— რომ გ. წერეთელი ეროვნული სამოციანელია, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის უნივერსიტეტის დაარსების სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის შემუშავების საქმეში“ (85, 380).

„თუკი შუაგულ ციმბირში, ტომსკში, მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა უნივერსიტეტის დაარსებას, კავკასიის სატახტო ქალაქში, თფილისში, უფრო გულით არ მოიწადინებს ასეთი სასწავლებლის გახსნას!“ — წერდა იგი „კვალში“ (1897, №45). მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. მეფის მთავრობამ თბილისში უნივერსიტეტის ნაცვლად სამხედრო სასწავლებელი გახსნა, რაც კოლონიური, თვითმპყრობელური პოლიტიკის გამოხატულება იყო.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდია გ. წერეთლის ღვაწლი ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში. ამდენადვე დიდია მისი დამსახურება ჩვენი სკოლისა და ქართული პედაგოგიკური აზრის განვითარებაში.

თ ა ვ ი XIV

ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური იდეები

XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის ფრიად საპატიო ადგილი უჭირავ საზელოვან სამოცდიანელს, დიდ მოაზროვნეს, პუბლიცისტს, კრიტიკოსს, რევოლუციონერ-დემოკრატსა და საზოგადო მოღვაწეს *ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე ნიკოლაძეს* (1843-1928)

ღრმად განათლებული, შრომაში დაუღალავი და ბრძოლაში შეუპოვარი მებრძოლი ნიკო ნიკოლაძე ქართველ სამოცდიანელთა ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო. მას დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე. მისდამი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი წერდა: „შენ ჩვენი რაზმის ფალავნად გეგულები“-ო.

დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი გერცენი ამბობდა, რომ „ჩვენ ცხოვრობდით ყველა მიმართულებითო“. ეს სიტყვები თამამად შეიძლება მივუძღვნოთ ნიკო ნიკოლაძეს, რადგან მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც პუბლიცისტიკის, ისე ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ლიტერატურული კრიტიკის, ესთეტიკის, სამართლისა და პედაგოგიკის საკითხები.

ამრიგად ნ. ნიკოლაძე ენციკლოპედიური განათლების კაცი იყო. მშობლიური ენის გარდა, იგი ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ და ევროპულ ენებს, განსაკუთრებით ფრანგულს.

დაიბადა იგი 1843 წლის 27 სექტემბერს (ახალი სტილით 9 ოქტომბერს) ქალაქ ქუთაისში. მის აღზრდა-განათლებაში დიდი როლი შეუსრულებია დედას – *ელისაბედ ლორთქიფანიძეს*, რომელიც იმდროისათვის საკმაოდ განათლებული ქალი ყოფილა. „დედაჩემი, – წერს ნ. ნიკოლაძე, – მშვენიერი მწიგნობარი იყო... მთელი „ცეცხლისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. ბევრ სხვა ნაბეჭდ და ხელნაწერ ქართულ

წიგნებს მუდამ დღე ნასადილევს უკითხავდა მამამისს. ჩვენ ბავშვობიდანვე გვიყვარდა მისი ქურისგდება" (94, 17-18).

ნ. ნიკოლაძის მამა, იაკობი, ბაბუის მსგავსად, ვაჭარი ყოფილა, მაგრამ განათლების ფასი კარგად ცოდნია. ნიკოს გადმოცემით, მ[illegible]. მამას ახლო ურთიერთობა ჰქონია ლრამატურგ ს[illegible]ურაბ აიტონოვთან და მსახიობ მეფხარიანთან. ბავშვობაში ის ს[illegible]ურაბ ანტონოვთან ერთად ი[illegible]რდებოდა თურმე ქალაქ გორში (მისი ბაბუა მამუკა იქედან ყოფილა ქუთაისში გადმოსული). მიტომ, როცა ქუთაისს გორიდან ამბავი მოსულა, ანტონოვი ციფიანმა ძალლმა დაკბინა, გაგიჟდა და მოკვდაო, იაკობს ის ახლო ნათესავივით უგლოვია. ყოველი ქართული წიგნი, რომელიც თბილისში იბეჭდებოდა, წერს ნ. ნიკოლაძე. მამაჩემს მოდიოდაო. მარი ბროსეს გამონაცემი „ქართლის ცხოვრება" იაკობს, ძვირფას ცდაში ჩამჯდარი, თვით ბროსესგან ჰქონია შეძენილი, როცა იგი 40-იან წლებში ქუთაისში ჩამოსულა. იაკობი თურმე მთელი სიცოცხლის მანძილზე თავს იწონებდა ბროსეს გაცნობით. ახალი წიგნის „მიღებისთანავე ღელაჩემი მათ თაყიდან ბოლომდე გადაგეიბ'ულბ'ულებდა, დიდს და პატარას, ქმარ-შვილს და მოსამსახურეს... ეს კითხვა უკეთესი გასართობი იყო ჩვენს სახლში... თაყიდან ბოლომდი წაგვიკითხა მან, სხვათა შორის, ბროსეს გამონაცემი „ქართლის ცხოვრება", – წერს ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში „წარსულიდან" (96, 30).

7 წლის ნიკო მშობლებს ქუთაისის გიმნაზიაში მიუბარებიათ, სადაც სწავლა რუსულ ენაზე წარმოებდა. რის გამოც პატარა ნიკოს ბევრი არაფერი გაეგებოდა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მასწავლებლები შესასწავლ მასალას, როგორც წესი, არ უხსნიდნენ ბავშვებს. „სწავლა ჩვენს გიმნაზიაში, – წერს ნ. ნიკოლაძე, – მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ ზეპირად უნდა გეცოდნა რუსულ სახელმძღვანელოებში მასწავლებლისაგან დანიშნული ადგილები, რომლის აზრი თითქმის არავის ჩვენგანს არ ესმოდა. ზოგიერთები მთელ წიგნს იზეპირებდნენ სრულიად გაუგებრად, თუთიყუშივით" (96, 21).

მეხუთეკლასელი ნიკო მამას 'საფხულში ფოთში წაუყვანია „იქაური საქმეებისა და მამულების გასაცნობად“, მაგრამ აქ ბიჭს მალარია შეპერია და ერთი წელი უაიდმყოფია. ამან იგი ჩამოაშორა სწავლასა და თანაკლასელებს. „ერთი წლის აცილმყოფობის დროს, – იგონებს ნ. ნიკოლაძე, – სრულიად ჩამოვრჩი გიმნაზიის კურსს, მაგრამ, სამაგიეროდ გადავიკითხე მრავალი რამ, სასარგებლოც და უსარგებლოც. ასე მეგონა, რომ არა მარტო ლიტერატურაში, პოლიტიკაშიაც ჩემთვის საიდუმლო აღარაფერი იყო. ამან შემაქცარა კითხვა და მეცადინეობა“ (96, 100).

ამრიგად, პატარა ნიკო გიმნაზიაში სწავლის პერიოდში თავის სულიერ მოთხოვნილებას სხვადასხვა წიგნების კითხვით იკმაყოფილებდა, რაღგან სასწავლებელში გამეფებული რეჟიმი, სასწავლო სახელმძღვანელოები და სწავლების მეთოდები მოსწავლეებს სწავლისადმი გულს უცრუებდა. „გიმნაზიის გათავების დროს, – იგონებს იგი, – რაც კი რამ წიგნი ჰქონდა ვისმე ქუთაისში, რაც კი რამ ჟურნალი მოდიოდა ამ ქალაქში. ქართული თუ რუსული, სულ გადაკითხული მქონდა, კარგიც და ავიც... ეკითხულობდი ყველაფერს, იმიტომ რომ კითხვა ჩემთვის საჭიროებას შეადგენდა, იმისთანა საჭიროებას, ურომლისოთაც გაძლება არ შემეძლო“ (97, 66). ალბათ თავის თავზე ასეთი გაძლიერებული მუშაობის შედეგი იყო ის, რომ მან ერთი წლის განმავლობაში ორი კლასის კურსი დახურა და გიმნაზიის დამთავრების ატესტატიც თავის თანაკლასელებთან ერთად მიიღო. ამასთან, გიმნაზია წარმატებებით დაამთავრა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ჟურნალ-გაზეთების კითხვით უფრო იყო გატაცებული, ვიდრე გაკვეთილების მომზადებით.

ქუთაისის გიმნაზია ნ. ნიკოლაძემ 1960 წელს დაამთავრა და მომდევნო წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო, სხვა 11 ქართველ სტუდენტთან ერთად, დააპატიმრეს და ჯერ პეტრეპავლოვსკის, შემდეგ კი კრონ-

შრადტის ცისკენ საკმაოდ დიდხანს ამყოფეს, ხოლო იქიდან გამოსვლის შემდეგ უნივერსიტეტიდან გარიცხეს. პეტერბურგში ცხოვრება აუკრძალეს და სამშობლოში გამგზავრება უბრძანეს.

1862 წლის იანვარში, როდესაც, ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, „პეტერბურგში მოისპო ყოველგვარი მღელვარება“, მას თხოვნით მიუმართავს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორ *სუვოროვისათვის* (მხედართმთავარ ა. სუვოროვის შვილიშვილი — ნ. ბ.), რომ ამ უკანასკნელს მისთვის რუსეთის სატახტო ქალაქში ცხოვრების უფლება მიეცა. განცხადება თვით ნ. ნიკოლაძეს მიუტანია სუვოროვისთვის, რომელსაც ქართული ცოდნია, რადგან დეკაბრისტულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის საქართველოში ყოფილა გადმოსახლებული და ერთხანს აქ უმუშავია. „როცა თხოვნაზე ჩემი გვარი წაიკითხა, — იგონებს ნ. ნიკოლაძე, — მან ქართულად მკითხა: „ქართველი ხარ?“ ჩემ პასუხად, რომ რასაკვირველია ვიცი მეთქი, მან ქართულადვე მითხრა — „კარგი“, და ადიუტანტს უბრძანა განკარგულება მოეხდინა, რათა მოეცათ ჩემთვის სათანადო მოწმობა. ასე ადვილად მოხდა ჩემი განთავისუფლება არალეგალური მდგომარეობიდან“ (96. 137), — წერს ნ. ნიკოლაძე.

პეტერბურგში დარჩენილი ნიკო წერს თავის პირველ პუბლიცისტურ მოთხრობას „პეტერბურგის მხარეში“, რომელიც 1862 წელს ჟურნალ „ცისკრაში“ გამოქვეყნდა. მასში ავტორი ჟურნალღებას ამახვილებს პეტერბურგელი სტუდენტების ყოფა-ცხოვრებაზე, მათ სოციალურ მდგომარეობაზე. შემდეგ ნ. ნიკოლაძე ჟურნალ „სოვრემენნიკს“ დაუკავშირდა, მაგრამ მალე დაიწყო საშინელი რეაქცია და ჟურნალი დახურეს. ნ. ნიკოლაძე კი სამშობლოში გამოემგზავრა. მომდევნო 1863 წელს იგი ისევ პეტერბურგში ბრუნდება და თანამშრომლობს გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოში“, რომელშიც მან პირველად გამოაქვეყნა თავისი წერილები *სკარდელის* ფსევდონიმით, მაგრამ მალე მთავრობამ ეს გაზეთიც დახურა.

ამ დროს განახლდა ჟურნალ „სოვრემენნიკის“ გამოცემა და ნ. ნიკოლაძეც მის რედაქციას დაუკავშირდა. 1864 წელს ამ ჟურნალის მერვე ნომერში ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა თავისი პუბლიცისტური ხასიათის მეორე მოთხრობა „პროვინციული სურათები“.

1864 წელს ნ. ნიკოლაძე საფრანგეთში მიემგზავრება და სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება. აქ იგი რამდენიმეჯერ შეხვდა გერცენს. ამ უკანასკნელის თხოვნით, ნ. ნიკოლაძე იწყებს ჟურნალ „კოლოკოლში“ თანამშრომლობას, რომელსაც გერცენი რედაქტორობდა. ერთი წლის შემდეგ ნიკო საფრანგეთიდან შვეიცარიაში გადადის და ჟენევის უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას, მაგრამ მისი დაუდგრომელი სული აქაც ვერ ისვენებს და 1868 წელს სწავლის კურსს ციურიხის უნივერსიტეტში ასრულებს. ჟენევაში იგი ფრანგულ ენაზე სწავლობდა, აქ კი გერმანულ ენაზე მოუხდა სწავლა, მაგრამ ნიკომ ყველა დაბრკოლება გადალახა. უნივერსიტეტი დაამთავრა და დაიცვა სადოქტორო დისერტაციას თემაზე – „განიარალება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“ (ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად გამოვიდა ჟენევაში), რისთვისაც მიენიჭა ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი. მომდევნო წელს იგი საქართველოში ბრუნდება და გატაცებით ებმება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ფერხულში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელთან, ს. მესხთან და კ. ლორთქიფანიძესთან ერთად, სათავეში ჩაუდგა იმ ახალგაზრდობას, რომელსაც გ. წერეთელი „მეორე დასს“ უწოდებდა.

1872-1873 წლებში ნ. ნიკოლაძე რამდენიმეჯერ იყო პარიზში. უკანასკნელად იგი აქ 1873 წლის ნოემბერში გაემგზავრა და 1875 წლამდე დარჩა. აქ მან 1875 წელს ფრანგულ ენაზე დაწერა და პარიზში გამოსცა თავისი შესანიშნავი ბროშურა სახელწოდებით – „დეკადანსის პრესა“ (La Presse de la Decadence, Paris, 1875), რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა მის თხზულებებში სათაურით – „ფრანგული პრე-

სის დეკადანსი". ამ ნაშრომმა იმდროინდელი საზოგადოების დიდ მოწონება დაიმსახურა, მათ შორის ცნობილი ფრანგი ისტორიკოსისა და ჟურნალისტის *ლუი ბლანისა*, რომელიც კარძო ბარათში სწერდა ნ. ნიკოლაძეს: "...თქვენი წიგნი უთუოდ უნდა მიეკუთნოთ ისეთ ნაშრომთა რიცხვს, რომელიც ყველა ფრანგმა ჟურნალისტმა უნდა წაიკითხოს და გაიზიაროს" (19, 120).

საზღვარგარეთიდან დაბრუნებისთანავე ნ. ნიკოლაძემ თანამშრომლობა დაიწყო გაზეთ „დროებასა" და „ტიფლისსკი ვესტნიკში". ამ უკანასკნელში იგი ათავსებდა სამხედრო კორესპონდენციებს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მიმდინარეობის შესახებ.

1878 წელს ნ. ნიკოლაძემ დაარსა გაზეთი „ობზორი", მაგრამ მეფის ადმინისტრაციამ 1880 წელს იგი დახურა და მისი რედაქტორი სტაეროპოლში გადაასახლა. ნიკო აქაც არ ცხრებოდა და მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილებს ათავსებდა ხელმოუწერლად გაზეთ „გოლოსში".

1881 წელს ნ. ნიკოლაძე გადასახლებიდან გაათავისუფლეს და პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც რამდენიმე წელიწადს დარჩა. აქ მან დაიწყო თანამშრომლობა ჟურნალში „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი", რომელსაც დიდი სატირიკოსი სალტიკოვ-შჩედრინი რედაქტორობდა.

საქართველოში დაბრუნებული ნ. ნიკოლაძე აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ნოეოე ობოზრენიესა" და ჟურნალ „მოამბეში".

1894 წელს იგი აირჩიეს ფოთის ქალაქის თავად. ამ თანამდებობაზე მან 1912 წლამდე იმუშავა. მეფის მთავრობამ ყოველგვარი ხრიკებით იგი გააოავისუფლა, მაგრამ ამ უსამართლო განაჩენისადმი პროტესტის ნიშნად, ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ მას 1915 წლამდე შეუნარჩუნა ხელფასი, ხოლო როდესაც მეფის მთავრობამ მისი გაცემა აკრძალა, იმავე თვითმმართველობამ მუდმივი პერსონალური პენსია დაუნიშნა.

ნ. ნიკოლაძე ნაყოფიერ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. იგი გარდაიცვა-

ლა თბილისში 1928 წლის 31 მარტს, 85 წლის ასაკში, დასაფლავებულია მთაწმინდაზე.

თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში, განსაკუთრებით კი პუბლიცისტურ წერილებში, ნ. ნიკოლაძე შეუპოვრად იბრძოდა სოციალური უსამართლობისა და ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ. მათში ყურადღებაა გამახვილებული ასევე პედაგოგიკის საკითხებზე.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებები ხალხის განათლებისა და მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის შესახებ მჭიდროდაა დაკავშირებული იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან და გამომდინარეობს ქართველ განმანათლებელთა მსოფლმხედველობიდან. სწავლა-განათლება მას მიაჩნდა ქვეყნის განვითარების მთავარ პირობად. მისი ღრმა რწმენით, განათლების შინაარსსა და მიმართულებას განსაზღვრავს *მიზანი*. ამიტომ სწავლა-აღზრდის შინაარსში, მიმართულებასა და ხასიათში გასარკვევად საჭიროა სწორი და ნათელი წარმოდგენა გვქონდეს იმ მიზანზე, რომლის განხორციელებასაც ეს აღზრდა-განათლება ემსახურება.

აღზრდის მთავარ მიზნად ნიკო ნიკოლაძე, სხვა ქართველ განმანათლებლებთან ერთად, თვლიდა პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას, რაშიც იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა აღზრდას. მოზარდი თაობის აღზრდა მას მიაჩნდა არა მარტო მშობლებისა და მასწავლებლების, არამედ საზოგადოების ყველა წევრის მოვალეობად. „...ყოველ საქმეს, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდას და სასწავლებლებს შეეხება, – წერს ნ. ნიკოლაძე, – ყოველი გონიერი კაცი სწორეთ იმ თვალებით უნდა უყურებდეს, როგორც თავის საკუთარ საქმეს, რომელზედაც დამოკიდებულია მისი საკუთარი სარგებლობა, სიკეთე, ბედი“ (91, 402).

ნ. ნიკოლაძე აღზრდასა და განათლებას განიხილავდა როგორც ერთიან, მთლიან პროცესს და მოითხოვდა, რომ სწავლა-აღზრდის პროცესი აგებულიყო თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობაზე. იგი წერს: „...ახალგაზრდობის აღზრდას ყველაზე უფრო ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ

აღზრდილ ქმაწვილს ხეირიანად ესმოდეს, რა ბუნება არტყია იმას გარშემო, ...რით და როგორ შეიძლება ამ ბუნებით სარგებლობა და ამ საზოგადოების გაუკეთესება“ (63, 79).

ნ. ნიკოლაძის აზრით, აღზრდა ზედნაშენური კატეგორიაა და იგი იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობასთან ერთად. იყო დრო, როცა გაბატონებული წოდებანი და საზოგადოებრივი კლასები აღზრდა-განათლებას განიხილავდნენ როგორც მემკვიდრეობით მიღებული პრივილეგიების განმტკიცების იარაღს და ცდილობდნენ, რომ ის მხოლოდ თავის საკუთრებად ექციათ. ნ. ნიკოლაძე წერს: „თავდაპირველად... აღზრდა და განათლება წარჩინებულ გვარიშვილთა და მეფის მემკვიდრეებისათვის არსებობდა... და იმ დროს, მთელი პედაგოგიკაც, მათი აღზრდა-განათლების ხელოვნებით იფარგლებოდა“ (63, 80).

აღზრდა-განათლების წოდებრივი პრინციპი ნ. ნიკოლაძეს მიანდა დიდ ბოროტებად, რომლის წინააღმდეგ მან გაილაშქრა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ჟურნალ „სოვრემენნიკის“ (1864 წ. №8) ფურცლებზე გამოქვეყნებულ მოთხრობაში „პროვინციული სურათები“, ხოლო ამის შემდეგ სულ მალე (1866 წ.) უფრო საფუძვლიანად შეეხო მას ცნობილ ბროშურაში „მთავრობა და ახალი თაობა“.

გარდა ამისა, ნ. ნიკოლაძე მწვავედ აკრიტიკებდა იმ ყალბ შეხედულებას, რომლის თანახმად არისტოკრატიული და ბურჟუაზიული წრის ბავშვები, თავიანთი სოციალური წარმოშობის უპირატესობის გამო, როგორც წესი, თითქოს გონებრივად უფრო მაღლა უნდა მდგარიყვნენ, ვიდრე დემოკრატიული წარმოშობის ბავშვები.

წინააღმდეგ ამ ყალბი შეხედულებისა, ნ. ნიკოლაძის რწმენით, აღზრდა და განათლება „შესაძლებელია გამოუკლებლივ ყველა ბავშვისა, გარდა კრეტინებისა, რომლებიც ისევე იშვიათად იბადებიან ქვეყანაზე, როგორც ფენომენები“ (63, 81).

მაგრამ ბავშვის მაღალ დონეზე აღზრდისა და განათლებისათვის, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, საჭიროა, რომ სათანადო ინტელექტუალურ და ზნეობრივ სიმაღლეზე იმ-

ეროვნებოლეს გარემომცველი საზოგადოებაც, რადგან, მისი სიტყვებით, „ნიჭიერები და გენიოსები იბადებიან ყველა საზოგადოებაში, ყველა ხალხში, კაცობრიობის ველურებს შორისაც, მაგრამ მათი ნიჭის გამოვლინებისა და ზეიმის შესაძლებლობა დამოკიდებულია... თვით ამ საზოგადოების... განვითარებისაგან (63, 81).

ნ. ნიკოლაძე თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში ფრანგი განმანათლებლებისა და სოციალისტ-უტოპისტების მსგავსად, აღზრდის ყოვლისშემძლეობას ადიარებდა, ხოლო მემკვიდრეულ მონაცემებს, თანშობილ ნიჭს უარყოფდა. მოგვიანებით იგი თვითონ მიუდგა თავისი შეცდომის გაგებამდე და წერდა: „თანახმად ჟან-ჟაკ რუსოსა და რობერტ ოუენისა, ჩვენ მტკიცედ გვჯეროდა, რომ ადამიანი თიხაა, რომლისგანაც რასაც მოისურვებს იმას გამოაქანდაკებ“ (63, 84).

აკრიტიკებდა რა თავის ადრინდელ მცდარ შეხედულებას პიროვნების ფორმირებაში აღზრდის გადაჭარბებულ მნიშვნელობაზე, ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა, რომ პედაგოგიკას მხედველობაში მიეღო და არ უგულებელყო ნიჭი, რომლის გამოვლინების ერთადერთ საშუალებად მას სწავლა-აღზრდა და ყარჯინში მიაჩნდა. მისი აზრით, სათანადოდ დაყენებული აღზრდა-განათლება აკეთარებს მოზარდის გონებრივ ნიჭს, მაგრამ იმას, ვისაც თანდაყოლილი ბუნებრივი ნიჭი არ გააჩნია, ვერავითარი პროგრამა და სასწაულებელი ვერ უშველის.

პიროვნების ჩამოყალიბებაში, აღზრდასთან ერთად, ნ. ნიკოლაძე დიდ როლს ანიჭებდა იმ *გარემოს,* იმ პირობებს, რომელშიც უხდება ბავშვს ცხოვრება. თავის მოთხრობაში „მელაღუმე“ ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს ერთი მდიდარი კაცის შვილის თავგადასავალს, რომელსაც *სინკო* ჰქვია. ის განებივრებული, შრომას შეუჩვეველი, ზარმაცი და ფუქსავატი არსებაა, თუმცა ღმერთს მისთვის ნიჭი არ დაუკლია. იგი დღედაღამ მხოლოდ თავის სიამოვნებაზე ფიქრობს. სხვა საფიქრალ-საზრუნავი მას არ გააჩნია. ამაში ნ. ნიკოლაძე ადანაშაულებს ზედმეტ ფუფუნებასა და იმ გარემოს, რომელშიც უხდება ამ ემაწვილს ცხოვრება. ამიტომ ნ. ნი-

კოლაძე საჭიროდ მიიჩნევს ამ გარემოს შეცვლას, მეორე მხრივ კი, თვითონვე იმ აზრს იცავდა, რომ სოციალური გარემოს შესაცვლელად საკმარისია აღზრდის საშუალებით ადამიანის შეცვლა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძეს აღზრდა მიაჩნდა პიროვნების ფორმირების ძირითად ფაქტორად, მაგრამ, ამასთანავე, იმ აზრსაც იცავდა, რომ აღზრდა ყოველისშემძლე არ არის. თუ გარემოსა და აღზრდასთან ერთად, პიროვნებას არ გააჩნია ბუნებრივი, მემკვიდრული მონაცემები, მაშინ მარტო აღზრდა ვერას გახდება მის კაცურკაცად ჩამოყალიბებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიული განვითარებას. ამ საქმეში იგი დიდ როლს ანიჭებდა *გონებრივ აღზრდას*. როგორც ჭეშმარიტი განმანათლებელი, ნ. ნიკოლაძე ხოტბას ასხამს ცოდნა-განათლების მნიშვნელობას და წერს: „...ვის არ სჭირია საზოგადოებაში ცოდნა, ვის არ სურს, რომ თვითონ იმას და მის შვილებს, ნათესავებს ცოდნის შეძენის შეძლება ჰქონდეთ? ვინ არ ცდილობს ამ ცოდნის ადვილათ შეძენას, ...ვის ბედს არ დაეკვეთოს ცხოვრებაში ცოდნის შეძენა, ვის არ გაუადვილებს ის ცხოვრების სიმძიმეს, ვის არ წაუმწარებს სიცოცხლეს უმეცარი და ეულური მახლობლების ყოლა და ვინ არ იყრძნობს თავის საკუთარ ტყაყზე, თავის ბედზე და მდგომარეობაზე, ყოველ წარმატებას ან უკულახვევას, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდაში მოხდება ხოლმე? ჩვენ დროში ერთი იმისთანა კაციც არ მოიძებნება, რომლის ცხოვრებას არ ეტყობოდეს ამ საქმის გავლენა და ძალა“ (91, 402). მაგრამ იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „საუბედუროთ, ბევრი ახალგაზრდა, და განსაკუთრებით ჩვენები, სულ სხვა თვალებით უყურებენ უნივერსიტეტის სწავლას: მათთვის უნივერსიტეტის სწავლას ერთი მიზანი აქვს – ეგზამენი და დიპლომის აღება“ (91,371) და არა ცხოვრებაში, პრაქტიკაში გამოსაყენებელი ცოდნის შეძენა.

ნ. ნიკოლაძე პრინციპულად იცავს იმ აზრს, რომ აუცილებელია ცოდნა-განათლებამ ქვეყანას, ხალხს მორალური-ინტელექტუალური ღონე აუმაღლოს და ამით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ პროგრესს. თავის წერილებში იგი ეყრდნობა ყოველთაის იმეორებს, რომ ცხოვრება შრომა და ბრძოლაა. ბრძოლა, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავთან, ამ ბრძოლაში კი იმარჯვებს ის, ვინც ცოდნითაა შეიარაღებული და იცის ამ იარაღის ხმარება, ანუ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მისი აზრით, ქმაწვილმა კარგად უნდა იცოდეს „რა ბუნება არტყია იმას გარშემო, რა საზოგადოება, რით და როგორ შეიძლება ამ ბუნებით სარგებლობა და ამ საზოგადოების გაუკეთესება“ (91, 404).

ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სახალხო სკოლების დაარსება-გაძლიერებას. მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ მასობრივი სახალხო სკოლის საშუალებით იყო შესაძლებელი საზოგადოებაში აუცილებელი და სასარგებლო ცოდნის შეტანა, მაგრამ ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა, რომ ხალხი გაუნათლებელი და უმეცარი ჰყოლოდა, რადგან გაუნათლებელი ხალხის მართვა ადვილია. მთავრობას, წერდა ნ. ნიკოლაძე, „სურდა ხალხი პირუტყვის მსგავს მდგომარეობაში დარჩენილიყო, რათა მას თავისი ინტერესები არ შეეგნო და არ მოეთხოვნა თავისი ბუნებრივი, უდავო უფლება ადამიანური და არა პირუტყვული ცხოვრებისა. რათა ამ მიზნისათვის მიეღწია, მთავრობამ... დაჰკეტა საკვირაო სკოლები, გაუძნელა ახალგაზრდებს სასწავლებლებში შესვლა, ხუცური, დამთრგუნველი ელემენტი შეიყვანა სახალხო სკოლებში, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ღონისძიება იხმარა ხალხის განვითარების შესაფერხებლად“ (90, 351-352).

ნ. ნიკოლაძის აზრით, ყოველმა ადამიანმა თავისი ცოდნა წარმატებით უნდა გამოიყენოს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „გონება-გახსნილი, დაწინაურებული კაცის უმთავრესი ვალია, – წერს იგი, – თავისი ხალხის და საზოგადოების დახმარება და ბედის გაუმჯობესება“ (92, 202). ამისათვის მან უნდა ისწავლოს ისეთი რამ, რაც ცხოვრება-

ში გამოადგება თავად მასაც და მის ახლობელსაც. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, „ჩვენ „მეცნიერების" კარებში შეველთვართ იმ აზრით, რომ მან შეგვძინოს ღონლათი, კომფორტი, სიმდიდრე და წონა" (63,105). ე. ი. უფრო მეტად საკუთარ თავზე ვსრუნავთ, ვიდრე ხალხზე, საზოგადოებასა და ქვეყანაზე. „ჯერ თავი და მერე სხვათ". – ასეთია ჩვენი პედაგოგიური კრედო.

ნ. ნიკოლაძის აზრით, სპეციალურ განათლებას წინ უნდა უძღოდეს ფართო ზოგადი განათლება. ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიდან იგი წინა პლანზე აყენებდა ბუნებისმეცნიერებასა და საზოგადოთმცოდნეობას. „არც ერთი ცოდნა არ აძლიერებს კაცის გონებას ისე, – წერდა იგი, – როგორც ბუნების ცოდნა" (91, 392). მაგრამ არანაკლებ საჭიროა ახალგაზრდობისათვის საზოგადოთმცოდნეობა. „ამ ორ მეცნიერებას (მეცნიერებას ბუნებისა და საზოგადოების შესახებ – ნ.ბ.), – წერს ნ. ნიკოლაძე, – უმთავრესი ადგილი უნდა ეკავოს და ყველაზე უფრო მეტი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული" სკოლებში (91, 406).

ამრიგად, ადამიანი ბუნების ნაწილია და მის კანონებს ემორჩილება, მისგან იღებს თავის ძალასა და ენერგიას. აქედან გამომდინარე, იგი თავისი იმედით, საკუთარი ძალითა და შრომით იარსებებს მხოლოდ მაშინ, თუ კარგად შეისწავლის ბუნების კანონებს და სრულყოფილად დაეუფლება ამ მეცნიერებას. ამისათვის საჭიროა ცოდნა, ამ ცოდნას კი ევროპული განათლება იძლევა. „...ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოთ უნდა მიგვაჩნდეს" (91, 394), – წერდა ნ. ნიკოლაძე ქართველი ხალხის საყურადღებოდ.

აღზრდისა და განათლების სემოაღნიშნულ ამოცანათა შუქზე განიხილავდა ნ. ნიკოლაძე რეალური და კლასიკური განათლების საკითხს. იგი რეალური განათლების მომხრე იყო, მაგრამ, ამასთან ერთად, არ უარყოფდა კლასიკური განათლების საჭიროებასაც და მოითხოვდა მათ სწორ შერწყმას. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „...ყოველ ცოდნას და სწავლას, ...საზოგადო თეორიულ მხარეს გარდა,

აქვს კოლეგ **პრაქტიკული** მხარე“ (ხაზი ნიკოლაძისაა – ნ.ბ.) (91, 405). კაპიკია ისეთი ცოდნის ფასი, რომელსაც კაცი ყოველდღიურ ცხოვრებაში, პრაქტიკაში ვერ იყენებს.

პიროვნების ფორმირებაში ნ. ნიკოლაძე დიდ როლს ანიჭებს ***ზნეობრივ აღზრდას***. დიდი მამული'შვილი და მოაზროვნე იმდროინდელ სკოლებზე წერს, რომ „...ყოველგვარ სასწავლო დაწესებულებაში შეიმჩნევა მხოლოდ ზნეობის დაბალი დონე. ცხადია, ჩვენ ბავშვების ცელქობაზე კი არ ვლაპარაკობთ, არამედ სერიოზულ ზნეობრივ აღვირახსნილობაზე“ (93, 471-472). ამ საქმეში იგი დიდ როლს ანიჭებს აღმზრდელის პირად მაგალითს, მის მოქალაქეობრივ სახეს. ნ. ნიკოლაძის აზრით, აღმზრდელი თვითონ უნდა იყოს მაღალზნეობრივი თვისებების მატარებელი პიროვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი რჩევა-დარიგებანი აღზრდელთათვის დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. „...კაცი, რომელიც სხვას უპატიოსნო მოქმედებაში ამტყუნებს, და პატიოსან, სინდისიან მოქმედებას ურჩევს, – წერს იგი, – ის კაცი... ვალდებული უნდა იყოს თავისი სინდისის წინ ნიადაგ იმ დარიგებას სდებდეს, რომელსაც თვითონ სხვას აძლევდა“ (91, 376).

აქვე ნ. ნიკოლაძე გვასწავლის, რომ ადამიანის ზნეობრივობაზე უნდა ვიმსჯელოთ არა მისი სიტყვების, არამედ საქმის მიხედვით, რადგან „ადამიანი ისე იქცევა, როგორც ეს მას სიამოვნებს“ (ნ. ჩერნიშევსკი).

ზნეობრივ აღზრდაში ნ. ნიკოლაძე არ იცავს ***პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას***. მისი აზრით, „ქვეყანაზე არ შეიძლება არსებობდეს ადამიანი, თუნდაც სრულიად უგვანო... და დაცემული ბუნებისა, რომლისთვისაც სამშობლოსადმი, მამულისადმი სიყვარულის გრძნობა უცხო იყოს“ (63, 136).

1876 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ერთერთ სტატიაში ნ. ნიკოლაძეს მშვენივრად აქვს გამოხატული თავისი მხურვალე სიყვარული სამშობლოსა და მშობელი ხალხისადმი. „მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, – მიმართავს იგი ქართველ საზოგადოებას, – მე ერთი წადი-

ლის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თავვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გე-მსახურებოდი, ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, რო-გორც ჭკუა მიჭრიდა... მე დამიცლია მთელი ევროპა, და ბევრ ნინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც სა'ზოგადოებაში გა-მიტარებია თვეები და წლები. მაგრამ... არც საფრანგეთის ამდელეებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურ-გის... მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერე-ბას, არც შვეიცარიის თავისუფლებას არასოდეს, არც ერთი წამის განმავლობაში, არ მოუხიბლავს ნემი გრძნობა და გული, არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ... მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ყოფი-ლიყო შენთვის ცოტა ოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა... ნიადაგ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავი" (4,111-112).

ჭეშმარიტი პატრიოტიზმი ადამიანის გამაკეთილშობი-ლებელი ძალაა, რადგან ის, ნ. ნიკოლაძის აზრით, თავისუ-ფალია როგორც შოვინი2სტური, ისე კოსმოპოლიტური ცალ-მხრივობისა და უკიდურესობისაგან. მისი დახასიათებით, „შოვინისტი ის მაგნებელი და საზიზღარი ტიპია, რომელ-საც მწერლობის უმჯობესი და უპატიოსნესი ნაწილი ყო-ველგან დევნის" (95, 57). ასეთი დევნისა და სიძულვილის ღირსია, გვასწავლის ნ. ნიკოლაძე, კოსმოპოლიტიც, რომ-ლისთვისაც, თუ კაცი „პატრიოტია, მაშ, რასაკვირველია, სულელი იქნებაო" (95, 58).

ნ. ნიკოლაძე დაუცხრომლად ებრძოდა ცარიზმის მოხე-ლეებს, რომლებიც აუქმებდნენ ეროვნულ სკოლებსა და მშობლიურ ენაზე სწავლებას. იგი წერდა: „ყოველი ერი ვალდებულია, სანამ კი შეუძლიან, იბრძოლოს თვისის მა-მულის, რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნობის დასაცველად, შესანახავად" (63, 137).

ნ. ნიკოლაძე, როგორც ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი, მომხრე იყო ცალკეულ ერებს შორის მჯიდრო მეგობრული კავშირ-ურთიერთობისა და ამ მიზნით მოითხოვდა ამიერ-კავკასიის ხალხთა ფედერაციის შექმნას. ერთ-ერთ წერილ-ში იგი გაბედულად ექომაგებოდა შეყის მთავრობის მიერ

ლექნილ ჯბრაელებს და აცხადებდა, რომ „ებრაელებიც ღვთისაგან განწირული კაცები არიან, რომ იმათაც უცემთ გული, აქვთ გრძნობა და გონება“ და ამიტომ იმათაც უნდა ჰქონდეთ ისეთივე უფლება როგორც ჩვენო (63, 143).

ამავე აზრის იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი და სხვა ქართველი სამოციანელები.

ნ. ნიკოლაძე მზად იყო დახმარების ხელი გაეწოდებინა ნებისმიერი ეროვნების ადამიანისათვის. მისი ინტერნაციონალური ბუნება კარგად გამოვლინდა *ლიუდმილა დრაკომა-ოკუასადში* (ლესია უკრაინკას ბიცოლა) დახმარებაში. როცა ამ უკანასკნელმა საცენზურო პირობების გამო რუსეთში ვერ შეძლო თავისი ბროშურის გამოცემა, რომელშიც ის მოითხოვდა უკრაინის სკოლებში სწავლების შემოღებას უკრაინულ ენაზე, ნ. ნიკოლაძემ ეს ბროშურა თავისი „ობზორის“ საგამომცემლო გრიფით დაბეჭდა და ტირაჟის დიდი ნაწილი საქართველოში გაასაღა.

ნ. ნიკოლაძის პედაგოგიკურ ნააზრევში გარკვეული ადგილი უჭირავს ასევე მოზარდი თაობის *შრომით აღზრდას*. მისი აზრით, შრომა ადამიანის ღირსების, მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა. არ დაღუპა და არც არასდროს ყოფილა ისეთი დრო, რომ „კაცს პირში თავისით უცვივნდებოდა ნახოხბილი წიწილები და მზა-მზარეული ქალები“ (91, 403). კაცის ცხოვრება შრომა და ბრძოლაა. „ყოველი გონიერი შრომა კაცს აპატიოსნებს და აუმჯობესებს“. ამიტომ ყველა ნორმალური ადამიანი უნდა შრომობდეს და ქმნიდეს მატერიალურ ღირებულებას და არ უნდა იყო მუქთახორა, პარაზიტი, სხვისი ხელის შემყურე. „ვინც მუშაობის ოფლს არ ღვრის, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — ის პურის ჭამის ღირსი არ არის“ (91, 27).

ნ. ნიკოლაძე, უან-ჟაკ რუსოს მსგავსად, ილაშქრებს ბავშვის განებივრების წინააღმდეგ და მოითხოვს პატარაობიდანვე მის შრომით საქმიანობაში ჩაბმას. სკოლამ და ოჯახმა ბავშვს უნდა ჩაუნერგონ „უანგარო შრომის სურვილი“ და სიყვარული. ამ მხრივ, მისი აზრით, დიდმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სწავლების პროცესი.

მოითხრობაში „პროვინციული სურათები“, რომელიც ჩერნიშევსკის რომანის „რა ეკეთოთ?“ მიხედვით არის დაწერილი, ნ. ნიკოლაძე ასაბუთებს შრომის დიდ მნიშვნელობას პიროვნების ფორმირებაში. იგი გაბედულად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ნიჭიერ კაცს „შრომა, სწავლა არ სჭირდება, რომ მისთვის საჭალდებულო არ არის ზრუნვა საკუთარი ნებისყოფისა და ხასიათის გამომუშავებაზე“ (63, 149). ეს მხოლოდ უნიჭოებისათვისაა საჭიროო. მისი აზრით, სისტემატური, შეუპოვარი შრომა აუცილებელია როგორც ჩვეულებრივი, ისე დიდი ნიჭის მქონე ადამიანისათვის. „შექსპირი, გოეთე, ბაირონი, სერვანტესი და სხვ. არა თუ ნიჭიერები, არამედ გენიოსები იყვნენ, მაგრამ ეს მდგომარეობა მათ ხელს არ უშლიდა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ემუშავათ და ეშრომათ თვითგანვითარებისათვის და ამის საშუალებით არა თუ გაეთანასწორებინენ თავისი ეპოქის განათლებულ ადამიანებს, არამედ მათზე მაღლაც დამდგარიყვნენ“ (63, 150-151).

ნიკოლაძის აზრით, რაც უფრო ნიჭიერია ადამიანი, მით უფრო მეტია მასში ცოდნისმოყვარეობის წყურვილი. ამ „წყურვილის“ მოკვლის ერთ-ერთი მთავარი საშუალება კი გონებრივი შრომაა. ამის გარეშე პიროვნების თანდაყოლილი ნიჭი თანდათან გაფერმკრთალდება და არარაობად იქცევა.

ნ. ნიკოლაძე და სხვა ქართველი განმანათლებლები შრომით აღზრდასთან მჭიდრო კავშირში განიხილავდნენ მოზარდი თაობის ***ფიზიკურ აღზრდასაც,*** რომელიც მათ პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ნაწილად მიაჩნდათ, რასაც იმდროინდელი ნაკლები ყურადღება ექცეოდა. „...კაი ხანია ამტკიცებენ, რომ ბავშვის გონების გახსნისთანავე, – წერდა ნ. ნიკოლაძე, – კაცმა მის სხეულსაც უნდა უგდოს ყურიო“ (91, 245). ამ მიზნით იგი მოითხოვს გონებრივი და ფიზიკური შრომის მონაცვლეობას.

მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხისადმია მიძღვნილი ნ. ნიკოლაძის წერილი „ბავშვების მოვლა მადა-

გასკარ'ს[ე]". მას'ში იგი, რუსოს მსგავსად, კატეგორიულად ილაშქრებს ქმაწ'ვილის „მოვლის" იმ წესების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვით „დაიბადება ბავ'შვი თუ არა, ბებიამ პირველათ თავ'ში ხელი უნდა წააცლოს და კარგა მაგრა მოუჭიროს. – ამას შემდეგ ბავ'შვს თავ'ს[ე] კვარახჩინი უნდა მოაჭიროს – რაც შეიძლება მაგრა – და თვითონ ბავ'შვი არტაშნებით აკვანში უნდა ჩაიკრას, ისე რომ არამც და არამც განძრევის ღონე და საღაჟათი არ ჰქონდეს. და ამ ნაირათ ხელ-ფეხშეკრული და თავ-შეხვეული ბავ'შვი დილიდან საღამომდი და საღამოდან დილამდი უნდა გაუსერებლად არწ'ითო" " (91, 244).

როგორც ჭეშმარიტი სამოციანელი, ნიკო ნიკოლაძე ***ქალთა განათლებისა*** და თანასწორუფლებიანობის დამცველი იყო.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ჯერ რუსეთში, შემდეგ კი ჩვენში დაწ'ებულა ქალთა საემანსიპაციო მოძრაობა, მაგრამ ბევრი მამაკაცი, მათ შორის საკმაოდ განათლებულნიც. ამის წინააღმდეგ წასულა. „დროა, დიდი ხანია დროა, – გაიძახოდნენ ისინი, – ლაგამი და აღვირი აედვას ამ ქალბატონებს. აუშვიათ ბატონო თავი და დაგლიჯ'ინობენ, სწ'ავლა-განათლება გვინდაო, საზოგადოებაში გამოსვლაო, ლაპარაკი, სჯ'აო, აქაოდა, ღვთის გაჩენილები ვართო, ჩვენც ადამიანები ვებრძანებითო. ვინ ქალი, შენი ჭირიმე, და_კინ განათლება, სა'ზოგადოება!.. ქალისათვის ღმერთს სამ'სარეულო გაუჩენია და იქ უნდა ეგდოს. ...ღმერთს ეგის გაჩენისთანავე ტაფა და შამფური დაუყოლებია და ხელ'ში მიუცია ქალისათვის. შენი საქმე აი ეს უნდა იყოსო" (92, 347).

მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძე ღრმად იყო დარწ'მუნებული, რომ „ქალის... განთავისუფლებას ვეღარაფერი ვერ შეაჩერებდა მსოფლიოში". ამიტომაც იყო, რომ მან ეს იდეა გაანავთარა ჯერ კიდევ თავის პუბლიცისტურ მოთხრობაში „პროვინციული სურათები".

ნ. ნიკოლაძის ზრუნვა ქალთა განათლებისათვის იქიდანაც ჩანს, რომ მისი ინიციატივითა და ხელშეწ'ყობით ქალაქ

ყოთ'ში, როცა იყო ამ ქალაქის მერი იყო. დაარსდა ქალთა პროფესიული სასწავლებელი და ქალთა გიმნაზია.

ნ. ნიკოლაძე კრიტიკის ქარცეცხლ'ში აღ'არებს იმდროინდელ ოჯახებსა და მის შექმნას. „საცოლო კაცი, ვფიქრობ, – წ'ერდა იგი, – როგორც სხვაგანაც – მდიდარ და შემძლე ქალს ეძებს. ქალის ამორჩევის დროს, ის იმას კი არ კითხულობს, თუ რანაირი ხასიათისაა ქალი, ან რა ცოდნები აქვს, ან რა და რა იცის, რისი მომხერხებელია, არა. ის კითხულობს – მ'ხითვათ რა მოსდევსო, მის დედმამას ვინა ყავს ნათესავი და მეგობრებიო, რა ნაირ შვილას და დახმარებას უნდა ველოდე მე ამ ნათესავებთაგანო. ქალის ხასიათი, შნო, სილამაზე, სწავლა, გონება – ეს საგნები ეის აგონდება. საქმე მ'ხითვეია, ნათესავობაა. სილა'ხათე, ხასიათი, სწავლა, – გინდ კარგი ჰქონდეს ქალს, გინდ ავი, სულ ერთია“ (91, 64).

ნ. ნიკოლაძის აზრით, ცოლის შერთვისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა მ'ხითვას, არამედ ქალის ხასიათსა და ზნე-ვ'ულებებს. აქედან გამომდინარე, მოთხრობაში „პროვინციული სურათები“, ნ. ნიკოლაძე ილაშქრებდა იმდროინდელი საოჯახო აღზრდისა და ქალთა „დახურული სასწავლებლების“ წინააღმდეგ, რომლის აღსაზრდელებს ზედამხედველები გარეთ გახედვის უფლებასაც არ აძლევდნენ და კარისაკენაც ზრდიდნენ. არდადეგებ'ზეც კი არ უშვებდნენ შინ.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ქალთა ემანსიპაცია ბევრადაა დამოკიდებული თვით ქალებზე. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მათი სრული განათლება. „არასოდეს, ნემი სიჭაბ'ეის წლებშიაც, მე არ მიფიქრია... ქალების გარდაქმნა მამაკაცებად... მაგრამ, სამაგიეროდ, მე არასოდეს არაფერი მესმოდა იმათი, ვინც იბრძოდა იმ მოთხოვნის წინააღმდეგ, რომ ქალებისათვისაც საჭიროა ის სრული „უმაღლესი განათლება“, რომელსაც მამაკაცები ღებ'ულობენ“ (63, 91).

1. *ნ. ნიკოლაძის დიდაქტიკური შეხედულებანი*

ნ. ნიკოლაძეს დიდაქტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია, მაგრამ იგი თავის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ და პედაგოგიკურ წერილებში არაერთხელ შეხებია წმინდა დიდაქტიკური ხასიათის საკითხებს. იგი მოითხოვდა სწავლების პროცესში *აღმზრდელობითი პრინციპის* დაცვას, მოზარდი თაობის გონებრივი აღზრდის ზნეობრივ აღზრდასთან დაკავშირებას. „როგორც ყოველი ადამიანისათვის, – წერდა ის, – ასევე მოსწავლეებისათვისაც საკმარისი არაა მხოლოდ ცოდნა, რა სწორადაც და მეთოდურადაც არ უნდა აწოდებდნენ მას. გარდა ამისა, ადამიანის ბუნება თხოულობს, აგრეთვე, ცხოვრებისადმი, მოღვაწეობისადმი ინტერესის გაღვივებას, ცხოვრების იდეალების გამომუშავებას, ერთი სიტყვით, ადამიანში ზნეობრივი პიროვნების ჩამოყალიბებას“ (93,473).

ძველი სკოლისა და სწავლების ერთ-ერთ ძირითად ნაკლად ნ. ნიკოლაძეს სწორედ ის მიაჩნდა, რომ მასწავლებლები „მოსწავლის მეხსიერებას ამით ათასი უმნიშვნელო ან წერილმანი ფაქტების დამახსოვრებით დალაქდნენ, მოაზრების ჩვეულებას კი მასში არავინ ხძვრიდა... ფაქტებით ტიკჭორასავით გაბერილ ახალგაზრდაში არავინ ზნეობით მხარეს არ ზრდიდა“ (90, 206). ნ. ნიკოლაძის სამართლიანი აზრით, „მარტო სწავლა, რაგინდ სრული და მტკიცე იყოს, კაცს კაცად ვერ გახდის, თუ იმას გრძნობა და ხასიათი არ მოსდევს, თუ მის მოქმედებას მტკიცე ბეჭედი არ ასვია“ (90, 206). ყოველივე ამას ივიწყებდა იმდროინდელი სკოლა და მასწავლებელი და არავითარი ყურადღება არ ექცეოდა „მოსწავლეებში ზნეობრივი მხარის გაკეთილშობილებას“. მათში ადამიანური თვისებების ჩანერგვას, მაშინ, როცა, ნ. ნიკოლაძის აზრით, „ზერელედ ნასწავლი კაცი, რომელსაც არ გააჩნია მტკიცე ზნეობრივი საყუძველი, უმეცარზე უარესია“ (94, 432).

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, სწავლება აღმზრდელობითი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოდნის

შესწავლის პროცესში დაეცავეთ *შეგნებულობის პრინციპის*, რაც გამორიცხავს მასალის გაუაზრებლად, მექანიკურად შეთვისებას. „მასწავლებლის დანიშნულება და ღირსება, – წერდა იგი, – იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს ან ჭაბუკს მიაწოდოს არა მზამზარეული და გადაღეჭილი ცოდნა, არამედ მასალა და საშუალებანი თვითგანვითარებისათვის“ (63, 177).

სწავლების პროცესმა, ნ. ნიკოლაძის აზრით, ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის არა მარტო გონებრივ განვითარებას, არამედ მასში ნებისყოფისა და ხასიათის განმტკიცებასაც. ამასთან, სწავლებამ უნდა ალუძრას მოსწავლეს შესასწავლი მასალისადმი ინტერესი, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდროინდელ სკოლებში სწავლების მთელი პროცესი მეხსიერების მუშაობასთან იყო დაკავშირებული, პიროვნების სხვა თვისებები (ცნობიერება, აზროვნება, ნებისყოფა და სხვ.) კი მივიწყებული იყო.

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონია ადგილი არა მარტო რეალურ სკოლებსა და სპეციალურ სასწავლებლებში, არამედ უმაღლეს სასწავლებლებშიც, რაზეც ნათლად მეტყველებენ ნ. ნიკოლაძის სიტყვები: „საკმედროთ, ბევრი ახალგაზრდა, და განსაკუთრებით ჩვენები, – წერს იგი, – ...იმოდენათ უგულებელ ჰყურს უნივერსიტეტის სწავლას, რამოდენადაც ეს... ეგზამენისთვის აუცილებლათ საჭიროა. – უნდა თუ არა ამ სწავლას სხვა გზით და სხვა მიზნისთვის შეცვლება, ამაზე ძლიერ ცოტა ფიქრობს... (91, 371).

ნ. ნიკოლაძეს ისეც, როგორც კ. დ. უშინსკის, მიაჩნდა, რომ სწავლება არის გონებრივი შრომა და იგი მოზარდისაგან გარკვეულ სიძნელეთა დაძლევას, დიდ ენერგიასა და ნებისყოფას მოითხოვს. ვინც განუწყვეტლივ არ შრომობს საკუთარი ცოდნის გასაღრმავებლად და მხოლოდ თავისი ნიჭის ამარა რჩება, მისი ნიჭი „ფატალურად დაჭკნება“.

2. ნ. ნიკოლაძე მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობის შესახებ

ნიკო ნიკოლაძე, სხვა ქართველ განმანათლებლებთან ერთად, მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა ქართულ

სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების დასაფუძნებლად და ქართველი ბავშვების მიერ სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე მიღებისათვის. იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ „უცნობ ენაზე რაიმეს სწავლება ფიზიკურად შეუძლებელია“ (94, 469).

ეროვნული ცნობიერების შერყევა და დედაენის შენელება, უწინარეს ყოვლისა, ხორციელდებოდა დაწყებით სკოლებში, რათა ერის მომავალს – ახალგაზრდობას სკოლაში შესვლისთანავე დაეკარგა თავისი ეროვნული მეობა და მშობლიური ენა – ჩვენი ეროვნულობის უმთავრესი ძარღვი. ამ მიზნით მეფის მოხელეებმა ქართულ სკოლებში თითქმის მთლიანად გააუქმეს მშობლიურ ენაზე სწავლება და მის ნაცვლად რუსული ენა გააბატონეს. „სკოლაში ყველაფერს რუსულად გვასწავლიდნენ, – წერს ნიკო ნიკოლაძე, – თუმცა ეს ენა მოსწავლეთ სრულიად არ ესმოდათ“, (96,18). ისე როგორც იმდროინდელ მასწავლებლებს არაფერი გაეგებოდათ მოსწავლეთა მშობლიური ენისა. ამიტომ მოსწავლეები იძულებული იყვნენ საგაკვეთილო მასალა სიტყვასიტყვით დაეზეპირებინათ. ყოველივე ეს საგრძნობლად აფერხებდა ქართველი მოსწავლეების წარმატებას სწავლაში. ზოგიერთი მათგანი კლასიდან კლასში გადასვლასაც კი ვერ ახერხებდა და რამდენიმე წელს ერთი და იმავე კლასში იჯდა. ამიტომაც იყო რომ „...ორას ემაუყოლიდან მარტო შვიდმა გაავთავეთ გიმნაზია ცხრა წლის შემდეგ“, – წერს ნ. ნიკოლაძე (96, 20).

ნ. ნიკოლაძის შეხედულება ერის ცხოვრებაში მშობლიური ენის როლსა და მნიშვნელობაზე კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ მის დიალოგში. ბათუმის ნაესადგურში იგი შეხვედრია აჭარელთა ერთ ჯგუფს, რომლებიც ორგვლივ მსხდარან და ერთი მათგანი მათ ხმამაღლა უკითხავდა გაზეთს. ნიკოლაძეს მათთვის უკითხავს:

„ – თათრულ გაზეთს რომ ჰკითხულობთ, ქართულს რატომ არ ჰკიდებთ ხელს?..

– ...ქართული კითხვა რომ კაკალმა კაცმა არ იცის აქაით?

– რატომ არ იცით, მერე? ლაპარაკი თუ ქართული იცით, წერა-კითხვა თათრული რათ ისწავლეთ? განა ქართული უფრო ძნელი სასწავლებელი იყო?

– იგი გვასწავლეს და იგი ვისწავლეთ. შე კაცო. აგი რა საკითხაია?

– ეხლა რომ წერა-კითხვა დაგიივიწყნიათ, ენაც და ლაპარაკიც რომ დაკარგოთ, როგორც რჯული დაგიკარგაგთ, მაშინ რა კაცები იქნებით?..

– ლაპარაკის დაკარგვა ჩემმა მტერმა თქვა. ლაპარაკს სწავლა რაი სჭირია.

– არ სჭირია სანამ ერთათ სახლობთ, სანამ მარტო თქვენ, აჭარლები, დასახლებული ხართ ერთ მახრაში. მაგრამ ეგ ნერქვები რომ ჩამოგისახლეს და დაგიყენეს აქა-იქ, სოფლებს და ცალკე სახლებს შუა? იმათთან ხომ ქართულს ვერ ილაპარაკებთ, და მაშინ ენაც დაგეკარგებათ.

– ...ი დედა-გაქუცულებს ჩემ ლაპარაკთან რა უნდა. მე ჩემთვის და იგი თავისთვის იყოს, თვარა მოკლულ ბატიკით დაგალებინებ პირს... აგი ჩემი მაჭახალა ფიშტო ტყეილათ კი არ მირქვია ბელყაისში...

– ვიცი რომ მარჯვე ბიჭი ხარ და მაჭახალა ფიშტოც ბელყაიშში გირჭვია, მარგამ ენას ასე ხელ-და-ხელ კი არა, კაცი მოგტაცებს ნელ-ნელა და თან და თან გამოგაპარებენ, და დარჩები შიშველათ გაცურებული...

– მეტი არაა ჩემი მტერი იგი მაგას... მოესწროს, აბდალაი ნუ კი გგონია შენ აჭარლები.

– მაგას კი არ გეუბნები, დავიწყე მე, იმას ვამბობ ენას გაუფრთხილდით მეთქი, ენა მაგ თქვენ მაჭახალა ფიშტოზე უფრო გამოსადეგია, რადგანც ის შეგაერთებს და ძალას მოგცემს იმ გაჭირვების თავიდამ ასაცილებლად, რომელიც თათრებიდგან გადგიათ...“ (92, 82-83).

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძე ძირითადად რუსულ ენაზე წერდა თავის ნაწარმოებებს, მან ძალზე კარგად იცოდა მშობლიური ენის ფასი, რომ „ქართული ენა, ისევე როგორც ყველა მშობლიური ენა, სახალხო განათლების ძირითადი საფუძველია“ (94, 173). ხალხის განათა-

რება. მეცნიერების მიღწევების გაცნობა-შესწავლა და „მეცნიერებაში საჭირო წარმატებების" მოპოვება ძალუმს მხოლოდ მშობლიურ ენაზე აღსრდილ და განათლებულ ადამიანს. ნ. ნიკოლაძის აზრით, „ჯობს არაფერი არ ისწავლო, ვიდრე ისწავლო რამე უცხო ენაზე, რადგან ასეთი სწავლა... მოსწავლეს ბილწავებს". ამიტომ „პედაგოგიური მეცნიერება მოითხოვს სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე მიღებას" (94, 467). აქედან გამომდინარე, ბავშვმა, სანამ უცხო ენის შესწავლას შეუდგებოდეს, საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს მშობლიური ენა და მხოლოდ ამის შემდეგ ხელი მიჰყოს იმ უცხო ენის შესწავლას, რომელიც მას სურს.

ნ. ნიკოლაძე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მშობლიური ენის ცოდნა ხელს შეუწყობდა ქართველთა ეროვნული შეგნების ამაღლებას. ამიტომ იგი მკაცრად ილაშქრებდა ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ქართული ენის სკოლებიდან განდევნისა და დავიწყებისაკენ იყო მიმართული. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა გაზეთ „მოსკოვსკი ვედომოსტის" რედაქტორს, შოვინისტ კატკოვს, რომელიც ილაშქრებდა ნ. ნიკოლაძის „კოლოკოლში" გამოქვეყნებული სტატიის წინააღმდეგ და მას პროვოკაციულად სეპარატისტულს უწოდებდა. თავის წერილში კატკოვი წერდა: „...ქუთაისელ გიმნაზიელებს სურვილი გამოუთქვამთ მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ", ხოლო სამურზაყანოში „ქრისტიანობის გამაერცელებელი საზოგადოების სკოლების" ხელმძღვანელები ისე „გაკადნიერებულან", რომ ბავშვებს, თურმე „ქართულ ენაზე ასწავლიანო" (63, 141).

ნ. ნიკოლაძის აზრით, „სურვილი იმისა, რომ რომელიმე ენა ხელოვნურად გაავრცელო, იძულებითი გზით, მმართველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში, სხვა არაფერია, თუ არა შეცდომა, რაც ცხადად დაამტკიცა მთელმა რიგმა ისტორიულმა ფაქტებმა... მეორე შეცდომა ისაა, რომ ენა ადიარო სახელმწიფო კანცელარიის იარაღად, რაც აგრეთვე დაამტკიცა გამოცდილებამ. ელზასელები გერმანულად ლაპარაკობენ, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის უყვარდეთ საფრან-

გეთი და სძულდეთ გერმანია. შვეიცარიელები სამ ენაზე ლაპარაკობენ და სამივე ენაზე მართავენ სახელმწიფოს, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის მტკიცედ დაიცვან სახელმწიფოს მთლიანობა... და, ბოლოს, ჩვენმა წინაპრებმა, ქართველებმა, ერთი რუსული სიტყვა არ იცოდნენ, როცა რუსეთისაკენ სწრაფვა დაიწყეს; სუსტად ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ახლაც არ იცის რუსული ენა, რაც სრულიად არ უშლის მას ხელს – ერთგულად დაიცვას რუსეთი ყოველთვის, როცა ამას უმალლესი ხელისუფლება მოითხოვს..." (94, 174).

ნ. ნიკოლაძის სამართლიანი მოსაზრებით, მომავალმა ეკლესიის მსახურმა, რომელსაც სურს ქრისტეს მოძღვრებით ქართველების განათლება, საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ის ენა, რომელსაც მისი მრევლი ლაპარაკობს. დიდ მოაზროვნეს გული შესტკიოდა იმის გამო, რომ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ქართული ენის შესწავლას. ამ ენას პირველ და მეორე კლასებში ეთმობოდა თითო გაკვეთილი, მესამე და მეოთხეში კი – ორ-ორი.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო სასულიერო სემინარიებში. აქ პირველ და მეორე კლასებში ქართული ენა საერთოდ არ ისწავლებოდა, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასებში ეთმობოდა კვირაში თითო გაკვეთილი. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ამავე სასწავლებლებში ბერძნულ და ლათინურ ენებს სამჯერ და ოთხჯერ მეტი საათი ეთმობოდა (93, 453-454).

ნ. ნიკოლაძე გაბედულად ილაშქრებდა არა მარტო ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, არამედ იგი ასევე დაუნდობლად ებრძოდა იმ ვაი-ქართველებს, რომლებიც პრაგმატული თვალსაზრისით ულგებოდნენ მშობლიურ ენას და გაიძახოდნენ: „ქართულმა ენამ რა უნდა მარგოსო... ჩინს მოგცემენ ან ჯამაგირს მოგმატებენ ქართული ენის ცოდნისათვის" (95, 5). ასეთი გადაგვარებული ქართველები, ნიკოლაძის თქმით, არა მარტო ალმაცერად უყურებდნენ ქართულ ენას, არამედ მზად იყვნენ მისი დევნაც

კი დაეწყოთ, რათა ამით დაემტკიცებინათ თავიანთი ერთგულება ცარიზმის აგენტებისათვის.

დედაენის შეყვარება საქართველოში დღითი დღე უფრო იზრდებოდა. ცარიზმის „განმანათლებელი“ მოხელეები ცდილობდნენ, რომ კიდევ უფრო შეეზღუდათ დედაენა სკოლებში. ამ ამოცანას ემსახურებოდა ქართულ სკოლებში „პირდაპირი მეთოდის“ დანერგვა, რომელიც უცხო ენის შესწავლისას მთლიანად უარყოფდა მშობლიური ენის გამოყენებას. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის, შაერაზმელ *ლეონიკის* აზრით, მშობლიური ენა თითქოს ხელს უშლის სხვა ენების შესწავლას. ამიტომ სახალხო სკოლების რუსული ენის მასწავლებლებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ ამ საგნის სწავლება მშობლიური ენის მომარჯვებით, რაც დედაენის შეიწროებისათვის იყო მოგონილი და არა რუსული ენის საფუძვლიანად დაუფლებისთვის. ამ მეთოდის მანკიერი მხარეების წინააღმდეგ მკაცრად ილაშქრებდნენ ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, აკ. წერეთელი, ლუარსაბ ბოცვაძე და სხვა ქართველი განმანათლებლები. ნ. ნიკოლაძეც მათი მიმდევარი იყო. იგი თავდაუზოგავად იბრძოდა ქართული ენის დაცვისა და შეიწროების წინააღმდეგ. მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნ. ნიკოლაძე რუსული ენის შესწავლის წინააღმდეგი იყო, რომელსაც თავად ბრწყინვალედ ფლობდა. პირიქით, იგი ილაშქრებდა 1871 წლის რეაქციული სასკოლო დებულების წინააღმდეგ, რომლის თანახმად სასწავლებლებში, მშობლიურ ენასთან შედარებით, უპირატესობით ლათინური და ძველი ბერძნული ენები სარგებლობდნენ და მოითხოვდა აღნიშნული საგნების შესწავლისათვის გათვალისწინებული საათების დიდი რაოდენობიდან ნაწილი ქართული და რუსული ენებისათვის ყოფილიყო გამოყენებული.

ნ. ნიკოლაძე, მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნასთან ერთად, იბრძოდა ეროვნული კარჩაკეტილობის წინააღმდეგ და მოითხოვდა, რომ ქართველებს თა ხთი ენის გარდა ეწერათ უცხოურ ენაზეც, როგორც თავად იქცეოდა,

მაგრამ ხოგიერთები ამის წინააღმდეგ იყვნენ. „ჩვენი ქვეყნის ბედი რუსეთთან არის შეერთებული, – წერდა ნ. ნიკოლაძე მათ საყურადღებოდ... – ნუ თუ სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ რუსეთმა არ იცოდეს ჩვენი მდგომარეობა? ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ღირსეული აზრი ჩვენზე შეადგინოს არა თუ მარტო რუსეთმა, არამედ მთელმა ევროპამაც? მაშასადამე, ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ქართველები სწერდნენ რუსულ და ევროპულ ენებზე, აგებინებდნენ რუსეთს და ევროპას ჩვენს ხასიათს, ჩვენს მდგომარეობას, მიმართულებას, სურვილს, ლხინსა და დარდს?“ (93, 553).

ამით ნ. ნიკოლაძე მშობლიურ ენას როლი უგულებელყოფდა. მისი აზრით, „ჩვენი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთაგან ორ გვარ შრომას მოითხოვს. ერთის მხრით ჩვენ უნდა ვშრომობდეთ თვითონ ჩვენი ხალხის გასანათლებლად, მისი გონების გასახსნელად, მისი ხასიათის გასამაგრებლად. უეჭველია, რომ ამგვარი შრომა მარტო ქართულს ენაზე შეიძლება. მაგრამ ამასთანავე ჩვენც უნდა ვშრომობდეთ რუსულს და სხვა ენებზედაც, იმ აზრით, რომ სხვებს ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი საჭიროება და სურვილი გაეაცნოთ. ეს უკანასკნელი შრომა ყველასათვის, ვისაც კი ცოტაოდნად ესმის პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილებები, თითქმის იმოდენათვე აუცილებელი და საჭიროა, როგორც პირველი“ (93, 553).

3. ნ. ნიკოლაძე სკოლისა და მასწავლებლის შესახებ

ნ. ნიკოლაძის პედაგოგიკურ ნააზრევში ყურადღებაა გამახვილებული ასევე იმდროინდელ სკოლასა და მასწავლებელზე. იგი იძლევა ზოგად მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი სკოლა და მასწავლებელი. არსებული მდგომარეობის საილუსტრაციოდ ნ. ნიკოლაძე აანალიზებს სამეგრელოს სოფელ მარტვილის სასულიერო სასწავლებელში შექმნილ ვითარებას, სადაც თავმოყრილი ყოფილა სამასამდე ბავშვი. სასკოლო შენობის (ფარდულის)

კედლები ისე ფარდალალა ყოფილა, რომ ოთახებში ცივი ქარი დანაპარდობდა, ღუმელები შენობას კი გარედან ჰქონია მიშენებული და „ქუსას უფრო ათბობდა, ვიდრე შენობას“. ამასთან, თხელი კედლების გამო, ყველაფერი, რაც ხდებოდა მეორე ოთახში, ისმოდა: მასწავლებლის შეკითხვები, მოსწავლეთა პასუხები, დაფაზე ცარცის კაკუნი და სხვ. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო მაშინ, დასძენს ნ. ნიკოლაძე, „როცა რომელიმე კლასში საეკლესიო სიმღერის გაკეთილი“ ტარდებოდა. აუტანელი ყოფილა ასევე მოსწავლეთა და მასწავლებელთა საცხოვრებელი პირობები. ასეთ ვითარებაში მასწავლებლები, უბრალოდ, წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლებასაც კი ვერ ახერხებდნენ (94, 427-433).

აღსრდის ხალხურობის პრინციპიდან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა სახალხო სკოლების დაარსება-გაძლიერებას, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლიდნენ არა მარტო „წერა-კითხვასა და ანგარიშს“, არამედ ხელს შეუწყობდნენ მათ ყოველმხრივ განვითარებას და, რაც მთავარია, ასწავლიდნენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. „ჩვენ მუდამ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, – წერდა იგი, – რომ სახალხო სკოლები წარმოადგენდნენ არა მარტო წერა-კითხვის უბრალო ფაბრიკებს, არამედ ნამდვილ განმანათლებელ ისეთ სკოლებს, რომლებიც გაელვნას მოახდენენ ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე“ (63, 203). ამასთან, ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა უფასო სწავლებას, რათა სკოლა მისაწვდომი ყოფილიყო მშრომელთა შვილებისათვის. მისი აზრით, „...რაგინდ მდიდარი იყოს ქმაწვილის დედ-მამა, სასწავლებელი მას შვილის აღსრდაში არაფერს არ უნდა ახლვინებდეს“ (91, 39).

სახელმწიფო სახალხო სკოლების გარდა, ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა სპეციალური სასწავლებლების დაარსებას საქართველოში. „...სპეციალური სასწავლებელი იმდენი უნდა იყოს სახელმწიფოში, – წერდა იგი, – რამდენიც სხვა და სხვა ნაწილი აქვს ხალხის მოქმედებას და მეცნიერებას. მეურნეობა, ექიმობა, ენების მეცნიერება, მექარხნეობა, ვაჭრო-

ბა, გზის საქმე, შენობების კეთება, ხატვა და სხვ." (91, 405-406).

ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებდა იმდროინდელ „კერძო სკოლებს", რომლებიც სწავლის ქირის სიძვირისა და მრავალი სხვა მიზეზის გამო მხოლოდ მდიდართა შვილებისათვის იყო მისაწვდომი. ამასთან ერთად, იგი ილაშქრებდა „შინაური აღზრდის დამაბრმავებელი სისტემის" წინააღმდეგ; ამტკიცებდა, რომ ყინაიდან ადამიანი სოციალური არსებაა, ამიტომ ცხოვრებისათვის მისი მომზადება ყველაზე უკეთ საზოგადოებრივი აღზრდის შედეგად შეიძლებაო. ასეთი აღზრდის ერთ-ერთ მთავარ ორგანოს, მისი აზრით, საერთოდ, სკოლა და კერძოდ, სახალხო სკოლა წარმოადგენს.

ნ. ნიკოლაძე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ასევე ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას საქართველოში, სადაც სახალხო განათლებისათვის სახსრები არ ემეტებოდათ და პირადი გართობისათვის ჩინოვნიკები ათასებს ხარჯავდნენ; მაშინ როდესაც ქალაქი თბილისი (1875 წელს) „უპრავისათვის" წლიურად ხარჯავდა 80 000 მანეთს, სახალხო განათლებისთვის კი ძლივს იმეტებდა 6 000 მანეთს (63, 207).

ცარიზმის მოხელეები აერცელებდნენ მცდარ მოსაზრებებს, თითქოს ქართველი გლეხები სწავლას გულგრილად ეკიდებოდნენ. ვისაც სურს სიმართლეში დარწმუნდეს, დასძენს ნ. ნიკოლაძე, ეურჩევთ: „გაირდნენ 25 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ქუთაისის სასწავლებლების კარებთან", სადაც ისინი ნახავენ მრავალ ცრემლმორეულ გლეხს, რომლებიც ევედრებიან უფროსებს მათი შვილების სასწავლებელში მიღებას, მაგრამ ამ თხოვნაზე ყველანი პასუხად ერთსა და იმავე საბედისწერო სიტყვებს ისმენენ: „თავისუფალი ადგილი არააო" (94, 269).

გაზეთ „ობზორის" ცნობით, ასევე ბევრს „უადგილობის გამო" უარი ეთქვა შორაპნის მაზრის ორკლასიან სასწავლებელში, მაგრამ სამი წლის შემდეგ მდგომარეობა დიამეტრალურად შეცვლილა. მალე გლეხობას სკოლებზე გული აუცრუებია და თუ ადრე 60 მოსწავლე ირიცხებოდა, მოგვიანებით 5-6 ბავშვი ძლივსღა მოიძებნებოდაო.

ამის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად, სხვა მიზეზთა შორის, გაზეთი „ობსორი“ ასახელებს: მასწავლებლებისა და სასკოლო პროგრამების უვარგისობას, ამ უკანასკნელთა გადატვირთულობას და მოსწავლეთა გონებრივ ძალებთან შეუფარდებლობას, ბავშვებისათვის გაუგებარ არამშობლიურ ენაზე სწავლებასა და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებიდან სკოლების სიშორეს (94, 270). ნიკოლაძის გადმოცემით, რაჭის სოფლებში საშუალოდ ათი მოსწავლიდან ერთი თუ დადიოდა სკოლაში. „მე მინდოდა ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი შემეტყო, და ვისაც კი ვკითხე მისი ახსნა, – წერს იგი, – ყველამ ერთიანათ მიპასუხა: „ბოეშის საშკოლოთ გამოწყობის, წიგნების ყიდვის, ჩაცმადახურვის შეძლება არა გვაქვსო, ბოეში ჩვენ შინ გვჭირია, მწყემსათ თუ სამუშაოთო“... ჩაცმა-დახურვის დაბრკოლება დიდი არაფერია, – დასძენს ნ. ნიკოლაძე. – უფრო შესანიშნავია ის გარემოება, რომ „ბოეში ჩვენ შინ გვჭირია, მწყემსათ და სამუშაოთო“ (92, 301-302).

ნ. ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებს ასევე სახელმძღვანელოების უვარგისობაზე, რომლებიც უცხოური (რუსული) ენიდან სიტყვასიტყვით იყო თარგმნილი. ამიტომ იგი დასძენს: „...ჩვენი სკოლებისათვის საჭიროა არა თარგმნილი, არამედ ისეთი ორიგინალური (ე.ი. მშობლიურ ენაზე შედგენილი – ნ. ბ.) სახელმძღვანელოები, რომლებშიაც მაგალითები... აღგილობრივი პირობებიდან იქნება აღებული, ხოლო ანდაზები და სიმღერები ხალხური იქნება“ (63, 215).

ნ. ნიკოლაძის აზრით, ასეთივე წესით უნდა ყოფილიყო შედგენილი ქართველებისათვის და სხვა ეროვნების ბავშვებისათვისაც რუსული ენის სახელმძღვანელოც. კ. უშინსკის „როდნოე სლოვო“, ამბობდა იგი, თავისთავად შესანიშნავია, მაგრამ, მასალის სპეციფიკურობის გამო, არარუსი ბავშვებისათვის ნაკლებ გამოსადეგიაო.

ნ. ნიკოლაძეს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ***სახალხო მასწავლებლის შესახებაც***. იგი მასწავლებელს „აღზრდისა და განათლების მთავარ აგენტს“ უწოდებს. მის აუცილებელ თვისებად კი მიაჩნია განსწავლულობა, მაღა-

ლი ზნეობრივი თვისებები, შრომისმოყვარეობა, ბავშვისა და თავისი პროფესიის უსაზღვრო სიყვარული და რაც მთავარია, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. იგი, კ. უშინსკის მსგავსად, წერდა, რომ რარიგ კარგადაც იყოს შეღგენილი პროგრამები და სახელმძღვანელოები, სუსტი მასწავლებლის ხელში ეს დოკუმენტები არარაობად იქცევაო.

ნიკოლაძე მოითხოვს მასწავლებლისგან თავის თავზე გამუდმებით მუშაობას, აკრიტიკებს ისეთ მასწავლებელს, რომელიც „თვალს არ ადევნებს თანამედროვე პოლიტიკას“ და მარტო გაკვეთილების გადაცემით კმაყოფილდება.

მასწავლებელი უნდა იყოს ღრმად პატრიოტი, განათლებული და ჰუმანური პიროვნება. სამაგალითო და მისაბაძი არა მარტო თავისი მოსწავლეებისათვის, არამედ მათი მშობლებისათვისაც.

ნ. ნიკოლაძე ხაზს უსვამს აგრეთვე მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის მჭიდრო კავშირსა და მეგობრულ ურთიერთობას. თავისი დროის სკოლის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად მას სწორედ მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის ურთიერთდაშორება მიაჩნდა. ქუთაისის გიმნაზიაზე, რომელშიც იგი სწავლობდა, წერს: „...მგონია არც ერთ სასწავლებელში დედა-მიწაზე არ უნახავს კაცს ისეთი დაშორება და გულგრილობა მასწავლებლებს და მოსწავლეთა შუა, როგორც ქუთაისის გიმნაზიაში... უფროსებიდან არც ერთი ტკბილი სიტყვა, არც ერთი მამობრივი დარიგება არ გაგვიგონია. ისინი ჩვენზე მარტო შიშით, ტუქსვით, დასჯით მოქმედებდნენ... ნიადაგ გვიღრენდნენ, ჩვენ კი მათ ეერიდებოდით და ეშვლაფერს ვუმალავდით“ (96, 42).

უფრო მეტი, ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეებს კითხვის დასმასაც კი უკრძალავდა. „ყველაზე უფრო გულპილწი მასწავლებელი მთელ გიმნაზიაში (საუბარია ქუთაისის გიმნაზიაზე – ნ. ბ.) ჩემ დროს იყო გარუსებული ბერძენი ტაგანროგიდან *სერებრიაკოვი*, რომელიც არითმეტიკას გვასწავლიდა, – წერს ნ. ნიკოლაძე. – სულ უმიზეზოთაც მოსწავლის მწარეთ გალახვა შეეძლო... როცა ალგებრის სწავლა დაგვაწყებინეს, ეკითხე: ეს ხომ ისევ ის არითმეტი-

კა ქოფილა, რომელიც უკვე ვიცით, რაღა საჭიროა ახალი საგნის შესწავლა მეთქი. სერებრიაკოვი იმ დროს დაფასთან იდგა და... წერდა. პასუხის მაგიერ მან ხელში რომ უშველებელი ცარცი ეჭირა, საშინელი რისხვით მესროლა, თავი დროზედ რომ არ დამეხუნა, ცარცი შუბლში მომხვდებოდა და მომკლავდა. მე ამცილდა და ქვითკირის კედელში ორი თითის დადებაზე ჩაერჭო, ისეთი დაუზოგველი ძალით იყო ნასროლი... იმ დღის აქეთ მე მისი გაკვეთილი აღარ დამიმზადებია, არც მას ჩემთვის რამე უკითხავს" (96, 41). ამის გამო, განაგრძობს იგი, „არითმეტიკის თავიდანვე გამეორება და ალგებრის შესწავლა ხელმეორეთ დამჭირდა საშღვარგარეთ, როცა ოცდახუთი წლის კაცი ვიყავი" (96, 42).

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა პედაგოგიური გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ამ მიზნით მას მიზანშეწონილად მიაჩნდა მასწავლებელთა კონფერენციებისა და ყრილობების გამართვა, ასევე პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთების გამოცემა.

ამრიგად, ნ. ნიკოლაძემ სწორად გაარკვია და შეაფასა სწავლა-აღზრდის დიდი მნიშვნელობა ახალი საქართველოსათვის ბრძოლის უაღრესად რთულ ვითარებაში. იგი აქტიურად ებრძოდა ცარიზმის გამარუსებელ პოლიტიკას, მოითხოვდა ახალგაზრდობის სწავლა-განათლების წარმართვას მშობლიურ ენაზე და მომაკვალი თაობის ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას.

თ ა ვ ი XV

ნიკო ცხვედაძის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა

1. ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა *ნიკო ცხვედაძეს* (1845–1911). იგი იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვა ქართველ განმანათლებელთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი; 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უანგაროდ და თავდაუზოგავად ემსახურებოდა მშობელ ხალხს, სწრაფავდა მათში განათლებისა და კულტურის გავრცელებისათვის.

ნიკოლოზ (ნიკო) ზებედეს ძე ცხვედაძე დაიბადა 1845 წლის 27 იანვარს, სოფელ სოჭინში (ცხინვალის ხეობაში), მღვდლის ოჯახში. წარმოშობით ცხვედაძეები სოფელ თაგვიეთიდან (გორის მაზრა) ყოფილან, საიდანაც მებატონეებისაგან შევიწროების გამო აერიალან და სოფელ ღილოვანს (თბილისის მაზრა) გადასახლებულან. ნიკოს მამას – *ზებედეს* სწავლია თბილისის სასულიერო სემინარიაში მიუღია და ღვთის მსახური გამხდარა. იგი იმდროისათვის განათლებული კაცი ყოფილა.

ნიკოს დედა, *მარიამ კაკაძე* სათნო ბუნების ადამიანი ყოფილა, „მწიგნობარი, ამასთან დიდად მოყვარული წერა-კითხვისა“ (ს. ჭიჭინაძე).

თავისი უდარდელი ბავშვობა ნიკოს სოფელ სოჭინსა და შემდეგ კაკითისხევში გაუტარებია, სადაც მამამისი მუშაობდა. წერა-კითხვა პატარა ნიკოს ოჯახში შეუსწავლია. დაწყებითი განათლების მისაღებად იგი მშობლებს თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ. აქ პატარა ნიკო ხარფუხში ცხოვრობდა ერთი სომხის ქალის

სახლში და იქიდან დადიოდა სასწავლებელში. როგორც სოფლის ღარიბ მლეველს, ნიკოს მამას ძლიერ უჭირდა შვილის რსენა თბილისში, მაგრამ მისთვის განათლების მიცემის დიდი სურვილის გამო, ყველაფერს უძლებდა.

ნ. ცხვედაძემ წარმატებით დაასრულა სასულიერო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ იგი დაუწყო მოწინავე მეცნიერთა და მწერალთა თხზულებებს, რაშიც მას დიდ დახმარებას უწევდა იაკობ გოგებაშვილი. მე და ნ. ცხვედაძე, წერს ნიკოს განუყრელი მეგობარი გიორგი ოსელიანი, მალე დაუკავშირდით იაკობს, ხშირად დავდიოდით მასთან, გვარიგებდა და სხვადასხვა წიგნებს გვაძლევდა საკითხავად.

ნ. ცხვედაძემ 1865 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და გ. ოსელიანთან ერთად, უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაიგზავნა სახელმწიფო ხარჯით, როგორც საუკეთესო კურსდამთავრებული.

მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში (1865-1869 წწ.) ნ. ცხვედაძე კიდევ უფრო საყურადღებოდ შეუდგა მეცნიერებათა შესწავლას. იგი არ კმაყოფილდებოდა სასულიერო აკადემიაში მოსმენილი ლექციებით და მოსკოვის უნივერსიტეტის ლექტორთა ლექციებსაც ესწრებოდა თავისუფალ მსმენელად. ასე ჩამოყალიბდა იგი ცნობილ საზოგადო მოღვაწედ და პედაგოგად.

2. პედაგოგიური მოღვაწეობა

1870 წელს ნ. ცხვედაძემ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში წარმატებით დაიცვა დისერტაცია, მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი და იმავე წელს, გ. ოსელიანთან ერთად, დაინიშნა მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იმ დროს მოღვაწეობდნენ ი. გოგებაშვილი და სხვა ქართველი სამოციანელები. მათ შესახებ *ნიკო ლომოური* წერს: „ეს პატივცემულნი პირნი თავიანთის ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნებით, მიმართუ-

ლებით ძლიერ გაჭლესას ახდენდნენ მაშინდელ სემინარიელებზე, ულვიძებდნენ მეცნიერებათა შესწავლას, სხვადასხვა წიგნების კითხვას“ (119,11) მწერალი *სოფრომ მგალობლიშვილი* ნ. ცხვედაძესა და გ. იოსელიანს „მადლიან ქართველებს“ უწოდებს და აღნიშნავს: „ამათი მოსვლიდან სრულიად ახალი ხანა დაიწყო სემინარიაში. საგნებს ასწავლიდნენ კარგად, შეგირდებს ადამიანურად ეპყრობოდნენ, გვაძლევდნენ საკითხავ წიგნებსა, გვაყვარებდნენ სამშობლო ენას და ლიტერატურას, მით უმეტეს, რომ ლიტერატურაში ცველა ისინი მხურვალე მოწაფილეობას იღებდნენ“ (86, 47).

ნ. ცხვედაძე თავისი ახალგაზრდული ენერგიითა და დიდი გულმოდგინებით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. *ალ. მიქაბერიძის* გადმოცემით, „ახალგაზრდა მასწავლებელმა... სასწავლებელში ფეხის შედგმისთანავე დაიმსახურა ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემა მოსწავლე ახალგაზრდობისა“ (119, 11). იგი სემინარიის მოსწავლეთა შორის ავრცელებდა 60-იანი წლების მოწინავე იდეებს. ი. გოგებაშვილმა და მან სემინარიის ბიბლიოთეკა გაამდიდრეს მოწინავე იდეების მატარებელი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით, რომლებსაც ამლევდნენ თვითგანათლებისათვის მადაგახსნილ სემინარიელებს და უნერგავდნენ მათ პროგრესულ იდეებს.

ი. გოგებაშვილისა და ნ. ცხვედაძის ასეთი საქმიანობის შესახებ ამბავმა მალე სინოდის ყურამდეც მიაღწია. 1872 წელს სინოდმა თბილისის სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის მეუშაობის შესამოწმებლად გამოგზავნა რევიზორი *სინჩენკო*. მაგრამ ამ უკანასკნელმა სემინარიაში ბოროტმოქმედების ვერაფითარი კვალი ვერ აღმოაჩინა და ზოგიერთი შენიშვნით დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და ენერგიით შეუდგნენ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ჯაშუშები მაინც არ ცხრებოდნენ. სინოდს მისდიოდა დაბეზღებების ახალ-ახალი მასალები. ამის შედეგად 1874

წელს სიონდში ამავე სასწავლებლების მუშაობის შესასწავლად გამოგზავნა რეციხორი *კერსკი*, რომელსაც დავალებული ჰქონდა სემინარიიდან ი. გოგებაშვილის, ნ. ცხვედაძის და სხვა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგების დათხოვნა. კერსკის რეციხიას ი. გოგებაშვილი არ ესწრებოდა. იგი ამ დროს საავადმყოფოში იწვა. თავის მოხსენებით ბარათში კერსკი აღნიშნავდა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებობს „ქართული პარტია", რომელიც სეპარატისტულ მუშაობას ეწეოდა. ამ „პარტიის" მეთაურებად იგი, ი. გოგებაშვილთან ერთად, ნ. ცხვედაძეს, გ. იოსელიანსა და თ. ტურიაშვილს მიიჩნევდა, ხოლო ამის საბუთად იმას ასახელებდა, რომ „ყველა ხსენებული პირი თავისი წარმოშობით, ენით, ზნე-ჩვეულებითა და ეროვნული თვისებებით ქართველია" (119, 14).

რეციხორის აზრით, „ქართული პარტიის" მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა სემინარიაში ნ. ცხვედაძისა და გ. იოსელიანის მასწავლებლებად მოსვლის შემდეგ.

კერსკის არც ის დაუტოვებია უყურადღებოდ, რომ ქართველ პედაგოგთა ჯგუფმა (ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი), სემინარიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, შეადგინა სემინარიის რეფორმის ორი პროექტი, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ქართული ენის დამოუკიდებელი კათედრის დაარსება, რომელიც გააერთიანებდა ქართული ენის გრამატიკას, ქართული ლიტერატურის ისტორიას (სასულიერო ლიტერატურით) და საქართველოს ისტორიას (საეკლესიო ისტორიით). რეციხორმა კერსკიმ ქართველ პედაგოგთა ეს სამართლიანი მოთხოვნა „ქართული პარტიის" სეპარატიზმად მიიჩნია.

კერსკის ასეთმა რეციხიამ მთაწმიდის სასურველი შედეგი გამოიღო: 1874 წელს იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე, ეს ორი დიდი ქართველი პედაგოგი, სამსახურიდან დაითხოვეს, პირველი სამუდამოდ, მეორე კი — დროებით.

3. მასწავლებლობა თბილისის ქალთა ინსტიტუტში

თბილისის სასულიერო სემინარიიდან კურსკის რეჟიზიის შედეგად გაძევებული ნ. ცხვედაძე ერთხანს კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს და დროებით მასწავლებლადაც მუშაობდა თბილისის სამოქნო (სამოსამოქმედო) სკოლის უფროს კლასებში. 1874 წელს იგი დაინიშნა ისტორიის, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად თბილისში არსებულ ამიერკავკასიის ქალთა (საქალებო) ინსტიტუტში, რომელიც 1840 წელს დაარსდა. ამ დროს აქ ინსპექტორად მუშაობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი *ბესარიონ დოლიძერისა* (1832-1879), რომელმაც დიდი როლი ითამაშა განათლების ხელმძღვანელ წრეებში საკმაოდ სახელგატეხილი ნ. ცხვედაძის ინსტიტუტში მასწავლებლად მოწვევაში. აქ მუშაობის პერიოდში ნ. ცხვედაძე ამავე საგნებს ასწავლიდა შეთავსებით თბილისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში.

თბილისის ქალთა სასწავლებელში ნ. ცხვედაძემ 23 წელი (1874-1897 წწ.) იმუშავა და შემდეგ პენსიაზე გავიდა. აქ მუშაობის პერიოდში მან მოსწავლეთა და სტუდენტთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ბეერმა მისმა ალსაზრდელმა ისტორია, გეოგრაფია და პედაგოგიკა, რომლებსაც ის ასწავლიდა, საყვარელ საგნად გაიხადა და ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ ამ საგნებში

4. ნ. ცხვედაძე და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

ნიკო ცხვედაძეს ახლო მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან, იაკობ გოგებაშვილთან და XIX საუკუნის სხვა გამოსენილ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. მათთან ერთად, იგი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი ძირითადი დამაარსებელი და ხელმძღვანელი, საზოგადოების გამგეობის მუდმივი წევრი და საზოგადოების თავმჯდომარის – ილია ჭავჭავაძის უცვლელი ამხანაგი

(მოადგილე) 1885 წლიდან 1907 წლამდე, ანუ ილია ჭავჭავაძის სიკვდილამდე. ამ უკანასკნელის ლიტერატურული და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობით გადატვირთულობის გამო, საზოგადოების თითქმის მთლიანი საქმიანობა, როგორც იტყვიან, ნიკო ცხვედაძის მხრებზე გადადიოდა, რასაც იგი პირნათლად და უმწიკვლოდ ასრულებდა ათეული წლების განმავლობაში.

ნ. ცხვედაძე მოითხოვდა საზოგადოების მიერ ქართული სკოლის გახსნას ისეთ ადგილებში, სადაც მოსახლეობა, სკოლების უქონლობის გამო, მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებას. იმ პერიოდში ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო აჭარა. ამიტომ 1879 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე ნიკოს წამოუყენებია აღნიშნულ რეგიონში ქართული სკოლის გახსნის საკითხი. „ჩვენ, ქართველ საზოგადოებას, – უთქვამს მას, – ბევრი აღთქმა მიგვიცია ამ ახლად შემოერთებული ჩვენი თვისტომებისათვის, მაგრამ საქმით კი ჯერ არა გაგვიკეთებია რაო“ (117, 36).

ამავე სხდომაზე ქ. ბათუმში ქართული სკოლის გახსნის საკითხის მოგვარება დაუვალებიათ ილიასათვის, მაგრამ ამ უკანასკნელის მოუცლელობის გამო, ეს ვალდებულება ნ. ცხვედაძეს უკისრია და წარმატებითაც დაუგვირგვინებია.

და აი, ქართველი განმანათლებლების თაოსნობითა და ნიკო ცხვედაძის მუხლჩაუხრელი შრომით, 1881 წლის 12 მარტს ბათუმში სახელმო ვითარებაში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა.

ნ. ცხვედაძეს ამ საქმეში მხარში ედგნენ პროგრესულად მოაზროვნე ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. სკოლა პირველ ხანებში დაქირავებულ შენობაში იყო მოთავსებული, მაგრამ მალე გრიგოლ ყოლსკისა და იეანე მესხს გადაუწყვეტიათ სკოლის ახალი შენობის აგება. მათ „ამისათვის თბილისიდან დაიბარეს წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ნიკო ცხვედაძე, – წერს დ. კლდიაშვილი. – ენერგიით სავსე ნიკო ჩამოვიდა ბათუმში, მოუყარა სკოლის ეზოში ქართველობას თავი და მისებური, მხურვალე სიტყვით მიმართა

ერილობას, რომ შესდგომოდნენ სასწავლებლისა და მასწავლებელთათვის შენობის აგებას. კეთილი განწყრახვით მიმართული სიტყვა – კეთილად დამთავრდა. ყველამ აღუთქვა დახმარება ამ საქმეში წერა-კითხვის საზოგადოებას, ვინ ფულით, ვინ საშენი მასალით, ვინ პირადი მუშაობით. საქმე ისე განაღდა, რომ მეორე წელიწადს სასწავლებელს უკვე მზად ჰქონდა სამაგალითო დიდი შენობა, მშვენივრად მოწყობილი და ცალკე ბინები მასწავლებლებისათვის" (76, 54).

ნ. ცხვედაძის შრომა ბათუმის ქართული სკოლის დაარსებისა და მისი განვითარებისათვის სათანადოდ დაფასდა. 1911 წელს ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სიტყვაში ცნობილმა პედაგოგმა და ლიტერატორმა *ილია ყერაძემ* (1866-1928 წწ.) ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი მის დამსახურებას აჭარის წინაშე და თქვა: „1881 წელს დაარსებულ იქნა უმთავრესად მისი მეთაურობით ქალაქ ბათუმში ის ქართული სასწავლებელი, რომლის კედელთ შორის დღეს შევიკრიბენით" (119, 37-38).

ნიკო ცხვედაძის უშუალო მონაწილეობით დაარსდა საზოგადოების სკოლები ასევე ქუთაისში, თბილისში, წინარეხში, თონეთში, ძველ სენაკში, ხელთუბანში, კაკაბეთში, გომარეთში და სხვაგან.

ნ. ცხვედაძის საქმიანობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში" მარტო სკოლების გახსნით არ ამოიწურებოდა. იგი ამავე დროს მეთაურობდა საზოგადოების ბიბლიოთეკების გახსნას და ქართული წიგნების გამოცემას. საზოგადოებაში მისი მოღვაწეობის პერიოდში დაარსდა მრავალი ბიბლიოთეკა, მათ შორის 3 – თბილისში, ახალციხეში, ქუთაისში, უდეში, დიდ ჯიხაიშში, ხონში, ყვირილაში და ხარაგოულში. 1907 წლისათვის საზოგადოებას 130 სახელწოდების სახელმძღვანელო და წიგნი ჰქონდა გამოცემული, რაშიც ნიკო ცხვედაძის მარჯვენე ხელი ერია. „...ნიკო ცხვედაძე შეუდარებელი ენერგიის ადამიანი იყო, – წერს იმდროისათვის ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე *გ. ლასხიშვილი.* – მგონი არასოდეს არ დაპკლებია გამგეობის სხდომებს; ზეპირად იცოდა ყვე-

ლა მისი საქმე. და თუ „საზოგადოებაში“ რამე გააკეთა და ერთგვარი სიმპათია დაიმსახურა ქართველ ერში, ამაში უდიდესი ღვაწლი სწორედ ნიკო ცხვედაძეს მიუძღოდა“ (80,149-150). ამიტომაც იყო, რომ 1908 წლის 25 მაისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ მას ადრესი მიართვა, რომელშიც იგი მადლობას უცხადებდა საზოგადოებაში მისი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და უსურვებდა ხანგრძლივ სიცოცხლეს.

5. ნ. ცხვედაძე და თბილისის ქართული გიმნაზია

ნიკო ცხვედაძე აქტიურად მოღვაწეობდა ასევე მეორე ქართულ საზოგადოებაშიც. ეს იყო „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება“, რომელიც გიორგი ერისთავმა დაარსა 1877 წელს. საზოგადოებამ წესდების საფუძველზე განიზრახა თბილისში ისეთი სასწავლებლის გამართვა, სადაც მოსწავლეები თავიანთ მშობლიურ ენაზე დაეუფლებოდნენ ცოდნას. ეს განზრახვა საზოგადოებამ განახორციელა 1879 წელს. სკოლის გახსნას აღფრთოვანებით მიესალმა *ილია ჭავჭავაძე* თავის „ივერიაში“, ხოლო *სერგეი მესხი* – „დროებაში“ (1879, №31). ეს უკანასკნელი წერდა: „ადრე ჩვენი შვილების სწავლა და აღზრდა უთაურად, უხეიროდ მიდიოდა. ახლა იმედი გვაქვს, რომ რამდენიმე ათი ყმაწვილი მაინც ზემოხსენებული სკოლის წყალობით, სწორეთ ისეთს პირველ-დაწყებით სწავლას მიიღებს, როგორსაც ნამდვილი პედაგოგია მოითხოვს. ყველაზე პირველად ის მაინც იქნება, რომ ქართველი ყმაწვილები თავის გასაგებს ენაზე დაიწყებენ სწავლას; სხვა არა იყოს-რა, ეცოდინებათ მაინც – თუ რას ეუბნება იმათ მასწავლებელი, რაზე ელაპარაკება და რა საგანს უხსნის. ესეც დიდი ბედნიერებაა... მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ იმიტომ გვიხარიან ამ შკოლის გახსნა, რომ იმედი გვაქვს, იმაში ისადგურებს ნამდვილი ქართული სული, ქართული ხასიათი; იქ არ დააყოლებათ ყმაწვილებს, რომ ისინი საქართველოს შვილნი არიან, რომ ისინი შემდეგში

თაეის ქეეანას ენდა ემსახურონ, რომ საქართველოს ხალხისათეის იბრძებიან ისინი" (119, 44-45).

ეს სასწაელებელი შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა. ამ საქმეში, ისე როგორც მის დაარსებაში, აქტიური მონაწილეობა მიიღო ნიკო ცხეედაძემ. იგი სკოლის გამგე-კომიტეტის აქტიური წეერი იყო და მეცადრულ. გულთბილ დამოკიდებულებას ინენდა პედაგოგებისა და მოსწაელეების მიმართ. მან დროულად განჭვრიტა გიმნაზიის ახალგაზრდა მასწაელებლის *ზაქარია ფალიაშეილის* მომავალი და იგი რუსეთში გაგზაენა უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად. ამასთან, სტიპენდიაც დაუნიშნა.

ამ საკითხთან დაკაეშირებით მეტად საგულისხმოა ალ. *მიქაბერიძის* ცნობა: „მახსოეს ძალიან კარგად, რომ ერთ დილით ქარიულ გიმნაზიაში... ნიკო ცხეედაძე შემოვიდა სასწაელებელში, თავისებური ტკბილი ღიმილით მომესალმა და ხელ გაერილი გიმნაზიის ეზოში გამიეანა. მე იმ დროს გიმნაზიის დირექტორის თანამდებობას ეასრულებდი. – „რა ამბაია სკოლაში?" – სიეარულის კილოთი შემეკითხა ნიკო ცხეედაძე. ხომ ყეელაფერი თაეის რიგზეა? ხომ არ გაკლიათ რამ? მართალია, ჯამაგირების დარიგება ცოტათი შემიგეიანდა, მაგრამ აი დღეს დაეითთან (იგულისხმება დაეით სარაჯიშეილი – ნ. ბ.) მინდა შეეიარო და ფულს ეთუოდ მოკლე ხანში გაეანენ. ეხლა ეს მითხარით, მასწაელებლები მართლა მემდურიან ზაქარია ფალიაშეილს რომ სტიპენდია დაეუნიშნეთ? გარწმუნებთ, რომ ისინი ცდებიან და დიდადაც ცდებიან. მე წინდახედული კაცი ეარ და ასე უბრალოდ ამდენი დაგეითა და გაჭირეებით მოპოეებულ გროშებს ტყეილა უბრალოდ არ გადაეყრი... ზაქარია ფალიაშეილი დიდი მუსიკალური ნიჭის პატრონია და თუ ამ ნიჭს იგი კიდეე უფრო განაეითარებს და გააფართოეებს, მერწმუნეთ, იგი არა მარტო ჩეენს სასწაელებელში, არამედ მთელ საქართეელოში დიდ საშეილიშეილო საქმეს შექმნის... ეინ იცის, შეიძლება ამ ნიჭიერი ახალგაზრდის წეალობით ჩეენი მოზარდი თაობა ერთ დროს დასტკბეს ქართული სიმღერებისა და მუსიკის სცენიდან მოსმენით. მე ღრმად მწამს,

რომ ეს ესეც მოხდება და კიდევაც ამიტომ დავუნიშნეთ სტიპენდია. მე სულ მომავალზე ვფიქრობ და კიდევაც სრული იმედი მაქვს დღესდღეობით, საქარია ფალიაშვილზე დახარჯული ფულები ერთი ასად და ათასად დაგვიბრუნდება" (119, 56-57).

დღეს ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ ასრულდა ნიკო ცხვედაძის წინასწარმეტყველება. ასე გულისხმიერი და ყურადღებიანი პედაგოგი იყო იგი. ამიტომაც პატივისცემით ეპყრობოდნენ და აფასებდნენ მას როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები.

ნიკო ცხვედაძე, როგორც განმანათლებელი, საზოგადოების გარდაქმნის საქმეში უდიდეს როლს ანიჭებს განათლებას. „დროება ყურებში ჩაგვახის, – წერდა იგი: – განათლდით, თორემ ცუდად იქნება საქმეო და ჩვენ კი გულხელი დაგვიკრეფია და არა ვცდილობთ საზოგადო ძალით შევუდგეთ ამ დამაბრკოლებელ გარემოების გაქრობას, რომელიც სდგუნის ჩვენს მოსწავლე ქართველებს" (120, 9). ამიტომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სოფელ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის გახსნასა და მისი სასწავლო პროგრამის შედგენაში. ეს სასწავლებელი გახსნა ამავე სოფელში მცხოვრებმა *ილია წინამძღვრიშვილმა*, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ხელშეწყობით. სკოლაში სწავლება მთლიანად მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო რუსული ენის სწავლება, იაკობ გოგებაშვილის გეგმის შესაბამისად, მესამე კლასიდან იწყებოდა.

ნ. ნ. ცხვედაძის ბრძოლა ქართული უნივერსიტეტისათვის

ნიკო ცხვედაძემ ქართველ ხალხს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და რუდუნებით აშენდა თბილისის გიმნაზიის 4-სართულიანი შენობა, რომელშიც შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განთავსდა (ამჟამინდელი თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის I კორპუსი). აღნიშნული შენობის აგებაზე ხრუნვა მას ჯერ კიდევ 1897 წელს დაეწყო. „დარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ თანხით უცილია ვაკეში (ცერაზე) მიწის ნაკვეთი და შესდგომია საქმეს, მაგრამ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი უნდობლობით შეხვედრია მის წამოწყებას: დასცინოდნენ, ჭკუაზე შერყეულს, გიჟს, გადარეულს უწოდებდნენ, ადგილის უხეირობას უწუნებდნენ და ა.შ., მაგრამ ნიკო ყოველივე ამას ყურადღებას არ აქცევდა და მტკიცედ მიიწევდა დასახული მიზნის განხორციელებისაკენ.

პროფესორი *გრ. ნათაძე* თავის „მოგონებაში“ წერს: „ნიკო ცხვედაძე მასწავლებლებს გვესაუბრებოდა ამ შენობის მომავალზე და ხშირად იტყოდა ხოლმე: – „ყმაწვილებო, აქ ქართული უნივერსიტეტი იქნება, ქართული უნივერსიტეტი“. ჩვენ ამაზე არაფერს ვეუბნებოდით ხრდილობის გულისათვის, რადგან ეს სიტყვები მოხუცი კაცის ახირებად მიგვაჩნდა. უნივერსიტეტს ვინ გვალირსებს? ვეუბნებოდით შემდეგ ერთმანეთს და ვიცინოდით“ (119, 77).

შენობისთვის საძირკველი ჩაუყრიათ საზეიმო ვითარებაში 1899 წლის 14 ოქტომბერს. ამასთან დაკავშირებით გ. ლასხიშვილი წერს: „კარგად მახსოვს ის დღე, როცა ცხვედაძემ ქართველი საზოგადოება მიიწვია საძირკვლის ჩაყრაზე და კურთხევაზე. სხვათა შორის, ვიყავით რედაქციის წარმომადგენელნიც... ნიკო ცხვედაძე ნამდვილი ახალგაზრდული ენთუზიაზმით იყო გატაცებული, მაგრამ ბევრი დამსწრე სკეპტიკურად აქნევდა თავს და ჩუმად დასცინოდა კიდეც ინიციატორს... ცერემონიის გათავების შემდეგ ნიკო მოგვიბრუნდა ახალგაზრდებს და გვითხრა:

– ყმაწვილებო, გირჩევთ შეიძინოთ აქ სამოსახლო ადგილები, ეხლა ახლო-მახლო მიწა აქ ღირს საფენი რამდენსამე კაპეიკად, რამდენიმე წლის შემდეგ კი ათ თუმნადაც არავინ მოგცემთო.

ვაკე მაშინ წარმოადგენდა ოღრო-ჩოღრო უდაბნოს და ჩვენც ხურგს უკან დავცინეთ მოხუც ენთუზიასტს: რას ამბობს ეს ადამიანი, ვის გაუგონია აქ დასახლება“... (80, 150).

ი. მანსვეტაშვილის გადმოცემით, ნიკოს თაყდაპირველად გადაწყვეტილი ჰქონია 2-სართულიანი შენობის აგება, მაგრამ შემდეგ მადა გახსნია და 4-სართულიანზე შეწერებულა. როცა ფული შემოელეოდა, იყი, უწინარეს ყოველისა, მიადგებოდა დაყით სარაჯიშვილს. მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილდებოდა და, მეგობრების გადმოცემით, „ძარცვაედა" ყველას – თავადაზნაურობას, ბანკს, მდიდარ ვაჭრებს. ამის გამო მას ხშირად ბანდიტს უწოდებდნენ. „მართალია, მას არ ჰქონდა თან რევოლვერი და ჯერ ვერ შეეწყოდა გამოთქმას – „ხელები ზევით", მაგრამ დანარჩენს სხვას ყველაფერს, რაც ხმარებაში ჰქონდათ ნამდვილ ბანდიტებს, ნიკოლოზ ზებედეს-ძე მათზე ნაკლებად არ იყენებდა. მან შექმნა ბანდიტიზმის ისეთი კატეგორია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სთესავდა მხოლოდ ბედნიერებასა და სიხარულს" (119, 71-72).

მისი მსხვერპლი, დავით სარაჯიშვილთან ერთად, ყოფილა კონსტანტინე ივანეს ძე მუსრანსკი და ზუბალაშვილი. ნ. ცხვედაძეს საოცარი ნიჭი ჰქონია სახსრების გამოხახვისა. „...ვისაც კი რაიმე ქონებას შეამჩნევდა, – მოგვითხრობს *ი. მანსვეტაშვილი,* – შეუჩნდებოდა და მანამ ფულს არ გამოალებინებდა, არ მოეშვებოდა. არც ერთი შეძლებული ქართველი არ გადაურჩებოდა ცხვედაძის ხარკს. ჩვენში იქნებოდა, რუსეთში თუ უცხოეთში, ყველგან ხელს მიაწვდენდა, ყველას გამოამეტებინებდა რასმე. ხერხი იცოდა, ვისთან როგორ მისულიყო, ვისთვის საიდამ მოეულიო" (84, 154-155).

ამრიგად, იგი ხელცარიელი არავისგან ბრუნდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ეს მოხერხებულობა სრულიადაც არ იყო საკმარისი იმოღენა შენობის ასაგებად. ძირითადად მისი მშენებლობა მაინც სათავადაზნაურო ბანკით „იკვებებოდა". ამიტომ ბანკის მუშაკები, გადმოგვცემს ი. მანსვეტაშვილი, ხშირად უჯანყდებოდნენ ილია ჭავჭავაძეს, რომ ჩვენ ფულს ტყუილუბრალოდ ფანტავს და საქმეს თაყს ვერ მოაბამსო. „სწორედ გიყია ეგ ვიღაც ცხვედაძეა, გადარეულა, ლამის მთელი ბანკის შემოსავალი სულ იმ

შენობაში ჩაგვაყრევინოსო", – გაიძახოდნენ ისინი და ილიას საყვედურობდნენ, ჩვენ ყველაფერზე უარს გვეუბნები, ნ. ცხვედაძეს კი ყველაფრის უფლებას აძლევო. ილიაც ურეკავდა ნ. ცხვედაძეს, რომ მოდი ბანკში კრებაზე და თავად გაეცი პასუხი ამ ხალხსო (84, 155). ნიკოც არ დააყოვნებდა, მაშინვე გამოცხადდებოდა ბანკში და იწყებდა „ბუნტოვშიკების" დარწმუნებას, რომ მალე უნივერსიტეტს გაგვიხსნიან და შენობა მზად უნდა გქონდეს, შემდეგ ნახავო, როგორი მადლიერი დამირნებითო (მისი სიკვდილის შემდეგ ეს მართლაც ასე მოხდა). მიუხედავად ამისა, საზოგადოებას 1905 წელს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობის გაყიდვა განუზრახავს, მაგრამ ნიკო ცხვედაძეს ცოცხალი თავით არ დაუნებებია ეს საქმე. *ზ. ჭიჭინაძისა და ალ. მიქაბერიძის* გადმოცემით, მას უთქვამს: მთელ საქართველოში ყულაბებით შევაგროვებ ფულს, ვალებსაც გადავიხდი და შენობასაც დავამთავრებ, გაყიდვაზე კი ხმა არ გამაგონოთო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ შენობაში მომავალი უნივერსიტეტი გაიმართება და შემდეგ თქვენც მადლიერი დამირნებითო. ამით ზოგიერთები მცირე ხნით მშვიდდებოდნენ, მაგრამ მალე იგივე მეორდებოდა (119, 74).

ასეთი თავგანწირვითა და დასახული მიზნისაკენ შეუპოვარი ლტოლვით ნიკო ცხვედაძემ ააშენა დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პირველი კორპუსი. ამიტომაც დიდმა ილიამ მას „ნიკო აღმაშენებელი" უწოდა. ი. მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში წერს: „თუ დღეს ჩვენ გვაქვს ის საუცხოო, დიადი შენობა, რომელიც ყაკედგან ამაყად ქალაქს დაჰყურებს და ამშვენებს, მტერს თვალებს უჭრებს და მოყვარეს გულს უხარებს, ის შენობა, სადაც დღეს ქართული უნივერსიტეტი იმყოფება, – ეს უნდა დავუმადლოთ ნ. ცხვედაძეს, იმის მხნეობას, იმის ერთგულებას, იმის თავის განწირვას" (84, 154).

ყოველივე ზემოთმოცული შესანიშნავად გადმოგვცა პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა ლექსში „ნიკო ცხვედაძე":

გწამდა მარადის ჩვენი ქვეყნის აღორძინება,
თუმცა გვახრჩობდა თვითმპყრობელის ხელი სასარი.

ვერ შეგაშინა უსასტიკეს მტრების გინებამ
და გადასწყვიტე, რომ აგეგო ცოდნის ტაძარი.
შენ თვითეულ ქვას შეჰყურებდი მამის ალერსით,
შენ თვითონ გსურდა ამ შენობას ქვად დასდებოდი,
კედლებთან ერთად — ფრთაშესხმული და უალესი
ხურმუხტოვანი ივერიის ზეცას სწვდებოდი.
ილიას ჰგავდი ნიადაგით, ძალღონით საკვს,
შენ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი მართლა გჯეროდა,
ნეტა ხედავდე, მზე ვით ბრწყინავს სამშობლოს თავზე,
როგორ ამოდის ხე სიბრძნისა დარგულ ღეროდან (119,5)

ნიკო ცხვედაძე თავისი ქვეყნისა და ხალხის უდიდესი პატრიოტი იყო. მას ღრმად სწამდა ქართველი ხალხის ნიჭი და მისი მომავალი. ამიტომაც თავის ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა ჩვენი ხალხის საკეთილდღეო მოღვაწეობისათვის. მას დაწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიჰყავდა. საზოგადოებრივი მოღვაწეობა მისი სტიქია იყო. ამან იგი ნაადრევად იმსხვერპლა.

ნიკო ცხვედაძე გარდაიცვალა 1911 წლის 30 ოქტომბერს (12 ნოემბერს). დასაფლავებულია დიდუბის ქარიყულ მოღვაწეთა პანთეონში.

მართალია, უნივერსიტეტის გახსნას ნიკო ვერ მოესწრო, მაგრამ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსს დღესაც ამშვენებს მემორიალური დაფა წარწერით: „უნივერსიტეტის შენობის აშენების ინიციატორი და სულისჩამდგმელი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ნ ი კ ო ც ხ ვ ე დ ა ძ ე, ხუროთმოძღვარი-მშენებელი ს ვ ი მ ო ნ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი.

7. ნიკო ცხვედაძის პედაგოგიკური შეხედულებანი

ნიკო ცხვედაძის დამსახურება სახალხო განათლების დარგში მარტო მისი პრაქტიკულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით როდი ამოიწურება. მან, ამავე დროს, თავისი წვლილი შეიტანა ქართული პედაგოგიკური

აზროვნების განვითარებასა და იმდროინდელ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში.

ნ. ცხვედაძემ ქალაქ თბილისის თვითმმართველობის დაკალებით, როგორც ხმოსანმა, სხვა პედაგოგებთან ერთად, შეისწავლა ქალაქის დაწყებითი სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლების მუშაობა და არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა მომზადებისა და მათი გონებრივი განვითარების დონე. ამის უმთავრესი მიზეზი, მისი აზრით, ის იყო, რომ ქართველ ბავშვებს დამატებით უხდებოდათ რუსული ენის შესწავლა და საამისოდ დრო არ ეყოფნიდათ. ამიტომ იგი მოითხოვდა კაკლასიისა და, კერძოდ, თბილისის დაწყებით სკოლებში მეცადინეობის დრო კი არ შემცირებულიყო, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, არამედ გაზრდილიყო. „იმ დროს, როდესაც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში დაწყებით სკოლებში მთელი სწავლება მშობლიურ ენაზე წარმოებს და იქ მხოლოდ ეს ენა ისწავლება, – წერდა იგი, – ამავე დროს კაკასიის სკოლას თავისი პირდაპირი ამოცანის... გარდა დაკისრებული აქვს რუსული ენის – სახელმწიფოებრივი ენის შესწავლა“ (120, 58).

თავის მოხსენებაში, რომელიც 1892 წელს ცალკე წიგნაკად გამოქვეყნდა, ნ. ცხვედაძეს ქალაქის სახელოსნო სასწავლებლების ძირითად ნაკლად მიაჩნდა ის, რომ მასში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მოსწავლეთა პრაქტიკულ მომზადებას, ურომლისოდაც თეორიული ცოდნა უნაყოფოა. „თეორია კარგია, – წერდა იგი, – როდესაც მას თან ახლავს პრაქტიკა, ეს მისი უშუალო მოკავშირე, უმისოდ ის (თეორია) სიტყვების უბრალო შეხამებაა. თეორიის შესათვისებლად საჭიროა გაცილებით ნაკლები დრო, ვიდრე პრაქტიკის შეთვისებისათვის“ (120, 59).

თბილისის საქალებო ინსტიტუტსა და გიმნაზიაში პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ნ. ცხვედაძემ მრავალი თეორიულ-პედაგოგიკური ხასიათის ნაშრომი გამოაქვეყნა, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიკური თხზულება *„ჩვენი ხალხის განათლება, ხელოს-*

ნობა და მეურნეობა“. ეს ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა 1877 წელს ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ „ქვემო ქართლელის“ ფსევდონიმით, 1903 წელს კი ცალკე წიგნადაც გამოიცა.

ამ ნაშრომში ნ. ცხვედაძე გვესაუბრება სვენი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მნიშვნელობასა და მათში არსებულ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე. ქართველ ხალხს, აღნიშნავს იგი, ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა განათლების მიღებისა, მაგრამ ჩვენში არ იყო შექმნილი ისეთი სასწავლებლები, რომლებიც დააკმაყოფილებდა მათ სურვილს, მისცემდა მათ საჭირო, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას. მისი აზრით, სასოფლო სასწავლებლის მიზანი უნდა გამომდინარეობდეს ხალხის მოთხოვნილებიდან და უნდა შეეწყარდებოდეს მათ ყოფა-ცხოვრებასა და შრომა-საქმიანობას. ჩვენი სოფლის მეურნეობის დაბალი დონე, დასძენს იგი, გამომდინარეობს იქედან, რომ გლეხებს არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა, რომელიც საჭიროა სოფლის მეურნეობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის. მაგრამ, აეტორის აზრით, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სასოფლო სასწავლებლები უშუალოდ სამეურნეო და სახელოსნო ცოდნას უნდა ავრცელებდნენ. „ეს შეუძლებელი საქმეა და ვინც ფიქრობს მაგ გზით განავრცელოს ჩვენს ხალხში ხელოსნობა და მეურნეობა“, ის უსათუოდ ცდება, რადგან „...ვის გაუგონია და სად თქმულა, რომ თორმეტის წლის ბავშვს შეესწავლოს მეურნეობა და ხელოსნობა... განა შესაძლებელი საქმეა, რომ ვიშოვოთ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც დახელოვნებულნი იყვნენ როგორც ცოდნის გადაცემაში, ისე მეურნეობაში და ხელოსნობაში?“ რა საკვირველია, არა. ნ. ცხვედაძე დასავლეთ ევროპის სასოფლო სკოლების გამოცდილების საფუძველზე ამტკიცებს, რომ, სადაც ასეთი ცდები იყო, ისინი ყველგან მარცხით დამთავრდა (120, 21-22).

მაშ, რა ამოცანები დგას სასოფლო სასწავლებლის წინაშე? ნ. ცხვედაძის აზრით, სასოფლო სასწავლებელმა უნდა გაუხსნას ბავშვს გონება, განავითაროს მისი თანდაყოლილი ნიჭი, შეაჩვიოს აზროვნებას, მსჯელობას, მიაჩვიოს

სიფაქიზეს და სისუფთავეს, მათი ჭკუა-გონება უნდა შეავსოს ნამდვილი მეცნიერული ცნობებით ბუნების შესახებ ისე, რომ ბოლოს ისინი იქცნენ ჭკუადამჯდარ ადამიანებად.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო სკოლა მოსწაფეებს უნდა აძლევდეს მეცნიერებათა საფუძვლების ზოგად ცოდნას, რაც საჭიროა მისი შემდგომი გაღრმავებისა და ამა თუ იმ სპეციალობის დაუფლებისათვის. ამ აზრზე იყო არა მარტო ნ. ცხვედაძე, არამედ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ყველა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი.

როგორც დავინახეთ, ნ. ცხვედაძე იძლევა სწორ მითითებებს სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებების ძირითადი ამოცანებისა და მათში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, რაშიც ჩანს მისი საფუძვლიანი მომზადება დიდაქტიკაში.

ნიკო ცხვედაძეს საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე სასოფლო სასწავლებელში სწავლა-განათლების შინაარსის შესახებ. ასეთი ტიპის სასწავლებელში, მისი აზრით, უნდა ისწავლებოდეს წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე, ქართული ენა (მისი კანონები), საქართველოს ისტორია („მოთხრობები ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან"), გეოგრაფიული ცნობები („უფრო საქართველოს გეოგრაფია"), ანგარიში („თელა"), ხაზვა, მუსიკა („ხალხის სიმღერები") და, „რადგანაც საქართველოს ბედი შეკავშირებულია რუსეთის ბედთან და რუსული ენა შეადგენს ადმინისტრაციის ენას, ამისათვის... სასოფლო სასწავლებელში რუსულ ენასაც უნდა ასწავლიდნენ". ნ. ცხვედაძემ იმ დროისათვის ძირითადად მართებულად განსაზღვრა რუსული ენის ადგილიც დაწყებით სასოფლო სასწავლებელში. „ამ ენის შესწავლას ბავშვები უნდა შეუდგნენ, – წერდა იგი 1877 წელს „ივერიაში"... – მეორე წელიწადის უკანასკნელ თვეებში, როცა კარგად იქნებიან დახელოვნებულნი ქართის ენის წერა-კითხვაში, ხოლო მესამე წელიწადს კი უნდა შეუდგნენ რუსულის ენის წერა-კითხვის შესწავლას" (120, 23).

ზემოთ დასახელებული ნაშრომი ასე მთავრდება: „დრო არის თვითონ ჩვენ ჩავჭიდოთ ხელი განათლების, ხელოს-

ნობის და მეურნეობის გაერცელებას და ყოველ ნაბიჯზე ვიგულისხმოთ, რომ ცოდნა არის საჭირველი ხალხის კეთილდღეობისა“ (120, 24).

ჩვენს ქვეყანაში მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის სათანადო დონეზე დაყენების მიზნით ნიკო ცხვედაძემ 1878 წელს საგანგებოდ იმოგზაურა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ეს საკითხი შეისწავლა პოლონეთში, ავსტრიასა და გერმანიაში და თავისი პედაგოგიური მოგზაურობის შედეგები აღწერა გაზეთ „იერიის“ იმავე წლის ნომრებში, სათაურით „მოკლე შენიშვნები სახლვარგარეთიდან“ „ქართველი მგზავრის“ ფსევდონიმით.

იგი განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო პოლონეთის სკოლებით, სადაც სწავლება მშობლიურ – პოლონურ ენაზე მიმდინარეობდა, გერმანული ენა კი, რომელიც მაშინდელი გერმანიის იმპერიაში მოქცეული პოლონეთის სახელმწიფო ენას წარმოადგენდა, მხოლოდ ცალკე საგნად ისწავლებოდა და ისიც არა ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში. „სამხედრო გიმნაზიებს გარდა, ყველა სასწავლებელში მეცნიერებას ასწავლიან მარტო პოლშურს ენაზე; არც ერთ საგანს არ ასწავლიან სახელმწიფო, ე. ი. ნემცურ ენაზე. ეროის სიტყვით, პოლშური ენა არის საზოგადო ენად მიღებული და ამ ენაზე ავრცელებენ მეცნიერებას და განათლებას. რაც შეეხება ნემცურს ენას, ...ამის სწავლას იწყებენ მხოლოდ... მესამე კლასიდან, სადაც ბავშვები სრულებით დახელოვნებულნი არიან თავიანთ ღვიძლის ენის ცოდნაში“ (120, 25-26).

ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და სხვა ქართველი განმანათლებლების მსგავსად, მიიჩნეულა, რომ ქართული სკოლის მასწავლებელი და, მით უმეტეს დირექტორი, არ შეიძლება იყოს ის პიროვნება, რომელმაც საფუძვლიანად არ იცის ქართული ენა, ეროვნული ისტორია, ქართველი ხალხის ჭირ-ვარამი. ამიტომაც იყო, რომ 1881 წლის 21 აპრილს იგი დიმიტრი ყიფიანს სწერდა: „უ. იანოვსკიმ ხელმეორედ დაამტკიცა, თუ რა ცუდი თვალით უცქერის ჩვენი ხალხის განათლებას, თუ რა ცოტა

მნიშვნელობას აძლევს საზოგადოების აზრს და მოთხოვნილებას. მგონი ყველასათვის ცხადია, რომ სახალხო საწავლებლის დირექტორმა უეჭველად უნდა იცოდეს სკოლის ენა, ხალხის მოთხოვნილებანი, მისი ხასიათი, ზნეობა და ჩვეულებანი. უამისოდ იმას არ შეუძლიან მოუტანოს ხალხს განათლების ჯეროვანი სარგებლობა. მაგრამ ყველა ეს ან არა სწამს უ. იანოვსკის, ან კიდეც სწამს, მაგრამ განგებ სჩადის და სახალხო სკოლების დირექტორებად ნიშნაავს იმგვარ კაცებს, რომლებმაც არც სკოლის ენა იციან და არც ხალხს იცნობენ. აი ეხლა უ. სტრელეცკი, ქართული ენის უცოდინარი, დაინიშნა ხოხის სამასწავლებლო სემინარიაში დირექტორად; ამის მაგიერად კიდეე აქ საქართველოს გულში სახალხო სკოლების დირექტორად გაამწესა უხეირო, გამოუცდელი, ქართული ენის უცოდინარი უ. დარსკი. ამ ათი წლის წინათ ჩვენ განმანათლებლებს შეეძლოთ ეთქვათ: „ძლიერ გვსურს ქართველთაგანი დაენიშნოთ დირექტორებად, მაგრამ საუბედუროდ ქართველობაში არ მოიპოვებიან პედაგოგიის ასპარეზზე გამოსადეგი კაცები“. ეხლა კი ამის თქმა არ შეუძლიათ. არც ერთი ქართველთაგანი უ. დარსკიზე ნაკლები არ არის. თითოეული მათგანი ჭკუა-გონებით, გამოცდილებით ძლიერ მაღლა დგას ახალ დირექტორებზე... როდესაც სახალხო სკოლებისათვის დირექტორებს ეძებენ, იმას კი არ უცქერიან, აღმოაჩინონ მართლაც გამოსადეგნი პირნი, არამედ იმას, რომ ისინი იყვნენ უეჭველად რუსნი და ეს მოვლენა... ყველასათვის, ვისთვისაც კი ძვირად ღირს ხალხის და სახელმწიფოს კეთილდღეობა, დიდი სამწუხარო მოვლენაა“ (119, 34-35).

ასე თავგამოდებით იცავდა ნ.ცხვედაძე ქართველი ხალხის ღირსებას და მშობლიურ ენაზე სწავლებას. მიაჩნდა, რომ ქართველ ბავშვებს უნდა ასწავლიდნენ ისეთი პედაგოგები, რომლებსაც ზედმიწევნით ეცოდინებათ ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი და მათი ენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავის მოვალეობას ვერ შეასრულებენ და ქართველ ბავშვებს მშობლიური ენისა და ქვეყნის სიყვარულს ვერ ჩაუნერგავენ.

თ ა ვ ი XVI

ივანე როსტომაშვილის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა და პედაგოგიკური იდეები

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი და მწიგნობარი *ივანე როსტომაშვილი* (1852-1924) ძველი თაობის მასწავლებელთა ღირსეული წარმომადგენელი იყო. იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუშრეტელი ენერგიითა და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით ემსახურებოდა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის უკეთილშობილეს საქმეს.

დაიბადა იგი 1852 წლის 24 დეკემბერს (ძვ. სტილით) თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურში. ივანეს მამა, პაველე, წარმოშობით გლეხი ყოფილა, მაგრამ შამილის რაზმის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლის გამო ობერ-ოფიცროებითა და პენსიით დაუჯილდოებიათ.

ი. როსტომაშვილმა პირველდაწყებითი განათლება თელავის საქალაქო სასწავლებელში მიიღო, მაგრამ შემდეგ 10 წლის ვანო მშობლებმა დედოფლისწყაროში არსებულ სამხედრო სკოლაში გადაიყვანეს, რადგან მისი აღზრდა, როგორც ოფიცრის შვილისა, შესაძლებელი იყო სახელმწიფო ხარჯზე. ამ სკოლაში ვანომ 6 წელი დაჰყო და, როგორც თვითონ აღნიშნავს, არც ერთი სასიამოვნო წუთი მისგან არ გამოჰყოლია. მასწავლებლებად უმთავრესად მუშაობდნენ გაუნათლებელი ჯარისკაცები ან უხეირო ოფიცრები, რომლებსაც არაფერი გაეგებოდათ პედაგოგიკისა, მოსწავლეებს მხოლოდ ცემა-ტყეპითა და ლანძღვა-გინებით წვრთნიდნენ. ვანომაც ეს სატანჯველი გაიარა და სამუდამოდ შეძულდა ყაზარმული ცხოვრება, გადაწყვიტა ამ სფეროს არასდროს გაკარებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ სამხედრო სასწავლებელში ქართულ ენას არ ასწავლიდნენ. ივანე იგონებს: „...სასწავლებელში ქართულს სრულიად არ გვასწავლიდნენ, მაგრამ მე თვითონ ვიწყე

მისი შესწავლა... სასწავლებლის უფროსი (ნ. ხახანოვი) სასტიკად დევნიდა ქართულ ენას, ქართულ წიგნს არ აჭაჭანებდა სასწავლებელში. ერთხელ გამხრიკეს კიდეც და სამოძარეოდ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“, რომელსაც თავისუფალ დროს ეკითხულობდი... მაგრამ ტყუილად ხომ არ უთქვამს ქართველ ხალხს, „აკრძალული ხილი გემრიელია“... უალრესად ეტრფოდი ქართულ ენას... ვიწვე მასწავლებლობა თუ არა, მაშინვე გამოვსწერე ქართული გაზეთი „დროება“, კერძული – „იერია“ და მათი კითხვით იმდენად შევისწავლე ქართული წერა-კითხვა, რომ თითონაც დავიწყე პატარ-პატარა ამბების წერა და გაზეთებში გზავნა“... (128, 212).

სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1870 წელს 18 წლის ჭაბუკი ვანო თბილისში ახლადგახსნილ საოსტატო სემინარიაში შევიდა, რომელიც მალე თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა. ინსტიტუტი მან 1874 წელს დაამთავრა და მასწავლებლობა დაიწყო საინგილოში, სოფელ კახის სკოლაში. სადაც 4 წელი დაჰყო, მაგრამ ამ მცირე დროის განმავლობაში ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად, სკოლის ეზოში გააშენა ვენახი და ხეხილის ბაღი, გაალამაზა სკოლის შემოგარენი, შეაკეთა სკოლის შენობა და 2 ოთახი მიაშენა. კვირაობით იგი სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას საინგილოს მოხრდილ მოსახლეობას. ასეთი შრომით მან ადგილობრივი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რის გამოც მას „ვანო მასწავლებელს“ ეძახდნენ.

ი. როსტომაშვილის ეს სასარგებლო მოღვაწეობა კახში დიდხანს არ გაგრძელებულა. თავის სკოლაში უნებართვოდ ქართული ენის სწავლების შემოღების გამო, 1878 წელს იგი კახის სკოლიდან ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში გადაიყვანეს, სადაც გამუდმებული მეთვალყურეობისა და ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ვანო აქ დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ ინგილო პე-

დაგროვებას – ა. ბაირამაშვილს, ქ. ბაღაშვილს და მათთან ერთად გააჩაღა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა, რისთვისაც ის სამსახურიდან მოხსნეს და ერთხანს ციხეშიც იჯდა.

1880 წელს როსტომაშვილი თავს აღწევს ყოველივე ამას და ინიშნება თელავის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად. იგი აქაც მოუსვენრად მოღვაწეობს. მისი ინიციატივით თელავში დაარსდა „დეპო“ – საზოგადოებრივი საცავ-ჭრო, სახალხო ბანკი (კურდღელაურში) და საკვირაო სკოლა, რისთვისაც მას ადგილობრივი ეჭვები აუჯანყდნენ და ხელისუფლების მოსთხოვეს მისი თავიდან მოშორება. 1889 წელს „დაწინაურების“ მოტივით იქანე გადაიყვანეს ახალქალაქის სკოლის ინსპექტორად. მოუსვენარ პედაგოგს არც აქ შეუწყვეტია თავისი ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. მან მესხეთ-ჯავახეთის ბევრი მატერიალური კულტურის ძეგლი გადაარჩინა განადგურებას. იგი ფოტოაპარატმომარჯვებული დადიოდა ამ მსარეში და იღებდა ძველი ძეგლების სურათებს, რითაც შთამომავლობას შემოუნახა სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა ისტორიული ძეგლი. შემდგომ, კერძოდ, 1898 წელს, ეს მასალები ი. როსტომაშვილმა გამოაქვეყნა კავკასიის სასწაულო ოლქის მზრუნველის კრებულში: „Материалы для описания местностей и племен Кавказа“.

1894 წელს როსტომაშვილი გადმოდის თბილისში და მუშაობას იწყებს წმ. ნინოს სახელობის ქალთა და კომერციულ სასწავლებელში. აქ იგი ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას, ამავე დროს ებმება საზოგადოებრივ და სამწერლო საქმიანობაში. ი. როსტომაშვილს დიდად აფასებდნენ ქართველი განმანათლებლები ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი და სხვები. დიდი ილია მას „ჩვენს ჭუტკარს“ უწოდებდა, რადგან იგი ჭუტკარივით მშრომელი და ენციკლოპედიური განათლების კაცი იყო. მისი წერილები უხვად იბეჭდებოდა თითქმის ყველა იმდროინდელ ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში; აქვეყნებდა არა მარტო

პუბლიცისტურ წერილებს, არამარც საბავშვო მოთხრობებს, ლექსებს, ზღაპრებს, ფოლკლორულ მასალებს და სხვ.

ივანე როსტომაშვილს ეკუთვნის ცალკე გამოცემული წიგნებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია 1876 წელს გამოცემული „არითმეტიკული ამოცანები სახალხო სკოლებისათვის და მშობელთათვის", რომელიც ი. გოგებაშვილმა დადებითად შეაფასა. ამას მოჰყვა ოჯახში საკითხავი წიგნების სერია: „შინაური საქონელი და მისი კეთილი მოვლა-მოშენება" (1893 წ.), „ახალი მიმართულება სამკურნალო მეცნიერებაში" (1895 წ.), ალბომი „ქართველთა ტომი" (1896 წ.), „ქართული კალენდარი" (1897 წ.), „რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი" (2 ტომად, 1898-1899), „ქართული ანბანი ოჯახში და სკოლაში სახმარებლად", რომელიც რამდენიმეჯერ გამოიცა და სხვ.

გარდა ამისა, ივანე როსტომაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი პოპულარული ნაშრომი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მისი წიგნებიდან აღსანიშნავია: „რა არის გონებრივი გახსნა-განვითარება" (1902 წ.), „რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ჩვენი ბავშვები" (1902 წ.), „სეხილის გამრავლება და მოვლა" (1903 წ.), „გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა" (1903 წ.), „რა არის დოსტაქრობა ანუ როგორ არჩენენ ადამიანებს დანით" (1903 წ.), „სულით ავადმყოფი მოსწავლენი" (1903 წ.), „თვითგანვითარება" (1910 წ.), „თვითმოქმედება" (1910 წ.), „პურის თესვა-მოყვანა" (1910 წ.), „ამერიგო ვესპუსი" (1914 წ.), „ქრისტეყორე კოლუმბი" (1914 წ.), „როგორ უნდა ვასწავლოთ არითმეტიკა?" (1914 წ.), „როგორ უნდა ვასწავლიდეთ ქართულ წერა-კითხვას სკოლებში და ოჯახში" (1914 წ.), „ზნეობრივი აღზრდის საფუძვლები" (1914 წ.), „პედაგოგიკა და ფსიქოლოგია" და მრავალი სხვა, რომელთა რიცხვი 60-მდე აღწევს.

მაგრამ ივანე როსტომაშვილის მოღვაწეობა მარტო ამითაც არ ამოიწურება. ის გამოჩენილი ჟურნალისტი და გამომცემელ-რედაქტორიც იყო. 1901 წელს მან თბილისში დაარსა სქელტანიანი ეთნოგრაფიულ-პედაგოგიური ჟურნალი

„მოამბეში“, რომელიც 1905 წლიდან ლიბერალურ-ბურჟუაზიულ პოლიტიკურ გაზეთად გადაკეთდა.

1910-1911 წლებში ი. როსტომაშვილი უშვებს გაზეთ „სინათლეს“, მაგრამ თავისუფალი აზრების გამოთქმისა და რევოლუციური იდეების გაერცელებისათვის გაზეთი მალე ჩამოართვეს და გადასცეს სოფრომ მგალობლიშვილს, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ცნობილი ქართველი მწერლები და მათ შორის ივანე როსტომაშვილიც, რომელიც მალე კვლავ შეიქმნა თავისი საყვარელი გაზეთის ფაქტობრივი რედაქტორიცა და გამომცემელიც.

1917 წელს ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა და ახალქალაქელებმა მის პირველ დირექტორად ივანე როსტომაშვილი მოითხოვეს. ივანემაც ისმინა მათი თხოვნა, დროებით მიანება თავი დედაქალაქს და ჯავახეთში გაემგზავრა. 65 წლის მოხუცი აქ ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა საქმეს, გიმნაზიის ჩამოყალიბებას და მისთვის ნორმალური პირობების შექმნას.

1921 წელს ივანე როსტომაშვილი სოფელ მაჩხაანში დაბრუნდა და დაარსა საბავშვო ბაღი და სკოლა. ეს უკანასკნელი შემდეგ 4-წლიან სახალხო სახელმწიფო სკოლად გადაკეთდა.

სიცოცხლის უკანასკნელი წელი ივანე როსტომაშვილმა თბილისში გაატარა, სადაც იგი განაგრძობდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. მას კუჭის კიბო აღმოაჩნდა და 1924 წლის 24 აგვისტოს, 72 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. მისი დაკრძალვის ხარჯები მთლიანად მთავრობამ გაიღო, ხოლო განსვენებულის ოჯახს დაეníშნა მუდმივი პერსონალური პენსია. დიდი პედაგოგის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი, ქართულ გაზეთებთან ერთად, გაზეთ „იზვესტიაშიც“ გამოქვეყნდა.

ი. როსტომაშვილს თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში გაშუქებული აქვს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის აქტუალური საკითხები. მისი აღზრდის იდეალი იყო შრომისმოყვარე, განათლებული და მაღალზნეობრივი ახალგაზრ-

ლობის მომსახლება, რომელსაც ღრმად ეყვარება თავისი სამშობლო, მშობელი ხალხი, მისი ენა და ზნე-ჩვეულებანი.

სახალხო სკოლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ივ. როსტომაშვილს წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად, მიაჩნდა სალხინო სამეურნეო ცოდნის გავრცელება. საამისოდ იგი მოითხოვდა სახალხო სკოლების გარდაქმნას ცხოვრების სკოლად. ასეთი უნდა ყოფილიყო ე. წ. „ახალი სკოლა", რომელიც როსტომაშვილის აზრით, მიზნად ისახავდა ახალგაზრდობის მომზადებას ცხოვრებისათვის, მოსწავლეთა შეიარაღებას შრომითი ჩვეულებით და მათ ფიზიკურ აღზრდას. ასეთი სკოლები, რუსოს მსგავსად, უნდა გახსნილიყო ძირითადად სოფლად, რათა თავიდან აეშორებინათ ქალაქის „გამხრწნელი ზეგავლენა".

„ახალი სკოლები" პირველად წარმოიშვა ინგლისში 1899 წელს, რომლის დამაარსებლად ითვლება *აბათხოლმი.* შემდეგ ასეთი სკოლები შეიქმნა ევროპისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში. ამ მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლებიან: გერმანიაში – *ლიტკე* და *ვინეკენი,* საფრანგეთში – *დემოლენი,* შვეიცარიაში – *ფერერი,* რუსეთში –*ენცკელი* და *ტოლსტოი,* საქართველოში კი – *როსტომაშვილი.*

ივ. როსტომაშვილის აზრით, აღნიშნულ „ახალ სკოლაში" „დილა... მიჩნეული აქვს სწავლას, სადილის მერე დრო – ფიზიკურ შრომას და თამაშობას, ხოლო საღამო – ხელოვნებას" (128, 233).

ახალ სკოლებში, მისი აზრით, ბავშვების ჯანმრთელობა უფრო მტკიცდება, რასაც ხელს უწყობს მათი მოშორება „ქალაქის სკოლების მავნებელ ჰაერსა და გავლენას". გარდა ამისა, ასეთ სკოლებში შრომის პროცესში ჰარმონიულად ეითარდება მოსწავლის მთელი სხეული – ხელები, ფეხები, თვალები, ყურები, კუნთები.

ივ. როსტომაშვილი მოსწავლეთა ზოგადი განათლებით აღჭურვის ნაცვლად მოითხოვდა მათი „თავისა" და „გულის აესებას" „ცხოვრების სიბრძნით", ანუ „ცხოვრებისათვის გამოსადეგი" ცოდნით. იგი უარყოფდა „წიგნურ" სწავლებას,

„წიგნურ“ სკოლას, რომელიც, მისი აზრით, ხრღიდა „ცხოვრებისაგან დაშორებულ განდეგილებს“ და მხარს უჭერდა „ცხოვრებისა და შრომის სკოლის მოწყობას, სწავლებაში სამეურნეო-სახელოსნო-სამრეწველო ელემენტების“ შეტანას (104, 234). მისი აზრით, ასეთ სკოლებში მარტ-აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით „სწავლა უმთავრესად მინდორ-ბაღებსა და სახელოსნოებში“ უნდა წარმართულიყო, „წიგნური სწავლება“ კი უნდა დაწყებულიყო ნოემბრიდან, როცა სოფლებში სამეურნეო საქმეები დამთავრდებოდა.

აღნიშნულ სკოლებს უნდა ჰქონოდა საკუთარი მეურნეობა და სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები, მასწავლებლების ხელმძღვანელობით, იმუშაებდნენ, შეისწავლიდნენ მეურნეობის მართვასა და სახელოსნო საქმეს. ამ გზით, როსტომაშვილის აზრით, სკოლა ყოველწლიურად მიიღებდა 10 000 მანეთზე მეტ შემოსავალს, რომელიც თანამშრომელთა ხელფასების ჩათვლით დაფარავდა ყოველგვარ ხარჯებს.

სკოლას უნდა ჰყოლოდა: ზედამხედველი, მეცნიერებათა მასწავლებელი, აგრონომი, ხელგარჯილობის და სიმღერის მასწავლებელი. თითოეულ მასწავლებელზე გათვალისწინებული იყო 20 მოსწავლე. მათი ასაკი განისაზღვრებოდა 8-10 წლით. მოსწავლეების მუშაობის დროს ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ისეთ საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობდა ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილებებისა და ეკონომიკურ-გეოგრაფიული პირობებიდან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულში აშკარად ჩანს ამერიკული პრაგმატისტული პედაგოგიკის ერთ-ერთი წარმომადგენლის, *ჯონ დიუის* იდეა სკოლის შრომის სკოლად გადაქცევის შესახებ, რომლის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ი. გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე და სხვები. ისინი ვერ ურიგდებოდნენ სკოლებში, ზოგადი განათლების ხარჯზე, ნაადრევი სპეციალიზაციის შემოღებას და სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მის მომხრეებს.

ამრიგად, ცოდნის შეძენის ნაცვლად შრომის წინა პლანზე წამოწევა, სახალხო სკოლებში ნაადრევი სპეცია-

ლი'საციის შემოღება, სწავლისადმი საქმოსნური დამოკიდებულება და „ბავშვის ბუნებისადმი" ბრმა მორჩილების ქადაგება, – როსტომაშვილის ძირითადი პედაგოგიკური კრედო იყო (104. 242).

იე. როსტომაშვილს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული მოსწავლეთა *ზნეობრივი აღზრდის* შესახებაც. იგი გმობდა ძველ სკოლას, რომელშიც სწავლების ძირითად დანიშნულებად მიჩნეული იყო მოსწავლეთა გონების გამდიდრება ცოდნით და არა მათი აღზრდა. მოსწავლეთა ზნეობრივი აღ'ზრდისათვის როსტომაშვილს საკმარისად არ მიაჩნდა სალმრთო სჯულის დოგმატების ზეპირობა. ახალგაზრდობის მორალური ფორმირების ხანას იგი 2 პერიოდად ყოფდა: დაბადებიდან 14-15 წლამდე და მის შემდეგ პერიოდებად. პირველ პერიოდში იგი მოითხოვდა, სალმრთო სჯულთან ერთად, სპეციალურად შერჩეული, ზნეობრივად გამართული, საუკეთესო შინაარსის მქონე იგავ-არაკების, ხალხური თქმულებების და სხვა მასალის გაცნობას. ხოლო მეორე პერიოდში – ყურადღება უნდა მიქცეოდა ზნეობრივი იდეების შემცველ საუკეთესო ნაწარმოებთა და გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიების კითხვასა და ხალხის წინაშე მოვალეობის პირნათლად შესრულების საუკეთესო მაგალითების ჩვენებას, მსოფლიოს სახელოვან ადამიანთა ბიოგრაფიებზე და საუკეთესო ნაწარმოებთა გმირების მაგალითებზე აღ'ზრდას, რასაც სხვა კლასიკოსი პედაგოგებიც მოითხოვდნენ.

მოსწავლეთა *ფიზიკური აღზრდისა* და მათი ჯანმრთელობის გაკაჟების მიზნით როსტომაშვილი, შრომასთან ერთად, დიდ როლს ანიჭებდა ტანვარჯიშს, თამაშობებს, სპორტს, მახლობელ და შორეულ ექსკურსიებს და სხვ. მაგრამ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, მისი სამართლიანი აზრით, სასკოლო ასაკში როდი იწყება. მასზე ზრუნვა უნდა დაიწყოთ ბავშვის ჩასახვის პირველი დღეებიდანვე და შემდგომ მისი დაბადებისთანავე. გარდა ამისა, საჭიროა ბავშვის ნორმალური კვება, ფიზიკური ვარჯიში, თამაში და სუფთა ჰაერზე ყოფნა.

როსტომაშვილს ყურადღების გარეშე არც *დიდაქტიკის საკითხები* დაუტოვებია. იგი, სხვა ქართველი განმანათლებლების მსგავსად, მოითხოვდა IV კლასამდე ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლებას, შემდეგ კი რუსულ ენაზე, მაგრამ მას რუსული ენის ლექსიკური გაკვეთილების შემოღება დასაშვებად მიაჩნდა პირველი კლასიდანვე, რაც ქართველ პედაგოგთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

როგორც ცნობილია, ძველი სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი იყო სწავლებისა და აღზრდის ერთმანეთისაგან გათიშულობა. ამგვარი გათიშულობის წინააღმდეგ იბრძოდა როსტომაშვილი. მისი სამართლიანი აზრით, „სწავლა და აღზრდა ორი განუყოფელი საგანია," ერთი მთლიანი პროცესია. ამიტომ ყოველი გაკვეთილი *აღმზრდელობით ხასიათს* უნდა ატარებდეს, ისევე როგორც ყოველი აღმზრდელობითი მოქმედება სწავლების გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავს. ამიტომაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველი მასწავლებელი იმავე დროს აღმზრდელიც არის. ყოველი გაკვეთილი ასეთი მასწავლებლისა იმავე დროს საალმზრდელო მიზნებსაც ემსახურება" (104, 246).

ი. როსტომაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა მასწავლებლის მიერ გადასაცემი საგაკვეთილო მასალის საყუძვლიან ცოდნას, მისი შინაარსის „სრული სიგრძე-სიგანისა და სიძნელე-სიადვილის" გათვალისწინებას. „კარგი გაკვეთილი იგია, – წერს როსტომაშვილი, – რომელიც სამუდამოდ ჩაებეჭდება მოსწავლეს, გახდება მისი ხსოვნისა და გულის სრულ საკუთრებად" (104, 247). აქ გამოცდილი პედაგოგი ძირითადად გულისხმობს სწავლების პროცესში შეგნებულობის, სისტემატურობისა და თანმიმდევრობის დიდაქტიკური პრინციპის დაცვას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა.

როსტომაშვილს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული *პიროვნების ფორმირების ფაქტორებზეც*. მისი შეხედულებით, ყოველ ბავშვს თან დაჰყვება ამა თუ იმ საგნის შესწავლის ნიჭი, ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის შეთვისების უნარი და მიდრეკილება, რაც უადვილებს მას სწავლას.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელი უნდა ცდილობდეს ბავშვის თანდაყოლილი ნიჭის გამოვლენასა და მის „გახსნას“. ამისათვის მან კარგად უნდა შეისწავლოს ოითოეული აღსაზრდელის ინდივიდუალური თავისებურებანი და მათზე დაყრდნობით წარმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

ი.ჭ. როსტომაშვილის დამსახურება ქართველი სალხისა და ქართული მეცნიერული პედაგოგიკის წინაშე საკმაოდ დიდია. იგი სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, დაუცხრომლად იბრძოდა მშობლიურ ენაზე სწავლების უპირატესობისათვის, დემოკრატიული სახალხო სკოლისა და სწავლების საერ პედაგოგიკურ საწყისებზე დაფუძნებისათვის. ი. როსტომაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც დაამუშავა სკოლამდელი აღზრდის თეორიის საკითხები. 1894 წელს მან გამოაქვეყნა ერცელი წერილი „სკოლა სეირნობისა ანუ საბავშვო ექსკურსიატი“, სადაც იგი აკრიტიკებს ფრებელის სკოლამდელი აღზრდის სისტემას და ავითარებს იმ აზრს, რომ საჭიროა არა კარნაკეტილობა, არამედ ყოველდღიური სეირნობები და სხვადასხვა მოძრაობები.

ი.ჭ. როსტომაშვილის შეხედულებები სწავლების აღმზრდელობითი ხასიათისა და სკოლის ცხოვრებასთან კავშირის შესახებ დღესაც აქტუალურია.

თ ა ვ ი XVII

სახალხო განათლება XX საუკუნის დასაწყისში (1901-1917)

1. სახალხო განათლების საკითხები და მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა

XX საუკუნის დასაწყისში მშრომელთა რევოლუციურმა ბრძოლამ ფართო სახიათი მიიღო, განსაკუთრებით 1905-1907 წლებში. რევოლუციური მოძრაობა არ შეწყვეტილა საქართველოში რეაქციის პერიოდშიც. მან ახალი დიდი აღმავლობა განიცადა 1911 წლიდან და გაგრძელდა იმ დრომდე, სანამ არ დაემხო მონარქიული წყობილება რუსეთში.

საქართველო თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში. ამ მხრივ მას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა მთელ რუსეთის იმპერიაში. საქართველოში მასობრივ რევოლუციურ გამოსვლებს, შეიარაღებულ ავანყებებს, სისხლისმღვრელ შეტაკებებს ადგილი ჰქონდა არა მარტო ქალაქებსა და დაბებში, არამედ სოფლებშიც.

ყოველივე ამან დიდი გავლენა მოახდინა სახალხო განათლების მდგომარეობასა და განვითარებაზე და დიდად განსაზღვრა საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობის ხასიათი, შინაარსი და მიმართულება.

რსდმპ პარტიის II ყრილობაზე 1903 წელს მიღებულ იქნა პროგრამა, რომელშიც ასახულა პოვა სახალხო განათლებისა და სკოლის თითქმის ყველა ძირითადმა საკითხმა, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფდა სახალხო განათლების სისტემის სრულ გარდაქმნას.

გამომდინარე რსდმპ პროგრამიდან, საქართველოს მშრომელები სახალხო განათლების დარგში აყენებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. საყოველთაო-სავალდებულო უფასო სწავლების შემოღებას ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლის ასაკამდე;

2. მშობლიურ ენაზე სწავლებას;

3. ღარიბ მოსწავლეთა უფასოდ კვებას, მათ უზრუნველყოფას სასწავლო ნივთებითა და ტანსაცმლით;

4. სახალხო განათლების მთლიანი სისტემის ღიაწესებას, რომელიც უზრუნველყოფდა მოსწავლეთა გადასვლას ერთი საფეხურის სკოლიდან მეორე უფრო მაღალი საფეხურის სკოლაში;

5. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მისაწვდომობას მშრომელთა შვილებისათვის;

6. სახალხო განათლების დარგში ყოველგვარი ეროვნული, წოდებრივი და რელიგიური შეზღუდვის მოსპობას;

7. სასწავლო პროგრამების გარდაქმნას, ისე რომ სწავლებას სკოლაში შეიარაღებინა მოსწავლეები ცხოვრებაში საჭირო ცოდნითა და მომზადებით;

8. სკოლების ფართო ქსელის შექმნას და მოსახლეობის მოთხოვნილებების დააკმაყოფილებას.

სახალხო განათლების დარგში გამოყენებული იყო ბრძოლის ისეთი ფორმები, როგორიცაა, მაგალითად, სკოლისათვის ბოიკოტის გამოცხადება, სკოლის დახურვა, სასწავლო გადასახადის გადაუხდელობა. გარდა ამისა, ზოგჯერ გლეხები აიძულებდნენ მასწავლებელს, დაეტოვებინა სკოლა და შეწყვიტა მეცადინეობა. ამას ემარებოდა თვითონ მასწავლებელთა გაფიცვები, მოსწავლეთა გამოსვლები და სხვ. სკოლებში მეცადინეობა ხშირად იშლებოდა. ბევრი სკოლა თვეობით დახურული იყო. მაგალითად, 1905 წლის მარტიდან მაისამდე თბილისის გუბერნიაში დაიკეტა 37 სკოლა.

ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ მთავრობა იძულებული გამხდარიყო რაიმე ღონისძიება მაინც გაეტარებინა მშრომელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

2. მასწავლებლობა და რევოლუცია. მასწავლებლობა აქტიურად იყო ჩაბმული რევოლუციურ მოძრაობაში. იგი, მუშებთან და გლეხებთან ერთად, გამოდიოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, აწყობდა გაფიცვებს, ატარებდა

კრებებსა და მიტინგებს, აყენებდა პედაგოგიურ მოთხოვნებს და იბრძოდა მათი შესრულებისათვის.

1905 წლის 24 მარტს შედგა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობა, რომელიც მიეძღვნა 9 იანვრის ამბებს. ყრილობა პოლიტიკური ხასიათის იყო და მიმდინარეობდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „...ახლა მშვიდობიანი კულტურული საქმიანობის დრო არ არის... ჩვენ თავს ვანებებთ მუშაობას, ვწყვეტთ მეცადინეობას. ჩვენ მებრძოლთა რიგებში ვდგებით, ჩვენს ხმას ვუერთებთ მებრძოლი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ხმას“ (118, 199).

ეს რეზოლუცია დაბეჭდა და გაავრცელა პროკლამაციის სახით რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა.

ამავე წლის 13 აპრილს ჩატარდა თბილისის მასწავლებელთა კრება, რომელსაც დაესწრო 300-ზე მეტი კაცი. კრებამ იმსჯელა და წამოაყენა თავისი მოთხოვნები.

1905 წლის 8 მაისს თბილისის გუბერნიის სოფლის მასწავლებელთა კრებამ მიიღო დადგენილება სკოლებში მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ.

მასწავლებლობა მოითხოვდა საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოღებას, ყველა საგნის სწავლებას მშობლიურ ენაზე, სახალხო განათლების მთლიანი სისტემის შექმნას, სპეციალური სკოლების დაარსებას, მასწავლებელთა ხელფასის მომატებას და სხვ. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ მოთხოვნების წამოყენებით. რიგ შემთხვევაში, თვითონვე ცდილობდნენ პროგრამებს, სასწავლო გეგმებსა და სწავლებას, გაკვეთილებს ატარებდნენ მშობლიურ ენაზე.

1905 წლის აგვისტოში ქ. ქუთაისში შედგა სახალხო მასწავლებელთა კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება, სექტემბრიდან მეცადინეობა დაეწყოთ სკოლებში ახალი პროგრამებით, რომელიც ამავე კრების მიერ გამოყოფილმა კომი-

სიამ მყიმეშავა. ამ პროგრამის მიხედვით სწავლების კურსი სკოლებში საგრძნობლად ფართოვდებოდა.

ადმინისტრაცია შეშფოთებული იყო მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაში მასწავლებელთა მონაწილეობით და ყოველგვარ ზომებს იღებდა მის ჩასახშობად. ამ მიზნით იგი აპატიმრებდა რიგ მასწავლებლებს, ათავისუფლებდა სამსახურიდან, უკავებდა ხელფასს, ასახლებდა ბინიდან და სხვ. ბევრი მასწავლებელი გადაასახლეს შორეულ მხარეში.

ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა 1906 წლის 4 ივლისს დაარბიეს თბილისის ქართული გიმნაზია და ვერაგულად მოკლეს მისი დირექტორი, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე *შიო ჩიტაძე.*

3. მოსწავლეთა მონაწილეობა რევოლუციაში. საქართველოში მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობა XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის დასაწყისიდან. მოსწავლეთა პირველ მასობრივ-პოლიტიკურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა 1904 წლის 3 თებერვალს ქ. ქუთაისში. ამ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიის, კლასიკური გიმნაზიის, რეალური სასწავლებლისა და სხვა სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლეები. ამ გამოსვლების გამო ქუთაისის სასულიერო სემინარია სამუდამოდ დახურეს.

მოსწავლეთა დემონსტრაციებს, გაფიცვებსა და გამოსვლებს სისტემატური და ფართო ხასიათი ჰქონდა როგორც თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა ქალაქებში, ისე დაბებსა და სოფლებშიც. მათი გამოსვლები არ შეწყვეტილა რეაქციის პერიოდშიც. მოსწავლეებს გააჩნდათ თავიანთი წრეები და ორგანიზაციები, უშეებდნენ პროკლამაციებს და გაზეთებს.

ადმინისტრაცია სასტიკ ზომებს იღებდა მოსწავლეთა მოძრაობის წინააღმდეგ. ხურავდა ცალკე კლასებსა და სკოლებს, რიცხავდა სკოლიდან აქტივისტ მოსწავლეებს, აპატიმრებდა და ასახლებდა ქალაქებიდან და სხვ. მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა მოძრაობა არ ცხრებოდა.

1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვებთან დაკავშირებით საქართველოში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა ღიდ გამოსვლებს. ამის საპასუხოდ, საქართველოში მოქმედმა შაურაზმელმა მონარქიულმა ორგანიზაციამ, ჯარის ნაწილებთან ერთად, 1905 წლის 22 ოქტომბერს დაარბია თბილისის ვაჟთა გიმნაზია, მოკლეს 38 და დაჭრეს 66 მოსწავლე და გარეშე პირი. ამ აღმაშფოთებელმა მოვლენამ საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია მთელს საქართველოში. შეწყდა მეცადინეობა სკოლებში, მოეწყო სამგლოვიარო დემონსტრაციები და მიტინგები ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, თელავში, გორში და სხვა ქალაქებსა და დაბებში. ამ გამოსვლებში მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ მათი მშობლები და გარეშე პირებიც.

მოსწავლეები იყენებდნენ ასაფეთქებელ მასალებს და ბრძოლის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: გაკეთილების გაცდენა, საშინაო დავალებების შეუსრულებლობა და სხვ.

1908 წლის 29 მარტს მოსწავლეებმა ყუმბარა ააფეთქეს ბათუმის გიმნაზიის შენობაში. ამას მოჰყვა ბათუმის გიმნაზიის V, VI, VII კლასების დახურვა წლის ბოლომდე, 17 მოსწავლის გარიცხვა გიმნაზიიდან და გადასახლება ბათუმის ოლქიდან.

1910 წელს თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლემ *შ. თაქლგირიძემ* მოკლა ამავე გიმნაზიის მასწავლებელი *ტროიცკი*. 1911 წლის 2 ოქტომბერს მოსწავლეთა ჯგუფი თავს დაესხა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლების დირექტორებს მოკვლის მიზნით. 1912 წლის 11 თებერვალს ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მოსწავლეებმა მოაწყვეს დემონსტრაციული გამოსვლა სასწავლებლის უფროსის წინააღმდეგ, ქუთაისის სკოლების მოსწავლეებმა დადგენილებაც კი გამოიტანეს ქუთაისის გუბერნატორის მოკვლის შესახებ.

მთელს კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მოსწავლეთა მოძრაობას იმდენად მწვავე და სისტემატური ხასიათი მიეცა, რომ ეს საკითხი 1908 წელს სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. სათათბი-

როს მემარჯვენე დეპუტატები მთავრობისგან მოითხოვდნენ კავკასიის სკოლებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას.

მოსწავლეები იბრძოდნენ სკოლაში არსებული პოლიციური რეჟიმისა და უყარგისი სწავლა-აღზრდის სისტემის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ:

1. საყოველთაო-სავალდებულო, უფასო განათლების შემოღებას ორივე სქესის ბავშვებისათვის, განურჩევლად ეროვნებისა და სოციალური წარმოშობისა;

2. ღარიბ მოსწავლეთა უზრუნველყოფას საჭმლით, ტანსაცმლითა და სასწავლო ნივთებით სახელმწიფოს ხარჯზე;

3. სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფას, საღვთო რჯულის ამოღებას სწავლების კურსიდან, საყალდებულო რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულების გაუქმებას;

4. მოსწავლეთა სრულ თანასწორუფლებიანობას, განურჩევლად სქესისა, რელიგიისა და ნაციონალობისა;

5. ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლებას;

6. გადასაყვანი გამოცდების გაუქმებას;

7. მოსწავლეთა ამხანაგური ორგანიზაციებისა და სასამართლოების ჩამოყალიბებას;

8. მასწავლებელთა მხერივ მოსწავლეთა პატივისცემასა და მათდამი თავაზიან დამოკიდებულებას;

9. სპექტაკლებსა და საჯარო კრებებზე თავისუფალი დასწრების უფლებას;

10. მოსწავლეებზე მეთვალყურეობის გაუქმებას;

11. ფიზიკური დასჯის აკრძალვას;

12. პროგრამების გადასინჯვასა და სწავლების კურსის შეცვლას;

13. სასწავლო გადასახადების გაუქმებას და სხვ.

4. სკოლა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში.

საქართველოში სახალხო განათლების ერთ-ერთი მწვავე საკითხი იყო მშობლიურ ენაზე სწავლება. აჯამებდა რა თავის მუშაობას, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი *ზავადსკი,* რომელმაც იანოვსკი შეცვალა, წერდა: „...ოლქის

მმართველობისა და საერთოდ სკოლების დირექციების ზრუნვის წყალობით და აგრეთვე რუსული ენის სწავლების დროს ეგრეთ წოდებული ბუნებრივი მეთოდის გამოყენებით, ამჟამად პირველდაწყებითი სკოლების უმეტეს ნაწილში (92,4 %) სწავლება წარმოებს მარტო რუსულ ენაზე. ხოლო ისეთი სკოლები, სადაც სწავლება დედაენაზე იყო, ამჟამად სრულებით არ არის" (103, 8).

კავკასიის სასწავლო ადმინისტრაცია იძულებული გახდა ამ საკითხში ერთგვარ დათმობაზე წასულიყო. მან აღადგინა 1881 წლის სასწავლო გეგმა და არასაკმარისად გამოაცხადა მუნჯური მეთოდის გამოყენება სწავლების პროცესში. კავკასიის სასწავლო ადმინისტრაციამ შექმნა კომისია ცნობილი ქართველი პედაგოგის *ალექსი ჭიჭინაძის* ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა არარუსული დაწყებითი სკოლების რეფორმის პროექტის შემუშავება. მაგრამ დაწყებით სკოლებში არავითარი რეფორმა არ გატარებულა. კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი განუხორციელებელი დარჩა. სამაგიეროდ საეკლესიო-სამრევლო სკოლებმა 1905 წლის შემოდგომიდან მუშაობა დაიწყეს ახალი სასწავლო გეგმით. ამ გეგმის მიხედვით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა მშობლიურ ენას.

საშუალო სკოლების ხაზით გატარდა შემდეგი ღონისძიებანი: ძველი სლავური ენა ამოღებულ იქნა სწავლების კურსიდან, როგორც ცალკე საგანი; VII-VIII კლასებში შემოღებულ იქნა ფილოსოფიისა და კანონთმცოდნეობის შესავალი კურსის სწავლება; რეალური სასწავლებლებისა და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთ მიენიჭათ უნივერსიტეტში შესვლის უფლება განსხვავებული საგნების ჩაბარებით.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში არაერთხელ დაისვა საკითხი თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიების რეორგანიზაციების შესახებ. ამ მიზნით *შ. ჩიტაძის* ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა საკმაოდ ვრცელი და მეტად საინტერესო პროექტი, რომელიც ფართო განხილვის საგნად იქცა. ამ ბრძოლაში ერთ მხარეს იყო

გიმნაზიების პედაგოგიური კორპორაცია და მეორე მხარეს თავადაზნაურობა. ამ უკანასკნელთ მისანშეწონილად არ მიაჩნდათ მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გიმნაზიების შინაგანაწესში. ამიტომ გიმნაზიების რეორგანიზაცია ვერ მოხერხდა. ეს საკითხი კიდევ არაერთხელ დაისვა დღის წესრიგში შემდეგ წლებშიც, მაგრამ არც ამას მოჰყოლია არსებითი ცვლილებები.

5. სახალხო განათლება რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

1905-1917 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაიწყო სტოლიპინის სისხლიანი რეაქციის თარეში. კავკასიაში ამ შავბნელი საქმის მეთაური და ორგანიზატორი იყო სასწავლო ოლქის ახალი მზრუნველი *ნ. თ. რუდოლფი.* მან თავის პირველ ამოცანად დაისახა რევოლუციის ყველა მონაპოვრის ლიკვიდაცია და ისევ ძველი მდგომარეობის აღდგენა სკოლებში. ამ მიზნით მან გაილაშქრა, პირველ ყოვლისა, პროგრესულად განწყობილ მასწავლებელთა წინააღმდეგ. ბევრი მათგანი გაათავისუფლა მასწავლებლობიდან, მასწავლებელთა დიდი ნაწილი კი დააპატიმრეს და გადაასახლეს შორეულ მხარეში.

სასტიკი ზომები გაატარეს მოსწავლეთა მიმართაც. ყოველი მცირე მიზეზის გამო, ზოგჯერ უმიზეზოდაც კი, მოსწავლეებს სასტიკად სჯიდნენ. აღდგენილ იქნა მათზე მეთვალყურეობის ძველი სისტემა. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები მოსწავლეებთან ანგარიშსწორების საშუალებად გადაიქცა. ისევ დაიწყო რუსიფიკატორული პოლიტიკის მიელი სისასტიკით გატარება. სკოლებში იმდენად მძიმე და აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა, რომ კავკასიის მეფის ნაცვალი *ვორონცოვ-დაშკოვი* იძულებული გახდა მიეთითებინა ამის შესახებ სასწავლო ოლქის მზრუნველ რუდოლფისათვის.

ცხადია, რეაქციის ახალ შემოტევას სახალხო განათლების დარგში სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და პროგრესული ინტელიგენცია.

ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

ძველი მდგომარეობის მთლიანად აღდგენა სახალხო განათლების დარგში შეუძლებელი შეიქმნა, მაგრამ თვითმპყრობელობა იძულებული გახდა, წასულიყო ამ მიმართებით გარკვეულ დათმობებზე და გაეტარებინა ზოგიერთი ღონისძიება. მაგალითად, 1914 წლის 14 იელისს გამოიცა კანონი კერძო სასწავლო დაწესებულებათა შესახებ, რომელიც უფლებას ანიჭებდა კერძო პირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შემოეღოთ მშობლიურ ენაზე სწავლება მათ მიერ გახსნილ სკოლებში. რიგი ცვლილებები შეიტანეს საშუალო სკოლების სწავლების შინაარსსა და მუშაობის სისტემაში.

6. დაწყებითი განათლება. 1915 წლისათვის დაწყებით სასწავლებელთა რიცხვი საქართველოში 1648-მდე გაიზარდა, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობამ მათში 124.721-ს მიაღწია. 1901 წლიდან 1915 წლამდე საქართველოში გაიხსნა 629 ახალი დაწყებითი სასწავლებელი. ამავე პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 62.592-ით.

მიუხედავად ამისა, სკოლების ეს ქსელი სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. 8-11 წლის ასაკის ბავშვთა 50% სკოლის გარეთ იყო დარჩენილი.

დაწყებითი სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა მეტწილად ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა. ბევრ დაწყებით სკოლას საკუთარი შენობა არ გააჩნდა და დაქირავებულ ქოხში იყო მოთავსებული. სახალხო სკოლების შესანახი ხარჯების დიდი ნაწილი ისევ მოსახლეობას აწვა მძიმე ტვირთად.

მასწავლებელთა უმრავლესობას ზოგადი და პედაგოგიური მომზადება არ გააჩნდა. 1914 წელს საქართველოში განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებში 1679 მასწავლებელი მუშაობდა. მათ შორის უმაღლესი განათლება ჰქონდა მხოლოდ 2-ს, სპეციალური პედაგოგიური მომზადება — 768-ს, ზოგადი საშუალო და დაწყებითი განათლება — 1167-ს.

7. საშუალო განათლება. 1916 წლის 1 იანვრისთვის საქართველოში 45 საშუალო ტიპის სასწავლებელი და 6 პროგიმნაზია არსებობდა. მათ შორის: ვაჟთა გიმნაზია — 12, ქალთა გიმნაზია — 11, რეალური სასწავლებელი — 3, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი — 3, სასულიერო სემინარია — 1, კომერციული სასწავლებელი — 4, ქალთა ინსტიტუტი — 1, ქართული კერძო გიმნაზია — 2, ქალთა კერძო გიმნაზია — 2, ქალ-ვაჟთა კერძო გიმნაზია — 2, საზოგადოება „სინათლის" ქალთა საშუალო სკოლა — 1. ყველა ტიპის სკოლებსა და პროგიმნაზიებში სწავლობდა 22.000-მდე მოსწავლე.

საშუალო სკოლების ეს ქსელი სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. გარდა ამისა, იგი მისაწვდომი იყო მხოლოდ მდიდართა წრის შვილებისათვის.

საშუალო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა უკეთესი იყო, ვიდრე სახალხო სკოლებისა. მიუხედავად ამისა, განათლების სამინისტროს სისტემის 29 საშუალო სკოლიდან 15-ს არ ჰქონდა საკუთარი შენობა.

სწავლების შინაარსის მხრივ საქართველოს საშუალო სკოლები არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის სხვა გუბერნიების საშუალო სკოლებისგან. ადგილობრივი ენების სწავლება დაშვებული იყო მხოლოდ მსურველთათვის. ეს საგანი სასწავლო გეგმაში არ შედიოდა. ადგილობრივი ენის მასწავლებელი გიმნაზიის შტატში არ ირიცხებოდა.

ობილისისა და ქუთაისის ქართულ გიმნაზიებს თავიანთი სასწავლო გეგმები ჰქონდათ, რომლებიც ითვალისწინებდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის სწავლებას სხვა სასწავლო დისციპლინების თანაბრად. სხვა მხრივ, ქართული გიმნაზიების სასწავლო გეგმა და პროგრამები ისეთივე იყო, როგორც სახაზინო გიმნაზიებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული გიმნაზიების კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებლებში არ მიიღებდნენ.

ქართული გიმნაზიების მასწავლებლები პოლიციის ფარული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. გიმნაზიებს სახელმწიფო არავითარ დახმარებას არ უწევდა, მათი შე-

სანახი ხარჯები მთლიანად სასწავლო გადასახადებით, კერძო პირთა შემოწირულებითა და საზოგადოებრივი სახსრებით იფარებოდა.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიები დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ. მათი როლი ქართული კულტურის განვითარებაში განუზომლად დიდია.

8. პროფესიული განათლება. კაპიტალიზმის განვითარების პირობებში პროფესიულ მომზადებაზე მოთხოვნილება დიდად გაიზარდა. მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, ვაჭრობას კვალიფიციური კადრები სჭირდებოდა, რითაც საქართველო დიდად ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნებს.

1916 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში არსებობდა სულ 24 პროფესიული სასწავლებელი. მათ შორის ამზადებდნენ კადრებს: მრეწველობისათვის — 6, სოფლის მეურნეობისათვის — 6, სავაჭრო დაწესებულებებისათვის — 9, სამედიცინო სამსახურისათვის — 3. ყველა ამ სასწავლებელში სწავლობდა 2080 მოსწავლე. გარდა ამისა, არსებობდა ასევე 4 კომერციული სასწავლებელი.

საქართველოში არსებული პროფესიული სასწავლებლები ვერ იძლეოდნენ სრულყოფილ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას. შედარებით უკეთ იყო დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში და თბილისისა და ბათუმის სახელოსნო სასწავლებლებში.

9. პედაგოგიური განათლება. პირველი პედაგოგიური სასწავლებელი საქართველოში გაიხსნა 1866 წელს. ეს იყო თბილისის ალექსანდრეს სახელობის საოსტატო სემინარია, რომელიც 1872 წელს სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა. იგი ამზადებდა კადრებს ამიერკავკასიის საქალაქო, შემდეგში უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლებისათვის.

ინსტიტუტში იღებდნენ კონკურსის წესით საქალაქო და უმაღლეს დაწყებით სასწავლებელდამთავრებულებს. სწავლების კურსი 4-წლიანი იყო. ინსტიტუტთან არსებობდა პან-

სიონი სახელმწიფოს ხარჯზე. რომელთა რიცხვი 60-ს აღწევდა. აქ მოსწავლეები გადიოდნენ თეორიულ და პრაქტიკულ პედაგოგიურ მომზადებას. პედაგოგიური პრაქტიკა ტარდებოდა ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში.

სხვა საგნებთან ერთად, ინსტიტუტში ისწავლებოდა პედაგოგიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ხოლო ცალკეული დისციპლინების სწავლების მეთოდიკები დაკავშირებული იყო პედაგოგიურ პრაქტიკასთან.

ინსტიტუტი ამზადებდა მასწავლებლებს საქალაქო და უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლებისათვის, რომელთაც უნდა ესწავლებინათ ყველა საგანი. ცხადია, მასწავლებელთა საყურადღებო მომზადება ასეთი ფართო პროფილით შეუძლებელი იყო და ამიტომაც დღის წესრიგში იდგა ინსტიტუტში ცალკეული ფაკულტეტების ჩამოყალიბების საკითხი, მაგრამ იმ პერიოდში ამის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა.

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში 1901 წელს ირიცხებოდა 84 მოსწავლე, 1915 წელს კი — 128. ინსტიტუტი საშუალოდ წელიწადში უშვებდა 14-15 მასწავლებელს, რაც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს.

დაწყებითი სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა კადრებს ამზადებდნენ გორისა და ხონის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიები. გორის სემინარია გაიხსნა 1876 წელს, ხონისა კი — 1881 წელს. გორის სემინარია მასწავლებელთა კადრებს ამზადებდა ქართული, რუსული და აზერბაიჯანული სკოლებისათვის, ხონის სემინარია კი — ქართული სკოლებისათვის.

მესამე სემინარია გაიხსნა ქალაქ სოხუმში 1915 წელს. სემინარიებში მოსწავლეებს იღებდნენ კონკურსის წესით, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი. სწავლების ხანგრძლივობა სემინარიაში, მოსამზადებელი განყოფილების ჩათვლით, იყო 4 წელი.

სამასწავლებლო სემინარიებს გააჩნდათ საკმაოდ კარგი სასწავლო-მატერიალური ბაზა. სემინარიებთან არსებობდა

პანსიონი სახელმწიფოს ხარჯზე. მოსწავლეთა უმრავლესობას გლეხის შვილები შეადგენდნენ.

10. უმაღლესი განათლება. როგორც აღვნიშნეთ, რეფორმამდელ საქართველოში მხოლოდ 1 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა. ეს იყო თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები, რომელიც 1909 წელს გაიხსნა ქალთა ერთი ჯგუფის ინიციატივით. კურსებს თავიდან ჰქონდა 2 განყოფილება ანუ ფაკულტეტი – ისტორია-ფილოლოგიური და საბუნებისმეტყველო. სწავლების ხანგრძლივობა იყო 3 წელი, 1912 წლიდან კი სწავლების ხანგრძლივობა გახდა 4 წელი.

კურსების ხარჯები იფარებოდა სასწავლო გადასახადებითა და შემოწირული თანხებით, სახელმწიფო კი არავითარ დახმარებას არ აძლევდა. ამიტომ კურსების ფინანსური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ადმინისტრაციული პერსონალი მეტწილად უხელფასოდ მუშაობდა, მასწავლებლებს კი ეძლეოდათ ძალზე დაბალი ხელფასი.

კურსებზე ყოველწლიურად 100-მდე მსმენელს იღებდნენ, მათგან სწავლის კურს ამთავრებდა მხოლოდ 10-15, რაც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა იმდროინდელ მოთხოვნებს.

11. მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა. რეფორმამდელ საქართველოში თვითმპყრობელობის მძიმე უღელქვეშ გმინავდა არა მარტო მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, არამედ მასწავლებლობაც. მათი ხელფასი ცხოვრების ელემენტარული მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. „ჩვენი ჯამაგირი... ოცდაათი მანეთია, – წერს ერთ-ერთი მასწავლებელი. – ამაზე მეტი ღაცინება და მასხრად აგდება განათლებისა კიდევ იქნება? ლაქია, ნოქარი, დარაჯი მეტი უზრუნველყოფილია, ვიდრე მასწავლებელი. 30 მანეთით თავი უნდა შეინახო, ტანისამოსი უნდა იყიდო, გაზეთი უნდა გამოიწერო, ოჯახს უნდა მიხედო და სხვ...“ (104, 66). ამასთან, ის მცირე ხელფასიც მასწავლებლებს ხვეწნა-მუდარის მიუხედავად დროზე არ ეძლეოდათ.

ოფიციალური მონაცემებით, 1914 წელს საქართველოს სახალხო სკოლებში უხელფასოდ მუშაობდა 10 მასწავლე-

ბელი, წელიწადში 50 მანეთზე ნაკლებს იღებდა 106 მასწავლებელი, 50-100 მანეთს – 442, 100-150 მანეთს – 120, 150-200 მანეთს – 69, 200 მანეთზე მეტს – 52 (103, 67).

სახალხო მასწავლებელთა უფლებრივ მდგომარეობას ჟურნალი „განათლება“ ასე ახასიათებს: „...ჩვენში მასწავლებელი დაბალ ღობედაა ცნობილი... მისი ნაწიხლება ყველას დაუსჯელად ჩაუვლის. შეიძლება ამისათვის მადლობაც კი მიიღოს, ვისგანაც ჯერ არს“ (103, 67).

ასეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ არა მარტო ქალაქის მასწავლებლები, არამედ სოფლის მასწავლებლებიც. მათ თვითმპყრობელობა სასტიკი რეპრესიებით უმასპინძლდებოდა. 1910 წელს დაბა ჩოხატაურის ბოქაულმა – *იგანიუკმა* გზაში მიმავალი მასწავლებელი გალახა იმის გამო, რომ მას გრძელი თმები ჰქონდა, რაც „მარქსის სახეს აგონებდა“. ბოქაულის ბრძანებით მასწავლებელი სასწრაფოდ გაკრიჭეს და ციხეში შეაგდეს (103, 66).

ასეთი ვითარება იყო საქართველოში 900-იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებით პ. სტოლიპინის რეაქციის პერიოდში.

თ ა ვ ი XVIII

ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიკური შეხედულებანი

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველ პედაგოგთა შორის გამოირჩეოდა *ლუარსაბ ბოცვაძე* (1865-1919), რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სწავლა-განათლების დანერგვისა და ახალგაზრდების ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში.

ლუარსაბ ბოცვაძე იყო ქართველ განმანათლებელთა უკანასკნელი წარმომადგენელი. ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი და სხვები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ლუარსაბის საგანმანათლებლო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი პედაგოგიკური თხზულებების პირველი ტომის რედაქტორი, პოეტი ხ უ ტ ა ბ ე რ უ ლ ა ე ვ ა წერს: „ლუარსაბ ბოცვაძე! ეს სახელი დასტურ მშობლიურია და ძვირფასი ქართველი ხალხისათვის, რომლის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში დაიფერფლა დიდებული პედაგოგი, მოღვაწე, ადამიანი.

შთამომავლობის ვალია მოწიწებით მოიგონოს იგი — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის უმცროსი თანამედროვე, მათი პროგრესული იდეების ერთგული დამცველი“ (26,3). აკადემიკოსი გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე კი დასძენს: „ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა და სახალხო განათლების ისტორიაში იაკობ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს შემდეგ ყველაზე დიდს, ყველაზე კოლორიტულ ფიგურას ლუარსაბ ბ ო ც ვ ა ძ ე წარმოადგენს (ხაზგასმა ჯიბლაძისაა. — ნ. ბ.). ეს ჭეშმარიტება დღეს უკვე აღიარებული ფაქტია და მისი უარყოფა შეუძლებელია“ (154,169).

ლ. ბოცვაძის კალამს ეკუთვნის მრავალი პედაგოგიური ნაშრომი, სტატია, წერილი, რეცენზია და სხვა, რომლებშიც

წამოყენებული და განვითარებულია პროგრესული პედაგოგიკური იდეები და შეხედულებანი.

ლუარსაბ ბოცვაძე დაიბადა 1865 წელს („ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" მიხედვით /ტ. 11, თბ., 1977, გვ. 493/ — 1866 წელს). სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღაში. მშობლებს იგი ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ, შემდეგ კი ხონის საოსტატო სემინარიაში გადაუყვანიათ, რომლის კურსიც ნიჭიერ ახალგაზრდას 1888 წელს დაუმთავრებია და შედგომია პედაგოგიურ მოღვაწეობას წყალტუბოში. აქ ლუარსაბს სამი წელი უმუშავია. აქედან იგი გადაუყვანიათ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, 1892 წელს კი დაუნიშნავთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მიერ დაარსებულ კავკავის ქართული სკოლის მასწავლებლად, სადაც მან 14 წელი იმუშავა და აღგილობრივ მცხოვრებთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რაც კარგად ჩანს კავკავის ქართველთა მიერ მისი მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ადრესში. კერძოდ, მასში ნათქვამია: „ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, ბატონო ლუარსაბ! 1913 წელს ენკენისთვეში შესრულდა 25 წელიწადი თქვენი დაუღალავი შრომისა სახალხო განათლების ასპარეზზე. ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა ღირსეულად აღნიშნა თქვენი ეს ხანგრძლივი და მძიმე მამულიშვილური მოღვაწეობა. დიდი დანაშაული იქნებოდა, რომ ჩვენც, კავკაველ ქართველებს, არ შეგვეერთებინა ჩვენი ხმა ქართველების საერთო ხმასთან და შენი უკვდავი გვირგვინი ჩვენც არ შეგვემკო თუმცა მკრთალი, მაგრამ თქვენდამი ღრმა პატივისცემით და გულწრფელი სიყვარულით მოძღვნილი ყვავილით. საუკეთესო დღენი თქვენი ცხოვრებისა და უმეტესი დრო თქვენი სასარგებლო მოღვაწეობისა კავკავის ქართველებში გაატარეთ... თქვენ მხნედ და დაუღალავად აღვიძებდით ჩვენში, როგორც მოზარდ თაობაში, ისე მდაბიო ხალხში, მამულიშვილურ გრძნობებს. თქვენი მხნეობით და მეცადინეობით შეიყვარა კავკაველმა

ქართველმა ქართული შკოლა, დედა ენა და ქართული წიგნი" (26, 4-5).

ლ. ბოცვაძე კავკაზის სკოლაში ქართველ ბავშვებს სხვა საგნებთან ერთად, რუსულ ენასაც ასწავლიდა. ამასთან, იმდენად კარგად, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ს ა ვ ა დ ს კ ი და ინსპექტორი *ს ლ ა ვ ი ნ ს კ ი* მის მიერ რუსულ ენაში ჩატარებული გაკვეთილებით მოხიბლულან. ამიტომაც იყო, რომ თერგის ოლქის სკოლების დირექტორი გ რ უ შ ე ვ ს კ ი რუსული ენის სუსტ მასწავლებლებს მოუწოდებდა, ბოცვაძის გაკვეთილებს დასწრებოდნენ და მისი გამოცდილება გადაეღოთ (148, 14-15, ან 118, 215-216).

1898 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობას ლუარსაბ ბოცვაძის ძველ სენაკში გადაყვანა განუზრახავს, მაგრამ კავკაველ ქართველთა დაუინებული მოთხოვნით იგი ისევ კავკაზში დაუტოვებიათ, სადაც მან კიდევ რვა წელი იმუშაა, 1906 წელს კი ბოცვაძე თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლად და ზედამხედველად დაუნიშნავთ. აქ იგი სიცოცხლის ბოლომდე ასწავლიდა ქართულ ენას.

1908 წელს ლ. ბოცვაძემ დაარსა სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება", რომლის რედაქტორი და გამომცემელი თავად იყო სიცოცხლის ბოლომდე. ჟურნალმა დიდი როლი შეასრულა ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა და სახალხო სკოლის, ასევე ქართული მწერლობისა და კრიტიკის განვითარებაში. მასში მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საკითხებთან ერთად, ქვეყნდებოდა მხატვრული ნაწარმოებებიც. გამოჩენილმა ქართველმა პოეტებმა – გ. ტაბიძემ, ი. გრიშაშვილმა, ს. შანშიაშვილმა, გ. ლეონიძემ და სხვებმა ამ ჟურნალში აიდგეს ფეხი, როგორც მწერლებმა, და შემდეგ მშობლიური სიტყვის დიდოსტატებად იქცნენ.

ლუარსაბ ბოცვაძე გარდაიცვალა თავისი შემოქმედებითი ნიჭის აღმაფრენისა და სრულქმნის პერიოდში, 1919

წლის 24 იანისს. დაკრძალულია თბილისში, ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

გაზეთმა „სახალხო საქმემ“ ასე შეაფასა ლუარსაბ ბოცვაძის როლი ქართველი ხალხის ცხოვრებაში: „მასწავლებელი, სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების“ დამაარსებელ-რედაქტორი, პედაგოგიური წერილების მწერალი, საზოგადო მოღვაწე, აი ვინ იყო ლუარსაბ ბოცვაძე. ასეთ ძნელ სარბიელზე ის პირნათლად იღვწოდა ოცდაათი წელიწადი. მასწავლებლები ეძახდნენ გოგებაშვილის მემკვიდრეს და ეს ნამდვილიც იყო, რადგან იაკობის დაწყებულ საქმეს ლუარსაბი განაგრძობდა, ის ედგა ღარაჯად „ედა-ერას“, „ბუნების კარს“, ის იგერიებდა მის შინაურ და გარეშე მტრებს, ის იცავდა მას იაკობისებური თავდადებით“ (26, 9).

თავის საკმაოდ მდიდარ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ლ. ბოცვაძე იხილავს როგორც დიდაქტიკის, ისე აღზრდის თეორიის საკითხებს. ამასთან, იგი ყურადღებას ამახვილებს დაწყებით კლასებში, კლასკომპლექტებში, ცალკეული საგნების, განსაკუთრებით კი, არითმეტიკის სწავლების პრობლემებზე. „...ბოცვაძის სახით, – აღნიშნავს აკადემიკოსი *გიორგი ჯიბლაძე*, – ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებას ერთ-ერთი საუკეთესო, მრავალმხრივად განათლებული მეთოდისტი ჰყავდა, რომლის ნაწერებს მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავთ“ (154, 172). ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ საქართველოს იმდროისათვის, და მანამდეც, ლუარსაბ ბოცვაძის დონის მეთოდისტი არ ჰყოლია. ამ მხრივ იგი თავის მასწავლებელ ი. გოგებაშვილსაც აღემატებოდა.

ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიკური იდეების ჩამოყალიბებაზე დიდი გაელენა მოახდინეს პედაგოგიკური აზროვნების უდიდესმა წარმომადგენლებმა: ი.ა. კომენსკიმ, ჟ.-ჟ. რუსომ, ჰ. პესტალოციმ და განსაკუთრებით, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების – ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, რუსული პედაგოგიკის ფუძემდებლის კ. დ. უშინსკისა და ქართველი კლასიკოსის ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურმა იდეებმა. ბოცვაძემ ღრმად შეითვისა უშინ-

სკისა და გოგებაშვილის დემოკრატიული იდეები და გახდა მათი საქმის გამგრძელებელი. ამიტომაცაა, რომ მის პედაგოგიკურ მოძღვრებას საფუძვლად უდევს ***ხალხურობის პრინციპი***. რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მისი მასწავლებლებისათვის.

ხალხურობის პრინციპში ლ. ბოცვაძე გულისხმობდა: საყოველთაო-სავალდებულო და უფასო სწავლებას ყველა ბავშვისათვის, განურჩევლად წოდებისა და ქონებრივი მდგომარეობისა, ქალ-ვაჟთა თანასწორუფლებიანობას სწავლებაში, რეალურ განათლებას, მშობლიურ ენაზე სწავლებას, რუსული ენის დაუფლებას, სწავლა-აღზრდის საქმის თვით ხალხის მიერ ხელმძღვანელობას და ა.შ.

ქართველი ხალხის ეკონომიკურ სიდუხჭირეს ბოცვაძე ხალხის გაუნათლებლობაში ხედავდა. „ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის წყარო ბევრი რამ არის, – წერდა იგი, – მაგრამ ამ წყაროთა შორის ხალხის განათლებას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს“ (150, 140)..

სკოლის უპირველეს ამოცანად ლუარსაბ ბოცვაძეს მიაჩნდა ***მშობლიურ ენაზე სწავლება***. ენის საკითხში იგი თავიდან ბოლომდე უშინსკისა და გოგებაშვილის იდეების მიმდევარია. „სამშობლო ენა ის ნიადაგია, – წერს იგი, – რომელ'ზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი“ (22, 89). მისი სამართლიანი აზრით, „ყოველივე კეთილი თესლი უნდა ჩაითესლოს ბავშვის გონებაში ბავშვობიდგანვე დედაენის საშუალებით“ (26, 243). მასზე უნდა დაშენდეს ყველა სხვა საგნის სწავლება სკოლაში. ბავშვი, რომელიც ვერ ფლობს საყუძვლიანად მშობლიურ ენას, სრულყოფილად ვერ დაეუფლება სხვა საგნებს. იქ, სადაც დედაენას პატივისცემით არ ეპყრობიან, წერდა იგი, „...სადაც სწავლება საგნებისა ბავშვის ღვიძლს ენაზედ არ სწარმოებს, ის საწამებელი ადგილია და არა საღვთო ტაძარი, რომლის წმიდათა წმიდა მუდამ შეუბღალავი უნდა იყოს“ (27, 446). დედაენას სათანადო ადგილი უნდა ეკავოს

სკოლაში, რაღაან „გადაგვარების გ'ა'ხ'ეა ის ერი, რომელიც არ ცდილობს მეცნიერების აყვავებას დედა-ენაზე".

მ'შობლიურ ენა'ხე სწავლების დაფ'უძნების დაეინებული მოთხოვნის მი'უხედავად, ბოცვაძე უცხო ენების შესწ'ავლის წინააღმდეგ რიღი გამოდიოდა. იგი, მშობლიურ ენასთან ერთად, ღიდ ყ'ურადღებას უთმობდა სხვა ენების. განსაკ'უთრებით კი, რ'უს'ული ენის შესწ'ავლას, რომელსაც ის „სახელმწ'იფო ენას" უწოდებდა და თავად სრ'ულყოფილად ფლობდა. მაგრამ, მისი სამართლიანი შეხედ'ულებით, „ვიდრე უცხო ენის სწ'ავლებას დავაწ'ყებინებდეთ ბავ'შვს, საჭიროა საფ'უძვლიანად შეეასწ'ავლოთ სამშობლო ენა და როცა ბავ'შვი ცოტათი თუ ბევრად გაიმართება სამ'შობლო ენაში, ღედაენა'ზე წ'ერა-კითხვაში, მაშინ შეიძლება ბავ'შვს უცხო ენის სწ'ავლებაც დავაწ'ყებინოთ" (26, 47-48). მანამდე კი, მისი ა'ხრით, „უცხო ენის სწ'ავლება არც საჭიროა და ფრიად მავნებელიც არის" (22, 79).

ნათქვამის საილ'უსტრაციოდ ბოცვაძე იშველიებს შექსპირის სიტ'ყვებს: „შტო, რომელიც მოსწ'ყდება თავის მშობელსა ხესა, დაიჭკნება, გახმება და ჯოჯოხეთის ცეცხლს შეეკეთება (22, 80).

ლ. ბოცვაძე, როგორც ი. გოგებაშვილი, წინააღმდეგი იყო ერთღროულად რამდენიმე უცხო ენის შესწ'ავლისა, რასაც ალგილი ჰქონდა იმდროისათვის არისტოკრატიულ ოჯახებ'ში. იგი ასევე ილაშ'ქრებდა განათლების უცხო ენა'ზე მიღების წინააღმდეგ, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ამ დროს ბავ'შვის ნიჭი სრ'ულყოფილად ვერ განვითარდება.

ლ. ბოცვაძის მიხედვით, შემდეგი ძირითადი ელემენტი აღ'სრდის ხალხ'ურობისა არის ***საყოველთაო-სავალდებ'ულო სწავლების შემოღება***. „ჩვენ დრო'ში, – განაგრძობს იგი, – განხორციელება საყოველთაო სწავლა-განათლებისა აუცილებელია ყოველ განათლებ'ულ ხალხისათვის და შეადგენს უსაჭიროეს პირობას მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის" (22, 10).

მაგრამ ხალხ'ში განათლების გავრცელებისათვის, ბოცვაძის ა'სრით, მარტო საყოველთაო სწავლების შემოღება

როდია საკმარისი. ამასთან ერთად, იგი მოითხოვდა „საყოველდღეულო სწავლა-განათლების შემოღებასაც“.

ლ. ბოცვაძე დაბეჯითებით მოითხოვდა ასევე ***ქალ-ვაჟთა თანასწორუფლებიანობას სწავლებაში.*** იგი მომხრეა, რომ ქალმაც ისეთივე განათლება მიიღოს, როგორსაც იღებს მამაკაცი. „საჭიროა, – წერს ის, – ყველა ბავშვმა, წოდებისა და მდგომარეობის განურჩეველად, ქალმა თუ ვაჟმა იაროს სკოლაში და დაიკავოს ადგილი თანასწორ უფლებით თავიანთ ტოლებთან ერთად“ (22,11-12). ამასთან, იგი მომხრე იყო ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებისა, რასაც ადგილი არ ჰქონდა იმდროინდელ სკოლებში.

საყოველთაო-საყაალდებულო სწავლების კანონის შემოღებასთან ერთად, ბოცვაძე მოითხოვდა სახალხო სკოლებში ***უფასო სწავლების შემოღებას.*** ამის გარეშე მას შეუძლებლად მიაჩნდა მშრომელი ხალხისა და მისი მომავალი თაობის მიერ ცოდნა-განათლების მიღება. ფასიანი სწავლების შემთხვევაში მშრომელთა შვილები მოკლებული იქნებოდნენ სწავლა-განათლების მიღების შესაძლებლობას, მაშინაც კი, როცა მათ ამის უფლება ჰქონდათ. „საჭიროა, რომ ყველა, განურჩეველად სქესისა და ჩამომავლობისა, – წერდა იგი, – ეწაფებოდეს მეცნიერებას, სარგებლობდეს განათლების სხივებით ისე, როგორც სარგებლობენ მიწითა და ჰაერით – **თავისუფლად და უფასოდ**“ (22, 12 – ხაზგასმა ბოცვაძისაა). განათლების მიცემა არის ერის უპირველესი ვალი შთამომავალობის წინაშე.

ხალხურობის პრინციპის შემდგომი განხსორციელებისათვის ლ. ბოცვაძე მოითხოვდა ***ალზრდა-განათლების საქმისადმი თვით ხალხის ხელმძღვანელობას,*** მის სრულ „დეცენტრალიზაციას“. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, თუ სახელმწიფო შეიჭრება ერის აღზრდა-განათლების საქმეში და საერთოდ მის კულტურულ ცხოვრებაში, ეს გამოიწვევს ყველაფრის არევ-დარევასა და ხალხის უკმაყოფილებას.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ, როცა ბოცვაძე განათლების საქმის დეცენტრალიზაციასა

და ერის კულტურულ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობას მოითხოვდა, მას მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ მეფის რუსეთის სახელმწიფო იარაღი კოლონიური პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გარუსებას.

თავის მრავალრიცხოვან შრომებში ლ. ბოცვაძემ მოგვცა *პიროვნების ფორმირების ფაქტორების* სწორი შეფასება. მან სწორად გადაწყვიტა აღზრდის, გარემოსა და მემკვიდრეობის როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში. იგი არ იზიარებდა ჯ.ლოკის „სუფთა დაფის“ თეორიას. მისთვის ბავშვი არ წარმოადგენს „tabula rasa“-ს, რომელზეც ყველაფრის დაწერა შეიძლება, რასაც აღმზრდელი მოისურვებს. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს მემკვიდრეობაც. ამით ბოცვაძე სრულიადაც არ ამცირებს აღზრდის როლს პიროვნების ფორმირებაში. პირიქით, იგი აღზრდას გადამწყვეტ როლს ანიჭებს ბავშვის გაადამიანებასა და მის კაცურკაცად ჩამოყალიბებაში. მისი აზრით, ბავშვს შეიძლება გააჩნდეს მემკვიდრეობით გადმოცემული დადებითი ან უარყოფითი თვისებები, მაგრამ ისინი არ არიან უცვლელნი. კარგი აღზრდა ყოველთვის მოახერხებს მათ სასურველი მიმართულებით გარდაქმნას, ცუდი კი – პირიქით. „ბავშვი თავისი ცხოვრების პირველ ხანებში, – წერს ბოცვაძე, – გამხვალ სანთელს ჰგავს. როგორც ამ სანთელს შეგვიძლია მივსცეთ ესა თუ ის სახე, ფორმა, ისე ბავშვისაგან შეგვიძლია გამოვიყვანოთ კეთილი თუ ცუდი ადამიანი... გონიერული აღზრდით ბავშვს ადამიანად გავზრდით და მემკვიდრეობით თანდაყოლილ ცუდ მხარესაც შევუსუსტებთ, დაუდევრობით კი სულს და გულს მოვუწამოლავთ, საზოგადოების მავნე წევრად შევქმნით“ (150, 78-79).

ლ. ბოცვაძის აზრით, ყოველ ადამიანში არის კეთილშობილური გრძნობები. აღზრდამ უნდა შეძლოს ამ გრძნობების აღმოჩენა და მათი შემდგომი განვითარება. „შეიძლება ამ გრძნობათა ერთი ნაწილის გამოწვევა ადვილად მოხერხდეს და მეორის უფრო ძნელად, – წერს იგი, – მაგრამ

საბოლოოდ წესიერად დაწყებული აღზრდა ამას უსათუოდ შესძლებს“ (149, 38).

როგორც ვხედავთ, ბოცვაძე აღზრდას წამყვან როლს ანიჭებს პიროვნების ფორმირებაში, მაგრამ, ამავე დროს, არ ივიწყებს გარემოს როლსაც, მისი სამართლიანი შეხედულებით, ადამიანის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოსაც, რომელშიც უხდება მას ცხოვრება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოცვაძეს გარემო ესმის ფართო გაგებით. მასში იგი ათავსებს არა მარტო სოციალურ, არამედ ბუნებრივ გარემოსაც. მისი აზრით, ბავშვის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც გარემომცველ ბუნებას, ისე იმ საზოგადოებრივ წრეს, რომელშიც იგი ცხოვრობს. სტატიაში „აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მომოხილვა“ ლ. ბოცვაძე წერს: „ბავშვი ჩნდება ქვეყანაზე, ცხოვრობს, იზრდება თავის ქვეყანაში, თავისიანებში. იმის გარემოა ხალხი, ცნობები, ზნე-ჩვეულებანი და საზოგადოდ მთელი ცხოვრების სახე, აწმყო და მომავალი. ადგილი და ყველა მისი ბუნებრივი სიმდიდრე“... (150, 237). გამოცდილი პედაგოგი მიუთითებს ასევე პიროვნების ფორმირების ფაქტორების ურთიერთკავშირზე, რადგან იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ცალკე აღებული ვერც აღზრდა, ვერც გარემო და ვერც მემკვიდრეობა ვერ უზრუნველყოფს პიროვნების სრულყოფილ განვითარებას. მიუხედავად ამისა, იგი პიროვნების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს მაინც სწორად ორგანიზებულ აღზრდას ანიჭებს. აღზრდაში კი მას ესმოდა პიროვნების ჩამოყალიბების შეგნებული, ორგანიზებული და მიზანმიმართული პროცესი აღმზრდელის, მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

ძველი სკოლისაგან განსხვავებით, რომელიც ბავშვს ზრდიდა ცალმხრივად, ახალი სკოლის აღზრდის უპირველეს ამოცანად ლ. ბოცვაძეს მიაჩნდა ***პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება,*** მისი შეიარაღება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნითა და მოწინავე პრაქტიკული გამოცდილებით, ისეთი ცოდნით აღჭურვა, რომელიც თავის გამოხატულებას ცხოვრებაში პოვებს.

ამ საკითხ'ში ბოცვაძე ანტიკური ხანის მოაზროვნეების პოზიცია'ს ღრმა და პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში გ'ულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ, 'სნეობრივ და გონებრივ აღზრდას, ხოლო რაც შეეხება ესთეტიკურ და შრომით აღ'სრდას, ისინი მას ზნეობრივი აღ'სრდის შემადგენელ ნაწილებად მიაჩნია. წერილში „ოჯახი და მისი დანიშნ'ულება“ ლ. ბოცვაძე წ'ერს: „სიტყვა „აღზრდა“ ისე არ უნდა გეესმოდეს, თითქოს ის იყოს ადამიანის მარტო ფი'ზიკური და 'სნეობრივი მხარის განვითარების ხელოვნება. ამ ცნებაში „სწ'ავლებაც“ შედის ე. ი. გონებრივი განვითარება. ასე რომ ამ სამი პირობის – ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი მხარეთა კარგად წარმართვით შეიქმნება ნორმალ'ური ადამიანი“ (25,122).

ზემოთ აღნიშნულ სიტყვებში კარგად ჩანს, თუ რა მიაჩნდა ლ. ბოცვაძეს პიროვნების ჰარმონიული განვითარების ძირითად კომპონენტებად. ამ საქმეში იგი, როგორც დავინახეთ, პირველ ადგილ'ზე ***ფიზიკურ აღზრდას*** აყენებს. „ცოტა ხნის წ'ინათ, – წ'ერს იგი, – სკოლას აინტერესებდა ბავშვის მხოლოდ ინტელექტ'უალური განვითარება და სრულიად იეიწ'ყებდნენ, რომ ბავშვის გონებრივ ცხოვრებას მჭიდრო კავშირი აქვს მის ფიზიკურ ბ'უნებასთან“ (150, 92). სწორად დაყენებ'ული ფი'ზიკური აღ'სრდა ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს აღზრდის ყველა მიმართულებაზე. თუ ბავშვი ფიზიკურად ს'უსტია, იგი თავს ვერ გამოიჩენს ვერც სწ'ავლასა და ვერც შ'რომა'ში, მისი ცოდნა უმოქმედოდ დარჩება სხეულის მოძ'ულებისა და სის'უსტის გამო.

სრულ'ყოფილი ფიზიკური აღზრდის გარეშე ლ. ბოცვაძეს ვერ წარმოედგინა ბავშვის ზნეობრივი აღზრდა. მისი აზრით, ძალზე ბევრი ადამიანია, რომელსაც კეთილი განზრახვა აქვს, „მაგრამ საქმით რისიმე განხორციელება კი არ ძალ'უძთ. განზრახვათა საქმედ ქცევას ენერგია უნდა, ენერგიის გამოჩენას კი ფიზიკ'ური ძალა“ (150, 108).

აქედან გამომდინარე, „ჯ'ანმრთელობა ადამიანისათვის უძვირფასეს განძს შეადგენს“. ამიტომ ყოველი აღმზრდელის ვალია ბავშვთა ჯ'ანმრთელობისათვის ზრუნვა.

თავის ნაშრომებში ლ. ბოცვაძე დიდ ყურადღებას უთმობს როგორც საოჯახო, ისე სასკოლო ფიზიკური აღზრდის საშუალებებს. ასეთებად მას, უწინარეს ყოველისა, მიაჩნდა მ ო ძ რ ა ვ ი თ ა მ ა შ ო ბ ა ნ ი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ფიზიკური აღზრდის ძირითად ამოცანად მიიჩნევს ბავშვის ორგანიზმის სწორად განვითარებას, მისი ჯანმრთელობის გამტკიცებას და არა სპორტსმენების მომზადებას. ეს უკანასკნელი მას მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია. „თამაშობა უბრალოდ დროს დაკარგვა არაა, – წერს იგი. – ეს ერთგვარი საქმიანობაა. თამაშობა აფხიზლებს და აცოცხლებს ბავშვებს, ხელს უწყობს მათი ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარებას“ (150, 113-114).

ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარების გარდა, ლ. ბოცვაძე ყურადღებას ამახვილებს ასევე თამაშის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. მისი აზრით, თამაშის პროცესში ბავშვს უვითარდება გამოგონების უნარი, გონებამახვილობა, გამბედაობა, ძმობა-მეგობრობა; ეჩვევა წესრიგს, დისციპლინას, დაკვირვებას, სწრაფ აზროვნებას, დროსა და სივრცეში ორიენტაციას და ა.შ.

ფიზიკური აღზრდის საშუალებათა შორის, მოძრაობი თამაშობების გარდა, ლ. ბოცვაძე მიუთითებს ასევე ტანვარჯიშის, ჯანმრთელობისათვის ჰიგიენური და ბუნებრივი ფაქტორების – წყლის, მზისა და ჰაერის – როლსა და მნიშვნელობაზე, საკლასო და საცხოვრებელი ოთახების სისუფთაველე და ა.შ.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მიზნით ლ. ბოცვაძე მოითხოვს გაკვეთილების სწორ მონაცვლეობას, რადგან ერთგვაროვან მასალაზე ხანგრძლივად მუშაობა ბავშვს ადვილად ღლის და მომდევნო გაკვეთილებზე მის მუშაობას უნაყოფოს ხდის. „ამიტომ, – ბოცვაძის აზრით, – სასარგებლოა, რომ ყოველ ნახევარ საათის შემდეგ იცვლებოდეს სამუშაოები“ (26, 44).

ლ. ბოცვაძე ყურადღებას ამახვილებს ასევე საკლასო მაგიდებისა და მერხების შესაბამისი მოთხოვნების დაცვით დამზადებაზე, წერის დროს ბავშვის სწორად ჯდომაზე და

ა.შ. ცუდ მერხებზე ჯდომით, წერს იგი, „...კუნთები მალე იღლება, სუსტდება, რის გამო ბავშვი ზურგში იხრება და თავიც წინ მკერდზე ჩამოეკიდება. ხერხემლის ძვლის გამრუდების გარდა სკამზედ სასურგის და ფეხის დასაღგმელის უქონლობისა გამო, ბავშვს ხშირად ემართება სისხლის აქარდნა თავში, ამას მოყვება ცხვირიდან სისხლის დენა და სხვა ბევრი ცუდი შედეგი“ (26, 26). იგივე მოსდის ბავშვს წერის პროცესში ზურგში მოხრილად ჯდომის დროს. ყოველივე ეს ყარყუმით გავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობასა და მის ფსიქიკურ განვითარებაზე.

ლ. ბოცვაძის პედაგოგიკურ ნააზრევში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს *ზნეობრივ აღზრდას*. მის ნაშრომებში თაყვანისცემის ობიექტად დონეზე და თითქმის ამომწურავად არის გაშუქებული ზნეობრივი აღზრდის ყველა საკითხი. გამოცდილი პედაგოგის აზრით, ადამიანი ვერ იქნება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, თუ იგი არ არის მაღალი ზნეობის მატარებელი. პირიქით, „თუკი ზნეობა არ ამშვენებს რომელიმე კაცის სწავლა-ცოდნას, ეს კაცი მაშინ საზოგადოების მხოლოდ მავნე წევრად უნდა ჩაითვალოს“ (149, 55).

ლ. ბოცვაძემ ძალზე კარგად იცის, რომ ზნეობრიობა არ არის ადამიანის თანდაყოლილი თვისება, იგი აღზრდის შედეგია. აქედან დასკვნა: აღზრდის მიზანი მიუღწეველი დარჩება, თუ მან ვერ შეძლო ადამიანში ადამიანური თვისებების ჩანერგვა, მასში მაღალი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბება. ამ თვისებების აღზრდის მთავარ ფაქტორად ბოცვაძეს მიაჩნია სკოლა, მაგრამ ამავე დროს იგი არ ივიწყებს ოჯახსა და იმ საზოგადოებრივ წრეს, რომელშიც ბავშვს უხდება ცხოვრება.

ლ. ბოცვაძის აზრით, ზნეობრივად აღზრდილი ეწოდება იმ ადამიანს, რომელიც ზრუნავს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვებზეც. აქედან გამომდინარე, „სკოლამ უნდა გაუღვიძოს მოწაფეს საზოგადოებრივი გრძნობები და სურვილი – ემსახუროს არა მარტო თავის თავს, არამედ თავის მოქალაქეთა საერთო ინტერესებსაც, რომელთანაც ყოველი

ადამიანი მრავალნაირად გადაბმულია ეკონომიურად, სახელმწიფოებრივად, სოციალურად და სხვ.“ (150, 136-137).

ზნეობრივი აღზრდის ამოცანა შეუსრულებელი დარჩება, თუ იგი ყურ უზრუნველყოფს მოზარდში ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: სამშობლოს სიყვარული, ჰუმანური და ესთეტიკური გრძნობები, შრომის სიყვარული და შემოქმედებითი შრომის უნარი. ყველა ამ თვისებასთან ერთად, ადამიანს უნდა ჰქონდეს პრაქტიკულ ცხოვრებაში მათი გამოყენების უნარიც. ადამიანი უნდა ფასდებოდეს იმის მიხედვით, „თუ შეძენილ ცოდნას როგორ ხმარობს ცხოვრებაში, სადაც ხშირად ისეთ პირებსაც შეხვედებით, რომლებიც მჭერმეტყველურად სჯიან, ლაპარაკობენ ზნეობრივ ჭეშმარიტებაზე, მაგრამ იმათ ამგვარი ჭეშმარიტებით არასოდეს უხელმძღვანელიათ“ (148, 49-50), როგორც იტყვიან, მათ სიტყვასა და საქმეს „შუა უსის დიდი ზღვარი“.

ზნეობრივი აღზრდის მთავარ საშუალებად ბოცვაძეს მიაჩნია კარგად სწავლება და ბავშვებში რელიგიური გრძნობების ჩანერგვა. გარდა ამისა, მისი აზრით, სკოლაში უნდა ტარდებოდეს მხატვრული წაკითხვების ხმამაღალი კითხვა, მაგრამ ისეთი ნაწარმოებებისა, რობლებშიც ნაჩვენებია მისაბაძი მაგალითი, რადგან უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვები ხასიათდებიან მიმბაძველობის უნარით. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამ ასაკში ბავშვებს არ ძალუძთ ავისა და კარგის გარჩევა. „ბავშვისათვის ერთნაირად გადამდებია, როგორც კარგი, აგრეთვე ცუდი მაგალითიც; პირიქით, ცუდი უფრო გადამდებია, ვიდრე კარგი“ (26, 307). ამიტომ მათზე უნდა ვიმოქმედოთ გრძნობების მეშვეობით, რადგან ისინი ამ საქმეში მეტწილად გრძნობებით ხელმძღვანელობენ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებიც ამ ასაკის ბავშვებისათვისაა განკუთვნილი, ასახული უნდა იყოს გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა. მათი მიბაძვით ბავშვები კარგ ზნეობრივ თვისებებს შეიძენენ. ამასთან ერთად, თვით მასწავლებელი უნდა იყოს ბავშვებისათვის სანიმუშო

და მისაბაძი. თუ ბავშვი მასწავლებლის ქცევასა და მოქმედებაში ამჩნევს უსინდისობის მაგალითებს, მაშინ, ბოცვაძის აზრით, ამაო იქნება მხატვრული ნაწარმოებების აღმსრდელობითი გაელენა ბავშვებზე.

ამრიგად, აღსრდის პროცესში გადამწყვეტია მასწავლებლის, აღმზრდელის პირადი მაგალითი. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება.

ლ. ბოცვაძეს ადამიანის ცხოვრებისათვის მომზადება შეუძლებლად მიაჩნდა მისი *გონებრივი აღზრდის* გარეშე. გონებრივ აღსრდაში იგი გულისხმობდა მოსწავლეთა შეიარაღებას მეცნიერული ცოდნით, რაც ადამიანის განათლების ძირითადი წყაროა. მაგრამ ყოველგვარი ცოდნა როდია განათლების მაჩვენებელი. საუბარია მხოლოდ ნამდვილ, ჭეშმარიტ მეცნიერულ ცოდნაზე, რომელიც დამყარებულია ბუნების კანონებზე. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ადამიანის მიერ ბუნების ძალების თავის სასარგებლოდ გამოყენება. ლ. ბოცვაძის აზრით, მეცნიერული ცოდნა „უმთავრესი ძალაა არსებობისათვის ბრძოლაში. იგი ამავე დროს უძლიერესი იარაღია საკაცობრიო პროგრესისა...“ (150, 103). ამიტომ იგი მოუწოდებს ყველას მეცნიერული ცოდნის დაუფლებისაკენ. ასეთ ცოდნას უნდა ეუფლებოდნენ არა მარტო მდიდრების, არამედ მშრომელთა შვილებიც, რადგან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში გართულებული მანქანის მართვა მხოლოდ გონებრივად განვითარებულ ადამიანს ძალუძს. ამიტომ მუშა უნდა იყოს განათლებული, უნდა იცოდეს მანქანის ყოველი ნაწილის დანიშნულება, მისი მართვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს იგი ნამდვილ ტექნიკოსად გახდომას. ისეთ მეცნიერულ დისციპლინებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა გონებრივ განვითარებას, ბოცვაძე მიაკუთვნებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, რუსულ ენას, ბუნებისმეტყველებას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას და სხვ.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ლ. ბოცვაძეს ვერ წარმოედგინა განათლებული ადამიანი. მართალია, აღნიშნავს იგი, სხვა საგნებიც

უწყობენ ხელს ბავშვის გონებრივ განვითარებას, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საგნების სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს. ბოცვაძის სამართლიანი აზრით, „თუ დედაენა რიგიანად არ ესმის ბავშვს, ისე სხვა საგნების სწავლება არასოდეს ნაყოფიერი არ იქნება“.

მოსწავლეთა გონებრივ აღზრდაში ლ. ბოცვაძე დიდ როლს ანიჭებს ასევე ბუნებისმეტყველებას. „მგონია არავისათვის არ უნდა იყოს საეჭვო, – წერს იგი, – რომ ბუნების შესწავლას და იმის დაკვირვებით გაცნობას, რაც ბავშვის გარშემოა და რაც ხდება მის თვალწინ, დიდი მნიშვნელობა აქვს მოწაფის გონების განვითარებისათვის“ (149, 51). ამიტომ იგი მოითხოვდა სკოლებში ბუნებისმეტყველების სწავლების გაუმჯობესებას და ბავშვებზე იმის გაცნობას, რაც მათ გარშემო, ბუნებაში ხდება.

ლ. ბოცვაძეს სპეციალური წერილი აქვს მიძღვნილი ასევე მათემატიკის სწავლების საკითხისადმი. მისი აზრით, მათემატიკა ხელს უწყობს ბავშვის გონებრივ განვითარებას, ანვევს მას თანმიმდევრობასა და სიზუსტეს. ამავე დროს დიდია მისი მნიშვნელობა პრაქტიკული საქმიანობისათვის. ამიტომ საჭიროა ყოველი მოსწავლე საფუძვლიანად ეუფლებოდეს ამ საგანს.

ზემოთ განხილული დისციპლინების გარდა, მოსწავლეთა გონებრივ აღზრდაში ბოცვაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიასა და გეოგრაფიას, განსაკუთრებით კი, მშობლიური ქვეყნის ისტორიასა და გეოგრაფიას. იგი განათლებულად არ თელის ისეთ ადამიანს, რომელმაც არ იცის თავისი ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია. 1910 წლის ჟურნალ „განათლების“ პირველი ნომრის მოწინავე წერილში ბოცვაძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა უფრო მეტი იციან ეტრუსკების შესახებ, ვიდრე თავიანთი ქვეყნისა და ხალხის შესახებო. ბავშვებს სასწავლებლიდან არ გამოაქვთ „არავითარი ცოდნა სამშობლო ქვეყნის მკვიდრთა ყოფაცხოვრებისა, ერის აწმყოსი და წარსულისა“ (149, 52).

აღნიშნული საგნების გარდა, მოსწავლე ცოდნას უნდა იძენდეს ასევე კლასგარეშე ლიტერატურიდან, იმ დისციპლინებიდან, რომლებიც სკოლაში არ ისწავლება და არ უნდა კმაყოფილდებოდეს მარტო სასკოლო სახელმძღვანელოების შესწავლით, რადგან, ბოცვაძის აზრით, „...წიგნი თუ ერთად ერთი არა, უმთავრესი წყაროა ცოდნისა“. ამიტომ წიგნის სიყვარულს მოსწავლე სკოლაში შესვლის პირველივე დღეებიდანვე უნდა დაეწაფოს. იგი გაუკვალავს მას სწორ გზას ცხოვრებაში.

მოზარდის გონებრივ განვითარებაში ლ. ბოცვაძე დიდ როლს ანიჭებს ასევე *თამაშს.* მისი აზრით, თამაში ხელს უწყობს არა მარტო ბავშვის სხეულის გაჯარჯოშებას, არამედ მისი გონების ამოქმედებასაც. კარგად ორგანიზებული თამაშის დროს ბავშვი სწავლობს საგნებსა და მოვლენებზე ყურადღების გამახვილებას და აზროვნებას, რაც გონებრივი ძალების განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ლ. ბოცვაძე ყურადღებას ახახვილებს ასევე *მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაზე,* მაგრამ ესთეტიკურ აღზრდას, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, არ ანიჭებს ისეთივე დამოუკიდებელ მნიშვნელობას, როგორც აღზრდის სხვა მხარეებს და იგი მიაჩნია ზნეობრივი აღზრდის საშუალებად, რაშიც ლ. ბოცვაძე აშკარად ცდება, რადგან მისი დროისათვის კარგად იყო ცნობილი ესთეტიკური აღზრდის დამოუკიდებელი მნიშვნელობა პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში. „უმაღლესი ნიჭი ადამიანის ზნეობრივი მხარისა, – წერს ბოცვაძე, – არის ესთეტიკური გრძნობა, რომელიც მჭიდროდაა შეკავშირებული ადამიანის ყველა ზნეობრივ მხარესთან. ამიტომ ამ გრძნობის გახსნა-განვითარებას ადამიანში მოსდევს მისი ზნეობრივი ამაღლება, გაკეთილშობილება და ზნეობრივად გაფაქიზ-გასპეტაკება“ (148,118). მისი აზრით, „ესთეტიკური აღზრდა ერთი საუკეთესო საშუალებაა ზნეობრივად აღზრდისათვის“ (150,118).

ესთეტიკური აღზრდის ძირითად ამოცანად ლ. ბოცვაძე მიიჩნევს მოსწავლეებში მხატვრული გემოვნების, ემოციისა

და სილამაზის კანონებში წყლომის უნარის გამომუშავებას, რასაც, მისი აზრით, აღზრდა სჭირდება, რადგან პატარას, როგორც ყველა სხვა გრძნობა, ესთეტიკური გრძნობაც „სუსტი და განუვითარებელი“ აქვს და ასეთივედ დარჩება, თუ საამისოდ დროზე არ ვიზრუნეთ.

მოსწავლეებში ესთეტიკური გრძნობების გამომუშავების საუკეთესო საშუალებად ლ. ბოცვაძეს მიაჩნია საბავშვო ნაწარმოებები. „ერთ უპირველეს საშუალებად ბავშვებში ესთეტიკურ გრძნობათა განვითარებისათვის, – წერს იგი, – სამართლიანად აღიარებულია საბავშვო მწერლობა – ...პოეზია, რომელსაც ძველ დროში პედაგოგიკის საღმრთო ნაწილს უწოდებდნენ“ (149, 62).

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში ლ. ბოცვაძე დიდ როლს ანიჭებდა ლექსების შესწავლასა და ბუნების მოვლენებზე დაკვირვებას. ამ მიზნით იგი მოითხოვს ბავშვების ხშირად გაყვანას ბუნებაში, მათ აქტიურ მონაწილეობას მცენარეთა მოვლა-პატრონობაში. გასეირნების დროს ბავშვი აკვირდება და ეცნობა ბუნების სილამაზეს, რაც მისი გრძნობების გაფაქიზების საუკეთესო საშუალებაა.

წერილში „სახალხო სკოლის პროგრამა“ მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდაში ბოცვაძე დიდ ყურადღებას უთმობს ხატვა-ხაზვისა და სიმღერა-გალობის შესწავლას.

ლ. ბოცვაძის პედაგოგიკურ მოძღვრებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ***მოსწავლეთა შრომითი აღზრდის პრობლემებს.***

ლ. ბოცვაძისათვის შრომა ადამიანის განვითარების ძირითადი პირობაა. იგი არის ასევე საზოგადოების წინსვლა-განვითარებისა და პროგრესის უპირველესი საშუალება. ამიტომაც აუცილებელია ყველა შრომობდეს, განურჩევლად წოდებრივი კუთვნილებისა. აქედან გამომდინარე, აღზრდის ერთ-ერთ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდობის მომზადება შრომისათვის, მაოში შრომის სიყვარულისა და პატივისცემის ჩანერგვა. „საქართველოს კეთილდღეობა მაშინ ეტყობოდა, – წერს ბოცვაძე, – როცა ყველა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და

ბერი განურჩეველად შრომის "ულელს ეწეოდა", და პირიქით, „საქართველოს შვებნელი დრო მაშინ დაუდგა, როცა ჩვენში შრომა პატივახდილი შეიქმნა, როცა გამრავლდა ჩვენში რიცხვი მუქთახორებისა"... (150, 127-128).

ლ. ბოცვაძის აზრით, შრომას აქვს „ცხოველმყოფელი ძალა", რაც ადამიანის ღირსებისა და ბედნიერების წყაროა. ეს ცხოველმყოფელი ძალა არის შრომისადმი სიყვარული, რომლის შეძენა შეუძლებელია აღზრდის გარეშე. იგი წერს: „შრომის ნიშთიერი ნაყოფი შეიძლება მოსტაცონ სხვას, წაართვან, იყიდონ ან მემკვიდრეობით მიიღონ, მაგრამ შრომის შინაგან, სულიერს, ცხოველმყოფელ ძალას ვერ წაართმევ ვისმე, ვერც მემკვიდრეობით მიიღებ და მთელი ქვეყნის ოქროც რომ დახარჯო, ვერ იყიდი. ის მასთან რჩება, ვინც შრომობს" (150, 129).

როგორც ვხედავთ, ბოცვაძე შრომის შესახებ ავითარებს იგივე აზრს, რასაც კ. უშინსკი თავის ნაშრომში „შრომის ფსიქიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა".

მოსწავლეთა შრომით აღზრდისათვის, ბოცვაძის აზრით, ბავშვებში მარტო შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ჩანერგვა როდია საკმარისი. მთავარია მათში შრომის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც შრომის პროცესში უშუალო მონაწილეობით ხდება.

მოსწავლეთა შრომით აღზრდაში ლ. ბოცვაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბაღ-ბოსტანში მუშაობას. მაგრამ ამ საქმეში იგი მაინც უპირატესობას ხელგარჯილობას უთმობს. მისი აზრით, ხელგარჯილობა საშუალებას იძლევა დაკმაყოფილებულ იქნას ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილება, რომ თავისი უნარი და შესაძლებლობა თვითონვე გამოიყენოს საქმეში, თავისი ინიციატივით შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო. შრომა ბავშვების ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ბავშვს ყველა საქმეში უყვარს აქტიურობის, ინიციატივის გამოჩენა. „ბავშვი, – წერს ლ. ბოცვაძე, – ყველგან თაოსნობას იჩენს, სახელოსნოში თუ სამზარეულოში, ბაღში თუ მინდორში, საჯინიბოში თუ მეთევზეებთან. ისინი ყველგან ხალისით მუშაობენ" (108,198-199). ამ ასაკში ბავშვს არ შეუ-

ძლია პასიურად იჯდეს და უსმინოს მასწავლებელს. იგი ყოველთვის ცდილობს, რაღაც საქმე გამონახოს და საკუთარი თავი შეამოწმოს ამ საქმეში. სამწუხაროდ, აღნიშნავს ბოცვაძე, თანამედროვე სკოლა ყოველივე ამას ანგარიშს არ უწევს. როგორც კი ბავშვი სკოლაში შედის, მას მაშინვე წყვეტენ სკოლამდელ გარემოს, იმას, რაც მას ადრე იზიდავდა. „არ შეიძლება არც მიწის თხრა, არც ხუხულების აშენება... ქვიშის გროვის, კუბიკებიანი ყუთის, მაკრატლის, ჩაქუჩის, წკეპლის ნაცვლად ბავშვს წინ აქვს დაფა, გრიფელი, ანბანი, სახა'საკი. მხიარული ჭიკჭიკისა და ოცნების ნაცვლად ჩუმად უნდა იჯდეს კლასში და ყური უგდოს მასწავლებელს“ (108, 199).

შრომას უაღრესად დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. „შრომის პროცესში ბავშვი ეცნობა გარემო სინამდვილეს, საზოგადოებრივ ცხოვრებას, შეგნებულად იძენს ათასნაირ ჩვევას. აქვე სწავლობენ ისინი ურთიერთდახმარებას და თავისი და სხვისი სურვილების გაჯერთხილებას, დაქანცულთა გამხნევებას, სულმოკლეთა და სასოწარკვეთილთა აღფრთოვანებას“ (108, 199).

ლ. ბოცვაძე შრომითი აღზრდის პროცესში ბავშვის განსაზღვრული პროფესიისათვის მომზადებას კი არ ისახავდა მი'ზნად, არამედ მის ამოცანად მიაჩნდა ბავშვის მიერ იმ უნარ-ჩვევების დაუფლება, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა სახის შრომაში. ის სასტიკი წინააღმდეგი იყო ხელოსნური სწავლებისა და ნაადრევი სპეციალიზაციისა, რასაც იმდროისათვის ზოგიერთები მოითხოვდნენ.

ლ. ბოცვაძის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ასევე ის, რომ იგი ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფი'ზიკური და გონებრივი შრომის ურთიერთშეხამებას, მათ მონაცვლეობას. ამას იგი მოითხოვდა მაშინ, როცა ზოგს ფი'ზიკური შრომა ადამიანის გონებრივი განვითარებისათვის ხელშემშლელად მიაჩნდა.

ლუარსაბ ბოცვაძე თავის პედაგოგიკურ ნააზრევში მკაცრად აკრიტიკებს ძველ ***სკოლას,*** რომელიც ემსახურებოდა

გაბატონებული კლასების ინტერესებს და სახავს ახალი, სამომავლო სკოლის ამოცანებს. მისი დროის სკოლა არ შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს და სრულიად მოწყვეტილი იყო ცხოვრებას, არ ითვალისწინებდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც მას ცხოვრება უყენებდა.

ლ. ბოცვაძის აზრით, ხალხის გაუნათლებლობა, სიღარიბე და უძლურობა შეადგენია სკოლის უეარგისობისა და „მისი უხეირო მასწავლებლებისა". ამიტომ იგი მოითხოვდა იმდროინდელი „წიგნური სკოლის შრომის სკოლად გარდაქმნას", მის დაკავშირებას ცხოვრებასთან. ახალ სკოლაში, აღნიშნავს ბოცვაძე, სწავლების პროცესში აღგილი არ უნდა ჰქონდეს შიშსა და ძალდატანებას, ამ ყველაზე უფრო საზიანო და ბავშვის ბუნების საწინააღმდეგო მოქმედებას.

ახალ სკოლაში რადიკალურად უნდა შეიცვალოს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის დამოკიდებულება. სასწავლო გეგმები და პროგრამები უნდა შეღგეს ბავშვის „მოთხოვნილების..., ბუნებრივი ნიჭის, ძალისა და ბუნების თანაბრად", რის შეღეგადაც მათ შესაძლებლობა შეექმნებათ საკუთარი აქტიურობისა და შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისა.

ახალი სკოლა უნდა იყოს დაფუძნებული ეროვნულ იდეაგზე, უნდა ითვალისწინებდეს ხალხის ინტერესებს და, რაც მთავარია, სწავლება მასში უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე. ახალმა სკოლამ მოსწავლეებს უნდა მისცეს ფართო ზოგადი განათლება და შემდგომ მასზე უნდა დაშენდეს პროფესიული განათლება.

თუ ადამიანს საკმაო ზოგადი განათლება გააჩნია, მაშინ მისგან კარგი სპეციალისტი დადგება. „ზოგადი განათლება, – აღნიშნავს ბოცვაძე, – ისეთი საიმედო საფუძველია, ურომლისოდაც არ იქნება არც კარგი ხელოსანი, არც კარგი ექიმი, არც იურისტი და არც მეცნიერი. ზოგად განათლებას მოკლებულ ხალხისათვის ყოველგვარი წინმსვლელობა შეუძერხებულია" (149, 78). ზოგადი განათლებით შეიარაღებული და ყოველმხრივად განვითარებული ადამიანი არ არის იძულებული, ჩაიკეტოს რომელიმე ვიწრო სპეცია-

ლობის სფეროში. მას საშუალება აქვს, საზოგადოების საჭიროების მიხედვით, გადაიღეს წარმოების ერთი დარგიდან მეორეში.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მოზარდი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში ლუარსაბ ბოცვაძე განსაკუთრებულ როლს სკოლას ანიჭებდა, მაგრამ იგი არც *ოჯახს* იეიწყებდა, იმ გარემოს, რომელშიც უხდება ბავშვს ცხოვრება. მისი აზრით, „ყველა მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა შვილების შესაფერისი აღზრდა". აღზრდას კი საფუძველი ოჯახში ეყრება და ამაში გადამწყვეტი როლი მშობლებმა უნდა შეასრულონ. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს ბოცვაძე, „...ჩვენს ოჯახებში ბავშვის აღზრდა ბედზედ არის მიგდებული" (26, 310). ამის მიზეზია ის, რომ ზოგიერთ მშობელს არ ესმის შვილი როგორ აღზარდოს და ბედის ანაბრად ჰყავს მიტოვებული იგი, ზოგი კი თავის მშობლიურ მოვალეობას მხოლოდ ბავშვის ჩაცმა-დახურვითა და ჭამა-სმით შემოფარგლავს, რაშიც ისინი დიდად ცდებიან.

იმისათვის, რომ მშობელმა წარმატებით გაართვას თავი მასზე დაკისრებულ საპატიო მოვალეობას, იგი უნდა იყოს საამისოდ მომზადებული, კარგად უნდა იყოს დაუფლებული ბავშვის ოჯახური აღზრდის ხელოვნებას. ეს სიტყვები, უწინარეს ყოვლისა, ქედის მისამართითაა ნათქვამი, რამეთუ „დედა, — ბოცვაძის აზრით, — პირველი და საუკეთესო აღმზრდელია შვილისა". *„თუ გინდა ბავშვს ასწავლო, ჯერ დედას უნდა ასწავლო"* (150, 221, კურსივი ბოცვაძისაა — ნ. ბ.), — დასძენს იგი. სხვა ადგილას წერს: „თუ მებაღისაგან კი მოითხოვება იმდენი ცოდნა, რომ კარგად შეამუშაოს ნიადაგი, მოუაროს ხეხილს, რომ კარგად იხეიროს და მოიტანოს სასურველი ნაყოფი, მით უფრო ყრიად საჭიროა დედებისათვის და საზოგადოთ აღმზრდელებისათვის უსაჭიროესი ცნობების შეძენა ბავშვების კარგად აღზრდისათვის"... (26, 110). მართალია, აღნიშნავს იგი, „დედის სიყვარული... უძლიერესი ძალაა შვილის აღზრდაში, ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია შექმნას ის, რაც არ შეუძლია

არცერთ ბრძენთაგანს; მაგრამ ცოდნაც არანაკლები უძლიერესი ძალაა, რომელიც ხშირად სასწაულებსაც კი იქმს ხოლმე. რამდენი დედაა, რომელიც სამწუხაროთ გყიან იგონებს, იგლოვს თავის შეცდომებს, დაუდევრობას, როგორც შვილეს უმეცრებისას" (26, 110). საამისოდ ბოცვაძე მშობლებისგან მოითხოვს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების, მისი „ბუნების ცოდნას".

მშობლების უპირველეს მოვალეობად ლ. ბოცვაძეს მიაჩნია შვილების ზნეობრივი აღზრდა. მისი აზრით, „მშობლები არიან თავიანთი შვილების აღმზრდელები, ისინი ჰყრიან პირველს თესლს მომავალი აღზრდის წარმატებისა თუ წარუმატებლობისას...ზნეობრივი და გონებრივი საძირკვლის ჩადგმა ბუნებრივი და პირდაპირი საქმეა ოჯახისა" (25, 123). მისი აზრით, საჭიროა ცოლ-ქმარს შორის სწორი, სიყვარულზე აგებული ურთიერთდამოკიდებულება. „ურთიერთ შორისი დამოკიდებულება ცოლ-ქმარს შორის, გაჟღენთილი ჭეშმარიტის სიყვარულით, – წერს ბოცვაძე, – ქმნის ბავშვისათვის ოჯახობრივს ატმოსფეროს. კარგს ოჯახში ბავშვი თავგამოდებული სიყვარულის წმინდა ჰაერსა სუნთქავს. თუ ბავშვი იმ დღიდან, როცა მან გონების თვალი გაახილა, ხედავს, რომ მამა უპირველეს ყოვლისა დედაზედ ჰფიქრობს, დედაც – მამაკაცსე, ორივე კი შვილებზე, მაშინ საძირკველი წესიერის აღზრდისა უკვე ჩადგმულია ოჯახში" (25, 122). ისეთ ოჯახში კი, სადაც ადგილი აქვს ცოლ-ქმარს შორის ჩხუბს, აყალ-მაყალს, სიცრუესა და ორპირობას, სადაც „ცოლი ქმარს ატყუებს, ქმარი ცოლს და ორივე შვილებს", იქ წესიერი შვილი არ გაიზრდება. ამიტომაც ამბობს ხალხი, აღნიშნავს ბოცვაძე, „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო" (25, 122).

ბავშვის ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის გარდა, ბოცვაძის აზრით, ოჯახის მოვალეობას შეადგენს ასევე მის გონებრივ აღზრდაზე ზრუნვა. მშობლები ყველა ღონეს უნდა მიმართავდნენ შვილების გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისათვის. ოჯახში, ზნეობრივ აღზრდასთან ერთად, იღგმება გონებრივი აღზრდის საძირკველიც. თუ ბავშვი

სკოლაში შესვლამდე კარგად მოემზადება გონებრივად, მაშინ, უეჭველია, მას არ გაუჭირდება სწავლა, იმ მასალის შეთვისება, რომელსაც სკოლა მიაწოდებს. ოჯახში ბავშვის გონებრივ აღზრდაზე ბოცვაძე ყურადღებას იმიტომაც ამახვილებს, რომ იმდროინდელი ბავშვები მოკლებული იყვნენ საბავშვო ბაღებს, სადაც ისინი მიიღებდნენ გონებრივი აღზრდის საწყისებს. ამიტომაც იგი მოითხოვდა საბავშვო ბაღების გამართვას.

მომავალი თაობის სწორად აღზრდაში ლ. ბოცვაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ***სკოლისა და ოჯახის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას***. მისი აზრით, „მჭიდრო კავშირი სკოლასა და ერს შორის დედაბოძია ქვეყნის წარმატებისა“ (26,16). მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ურთიერთშეთანხმებული მოქმედება მას მიაჩნდა ბავშვთა აღზრდის წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ პირობად. 1911 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ოჯახი და მისი დანიშნულება“ იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ „სკოლა უძლურია იქ, სადაც ოჯახი და კერა გაციებულია, სადაც ყოველ ბრალს სკოლას სდებენ მაშინაც კი, როცა პირველ დამნაშაეედ ოჯახია და არა სკოლა“... (148, 60).

ლუარსაბ ბოცვაძემ საყურადღებო მოსაზრებები დაგეტოვა ასევე ***მასწავლებლის შესახებ***. მასწავლებელი, მისი შეხედულებით, ახალი სკოლის „სული და გული“, რომელსაც ვერაფერი შეცვლის, ვერც სახელმძღვანელო წიგნი და ვერც საუკეთესოდ შედგენილი პროგრამა. „კარგ მასწავლებელს კარგი პროგრამა რომ არ ჰქონდეს, – წერს იგი, – მაინც შეუძლია სკოლის საქმე რიგიანად წაიყვანოს, ხოლო კარგი პროგრამიდან და სუსტი მასწავლებლიდან არა გამოდნება რა სკოლის სასიკეთოდ: იმას პროგრამა ვერაფერს უშველის“... (149, 123).

მასწავლებლის შეცვლა არც კარგად შედგენილ სახელმძღვანელოს შეუძლია. „იგი მხოლოდ შრომას უმსუბუქებს მას“. აქედან გამომდინარე, საჭიროა სკოლების უზრუნველყოფა სათანადოდ მომზადებული კადრებით, რადგან, ბოცვაძის აზრით, „სკოლის ბედ-იღბალი ყოველთვის მასწავლე-

ბელ'ზე ჰკიდია". ამიტომ „კარგი სკოლა და მომ'სადებული მასწავლებელი ისეთივე საჭიროა, როგორც ჰაერი". – წერდა იგი (149, 122-123).

ყოველივე ზემოთქმ'ულიდან კარგად ჩანს, რომ მოზარდი თაობის სწაველა-აღ'ზრდა'ში ბოცვაძე წამყვან როლს მასწავლებელს, აღმზრდელს აკ'უთვნებს. მისი სამართლიანი შეხედ'ულებით, ახალგაზრდობა ჩ'ვენი ხვალინდელი დღეა, რომლის ბედნიერებაც სათანადოდ დახელოვნებ'ულ და თავისი საქმის მოყვარულ აღმ'ზრდელ-მასწავლებელ'ზეა დამოკიდებული.

ლ. ბოცვაძეს გ'ული შესტკიოდა იმის გამო, რომ სახალხო მასწავლებელი იმ დროს მეტად დამცირებული და დაუფასებელი იყო. მისი აზრით, ჭეშმარიტი პედაგოგი არ ჩამოუვარდება არც ნიჭიერ მსახიობს და არც მწერალს, მოქანდაკეს.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა წარმატებით გაართვას თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ბოცვაძის აზრით, მას ზედმიწევნით უნდა უყვარდეს თავისი პროფესია და ბავშვები, უნდა გააჩნდეს თავისი საგნის საფუძვლიანი ცოდნა, განათლება და მომზადება. მაგრამ კარგი მასწავლებლისათვის მარტო საგნის ცოდნა როდია საკმარისი, „არამედ საჭიროა კიდევ ამ ცოდნის გადაცემის ცოდნა", ანუ საგნის სწავლების მეთოდიკის დაუფლება. ყოველივე ამათთან ერთად, მასწავლებელი სამაგალითო და მისაბაძი უნდა იყოს თავისი მოსწავლეებისათვის. ბოცვაძის სიტყვით, „მასწავლებლის პიროვნებაზე, მისი გადაცემის თვისებაზე, გარეგან მანერებზე, მიხრა-მოხრაზე, ცოცხლად სწავლებაზე, თავისი მოვალეობისადმი სიყვარულზე, მოწაფეების სწავლაში წარმატების ზრუნვაზე, მათ განვითარებაზე... არის დამოკიდებული სკოლის ბედი და უბედობა" (26, 40).

ამ თვისებებთან ერთად, ბოცვაძე მასწავლებლისგან მოითხოვს, რომ იგი საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდეს მოსახლეობასა და მოსწავლეთა შორის, რადგან, მისი სამართლიანი მტკიცებით, მაღალი ავტორიტეტის მქონე მასწავლებელი უკეთ წარმართავს სასწავლო-აღმზრდელობით

მუშაობას სკოლაში, მას მოსწაფლეები რიდით და პატივისცემით ეპყრობიან, მის სიტყვას უყოყმანოდ ასრულებენ.

მოსწაფლეებში ავტორიტეტის მოპოვებისათვის საჭიროა, მასწაფლებელი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს თავის უპირველეს მოვალეობას, სწაფლა-აღზრდის საქმეს, გულმოდგინედ ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის და მოუმზადებელი არასოდეს შედიოდეს კლასში. იგი უნდა იყოს მეტად ფრთხილი, თავდაჭერილი, წინდახედული, მომთმენი და ტაქტიანი, არ უნდა მიმართავდეს მოსწაფლეების დაშინებას, მუქარას და ა.შ. „იმდენი სიფრთხილე, გამოცდილება და გამჭრიახობა არავის მოეთხოვება, – წერს ბოცვაძე, – რამდენიც მასწაფლებელს. მასწაფლებელი ყოველ ნაბიჯს, ყოველ თავის მოქმედებას, აზრსა და სიტყვას ჯერ საკუთარი კრიტიკის ჭარცეცხლში უნდა ატარებდეს და შემდეგ სრულიად მომზადებული შედიოდეს კლასში. ვინც ასე იქცევა, იმას წარმატებაც სასურველი ექნება“ (148, 71).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მასწაფლებელს მოეთხოვება თავის თაფზე სისტემატური მუშაობა და ცოდნის ჰორიზონტის გაფართოება, რამეთუ, ბოცვაძის აზრით, „ვინც თვითონ ერთ წერტილზედ სდგას, იმას არ შეუძლიან სხვები წინ წასწიოს, ან ვინც თვითგანვითარებას მოკლებულია, იმას არ შეუძლიან ეს თვისება ჩაუნერგოს სხვას“ (26, 14).

კ. უშინსკის მსგაფსად, ლ. ბოცვაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ მასწაფლებელი მანამდე რჩება სახალხო მასწაფლებლად, სანამ იგი აგრძელებს თავის თავზე მუშაობას. „მხოლოდ იმ ადამიანს აქვს უფლება იმასწაფლებლოს, – წერს იგი, – რომელიც თვითონ მუდამ სწაფლობს“ (149,125).

ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს სწაფლების თეორიის საკითხებს. მის დიდაქტიკურ შეხედულებათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა მოძღვრება *სწავლების პრინციპების შესახებ.*

ლ. ბოცვაძე სწაფლების პრინციპთა შორის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსწაფლეთა მიერ *მასალის შეგნებულად და გააზრებულად შეთვისებას,* რაც, მისი აზრით,

მხოლოდ მოსწავლეთა აქტიურობით მიიღწევა. მისი შეხედულებით, ზეპირობაზე დამყარებული სწავლება არ არის საფუძვლიანი. უაზროდ გაზეპირებული მასალა მალე ავიწყდება ბავშვს. გარდა ამისა, მას არ ძალუძს ამ მასალის ცხოვრებაში გამოყენება. ამიტომ ყოველი მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვმა მასალა შეითვისოს „შეგნებულად, მკვიდრად და საფუძვლიანად". უმჯობესია, იცოდეს ცოტა, „მაგრამ შეგნებით, საფუძვლიანად და კარგათ, ვიდრე ბევრი და შეუგნებლად". მასალის დაზეპირებით ბავშვს გონება ურლვნგდება და სწავლის ხალისი ეკარგება. მას უნდა ესმოდეს არა მარტო ცალკეული სიტყვები და ფრაზები, არამედ მათ შორის არსებული კავშირებიც. „...ბავშვმა უნდა იცოდეს ის, რასაც ამბობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი წინდაუხედავობით ბავშვის გონებას დავაბრლუნგებთ და დიდად ვავნებთ მას. ყველა გაკვეთილი ისე უნდა ავუხსნათ ბავშვს, რომ შიგ მისთვის გაუგებარი სიტყვა და აზრი არ დარჩეს" (118, 224).

ლ. ბოცვაძის აზრით, ახალ სკოლაში „...ყველა ძალა მიმართული იქნება არა იმისაკენ, რომ აუკსონ ბავშვს თავი სხვისი აზრებით..., არამედ იქითკენ, რომ ასწავლონ ბავშვს საკუთარ ფეხზე დადგომა"... (150, 236).

სწავლებაში შეგნებულობის პრინციპის განხორციელებისათვის ლ. ბოცვაძე მოითხოვს სასწავლო პროგრამის ხუსტ დაცვას. დაუშვებელია ანქარება პროგრამის გაელაში. „მასწავლებელმა წინ ნაბიჯი არასოდეს არ უნდა წადგას, – ამბობს იგი, – თუ დარწმუნებული არაა, რომ ყველაფერი გადაცემული მოწაფეებს კარგად ესმით" (26, 32).

მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულად შეთვისება შეუძლებელია მათი აქტიურობის გარეშე. რომელსაც მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს. „დღეანდელი პედაგოგიკა მოსწავლეთაგან თხოულობს ყურის გდებას, დაკვირვებასა და მოქმედებას, დამოუკიდებელ მუშაობას, – წერს ბოცვაძე. – მართლაც, რამდენადაც სკოლა შესძლებს, რომ მეტი თვითმოქმედება გამოიწვიოს ბავშვებში, გაკვეთილზე

იქნება თუ გაკვეთილების გარეშე, მით უფრო ღიდ სარგებლობას მოუტანს იგი მოწაფეს“ (28, 48).

მოსწავლეთა მიერ მასალის შეგნებულად და გააზრებულად შეთვისებაში ლ. ბოცვაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს *თვალსაჩინოებას.* თვალსაჩინოება მას მიაჩნდა სწავლების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, რადგან, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ასაკში ბავშვი მხოლოდ კონკრეტულად აზროვნებს და განყენებული აზროვნება არ ძალუძს. მისი აზრით, მარტო სიტყვიერი სწავლება უბრალოდ დროის დაკარგვაა, რადგანაც „სიტყვა აზრს მაშინ შეისხამს, როცა მას წინ დასამტკიცებლად მრავალი ცდა და დაკვირვება უძღვის...“ (149, 91).

როგორც დავინახეთ, ლ. ბოცვაძე მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულად და მტკიცედ შეთვისებაში დიდ როლს ანიჭებს თვალსაჩინოებას. ეს არის მის მიერ თვალსაჩინოების პრინციპის საგანმანათლებლო მნიშვნელობის აღიარება. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი თვალსაჩინოების აღმზრდელობით მნიშვნელობასაც კარგად ამჩნევდა. მისი აზრით, თვალსაჩინოება ხელს უწყობს ბავშვებში დაკვირვების უნარის, ყურადღების, მეხსიერების, მხედველობის და, საერთოდ, ყველა ადამიანური გრძნობის განვითარებასა და აღზრდას. „თვალსაჩინო სწავლების დანიშნულებაა, მიმართოს და აამოძრაოს ბავშვის ყველა გრძნობანი“, — წერს იგი (149, 92).

ამრიგად, ლუარსაბ ბოცვაძეს თვალსაჩინოება ესმის ფართო გაგებით და მას არ შემოფარგლავს მხოლოდ იმით, რისი დანახვაც შეიძლება თვალით. ამ პრინციპში იგი გულისხმობს ისეთ სწავლებას, რომელიც დამყარებულია გრძნობად აღქმაზე საერთოდ. „უტყუარი პედაგოგიური ჭეშმარიტებაა, — წერს იგი, — რამდენადაც მეტი გარეგანი გრძნობა იღებს მონაწილეობას საგნის შეთვისებაში, მით უფრო მეტი შთაბეჭდილება რჩება ბავშვის გონებაში და მით უფრო ძლიერად მოქმედებს ბავშვზედ ესა თუ ის საგანიც“ (149, 95).

შეგნებულობისა და თვალსაჩინოების გვერდით, სწავლების მიზნის განხორციელებაში ბოცვაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს *სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპს*. მისი აზრით, ცოდნის თანმიმდევრობა სწავლების მთელი პროცესის წარმატების საწინდარია. სწავლების პროცესში „...ერთი მეორეს უნდა მიჰყვებოდეს, ერთი მეორედან უნდა გამომდინარეობდეს“ (149, 97). ბოცვაძეს ძალზე კარგად ესმოდა ი.ა. კომენსკის შეგონება სწავლების პროცესის წარმართვის შესახებ, რომ „ღღევანდელი განამტკიცებდეს გუშინდელს და გ'სას უხსნიდეს ხვალინდელს“. ასეთი კავშირი ძველსა და ახალ მასალას შორის საფუძველია არა მარტო გაღაცემული მასალის მტკიცედ შეთვისებისა, არამედ შემდგომი მასალის წარმატებით დაძლევისაც. ახალი მასალის მიწოდების დროს, ბოცვაძის სამართლიანი შეხედულებით, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ცოდნის დონე და დავიცვათ მასალის მიწოდების დროულობა და თანმიმდევრობა. „ბავშვის გონება და მეხსიერება ისეთი ჭურჭელი არ არის, – წერს იგი, – რომლის ავსებაც ყველაფრით შეიძლებოდეს... ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ბავშვს უდროოდ და უწესრიგოდ არა მივაწოდოთ რა, რასაც მისი გონება და ფსიქოლოგია ვერ ურიგდება“ (150, 236). ახალი მასალა უნდა გამომდინარეობდეს მოსწავლეთა მიერ უკვე შეთვისებული მასალიდან. რამდენადაც მტკიცე და მყარი იქნება ეს კავშირი ძველსა და ახალ მასალას შორის, იმდენად ადვილად აითვისებს ახალ მასალას მოსწავლე. „მასწავლებელს ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეს, რომ ახალი ცოდნა, სწავლა, რომელიც გადაეცემა ბავშვს, მჭიდროდ იქნას შეკავშირებული იმ დამკვიდრებულ ცოდნასთან, რომელიც ბავშვს უკვე შეძენილი აქვს. ახლად შეძენილი ცოდნა, თავის მხრივ, უნდა შეადგენდეს წყაროს და საფუძველს შემდეგის დასკვნისათვის“ (150, 259-260).

ლ. ბოცვაძის აზრით, სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ სწავლების პროცესი მიემართება მახლობელიდან

შორეულისაკენ, ადვილიდან – ძნელისაკენ, ნაცნობიდან – უცნობისაკენ, ზოგადიდან – კერძოსაკენ და ა.შ.

სწავლების პრინციპთა შორის ლ. ბოცვაძე გამოყოფდა ასევე *ცოდნის მტკიცედ და საფუძვლიანად დაუფლებას*, რადგან მხოლოდ ასეთი ცოდნა იძლევა იმის გარანტიას, რომ იგი გამოყენებული იქნება პრაქტიკაში. „პედაგოგის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, – წერს იგი, – ბავშვებში საფუძვლიანი, ღრმა, მტკიცე, „მაგრამ შეკრული“ და „ერთიმეორესთან შედუღებული“ ცოდნა-ცნებების დანერგვა, ნათელ რწმენად და მეცნიერულ მსოფლგაგებად მათი ჩამოყალიბება“ (118, 225).

სწავლების ყველა პრინციპი, გვასწავლის ლ. ბოცვაძე, ცოდნის მტკიცედ დაუფლებას უნდა ემსახურებოდეს. ბავშვს უნდა მივაწოდოთ იმდენი ცოდნა, რამდენის დაუფლებასაც იგი შეძლებს. უკეთესია, შეისწავლოს ცოტა, მაგრამ მტკიცედ და საფუძვლიანად, ისე რომ ეს ცოდნა ბავშვის მუდმივი თანამგზავრი იყოს. საამისოდ იგი მოითხოვს განცალკევებული მასალის განმეორებას და ვარჯიშს. „უკეთესი საშუალებანი ბავშვის მეხსიერებაში გაკეთილების შთაბეჭდილებისათვის, – წერს ბოცვაძე, – არიან სამოსწავლო ვარჯიშობანი, რომლებშიც მონაწილეობას იღებს ყველა მოწაფეები“ (149, 99-100).

ლ. ბოცვაძეს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ასევე სწავლების პროცესში *მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების პრინციპი.* ეს პრინციპი კლასიკური პედაგოგიკის ისტორიაში ცნობილია ბუნებისშესაბამისობის პრინციპის სახელწოდებით. იგი პირველად დაამუშავა კომენსკიმ. შემდეგ ამ პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ რუსო, პესტალოცი, დისტერვეგი, უშინსკი, გოგებაშვილი და სხვები. თითოეულ მათგანს ეს პრინციპი თავისებურად ესმოდა. ჟან-ჟაკ რუსო ამ პრინციპში გულისხმობდა აღზრდის პროცესის დაქვემდებარებას ბავშვის ბუნებისადმი, რასაც მისი „ბუნებრივი აღზრდის თეორია“ ეფუძნებოდა. ლ. ბოცვაძე სწავლების პროცესში მოითხოვს ბავშვის ფსიქიკურ თავი-

სებურებათა გათვალისწინებას. „ყოველი მასალა, რასაც კი მოწაფეს სკოლაში მიაწოდებენ, – წერს იგი, – სიერცითა და შინაარსით სასტიკად უნდა ეგუებოდეს მოწაფის ფსიქოფიზიკურ აგებულებას. ეს შეადგენს აწინდელი საღი პედაგოგიკის აუცილებელ მოთხოვნილებას“ (28, 46).

ბუნებისშესაბამისობის პრინციპის ამოსავალ დებულებად ბოცვაძეს მიაჩნია ბავშვის ბუნებისადმი სწავლებისა და აღზრდის პროცესების არა დაქვემდებარება, არამედ მისი გათვალისწინება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. მისი აზრით, „ბავშვი სკოლაში იგივეა, რაც ბაღში მცენარე“ და როგორც მებაღე ზრდის ამა თუ იმ მცენარეს, ასეთივე მზრუნველობით უნდა ზრდიდნენ ბავშვებს მათი აღმზრდელები.

როგორც ვხედავთ, ბოცვაძის აზრით, ბავშვის „სხეულისა და სულის“ ჰარმონიულად განვითარებისათვის, მასში აქტივობის, თვითმოქმედების, თავისი ძალებისადმი რწმენის გამომუშავებისათვის აუცილებელია ზემოთ დასახელებული ყველა პრინციპების გათვალისწინება.

სწავლების პროცესში დიდაქტიკური პრინციპები ლ. ბოცვაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ერთმანეთისაგან იზოლირებულად კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. ამ კავშირის გარეშე მათ ცალ-ცალკე აღებულს არ შეუძლიათ სწავლების ამოცანის გადაწყვეტა.

ლ. ბოცვაძის დიდაქტიკაში გარკვეული ადგილი უჭირავს ***სწავლების მეთოდების*** საკითხს. მისი აზრით, სწავლების მეთოდზე დიდადაა დამოკიდებული მოსწავლეთა წინსვლა ან ჩამორჩენა. ამიტომ იგი დიდ ყურადღებას აქცევს სწავლების პროცესში სწორი მეთოდის შერჩევას. „დარწმუნებული უნდა ვიყოთ, – წერს იგი, – რომ თუ სკოლაში სისტემა საგნების სწავლებისა წესიერ მეთოდზეა დამყარებული, სწავლაში ჩამორჩენილ მოწაფეთა რიცხვი ძლიერ მცირე უნდა იყოს“ (149, 111).

ლ. ბოცვაძე სასტიკად ილაშქრებდა იმდროინდელ ქართულ სკოლებში გამეფებული სწავლების ე. წ. „ბუნებრივი

(ნატურალური) მეთოდის" წინააღმდეგ, რომელიც გამორიცხავდა რუსული ენის სწავლების პროცესში მშობლიური ენის გამოყენებას. ამ საკითხს მან მიუძღვნა ერცხელი სტატია: „Неестественность „естественного" метода в деле обучения языкам",* რომელიც გამოქვეყნდა რუსულ პედაგოგიურ ჟურნალში „Вестник воспитания". მასში ლ. ბოცვაძემ დაასაბუთა „ბუნებრივი მეთოდის" არაბუნებრიობა.

„ბუნებრივ მეთოდს" ჩვენში „მუნჯურ მეთოდს" უწოდებდნენ, რადგან იგი მოსწავლეს, რომელმაც არ იცოდა რუსული ენა, აიძულებდა „დამუნჯებულიყო".

ლ. ბოცვაძის აზრით, სწავლების მეთოდების შერჩევა უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა მომზადების საერთო დონისა და მათი თავისებურებების გათვალისწინებით. დაწყებით კლასებში იგი უპირატესობას ანიჭებს *საუბრისა და ვარჯიშის მეთოდებს.*

ლ. ბოცვაძე თავის მრავალრიცხოვან წერილებში ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ***სწავლების შინაარსზე, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე.*** მისი აზრით, სწავლების შინაარსი განისაზღვრება სასწავლო პროგრამებით, რომლებიც ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს სწავლების მიზანს. ყოველი საგნის პროგრამის შედგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აღზრდის საერთო მიზანი. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა თავისებურებებს და შედგენილი უნდა იყოს კონცენტრული წესით. გარდა ამისა, ლ.ბოცვაძე მოითხოვს, რომ სკოლებში ცალკეული საგნების სწავლება მიმდინარეობდეს ერთნაირი პროგრამებით, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს დაუბრკოლებლად გადავიდეს ერთი სკოლიდან მეორეში. ბოცვაძის ეს მოსაზრება ყურადსაღებია სწორედ ჩვენი დღევანდელი საქართველოსათვის, სადაც აღგილი აქვს სკოლებში ერთი და იგივე საგნის სხვადასხვა პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლებას.

---

* *„ბუნებრივი" მეთოდის არაბუნებრიობა ენების სწავლებაში".*

პროგრამებთან ერთად, ლ. ბოცვაძე ყურადღებას ამახვილებს ასევე სასკოლო სახელმძღვანელოებზე და მათი შედგენის პრინციპებზე.

პირველი მოთხოვნა, რომელსაც ბოცვაძე სახელმძღვანელოს უყენებს, არის ის, რომ სახელმძღვანელო მოსწავლისათვის მისაწვდომი, მარტივი და ლიტერატურული ენით უნდა იყოს დაწერილი. „არც ერთი სახელმძღვანელო წიგნი, – წერს იგი, – ხელში ასაღები არ არის, თუ იგი ენის მხრით შეცდომებითაა აღსავსე, თუ იგი წმინდა ქართული ლიტერატურის ენით დაწერილი არ არის" (149, 107).

სახელმძღვანელოს შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივი და გონებრივი განვითარების დონეს. მასში წარმოდგენილი შესასწავლი მასალა უნდა იყოს დალაგებული გარკვეული სისტემითა და თანმიმდევრობით. ასეთ იდეალურ სახელმძღვანელოდ ბოცვაძეს მიაჩნია ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, რომელთა დაცვას შეალია მან მთელი თავისი სიცოცხლე.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ ლ. ბოცვაძეს თავისი დროისათვის შეუმუშავებია მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საკმაოდ მწყობრი მეცნიერული სისტემა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ცხოველმყოფელობა მოზარდი თაობის პარმონიულად განვითარებასა და ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში. ამიტომ დღეს, როცა მოსწავლეთა ახლებური აღზრდისა და სწავლების საკითხებზე ვმსჯელობთ, გვერდს ვერ ავუვლით ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიკურ ნააზრევს.

თ ა ვ ი XIX

შიო ჩიტაძის პედაგოგიური მოღვაწეობა და პედაგოგიკური შეხედულებანი

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი *შიო ალექსანდრეს ძე ჩიტაძე* (1873-1906) თავისებური მოვლენა იყო ქართული აზროვნების ისტორიაში. ხანმოკლე ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიუხედავად, მან მრავალი საყურადღებო პუბლიცისტური და პედაგოგიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. იგი იყო ნიჭიერი მოაზროვნე, მებრძოლი პუბლიცისტი, პედაგოგი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, დაუცხრომლად იბრძოდა იმდროინდელი სწავლა-აღზრდის სისტემის გარდაქმნისათვის.

შიო ჩიტაძე დაიბადა 1873 წლის 4 თებერვალს ქ. გორში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. შიოს მომავალი ქართული ენის მასწავლებელი, ხალხოსანი მწერალი ს ო ფ რ ო მ მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი იგონებს: „ალექსი (შიოს მამა – ნ. ბ.) მაღალი, წარმოსადეგი და ლაზათიანის სახის კაცი იყო, მაგრამ სიღარიბისაგან ისე იყო დაჩაგრული, რომ მუდამ დაღონებული და დაძმარებული დადიოდა და სახეზე აჯდა დაღი ამ გაჭირვებისა... მაგრამ ამ სიღარიბეში ერთი რამ არ ავიწყდებოდა ღარიბ-ღატაკ ალექსის: შვილების აღზრდა. ოთხივე შვილი სასწავლებელში პყავდა; სულს იხდიდა, გველის ტყავში ძერებოდა, თვით ყველაფერს იკლებდა, ოღონდ შვილებისათვის სწავლა-განათლება მიეცა; ამიტომაც იყო, რომ ბედშავი ალექსი ხშირად დაფლეთილი ტანისამოსით დადიოდა“ (86, 225).

1880 წელს 7 წლის შიო მშობლებმა დაწყებითი განათლების მისაღებად გორის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე შეიყვანეს. ამავე სასწავლებელში სწავლობდნენ მისი ძმები გოლა და სიკო, ხოლო შიოს ერთადერთი და, ნინო, გორის ქალთა პროგიმნაზიის მოსწავლე იყო.

გორის სასულიერო სასწავლებელში შიოს 7 წელი უსწავლია. სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, იგი მეტად ცქვიტი, ნიჭიერი და სწავლას მოწყურებული ბავშვი ყოფილა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა თანაკლასელთა შორის გონებრივი სიფხიზლითა და ნიჭით. ამ თვისებების წყალობით შიო თითით საჩვენებელი მოსწავლე გამხდარა. ხშირად ცივ სამთარში, წერს ს. მგალობლიშვილი, სკოლაში დახვედილი ტანსაცმლითა და „გაცქვეთილი ჩუსტებით“ დადიოდა, „საღამოსაც ფეხის თითები უჩანდა“. მიუხედავად ამისა, გაკვეთილებს არასოდეს აცდენდა და საუცხოოდაც სწავლობდა (86, 226).

შიო ჩიტაძე ბაყშვობიდანვე გატაცებული ყოფილა მხატვრული ლიტერატურით. თავისუფალ დროს მთლიანად წიგნების კითხვას ანდომებდა. მოგვიანებით იგი ავტობიოგრაფიაში წერდა: ჩემ კითხვას არავინ ხელმძღვანელობდა. ამიტომ ვკითხულობდი ყოველგვარ წიგნს, რაც ხელში მომხვდებოდაო. „13 წლისას უკვე წაკითხული მქონდა რუსი კლასიკოსების თხზულებები, რომლებმაც ნაყოფიერი გაელენა მოახდინეს ჩემზე, დამაწაფეს სისტემატურ კითხვას. საბავშვო წიგნებს არც კი ვკითხულობდი“ (88, 5).

სოფრომ მგალობლიშვილს IV კლასელთათვის დაუარსებია ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალი „შრომა“, რომლის რედაქტორი 1885-1886 სასწავლო წელს შიო ყოფილა. ჟურნალი მრავალფეროვანი იყო, გადმოგვცემს სოფრომი, გააჩნდა რამდენიმე განყოფილება: ორიგინალური მოთხრობების, ლექსების, პოემების, კრიტიკის, რებუსებისა და გამოცანების.

შიო ჩიტაძესთან ერთად, ჟურნალში თანამშრომლობდნენ *იაკობ ცინცაძე* (მწერლობაში ია ეკალაძის ფსევდონიმით ცნობილი — ნ. ბ.), *დავით დავითაშვილი* და სხვები. ამ ჟურნალის შესახებ შიო თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს:

საერთოდ, სკოლის ხელმძღვანელები გულისხმიერებას იჩენდნენ ამ წამოწყების მიმართ. „...ინსპექტორიც კი, რომელსაც ჩვენი ჟურნალისათვის საშიშარ პიროვნებად ეთვლი-

ლით, სიამოვნებით კითხულობდა ჩვენს არა ბრძნულ ქმნილებას. ეხლა სიამოვნებით ვიგონებ, რომ ჩვენს ღვაწლს არ ჩაუვლია უშედეგოდ, ჩვენ დავამთავრეთ..., ხოლო დარჩენილმა მოსწაფეებმა განაგრძეს გამოცემა ჩვენს მიერ დაწყებულ ჟურნალისა" (88, 7).

ჟურნალ „შრომაში" ქვეყნდებოდა შიო ჩიტაძის წერილები. აქვე გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „ტყის დარაჯი ანტონა", რომელშიც აღწერილია მოხუცი გლეხის მდგომარეობა, მისი მწარე ხვედრი.

შიო ჩიტაძემ გორის სასულიერო სასწავლებელი 1887 წელს დაამთავრა და სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ მშობლებს არავითარი სახსარი არ გააჩნდათ, რომ იგი თბილისში გაეგზავნათ (შიოს უფროსი ძმა გოლა უკვე იმ დროს თბილისში სწავლობდა). მშობლების სურვილი იყო, რომ შიოს მუშაობა დაეწყო და ცოტათი შეხიდებოდა ოჯახს. მასწავლებლების აზრით, შიოს სკოლის გარეთ დატოვება „საცოდაობა" იყო, მაგრამ მას გადაწყვეტილი არ ჰქონდა, სად გაეგრძელებინა სწავლა. მოგვიანებით იგი თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: „მე უნდა მომეხდინა არჩევანი სასულიერო სემინარიასა, სადაც შემეძლო მოვხვედრილიყავ შესასვლელი გამოცდების ჩაუბარებლად, და გიმნაზიას შორის, სადაც შესვლა შემეძლო ლათინურ და ფრანგულ ენებში მომზადების შემდეგ. უფროსი ძმა (გოლა ჩიტაძე — ნ. ბ.) კარგად იცნობდა სასულიერო სემინარიას, რადგან იქ სწავლობდა, და არ მირჩია იქ შესვლა. მეც მისი რჩევა დავიჯერე, დავიწყე მზადება გიმნაზიაში შესასვლელი გამოცდებისათვის და მშვენიერად ჩავაბარე ის" (110).

აქ სწავლის პერიოდში შიო ჩიტაძე დაინტერესებული იყო საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხით, განსაკუთრებით კი ილიასა და იაკობ მაჩაბელს შორის თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თაობაზე ატეხილი უთანხმოებით. ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი ს გადმოცემით, შიო ჩიტაძე, რევოლუციურად განწყობილ სხვა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად, მხარს უჭერდა ი. მაჩაბელს. „ეს ახალგაზრდობა, — წერს ი. მან-

სულტანშეილი, – მაჩაბელს უფრო მეტს თანაგრძნობას და სიყვარულს უცხადებდა, ვიდრე ილიას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქიდგან (სადაც ისინი ისხდნენ დარბაზში – ნ. ბ.) ჩქარად მოისმოდა ხოლმე სტვენა და უკმაყოფილების ხმაურობა, მეტადრე როდესაც ილია მეტის სიმკაცრით და გაუკითხაოდ დააცხრებოდა ხოლმე მაჩაბელს. როგორც გაალმასებული ქორი წიწილას... არ დამავიწყდება იმის აღგზნებული, ცეცხლიანით გაელვარებული თვალები, რომელნიც გაშმაგებით დაშტერებოდნენ ილიას" (83, 195).

თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროს შიო ჩიტაძეს თავს დაატყდა დიდი უბედურება – გოლა ჭკუაზე შეირყა და მისი პატრონობა პატარა შიოს დააწვა კისერზე. მაქსიმ გორკი, რომელთანაც გოლა მეგობრობდა, წერს: „თავდაპირველად მას მორიგეობით სდარაჯობდნენ ამხანაგები... მე ხელში ცხრა ღღე გავატარე მასთან – ეს მეტად საძნელო საქმე იყო. რამდენიმეჯერ სცადა მან ჩემი მოკვლა... ბოლოს ის მიიღეს საავადმყოფოში... ხუთი დღის შემდეგ საავადმყოფოს მოსამსახურეებმა კიბიდან გადმოაგდეს გოლა ჩიტაძე. ნეკნის ძვლის ნატეხმა გაუჭრა მას გული და მოკვდა. ის ზეიმით დაასაფლავეს, დაესწრნენ ახალგაზრდები და მუშები" (119, 100).

თავისი თავის ანაბრად დარჩენილი შიო ჩიტაძე მტკიცე ნებისყოფას იჩენს, დიდ ენერგიას ხარჯავს და კურძო გაკვეთილებით ახერხებს სწავლის გაგრძელებას. სწავლასთან ერთად, იგი გულმოდგინედ დაეწაფა თვითგანათლებას – საფუძვლიანად გაეცნო როგორც ქართულ და რუსულ მწერლობას, ისე მსოფლიო ლიტერატურის შედევრებსაც. გიმნაზია მან 1892 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა და ამავე წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ მალე აზრი შეეცვალა და აქ სწავლაზე გული აიცრუა. „მე მოვეწყვე მოსკოვის უნივერსიტეტში, – ამბობს ის ავტობიოგრაფიაში, – მაგრამ ჩქარა შემეცვალა შეხედულება. მედიცინის მეცნიერება მე სრულიად არ მაინტერესებდა, ...არ ვიცოდი რა მექნა, გავცლოდი ჩემს აღთქმულ ოცნებას, თუ გავმხდარიყავი მედიკი. მე უფ-

რო და უფრო ერწმუნდებოდი, რომ ჩემგან ცუდი ექიმი გამოვიდოდა. გულის ტკივილით მივატოვე სამედიცინო ფაკულტეტი და გადავწყვიტე გადავსულიყავი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. დაეუფლებოდი იმ მეცნიერებას, რომლისკენაც მიმიწევდა გული“ (88, 16).

ამრიგად, შიომ სამედიცინო ფაკულტეტი მიატოვა, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არ მოისურვა მან მოსკოვის უნივერსიტეტში დარჩენა და იქ ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება. ალბათ იმიტომ, რომ უკრაინა ქართველი ახალგაზრდებისათვის თბილ და მიმზიდველ კერას წარმოადგენდა. აქ მომავალი ქართველი მოღვაწეები მშობლიური ქვეყნის მსგავს ატმოსფეროში გრძნობდნენ თავს, რადგან უკრაინა საქართველოს ბედის მოზიარე ქვეყანაა. ამ მიზნით შიო 1893 წელს ეწვია ქ. კიევს და უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. აქ მან იმთავითვე მიიქცია ამხანაგებისა და ლექტორ-მასწავლებელთა ყურადღება. მალე იგი ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ხელმძღვანელად აირჩიეს.

შიო ჩიტაძე პირველი კურსიდანვე შეუდგა ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და სხვა მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებას. იგი განსაკუთრებით ცდილობდა, შეესწავლა მეცნიერების ისეთი დარგი, რომელიც პასუხს გასცემდა ცხოვრებაში წამოჭრილ ყველა პრობლემას. ასეთ მეცნიერებად მას მიაჩნდა ფსიქოლოგია. „მე ძლიერად დაველწაფე ფსიქოლოგიის შესწავლას, რომელიც ჩემს საყვარელ მეცნიერებად იქცა, – წერს იგი, – მე მეგონა, რომ მას (ფსიქოლოგიას) შეეძლო პასუხის გაცემა ყველა საკითხზე, მჯეროდა, რომ ის შესძლებდა ამას, მაგრამ სიტყვიერებისადმი სიყვარული ისევ დამრჩა, ლიტერატურა იქცა ჩემთვის ყველაზე ძვირფას მონაცემად ფსიქოლოგიური ანალიზის დროს. ლიტერატურაში მაინტერესებდა ყველაზე მეტად ლირიკა, რომელიც ასახავს პოეტის სულიერ ცხოვრებას“ (88, 18).

სტუდენტობის პერიოდში შიო ჩიტაძე ამუშავებდა მთელ რიგ თემებს ლიტერატურის საკითხებზე და კითხულობდა

სტუდენტთა წრეში. აქ სწავლის პერიოდში მას დაუმუშავებია თემა – „განათლება და ლიტერატურა პეტრე დიდის დროს", რომელშიც იხილავს იმ დროის რუს მწერალთა და მეცნიერთა შემოქმედებას (პროკოფოვიჩი, კანტემირი, ტატიშჩევი). მისი ნაშრომებიდან ჩანს, რომ სტუდენტ შიო ჩიტაძეს გააჩნია მეცნიერული კვლევის, მისეულ-შეფასებრივ კავშირებში წვდომის დიდი უნარი.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შიო ჩიტაძე, ლიტერატურულ-კვლევითი მუშაობის გარდა, ყურადღებას იპყრობს როგორც პოლიტიკური საზოგადო მოღვაწე. იგი სტუდენტთა სათვისტომოს წევრი ხდება და აქტიურად მონაწილეობს მათ პოლიტიკურ დემონსტრაციებში. ამასთან, შიო მეტად გაბედული, უშიშარი და მებრძოლი ბუნების ადამიანი ყოფილა. „ეს თვისებები, – აღნიშნავს თავის მოგონებაში კიევის უნივერსიტეტის იმდროინდელი სტუდენტი, შემდეგში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გრ. ნათაძე, – განსაკუთრებით თავს იჩენდა პოლიტიკური გამოსვლების დროს, და ხშირად გადაჭარბებულ უშიშროებამდის და აშკარა საფრთხის უარყოფამდისაც კი მიდიოდა. ასეთი იყო მისი ქცევა ე. წ. ვეტროვას ისტორიაში. ეს იყო 1897 წელს. ვეტროვას ქალი, პეტერბურგის „კურსისტკა" (მარია თედორეს ასული ვეტროვა იყო პეტერბურგის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი – ნ. ბ.), პოლიტიკური საქმის გამო დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. იქ მისდამი მიჩენილმა ჟანდარმთა ოფიცერმა ამ ქალზე ძალა იხმარა და გააუპატიურა. ქალმა ეს ვერ აიტანა და თავი მოიკლა... მან ციხის კამერის გასანათებელ ლამფიდან ნაეთი გადაისხა თავზედ და ცეცხლი მოიკიდა. ეს საქმე მთელ რუსეთში გახმაურდა. საუნივერსიტეტო ქალაქებს მოედვა პოლიტიკური დემონსტრაციების ტალღა. კიევის სტუდენტობამაც მოაწყო ამგვარი დემონსტრაცია. როცა სტუდენტების გუნდი უნივერსიტეტის შენობიდან ქუჩაში გამოვიდა, აუარებელი ხალხი შეუერთდა მათ. ხალხთა შორის ერთი მოხუცებული ქალიც შეუერთდა დემონსტრან-

ტებს. „Из сочувствия, из сочувствия“. — ჩიფჩიფებდა მოხუცი ქალი. პოლიციელმა („გოროდოვოი“) მოაელო მას ხელი და უხეშად მოექცა. შიო ჩიტაძემ ეს რომ დაინახა, პოლიციელს მუცელში მუშტი ჩაჰკრა და გაანთავისუფლა მოხუცი ქალი სულთამხუთავის კლანჭებისაგან. რასაკვირველია, გაუფრთხილებელი საქციელი იყო. პოლიციელს შეეძლო იქვე ტყვია ესროლა შიოსათვის. საბედნიეროდ, ბრბო ძლიერ მოაწყა მოხსუბრებს და ამან დაიხსნა შიო ხიფათისაგან. ყოველ შემთხვევაში შიოს უშიშროება და კეთილშობილური მოქალაქეობრივი გრძნობები ამ საქციელში აშკარად ჩანს“ (119, 106-107).

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1897 წლიდან 1904 წლის შემოდგომამდე შიო ჩიტაძე კიევის გიმნაზიებში მოღვაწეობდა. 1899 წელს იგი დაოჯახდა. ცოლად შეირთო *უსტინა კირილეს ასული შჩერბინა*, მეტად სათნო და კეთილი ქალი, დიდად განათლებული, ქმრის ერთგული მეგობარი და თანამოაზრე, რომელმაც მეუღლის სიკვდილის შემდეგ საწამლავი დალია და ასე განუტევა სული.

კიევში მოღვაწეობის პერიოდში შიო ჩიტაძეს დაუწერია არაერთი ნაშრომი კლასიკოს მწერლებზე, როგორიცაა, მაგალითად: „პუშკინი და მიცკევიჩი“, „პუშკინი როგორც ცხოვრების მასწავლებელი“, „პუშკინის ლირიკა“, „კავკასია ლერმონტოვისა და ქართველი პოეტების პოეზიაში“, „მიცკევიჩის ლირიკის დამახასიათებელი ნიშნები“, „მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება“, „უდროობის მსხვერპლი“ (ამ უკანასკნელში გადმოცემულია შექსპირის პამლეტის სახე), „ნიცშეს იდეალი“ და მრავალი სხვა.

შიოს წერილების ნაწილი დაიბეჭდა კიევში, ნაწილი კი — თბილისში. ზოგიერთი მათგანი არ დაბეჭდილა და დღეს მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობია.

თავისი მრავალრიცხოვანი გამოსვლებით ჩიტაძეს არაერთხელ განუცვიფრებია კიევის საზოგადოებრიობა ფართო ერუდიციითა და მეტყველების კულტურით. XX საუკუნის ცნობილი უკრაინელი მწერალი და კრიტიკოსი ვ ს ე ვ ო ლ ო დ ი ა გ ო ვ ე ც ი, რომელიც შ. ჩიტაძის მეგო-

ბარი იყო, აღნიშნავს, რომ სიტაძე კიევში ქველაზე ცნობილი პედაგოგი და საუკეთესო ორატორი იყო: „მის მეტყველებას აჩნდა ოდნავ ქართული კოლორიტი. რაც ცოცხალ სიტყვას განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებდა“ (88, 35-36).

შ. ჩიტაძე და აკადემიკოსი ე. ვ. ტ ა რ ლ ე ერთდროულად მოღვაწეობდნენ კიევის გიმნაზიაში. ეს უკანასკნელი წერს: „განსვენებულ შიო ჩიტაძეს ვიცნობდი, რამდენიმე შემთხვევა მქონდა მასთან შეხვედრისა. მე მანცვიფრებდა მისი მრავალმხრივი განვითარება, მომწიფებული აზროვნება და მაღალი ინტელექტუალური ღონე, ის ძალიან უყვარდათ მის მოწაფეებს“ (88, 39).

შ. ჩიტაძის პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ ვ. ჩ ა გ ო უ ე ც ი დასძენს: „...განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ახალი ტიპის პედაგოგები, რომლებიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდნენ მოსწავლეთა კულტურაზე და მათში პუმანიზმის განვითარებაზე. ასეთი პედაგოგები მოსწავლეთა შორის დიდი აუტორიტეტით სარგებლობდნენ, ხელს უწყობდნენ მათ ზოგად განვითარებას. ასეთი ახალი ტიპის პედაგოგებს შორის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი კიევის პედაგოგიურ ჰორიზონტზე მე-20 საუკუნის პირველსავე წლებში ეჭირა ახალგაზრდა ნიჭიერ ენთუზიასტ პედაგოგ-საზოგადო მოღვაწეს შიო ჩიტაძეს“ (88, 34).

კიევში შიო ჩიტაძე, ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი იყო აღგილობრივი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური მუშაკი, მისი მღივანი და გამგეობის წევრი, შემდეგ კი ამ საზოგადოების საპატიო წევრი.

შიო კიევში დაუახლოვდა გამოჩენილ უკრაინელ პოეტ ქალს, ლ ე ს ი ა უ კ რ ა ი ნ კ ა ს (ლარისა კოვალს). მას შემდეგ, როცა შიო ჩიტაძე თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ, მათ შორის ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა, რადგან ლესია უკრაინკა საქართველოში სამკურნალოდ იყო ჩამოსული და ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

1904 წლიდან შიო ჩიტაძე ქართველი საზოგადოების მოწვევით თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლად

გადმოუცვანიათ, ცოტა ხნის შემდეგ კი დაუნიშნავთ ამავე გიმნაზიის დირექტორად.

კიეველ ნაცნობ-მეგობრებს გული დაწყვეტიათ შიო ჩიტაძესთან განშორების გამო. ერთ-ერთ წერილში ისინი შიოს სწერენ: „ჩვენო ჩვირფასო შიო ალექსის ძეო! არ ვფიქრობდით, რომ ასე უცბად მოხდებოდა ჩვენი დაშორება. საშინლად მძიმეა ამაზე ფიქრიც კი. გვინდა გვჯეროდეს, რომ თქვენ ისევ დაბრუნდებით კიევში, ისევ გვასწავლით და იზრუნებთ ჩვენს განვითარებაზე. გულწრფელად მადლობელი ვართ თქვენი ყველაფრისათვის, მადლობელი ვართ ჩვენდამი კარგი, გულთბილი დამოკიდებულებისა და იმისათვის, რაც თქვენ ჩვენთვის გაგაკეთეთ.

ჩვენ თქვენში ვხედავდით არა მარტო მასწავლებელს, არამედ მეგობარსაც, რომელთანაც თამამად შეგვეძლო მისვლა კეთილი რჩევა-დარიგების მისაღებად. სულითა და გულით გისურვებთ ყველაფერს, ყველაფერს კარგს. ღმერთმა ქნას, რომ სამშობლოში კარგად წაგსულოდეთ საქმე, კავკასიას აღედგინოს თქვენი ჯანმრთელობა, მოგცეს ძალა და ენერგია ახალი საქმეებისათვის. თქვენ მომავალ მოსწავლეებს ისე ყვარებოდეთ, როგორც ჩვენ გვიყვარდით და გაფასებდით. მაგრამ როგორ კარგადაც უნდა მოეწყოს თქვენი საქმე, ძვირფასო შიო ალექსის ძეო, ნუ დაგვივიწყებით ჩვენ, რომლებსაც მუდამ გვემახსოვრება თქვენთან გატარებული დრო. ის დრო იქნება ჩვენს მეხსიერებაში ნათელი და წმინდა ჩვენი გიმნაზიის ცხოვრებიდან.

ნახვამდის, ძვირფასო შიო ალექსის ძეო, კიდევ და კიდევ სულ კარგად ყოფნას, ბედნიერებას და მიღწევებს გისურვებთ! გმადლობთ!“ (88, 53-54).

წერილს ხელს აწერს 34 კაცი. იგი დათარიღებულია 1904 წლის 9 სექტემბრით.

შიო ჩიტაძე დიდი ენერგიითა და მონდომებით შედგომია თბილისის გიმნაზიაში მუშაობას. იგი დაუცხრომლად იბრძოდა ქართულ გიმნაზიაში მმართველობის დემოკრატიული სისტემის შემოღებისა და სწავლა-აღზრდის ახალი პრინციპების დამკვიდრებისთვის. 1905 წელს მისი ინიცია-

ტიკით თბილისში ჩატარდა საქართველოს მოწინავე მასწავლებელთა პირველი ყრილობა.

შიო ჩიტაძის პროგრესულ-დემოკრატიული მოღვაწეობა და იდეები ხელს არ აძლევდა მეფის მთავრობას. ამიტომ 1906 წლის 4 (17) იანვარს, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დარბევის დროს, მეფის ოხრანკის ჯარისკაცებმა იგი ვერაგულად მოკლეს, რამაც ქართველ ხალხში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დიდი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. მისი სიკვდილის შესახებ ფართოდ იუწყება იმდროინდელი პრესა.

შიო ჩიტაძის მეუღლემ – ე ს ტ ი ნ ა შ ჩ ე რ ბ ი ნ ა მ, როგორც აღვნიშნეთ, ქმრის სიკვდილის შემდეგ საწამლაო დალია და ასე გამოეთხოვა წუთისოფელს.

შიო ჩიტაძე თავის ნაშრომებში, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე. ფართო და საფუძვლიანი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განათლება მას საშუალებას აძლევდა, ღრმად დაემუშავებინა იმ დროისათვის ჩვენში აქტუალური საკითხები. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის ***ზნეობრივ აღზრდას***. ამიტომაც იყო, რომ თავის პრაქტიკულ-პედაგოგიურ მუშაობაში ზნეობრივი ქცევის საუკეთესო მაგალითებს აძლევდა მოსწაველეებს. იგი დიდი აუტორიტეტით სარგებლობდა მოსწაველე ახალგაზრდობასა და მასწაველებელთა შორის. მისი ყოფილი მოსწაველე, შემდეგში დოცენტი ს. ვ ა ჩ ნ ა ძ ე იგონებს: „ვცდილობ მოვიგონო შიო, ოდესმე მოთმინებიდან გამოსული, გაჯავრებული, აყვირებული, მაგრამ ამაოდ. იგი თვალწინ მიდგას მუდამ მშვიდი, წყნარი, აღუშფოთებელი“ (118, 112).

თავის ნაშრომებში შ. ჩიტაძე ყურადღებას ამახვილებს ***სკოლის როლსა და მიზანდასახულობაზე***. მისი აზრით, „პირველი და უმთავრესი მიზანი საშუალო სკოლისა ის არის, რომ მისცეს მოზარდ თაობას მინიმუმი ყოველგვარი ცოდნისა, მის ასაკს შეფერებული, რომ შეეძლოს ცნობიერად შეხედოს ადამიანთა და ბუნების ცხოვრებას“ (118, 231). ამიტომ მასში ყველამ „უნდა შეიგნას ფეხი კრძალვით,

გულის ცემით". სკოლა მოსწავლეს „სულ მიიკრავს, გაუხდება ამხანაგად ჭირშიც და ლხინშიც" (118, 231).

შ. ჩიტაძეს გული წყდებოდა იმის გამო, რომ იმდროინდელი სკოლა სანახევროდაც ვერ ასრულებდა თავის მისანს, რადგან მასში სუფევდა ყაზარმული რეჟიმი, სულისშემხუთველი ატმოსფერო, რომელიც ახშობდა ბავშვების ბუნებრივ ნიჭსა და თვითმოქმედებას. ამიტომ იგი მოითხოვდა ახალი დროის შესაბამისი სკოლის დაარსებას. მომავლის სკოლას ჩიტაძე „ცხოვრების სკოლას", „თავისუფალ სკოლას", „შრომისა და შემოქმედების სკოლას" უწოდებდა.

შ. ჩიტაძე იმდროინდელ სკოლებში გამეფებული უაზრო ზეპირობის ნაცვლად მოითხოვდა მოზარდებში შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და ბუნებისა და მისი განვითარების კანონების შეცნობას. ჩვენმა მოსწავლეებმა ძალიან კარგად იციან, აღნიშნავს იგი, „რამდენი კანკლედობაა (ბრუნება – ნ. ბ.) ქართულში, რამდენი შესანიშნავი ქალაქია ვოლოგდის გუბერნიაში", მაგრამ არ იციან ის, „თუ როგორი აგებულება აქვს ადამიანს, რას წარმოადგენს ლაჟვარდი ცა და მასზე ბრწყინვალე მზე, კაშკაშა მთვარე და მოციმციმე ვარსკვლავები", არ იციან, „რად არის ერთი უზომოდ მდიდარი და მეორე ღარიბი" (118, 231).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შ. ჩიტაძე მოითხოვდა იმდროინდელი სკოლებისა და, უწინარეს ყოვლისა, სათავადაზნაურო გიმნაზიის, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, გარდაქმნას. მან შეიმუშავა გიმნაზიის რეორგანიზაციის პროექტი და პრესაშიც გამოაქვეყნა სათაურით: „თბილისის სათავადაზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი" (სულ 5 წერილი). წერილი ასე იწყება: „დრონი იცვალნენ. დაძინებულმა გამოიღვიძა, თავი მაღლა აიღო და ღაღადებს: „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!" გუშინდელი ყურმოჭრილი ყმა, დღეს თამამად ეუბნება ბატონს: – გეყოფა ბატონო, თვითნებობა. ახლა ადგილი დაუთმე იმას, ვინც თავის კისრით ატარებს უღელს, ვინც თავის ოფლით და სისხლით რწყავს თავის საქმეს" (88, 59).

შემდგომ შიო ჩიტაძე ასაბუთებს სკოლის გარდაქმნის აუცილებლობას. იგი წერს: „ვინც დაკვირვებია თბილისის სათავადაზნაურო სკოლას, იმისათვის ცხადია, რომ მას ნამდვილი სკოლის სახელი არ დაეთქმის. იგი უშველებელი პანსიონია, მოსამზადებელი სკოლაა, სადაც მასწავლებელნი იძულებულნი არიან მთელი თავისი ძალ-ღონე მოანდომონ მოსწავლეების გაწერთნას მარტო იმისათვის, რომ გაუადვილონ მთავრობის გიმნაზიებში შესვლა ან იმავე გიმნაზიიდან კურსის დამთავრების მოწმობის მიღება. სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლები, მასწავლებლები კი არ არიან, არამედ რეპეტიტორები, ...რომელნიც ტყვეთაგან ძვრებიან და ცდილობენ, რომ მათმა მოსწავლეებმა როგორმე ბედნიერი ბილეთი ამოიღონ მთავრობის გიმნაზიის ლატარიაში. ამ მდგომარეობაში ჩაყენებული სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელი მორაა სხვისი პროგრამისა, სხვისი გემოვნებისა და სხვისი ქეიფისა“ (88, 60).

მომდევნო წერილში შ. ჩიტაძე საუბრობს სათავადაზნაურო სკოლაში სწავლების დაბალი დონის შესახებ და ამის ძირითად მიზეზად მიიჩნევს მოსწავლეთათვის გაუგებარ რუსულ ენაზე სწავლებას. იგი წერს: „ქართველისათვის რუსული ენა სამშობლო ენა არ არის და მასზე სწავლა საღი პედაგოგიკის წინააღმდეგია“ (119,152). ამიტომაც დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ქართულ სკოლებში, და განსაკუთრებით სათავადაზნაურო სკოლაში, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, სწავლება წარმართულიყო მშობლიურ ენაზე. „არაფისთვის არ არის საიდუმლო, – წერს იგი, – რომ სათავადაზნაურო სკოლა დაარსებულია მოსწავლეების ეროვნულ ნიადაგზე აღსაზრდელად. მგონი დამტკიცება არ სჭირია იმ აზრს, რომ ყოველ ეროვნებას თავისი სკოლა უნდა ჰქონდეს: ქართველს – ქართული, პოლონელს – პოლონური და სხვ. ეს აუცილებელი საჭიროებაა... იმიტომ, რომ სწავლება-განათლების მიღება-განვითარება ეყრო ადგილია სამშობლო ენაზე. ვინც ამას უარყოფს, ის ეწინააღმდეგება ბუნებას და მის კანონებს“... (88, 61).

ამრიგად, სკოლის ჩამორჩენის ძირითად მიზეზად შიო ჩიტაძე მიიჩნევს საგნების სწავლებას მოსწავლეთათვის გაუგებარ რუსულ ენაზე, რასაც, მისი აზრით, მივყავართ მასწავლებლებსა და მოსწავლებს შორის უფსკრულამდე. „რამ შექმნა ეს უფსკრული, რომელიც სუფევს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, რამ გახადა ერთიმეორის მტერი თუ არა იმან, რომ მასწავლებელი აწოდებს ცნობისმოყვარე ბავშვის გონებას პურის მაგიერად ქვას. რამ შექმნა ცოდნის საზომადი ნიშნები, ეგზამენები, ათასნაირი სასჯელი, თუ არა იმან, რომ მასწავლებელი იძულებულია როგორმე მიაღებინოს მოსწავლეს მწარე წამალი, რომელიც არავითარ სარგებლობას არ მოუტანს მშიერს. ბავშვი მშიერია ცნობისმოყვარეობით, ჩვენ კი ისეთ წამალს ვაძლევთ, რომელიც შიმშილს არ უკლავს“ (88, 63). ამიტომ იყი მოითხოვს სკოლის პროგრამის შეცვლას, ისე რომ „სკოლა დაუახლოვდეს ცხოვრებას და მის ჭირ-ვარამს ემსახუროს“. ახალი სკოლის მთავარი ამოცანაა მოსწავლეთა სულის გასპეტაკება და მათი ზნეობის ამაღლება.

შიო ჩიტაძის პროექტის მიხედვით:

1. საათავადაზნაურო სკოლა უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და უფლებრივად გათანაბრებული მთავრობის გიმნაზიებთან;

2. სწავლება უნდა წარმართულიყო ქართულ ენაზე;

3. ამაღლებულიყო მასწავლებელთა კვალიფიკაცია;

4. გაზრდილიყო მათი ხელფასი;

5. შეზღუდულიყო გამგე-კომიტეტის უფლებები და გაფართოებულიყო პედაგოგიური საბჭოს უფლებები და სხვ.

ზემოთ აღნიშნულით შ. ჩიტაძე რუსული ენის შესწავლის წინააღმდეგ კი არ გამოდიოდა, არამედ, პირიქით, ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა, საფუძვლიანად დაუფლებოდა ამ ენას. მისი აზრით, „რუსული ენა მთავარია და მისი ცოდნა უნდა შეადგენდეს... ჩვენს პირველ მოვალეობას“ (118, 234). რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის მას მიზანშეწონილად მიაჩნდა დაბალ კლასებში ძველი გრამატიკის კანონების უარზე ზეპირობის ნაცვლად

ე. წ. „განმარტებითი კითხვისა“ და ახალი ლიტერატურის სწავლების შემოღება. სხვა ადგილას იგი ისევ უბრუნდება ამ საკითხს და წერს: „ურუსულესად... სწავლა სკოლაში შეუძლებელია. რუსულ ენაში ცუდად გავარჯიშებული მოსწავლენი ძნელად ითვისებენ საგნებს“ (119, 152). ამიტომაც იყო, რომ იგი, როგორც რუსული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო სპეციალისტი, ყოველღონის ცდილობდა, რომ ქართველი ახალგაზრდობა საფუძვლიანად დაუფლებოდა ამ ენას.

შიო ჩიტაძე მოსწავლეთა აღზრდა-განათლებაში, განსაკუთრებით, მათ ზნეობრივ აღზრდაში, დიდ როლს ანიჭებდა ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე დაწერილი, მისაწვდომი ***წიგნების კითხვას.***

„წიგნი ჯაჭვის რგოლია, რომელიც ადამიანს უერთებს მთელ სამყაროს; წიგნი დაუშრეტელი წყაროა ცოდნისა, რომელიც ტანჯვით შეიძინა კაცობრიობამ საუკუნეების მან-ძილზე. წიგნი სარკეა თანამედროვე და წარსულში ჩამარხულის კაცობისა; წიგნი უმდიდრესი სალაროა, საიდანაც ყველას შეუძლია ისარგებლოს“ (118, 232).

მხატვრული ნაწარმოები, ჩიტაძის აზრით, ზნეობრივად აფაქიზებს ადამიანს, ამაღლებს და აკეთილშობილებს მის სულს, აძლიერებს ცხოვრების სიყვარულს და პატიოსნებას. ამიტომ ყოველი მასწავლებლის ვალია, პატარაობიდანვე გაუღვიძოს მოსწავლეს წიგნის სიყვარული და შეაყვაროს მისი კითხვა.

შ. ჩიტაძე მოითხოვდა სკოლებიდან უვარგისი, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, ყალბი და ბავშვებისათვის შეუფერებელი წიგნების განდევნას. მას მიაჩნდა, რომ „წიგნში დახატული ცხოვრება უნდა იყოს ნამდვილი და არა ყერუმარულ წასმული“, შელამაზებული, რათა ბავშვებს შეუმუშაედეთ სწორი და არა დამახინჯებული შეხედულება ცხოვრებაზე.

იგი მასწავლებლებს ურჩევდა, ისეთი წიგნები შეერჩიათ მოსწავლეთათვის, რომლებიც მათ სწორად გააცნობდა ცხოვრების ავ-კარგს.

თავის პედაგოგიკურ ნააზრევში შიო ჩიტაძე ყურადღებას ამახვილებს ასევე აღზრდაში ***ხალხურობის პრინციპის*** დაცვას. მისი შეხედულებით, „ხალხი და სკოლა განუცალკევებელია. სკოლა არის ერთი დიდი მხარე ხალხის ცხოვრებისა, მისგან საზრდოობს და ცოცხლობს“ (118, 233). სკოლა მხოლოდ მაშინ ინარჩუნებს თავის ნამდვილ სახეს, როცა მასში სწავლება მიმდინარეობს ბავშვებისათვის გასაგებ მშობლიურ ენაზე. ამიტომაც იგი დაჟინებით მოითხოვდა ქართულ სკოლებში, რუსული ენის გარდა, ყველა საგნის სწავლებას მშობლიურ ენაზე.

შიო ჩიტაძემ ძალზე კარგად იცოდა, რომ ხალხურობის პრინციპი არ გამორიცხავს მსოფლიო ისტორიისა და მისი კულტურული წარსულის შესწავლას, მაგრამ ბავშვმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა იცოდეს თავისი ხალხის კულტურა და ისტორია და შემდეგ უნდა შეუდგეს მსოფლიოს ხალხთა კულტურისა და ისტორიის შესწავლას. ამისათვის, მისი აზრით, ქართველ ხალხს უეჭველად ესაჭიროება რუსული ენის, მისი მწერლობისა და კულტურის შესწავლა-დაუფლება.

შიო ჩიტაძეს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ***მასწავლებლის შესახებაც***. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან იგი იმდროისათვის საუკეთესო მასწავლებელთა შორის ირიცხებოდა. მასწავლებლობა მას ყველაზე რთულ საქმედ მიაჩნდა. ეს კარგად ჩანს მის სიტყვებში: „ყველაზე ძნელი ხელოვნება აღზრდის ხელოვნებაა. აღმზრდელს იმისთანა რთულ არსებასთან აქვს საქმე, რომ საჭიროა ბუნებრივი ნიჭი, შემოქმედება და ცოდნა შეერთდნენ, რომ ცოცხალი არსება არ დამახინჯდეს და ისეთი სახე მიიღოს, რომელიც ბუნებამ ჩანერგა მის სიღრმეში“ (118 234).

შიო ჩიტაძის აზრით, მასწავლებელს უნდა გააჩნდეს გარკვეული ბუნებრივი ნიჭი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს აღსაზრდელის თავისებურებების გაცნობა-შესწავლის უნარს და მასზე დაყრდნობით სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვას. ეს ნიჭი „ძვირფასი საჩუქარია ბუნებისა და ადამიანს თან სდევს“, მაგრამ მო-

სარლის აღწრდისათვის მარტო „ბუნებრივი ნიჭი“ და „შემოქმედებითი უნარი“ არ არის საკმარისი, მას უნდა დაერთოს შესწავლილი ცოდნა, გამოცდილება და ოსტატობა. „როგორც საჭიროჭი არ არის შემოქმედება მწერლისათვის, თუ მას ცხოვრების ცოდნა არა აქვს, მხატვრისათვის, თუ მან არ იცის ფერების შეწავება, ეკრეთ საჭიროჭი არ არის აღმწრდელისათვის ნიჭი და შემოქმედება, თუ მასთან ცოდნა არა აქვს“ (118, 235). გარდა ამისა, საჭიროა აღსაწრდელი ობიექტის, ანუ ბავშვის ცოდნა, მისი „სულის სიღრმეში“ ნახედვა და „საიდუმლოთა-საიდუმლოს“ შესწავლა-გამოკვლევა, რათა აღწრდის პროცესში თავიდან ავიცილოთ „ცოცხალი არსების დამახინჯება“. „თუ გვსურს ადამიანის აღზრდა ნორმალურად წავიყვანოთ, – წერდა შიო ჩიტაძე თავის „ფსიქოლოგიურ წერილებში“, – საჭიროა ვიცოდეთ ადამიანის ბუნება, მისი განსაკუთრებითი თვისებანი და მისი ცხოვრება“ (118, 143). აღმწრდელმა უნდა იცოდეს ბავშვის ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა, აქმა, ტემპერამენტი და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს.

ადამიანის ბუნებისა და მისი თავისებურებების შესწავლა, ჩიტაძის აზრით, შეუძლებელია საფუძვლიანი ფსიქოლოგიური განათლების გარეშე. ფსიქოლოგია ასწავლის პედაგოგს ადამიანის „სულის ცხოვრებას“, მის შინაგან სამყაროს, რაც ჩვენგან დაფარულია. ადამიანის „სული“ ისეთე შეიძლება იქნას შესწავლილი, როგორც სხეული.

მიუხედავად ამისა, შიო ჩიტაძეს არ აკმაყოფილებდა მაშინდელი ფსიქოლოგიის მიღწევები. ეს ჩანს მის სიტყვებში, როცა ამბობს – „ფსიქოლოგია ჯერაც არ არის ნამდვილი მეცნიერებაო“. და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან იგი, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, იმდროისათვის მხოლოდ ყალიბდებოდა, კ. უშინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვილობის ასაკში“ იყო.

შ. ჩიტაძე მასწავლებლებისაგან მოითხოვს *მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარებას*. ამ მიზნით ისინი სისტემატურად უნდა ესწრებოდნენ ერთმანეთის გაკვეთილებზე

და პრაქტიკულად ეუფლებოდნენ სწავლების პრინციპებსა და მეთოდებს.

შ. ჩიტაძის აზრით, მასწავლებლის ერთ-ერთი ამოცანაა მოსწაულეებში ***სწავლისადმი ინტერესის გაღვივება,*** რაც პედაგოგიურ მუშაობაში წარმატების საწინდარია. ამის გარეშე ცოდნის შეძენის პროცესი იძულებით ხასიათს იღებს და მოსწაულეთა მომზადების დონეზე უარყოფითად მოქმედებს. სწავლაში ნებელობა და ინტერესი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ისინი ერთმანეთს აკუსებენ. ამასთან, მოსწავლეთა მიერ შეძენილ ცოდნას მაშინ აქვს ფასი, როცა იგი მოპოვებულია შეგნებულად, გააზრებულად და როცა მოსწაულე ახერხებს ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. „ცოდნა ძვირფასია და სასიანოენო იმღენად, რამდენადაც იგი მოპოვებულია ადამიანის გონების შრომით", – წერს შ. ჩიტაძე (119, 150). ეს მოსაზრება ასოცირდება ლ. ტოლსტოის სიტყვებთან, რომელიც წერდა: „ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა, როცა იგი მოპოვებულია გონების დაძაბვით და არა მეხსიერების წყალობით"-ო.

შ. ჩიტაძის აზრით, ბავშვის ყოველმხრივ განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ***სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივ შეთანხმებულ მოქმედებას.*** მისი სამართლიანი აზრით, „სკოლა მაშინ იქნება ნაყოფიერი და სწაელა საინტერესო, როდესაც იგი არ დაშორდება ცხოვრებას; როდესაც ბავშვის სწავლა-აღზრდის საქმეში მიიღებენ გულმხურვალე მონაწილეობას მასწაულებელნიც, ოჯახიც და საზოგადოებაც" (118, 236-237).

შ. ჩიტაძეს სურდა თავის სკოლაში ასეთი ვითარების შექმნა, მაგრამ არ დასცალდა.

როგორც დავინახეთ, შიო ჩიტაძემ პედაგოგიურ სარბიელზე სულ რაღაც 9 წელი იმოღვაწა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც შეძლო, ნათელი კვალი დატოვებინა ცხოვრებაში და მხურვალე სიყვარული იმათ გულებში, ვინც მას იცნობდა.

თავი XX

მემედ აბაშიძის საბანმანათლებლო მოღვაწეობა და პედაგოგიკური იდეები

მემედ აბაშიძე იყო დიდი ქართველი მამულიშვილი, საქართველოს ერთიანობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ჟურნალისტი, მწერალი, განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე. იგი დაიბადა ბათუმში, 1873 წელს, იბრაიმ აბაშიძის ოჯახში.

მემედის მამა — იბრაიმი იყო იმდროისათვის საკმაოდ განათლებული და პროგრესული მოღვაწე. იგი სიხარულით შეხვდა 1878 წელს ბერლინის ტრაქტატს, რომლის შედეგადაც აჭარამ თავი დააღწია სამასი წლის თურქთა ბატონობას და დედასამშობლო საქართველოს დაუბრუნდა.

იბრაიმ აბაშიძემ მონაწილეობა მიიღო თბილისში მიღებულ აჭარის დელეგაციაში. იგი მიესალმა ასევე აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნას. ამიტომაც იყო, რომ 1882 წელს იბრაიმი ამ სკოლის მზრუნველადაც აირჩიეს. მის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. დიდი ილიას რეკომენდაციით იგი არჩეულ იქნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან.

იბრაიმ აბაშიძეს 4 ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. მემედი მესამე შვილი იყო ოჯახში. 1879 წელს მამამ იგი გორის სამასწავლებლო სემინარიაში მიაბარა, რადგან ბათუმში ჯერ კიდევ ქართული სკოლა არ არსებობდა. ბათუმის ქართულ სკოლაში იგი 1883 წლის გაზაფხულზე გადმოსულა და 4 წელი უსწავლია (1883-1886 წლები). ამის შემდეგ მას სწავლა ვერ გაუგრძელებია. მიუხედავად ამისა, თავის თავზე დამოუკიდებელი მუშაობით იგი იმ დროის დიდ განმანათლებლად ჩამოყალიბდა. მემედი ბრწყინვალედ დაეუფლა არაბულ, სპარსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებს. იგი იმდენად კარგად ფლობდა ზემოთ ჩამო-

თელილ ენებს, რომ თავისუფლად თარგმნიდა ამ ენებიდან ქართულ ენაზე და პირიქით.

მ. აბაშიძე ძალზე ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებს. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი მის საყვარელ მწერლებად იქცნენ. ბევრი მათგანის ლექსი მან ზეპირად იცოდა. ყოველივე ამან განაპირობა მასში ქართული ეროვნული სულის გაღვივება და განმტკიცება.

საქართველოში იმ დროს მრავალი პრობლემა არსებობდა, მაგრამ მთავარი მაინც ქართველთა სულიერი ერთიანობის საკითხი იყო. ამიტომ მემედ აბაშიძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენისა და გამთლიანებისათვის. XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მის ფხიზელ თვალს მხედველობიდან არ გამოპარვია აჭარის არც ერთი მტკივნეული საკითხი, კალმითა თუ სიტყვით იბრძოდა აჭარლებში ქართული ეროვნული სულის განმტკიცებისათვის, რადგან იმ დროს მუსლიმან ქართველებს ზოგი „თათრებს“, ზოგი „თურქებს“, თურქები კი „გურჯებს“ ეძახდნენ. მემედ აბაშიძე ჩააგონებდა აჭარლებს, რომ სარწმუნოება სხვაა და ეროვნება სხვა, რომ აჭარლები ძირძველი ქართველები არიან. ამის შეგნება მას ბათუმის პირველ ქართულ სკოლაში განუმტკიცდა.

მემედ აბაშიძე გააფთრებით ებრძოდა მეფის ხელისუფლების ჩინოვნიკებს, რომლებიც ცდილობდნენ ქართველი ხალხის გარუსებას და თავიანთ ჭკუაზე მოქცევას. ამისათვის იგი არაერთხელ იქნა დაპატიმრებული და რეპრესირებული, მაგრამ განთავისუფლებისთანავე ახალი ენერგიით ებმებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მან უკუაგდო უხრწნელი, ფუფუნებითი ცხოვრება და სამშობლოს ბედნიერებისთვის ბრძოლის გრძელი და რთული გზა აირჩია.

საქართველოს ერთიანობის მტრებმა მაინც მოისყიდეს ერთი პროვოკატორი და მემედის მოკვლა დააკალეს. იგი

ჩუმად მიეპარა მემედს და დანა ჩასცა. დაჭრილმა მემედმა თავად შეიპყრო თავდამსხმელი და პოლიციას ჩააბარა. პროვოკატორებმა ხმა გაავრცელეს, რომ ბოროტმოქმედება სომხების მიერ იყო მოწყობილი. ამით მათ სურდათ ქართველებსა და სომხებს შორის ეროვნული შუღლის ჩამოგდება. ასეთივე ხრიკებს ისინი მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორისაც აწყობდნენ, მაგრამ ბათუმის საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით, ახერხებდა მათ თავიდან აცილებას.

1919 წელს მემედ აბაშიძე აირჩიეს ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა საზოგადოების თავმჯდომარედ. ამავე წელს მისი ხელმძღვანელობით ქ. ბათუმში გაიმართა მუსლიმან ქართველთა ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების შესახებ.

ყრილობის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით, კულტურითა და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები, და ტერიტორიულად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა სამშობლო საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენდა... გამოვსთქვამთ შეურყეველს ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას: ამიერიდან და სამარადისოთ ბათომი და ბათომის ოლქი შეუერთდება თაყის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას...“ (1, 145-146).

მემედ აბაშიძე მიიჩნევდა, რომ საქართველოს შემადგენლობაში აჭარის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო აჭარისათვის ფართო ავტონომიის მიცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო თურქეთის მიერ ანტიქართული ძალების გააქტიურება და საქართველოდან აჭარის გასვლის მოთხოვნის წამოყენება. ამიტომაც იყო, რომ ეს საკითხი მალე დადებითად გადაწყდა.

მემედ აბაშიძე დაუცხრომლად იბრძოდა ეროვნებისა და სარწმუნოების ერთმანეთში აღრევისა და ერთმანეთთან დაპირისპირების წინააღმდეგ. იგი ყველა რელიგიისადმი ტო-

ლერანტობას ისჭნდა. ეს კარგად ჩანს მის სიტყვებში: „რელიგია სინდისის საქმეა, ხოლო სინდისის თავისუფლების გარეშე ადამიანის არსებობა შეუძლებელია“ (52, 139).

მემედ აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მის „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მუშაობაში მონაწილეობას, რომლის ორგანიზატორიც თავად იყო. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ დაარსებასა და რედაქტორობას. თავის ავტობიოგრაფიაში იგი გადმოგვცემს: „ამ დროისათვის ჩვენმა მუშაობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო; სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტმა, ჩემი თავმჯდომარეობით, მოიწყია ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც დააღგინა, რომ სამუსლიმანო საქართველო საქრისტიანოს განუკვეთელი ნაწილია, ავტონომიურად უერთდება საქართველოს, და ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ირჩევს მეჯლისს, რომლის თავმჯდომარედ ამირჩიეს მე“ (1, 377).

ამის შემდეგ მემედ აბაშიძის წინაშე წამოიჭრა მეფის რუსეთის დრომოჭმული წყობილების დამხობის ამოცანა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ცარიზმის მოხელეებს. მის წინააღმდეგ დაიწერა არაერთი დასმენა, რის შემდეგაც მემედს რამდენჯერმე აპატიმრებს ხან თურქეთის და ხან რუსეთის მთავრობა. საბოლოოდ იგი 1937 წელს დააპატიმრეს და ამაყე წელს დახვრიტეს, ხოლო 20 წლის შემდეგ, კერძოდ, 1957 წელს იგი რეაბილიტირებულ იქნა.

ქართველი ერი მემედ აბაშიძეს მუდამ სიყვარულით და პატივისცემით იხსენიებს და დიდ პატივს მიაგებს.

1. მემედ აბაშიძე როგორც განმანათლებელი

როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის ფრანგი განმანათლებლები ხალხის განათლებით ცდილობდნენ საზოგადოებაში არსებული მანკიერი მხარეების აღმოფხვრას და ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებას.

მემედ აბაშიძე არ იფარგლებოდა მარტო სკოლის კედლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობით და დაუღალავად იბრძოდა მოსახლეობაში განათლების მნიშვნელობის განმტკიცებისათვის. ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და სხვაგან იგი ხშირად მოითხოვდა აჭარაში სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნას.

მემედის უპირველესი საზრუნავი იყო ბათუმის ქართულ სკოლაში მაჰმადიან ქართველთა შვილების მოზიდვა და სწავლა-აღზრდაში მათთვის ხელის შეწყობა. ცნობილი ქართველი პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილის თანამოაზრე და მიმდევარი ლუარსაბ ბოცვაძე, რომელიც ბათუმის პირველ ქართულ სკოლას 1904 წელს სწვევია, წერს: „ბათუმის სკოლის ერთ თვალსაჩინო ნაკლოვანებას შეადგენს მაჰმადიან მოწაფეთა სიმცირე, რომელიც უკანასკნელ წელს ორამდის ჩამოსულა. ამ მხრივ, ბათუმის სკოლა ვერ ასრულებს იმ მიზანს, რა მიზნითაც სკოლა იყო დაარსებული თავდაპირველად. ყველა ღონისძიება, რაც კი უხმარიათ ადგილობრივს სკოლის კომიტეტს და პედაგოგიურ საბჭოს სკოლაში მაჰმადიანთა რიცხვის გასაბეერებლად, უნაყოფოდ გამომდგარა. ეხლა ერთადერთი ღონისძიება დარჩენიათ – მოაწყონ ბათუმში საზოგადო თავშესაფარი მაჰმადიანი ბავშვებისათვის, რომ გაუადვილონ სოფლელებს შვილების ჩამოყვანა და ბათუმში დაბინავება. რა შედეგი მოჰყვება ამას, არავინ იცის, მაგრამ როგორც გადმოგვცემენ, განზრახვა აქვთ, ეს უკანასკნელი ზომაც სცადონ“ (52, 152).

ლ. ბოცვაძეს მხედველობაში აქვს მემედ აბაშიძის ინიციატივა – ბათუმში მაჰმადიანი ბავშვებისათვის საზოგადო თავშესაფრის მოწყობა, რაც განხორციელდა კიდეც და ფრიად საიმედო დაწესებულება იყო აჭარის მოსახლეობისათვის.

აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკი ალექსანდრე ქათამაძე იგონებს: „მემედ აბაშიძემ ბათუმში ქართველ მუსლიმანთათვის... სწავლა-განათლების მისაღებად დაარსა პანსიონი, რომელშიც თავმოყრილი იყო

აჭარის ქალაქ რაიონის ახალგაზრდობა, განურჩეველად წოდებისა... მე, სწორედ 1920 წლის სექტემბრიდან აქ ვცხოვრობდი, ჩვენ, ქალაქანი უზრუნველყოფილნი ვიყავით ბინით, საწოლითა და სურსათით. მიუხედავად მაშინდელი ცუდი და გაჭირვებული პირობებისა, ეს პანსიონი იყო პატრიოტული და კულტურული აღზრდის პირველი კერა აჭარაში, სახელოვანი მამულიშვილის მემედ აბაშიძის უშუალო თაოსნობით რომ იყო დაარსებული" (52, 153).

პანსიონში აღზრდილმა მოსწავლეებმა თითქმის ყველამ უმაღლესი განათლება მიიღო. მათ შორის ბევრმა ასახელა არა მარტო ჩვენი კუთხე, არამედ სრულიად საქართველო. საკმარისია დაუასახელოთ: მამია კომახიძე (ექიმი, აკადემიკოსი), ახმედ ნოღაიდელი (ქიმიკოსი, პროფესორი), ჯემალ ნოღაიდელი (ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, დოცენტი), მურად გუნთაიშვილი (ექიმი), იუსუფ ციცაძე (იურისტი), ილიას ქაიამაძე (განათლების მინისტრი), ხუსეინ შაქარიშვილი (ეკონომისტი) და სხვები.

რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი მ უ ა მ ე რ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე იგონებს: „30-იან წლებში ვსწავლობდი ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. მაშინ ტექნიკუმის დირექტორად მუშაობდა დიდად დაფასებული პიროვნება – გაბო დობორჯგინიძე. ერთ დღეს მან გამოიძახა მამაჩემი და უთხრა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოდან მოსულია განკარგულება, რათა მდიდრის შვილები ამოერიცხო ტექნიკუმიდანო. მამაჩემმა შველა მემედ აბაშიძეს სთხოვა. მემედმა ორი დღის განმავლობაში თბილისიდან ჩამოიტანა ნებართვა, რომლის საფუძველზეც დატოვებული ვიქენი ტექნიკუმში" (52, 154).

1923 წელს პანსიონმა არსებობა შეწყვიტა. მაშინ მემედ აბაშიძემ სკოლისათვის შექმნა მზრუნველთა საბჭო, რომელსაც ევალებოდა სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცება და მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნო-

ბიერების ამაღლება, ქართულ ენაზე სწავლა-განათლების გავრცელება და ქართული ენის აღორძინება. მისი და სხვა შეგნებული პირების აქტიური მოღვაწეობის შედეგად მაჰმადიანთა ეროვნული ცნობიერება იმდენად ამაღლდა, რომ მოსახლეობა თვითონ მოითხოვდა მთავრობის მიერ გახსნილ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას. ასეთი მოთხოვნა წამოუყენებიათ 1915 წელს ქობულეთლებს. „ჩვენ, ქობულეთის მცხოვრებნი, ქართველები ვართ... ჩვენი სამშობლო ენა, ოსმალეთის მფლობელობის დროსაც და დღესაც, ქართული ენა ყოფილა და არის, ჩვენ და ჩვენს ბავშვებს მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენა გვესმის. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ჩვენს სკოლებში სწავლება იყოს ქართულ ენაზე" (52, 156).

მემედ აბაშიძე არა მარტო ადგილობრივი მუსლიმანი ქართველების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის იბრძოდა, არამედ თურქეთში დარჩენილ „გურჯებსაც" არ ივიწყებდა. ამ საქმეში იგი ფართოდ იყენებდა იმდროინდელ პრესას, განსაკუთრებით კი გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს", რომლითაც თავს ესხმოდა თურქოფილებსა და „სედაი მილეთელებს".

2. მემედ აბაშიძის დიდაქტიკური შეხედულებანი.

მემედ აბაშიძე დიდ ყურადღებას აქცევდა სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, სახელმძღვანელოებს და მოითხოვდა მათ სრულყოფას. მისი თაოსნობით არაერთი კამათი გამართულა ამ საკითხზე. მ. აბაშიძის დაჟინებული თხოვნით სასწავლო გეგმაში შეიტანეს ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება არა მარტო ახლად დაარსებულ ბათუმის ქართულ სკოლაში, არამედ მეჩეთებშიც. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის სწავლების საკითხს, მოითხოვდა საღეთო რჯულის ქართულ ენაზე სწავლებას.

მემედ აბაშიძე მაღალ პედაგოგიურ მოთხოვნებს უყენებდა სასკოლო სახელმძღვანელოებს. მისი აზრით:

ა) სახელმძღვანელო წიგნი უნდა შეეფარდებოდეს ბავშვის ასაკსა და გონებრივი განვითარების დონეს;

ბ) უნდა იყოს ბავშვისათვის მიმზიდველი და საინტერესო;

გ) სახელმძღვანელო წიგნის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბავშვის ბუნება, მისი თავისებურება და სხვ.

მემედ აბაშიძეს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე *სწავლების ორგანიზაციის ფორმებზე*. იგი აღნიშნავდა, რომ საქართველოში ოდითგანვე იყო ერთნაირი ასაკის, ერთნაირი მომზადების, თანაბარი უნარისა და შესაძლებლობის ბავშვების ერთ ჯგუფში სწავლების ტრადიცია, განსაზღვრული დროის მიხედვით.

მემედი კატეგორიულად ილაშქრებდა სკოლებში და მედრესეებშიც გამეფებული „მუნჯური მეთოდის" წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ სკოლებში. მედრესეში შესასწავლ მასალას მოსწავლეებს არაბულ ენაზე ასპირებინებდნენ, ხოლო ახსნა-განმარტებისათვის თურქულ ენას იყენებდნენ, ქართული ენის გამოყენებას კი თავს არიდებდნენ, რითაც იგნორირებული იყო შეგნებულობის პრინციპი სწავლებაში

მემედ აბაშიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლების პროცესში *მისაწვდომობის პრინციპის* დაცვას. მისი აზრით, სწავლების პირველ საფეხურზე, როცა ბავშვი კითხვას იწყებს, მას უცნობი სიტყვები არ უნდა შეხვდეს, რადგან, მისი აზრით, „ასეთი საგნის სახელებს ბავშვის ნორჩი გონება ვერ ითვისებს და ხალისი კითხვისა ეკარგება" (1, 69).

ამ შეხედულებიდან გამომდინარე, მემედ აბაშიძემ მოითხოვა აჭარელი ბავშვებისათვის „დედაენის" სპეციალური სახელმძღვანელოს შექმნა, რომელშიც ქრისტიანული რელიგიის კომპონენტები მაჰმადიანური ელემენტებით უნდა შეცვლილიყო. მას ღრმად სჯერა, რომ ამით მოსწავლეს „მიემატება მშობლიური ენის შეთვისების ხალისი და შეიქმნება ჯეშმარიტი ღვიძლი შვილი თავისი მაარსებელი დედა-ქვეყნისა" (1, 70).

ამიტომაც იყო, რომ მემედ აბაშიძის შენიშვნების გათვალისწინებით აჭარის სკოლებისათვის სპეციალურად შექმნეს ქართული ენის სახელმძღვანელო – ჯერ იაკობ გოგებაშვილმა, 1931-1932 წლებში ლ. სიმაკაძემ და ი. ელენტმა, ხოლო 1938-1940 წლებში – გ. ნიორაძემ და ი. ელენტმა.

ფრიდონ ხალვაშის თაიის რომანში „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, მთავარი პერსონაჟის შ უ ქ რ ი შ ა ვ ა ძ ი ს პირით გადმოგვცემს: „მახსოვს ის წიგნი, დაწყებითი სკოლების ქართული სახელმძღვანელო, ჩვენთვის, აჭარელი ბაღნებისათვის, ცალკე შეედგინათ. შიგ ჩახატულ ბიჭებს და გოგონებსაც, კაცებსაც და ქალებსაც მუსლიმანური სახელები ერქვათ..., ხოლო ღორს, ღვინოს, ...ჯვარს და სხვა ამისთანა საგიაურო რამეებს აქაურებისთვის გამოცემულ ქართულ წიგნში ვერსად ნახავდი“ (151, 122).

ცხადია, არც მემედ აბაშიძე და არც ი. გოგებაშვილი არ იყვნენ კუთხური ღელვების შედგენის მომხრენი, მაგრამ ისტორიული თაიისებურებებიდან გამომდინარე, აჭარაში ამ მიმართებით გ ამონაკლისი დასაშვებად მიაჩნდათ.

მემედ აბაშიძის აზრით, სწავლების პროცესი უნდა მიემართებოდეს ნაცნობიდან უცნობისაკენ, მახლობელიდან შორეულისაკენ, ადვილიდან ძნელისაკენ, ზოგადიდან კერძოსაკენ და ა. შ., რაც დიდაქტიკის „ოქროს წესიდან“ გამომდინარეობს.

3. მემედ აბაშიძე მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ

მშობლიურ ენაზე სწავლება პედაგოგიკაში ერთ-ერთი ცენტრალური მნიშვნელობის პრობლემაა. ამ მოსაზრებით მსოფლიო პედაგოგიკის ფუძემდებელმა ი. ა. კ ო მ ე ნ ს კ ი მ დაწყებით სკოლას მშობლიური ენის სკოლა უწოდა, რითაც წინა პლანზე მოსწავლეთა მიერ მშობლიური ენის საყრდენიანად დაუფლებისა და შემდგომ მისი საშუალებით უცხო ენების შესწავლის ამოცანა დააყენა. ამ იდეას ავითარებდნენ მომდევნო ეპოქაში ჟან-ჟაკ რუსო, ჰენრიხ

პესტალოცი, ადოლფ დისტერვეგი, კონსტანტინე უშინსკი, იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვები.

მემედ აბაშიძის დროს აღნიშნული პრობლემა მთავარი სატკივართაგანი იყო მთელს საქართველოში, რადგან ცარიზმის პერიოდში სკოლებიდან დაუნდობლად იდევნებოდა ქართული ენა, ამ საგნის მასწავლებლები შტატგარეშედ იყენენ გამოცხადებული, ხოლო აჭარლები – თურქებად. მემედ აბაშიძის გადმოცემით, მეფის რუსეთის ჩინოვნიკებმა ბათუმის ოლქის ყველა მუსლიმანი ქართველი ალწერის წიგნებში თურქად ჩაწერეს, რათა ხელი შეეშალათ მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების შეკავშირებისათვის, „მაგრამ ზოგიერთი ჩვენგანი, რომლებიც ჩვენს თავს ნამდვილ ქართველებად ვთვლიდით, – წერს იგი, – დავუახლოვდით ქართველ საზოგადოებას და ნელ-ნელა ვაღვიძებდით მთელი ოლქის მოსახლეობაში ეროვნულ თვითშეგნებას, რომ ისინი არიან ქართველები და არა თურქები“ (109, 49).

მემედ აბაშიძეს კარგად ესმოდა, რომ აჭარის წინსვლა-განვითარება და აღგილობრივ მკვიდრთა ეროვნული ცნობიერების ამაღლება შეუძლებელი იყო ქართული ენის საფუძვლიანად დაუფლების გარეშე. მშობლიურ ენაზე სწავლებასა და ამ ენაზე აღზრდა-განათლების მიღებას იგი ერის გადარჩენის ფაქტორად მიიჩნევდა.

როცა მემედი ამ–საკითხ'ს' საუბრობდა, მას მხედველობაში ჰქონდა ისიც, რომ ქართულ ენაზე შეიძლება ყოველგვარი მეცნიერული აზრის გადმოცემა და სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოების შექმნა, რადგან, მისი აზრით, „სიტყვა ქართული წარმტაცია, საამურია, სურათოვანი და შინაარსიანია“ (52, 185).

მემედ აბაშიძე მოითხოვდა არა მარტო მშობლიურ ენაზე სწავლებას, არამედ, აგრეთვე, ენის სიწმინდის დაცვასა და კარგად შენახვას. ამის საილუსტრაციოდ იგი იშველიებს არაბეთის მაგალითს, სადაც, მისი აზრით, ენის სიწმინდის დაცვით მომრაველდა ბევრი ნიჭიერი მწერალი და პოეტი. „მათ ნაწარმოებებში ბუნება ისე საუცხოოდ არის დახატული, – წერს იგი, – რომ ამ უკანასკნელი საუკუნეების

გამოჩენილ მხატვართა ნიჭიერი კალამი თუ შეელრება მათ" (1,138). აქედან გამომდინარე, მემედ აბაშიძე დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებას უცხო სიტყვებით. მიაჩნდა, რომ უცხო სიტყვების განუკითხავად გამოყენება გამოიწვევს ენის ბუნების შერყვნას. მან ძალზე კარგად იცოდა, რომ ყერც ერთი ენა, ჩაკეტილი ეროვნულ ჩარჩოებში, ყერ განვითარდება. ამიტომ ამბობდა იგი: „მე არ დავიჩემებ, ნუ იქნება უცხო სიტყვები შემოღებული ჩვენს მეტყველებაში-მეთქი. ის სიტყვები, რომლებიც ჩვენს კილოს ეგუება და ქართულ ბუნებას ეთვისება, შეიძლება მიეღოთ" (1, 136), მაგრამ ამ გზას უნდა მივმართოთ მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენს ენაში შესაბამისი სიტყვა არ გაგვაჩნია და უცხო სიტყვის შემოტანა აუცილებლობით არის გამოწვეული. ამიტომ მემედ აბაშიძემ გაილაშქრა იმ მდგომარეობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა მის დროს. ის წერდა: „...ჩვენი ერის მთლიანობის გამომხატველი ენა განიცდის სხვადასხვა უარესო და უცხო სიტყვათა შემოსევის ხიფათს... თუ ამის საწინააღმდეგო რაიმე ზომა არ მივიღეთ, ჩვენი ენა თანდათანობით დაემსგავსება ალჟირელთა ენას, რომელიც ლათინურის, იტალიურის, ფრანგულის, ესპანურის და მათი მშობლიური ენის ნარევია...

თუ ჩვენც ალჟირელებივით გულგრილნი ვიქნებით და ჩვენი სიტყვიერების საზღვრების ღიად დატოვებით საშუალებას მივცემთ განუხრელად შემოიპაროს და შემოიჭრას უცხო სიტყვები ჩვენს სიტყვიერებაში, დიახ, ასე თუ იქნება, ალჟირელების ბედის საზღვარზე შევაგდებთ ჩვენს ოდესღაც მდიდარს და შინაარსიან მეტყველებას" (1, 136-137).

გასული საუკუნის 20-იან წლებში წარმოთქმული ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია და საპროგრამო მოწოდებად გაისმის. მაშ, ყური ვუგდოთ ამ ბრძენკაცის სიტყვებს და ყველა ღონე ვიხმაროთ „ხმათა ხაყერდების და ღმერთების ენის" სიწმინდის დასაცავად და ჩვენი ეროვნული ცნობიერების გადასარჩენად.

ქართული ენის სიწმინდის დაცვასთან ერთად, მემედ აბაშიძე ქართული ენის გამდიდრების კონკრეტულ გზასაც

სახავდა. ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მას ფოლკლორული მასალის შესწავლა მიაჩნდა. ამ თვალსაზრისით იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აჭარულ ფოლკლორს. ამიტომაც იყო, რომ იგი საკულტურნარეიი კილოთი სწერდა ცნობილ ფოლკლორისტ ეახტანგ კოტეტიშვილს: „ეახტანგ, შენ გადაეცეი ჯშაე-ხეეს'ურეთს და ერთხელაც არ მოიხედე ჩვენსკენ... ერთხელ პეტრე უმიკაშვილმა სცადა და გათავდა. მოაწყვე ერთი ექსპედიცია ზემოაჭარაში და დიდად კმაყოფილი დარჩემი“ “ (52, 202).

მემედ აბაშიძის პედაგოგიკურ ნააზრევში ასახვა პოვა ***ზნეობრივი აღზრდის საკითხებმაც,*** თუმცა აღნიშნულ პრობლემაზე მას სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია. ჭეშმარიტი მამულიშვილი ვერ ურიგდებოდა იმ გარემოებას, რომ აჭარაში თურქთა სამასი წლის ბატონობამ გარკვეული დაღი დაასვა ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას. საჭირო იყო ჩვენთვის უცხო წესებისა და ჩვეულების დაძლევა, რომლებიც ზოგიერთებს ძალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი და მათგან თავის დახსნას ვერა და ვერ ახერხებდნენ. ესენი იყო: ქალების ჩადრში გახვეული სიარული, მათი დაბეჩავებული მდგომარეობა, კერიასთან მიჯაჭვა და სხვ. მემედ აბაშიძე მოითხოვდა ქალების მიერ ჩადრის ახდას, მაგრამ არა ძალდატანებით, რასაც ადგილი ჰქონდა 1929 წელს ხულოში, არამედ მათში ზნეობრივი შეგნების ამაღლებით.

ზნეობა მ. აბაშიძეს მიაჩნდა „კაცობის საზომად“, ეტალონად. ზნეობრივ აღზრდაში იგი წინა პლანზე აყენებდა მოზარდ თაობაში პუმანიზმის, პატრიოტიზმის, პატიოსნების, სამართლიანობის, მეგობრობის, შემწყნარებლობისა და სხვა თვისებების ჩანერგვას. საამისოდ მემედი მოითხოვდა ადამიანთა შორის სიყვარულს, თანაგრძნობასა და სხვისი სატკივარის გულთან მიტანას.

მემედ აბაშიძის პედაგოგიკურ შეხედულებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს *პატრიოტული აღზრდა,* როგორც ზნეობრივი აღზრდის შინაარსის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. ეს პრობლემა ყურადღების ცენტრში იყო და არის ნებისმიერ ხალხში და ნებისმიერ

დროს, მაგრამ დედასაქართველოსთან ახლადდაბრუნებული აჭარის მკვიდრთა მოსარგებლეობაში მამულიშვილური მეგნებისა და რწმენის აღსრდას საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, მემედ აბაშიძე ასე აყენებს საკითხს: აღვსარდოთ „ჩამდგილი დეიძლი შვილები“, რომლებიც ცხოვრებაში მტკიცედ დაიცავენ ეროვნულ პრინციპებს და არ შეიცდებიან აზრს სახელმწიფოებრიეი წყობის მიუხედავად.

ამ პრობლემის გაგრძელებად თქლის მემედ აბაშიძე ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის ერთიანობისათვის ბრძოლას, რასაც დიდად შეუწყო ხელი დედასამშობლოსთან დაბრუნებულ აჭარლებზე ქრისტიან ქართველთა ძმურმა მხარდაჭერამ და დახმარებამ. „ძმა ძმისთვინა და შავი დღისთვინაო, – და საქართველომ დაგვიმტკიცა ეს, – წერს მემედ აბაშიძე... – ვის არ ახსოვს, თუ როგორ გვეელებოდნენ თავზე მაშინ ჩვენი ძმები... საქართველომ თვით მოიკლო ლუკმა და ჩვენ მოგვაწვდინა სურსათ-სანოვაგე, ფეხსაცმელი-ტანსაცმელები... დიდი, პატარა, ქალი, კაცი – ყველა მზად იყო, დახმარების ხელი გამოეწოდა ჩვენთვის. ქალიშვილები, სხვა რომ არა გააჩნდათ რა, ნაწნავს თმებს იჭრიდნენ და ყიდდნენ ჩვენდა დასახმარებლად“... (I, 246).

საქართველომ აჭარას დიდი დახმარება გაუწია არა მარტო მატერიალურად, არამედ ჩვენში სწავლა-განათლების გაერცელებაშიც. გაეიხსენოთ ბათუმის პირველ ქართულ სკოლაში მოღვაწე, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლები, მათი თავდადება და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

ჭეშმარიტი მამულიშვილის ჩამოყალიბება მემედ აბაშიძის პედაგოგიკურ ნააზრევში მარტო ზნეობით არ შემოიფარგლება. ამ საქმეში იგი არ იეიწყებს *ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობასაც.* ამისათვის იგი ყოველ ჩვენგანს მოუწოდებს, უწინარეს ყოელისა, ჩვენი სამშობლოსა და ხალხის სიყვარულისკენ, რადგან ღრმადაა დარწმუნებული, რომ „თუ კაცი მოყვარულია თავისი მშობელი დედაქვეყნისა და თანამემამულეთა, ის სხვასაც შეიყვარებს, შე-

ურიგდება და, თუ მას არც თავისი ერი, არც სამშობლო დედა-ქვეყანა, არც ლიტერატურა, არც ისტორია და თავისი ეროვნული მეტყველება არ სწამს და არ უყვარს, მისგან ნურავინ სიკეთესა და სიყვარულს ნუ მოელის" (1, 67).

ამრიგად, ზნეობრივი აღზრდის შინაარსში სათანადო ადგილი უნდა დაიჭიროს სიტყვისა და საქმის ერთიანობამ, განუყოფლობამ. ზოგიერთები კი ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ, რაც უზნეო საქციელია.

ზნეობრივი აღზრდის ძირითად ფაქტორებად მემედ აბაშიძეს მიაჩნია ***სკოლა და ოჯახი***. სკოლამ რომ თავისი ძირითადი მისია შეასრულოს, ნებისმიერი საგნის სწავლებას უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი ხასიათი. გარდა ამისა, პედაგოგებიცა და მშობლებიც უნდა იყვნენ საამისოდ სამაგალითონი და მისაბაძი. ოჯახმა კი, სხვა თვისებებთან ერთად, შვილებს უნდა განუმტკიცოს ის თვისებები, რომელზეც მიუთითებდა ი. გოგებაშვილი. ეს უკანასკნელი წერდა: „...საუკეთესო ზნეობითი თვისებანი აჭარლების არის: მოხუცებულის პატივისცემა, სტუმრის მიგებება, ღირსეულად თავის დაჭერა, ზრდილობა, თავაზიანობა, ცნობისმოყვარეობა და დაუღალავი გამრჯელობა" (49, 289).

მემედ აბაშიძეს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ***მასწავლებლის შესახებაც***. მემედმა მასწავლებლად სულ რაღაც 4-5 წელი იმუშავა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, ცხოვრების გამოცდილებამ მას ასწავლა, თუ როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, აღმზრდელი. მისი აზრით, მასწავლებელმა, უწინარეს ყოვლისა, კარგად უნდა იცოდეს ის საგანი, რომელსაც იგი ასწავლის, მაგრამ მასწავლებლისათვის მარტო ამის ცოდნა როდია საკმარისი. მან კარგად უნდა იცოდეს ასევე, როგორ ასწავლოს თავისი საგანი, ანუ სრულყოფილად უნდა იყოს დაუფლებული თავისი საგნის სწავლების მეთოდიკას. ასეთი მასწავლებლები კი იმდროისათვის თითებზე ჩამოითვლებოდნენ არა მარტო აჭარაში, არამედ სრულიად საქართველოშიც. მაშინდელ სკოლებში მუშაობდა ბევრი შემთხვევითი მასწავლებელი. ამიტომ საჭირო გახდა მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარება, რომე-

ლიც 1936 წელს დაიწყო და 1939 წელს დამთავრდა. ამ 3 წელიწადში აჭარაში ატესტაცია გაიარა 1607 მასწავლებელმა, რომელთაგან 106 დაითხოვეს სკოლიდან.

მემედ აბაშიძე *ქალთა ემანსიპაციისა და განათლების* მომხრე იყო. აჭარელი ქალი საუკუნეების მანძილზე გამოთიშული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას. ოსმალთა 300-წლიანმა ბატონობამ იგი მთლიანად ჩაკეტა ოჯახში, ყოველგვარი უფლება წაართვა. ქმრის მონად და მისი ნებასურვილის უსიტყვო შემსრულებლად აქცია. მიუხედავად ამისა, უცხოელებმა იგი ვერ დააჩოქეს, ეროვნული მეობა და მშობლიური ენა ვერ დააკუწებინეს. აჭარელმა ქალმა შეურყვნელად შეგვინახა და ჩვენამდე მოიტანა ქართული ენა, ქართული სინდის-ნამუსი და პატიოსნება. აჭარელი დედა ლეჩაქში გამოხვეული ქართული სიტყვით დამღეროდა „ნანას ტკბილად" და პატარას ჩვილობიდანვე მშობლიური ენით კვებავდა. ამიტომ ამბობს მემედ აბაშიძე: „ისტორიული უკუღმართობის მეოხებით თუ მუსლიმანმა ქართველობამ არ დაიკარგა, ეს აჭარელ ქართველ დედათა წყალობით"-ო (52, 252). აი, როგორ მიმართავს პოეტი *ნანა გვარიშვილი* აჭარელ დედას:

„აჭარელო დიდო დედავ,
ნისლში მანდილს ეხედავ.
შენ იხსენი ბულბულთ სტვენა –
ტკბილი ღეღაენა.
სანუკვარი მოიპარე
და აკვანში მალე,
მე შენს ქართულ კაბა-ქათიბს,
დედავ, ეცნაცვალე".

მემედ აბაშიძე უზომო პატივს მიაგებდა ქალს, რადგან იგი ერის სულიერების ბურჯად მიაჩნდა. ჭეშმარიტ მამულიშვილს გული წყდებოდა იმის გამო, რომ აჭარელ ქალთა საკმაოდ დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამიტომ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისთანავე გარკვეული ღონისძიებები დაისახა აჭარელი ქალების კულ-

ტურული ღონის ამაღლებისათვის. საამისოდ თავდაღებით ზრუნაელა არა მარტო მემედ აბაშიძე, არამედ ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალებიც: ნინო ნაკაშიძე, დომინიკა ერისთავი (ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე), პოეტი დარია ახალქედიანი, პედაგოგი მარიამ დოლიძე და სხვები. აი, რას წერდა მაშინ ცნობილი ქართველი მწერალი ქალი ე კ ტ ე რ ი ნ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი: „ყოველ სოფელში, რომელიც მაჰმადიანი ქართველებით არის დასახლებული, უნდა გაეხსნათ ქართული სკოლა და სკოლაში მასწავლებლად გაეგზავნოთ ქალები, რომელნიც თავს დადებენ, გულს გადაუშლიან, სულს აუყვავებენ მაჰმადიან ქალებს“ (52, 253).

მემედ აბაშიძე თავგამოდებით მოითხოვდა ქალთა სკოლების გახსნასა და მათი შეგნების დონის ამაღლებას. მას ძალზე კარგად ესმოდა დიდი ვაჟა-ფშაველას სიტყვების მნიშვნელობა, რომელიც წერდა: „შვილების პირველდაწყებითი აღზრდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დედის ხელშია... ამიტომ საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ, ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილსა, ...ესმოდეს დედაკაცს, შვილი როგორ აღზარდოს..., ვინაიდან მას შეუძლიან დაამხოს ერი და კიდევაც აღადგინოს“ (61, 731).

ასეთია დიდი ქართველი მამულიშვილის, ერისკაცის, მემედ აბაშიძის პედაგოგიკური შეხედულებანი.

თ ა ვ ი XXI

დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებანი

დიმიტრი უზნაძე (1886-1950) იყო XX საუკუნის დიდი ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და ისტორიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. იგი დაიბადა 1886 წლის 20 დეკემბერს, სოფელ საქარაში რკინიგზელის *ნიკო (ნიკოლოზ) უზნაძის* ოჯახში. წერა-კითხვა მან ოჯახში შეისწავლა, ხოლო 1896 წელს იგი მშობლებმა მიაბარეს ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, საიდანაც 1905 წელს VIII კლასიდან გარიცხეს მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო. ამავე წელს დ. უზნაძე მიემგზავრება გერმანიაში და შედის ლაიბციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც ეუფლება ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას. III კურსზე საუკეთესო ნაშრომისათვის იგი ფაკულტეტის პრემიით დააჯილდოეს.

1907 წელს დ. უზნაძე ქუთაისში ჩამოდის და გიმნაზიაში ექსტერნად აბარებს გამოცდებს სიმწიფის ატესტატის მისაღებად. გამოცდების ჩაბარების შემდეგ იგი კვლავ ბრუნდება ლაიბციგში და განაგრძობს უნივერსიტეტში სწავლას. 1909 წელს უნივერსიტეტის კურსის დასრულების შემდეგ, მან ქ. პალეს უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია რუსი ფილოსოფოსის – *ვლადიმერ სოლოვიოვის* ფილოსოფიური მოძღვრების შესახებ და მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს იგი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ისტორიის მასწავლებლად. მალე მან ღირსეული ადგილი დაიჭირა საქართველოში იმდროისათვის ცნობილ პედაგოგთა შორის, როგორიც იყვნენ: სილოვან ხუნდაძე, იოსებ ოცხელი, ნიკო ცხვედაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, ივანე როსტომაშვილი, შიო ჩიტაძე და სხვები. როგორც აღიარებულ პიროვნებას, მას ირჩევენ ახლად

დაარსებული ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრად და მდივნად. აქვე კითხულობს იგი ლექციებს აღმოსავლეთის კულტურის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში. 1911 წლიდან იგი ნაყოფიერად მოღვაწეობს ამავე უნივერსიტეტთან არსებულ სალამოს კურსებზეც.

1910 წელს დიმიტრი უზნაძე შედის ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობაზე და 1913 წელს ექსტერნის წესით აბარებს სახელმწიფო გამოცდებს, ღებულობს I ხარისხის დიპლომს და ბრუნდება საქართველოში. 1935 წელს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას პედაგოგიკაში და ენიჭება პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

დიმიტრი უზნაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას: მონაწილეობდა იმხანად ქუთაისში ტრადიციად ქცეულ ე. წ. „ლიტერატურულ გასამართლებებში“* კითხულობდა საჯარო ლექციებსა და მოხსენებებს, გამოდიოდა საღამოებზე, იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივანი, ქართული ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრი. 1910 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო „ექსპერიმენტული პედაგოგიკის“ მიღწევებისადმი მიძღვნილ პეტერბურგის კონგრესის მუშაობაში, ხოლო 1913 წელს, სხვა ქართველ პედაგოგებთან ერთად, იყო სახალხო განათლების მუშაკთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის დელეგატი, სადაც იგი არაერთხელ სიტყვით გამოსულა, მის სიტყვებს კი დარბაზი აღტაცებით შეგებებია (20, 31). სწორედ ამ პერიოდში უზნაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ექსპერიმენტულ პედაგოგიკას, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგს.

თავისი პედაგოგიკური იდეები დიმიტრი უზნაძეს გაშუქებული აქვს ნაშრომებში: „აღსრდის მიზნები“ (1910 წ.), „ნარკვევები ექსპერიმენტული პედაგოგიკიდან“ (1911 წ.), „ექ-

---

* *1916 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ერეკლე მეორისა და გიორგი სააკაძის გასამართლებაში, სადაც იგი გამოდიოდა მათი დამცველის როლში.*

სპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი" (1912 წ.), „პედაგოგიკური წერილები" (1915 წ.) და სხვ.

„ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალში" დ. უზნაძე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს იმდროინდელ სკოლას, რომელიც უგულებელყოფდა ბავშვის პიროვნების და ახდენდა მის ნიველირებას. მისი სიტყვებით, ეს წიგნი ბავშვის ფსიქოლოგიის „პირველი ნერგია" „ჩვენი მეცნიერების ბაღში".

ამრიგად, პედაგოგიურ ფსიქოლოგიას ჩვენში საფუძველი ჩაუყარა დიმიტრი უზნაძემ, რითაც მან განაგრძო დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის მიერ დაწყებული საქმე, რომელმაც ამ პრობლემას მიუძღვნა თავისი უკანასკნელი ნაშრომი „ადამიანი როგორც აღზრდის საგანი".

1914 წელს ქუთაისში მცხოვრებმა საზოგადო მოღვაწეებმა და პედაგოგებმა დაარსეს საზოგადოება „სინათლე", ხოლო მომდევნო წელს აღნიშნულმა საზოგადოებამ გახსნა თავადაზნაურ ქალთა გიმნაზია, სადაც ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა*. გიმნაზიის ინსპექტორად დაინიშნა დიმიტრი უზნაძე. აქ მან იმუშავა 1917 წლის მარტამდე. მისი ქუთაისიდან წასვლის შემდეგ სკოლამ მხოლოდ ორი წელი იარსება. 1919 წელს იგი დაიხურა. დიმიტრი უზნაძე სამუშაოდ გადადის თბილისში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციაში, ხოლო 1920 წლიდან თავმჯდომარეობს სასკოლო რეფორმის კომისიას.

ძალზე დიდია დიმიტრი უზნაძის დამსახურება საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების შექმნაში. მის კალამს ეკუთვნის პირველი ქართული სახელმძღვანელოები მსოფ

---

* *იბადება კითხვა: რატომ მაინცდამაინც ქალთა სკოლა დაარსდა? ამ კითხვაზე კიტა აბაშიძე ასეთ პასუხს იძლეოდა: „ვიდრე ოჯახის ქალი არ იქნება ქართულის ენით აღზრდილი და განათლებული, მანამდის ჩვენი ოჯახები გადაგვარების გზას დაადგებიანო" (ბერულავა ნ., დიმიტრი უზნაძე, ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1967, გვ. 37).*

ლიო ისტორიაში: „პირველყოფილი კულტურა“, „ძველი აღ-მოსავლეთი“, „ძველი საბერძნეთი“, „ძველი ისტორია“ „რო-მის ისტორია“ და სხვ.

გარდა ამისა, მან შეადგინა და გამოსცა ორიგინალური სახელმძღვანელოები ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა დარგში, როგორიცაა: „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საყრუძვლები“, „ზოგადი ფსიქოლოგია“, „ბავშვის ფსიქოლოგია“ და სხვ., რომელზეც აღიზარდა პედაგოგიური დარგის მუშაკთა არა ერთი თაობა.

მეცნიერების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დ.უზნაძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მუშაკის წოდება და სხვ.

დიმიტრი უზნაძე ქართველი ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებთან (ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ანდრია რაზმაძე, კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე და სხვ.) ერთად, იყო ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი და მისი პირველი პროფესორი. იგი აქ დაარსებიდან (1918 წლის 26 იანვარი) გარდაცვალებამდე (1950 წლის 12 ოქტომბერი) ხელმძღვანელობდა ფსიქოლოგიის კათედრას.

XX საუკუნის I ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თუ დარგი, რომლის აქტიური მონაწილე დიმიტრი უზნაძე არ ყოფილიყო. მის სახელთანაა დაკავშირებული 1918 წელს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსება, რომელიც 1922 წელს პედაგოგიური ფაკულტეტის სახით შევიდა უნივერსიტეტის შემადგენლობაში. დაარსების დღიდან დ. უზნაძე იყო ამ ინსტიტუტის დირექტორი და ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მასწავლებელი. გარდა ამისა, იგი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, სამეცნიერო საბჭოს მდივანი, სოციალურ-ეკონომიკური და პედაგოგიკური ფაკულტეტის დეკანი, ქუთაი-

სისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების კათედრების გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორის გამგე, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და სხვ. 1927 წელს მან დაარსა საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა 1950 წლის 12 ოქტომბერს (ქართული ენციკლოპედიის მიხედვით – 9 ოქტომბერს) 64 წლის ასაკში, ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მოხსენების დროს, კოლეგების თვალწინ. თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის 44 წლის მანძილზე მან იმდენი რამ გააკეთა მეცნიერებაში, რომ იგი თავისუფლად ეყოფოდა ათობით მეცნიერს.

* * *

დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკურ მეცნიერებაში შემოვიდა როგორც ნოვატორი პედაგოგი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი. იმ დროს ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები: იაკობ გოგებაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, შიო ჩიტაძე, ივანე როსტომაშვილი და სხვები.

დიმიტრი უზნაძე არის განწყობის ფსიქოლოგიის ფუძემდებელი. ამ პრობლემას მან მიუძღვნა თავისი უკანასკნელი ნაშრომი „განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რამაც მას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი და მსოფლიოს უდიდეს ფსიქოლოგთა შორის ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა. დ. უზნაძემ პირველმა მიაქცია ყურადღება პედაგოგიკურ პროცესში პიროვნების პატივისცემისა და აღზრდაში მისი როგორც ობიექტის, ისე სუბიექტის აღიარებას, რამაც ქართულ პედაგოგიკურ თეორიაში წარმოშვა აღსაზრდელისადმი მტკიცე მომთხოვნელობისა და მისი პიროვნებისადმი პატივისცემის პრინციპი, რომელიც ა ნ ტ ო ნ მ ა კ ა რ ე ნ კ ო მ შეიმუშავა. ასევე დ.უზნაძემ პირველმა წამოაყენა უნიშნო სწავლების იდეა, რომელ-

ზეც ღლესაც მიმდინარეობს მეცნიერთა შორის დავა და კამათი.

დ. უზნაძე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს *პიროვნების* ფორმირების ფაქტორებზე. იგი აკრიტიკებს ჯ.ონ ლოკის „სუფთა დაფის“ თეორიას და დასძენს: „ადამიანი რომ tabula rasa ყოფილიყო, როგორც ლოკი ფიქრობდა, მაშინ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდებოდა. მაგრამ ჩანს, ბუნება ღურგალი როდი ყოფილა, რომელიც გაშალაშინებულ ფიცრებს ამზადებს და აგროვებს. არა, იგი უკვე პოტენციალურად გამორკეულ პირებს ქმნის, რომელთა არსებაში თავიდანვე ჩათესილი ყოფილა თესლი მათი მომავალი პროფენებისა“ (20, 149).

ამრიგად, დ. უზნაძის პოზიცია გარემოს როლის საკითხზე ასეთია: ბავშვს დაბადებიდან დაჰყვება ადამიანად გახდომის გარკვეული მონაცემები, მაგრამ ეს მონაცემები რომ რეალურ სინამდვილედ იქცეს, საჭიროა ბავშვის აღზრდა და სათანადო გარემოს შექმნა.

იმ დროს, როცა დ. უზნაძე მოღვაწეობდა, აღზრდის მიზნად მიჩნეული იყო პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, მისი აზრით კი „აღზრდის მიზანია იდეალური ინდივიდის შემუშავება“ (20,147), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დ. უზნაძე პიროვნების ყოველმხრივი განვითარების იდეას არ ცნობდა. 1910 წელს გაზეთ „დროებაში“ (№2) იგი წერდა: „აღზრდას არასოდეს არ უნდა ქონდეს დასახული მიზნათ ცალმხრივობა... იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისაკენ“ (104, 261).

აღზრდის მიზნის შინაარსის განსაზღვრისას დიმიტრი უზნაძე პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდის მომზადებას ცხოვრებისათვის, მოითხოვს აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც იბრძოლებს ცხოვრების გარდაქმნისათვის. მისი აზრით, აქტივობა საზოგადოების წინსვლის მამოძრავებელი ბერკეტია. ადამიანი სოციალურ არსებად მხოლოდ მაშინ იქცა, როცა იწყო ბუნების ძალებთან ჭიდილი. ამგვარი ბრძოლის გარეშე ცხოვრებას აზრი ეკარგება. „არსებითი ძარღვი ცხოვრებისა, – წერს დ. უზნა-

ძე. – გარდაქმნაში ან შემოქმედებაში მარხია: აქტიური სულის ებრძვის და გარდაქმნის ყველაფერს, რასაც პასიერობის ბეჭედი აზის..." – (20, 80).

ამრიგად, დ. უზნაძე ადამიანის სიცოცხლის აზრს ხალხის, ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის თაყდადებულ ბრძოლასა და შრომაში ხედავს. მისი შეხედულებით, ადამიანის სიცოცხლის ღირებულება პირადი ბედნიერების განცდის ხაზს სცილდება და მაღალი ღირებულებით იწყონება, რომელიც პიროვნებისაგან „ზოგჯერ სიკვდილს მოითხოვს და ზოგჯერ სიცოცხლეს" (20, 94). სიკვდილიც და სიცოცხლეც გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი სამშობლოს, ხალხის კეთილდღეობის, მისი წინსვლისა და გამარჯვების საქმეს ხმარდება.

სწავლების პროცესს დიმიტრი უზნაძე მისდიანად უკავშირებდა ადამიანის მომზადებას ცხოვრებისათვის, მაშინ როცა იმდროისათვის სკოლის მთავარ მიზნად ითვლებოდა მოსწავლის შეიარაღება ცოდნით, სწავლა-განათლებით.

დ. უზნაძეს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ***მშობლიურ ენაზე სწავლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ.*** მისი აზრით, „სამშობლო ენა გონების განვითარების საუკეთესო შესაძალია" (104, 274). ამიტომ იგი დაჟინებით მოითხოვდა ქართულ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების წარმართვას. მიუხედავად იმისა, რომ მან მრავალი უცხო ენა იცოდა, იგი მაინც ყოველთვის მშობლიურ ენაზე საუბარს ამჯობინებდა. 1914 წელს რუსეთის სათათბიროს და სახელმწიფო საბჭომ მიიღო კანონი, რომლითაც მცირერიცხოვან ეროვნებებს მიეცათ უფლება თავიანთი ხარჯებით გაეხსნათ სკოლები, სადაც სწავლება წარიმართებოდა მშობლიურ ენაზე. 1917 წელს მასწავლებელთა კავშირის დაჟალებით დიმირი უზნაძე ჩამოსულა ბათუმში ამ საკითხზე მოხსენების გასაკეთებლად. კრებას ესწრებოდნენ ე.წ. შავრაზმელებიც. მათ კატეგორიულად მოუთხოვიათ მოხსენების გაკეთება რუსულ ენაზე, რაზეც დიმიტრი უზნაძეს კატეგორიული უარი უთქვამს, სამაგიეროდ შეპირებია, რომ მეორე დღეს დაინტერესებულ პირებს აუცილებლად

წაკითხვაზე მოხსენებას რუსულ ენაზე სკოლების გაეროვნების შესახებ. დ. უსნაძეს დაპირება შეუსრულებია და მეორე დღეს მოხსენება მართლაც რუსულ ენაზე გაუკეთებია, მაგრამ სხდომას იმ პროტესტანტ მასწავლებლებიდან მხოლოდ ორი-სამი კაცი თუ დასწრებია, რაშიც აშკარად გამოვლენილა მათი შავრაზმული განზრახვა.

ასე პრინციპულად ეკიდებოდა დიმიტრი უსნაძე ეროვნულ პრობლემას და დღენიადაგ ზრუნავდა ქართულ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის. იგი გადაჭრით ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოსთანა მცირერიცხოვანი ხალხი აუცილებლად უნდა იყოს მეზობელი მრავალრიცხოვანი რუსეთის ქვეყნის მფარველობის ქვეშო, რადგან, მათი აზრით, ქართულ ენას გაქრობა ემუქრებოდა. იაკობ გოგებაშვილი კი მოითხოვდა ისეთი „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდას, რომელსაც ექნებოდა იმის რწმენა, რომ საქართველო აუცილებლად მოიპოვებდა დამოუკიდებლობას და ღიად სახელმწიფოებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას დაამყარებდა.

დ. უსნაძემ საზოგადოება „სინათლის“ მიერ ქ. ქუთაისში დაარსებულ სკოლაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, ახლებურად დააყენა ***მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების შეფასების საკითხი***. ეს საკითხი ყოველთვის იყო და არის მსჯელობის საგანი. ჯერ იყო და მოსწავლის ცოდნა ფასდებოდა მხოლოდ 2 ნიშნით: „დამაკმაყოფილებელი“ და „არადამაკმაყოფილებელი“. 1935 წელს ეროვნულ საბჭოთა კავშირში შემოღებულ იქნა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების 5-ბალიანი სისტემა: „ფრიადი“, „კარგი“, „საშუალო“, „ცუდი“ და „ძლიერ ცუდი“. „1943-1944 სასწავლო წლიდან კი ცოდნის შეფასებას დაემატა ციფრობრივი გამოხატულება (5,4,3,2,1). ამჟამად ჩვენს სკოლებში უკვე დანერგილია 10-ბალიანი სისტემა, უმაღლეს სასწავლებლებში კი – 100-ბალიანი. ყველა ამ სისტემის მიზანია მოსწავლის თუ სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის სწორად შეფასება.

დ. უსნაძემ თავის სკოლაში შემოიღო უნიშნო სწავლება, რადგან, მისი აზრით, ცოდნის შეფასების ძველი მეთოდი უმთავრესად სუბიექტურ ხასიათს ატარებდა, რაც ხშირად მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის გაუგებრობას იწვევდა („მეტი მეკუთვნოდა", „ნიშანი დამაკლეს", „ახლობლების მაღალ ნიშნებს უწერს, სხვებს კი არა" და სხვ.). „ამიტომ პედაგოგიური რჩევა (ანუ საბჭო – ნ. ბ.), – წერს დ.უსნაძე, – იმ აზრს დაადგა, რომ... ყოველგვარი შეფასება, ცოტრით იქნება იგი თუ სიტყვიერად, ხმარებიდან სულ გაიქცეებინა" (115, 53).

ამ პრობლემას დ. უსნაძის შემდეგ ეთყოლ საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღება დაუთმეს ე. სუხომლინსკიმ და აკად. შ. ამონაშვილმა, მაგრამ მასიური სკოლის პრაქტიკაში უნიშნო სწავლება მაინც ვერ დაინერგა. ამასთან დაკავშირებით პროფ. შ ა ლ ვ ა ი ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი წერს: დ. უსნაძე ქუთაისში 1915-1917 წლებში ხელმძღვანელობდა საშოგადოება „სინათლის" ქალთა სკოლას, სადაც მან უნიშნო სწავლება შემოიღო. „მას შემდეგ დ. უსნაძემ 33 წელი იმოღვაწა. ამ ხნის მანძილზე... მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ნიშანზე შეფასების წინააღმდეგ არსად არ გამოუთქამს აზრი. იგი „სინათლის" სკოლიდან წასვლის შემდეგ, 1920 წელს საქართველოში სასკოლო რეფორმის კომისიის თავმჯდომარე იყო, მაგრამ სკოლებში უნიშნოდ სწავლების საკითხი მას აქაც არ წამოუყენებია" (127,168).

დ. უსნაძე ვერ ურიგდებოდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების იმდროინდელ მეთოდს. „ბავშვი რომ პასუხს იძლევა, – წერს დიდი მეცნიერი, – იგი მასწავლებელს უყურებს; თუ თანახმაა ეს უკანასკნელი პასუხს, ბავშვი ამით კმაყოფილდება; იგი სრულიად არ ამოწმებს და არ სწონის თავისი პასუხის ჭეშმარიტებას არსებითად. შეიძლება პასუხი მას პირადად არც კი მიაჩნდეს სწორად, მაგრამ მასწავლებელი თუ მას არ ასწორებს, არც თვითონ იტკიცებს თავს მისი ნამდვილი შეფასებისთვის. ეს გარემოება კი ბავშვს ნელ-ნელა კრიტიკული აზროვნების და დამოუკიდებელი შეფასების ნიჭს უსპობს" (115, 51). ამიტომ „სინათ-

ლის“ სა'ხოგადოების ქართულ სკოლაში მოსწ'ავლის პა-სუხს თვით ბავშვები ასწორებდნენ, მასწავლებელი კი მხო-ლოდ მა'შინ ერეოდა საქმეში, როცა ისინი ამას ვერ ახერ-ხებდნენ. ამით პედაგოგები ბავშ'ებს უვითარებდნენ კრიტი-კული ა'სროვნების უნარს.

როგორც 'სმოთ აღვნიშნეთ, დ. უ'ნაძის ა'სრით, აღზრ-დის მიზანია პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, მისი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი და მხატვ-რულ-ესთეტიკური აღზრდა.

ახალი სკოლის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დ. უ'ნაძეს მიაჩნდა მოსწ'ავლეთა ***ფიზიკური აღზრდა***, მათი ჯანმრთე-ლობის გაკაჟება, რადგან „აეაღმყოფი და სუსტი ადამიანი ხანგრძლივ, ენერგიულ მუშაობას ვერ აიტანს“ (114, 46-47). აქედან გამომდინარე, მისი აზრით, მომავალ „სკოლაში ფი-ზიკურ აღზრდას უთუოდ განსაკუთრებული ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი... საქმე ის არის, რომ ოთხი-ხუთი სა-ათის განმავლობაში ოთა'ში მუშაობა ბავშ'ის ბუნებრივ ძალებს არსებითად ეწინააღმდეგება, და საკლასო მუშაო-ბის ეს გამანადგურებელი გავლენა რომ შესუსტდეს, უთუ-ოდ საჭიროა სასწორის მეორე თეალზე ფიზიკური ვარჯი-შობა მოვათავსოთ“ (114, 47).

დ. უ'ნაძე სწავლების პროცესის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიიჩნევდა მოსწავლეებში მტკიცე ნებისყოფის, გამბედაობისა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას, რაც, მისი აზრით, „არსად ისე არ მაგრდება, როგორც ფიზიკური ვარჯი'შის დროს“ (104, 266).

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის უმთავრეს საშუა-ლებად დ. უ'ნაძეს მიაჩნდა სკოლებში საგიმნასტიკო დარ-ბა'სების მოწყობა, ფიზიკური ვარჯი'შის შემოღება და გა-კვეთილების შუალედებს შორის (განსაკუთრებით დიდი და-სვენების დროს) ბავშვთა ასაკის გათვალისწ'ინებით კულ-ტურულ გართობა-თამაშობათა ორგანიზაცია. ასეთ ღონის-ძიებებს ერთგვარი სიხალისე შეჰქონდა სკოლის ცხოვრება-ში. „სათამაშოები, განსაკუთრებით ზამთარში, მეთოდურად ირჩეოდა და სისტემატურად სწარმოებდა, – წერს დ. უ'ნა-

ძე. – ვარჯიშით ისეთ სათამაშოებს, რომლებიც ბავშვების სულიერ ძალებს უფრო ავითარებდნენ, ვიდრე ფიზიკურს, მაგალითად: დაკვირვების ნიჭს, სწრაფ მოსაზრებას, სწრაფ გადაწყვეტილებას, გამბედაობას“ (20, 190).

დ. უზნაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს მოსწავლეთა *გონებრივი აღზრდის* საკითხს. მისი აზრით, გონებრივი განათლება ობიექტური სინამდვილის სწორი შემეცნებისა და ბუნების ძალთა დამორჩილების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია. ადამიანი, როგორც სოციალური არსება, თავისი გონებრივი განვითარებით გარდაქმნის ბუნებას და ჩააყენებს მას ხალხის სამსახურში. არსებობისათვის ბრძოლაში, გვასწავლის დ. უზნაძე, ადამიანი ყოველთვის ისწრაფვის ბუნების „შეუცნობელი“, „უხილავი“ ძალები „ხილულად“ და „შეცნობილად“ აქციოს და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისათვის გამოიყენოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გონების განათლება აღზრდის ერთ-ერთ მიზანად უნდა იქნას აღიარებული“, – წერს დ. უზნაძე (104, 265).

დ. უზნაძე *ზნეობრივ აღზრდაში* დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნებისყოფას, რადგან „ცხოვრებისათვის ადამიანის მომზადების მიზანი ნებისყოფის განვითარებაში ხორციელდება“ (112, 46). მისი აზრით, ნებისყოფაზე „ადამიანის მთელი პიროვნება შენდება“.

ახალგაზრდობაში მაღალი ზნეობრივი თვისებების, მტკიცე ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის აღზრდის ძირითად საშუალებად დ. უზნაძეს მიაჩნდა აღმსრდელთა პირადი მაგალითი, მხატვრული ლიტერატურა და შრომის პროცესში ბავშვთა აქტიური მონაწილეობა.

დ. უზნაძე თავად იყო ყველასათვის სამაგალითო და მისაბაძი პიროვნება. 1943 წლის 2 აგვისტოს იგი მისი ერთერთი მოწაფის, დოცენტ ა. მ.-ს შესახებ პროფ. ტ. სარიშვილს თბილისიდან თელავში სწერდა: „მე ამ დღეებში ჩამოვალ... ძალიან გთხოვ, სასწრაფოდ გაუგზავნოთ ეს წამალი ა. მ.-ს, რომელიც მწოლიარე ავადმყოფი დაგტოვე მანდ.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება და დაეხმაროთ ჩემს ჩამოსვლამდე ყოველნაირად... თქვენი დ. უზნაძე" (104, 252).

ეს სტრიქონები აშკარად მეტყველებენ ადად. დ. უზნაძის მოქალაქეობრივ მოვალეობაზე და მის მაღალ ზნეობრივ, ჰუმანურ თვისებებზე.

ალბრდის ტრადიციული, ანტიკური გაგებისაგან განსხვავებით, რომელშიც ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ალზრდა იგულისხმება, დ. უზნაძე „იდეალურად ალბრდილი ადამიანის" ცნებაში ***ესთეტიკური გრძნობების ალზრდასაც*** გულისხმობდა. დიდი ფსიქოლოგის აზრით, „მახინჯია კოჭლი, მაგრამ არანაკლებ მახინჯია ადამიანი, რომელსაც ამა თუ იმ გარემოების გამო ესთეტიკური გრძნობა დახშული აქვს" (104, 270). აქედან გამომდინარე, „...ალმზრდელის მოქმედება ესთეტიკურ გრძნობათა განვითარებისაკენ უნდა იყოს მიმართული" (104, 270). მაგრამ ალზრდის მიზანს შეადგენს მოსწავლეებში არა ხელოვნების შემოქმედებითი ნიჭის განვითარება და ხელოვნების ამა თუ იმ დარგისთვის მოსწავლეთა სპეციალური მომზადება, არამედ ესთეტიკურ გრძნობათა ალზრდა, ესთეტიკური ტაბობის უნარის გამომუშავება.

ახალი თაობის მხატვრულ-ესთეტიკური ალზრდის ამოცანების განხორციელების საშუალებად უზნაძეს მიაჩნდა საბავშვო მხატვრული ლიტერატურის, მხატვრობისა და მუსიკის შესწავლა.

დ. უზნაძე თავის პედაგოგიკურ სისტემაში დიდ ყურადღებას უთმობს ასევე მოსწავლეთა შორის ***შეგნებული დისციპლინის*** განმტკიცებას, მათში ძლიერი ნებისა და მტკიცე ხასიათის ალზრდას. ძველ სკოლაში ყოფაქცევის არსებული „წესის" დარღვევისათვის მოსწავლე ისჯებოდა. ამიტომ ბავშვი იძულებული იყო ამ წესებს დამორჩილებოდა, იმიტომ კი არა, აღნიშნავს დ. უზნაძე, რომ ეს მას საუკეთესოდ მიაჩნდა, არამედ იმიტომ, რომ ამას მასწავლებელი მოითხოვდა. „ცხოვრებაში კი ადამიანს დამოუკიდებლად უხდება მოქმედება და ძლიერი ნების პატრონი მხოლოდ ისეთი ადამიანია, რომელიც თვითონ ისახავს მიზნებს და მას თა-

ეის ნებას "შეგნებულად თვითორგა უქვემდებარებს" (115 54). აქედან გამომდინარე, დ. უზნაძე მოითხოვს მოსწავლეთა შორის არა ბრმა მორჩილებისა და როზგის დისციპლინას, არამედ შეგნებული დისციპლინის აღზრდას.

დ. უზნაძის შეხედულებით, სკოლამ მოსწავლეებს ისეთი პირობები უნდა შეუქმნას, რომელშიც ბავშვები თვითონ იმსჯელებენ თავიანთ თავზე, ამხანაგების ქცევაზე და თვით მიიღებენ სათანადო გადწყვეტილებას მათი აღმოფხვრისათვის.

ამ მიზნით დ. უზნაძემ თავის სკოლაში შემოიღო ე.წ. *„სკოლური თვითმმართველობა"*, სადაც პირველ ხანებში მთელი სასწავლებლის მეთვალყურეობა დაევალებული ჰქონდა სპეციალურად არჩეულ მოსწავლეს, რომელიც დასვენების დროს თვალყურს აღევნებდა მოსწავლეთა წესრიგს, დილით იღებდა და გაკეთილების შემდეგ სახლში ისტუმრებდა ამხანაგებს, ყურაღღებას აქცევდა კლასებში მორიგეობის წესების შესრულებას, სასწავლო ნივთების მოვლას და სხვ. მოგვიანებით ამ მიზნით მოსწავლეთა საერთო კრებაზე ირჩევდნენ 3 მოსწავლეს, რომლებიც ერთმანეთს შორის ინაწილებდნენ ფუნქციებს და იბრძოდნენ სკოლაში მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

„სინათლის" საზოგადოების სკოლის მასწავლებლები არ კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ მოსწავლეები მათი თანდასწრებით წესიერად იქცეოდნენ და დისციპლინას არ არღვევდნენ. ამიტომ ისინი ზოგჯერ მცირე ხნით ტოვებდნენ კლასს და მოსწავლეებს აჩვევდნენ დამოუკიდებლად მუშაობას, რასაც, დ. უზნაძის აზრით, სწავლა-აღზრდის საქმისათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია, პირიქით, ამან კიდევ უფრო განამტკიცა მოსწავლეთა დისციპლინა (115, 55).

დ. უზნაძეს საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე სწავლების *დიდაქტიკურ პრინციპებზე*. ამ პრინციპთაგან აღსანიშნავია:

1. *შეგნებულობის პრინციპი*. დ. უზნაძე მოსწავლეებისაგან მოითხოვდა შესასწავლი მასალის შეგნებულად და გა-

აზრებულად შეთვისებას და ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში. მისი აზრით, სწავლა-აღზრდის ძირითადი მიზანია ადამიანის მომზადება ცხოვრებისათვის, დაზეპირებულ ცოდნას კი კაცი ვერასოდეს გამოიყენებს პრაქტიკაში. დ. უზნაძე საუბრობს მოსწავლის მიერ საბუნებისმეტყველო საგნების საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობაზე, რათა იგი „ბუნების წინაშე ბრმად არ იდგეს“.

2. ***სწავლების ცხოვრებასთან კავშირის პრინციპი.*** რეფორმირებული სკოლის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად დ. უზნაძეს მიაჩნდა სკოლისა და ცხოვრების გათიშვა. „სკოლის ცხოვრებასთან დაახლოების ლოზუნგი, – წერდა იგი... – დღეისთვის დღის ლოზუნგია და არ შეიძლება მას რაციონალურმა პედაგოგიკამ ანგარიში არ გაუწიოს“ (104, 280). მაგრამ აქვე იგი გვაფრთხილებს, რომ სკოლის ცხოვრებასთან დაახლოების პრინციპი სრულიადაც არ გულისხმობს უსათუოდ პროფესიული განათლების აღიარებას. მისი აზრით, „...შეცდომაა, როდესაც ნორჩ ახალგაზრდას თავიდანვე პროფესიული განათლების გზაზე აყენებენ... ჩვენ პროფესიული განათლების წინააღმდეგ გამოვდივართ ყოველი ისეთი შემთხვევისათვის, – წერს იგი, – როდესაც არ ვიცით, თუ როგორი იქნება ნამდვილი ბუნებრივი პროფესია იმ პირებისა, რომელთაც ჩვენ აღსაზრდელად გვანდობენ...“ (114, 46).

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე სამართლიანად გამოდიოდა მოსწავლეთა ნაადრევი სპეციალიზაციის წინააღმდეგ, როცა ჩვენთვის ჯერ კიდევ ცნობილი არაა ბავშვის ბუნებრივი მიდრეკილებანი, მისი ნიჭი და უნარი.

თეორიული სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების მიზნით დ. უზნაძე მოითხოვდა ჭრა-კერვისა და ქარგვის გარდა, ბავშვების ბაღ-ბოსტანას და სამზარეულოში მუშაობას, სადაც „...ყველა ეს დარგი ხელსაქმისა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს იმ მეცნიერულ ცნობებს, რომელთაც მოწაფეები ამა თუ იმ საგნის გაკვეთილებზე იძენენ“ (104, 286).

3. ***სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი.*** დ. უზნაძეს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია სისტემა-

ტურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი. იგი პედაგოგებისაგან მოითხოვდა *იან ამოს კომენსკის* მიერ შემუშავებული დიდაქტიკური წესების დაცვას: მარტივიდან – რთულისაკენ, აღვილიდან – ძნელისაკენ, ახლობელიდან – შორეულისაკენ, კონკრეტულიდან – აბსტრაქტულისაკენ, კერძოდან – ზოგადისაკენ და ა. შ. მაგალითად, იგი მოითხოვდა მსოფლიო ისტორიის შესწავლამდე მშობლიური ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის ან მწერლობის შესწავლას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადი დასკვნების გაკეთებასა და მტკიცე ცოდნის დაუფლებას. სამშობლო და საზოგადო ბუნებისმეტყველების, ისტორიის, გეოგრაფიის, ლიტერატურის თუ სხვა საგნების სწავლების დროსაც „დამოკიდებულება სამშობლოსა და კერძოს შორის... ისეთივე უნდა იყოს, როგორც ყოველს სხვა შემთხვევაში: საერთო უნდა აღრმავებდეს და ანათებდეს კერძოს, როგორც საზოგადო თვისებების მატარებელს“, – წერდა იგი (104, 287).

4. ***მისაწვდომობის პრინციპი.*** სწავლების პროცესში უნდა დაიცვათ მისაწვდომობის პრინციპი. აღსაზრდელს არასოდეს არ უნდა წავუყენოთ ისეთი მოთხოვნა, რომელსაც ის ვერ შეასრულებს. მაგრამ, სამწუხაროდ, დასძენს დ. უზნაძე, „თანამედროვე სკოლა ბავშვის ფსიქოლოგიას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და ხშირად მას ისეთ რამეს აწვდის და სთხოვს, რაც ბავშვის ძალასაც აღემატება და არც მის სურვილებს შეეფერება“ (114, 47-48). ასეთ შემთხვევაში, დ. უზნაძის აზრით, ბავშვი ჩვენს დავალებას უგულოდ და ზერელედ ასრულებს, ხშირად კი დაწყებულ საქმეს „შუა გზაზე წყვეტს“. ამიტომ აღმზრდელობით მუშაობაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მუშაობა ურაყოფით იქნება. „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალში“ დ. უზნაძე წერდა: „...ყოველად შეუძლებელია აღზრდამ თავის მიზანს მიაღწიოს, თუ იგი თვით აღსაზრდელის ბუნებას არ იცნობს და მას შესაფერი ზომებით არ ეპყრობა“ (20, 145).

5. *თვალსაჩინოების პრინციპი.* სწავლების პროცესში თვალსაჩინოების პრინციპის დაცვას მოითხოვდა ყველა გამოჩენილი პედაგოგი-კლასიკოსი: კომენსკი, პესტალოცი, უშინსკი, გოგებაშვილი და სხვები. ღ. უსნაძეც მათი მიმდევარი იყო. მისი აზრით, „თვალსაჩინოების პრინციპის გეერდის ახვევა“ სწავლების პროცესში დანაშაულია. მაგრამ, „თვალსაჩინოება, რომელიც მხოლოდ მხედველობის შეგრძნებებზეა დაყრდნობილი, არ არის ნამდვილი თვალსაჩინოება. თვალი მხოლოდ გვიჩვენებს, თუ რა არის საგანი, მაგრამ როგორია ის არსებითად და სხვა მოვლენებთან დამოკიდებულებაში და რატომ არის სწორედ ასეთი და არა სხვანაირი, ამას თვალი ვერ გვეხსნის“ (115, 52).

თვალსაჩინოების ისეთ სახეს, რომელიც არა მარტო მხედველობით, არამედ მოქმედებასა და სხვა საგნებთან დამოკიდებულებაში გააცნობს ბავშვებს საგნებსა და მოვლენებს, ღ. უსნაძე ინტენსიურ თვალსაჩინოებას უწოდებს. ამ მიზანს ემსახურება ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების, მუზეუმებისა და ბუნების შესანიშნავი ადგილების შესასწავლად მოწყობილი ექსკურსიები, ჰერბარიუმების შეგროვება, გრამატიკული ტაბულების, რუკების, სურათების დამზადება და ა.შ.

6. *ცოდნა-ჩვევათა მტკიცედ დაუფლების პრინციპი.* ღ. უსნაძეს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე ცოდნა-ჩვევათა მტკიცედ დაუფლების პრინციპის შესახებ, რაშიც იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა შესასწავლი მასალის გეგმაზომიერ და სისტემატურ გამეორებას.

7. *აღმზრდელობით სწავლების პრინციპი.* ღ. უსნაძე სწავლების აღმზრდელობით ხასიათსაც არ იგნორებს. იგი გულისტკივილით წერს, რომ „თანამედროვე სკოლა ჩვენში და სხვაგანაც თავის უმთავრესსა და უმეტეს შემთხვევაში ერთადერთ დანიშნულებას ცოდნის გადაცემაში სჭვრეტს“ და სრულიად იგნორებს იმ გარემოებას, რომ „ცოდნისა და გონების გაღრმავებისა და გაფართოების გარდა ყოველ სასწავლო საგანს საერთო აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს... როდესაც ცოდნის შეთვისებისა და საერთო აღზრ-

დის ინტერესი ერთმანეთს ეჯახება, ის უპირატესობას პირველს უთმობს" (115, 51-52).

დ. უსნაძე არ იძლევა იმის ახსნას, თუ რატომ ხდება ასე. ჩვენი აზრით, ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ცოდნის გადაცემა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მისი მოსწავლეთა შეგნებამდე დაყვანა. გარდა ამისა, ამა თუ იმ საგანში მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმება უკეთ პირს (ვთქვათ, ინსპექტორს) უფრო იოლად შეუძლია, ვიდრე მათი აღზრდილობის დონისა. ეს იმიტომ, რომ აღზრდის შედეგი დაფარულია, მიჩქმალულია, სწავლების შედეგი კი იმაზე გაკეთილზე ვლინდება. ამიტომ მასწავლებელთა უმრავლესობა კმაყოფილდება მხოლოდ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევების გადაცემით, ხოლო, რაც შეეხება მათ აღზრდას, ეს კლასის ხელმძღვანელთა მოვალეობად მიაჩნია.

დიმიტრი უზნაძემ მოგვცა ***მოზარდის განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაცია,*** მაგრამ იგი კმაყოფილდება მხოლოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების ცალკეული პერიოდების გამოყოფითა და დახასიათებით. ამ ასაკის ბავშვის განვითარებას იგი ყოფს 4 პერიოდად, ხოლო რაც შეეხება სასკოლო ასაკის მოსწავლეებს, მათ დ. უზნაძე აზროვნების თავისებურებათა მიხედვით 2 პერიოდად ყოფს – 14-15 წლამდე და მის შემდეგ. პირველ პერიოდში ბავშვებს ახასიათებთ კონკრეტული აზროვნება, მეორე პერიოდში კი – აბსტრაქტული, ლოგიკური მსჯელობა. სწორედ აზროვნების ამ „წესის" მიხედვით იყო შექმნილი „სინათლის" საზოგადოების ქუთაისის სკოლა: პირველი საფეხური, სამწლიანი, იოვალისწინებდა 14 წლამდე ასაკის ბავშვების სწავლა-აღზრდას და მეორე – ოთხწლიანი კურსით, გულისხმობდა საგნების სისტემატური, მეცნიერული წესით სწავლებასა და გადაცემას.

დ. უზნაძეს თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე ***სწავლების პროცესზე,*** მის ორმხრივ, მართვად ხასიათზე.

სწავლების პროცესში მოსწავლე ჩვეულებრივ განიხილება როგორც ობიექტი, მასწავლებელი კი – სუბიექტი, მა-

გრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ დროს დავიწყოთ ბავშვის სუბიექტური თავისებურებანი – მისი ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა, ტემპერამენტი და სხვა თვისებები, რითაც იგი სხვებისგან განსხვავდება. ასე რომ მოვიქცეთ, მაშინ საქმე გვექნება ბავშვის არა აღზრდასთან, არამედ მის წვრთნასთან. ამიტომ დიმიტრი უზნაძე მოსწავლეს განიხილავდა არა მარტო როგორც აღზრდის ობიექტს, არამედ როგორც სუბიექტსაც, რომელსაც გააჩნია საკუთარი „მე“, ინტერესები და მიდრეკილებები. „...აღზრდის ცნება ორ მომენტს თხოულობს, – წერს იგი..., – პირველი არის აღმზრდელი და მეორე – აღსაზრდელი... ამ ორ მომენტს შორის ერთი აქტიურია და მეორე პასიური; პირველი მოქმედებს და მეორე ამ მოქმედებას განიცდის. პირველის მოქმედება საკუთარი მოტივებით ხელმძღვანელობს და მეორის სურვილებს ყურს არ ათხოვებს“ (113, 59). ამიტომ ხშირად აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის წარმოიქმნება წინააღმდეგობა, რასაც დიმიტრი უზნაძე მათ მისწრაფებებს, მიზნებსა და ინტერესებს შორის განსხვავებულობაში ხედავს. ამ განსხვავების ძირითადი მიზეზი კი ისაა, რომ მასწავლებელს მუშაობა უხდება ერთდროულად მრავალ მოსწავლესთან და არ ძალუძს თითოეული მათგანის ინტერესის იხელმძღვანელოს. ამრიგად, „აღმზრდელი თავის მიზნებს ელტვის და აღსაზრდელი თავისას, პირველი მეორეს ვერა ცნობს და მეორე – პირველს. ასე იბადება და იზრდება ერთგვარი გაუგებრობა, რომელიც აღზრდის სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობაში იჩენს თავს და იმ გარღაუვალ ტრაგედიას, რომელიც ყოველ აღზრდაში მარხია, სარჩულად ედება“ (113, 61).

ზემოთ აღნიშნულის გარდა, უზნაძის აზრით, „ყოველი აღზრდა მომავალს ემსახურება“, მასწავლებელი, აღმზრდელი მოსწავლის მომავალზე ზრუნავს და ამისათვის მსხვერპლად სწირავს მის დღევანდელ ინტერესებს, მაგრამ ბავშვი არის ცოცხალი არსება, რომელიც მხოლოდ დღევანდელობით ცხოვრობს და არაფრის გადადება არ სურს. ასე წარმოიშობა კონფლიქტი მასწავლებელსა და მოსწავლეს, მშო-

ბელსა და შვილს შორის, რასაც ლ. უზნაძემ „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ უწოდა.

აღზრდის ტრაგედია თავს იჩენს მეტწილად იქ, სადაც საზოგადო ინტერესები ჭრდილავს აღსაზრდელის პირად ინტერესებს. აღზრდას ფასი ეკარგება მაშინ, როცა იგი კავშირს წყვეტს პიროვნებასთან. ის, რაც აღმზრდელის შეხედულებით კეთილდღეობასა და ბედნიერებას წარმოადგენს, აღსაზრდელის რწმენით უბედურება და წამებაა.

აღნიშნულის გარდა, მასწავლებელი ხშირად მიმართავს ძალდატანებას, რაც, ლ. უზნაძის აზრით, მოსწავლის სურვილს კლავს. ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, პედაგოგიკაში ჩამოყალიბდა აღზრდის პროცესში პიროვნებისადმი წაყენებული მტკიცე მომთხოვნელების შეხამება მის მიმართ პატივისცემასთან. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის თანამშრომლობა, ურთიერთგაგება და პატივისცემა, რაზედაც ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ. ამისათვის საჭიროა, რომ აღმზრდელმა არასოდეს წაუყენოს აღსაზრდელს ისეთი მოთხოვნები, რასაც იგი ვერ შეასრულებს.

როგორც ცნობილია, სწავლებისა და აღზრდის ორმხრივ პროცესში წამყვანი, ცენტრალური ფიგურა არის მასწავლებელი, აღმზრდელი, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებას, ზეგავლენას ახდენს ბავშვზე, აღსაზრდელზე, მაგრამ ლ. უზნაძე ამ საყოველთაოდ მიღებული წესით არ კმაყოფილდება და პედაგოგიკაში შემოაქვს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობის კიდევ ერთი ასპექტი — *ურთიერთზეგავლენა*. მისი აზრით, სწავლა-აღზრდის პროცესში არა მარტო მასწავლებელი ახდენს ზეგავლენას მოსწავლეზე. არამედ მოსწავლეც გარკვეულწილად ახდენს გავლენას თავის მასწავლებელზე.

როგორც დავინახეთ, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური ნააზრევი გამდიდრებულია აღზრდის პრობლემების ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიკური ასპექტებით. ამიტომ მისი პედაგოგიკური შეხედულებანი დღესაც აქტუალურია.

თ ა ვ ი XXII

სკოლა და პედაგოგიკა საბჭოთა საქართველოში (1921-1991 წლები)

1. საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება 1917-1930 წლებში

პირველმა მსოფლიო ომმა დიდად შეაფერხა სახალხო განათლების განვითარება. ბევრი სკოლა დაიხურა, რადგან სასკოლო შენობები ჯარის ნაწილებმა დაიკავეს. სკოლები არ იყო უზრუნველყოფილი დგამ-აქეჯით, სასკოლო ნივთებით, დიდაქტიკური მასალებით, გათბობა-განათებით, სათანადო მატერიალური ბაზით და სხვ.

სკოლების ქსელი სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნებს. სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა დიდი ნაწილი მოკლებული იყო განათლების მიღების საშუალებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ სახალხო განათლების დარგში თავის პირველ ამოცანად დაისახა არსებული სკოლების აღდგენა, ახალი სკოლების გახსნა და ყველა სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლებაში ჩაბმა.

ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე წელს, კერძოდ, 1917 წლის 9 ნოემბრის დეკრეტით ჩამოყალიბდა *„განათლების სახელმწიფო კომისია“*, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების ახალდანიშნული კომისარი *ა. ვ. ლუნაჩარსკი.*

ა. ვ. ლუნაჩარსკიმ მოწოდებით მიმართა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. ამ მოწოდებაში ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა მთავრობის ძირითადი პრინციპები და ამოცანები სახალხო განათლების დარგში. ესენი იყო:

1. საყოველთაო-საუალდებულო დაწყებითი სწავლების განხორციელება;

2. სკოლის ყველა საფეხურის მისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის;

3. სასკოლო ასაკის ყველა მოსწავლის ჩაბმა სწავლებაში;

4. სახალხო განათლებისათვის ბიუჯეტის გაზრდა;

5. სახალხო განათლების დემოკრატიზაცია;

6. სკოლის საერო ხასიათი.

სპეციალური დეკრეტით სკოლა გამოეცყო ეკლესიას და ეკლესია სახელმწიფოს. ყველა სასწავლებელი, რომლებიც ეკლესიას ექვემდებარებოდა, გადაეცა განსახკომს და გადაკეთდა 'სოგადსაგანმანათლებლო სკოლად.

1918 წლის იანვარში დაიწყო ძველი სასწავლო ოლქების ლიკვიდაცია. გაუქმდა სასწავლო ოლქის მ'სრუნველეგბის, სახალხო სკოლების დირექტორთა და ინსპექტორთა თანამდებობები.

1918 წლის 31 მაისს განათლების სახალხო კომისარიატმა მიიღო დადგენილება ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შესახებ. დაწესდა სკოლებში ორივე სქესის ბავშვთა თანაბარი უფლებით ჩარიცხვა, რათა მათი რაოდენობა თანაბარი ყოფილიყო.

1918 წლის ივნისში მიღებულ იქნა დადგენილება სხვადასხვა უწყებებთან არსებული საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების განსახკომის სისტემაში გადაცემის შესახებ. ამ დადგენილებით ლიკვიდირებულ იქნა ის შეუთანხმებლობა, რაც რევოლუციამდელ პერიოდში არსებობდა. მაგალითად, პოლიტექნიკური ინსტიტუტები ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარებოდა, ტექნოლოგიური ინსტიტუტები კი, რომლებიც ასევე ინჟინრებს ამზადებდნენ, რატომღაც განსახკომს ექუთვნოდა, ვეტერინარული ინსტიტუტები კი შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში შედიოდა.

არ იყო თითქმის არც ერთი სამინისტრო, რომლის გამგებლობაში არ ყოფილიყო დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

საბჭოთა მთავრობის ძირითადმა პრინციპებმა ასახვა პოვა *„ერთიანი შრომის სკოლის ძირითად პრინციპებსა“* და *„ერთიანი შრომის სკოლის დებულებაში“*, რომლებიც განა-

თლების სახელმწიფო კომისიამ შეიმუშავა. „დებულებამ“ „დეკლარაციის“ სახელწოდება მიიღო და ისტორიაში *„ერთიანი შრომის სკოლის დეკლარაციის“* სახელწოდებით შევიდა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ეწოდა *„ერთიანი შრომის სკოლა“*. დებულების მიხედვით მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების ნაცვლად დაწესდა ყოველთვიური ხელფასი.

„ერთიანი შრომის სკოლის ძირითადი პრინციპებითა“ და „დებულებით“ აიკრძალა სკოლებში რელიგიის სწავლება და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულება. სკოლამ მიიღო ნამდვილი საერო ხასიათი.

დაღებითთან ერთად, ამ „დებულებასა“ და „ძირითად პრინციპებს“ გააჩნდა ნაკლოვანებებიც. კერძოდ, სკოლიდან განდევნილი იყო რელიგიის სწავლება და რელიგიური რიტუალების შესრულება, უარყოფილი იყო ყოველგვარი გამოცდები და საშინაო დავალებების მიცემა მოსწავლეებზე; სკოლის პოლიტექნიზაცია გაგებული იყო არა როგორც მრეწველობის საფუძვლების შესწავლა, არამედ როგორც მრავალხელოსნობა. შრომითი აღზრდა უპირისპირდებოდა გონებრივ განათლებას.

საბჭოთა სახალხო განათლების სისტემა, რომელიც 1921-1922 სასწავლო წელს ჩამოყალიბდა და გარკვეული ცვლილებები განიცადა, 1931-1932 წლისათვის ასეთი სახის იყო:

1. დაწყებითი სკოლა სწავლების 4-წლიანი კურსით;
2. 7-წლიანი შრომის სკოლა;
3. 9-წლიანი შრომის სკოლა, რომელიმე სპეციალობაში განხრით;
4. ტექნიკუმები, სწავლების 3-წლიანი კურსით.

ამრიგად, სწავლების ხანგრძლივობა სკოლებში ერთი წლით შემცირდა. 8-წლიანი სკოლები 7-წლიანად გადაკეთდა და საშუალო (10-წლიანი) – 9-წლიანად. ეს იყო დროებითი მოვლენა, რადგან საჭირო იყო რაც შეიძლება მალე სახალხო მეურნეობისთვის სათანადო კადრების მომზადება.

1919 წლის 26 დეკემბერს გამოიცა *დეკრეტი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ*, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს (50 წლამდე) ავალდებულებდა, შეესწავლა წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე. ისინი, ვინც წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლებში იყვნენ ჩაბმული, სამუშაოდან 2 საათით ადრე თავისუფლდებოდნენ ხელფასის შენარჩუნებით. საამისოდ გამოიყენებოდა სახალხო სახლები, კლუბები, ეკლესიები, კერძო სახლები, ფაბრიკა-ქარხნებისა და სახელმწიფო დაწესებულებების შესაფერისი შენობები. ამ მუშაობაში ჩაბმული იყვნენ მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები, უფროსკლასელები, სტუდენტები და წერა-კითხვის სხვა მცოდნენი.

თავდაპირველად წერა-კითხვის სწავლებისათვის გათვალისწინებული იყო 3 თვე. შემდეგ კი ეს ვადა 10 თვით გაზისანელრა. ეს მუშაობა ჩვენს ქვეყანაში გრძელდებოდა მანამ, სანამ მთლიანად არ აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა.

ამავე წლებში გაიხსნა *უპატრონო ბავშვთა სახლები*, რომლებშიც სამოქალაქო ომის შედეგად უპატრონოდ დარჩენილი ათასობით ბავშვი იყო მოთავსებული.

სასკოლო ასაკს გადაცილებული მუშათა შვილებისათვის 1919 წელს გაიხსნა ახალი ტიპის სასწავლებელი – *მუშათა ფაკულტეტები* (მუშფაკები, რუსულად – „Рабфак"), რომლებიც 4 წლის მანძილზე მსმენელებს აძლევდა საშუალო განათლებას, რაც საკმარისი იყო უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

1921 წელს შეიქმნა 4-წლიანი *საფაბრიკო-საქარხნო სკოლები* (რუსულად – ФЗУ), რომლებშიც ჩაბმული იყვნენ იმ წარმოების მუშები, რომლის ბაზაზეც ეს სკოლა იყო გახსნილი. აღნიშნული სკოლებისათვის სპეციალობა განისაზღვრებოდა იმ ფაბრიკის ან ქარხნის პროფილის მიხედვით, რომლის ბაზაზეც სკოლა არსებობდა.

მოგვიანებით, კერძოდ, 1923 წელს სოფლად გაიხსნა *გლეხი ახალგაზრდობის სკოლები* (რუსულად – ШКМ). ეს სკოლები დაწყებითი სკოლის ბაზაზე აიგო და სწავლების

ხანგრძლივობა იყო სამი წელი. კურსდამთავრებულებს უფლება ჰქონდათ სწავლა გაეგრძელებინათ საშუალო სკოლის უფროს კლასებში ან ტექნიკუმებში და შემდეგ — უმაღლეს სასწავლებლებში. ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად, გლეხი ახალგაზრდობის სკოლები მოსწავლეებს აძლევდა ცოდნას აგრონომიაში, ტექნიკასა და სოფლის მეურნეობაში. აქ სპეციალურ საგნებად ითვლებოდა მეჩინდერეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეკენახეობა, მესაქონლეობა და სხვ.

გასული საუკუნის 20-იან წლებში დიდი ყურადღება დაეთმო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენას. ასევე ყურადღება მიექცა ძველი სახელმძღვანელოების გადამუშავებასა და ახალი სახელმძღვანელოების შედგენას.

1921 წელს სკოლებმა მიიღეს ახალი ***სასწავლო გეგმები და პროგრამები,*** რომლებშიც მთლიანად ამოღებული იყო საღვთო რჯული და ძველი ენები (ლათინური და ბერძნული). მათ ნაცვლად სწავლების კურსში მნიშვნელოვანი ადგილი პქონდა დათმობილი საბუნებისმეტყველო დისციპლინებს. წინათ ბუნებისმეტყველება შეკვეცილი სახით ისწავლებოდა და ისიც მხოლოდ დაბალ კლასებში. საბჭოთა სკოლაში კი ბუნებისმეტყველება ერთ-ერთ ძირითად საგნად იქნა მიჩნეული და მისი შესწავლისათვის გამოიყო საათების საკმაოდ დიდი რაოდენობა (V, VI და VII კლასებში კვირაში 4—4 საათი). გადიდდა საათები ფიზიკა-მათემატიკაში. გარდა ამისა, ეროვნული სკოლების პროგრამაში შეიტანეს მშობლიური ენა, როგორც დამოუკიდებელი საგანი.

საშუალო სკოლის მაღალ კლასებში ისწავლებოდა საზოგადოთმცოდნეობა, პოლიტიკური ეკონომია, საბჭოთა აღმშენებლობა, შრომის ისტორია, პოლიტიკური ანბანი და სხვ., რაც, ცხადია, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მათში მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა.

აღნიშნულ გეგმას, დაღებითთან ერთად, გააჩნდა ნაკლოვანებებიც. სახელდობრ: იგი გადატვირთული იყო საზო-

გადოებათმცოდნეობის დისციპლინებით. ამავე დროს საათებ ბის საკმაო რაოდენობა არ იყო გამოყოფილი ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურაში და აგრეთვე სოგიერთ სხვა საგანში. არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს ისიც, რომ სამოქალაქო ისტორია შეცვლილი იყო სახოგადოთმცოდნეობით, მუშაობა მოძრაობისა და შრომის ისტორიით. ზედმეტად დიდი დრო ჰქონდა დათმობილი პრაქტიკულ მუშაობას სახელოსნოებში და სხვ.

1921 წლის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილ პირველი კლასის (ჯგუფის, როგორც მაშინ უწოდებდნენ) პროგრამაში შესასწავლი მასალა წარმოდგენილი იყო არა ცალკეული სასწავლო საგნების მიხედვით, არამედ „საბაუშვო ენციკლოპედიის“ სახით. ცოდნის მთელი მოცულობა, რაც მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ, გადმოცემული იყო ცნობათა ერთიანი კომპლექსის ფორმით — ბუნების, შრომისა და სახოგადოების შესახებ. ამიტომ ამ პროგრამებს „კომპლექსურს“ უწოდებდნენ.

პირველი საფეხურის სკოლების სასწავლო მასალა განლაგებული იყო 3 ეერტიკალურ სვეტში: „ბუნება“, „შრომა“, „საზოგადოება“, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა: პირველ კლასში ბავშვებს აცნობდნენ ცხოვრების საკითხებს ოჯახსა და სკოლაში, მეორეში — სოფლის ცხოვრების საკითხებს, შემდგომ კლასებში კი — რაიონის, გუბერნიის, რესპუბლიკისა და ა.შ. გარდა ამისა, სწავლობდნენ სეზონურ კომპლექსურ თემებსაც: „პირველი მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე“, „საშემოდგომო სამუშაოები სოფლად“, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“ და ა.შ.

V—IX კლასების კომპლექსური პროგრამები აგებული იყო იგივე სამიეე სეეტის მიხედვით, მაგრამ მასში შესული მასალა უფრო გაფართოებული იყო.

სკოლებში ხშირად ტარდებოდა ექსკურსიები, დაკვირვებანი, მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა მინდვრად, ბაღ-ბოსტანში. მაგრამ სასწავლო მუშაობაში ადგილი ჰქონდა უხეშ შეცდომებსაც: სოგიერთ სკოლაში დაიწყეს *ღალტონ-*

გეგმის გამოყენება, რომელიც შექმნილი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დალტონ-გეგმის მიხედვით საპროგრამო მასალა ცალკე დავალებებად ნაწილდებოდა. მასწავლებელი ყოველი თემის მიხედვით ადგენდა მოკლე წერილობით დავალებას, რომელშიც თავს უყრიდა ძირითად შესასწავლ საკითხებს, მიუთითებდა წყაროებს და მოსწავლეებს უნდა გაეცათ პასუხი დავალებაში დასმულ კითხვებზე. მოსწავლეები მუშაობდნენ ცალ-ცალკე, ან 3-5 კაცისგან შემდგარ ბრიგადებად. ამიტომ სწავლების ამ ფორმამ *ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდის* სახელწოდება მიიღო. ამ გეგმის შემოღება ჩვენს სკოლებში იწვევდა საკლასო-საგაკვეთილო სისტემის რღვევასა და გაკვეთილის ლიკვიდაციას. მასწავლებელი ყოველდღიურად არ გადაიცემდა მოსწავლეებს გაკვეთილს, იგი იყო მხოლოდ კონსულტანტი. ამიტომ სკოლებში გაკვეთილების ცხრილი ფაქტობრივად არ არსებობდა. ამ წლებში გაისმოდა ლოზუნგი: „ძირს სახელმძღვანელოები", რადგან სწავლების ძირითად გზად შრომა იყო გამოცხადებული. ცხოვრება წიგნებით კი არ უნდა იყოს შესწავლილი, არამედ მასში უშუალო მონაწილეობის გზით — ასეთი იყო ძირითადი მითითება. ამრიგად, სახელმძღვანელოები სკოლებიდან განდევნილი იყო, დასაშვებად მიიჩნეოდნენ მხოლოდ საბავშვო წიგნების კითხვას. ამ პერიოდში სასწავლო გეგმებიცა და პროგრამებიც უარყოფილი იყო, მაგრამ როცა საკითხი დადგა მოსწავლეთა მტკიცედ განსაზღვრული ცოდნით შეიარაღებაზე, დაისვა სახელმძღვანელოების საკითხიც. პირველ ხანებში ძველი სახელმძღვანელოების გადაკეთებით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ შემდეგ დაიწყეს ახალი სახელმძღვანელოების შექმნაც.

აღნიშნულ პერიოდში პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლების დარგში. შეხედულება შრომაზე, როგორც თვითმომსახურეობაზე, თანდათან ისპობოდა. წინ იქნა წამოწეული შრომის განმავითარებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა, მაგრამ მოსწავლეთა შრომა არასაკმაოდ იყო დაკავშირებული სას-

წაელო დისციპლინების სწავლებასთან, რის გამოც პოლიტექნიზმი ფორმალურ ხასიათს აკარებდა. მეცადინეობა შრომაში ხშირად ტარდებოდა პრიმიტიულ, კუსტარულ ბაზაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 1921-1929 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტრუქტურა, სწავლების ხანგრძლივობა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მიზანდასახულობა და ამოცანები ხშირად იცვლებოდა. იცვლებოდა ასევე საშუალო, არასრული საშუალო და დაწყებითი სკოლების სასწავლო გეგმები და პროგრამები. VI კლასებიდან სკოლას ეძლეოდა პროფესიული მიმართულება. მას ევალებოდა მოსწავლეების ზოგადი ცოდნით შეიარაღებასთან ერთად, მათი მომზადება მეურნეობისა და კულტურის ამა თუ იმ დარგში მუშაობისათვის.

1927-1928 სასწავლო წლისათვის რსფსრ განსახკომმა დაამტკიცა ახალი ერთიანი და სავალდებულო სასწავლო გეგმები მეორე საფეხურის სკოლებისათვის. მათში გათვალისწინებულ საგნებს უნდა მიეცა მოსწავლეთათვის ფართო, მრავალმხრივი, საბუნებისმეტყველო-მეცნიერული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური განათლება და მათი შრომითი, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა.

1927 წლის გეგმით ყველა სკოლისათვის დაწესდა სასწავლო წლის ერთიანი ხანგრძლივობა: სოფლად სასწავლო წელი I–IV კლასებისათვის განისაზღვრებოდა 190 სასწავლო დღით, ხოლო V–VI კლასებში – 200-250 სასწავლო დღით; ქალაქად დაწყებით სკოლებში მეცადინეობა წარმოებდა 205 დღეს, ხოლო მეორე საფეხურის სკოლებში – 215 სასწავლო დღეს.

დადებითის მიუხედავად, 1927 პროგრამებშიც შეიმჩნეოდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. ეს პროგრამა კვლავ აგებული იყო კომპლექსურად. გადატვირთული იყო მეტისმეტად და არ ითვალისწინებდა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ყოველი კომპლექსის ძირითად თემად ითვლებოდა შრომა, ბუნება, საზოგადოება. აქედან მთავარ საწყისად შრომა იყო აღიარებული. კომპლექსურ თემებზე

მუშაობის პროცესში მოსწავლეები ეცნობოდნენ და სწავლობდნენ არა სასწავლო დისციპლინას, არამედ ადამიანის შრომა-საქმიანობას, ბუნებასა და საზოგადოებას.

1929 წელს რსფსრ განსახკომმა კვლავ შეადგინა ახალი პროგრამები, რომლებშიც ზოგადსაგანმანათლებლო მასალა საგრძნობლად შეკვეცილი იყო და მასში რეკომენდებული იყო *„პროექტთა მეთოდის“* გამოყენება. ამ პროგრამის შემდგენლები ფიქრობდნენ, რომ მოსწავლეები ცოდნას ძირითადად მიიღებდნენ არა გაკვეთილზე მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობითა და პროგრამული მასალის სისტემატური შესწავლით, არამედ *დავალება-პროექტთა* შესრულებით. არსებული მითითების საფუძველზე სკოლებს უნდა დაეგეგმათ მოსწავლეთა მუშაობა ისეთი თემების მიხედვით, როგორიც იყო, მაგალითად: „დავეხმაროთ ჩვენს ფაბრიკას (ქარხანას, კოლმეურნეობას) სამრეწველო ფინანსური გეგმის შესრულებაში“, „ვისწავლოთ ქათმების მოშენება“ და ა.შ. ამასთან, მოსწავლეებს, რომლებიც მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, სასკოლო სახელოსნოებსა და სოფლის მეურნეობაში, უნდა შეეძინათ პრაქტიკული ჩვევები და უშუალოდ ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნა.

2. სახალხო განათლების განვითარება 1930-1941 წლებში

1930 წელს პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებით დაისახა საყოველთაო-სავალდებულო დაწყებით განათლებაზე გადასვლა და წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია.

ამავე გადაწყვეტილებით სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი, ასევე სასკოლო ასაკგადაცილებულნი, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით წინათ არ სწავლობდნენ, სავალდებულო წესით უნდა ჩაბმულიყვნენ სწავლებაში. კანონი ავალდებულებდა მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს, გაეგზავნათ ბავშვები სკოლაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პასუხისგებაში მიიცემოდნენ.

ამაყე პერიოდში თანდათან ხორციელდებოდა საყოველთაო სწავლება შვიდწლიანი სკოლის ფარგლებშიც. ამან შესამჩნევად გაზარდა მოსწავლეთა რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

სწავლების სარისხის გაუმჯობესებას საგრძნობლად შეუწყო ხელი სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილებამ *„დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ“*, რომლითაც დაგმობილ იქნა სწავლების ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდი.

ამ დადგენილებაში აღნიშნული იყო სკოლის გარკვეული წარმატებები მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის პროცესში, როგორიც იყო: სკოლების რაოდენობის ზრდა, ყველა ფენის მოსწავლეთა ჩაბმა სწავლების პროცესში და სხვ., მაგრამ ამასთან, აღნიშნული იყო, რომ სკოლა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, იგი არ აძლევს მოსწავლეებს საკმარო მოცულობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნას, არადამაკმაყოფილებლად წყვეტს ტექნიკუმებისა და უმაღლესი სკოლებისათვის საკვებით მცოდნე ადამიანთა მომზადების ამოცანას.

ამ დადგენილების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომების მიერ დამტკიცებულ იქნა საგნობრივი სწავლების საფუძველზე აგებული ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, რომლებიც ძალაში შევიდა 1931-1932 სასწავლო წლის II ნახევრიდან. ამ გეგმების მიხედვით გაიზარდა საათების რაოდენობა მშობლიური და რუსული ენების, ასევე მათემატიკის შესასწავლად.

1932 წლის იანვრიდან სკოლები უკვე გადავიდნენ საგნობრივ სწავლებაზე, ანუ ახალი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით მუშაობაზე. 1932 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში ამ პროგრამების მიხედვით სწავლების ნახევარი წლის შედეგები გულდასმით იქნა შესწავლილი, რომლის საფუძველზე სკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1932 წლის 25 აგვისტოს მიიღო დადგენილება *„დაწყებითი და საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამებისა და რეჟიმის შესახებ“*.

ამ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ახალი პროგრამები გაუმჯობესებულია, მაგრამ მას ჯერ კიდევ გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. უმთავრეს ნაკლს წარმოადგენდა მათი სასწავლო მასალით გადატვირთვა, რის შედეგადაც მთელ რიგ სასწავლო საგნებს სკოლაში ნაძალადევად გადიოდნენ. ზოგიერთ პროგრამაში დაშვებული იყო პრინციპული სასიათის შეცდომები.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა განსახკომს აღნიშნული პროგრამების გადამუშავება 1933 წლის 1 იანვრისათვის, ისე რომ შესაძლებელი ყოფილიყო „ბავშვების მიერ მეცნიერების საფუძვლების ნამდვილი, მტკიცე და სისტემატური შეთვისება, ფაქტების ცოდნა, სწორი მეტყველების, წერის, მათემატიკური ეარჯიშებისა და სხვა ჩვევების დაუფლება“.

დადგენილებაში ზუსტად და დაწვრილებით იყო მითითებული, თუ რა შესწორებანი უნდა ყოფილიყო შეტანილი ყოველი ცალკეული საგნის პროგრამაში.

აღნიშნულ დადგენილებაში ლაპარაკი იყო აგრეთვე სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისა და მეთოდების, ასევე სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებაც.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო ამ საქმეში არსებული დამახინჯებანი (ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდი, საკლასო-საგაკვეთილო სისტემის შეუფასებლობა და სხვ.) და განსაზღვრა, რომ „სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვეთილი მეცადინეობის ზუსტად განსაზღვრული ცხრილის მიხედვით და მოსწავლეთა მტკიცე შემადგენლობით“.

დადგენილებაში ლაპარაკი იყო მოსწავლეთა ცოდნის ინდივიდუალურ და სისტემატურ შეფასებაზე, ყურადღება იყო გამახვილებული ასევე აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცებაზე.

1934 წლის 15 მაისს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ორი დადგენილება: *„სამოქალაქო ისტორიის სწავლების შე-*

სახელმძღვანელოების" და „*გეოგრაფიის სწავლების შესახებ*". ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა ისტორიის სწავლებაში არსებულ დამახინჯებებზე და წამოაყენა წინადადება: მოსწავლეებს გადაცემოდათ ისტორიული ამბები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რათა ბავშვებს სცოდნოდათ უმნიშვნელოვანესი თარიღები, ისტორიული ფაქტები და გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიული ცნობები.

დადგენილებაში „გეოგრაფიის სწავლების შესახებ" დაგმობილი იყო სასწავლო მასალის გადატვირთვა სახელწოდებებითა და სტატისტიკური მონაცემებით, ნაკლები ყურადღების გამახვილება რუკის გამოყენებაზე და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული დადგენილებების საფუძველზე სკოლებში დაინერგა საგნობრივი სწავლება. მოსწავლეებმა მიიღეს ახალი პროგრამების შესაბამისად შედგენილი სტაბილური სახელმძღვანელოები.

მოსწავლეთა ყოველი ჯგუფისათვის (ასე ეწოდებოდა მაშინ კლასებს) გამოყოფილ იქნა გარკვეული საკლასო ოთახი, ყველა კლასში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად ფორმად იქცა გაკვეთილი. შემოღებულ იქნა გაკვეთილების ჩატარება სტაბილური ცხრილების მიხედვით და მოსწავლეთა მტკიცე შემადგენლობით. მასწავლებლები სასწავლო მასალას გადასცემდნენ თხრობის, საუბრის, ხოლო უფროს კლასებში სასკოლო ლექციის ფორმით.

1933 წლის გაზაფხულზე ყველა სკოლაში პირველად ჩატარდა გადასაყვანი გამოცდები და ამ წლიდან იგი შევიდა სკოლის ცხოვრების ყოველწლიურ განაწესში.

1934 წლის საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით „*დაწყებითი და საშუალო სკოლის სტრუქტურის შესახებ*" გაუქმდა წინათ არსებული 7-წლიანი და 9-წლიანი სკოლების სხვადასხვა ტიპები (მუშფაკები, საფაბრიკო-საქარხნო, გლეხი-ახალგაზრდობის სკოლები) და დადგინდა სასკოლო სისტემა შემდეგი სახით: 4-წლიანი დაწყებითი სკოლა I-IV კლასებით, 7-წლიანი (არასრული საშუალო) სკოლა I-VII კლასებით და 10-წლიანი საშუალო

სკოლა I-X კლასებით. „ჯგუფების“ სახელწოდება შეიცვალა კლასებით. გაიზარდა მასწავლებლის როლი სწავლების პროცესში. აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობის მიზნით ყოველ კლასში დაწესდა ჯგუფხელისა და კლასის ხელმძღვანელის თანამდებობა, რომელსაც ადრე კლასის სკდამხელეული ეწოდებოდა.

სკოლის ხელმძღვანელის ავტორიტეტის ამაღლებისა და ერთმმართველობის შემოღების მიზნით „სკოლის გამგის“ ნაცვლად არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში დაწესდა სკოლის დირექტორის თანამდებობანი. დადგინდა, რომ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორად შეიძლება დაინიშნონ მხოლოდ ის პედაგოგები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი და გაანჩიათ პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.

სასწავლო წლის დასაწყისად სსრ კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში დადგენილ იქნა 1 სექტემბერი, სასწავლო წელი დაიყო მეოთხედებად და განისაზღვრა სასწავლო წლის დამთავრების ვადები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1935 წელს შემოღებულ იქნა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების ადრე არსებული ორბალიანი სისტემის (დამაკმაყოფილებელი, არადამაკმაყოფილებელი) ნაცვლად 5-ბალიანი სისტემა: „ფრიადი“, „კარგი“, „საშუალო“, „ცუდი“ და „ძლიერ ცუდი“, 1943-1944 სასწავლო წლიდან კი ცოდნის შეფასებას დაემატა ციფრობრივი გამოხატულება (5,4,3,2,1). ამჟამად ჩვენს სკოლებში უკვე დანერგილია 10-ბალიანი სისტემა, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში – 100-ბალიანი. ყველა ამ სისტემის მიზანია მოსწავლის თუ სტუდენტის ცოდნის სწორად შეფასება და მისი დონის ამაღლება.

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას აფერხებდნენ პედოლოგები. პედაგოგიურ ინსტიტუტებში არსებობდა სპეციალური პედოლოგიური ფაკულტეტები, რომლებიც ამზადებდნენ პედოლოგებს.

პედოლოგები უხეშად კრეოდნენ მასწავლებელთა მუშაობაში, რითაც ამცირებდნენ მათ ავტორიტეტს. ხელს უშლიდნენ მათ სწავლებისა და აღზრდის ნორმალურად წარმართვაში, პრეტენზიას აცხადებდნენ ბავშვთა ნიჭიერების განსაზღვრაში. მათი აზრით, ბავშვის ბედი ფატალისტურად განპირობებულია ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორებით, მემკვიდრეობისა და რაღაც უცვლელი გარემოს გავლენით. აქედან გამომდინარე, ისინი უარყოფდნენ აღზრდის წამყვან როლს პიროვნების ფორმირებაში. პირველ კლასში ჩასარიცხი ბავშვების ნიჭიერებას ამოწმებდნენ საგანგებოდ შედგენილი ტესტებით (კითხვარებით), რომელთა მიხედვით ს'შირად ნორმალურ ბავშვებს რიცხავდნენ „ჩამორჩენილ", „დეფექტურ" და „ძნელადაღსაზრდელთა" კატეგორიაში და აგზავნიდნენ სპეციალურ და დამხმარე სკოლებში, რითაც ახშობდნენ ბავშვთა რწმენას საკუთარი ძალისა და შესაძლებლობისადმი. ამიტომაც იყო, რომ საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა 1936 წლის 4 იანვარს მიიღო სპეციალური დადგენილება *„პედოლოგიურ დამახინჯებათა შესახებ განსახკომების სისტემაში"*, რომლითაც დაიგმო პედოლოგია როგორც ცრუ მეცნიერება.

აღნიშნულმა დადგენილებამ ხელი შეუწყო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, ამაღლდა მასწავლებელთა ავტორიტეტი და სკოლამ უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარა მოსწავლეთა მშობლებთან. მაგრამ ამ დადგენილებას, დადებითთან ერთად, გააჩნდა ნაკლოვანებებიც. კერძოდ ის, რომ მას შემდეგ საერთოდ გაუქმდა პირველ კლასში მისაღები ბავშვების მომზადების დონის, მათი სკოლისათვის მზაობის შემოწმება. განა ახლა ყველა ბავშვი, რომელსაც 6 წელი უსრულდება, მზადაა სკოლაში სწავლისათვის? ზემოთ აღნიშნულმა დადგენილებამ, როგორც იტყვიან, ნაბანი წყალს ბავშვიც გადააყოლა.

მასწავლებელთა კადრები. არასრული და საშუალო სკოლების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ამან მოითხოვა მასწავლებელთა კადრების ზრდა. ამ მიზნით 1933 წელს შეიქმნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუ-

ტები V-VII კლასების მასწავლებელთა მოსამზადებლად. ასეთი ინსტიტუტი ბათუმში გაიხსნა 1935 წლის 1 ოქტომბერს.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც დაარსდა ყველა რესპუბლიკაში და მათ შორის საქართველოშიც (1929 წ.).

1936 წლის 10 აპრილს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით შემოიღეს დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა პერსონალური წოდებები. ამ დადგენილებით დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდება ენიჭებოდა იმას, ვისაც დამთავრებული ჰქონდა საშუალო პედაგოგიური სასწავლებელი და ითვლებოდა პედაგოგიური მუშაობისათვის გამოსადეგად; ვისაც დამთავრებული ჰქონდა 2-წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი და ითვლებოდა პედაგოგიური მუშაობისთვის გამოსადეგად, ენიჭებოდა არასრული საშუალო სკოლის (I—VII კლასები) მასწავლებლის წოდება, ხოლო იმათ, ვისაც დამთავრებული ჰქონდა პედაგოგიური ინსტიტუტი ან უნივერსიტეტი და ითვლებოდა პედაგოგიური მუშაობისათვის გამოსადეგად, ენიჭებოდა საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება.

ამავე, 1936 წლის 10 აპრილის დადგენილებით ჩვენს ქვეყანაში პირველად შემოღებულ იქნა მასწავლებელთა ატესტაცია, რომელიც 1939 წელს დამთავრდა. სამი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში ატესტაცია გაიარა 600.000 მასწავლებელმა, მათგან ნახევარს პირველად მიენიჭა მასწავლებლის წოდება და კვალიფიკაცია, 24.000 მასწავლებელი კი დათხოვნილ იქნა სკოლიდან. აჭარაში განთავისუფლდა 106 მასწავლებელი, რაც იმ დროისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ სკოლების სიმცირეს, მეტად დიდი რიცხვი იყო.

1940 წელს შემოღებულ იქნა სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

3. სკოლა და პედაგოგიკა დიდი სამამულო ომის წლებში (1941–1945).

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია ეცრაგვულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. დაიწყო ხანგრძლივი, ისტორიაში ჯერ არნახული ომი. ომმა მოითხოვა ქვეყნის ყველა სახის მეშვიდობის საომარ ყაიდაზე გადაყვანა. მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად აღსდგა ეერაგი და დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ. სვენი ქვეყანა ერთიან საბრძოლო ბანაკად იქცა. უფროსი კლასების მოსწავლეებმა, სტუდენტებმა და მასწავლებლებმა სამამულო ომის ფრონტსა და პარტიზანულ რაზმებს მიაშურეს. საქართველოდან სამამულო ომში გაწვეულ იქნა 7 ათასამდე მასწავლებელი. აღგილზე დარჩენილები აქტიურად მონაწილეობდნენ ფრონტისპირა ზონის თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში, სანგრების გათხრაში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოსავლის აღებაში, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადებაში, ჯართის, მაკულატურისა და სამკურნალო მცენარეების შეგროვებაში, ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარებაში და ა.შ.

პარტიისა და მთავრობის მითითებით დასავლეთი რაიონებიდან დაიწყო საბავშვო ბაღებისა და სახლების აღსაზრდელთა და სკოლის მოსწავლეთა ევაკუაცია ღრმა ზურგში, მათ შორის საქართველოშიც.

სკოლის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ამ დროს წარმოადგენდა ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა. პარტიის ხელმძღვანელობით მოეწყო ფრონტელთა შვილების, ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებულ და საერთოდ სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვების სპეციალური კვება.

მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა ბავშვთა უმეთვალყურეობის თავიდან აშორებისათვის, რაც გამოწვეული იყო მამების ფრონტზე, ხოლო დედებისა და ოჯახის სხვა უფროსი წევრების ფართო მასშტაბით წარმოებაში ჩაბმით. ბავშვებს მოაკლდათ მშობლებისა და ახლობლების მზრუნველი ხელი. ამიტომ მათზე მზრუნველობა სკოლამდელ და-

წესებულებებსა და საბავშვო სახლებს დაეკისრა. გაფართოვდა მათი ქსელი. ბევრმა ოჯახმა აღსაზრდელად აიყვანა ობოლი ბავშვები და მათ მშობლიური მზრუნველობა გაუწია. განათლების მუშაკებს ხუსტად ჰყავდათ აღრიცხული ფრონტელთა შვილები და ევაკუირებული ბავშვები. მათ პირველ რიგში ათავსებდნენ საბავშვო ბაღებსა და სახლებში.

ომმა შეაფერხა საყოველთაო-სავალდებულო 7-წლიანი სწავლების განხორციელება, რაც გამოწვეული იყო მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის ომში წასვლითა და სასკოლო შენობების უკმარისობით. ზოგიერთი სკოლის შენობა სხვა მიზნებისთვის იქნა გამოყენებული. ზოგიერთები ამართლებდნენ საყოველთაო სწავლების ჩაშლას – ომის დროს ომია საჭირო და არა სწავლაო. პარტიამ მიუთითა ასეთი პოზიციის მცდარობაზე. „თუმცა მთელი ჩვენი ცურაღღება მიპყრობილია ომისკენ, – წერდა გაზეთი „პრავდა“, – მაგრამ ბავშვებზე ზრუნვა, მათ აღზრდაზე ზრუნვა ერთ-ერთ ჩვენს მთავარ ამოცანად რჩება... ჩვენ უნდა ვასწავლოთ ყველა ბავშვს და უნდა ვასწავლოთ კარგად, ომიანობის დროის სირთულის მიუხედავად“ (36).

უფროსკლასელთათვის, რომლებმაც დატოვეს სკოლა და წარმოებაში ან სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ წაიყვნენ, 1943 წელს ჩამოყალიბდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები.

ომმა მოითხოვა სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნა. შეიცვალა პუმანიტარული საგნების, კერძოდ, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლების ხასიათი. მათ სწავლებას მიეცა საბრძოლო-პატრიოტული მიმართულება. აღნიშნულ საგნებში გაიზარდა საათების რაოდენობა ტექნიკური საგნების ხარჯზე. 1943 წლიდან მთელ რიგ სკოლებში გაიხსნა სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები ეუფლებოდნენ შრომის უნარ-ჩვევებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებას. ამ მიზნით 1943 წელს მსხვილ ქალაქებსა და დაბებში შემო-

ლებული იქნა ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლება. რაც დაკავშირებული იყო ძირითადად წინამდელ მოსწავლეთა სამსჯელო მომზადებასთან, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას არ გამოუწვევია სკოლებში რაიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. პირიქით, ზოგიერთ სკოლაში გაუარესდა მოსწავლეთა დისციპლინა. ამიტომ 1954 წელს ისევ შემოიღეს ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება.

1943 წლის აგვისტოში რსფსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა *„წესები მოსწავლეთათვის“*. „წესები“ იქცა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დოკუმენტად, რაც ხელს უწყობდა სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის განმტკიცებას. ხდებოდა ამ „წესების“ მოსწავლეთა მიერ შესწავლა და მათ მიხედვით მოქმედება, მაგრამ ამ შესწავლას ზოგჯერ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მოსწავლეები გამოკითხვისას მარჯვედ პასუხობდნენ წესების ირგვლივ დასმულ კითხვებზე. მაგრამ ცხოვრებაში ამ წესებით არ ხელმძღვანელობდნენ.

1943 წელს მოსკოვში შეიქმნა რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც დაევალა ზოგადი პედაგოგიკის, სპეციალური პედაგოგიკის, პედაგოგიკის ისტორიის, ფსიქოლოგიის, სასკოლო ჰიგიენისა და დაწესებითი და საშუალო სკოლების ძირითადი დისციპლინების სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება.

1944 წელს დადგენილებით – *„სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“* – შემოღებულ იქნა გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ნახაბარეზი გამოცდები სკოლაში, ასევე მოსწავლეთა ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოება.

აღნიშნული წარმატების მიუხედავად, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა მთელი რიგი საგნების სწავლება. სკოლა მოწყვეტილი იყო ცხოვრებას. სასწავლო მუშაობაში ფართოდ გამოიყენებოდა სოციალისტური შეჯიბრებები, რომელიც მე-

ქანიკურად იყო გადმოტანილი ფაბრიკა-ქარხნებიდან სკოლაში და იგი აიკრძალა. რადგან აღგილი პქონდა შეჯიბრებაში მაღალი მასვენებლების მოპოვების მიზნით ნიშნების ხელოვნურად აწევა-დაწევას.

მასწავლებლობა. ომის დაწყებისთანავე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი ფრონტზე წავიდა. ამიტომ სკოლაში ხშირად ხვდებოდნენ მასწავლებლებად შემთხვევითი პირები. ამიტომაც დაიწყეს საშუალო განათლების მქონე პირთა პედაგოგიური მუშაობისათვის მომზადება.

ომის მიუხედავად, გაიხსნა მასწავლებელთა ხელფასები, დაწესდა კების პროდუქტებითა და საწარმოო საქონლით მათი მომარაგება. ამავლდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ღონე, რაშიც დიდი როლი შეასრულეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა.

საბჭოთა მასწავლებლები გმირობას ავლენდნენ როგორც ბრძოლის ველზე, ისე ზურგში. ბევრი მასწავლებელი დაჯილდოვდა სამხედრო ორდენებითა და მედლებით, მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ბევრიც გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. 1944 წელს 5000-ზე მეტი მასწავლებელი და სახალხო განათლების მუშაკი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით სკოლაში თავდადებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

4. სახალხო განათლება 1946-1991 წლებში

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ქვეყანა შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას — დაზარალებული მეურნეობისა და კულტურის აღდგენას.

1946 წლის მარტში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კანონი 1946-1950 წლებში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ გეგმით გათვალისწინებული იყო მატერიალური და კულტურული მდგომარეობის არა მარტო ომამდელი

დონის აღდგენა. არამედ მათი შემდგომი განვითარებაც. ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა დაწყებითი და საშუალო სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების ქსელის გაფართოებას, ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

პარტიისა და მთავრობის, ასევე განათლების ორგანოების მიერ გაწეული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად, 1950 წლისათვის სკოლები და მათში მოსწავლეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ნამორჩებოდა ომამდელ დონეს.

შეიღწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლას აგრძელებდა საშუალო სკოლაში. ამიტომ საშუალოდამთავრებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად სჭარბობდა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა რიცხვს. ისინი უნდა ჩაბმულიყვნენ წარმოება-დაწესებულებაში, მაგრამ მათი მომზადების დონე საკმარისი არ იყო პრაქტიკული საქმიანობისათვის. ამიტომ იყო, რომ 1956 წელს პარტიის XX ყრილობამ მიუთითა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებაზე.

საშუალო სკოლადამთავრებულთა სპეციალური მომზადების მისნით გაიხარდა ტექნიკუმების რიცხვი. 1956-1957 სასწავლო წლიდან შემოღებულ იქნა უფასო სწავლება როგორც საშუალო სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებით ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესების მიზნით 1956-1957 ს/წლიდან შეიქმნა სკოლის ახალი ტიპი – სკოლა-ინტერნატები. აღნიშნული სკოლების გახსნა განაპირობა იმან, რომ ომის შედეგად სვენს ქვეყანაში ასობით ბავშვი დაობლდა. ბევრ ოჯახში დედაც და მამაც მუშაობდა და შვილები უმეთვალყუროდ რჩებოდათ. სწორედ ამან განაპირობა სკოლა-ინტერნატების შექმნის აუცილებლობა. გასული საუკუნის 60-იან წლებში აჭარაში ფუნქციონირებდა 7 სკოლა-ინტერნატი (ხელოში, ქედაში, ხელვაჩაურში, ქობულეთში (ორი) და ქ. ბათუმში (ორი).

სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა მიღება ხდება მშობლების ან მათი შემცვლელი პირების სურვილით. ობოლი, მრავალშვილიანი და მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან ბავშვები სკოლა-ინტერნატებში იმყოფებიან სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე.

ქალაქისა და სოფლის სკოლებთან დაიწყო გახანგრძლივებული დღის ჯგუფების გახსნა, რომელთა მიზანია აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება და ოჯახებისადმი დახმარების გაწევა.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შემოღებამ, პოლიტექნიკური განათლების გატარებამ და სკოლა-ინტერნატების შექმნამ მოითხოვა ახალი პედაგოგიური კადრების მომზადება. ამ მიზნით გადიდდა პედსახსწავლებლებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების რიცხვი, რამაც გაუმჯობესა მასწავლებელთა მომზადების ხარისხი.

1956 წლის 18 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება *„ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების ხარისხის ამაღლების შესახებ“*, რომლის საფუძველზე პედაგოგიური ინსტიტუტები 4-წლიანი სწავლებიდან გადავიდნენ 5-წლიან სწავლებაზე, რამაც უზრუნველყო ფართო პროფილის მასწავლებელთა მომზადება, რომლებსაც შეუძლიათ ასწავლონ არა მარტო ერთი საგანი სკოლაში, არამედ მისი მოხათესავე დისციპლინებიც.

დაწყებითი კლასების უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლების მომზადების მიზნით 1957-1958 სასწავლო წლიდან ზოგიერთ პედაგოგიურ ინსტიტუტთან გაიხსნა დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკათა ფაკულტეტები. ხოლო დაუსწრებელ სწავლებაში საბმულ მასწავლებელთათვის შეიქმნა საკონსულტაციო პუნქტები. ის მასწავლებლები, რომლებსაც დამთავრებული ქქონდათ 2-წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი და მუშაობდნენ სკოლებში, სწავლას განაგრძობდნენ პედაგოგიურ ინსტიტუტებთან არსებულ დაუსწრებელ განყოფილებებზე.

გარდაექმნა სასწავლო გეგმები და პროგრამები.1957-1958 სასწავლო წელს გაუქმდა გადასაყვანი გამოცდები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რამაც ნაწილობრივ ხელი შეუწყო მოსწავლეთა გადატვირთვის თავიდან აცილებას.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1958 წლის დეკემბერში მიიღო კანონი *„ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ“*. მასში ნათქვამია: „საშუალო სკოლაში სწავლებისა და აღზრდის მთავარ საწუხად უნდა იქცეს სწავლების მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან..., პრაქტიკასთან“.

კანონის მიხედვით შეიდწლიანი სავალდებულო სწავლების ნაცვლად შემოღებულ იქნა „საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლება“.

კანონით დადგინდა საშუალო სკოლების შემდეგი ძირითადი ტიპები:

1. მუშა ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები – საღამოს (ცვლითი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებშიც განათლებას იღებდნენ ის ახალგაზრდები, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ 8-წლიანი სკოლა და მუშაობდნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში;

2. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი-პოლიტექნიკური სკოლები საწარმოო სწავლებით, რომლებშიც რვაკლასდამთავრებულნი 3 წლის განმავლობაში იღებდნენ საშუალო განათლებას და პროფესიულ მომზადებას.

3. ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები, რომლებშიც რვაწლედის ბაზაზე მოსწავლეები იღებდნენ ზოგად და სპეციალურ განათლებას.

ამაყე დადგენილებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოღებულ იქნა დირექტორის მოადგილის შტატი საწარმოო სწავლების დარგში.

კანონში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე უმაღლესი სკოლის მუშაობის გარდაქმნას და მის შემდგომ განვითარებას. ამ კანონის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას მოსწავლეთათვის, ზოგად

განათლებასთან ერთად, უნდა მიეცა პროფესიული მომსახურებაც, მაგრამ ამის განხორციელება ძალზე ძნელი შეიქმნა, რადგან სკოლებს არ გააჩნდათ სათანადო ბაზა.

გარკვეული ღონისძიებები გატარდა მასწავლებელთა მატერიალური პირობების გაუმჯობესების მიზნითაც. ასევე დადგინდა სახალხო განათლების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მასწავლებელთა სხრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

1966 წლის 10 ნოემბერს მიღებულ იქნა პარტიისა და მთავრობის ახალი ვრცელი დადგენილება *„საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“*, რომლის მიხედვითაც დაწყებითი სკოლა 3-წლიანი გახდა და მეცნიერებათა სისტემატური კურსის სწავლება დაიწყო IV კლასიდან; შემოღებულ იქნა ფაკულტატიური კურსები მოსწავლეთა არჩევით. ზოგიერთი სკოლის უფროს კლასებში შემოიღეს ამა თუ იმ საგნის გაღრმავებული სწავლება.

ამ დადგენილებით გაუქმდა სკოლის დირექტორის მოადგილის შტატი საწარმოო სწავლების დარგში და მის ნაცვლად შემოიღეს დირექტორის მოადგილის შტატი კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

1975 წლიდან ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მასწავლებელთა მუდმივი ატესტაცია. პირველი ციკლი დამთავრდა 1979 წელს. ამის შემდეგ მასწავლებელთა ატესტაცია უნდა ჩატარებულიყო ყოველწლიურად, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ეს არ მომხდარა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის ერთობლივ დადგენილებაში *„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და მათი შრომითი მომზადების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“* დიდი ყურადღება დაეთმო სწავლების შეერთების მწარმოებლურ შრომასთან, როგორც ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირების ერთ-ერთ მთავარ პირობას.

5. პედაგოგიური მეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში 1941 წლიდან დღემდე

1930-1941 წლებში ჩამოყალიბდა და განვითარდა საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერება. შეიქმნილ იქნა და გამოიცა დამსმარე სახელმძღვანელოები პედაგოგიკაში პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის (მოსკოვში *ი.ა. კაიროვის*, ლენინგრადში – *ა. ი. გერცენის* და უკრაინაში *ს. ხ. ჩაკალოვის* რედაქციით). პედაგოგიკის კურსი დაიყო 4 ძირითად ნაწილად: პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, დიდაქტიკა, აღზრდის თეორია და სკოლათმცოდნეობა.

ცალკე წიგნებად და სტატიებად გამოიცა მთელი რიგი შრომები დიდაქტიკის საკითხებზე, რომლებშიც განსილული იყო სწავლების პროცესი, ორგანიზაციის ფორმები, სწავლების პრინციპები, მეთოდები, განათლების შინაარსი და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასება. 1940 წელს გამოვიდა პროფ. დ. ლორთქიფანიძის მონოგრაფია „გაკვეთილის აგების საფუძვლები“.

დიდი სამამულო ომით გამოწვეული სიძნელეების მიუხედავად, საქართველოში პედაგოგიკური მეცნიერების შემდგომი განვითარება არ შეფერხებულა. ნაყოფიერად მუშაობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: დიმიტრი უზნაძე, გიორგი თავზიშვილი, დავით ლორთქიფანიძე, ტ. სარიშვილი, უშ. ობოლაძე, გრ. ბაბილოძე, ვ. გაგუა (პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია), გ. გეხტმანი და დავ. დონდუა (გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა), ს. ჟურცელაძე (რუსული ენის სწავლების მეთოდიკა), მ. მირიანაშვილი და მ. კონიაშვილი (ფიზიკა-მათემატიკის სწავლების მეთოდიკა), ა. ნამორაძე (ისტორიის სწავლების მეთოდიკა) და სხვები.

1944 წელს დაწესებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი გადაკეთდა პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. ამ დროს ინსტიტუტში სამუშაოდ მოწვეული იყვნენ პროფესორები: შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, რუსუდან ნიკოლაძე და სხვები.

ინსტიტუტთან დაარსდა გამომცემლობა და შეიქმნა სამეცნიერო ორგანო – „შრომები“, სადაც ორიგინალურ ნაშრომებთან ერთად, გამოდიოდა თარგმნილი პედაგოგიკური ლიტერატურა.

ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში აღიზარდა პედაგოგიკური მეცნიერების დარგის მრავალი მეცნიერი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა დღესაც წარმატებით ეწევა სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მუშაობას.

ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდნენ ასევე უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული პედაგოგიკისა და პედაგოგიკური ფსიქოლოგიის კათედრები.

განსახილველ პერიოდში მრავალი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა *დიდაქტიკაში.* 1944 წელს გამოვიდა პროფ. *ლ. ლორთქიფანიძის* ნაშრომი „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები“, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია მასწავლებლებს სწავლების თეორიის დაუფლებაში.

1947 წელს გამოიცა პროფ. *უშანგი ობოლაძის* „პედაგოგიკა“ (I ნაწილი), რომელშიც მეცნიერული თანმიმდევრობით არის გაშუქებული განათლებისა და სწავლების თეორიის ძირითადი საკითხები.

1956 წელს გამოქვეყნდა ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი პედაგოგიკის დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც განმეორებით გამოიცა 1969 წელს პროფ. ლ. ლორთქიფანიძის რედაქციით.

1971 წელს გამოვიდა პედაგოგიკის სახელმძღვანელო პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რომლის ავტორები არიან პროფ. *ნ. მექვაბიშვილი, ი. ხარშილაძე, გ. ნიკოლაიშვილი, ვ. გაგუა და პრ. კვირკველია.*

უკანასკნელ წლებში გამოიცა პედაგოგიკის სახელმძღვანელოები პროფესორების: *ვ. გაგუას, ა. გოძრიაშვილის, ზ. ცუცქირიძის, შ. მალაზონიას, ნ. ბახილაძისა* და სხვების.

ორ ათეულ წელზე მეტია ჩვენი ქვეყნის სკოლებში დაინერგა ექსპერიმენტული კვლევა-ძიება, რომელსაც წლების განმავლობა-

ში ახორციელებდა აკად. *შალვა ამონაშვილი.* აღნიშნულ პრობლემას მან მიუძღვნა (რუსულ ენაზე) ნაშრომები: „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქცია“ (1984 წ.), „გამარჯობათ, ბავშვებო!“ (1983 წ.), „როგორ ცხოვრობთ, ბავშვებო?“ (1986 წ.) და სხვები.

აღზრდის თეორიაში უკანასკნელ ხანებში უმთავრეს პრობლემად რჩება ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა, აღზრდა ოჯახში, სკოლისა და ოჯახის ერთობლივი აღმზრდელობითი მუშაობა, მომავალ მასწავლებელთა მომზადება მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისათვის და სხვ.

ამ დარგში გამოქვეყნებულ შრომებს შორის უმაღლეს შეფასებას იმსახურებს აკად. *გ. ჯიბლაძის* ერცელი მონოგრაფია „ესთეტიკური აღზრდის პრინციპები“, რომელიც 1968 წელს გამოიცა.

გარდა ამისა, ყურადღების ღირსია პროფესორების – *გ. გაგუას* „შრომისმოყვარეობის აღზრდა უმცროს სასკოლო ასაკში“ (1958 წ.), *პ. ჯანელიძის* „ზნეობრივი აღზრდის ფაქტორები“ (1965 წ.) და „მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა“ (1979 წ.), *აკად. გობრონიძის* „მომავალ მასწავლებელთა მომზადება“ (1984 წ.) და „ზნეობა“ (2001 წ.), *ი. ბიბილეიშვილის* „პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (2011 წ.), *ნ. ბასილაძის* „პიროვნების განვითარება და თვითაღზრდა“ (2009 წ.) და სხვ.

40-იანი წლებიდან საქართველოში ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა *პედაგოგიკის ისტორიაში.*

1940 წელს გამოვიდა პროფ. *დ. ლორთქიფანიძის* „იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა“, რომელშიც განხილულია ი. გოგებაშვილის როგორც ზოგადპედაგოგიკური იდეები, ისე დიდაქტიკის ძირითადი პრინციპები და ამ თვალსაზრისით მისი სახელმძღვანელოები – „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და „რუსკოე სლოვო“.

1941 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრე-

ბული გ. თავხიშვილის, დ. ლორთქიფანიძის, გ. ახვლედიანის, გ. კიკნაძის, დ. მაცაბერიძისა და სხვათა სტატიებით.

1948 წელს დაისტამბა *დ. ლორთქიფანიძის* წიგნი „დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი“, რომელიც რამდენიმეჯერ გამოვიდა ქართულ და რუსულ ენებზე. მასში განხილულია ი. გოგებაშვილის ზოგადპედაგოგიკური და ზოგადდიდაქტიკური იდეები, მისი მოძღვრება მოზარდის სწავლა-აღზრდაში მშობლიური ენის როლის შესახებ.

1949 წელს გამოვიდა *გ. თავხიშვილის* „იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება“, რომელშიც ავტორი იხილავს ი. გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებებს, მათ აღმზრდელობით მნიშვნელობას, ხოლო 1952 წელს – მისივე ვრცელი მონოგრაფიული ნაშრომი „იაკობ გოგებაშვილი“, რომელშიც ასახულია იაკობის ცხოვრება, მოღვაწეობა, პედაგოგიკური იდეები და მხატვრული შემოქმედება.

საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1952 წელს დაიწყო და 1965 წელს დაამთავრა ი. გოგებაშვილის ათტომეულის გამოცემა, რომელთა რედაქტორებია *გ. თავხიშვილი* და *დ. ლორთქიფანიძე*, ხოლო 1989-1990 წლებში გამომცემლობა „განათლებამ“ დასტამბა ი.გოგებაშვილის რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად.

ქართული პედაგოგიკისა და საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის საკითხებზე შექმნილ ნაშრომთა შორის გამოირჩევა პროფ. *გ. თავხიშვილის* ვრცელი ნაშრომი – „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801-1870 წწ.)“, მისივე „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“ (3 ტომად), *ა. ხინთიბიძის* „აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“ (3 წიგნად).

ასევე მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევებია: *ელ. გაგუას* „სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში“, *ტ. ხუნდაძის* „ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში“ და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-

დოება", *ე. ობოლაძის* „ნარკვევები დაწყებითი განათლების ისტორიიდან საქართველოში" და „ნარკვევები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ისტორიიდან საქართველოში", *ტ. სარიშვილის* „სკოლა და პედაგოგიკური მიმდინარეობანი რეჟოლუციამდელ საქართველოში" და „ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა", *ს. სიგუას* – „საშუალო განათლების ისტორია საქართველოში (1869-1880 წწ.)" და „სახალხო განათლება რეჟოლუციამდელ საქართველოში (1907-1917 წწ.)", *დ. გურგენიძის* „ქართული პედაგოგიკური აზრის ისტორიიდან (1921-1931 წწ.)" და „ა. ს. მაკარენკოს საოჯახო აღზრდის თეორია და თანამედროვეობა", *გ. ნიორაძის* „პირველი ქართული სკოლა ბათუმში", *ე. ასათიანის* „მოსარდი თაობის ჰარმონიული განვითარების პრობლემა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიურ მემკვიდრეობაში", *ი. ჭკუასელის* „ჟურნალი „განათლება" და მისი ადგილი ქართული პედაგოგიკური აზრიენების განვითარებაში", *გრ. ბაბილოძის* „სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957 წწ.)" და „აჭარის სახალხო განათლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი", *ალ. გობრონიძის* „ცხოვრებასთან სკოლის კავშირი პრობლემა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში", *ე. ციკაძის* „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1970 წწ.)" და „აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა აღმაველობის გზაზე (1970-1977)".

სახალხო განათლების დარგის მოღვაწეთა საქმიანობას და მათ პედაგოგიკურ შეხედულებებს აცნობს მკითხველებს ასევე *ე. ქავჭაიას* „გამოჩენილი ქართველი პედაგოგები" და მისივე რედაქციით გამოსული სამი კრებული „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", *ე. ზამბახიძის* „ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური იდეები", *მ. კეკელიძის* „გორის სამასწავლებლო სემინარია" და „სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში", *ი. ჭკუასელის* „ლუარსაბ ბოცვაძე" და სხვ.

დიდი მოწონება დაიმსახურეს პროფ. *დ. ლორთქიფანიძის* მონოგრაფიებმა ი. ა. კომენსკი'სე და კ. დ. უშინსკი'სე. აღნიშნული მონოგრაფიები, ქართული ენის გარდა, გამოიცა მრავალ სხვა ენაზე.

1976 წელს გამომცემლობა „განათლებამ" გამოსცა პროფესორ *ე. შ. იობოლაძის* ვრცელი მონოგრაფია „ჟან-ჟაკ რუსო", რომელშიც სრულყოფილად არის გაშუქებული დიდი ფრანგი მწერლისა და პედაგოგის ცხოვრება, ლიტერატურული მოღვაწეობა და პედაგოგიკური იდეები.

1988 წელს გამოიცა ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი პედაგოგიკის ისტორიის სახელმძღვანელო, რომლის რედაქტორია პროფ. *ნ. ეასაძე.* აღნიშნული ნაშრომი კიდევ რამდენიმეჯერ გამოიცა.

უკანასკნელ წლებში გამოცემულ ნაშრომთა შორის ყურადღებას იპყრობს პროფესორების: *თ. კომახიძის* „ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები" (ბათუმი, 1996 წ.), *ნ. გუგუნავას* „მემედ აბაშიძე განმანათლებელი" (ბათუმი, 1997 წ.), *ალ. გობრონიძის* „იაკობ გოგებაშვილი და აჭარა" (ბათუმი, 2000 წ.), *ნ. ბასილაძის* „ე.ა.სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა" (ბათუმი, 2000 წ.), მისივე „ნარკვევები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიიდან" (ბათუმი, 2007 წ.) და „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის" (2011 წ.).

ამ მხრივ გამოირჩევა ასევე ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის *ვ. წულუკიძის* ნაშრომები: „ეროვნული სკოლის მშენებლობის გზაზე" (ბათუმი, 1995 წ.) და „განათლების ისტორიისათვის აჭარაში" (ბათუმი, 2002 წ.).

ნაყოფიერი კვლევა წარმოებს საქართველოში ასევე სკოლამდელი აღზრდისა და ცალკეულ მეცნიერებათა სწავლების დარგში. სკოლამდელ აღზრდას აჭარაში მიეძღვნა ჩვენი წიგნი: „სკოლამდელი აღზრდის განვითარება აჭარაში (1921-1981 წწ.)", ბათუმი, 1982 წ.

თ ა ვ ი XXIII

ნოდარ დუმბაძე – ჰუმანიზმის დაუცხრომელი მებრძოლი

ყოველი ეპოქისა და ქვეყნის ხალხისათვის ძვირფასი და ახლობელია მეტადრე იმ მწერალთა სახელები, ვინც მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ერთგული გრძნობის განმტკიცებასა და მშობელი ხალხის სამსახურს შეალია, ვინც ქადაგებდა სიკეთეს, ჰუმანიზმს, სალხთა შორის ძმობასა და ერთობას. და თუ მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ამ მხრივ ვინმეს მშობელი ხალხის წინაშე ვალმოხდილად შეუძლია ითვალოს თავი, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ნოდარ დუმბაძე (1928-1984). ქართველ მწერალთაგან იშვიათად თუ რგებია ვინმეს ისეთი აღიარება და დაფასება, როგორც ნოდარ დუმბაძეს ხვდა წილად. მისი წიგნები ყოველი ჭეშმარიტი ქართველის სამაგიდო წიგნებადაა ქცეული და „გაუთავებელი კითხვით იცრიცება" (გ. გეურდწითელი). მწერლის შემოქმედების ეს დიდი მაკონსტრუირებელი ძალა უნდა ვეძიოთ მის გმირთა ღრმაადამიანურობასა და კაცთმოყვარეობაში, სიყვარულსა და სიკეთეში, ხალას იუმორსა და ნათელი მომავლისადმი ურყევ რწმენაში.

მწერლის მთელი შემოქმედება ***ჰუმანიზმისა*** და ხალხთა შორის მეგობრობის ნათელი შუქით არის გაბრწყინებული, რაც თავად ავტორის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს. ადამიანური სითბოსა და სიყვარულის გამოსხივება მისი სასიცოცხლო მოთხოვნილება იყო. ამიტომაცაა, რომ ეს თვისებები უხვად აქვთ მომადლებული მის გმირებს. აი, რას წერს ნოდარ დუმბაძეზე მისი სიყრმის მეგობარი და კოლეგა არჩილ სულაკაური: „ბედით, ხასიათით, ცხოვრების წესით ნოდარის მხატვრული ქმნილებები ძალზე გვანან თავად ნოდარს – მათ შემოქმედს... ისინი ადვილად იკვლევენ გზას მკითხველის გულისაკენ, ხიბლაენ, აჯადოებენ

და ნუსხაყვე ადამიანებს, ირგვლივ ფეიერვერკივით აფრქვევენ სიხარულსა და სიკეთეს" (59, 9).

ნოდარ დუმბაძის აზრით, ვისაც საქმე აქვს ადამიანებთან, მან წინასწარ კარგად უნდა გაიცნოს ისინი, გაიგოს მათი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს: „ადამიანი ფრესკა არ არის... რომ ერთ სიბრტყეში უყუროთ. ადამიანს, როგორც ქანდაკებას, ისე უნდა შემოუაროთ გარშემო და იმ კუთხიდან უმზიროთ, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება" (57, 313-314). უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ადამიანებთან ურთიერთობისას სასურველ შედეგს ვერ მიეაღწევთ „კაცთმოყვარეობის, გულისყურისა და მოთმინების გარეშე".

ხელმძღვანელობს რა ამ პრინციპით, ნ. დუმბაძე ცდილობს, ყოველ ადამიანში, როგორი გადაგვარებულიც უნდა იყოს ის, მონახოს რაიმე დადებითი, ადამიანური თვისებები, გვიჩვენოს იგი იმ კუთხიდან, საიდანაც ყველაზე კარგად მოსჩანს. ამიტომაც ის ქურდსა და კაცისმკვლელშიც კი ადამიანურ გრძნობებს ქექავს და პოულობს კიდეც. ასეთებია ლიმონა და ტიგრანა რომანში „თეთრი ბაირაღები". ლიმონა ქურდია, ტიგრანა კი — კაცისმკვლელი. ორივეს მართლმსაჯულება თავისას მიუზღავს, მაგრამ მწერალი ამით არ კმაყოფილდება. იგი უფრო ღრმად იხედება თითოეული მათგანის სულში და პოულობს ადამიანობის იმ რაციონალურ მარცვალს, რომელიც არ შეიძლება არ გააჩნდეს ნებისმიერ ადამიანს. როცა ლიმონა შემთხვევით გაიგებს, რომ მისი დის თანაკურსელის მამას ძარცვავდა, იგი ნაძარცვს უკან აბრუნებს და ქურდობაზე ხელს იღებს, ტიგრანა კი ეხვეწება ძია ისიდორეს, „...იმ შენი ნაბიჭვარი სიძის მკვლელობა მე დამაბრალე, მე ვკისრულობ მაგის სიკვდილს... ჩემთვის სულ ერთია, გინდ ერთი მომიკლავს და გინდ ორი... ოღონდ შენ თქვი სასამართლო-ზე, რომ მე მოვკალი, გესმის, ძია ისიდორე, ოღონდ შენ თქვი!" (57, 432).

დიდმა მწერალმა ომიდან გამოქცეული, დეზერტირი დათიკო ბრიგადირიც („მე ვხედავ მზეს") არ გასწირა მთლიანად და მასშიც იპოვა ადამიანობის მარცვალი: როცა ადი-

დებულ მდინარეს მიაქორდა უსამანსესი სულისა და უკეთილშობილესი გულის გოგონა – ხატია და მდინარეში „ფეხის შესვლას ვერაფინ ბედავდა“, მის ბობოქარ ტალღებს დათიკო შეება და გოგონა დახრჩობას გადაარჩინა. მანამდე დათიკოს ყოველთვის მგელიეთ ტყისკენ ეჭირა თვალი. ახლა კი (ხატიას გადარჩენის შემდეგ) იგი სოფლისკენ მიმავალ გზას გაუყვა, თუმცა მიდიოდა და არ იცოდა, სად, რადგან სოფელმა იგი არ მიიღო. ამით მწერალი გვეუბნება, რომ არის დანაშაული, რომელსაც შენდობა და შეწყალება არა აქვს. დათიკოს დანაშაული კი დესერტირობაა.

ნიდარის გმირები მასაყით ყოველისმომტყებლები არიან. ეს ყველაზე მეტად ჩანს რომან „მზიანი ღამის“ მთავარი პერსონაჟის თეიმურაზ (თემო) ბარამიძის ხასიათში. მისი გული, მიუხედავად თავს დამტყდარი და გადატანილი არაერთი უბედურებისა, სიკეთითა და ადამიანების სიყვარულით არის სავსე. ყოველ ადამიანში იგი მხოლოდ დადებითს ეძებს და არ სურს, დაინახოს ზოგიერთი მათგანის მანკიერი მხარე, მათ შორის, ბოროტებაც კი. დღის არაერთი შეგონების მიუხედავად, რომ კაცს სიკეთეც უნდა ახსოვდეს და ბოროტებაცო, იგი იეიწყებს ბოროტებას და მკაცრად ისჯება. თემო სრულ ნდობას უცხადებს თავისი კარის მეზობელს, შინსახკომის მუშაკს – აბიბო თოდრიას, კაცს, რომელმაც ერთხელ უკვე კინაღამ დალუპა მისი ოჯახი, და მას ციხიდან გამოქცეული მეგობრის – რამაზ კორსაკელის, მეტსახელად „თაეერას“, დახსნას სთხოვს, მაგრამ ტყუვდება და ისევ ისჯება: აბიბო დახსნის ნაცვლად თაეერას გასცემს და ამ უკანასკნელს ისევ ციხეში უკრავენ თავს. ამის შემდეგ თემო შურისძიების გრძნობით იესება და აბიბოს მოკვლასაც კი ფიქრობს, მაგრამ ერთ დღეს, როცა იგი სადარბაზოში მომაკვდავ აბიბოს პოულობს, მას მხსნელად ეელინება. „ზურგზე მოეიკიდე და მესამე სართულზე ავიყვანე. დაეაწეინე კართან, ჯიბეები მოეუჩხრიკე, გასაღები ეიპოეე, კარი გაეაღე და მის სამუშაო ოთახში ნოხგადაფარებულ ტახტზე დაეაწეინე. საკინძე გაეუხსენი, ქამარი შეეხსენი და ფეხზე გავხადე.

აბიბო იწყა ჩემს წინ და კვდებოდა. კვდებოდა კაცი, რომლის სიკვდილს ენატრობდი, კაცი, რომელმაც სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა, გამწირა, და ამ კაცის სული ახლა ჩემს ხელში იყო“ (56, 562).

მიუხედავად ამისა, თემო ბარამიძეს არ ძალუძს შურისძიება, რადგან მასში სიყვარულის დიდი ძალაა დაგუბებული. ამიტომ იყო, რომ მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა, წყალი დაალევინა, ფანჯრები გამოაღო, ოთახი გაანიავა და შემდეგ მომაკვდავს მთელი ღამე უთია. თანდათან იგი სიძულვილისგან დაიცალა და აბიბოსადმი სიბრალულით აიკსო, ამ უკანასკნელმა კი მისი ხელი დაიჭირა, კოცნა დაუწყო და შებღალა:

„ – მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! – მე ხმას არ ვიღებდი, – ამბობს თემო.

– მაშინ, მომკალი, რატომ არ მკალე, ბიჭო?

– მე მკვლელი არა ვარ, ძია აბიბო! – აბიბო მიყურებდა თაყვისი გამჭირვალე ლურჯი თვალებით, რომლებშიც დღეს პირველად დავინახე რაღაც და ეს რაღაც ცრემლი იყო – აბიბო ტიროდა“ (56, 565-566).

ჭეშმარიტი ჰუმანიზმის, უანგარო სიკეთისა და ქართული სტუმართმოყვარეობის საუკეთესო მაგალითია სოფლელი კაცის, ბაბილო ვაშაყმაძის საქციელი რომანში „მე ვხედავ მზეს“. მასში ერთი ასეთი ეპიზოდია: ხატია და სოსოია მეზობელ სოფელში ტანსაცმლის სიმინდზე გადასაცვლელად მიდიან. ომის მძიმე, მშიერი წლებია. ქვეყანას უჭირს და უჭირს ბაბილოსაც, მაგრამ იგი ბავშვებს ღამეს გაათევინებს და დილით უსასყიდლოდ აძლევს მთელ ტომარა სიმინდს. სოსოიას ნაოქვამზე – მე მათხოვარი არა ვარო, ბაბილო ასე პასუხობს: „– რაო, რა მითხარი?.. მათხოვარიო?.. რაღაც ორი კეკალი სიმინდი მისცეს კაცმა კაცს, მათხოვრობაა მაგი? არ გცოდნია შენ რაა მათხოვარი“... (56, 362).

ნოდარ დუმბაძემ კარგად იცის, რომ კაცი ხვალინდელი დღის სიხარულითა და იმედით ცოცხლობს. ამის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია. ამიტომ იგი არ უქრობს იმედის ამ შუქს თაყვის გმირებს.

„ – ღღეს ჩვენი ფოსტალიონი იყო ჩვენთან, გერასიმეს ბიჭის დაღუპვის ცნობა მოიტანა. მე ვერ ვიტყვი, შენ უთხარიო, მითხრა, – თქვა ილარიონმა...

– მერე, უთხარი გერასიმეს? – ვკითხე მე. – ამბობს სურიკელა.

– შენ ხომ არ გაგიგიჟდი, ბიჭო, კაცი ყოველღღე ელოდება ბიჭის დაბრუნებას და ახლა რომ ეს ამბავი უთხრა, ხომ დაინგრა ოჯახი! – შემომიტია ილიკომ...

– აბა რას აპირებ?

– რას ვაპირებ? – მკითხა ილარიონმა და უბეში ხელი ჩაიყო, მერე იქიდან დაბეჭდილი ქაღალდი ამოიღო, უყურა, უყურა და უცებ ბუხარში შეაგდო. ალი აყარდა და ილარიონის სახე გაანათა, მას ლოყაზე ორი კურცხალი ეკიდა.

– ამას ვაპირებ, ჩემო ბიძია, თუ ღმერთმა ქნა და ცოცხალია, გამოჩნდება, თუ არა და ელოდოს მამამისი, კაცი იმქვეით ცოცხლობს“ (56, 76-77).

ნოდარ დუმბაძის გმირები ყოველთვის იმაზე ფიქრობენ, როგორ გაუმართონ ერთმანეთს ხელი. ამიტომაც ნატრობს სოსოია ცის სარკედ გადაქცევას. „...მაშინ ჩვენ, ვინც ცას ვუყურებთ, – ამბობს იგი, – დავინახავდით ერთმანეთს... დავინახავდით, ცის უჭირს ამ ქვეყანაზე. ცის ულხინს, მერე დალხინებულები წავიღოდნენ გაჭირვებულებთან და მიეხმარებოდნენ... რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს“ (56, 356-357).

რომელი ერთი მაგალითი გაეიხსენოთ! განა გმირობის ტოლფასი არაა ბებია ოლღას, ილიკოსა და ილარიონის საქციელი? როცა ისინი გაიგებენ, რომ თანასოფლელები ჯარისკაცებისათვის საჩუქრებს აგროვებენ, მაშინვე დაფაცურდებიან და თუ რამ კარგი გააჩნიათ, არ იშურებენ. „–მე რა სიკეთე მაბადია ამ ქვეყანაზე, არაფერი, – ამბობს ილიკო. – ერთი ნაბადი მაქვს და აგერაა აკუდებული კარებთან. ადექი, სურიკელა და შემოიტანე ოთახში... ჩემისთანა ხროხცმა ბერიკაცმა თუ არ ატარა მაგი, არ დაიქცევა ქვეყანა. მე, ჩემო ბიძია, ამ დაბამბულითაც იოლად გავალ, აწი საცაა გაზაფხულდება.

გარეთ გაეცალა და თითქმის ახალი შავი ნაბადი ოთახში შემოვიტანე. ეს ის ნაბადი იყო, ილიკოს რომ საბნად ეხურა. სიცოცხლეს ერჩია და ილარიონს არ ათხოვა ქორწილში. – გამიფუჭებიო“ (56, 78-79).

ილარიონი გარეთ გაეარდა. არ გასულა ხუთი წუთი და მან „კარები შემოალო, მერე მიეიდა ოთახის კუთხეში და ილიკოს ნაბდის გეერდით ახალთახალი, ჯერ ჩაუცმელი ჩექმები დააწყო“ (56,79).

იმ საღამოს ოლღა ბებიამ ზურიკელა დააწვინა და თვითონაც დაწეა დასაძინებლად, მაგრამ შემდეგ ჩუმად წამოდგა, ტანზე ნაიცვა,სასთუმლის მხრიდან ლეიბი გამოარღვია, ბღუჯა-ბღუჯა მატყლი გამოაძრო და მის ჩეჩვას შეუდგა. „ლოგინზე წამოეჯექი, – ამბობს ზურიკელა, – დიდხანს ყუცქერდი ბებიას და თვალებზე ცრემლმომდგარი ვფიქრობდი, ვინ უნდა ეოფილიეო ის ბედნიერი ჯარისკაცი, რომლისთვისაც ბებიამ სითბო მოიკლო და მისი მოხუცი სხეულით გამთბარი მატყლით ახლა, ამ თეთრი ზამთრის ცივ ღამეში წინდას უქსოვდა“ (56, 80).

აკაკი ბაქრაძის აზრით, „მოხუცმა ქალმა, რომლისთვისაც სითბოს სიცოცხლის ფასი აქვს, თავისი თავი გაიმეტა და უცნობ ჯარისკაცს უბრალო წინდა კი არა, საკუთარი სხეულის სითბო აჩუქა... ილიკოს ნაბადი, ილარიონის ჩექმები და ბებია ოლღას ლეიბიდან გამოღებული მატყლით მოქსოვილი წინდები ის გაკვეთილებია, რომელთა მეოხებითაც ზურიკელა კაცურკაცობას სწავლობდა“ (111).

ზნეობის ასეთ გაკვეთილებს კიდევ მრავალჯერ ჩაუტარებენ ზურიკელას ოლღა ბებია, ილიკო და ილარიონი. ისინი თითის ქნევითა და დიდაქტიკური დარიგებებით კი არ აბეზრებენ თავს მოსარდს, არამედ საკუთარი პირადი მაგალითით ზრდიან.

ზურიკელამ სოფლის სკოლა დაამთავრა და უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად გეზი თბილისისაკენ აიღო. მანქანაში ჩაჯდა და მძღოლს რკინიგზის სადგურამდე წაყვანა სთხოვა. აი, იგი უკვე სადგურშია. მგზავრობის ფული უნდა გადაუხადოს მძღოლს, მაგრამ მისი ამოღება არ გის-

და?! „როგორც იქნა მიაგენი გამოკერებულ ჯიბეს, – ამბობს ზურიკელა. – ცალი ხელით შარვალს ექანაფდი ზევით, მეორეთი კი ჯიბის თავს დაეწაფე მორჩენით. ის-ის იყო, ფული უნდა ამომეღო და მძღოლისათვის გადამეთვალა, რომ მანქანის გუგუნი გაეგონე... სანამ ვოსის მოვიდოდი, მძღოლმა გარს შემომიარა და ცხვირწინ დამიმუხრუჭა. კაბინიდან ქურებამდე გაღიმებული, გაწითლებული თაფი გამოყო, ფაფახი თავზე ჩამოიფხატა და სიცილით მითხრა:

– გეყოფა, ჩაიცვი აწი! – მერე ერთი კოღეე დააცქმინა ცხვირი მანქანას და გაქანდა“ (56, 107). ხვანჯარგახსნილი ზურიკელა კი იქვე დატოვა. ომის დროს მანეთიც დიდი ფული იყო. ასე დაულოცა შორეული გზა უცნობმა მძღოლმა ზურიკელას და კიდევ ერთი ზნეობის გაკვეთილი ჩაუტარა.

ზურიკელა უკვე სტუდენტია და დეიდა მართასთან მდგმურად ცხოვრობს. ილარიონი არ ივიწყებს მისი დაბადების დღეს, თბილისში ჩადის, შვიდას მანეთსა და ბებიას წერილს გადასცემს და ზნეობის კიდევ ერთ გაკვეთილს უტარებს ზურიკელას. ასე თანდათანობით მცირდება გზა „მარადისობის კანონის“ არსში გარკვევამდე, კანონისა, რომელსაც შემდეგ ბაჩანა რამიშვილი აღმოაჩენს. ამ კანონის ლაიტმოტივია ადამიანების სიყვარული. მწერალი მას ასე აყალიბებს: „...ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკეთაყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დაეობლდეთ და მარტონი არ დაერჩეთ ამ ქვეყანაზე“... (57, 715-716).

მარადისობის კანონის შეცნობაში ზურიკელას დეიდა მართას დაშაქრული ჩაი და შუაღამისას მის საძებრად ქუჩა-ქუჩა სირბილიც დაეხმარა. ერთხელ ღამით ზურიკელას შეაგეიანდა და იგი მილიციის სამორიგეოში წააბრძანეს. „უცებ სამორიგეოს კარი გაიღო და შიგ გიჟივით დეიდა მართა შემოეცდა, – ამბობს ზურიკელა, – გაკერცებუ-

ლი მორიგე ფეხზე წაიფიქრა და დაფეთებულ დეიდა მართას ჰკითხა:

– დეიდა მართა, რა მოხდა, ამ შუაღამეზე აქ რამ მოგიყვანა?

– ბიჭი დამეკარგა, შვილო... ჩემი მდგმური ბიჭი, ზურიკო ვაშალომიძე. წავიდა და აღარ მოვიდა, მთელი საავადმყოფოები მოვირბინე, მთელი მილიციელები შევაწრიალე, ვერსად ვნახე...

მე ვიჯექი კუთხეში, თვალებზე ქუდჩამოფხატული, ვუსმენდი ამ სათნო დედაკაცს, ვუსმენდი და მიხაროდა, რომ დამეძებდა მე, მე ვიღაც უცხოსა და გადამთიელს... ისე როგორც მე დავეძებდი ხოლმე სოფლის კუპრ ღამეში გაბნეულ ბოხოლას" (56, 169-170).

აი, ასეთი სიყვარული განსაზღვრავს ნ. დუმბაძის პერსონაჟთა დამოკიდებულებას ერთმანეთისა და მოვლენებისადმი. მწერლის შემოქმედებაში იგი ყველაფრის საფუძველთა საფუძველია. ზურიკელას აღსრდილობის საზომიც ესაა. ამ ნიშნით აფასებენ მას ბებია, ილიკო და ილარიონი. სიყვარულის მაგალითს კი ისინი თავად აძლევენ შეგირდს, რადგან მათ ერთი დღეც არ უცხოვრიათ ერთმანეთისა და სიყვარულის გარეშე, ერთად იზიარებენ ჭირსაც და ლხინსაც. სწორედ ეს სიყვარული აკავშირებს მათ ერთმანეთთან, სოფელთან, მეზობლებთან, მიწასთან. ბებიასა და შვილიშვილს შორის სიყვარული გასაკვირი არაა, მაგრამ ილიკოსა და ილარიონისაც რომ თავდაყირაწყებით უყვართ ზურიკელა? ამიტომაც სიკვდილის წინ ბებია თავისთან იხმობს მეგობრებს და ზურიკელას ეუბნება: „ – ამათ ხომ უყურებ, ილარიონს და ილიკოს, არ დაკარგო, ნენა, ეს ორი კაცი, შენზე ამოსდით მზე და მთვარე. ყველაფერი დაუჯერე. ამათ რომ სიკეთე აქვთ შენთვის გაკეთებული, იმას შენ ვერ გადაუხდი და ნურც დაპირდები. ისე გიყვარდეს, როგორც მაგათ უყვარხარ!" (56, 213).

ამრიგად, ბებია შვილიშვილს ილიკოსა და ილარიონისადმი მხოლოდ სიყვარულს სთხოვს, რამეთუ სიკეთის მის-

ხალ-მისხალ აწონა და გადახდა თავად სიკეთეს არ ეკალრება. გარდა ამისა, სიყვარულიც ხომ იგივე სიკეთეა.

და მაინც, სადაან გაჩნდა ასეთი სიყვარული? რა იყო ის პირველი ბიძგი, რომელმაც მეზობლებს შორის სიყვარულის ქარბორბალა დაატრიალა? ეს იყო ზნეობრივი „ქალი". თანადგომა ჭირში მეოჯი მოეცასისა და მეზობლისადმი. რითაც ამაყობს ყოველი ჭეშმარიტი ქართველი. ამიტომაც ამბობს ძია ისიდორე რომანში „თეთრი ბაირაღები": „უამრავი ნაკლის მიუხედავად, ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მადალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწვავდა, კაკანასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს" (57, 357).

ადამიანის გულწრფელი, უანგარო სიყვარულის ნიმუშია ასევე რომანში „მარადისობის კანონი" ბაჩანა რამიშვილისა და მისი მეგობრების – ვერელი ბიჭების დამოკიდებულება გიჟი მარგოსადმი. როგორც კი შეიტყეს მარგოს ავადმყოფობა, მაშინვე მასთან გაჩნდნენ. „სიცხიანი მარგო ლოგინში წრიალებდა, – ამბობს მწერალი. – ბიჭები რომ დაინახა, განცვიფრდა, ჯერ იდაყვებზე წამოიწია, მერე თავი ბალიშზე გადააგდო და ცრემლი წასკდა. ბოლოს სიცილი აუვარდა, ნერვული და ბედნიერი სიცილი...

– თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო, განა არ ვიცოდი, რომ მნახავდით, ცოტა დაიშალეთ, მწკრივში ნუ დგეხართ, თორემ პანაშვიდი მგონია... თქვენ შემოგეცლოთ გიჟი მარგოს ჯანი"... (57, 594).

ბიჭებმა მარგოს იმ უბანში ცნობილი ექიმი, პროფესორი ეგნატე ჯიქია მოუყვანეს, მაგრამ ექიმმა გასინჯა ავადმყოფი და თავი უიმედოდ ჩარგო ხელებში. ერთ-ერთმა ბიჭმა პროფესორს ჩუმად ფული ჩაუცურა ჯიბეში, მაგრამ მან იგი უკანვე ამოიღო, საკუთარი დასტა თუმნიანებიც დაუმატა და ოთახიდან გარეთ გაჯიდა.

მეორე დღეს ბაჩანა რამიშვილს გამოცდა ჰქონდა, მაგრამ სუსტად ხარ მომზადებულიო, უთხრა პროფესორმა.

აჯად ვიყავიო, იცრუა ბაჩანამ.

„ – აჯად კი არ იყავი, რამიშვილო, იმ გიჟის კუბოს მი-

სლუკლი გუშინ დილი ჯირისუფალიეით, შენ გგონია, ვერ დაგინახე?" – უთხრა პროფესორმა.

– გიჟი არ იყო, პატივცემულო პროფესორო! – სიტყვა შეუბრუნა ბაჩანამ.

– მაშ, რა იყო, მეფე ერეკლე იყო, მთელი ქალაქი რომ გადარიეთ და ორი საათით მოძრაობა გააჩერეთ?" (57, 600).

ბაჩანა წამოდგა და წასვლა დააპირა, სხვა დროს მოვალო, მაგრამ პროფესორმა შეაჩერა და ჰკითხა: მარგო შენი რა იყოო?

– და იყო ჩემი! – ისევ იცრუა ბაჩანამ.

პროფესორმა ბაჩანას თვალი თვალში გაუყარა. ბაჩანამ ვერ გაუძლო მის მზერას და თავი დახარა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ პროფესორმა მატრიკული დახურა და ბაჩანას გადააწოდა. ბაჩანამ იგი ჯიბეში ჩაიდო და ღერეფანში გავიდა, ისე რომ არავის შეკითხვაზე პასუხი არ გაუცია. რა მიიღო. უნივერსიტეტის ბაღში მან მატრიკული გადაშალა და თვალებს არ დაუჯერა – მის მატრიკულში ხუთიანი ეწერა. „ეს იყო პირველი ხუთიანი, რომელიც ბაჩანამ მიიღო თავისი სიცოცხლის მანძილზე", – ამბობს მწერალი. ცოტა ხნის შემდეგ მან კვლავ გადაშალა მატრიკული, მაგრამ ამჯერად ცერაფერს ხედავდა, რადგან თვალები ცრემლებით ჰქონდა საესე.

იგივე შეიძლება ითქვას კოლმეურნეობის ფერმის გამგის – გლახუნა ქერქაძის („მარადისობის კანონი") საქციელზე. როცა იგი გაიგებს, რომ ბაჩანა ჭლექით არის დაავადებული და ამიტომ სთხოვს ზაფხულში ფერმის საქონელთან ერთად მთაში წაყვანას, ბიჭს გულში ჩაიკრავს და ეტყვის: „ – რა ექნა ახლა მე, რომ გამიციედე იმ ტყე-ღრეში და თოქლ-ჭყაპში, რომ მომიკვდე, რა ვუთხრა ისედაც გაუბედურებულ ბაბუაშენს, რა ექნა, შენ მოგიკვდეს გლახუნა ბიძია, მთაში და ტყეში კი არა, შენ ახლა ბამბაში და ბუმბულში გჭირდება შენახვა და მოვლა მუმიასაცით.

– არ გამაწბილო, გლახუნა ბიძია! – ამოუჯდა გული ბაჩანას და ორთავე ხელი წელზე შემოხვია გლახუნა ქერქაძეს პატარა ბავშვივით.

– არა, ბიძია, არა. შენ შემოგეცლოს გლახუნას თავი, სიკვდილს გაუწბილებიხარ, უბეში გაგწრდი. ბიძია, თხის რძით გაგწრდი. მახარე, ხიტის რძეს არ მოგაკლებ, ნიავს არ გაგაკარებ, ს'უ. ბიძია, ს'უ. ისე გაგხდი ორ თვე'ში, სამ-წლიან ბულას კისერს უკრიხავდე. გაჩერდი აწი, შე მამა-ძაღლო. კი მოკერეთ მაგ სატკეპარს მე და შენ. ორი კაცი ერთად სიკვდილს კი არა, ღმერთს წააქცევს თუ დაეტაკა. გაჩერდი აწი, მე შენ გეუბნები...

ბაჩანა დიდი ხანია გაჩერებული იყო და ალარ ტიროდა, – დასძენს მწერალი, – მაგრამ ახლა გლახუნა ქერქაძე ტი-როდა ბავშვივით და კაცი არ იყო მისი გამჩერებელი" (57, 495).

ქართველი კაცის სტ'ემართმოყვარეობის უკეთილშობი-ლესი ბუნებაა წარმოჩენილი მოთხრობა'ში „ბოშები". გ'ური-ის ერთ-ერთ სოფელ ს'ენობანში ბო'შები დაბანაკდნენ. წას-ველისას მათ რალაცები ხელს გააყოლეს. ჩოხატაურ'ში ისი-ნი მილიციამ დააკავა და ს'ენობნელები იხმო, თქვენი საქო-ნელი ამოიცანითო. მაგრამ ლევარსი ბერეჟიანმა უარყო ბო-შების ქ'ურდობის ფაქტი და ყველაფერი საჩუქრად გამოა-ცხადა.

ამ ამბის შემდეგ ბოშებს მეთაური გამოეცო და ლევარ-სი ბერეჟიანს მკერდ'ზე ემოხვია. შემდეგ ისინი ველ'ური ცი-ცინითა და მათრახების ტკაცუნით გაუდგნენ გზას.

ასეთი ძმობის მაგალითებით ნ. ღუმბაძე გვიჩვენებს, თ'უ როგორ უადვილდება ადამიანს მძიმე სულიერი მდგომარე-ობის გადატანა, როცა ერთის წ'უხილი მეორის წ'უხილიცაა, როცა ერთის დარდს მეორეც იზიარებს და ერთად ცდილო-ბენ ამ დარდის თავიდან აშორებას.

გზად მიმავალმა სოსოიამ და ანატოლიმ („მე ვხედავ მზეს") შემთხვევით შენიშნეს, რომ დიდი თოვლი სადაცაა ქვეშ მოიქცევდა ლ'უკაია ფოცხიშვილის სახლს. შენიშნეს და დაუკითხავად შეეიდნენ ეზოში, გადმოთოვლეს სახლის სახ'ურავი, მოხ'უცებს ომში დაკარგული ერთადერთი ვაჟი-შვილის დაბრუნების იმედი ჩაუსახეს და წავიდნენ.

ადამიანის სიკეთ'ული ნოდარ ღუმბაძის იუმორ'შიც კარ-

გალ ჩანს. მისი გმირები შემკული არიან თბილი, ხალხური იუმორით, რომელიც გამორიცხავს სარკაზმს. ეს არის რაღაც სიმწარესთან გაზავებული, ცრემლნარევი სიცილი, როცა ტირილს სიცილი ცვლის და სიცილს ტირილი. მასში ჩანს ხალხის გულისტკივილიცა და სიხარულიც, ცხოვრების უმაყოფილებაც და უკეთესი მერმისის იმედიც. მაგრამ ამ სიცილის მთავარი დანიშნულება მაინც „სიკეთისათვის კარის გაღებაა“ (გ.ასათიანი). ამიტომაც უყვარს ყველას ნოდარ დუმბაძის გმირებიცა და მათი შემოქმედიც.

რომანში „მე, ბაბია, ილიკო და ილარიონი“ არის ასეთი ეპიზოდი: როცა ოპერაციის შემდეგ ილარიონი ქალაქიდან სოფელში ბრუნდება, იგი ცდილობს ილიკოს დაუმალოს, რომ ცალი თვალი მასაც არა აქვს, რადგან ამ უკანასკნელს მუდამ „ბრუციანს“ ეძახდა და ახლა თვითონაც „ბრუციანი“ გახდა. ილიკო დიდხანს იკატუნებს თავს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს, მაგრამ შინ მიმავალი ეზოდან მაინც მიაძახებს: „ – ილარიონ!.. თვალის ჩადება არ დაგავიწყდეს ამაღამ ჭიქაში!.. ისე ბედი მაქვსო, შენ უნდა თქვა, ნადირობა ქე გიყვარს და თვალის დახუჭვა აღარ დაგჭირდება აწი, იარე და ხოცე რაც ამ სოფელში ძაღლებია. არ გაუშვა არც ერთი.

– ილიკო ჩიგოგიძე, ცოდვა არ ჩამადენიო! – იკივლა ილარიონმა და ჭიშკრისაკენ გამოქანდა.

– არ მომეკარო, ილარიონა შეეკარდნაძე, თორემ ჩაგიტეხავ მაგ შუშის თვალს და მდიე მერე კუდში!..“ (56, 157).

ილარიონი დაქანცულიყით უხმოდ ჩამოჯდება კიბეზე. ილიკო გვერდით მიუჯდება, თუთუნს მიაწოდებს და ეუბნება: „ – ერთი სიკვდილი გაეთამაშე, რომ გავიგე... მე და შენ რამ გაგვყო, ბერიკაცო, შენი თვალის დაფსება ჩემი თვალის დაფსებაა, მაგრამ მაინც ვიცოგნე, არ მეგონა, თუ გეწყინებოდა. შენც კი მიძახი ბრუციანს, მარა ხომ არ მწყინს მე? ცალთვალა იყო, შე უპატრონო, კუტუსოვი, მარა დედამიწის გულში რა იდვა იმას ხედაედა. რა მოხდა, ერთი თვალი, შე გლახა, მაგი კი არა, ორივე თვალი რომ დაგვეფსოს, რა დაგეკარგავს, ჩაეკიდებთ ერთმანეთს ხელს და

ვიცლით ამ დუნიაზე. ვერ ვიცლით და აგი ბიჭი გვათრევს"...

ილარიონი წამოდგა და ოთახში შევიდა. მალე გამოვიდა და ილიკოს მიმართა:

– აგი ტარანია. კარგია ღიმზე და ალესავს!

– ძალიან გემრიელია. – თქვა ილიკომ.

– შენ ჩამოგიტანე! – თქვა ილარიონმა.

– ვიცოდი, რომ ჩამოიმტანდი. – თქვა ილიკომ. მერე გამოართვა შეხვეული, ადგა და წაიღო

– მოიცა, გაგაცილებ! – უთხრა ილარიონმა.

– კარგი, გამაცილე. – უთხრა ილიკომ. ისინი ერთად გამოვიდნენ ეზოდან და გაეცნენ შუკას" (56, 158).

ეს ეპიზოდი ცხადყოფს ადამიანის სულის სიმარტივით, მისი გულის სითბოთი და ენერგიის დიდი ძალით. ეს ენერგია დამუხტულია ადამიანისადმი სიკეთითა და სიყვარულით, რომელიც ყოველგვარ წუხილს გაანათებს.

ცნობილი რეჟისორი *გიორგი ტოვსტონოგოვი* წერს: „ყოველთვის ეუცნაურებოდა ამ სცენას და ყოველთვის ვაკვირდებოდი მაყურებელს (იგი ლაპარაკობს სპექტაკლზე – ნ. ბ.). ტიროდა ყველა. განა ამ წუთას არ იცინოდნენ! და მაყურებლები კი არა, ვერიდით ჩვენც, ვინც კულისებში ვიდექით. ეს ძალიან იშვიათად ხდება"... (89, 332).

ნოდარ დუმბაძის პუმანიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მის უკანასკნელ რომანში „მარადისობის კანონი". მასში ავტორი გადადის მებრძოლ, ქმედით ჰუმანიზმზე. რომანის მთავარი გმირი ბაჩანა რამიშვილი, როგორც ვიმეთ ალვიშნეთ, ალმოაჩენს მარადისობის მადალზნეობრივ კანონს, რომელიც უარყოფს ყოველისმომტევებლობას, ბოროტებასთან კომპრომისს და თანაარსებობას. თუ მანამდე ნ. დუმბაძის გმირები გვერდს უქცევდნენ და თვალს არიდებდნენ ბოროტებას, ახლა ისინი, სიკეთის ძიებასთან ერთად, დაუნდობლად ებრძვიან მას. რომანის ყველა ეპიზოდი სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას ემსახურება. მწერლის სამოქმედო პროგრამაა ფაუსტური ჭეშმარიტება: „სიცოცხლისა და თავისუფლების ღირსია მხოლოდ ის, ვინც ყოველდღიურად იბრძვის მის მოსაპოვებლად".

ბაჩანა რამიშვილმა, თეიმურაზ ბარამიძისაგან განსხვავებით, კარგად იცის, რომ ბოროტებას მიტევება კი არა, ამოძირკვა უნდა. მისი მოთმენა და მშვიდად ცქერა მხოლოდ ხელოვნური გულის პატრონს თუ შეუძლია, სიყვარულით სავსე ადამიანური გულისათვის კი ამის ატანა შეუძლებელია. ამიტომაც ეუბნება პროფესორი ბაჩანას: „– თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ“... (57, 716).

ეს რომ სიმართლეა, ამის მაგალითები რომანში მრავლადაა.

ბაჩანა რამიშვილს ორი საყვარელი, ორი ღმერთი პყავდა ამქვეყნად – ბაბუა ლომკაცა და ყვერმის გამგე გლახუნა ქერქაძე. ეს უკანასკნელი დეპორტირმა და ტყეში ყაჩაღად გავარდნილმა მანუჩარა კიკვაძემ მოუკლა. ორივე მათგანი სპეტაკი სულის ადამიანები იყვნენ. მათგან ისწავლა ბაჩანამ სიყვარულიცა და სიძულვილიც – მოყვასის სიყვარული და მტრის სიძულვილი. ბაჩანას სიყვარული და თანადგომა, სხვათა ჭირისა და ლხინის თანაზიარობა ჩვეულებრივ მოთხოვნილებად აქცეს გადაქცეული, მაგრამ მას ხელი ოდნავადაც არ აკანკალებია, როცა იგი სიცოცხლეს ასალმებდა მანუჩარა კიკვაძეს, უდანაშაულო კაცის მკვლელსა და სამშობლოს მოღალატეს.

სიკეთისა და სიყვარულის სახელით ბაჩანას გული კიდევ მრავალჯერ ამხელდღება. როცა იგი ინფარქტგადატანილი საავადმყოფოში წევს, ღამის ქოთანს დაამსხვრევს თავზე ნუგზარ დარახველიძეს, ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკის თამბაქოს დამზადების უფროსს, მილიონობით მანეთს რომ იჯიბავს და ერთადერთ ღმერთად ფული გაუხდია. ბაჩანას ასეთ საქციელს მამა იორამიც იწონებს.

ასეთივე ეერაგი და გაიძვერაა სანდრო მაღლაფერიძე, ბეწვეულის საწარმოო კომბინატის მმართველი, შემდგომში ერთ-ერთი რესტორნის დირექტორი. მწერალი ღრმად გვახედებს ამ სოციალური „ვირთხების“ ბილწ სულში და მათ მიმართ სიძულვილის გრძნობას გვიღვივებს.

ნოდარ დუმბაძის პუმანიზმი ფართო და მრავალმხრივია.

იგი თავის თავში აერთიანებს არა მარტო ადამიანების, არამედ ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარულს. გავიხსენოთ ავთო ჯაფარიძის საქციელი რომანში „ნუ გეშინია, დედა!“ იგი დათვის ბელს, რომელსაც სამხედრო ნაწილში ხრდიდნენ, გამოართმევს უფროსს, თითქოსდა ზოოპარკში ჩასაბარებლად. და ტყეში უშვებს.

ცხოველებისადმი ასეთივე სიბრალულია გამოხატული მოთხრობებში „კუკურა“, „ძაღლი“, „კორიდა“ და სხვ.

კორიდა სხვათათვის თავის გასარიყობი ადგილი, ცირკი და სანახაობაა, ქართველი კაცისათვის კი იგი შემაძრწუნებელი, თავზარდამცემი ტრაგედიაა. ასე წარმოგვიდგენს ნოდარ დუმბაძე მას მოთხრობაში „კორიდა“.

მოთხრობაში „კუკურა“ სიღარიბისგან გატანჯული ბიჭი გადაიფიქრებს ძროხის გაყიდვას, როცა გაიგებს, რომ მყიდველი მის დაკვლას აპირებს, „ძაღლის“ მთავარი მოქმედი პირი გოგიტა კი ნაცვლად იმისა, რომ მოკლას ძაღლი, როგორც ცოფიანი, მას არ ჰკლავს და უშვებს.

ძაღლის დიდი სიყვარულია გამოხატული ასევე რომანში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. კურდღელზე ნადირობისას ილარიონს საკუთარი ძაღლი შემოაკვდება. ზურიკელა და ილარიონი „ტრაგიკულად დაღუპულ“ მურადას ჭადრის ძირში მარხავენ და ქვლეხსაც უხდიან. პურის ჭამის დროს მურადას საფლავს სიმონა მუწისქვილის ძაღლი – მურადას დედა მიუახლოვდება და ცოტა მოშორებით ჩამოჯდება. ასე იქცევა კიდევ ოთხი ძაღლი. „ – მატრონას თაეგასიებული ძაღლი რატომ არ მოეცა ნეტავი? – იკითხა ილარიონმა.

– ემდუროდა მურადას, შარშან ვაჩხუბე და დაკბინა მურადამ, – ამბობს ზურიკელა.

– ასეთ დროს მდურება ვინ გაიგონა, ფუი, შეეარცხვინე მაგის ძაღლობა, კაცი არ ყოფილა მაგი და გული არ ჰქონია! – თქვა ილარიონმა და გადააფურთხა“ (56, 58).

კარგი იქნებოდა, ძაღლის მისამართით გამოთქმულ ამ საყვედურს ადამიანებიც რომ არ იმსახურებდნენ!

როგორც დავინახეთ, ნოდარ დუმბაძე მხოლოდ იმაზე

წერს, რაც საკუთარი თვალით უნახავს და განუცდია, რომლის უშუალო მოწმე და მონაწილეც თავად ყოფილა, მაგრამ ყველაფერს ნატურალისტურად კი არ გვიხატავს, არამედ წერს ისე, როგორც ეს სინამდვილეში უნდა იყოს. თავისი პერსონაჟების პროტოტიპებს იგი თვითონ კი არ ქმნიდა, არამედ ცხოვრების წიაღში პოულობდა, მაგრამ მათ ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა და ისე უბრუნებდა მკითხველს. თვით რეალური ცხოვრებიდან არიან აღებული ილიკო ნიგოგიძე და ილარიონ შეყარდნაძე, აკაკი დეკლარიანი და ტიგრან გულოიანი, ჭიჭიკო გოგოლი და სხვები, ხოლო ზურიკელა ვაშალომიძე, ხოსიტა მამალაძე, თეიმურაზ ბარამიძე, აეთო ჯაველი, ზაზა ნაკაშიძე და ბაჩანა რამიშვილი თავად მწერლის პროტოტიპები არიან. მათთვის არაფერი სოგადადამიანური უცხო არ არის, მაგრამ ისინი, ამავე დროს, არიან ქართველები, მრავალგვარი ისეთი ნიშნებით, რაც მხოლოდ ჭეშმარიტი ქართველისათვისაა დამახასიათებელი. რეალისტი მწერალი ყველას და ყველაფერს სიკეთის თვალით ხომავდა და აფასებდა. ადამიანობის, კაცობის სხვა საზომი მისთვის არ არსებობდა. ასეთი იყო სინამდვილისადმი დამოკიდებულების მისეული პრინციპი. ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ და მოქმედებენ.

ნოდარ დუმბაძის აზრით, ადამიანი მაშინ იქცა გარემომცველ სამყაროში ყველაზე ძვირფას კაპიტალად, უმაღლეს ღირებულებად ყველა სხვა ღირებულებათა შორის, როცა გაუჩნდა სინდისი, რაც ზნეობრივი აღსრდის სფეროში განიხილება. ზნეობრივ აღსრდაში კი ისე არაფერი ფასობს, როგორც სინდისი, რომელსაც ნოდარ დუმბაძე „საკუთარ შინაგან დისციპლინას“, შუბლის, ნამუსის ძარღვს უწოდებს და მოითხოვს, რომ ბაჭვს ნორჩობაშივე გაეუმაგროთ „შუბლის ძარღვი“, თორემ „კაცს ის ძარღვი თუ გაუწყდა, წასულია მისი საქმე“.

„ცელქი ბიჭი ვიყავი, – წერს ნოდარ დუმბაძე. – ერთხელ თხილი მოვიპარე. მეკვლე გამომეკიდა. ჩიტივით გაეფრინდი, რას დამეწეოდა მოხუცი მეკვლე. მან სოფლის

თაქაცთან მიჩიელა. თავმჯდომარემ დამიბარა და დამტუქსა. ვიფიცებოდი, მე არ ვყოფილვარ-მეთქი. თავმჯდომარემ დამიჯერა, ქიშვარდის შვილიშვილი ტყუილს არ იტყვისო.

მოხუცმა მეეელემ მაინც მომიხელთა ცალკე. იცი, ბაბუ, რას გეტყვიო? მითხრა. ადამიანს შუბლის ძარღვი აქვს, ამ ძარღვს ნამუსის ძარღვს ეძახიან. კაცს ის ძარღვი თუ გაუწყდა, წასულია მისი საქმე. გახსოვდეს ჩემი, ბაბუ, ეცადე, ის ძარღვი არ გაგიწყდეს.

შემრცხვა ჩემი საქციელისა. დღემდი არ დამვიწყებია მოხუცი მეეელის სიტყვები. მთელი ცხოვრება შუბლის ძარღვს ეუფრთხილდებოდი... ჩვენს ბავშვებსაც იმ ბრძენი კაცის ენით ვეტყვი, გაუფრთხილდნენ ნამუსის ძარღვს" (34).

აღმზრდელობით მუშაობაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ ბავშვი სიკეთეს სწადიოდეს არა იძულებით, უფროსების მითითებით, არამედ საკუთარი ინიციატივით, შინაგანი მოთხოვნილებით, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ჯილდოსა და ქება-დიდებას, რადგან „თუ სიკეთეს მიზეზი აქვს, ის უკვე აღარ არის სიკეთე, თუ ამ სიკეთეს აქვს შედეგი – ჯილდო, ესეც აღარ არის სიკეთე" (ლ. ტოლსტოი).

აქედან გამომდინარე, შეგნებული ადამიანი ყველაფერს უნდა აკეთებდეს საკუთარი, შინაგანი დისციპლინით, ყოველგვარი გამორჩენის გარეშე, სინდისი არ უნდა აძლევდეს მას სხვაგვარად მოქცევის საშუალებას. „აი, მაგალითად, – წერს ნ. დუმბაძე, – ნიჭიერ მსახიობს ან მწერალს უყვარს აპლოდისმენტები, პატივი, უხარია, რომ მის შემოქმედებას აფასებენ, მაგრამ ის მარტო წარმატებისათვის როდი „იკლავს თავს" – სინდისი არ აძლევს ნებას უარესად ითამაშოს, უარესად წეროს" (60, 193).

ბავშვთა ზნეობრივი აღზრდა, ნ. დუმბაძის აზრით, უნდა დაიწყოთ პატარაობიდანვე. მათი შეგნებული ცხოვრების დასაწყისიდანვე. მოზარდებს, აღნიშნავს იგი, სკოლამდელ ასაკში უნდა ვასწავლოთ – „რა არის ცუდი და რა არის კარგი, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, რა არის დადებითი და რა არის უარყოფითი. აქ გამოცდილებასთან

ერთად აღმსრდელს უდიდესი წინდახედულება, სიფრთხილე და ტაქტი სჭირდება“ (60, 110). ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კეთილი საქმეები არ გადავაქციოთ „საჩვენებელ ღონისძიებად“, ბავშვი არ ვაქოთ სიკეთისათვის, ადამიანური საქციელისათვის. რომანის „ნუ გეშინია, დედა!“ ერთ-ერთი პერსონაჟი – ვანო კოტინოვი ამბობს: „ერთი კვირის წინ თხუთმეტი თუმანი ვიპოვე. აველე და მილიციას ჩავაბარე, მეორე დღესვე გაზეთში გამწერეს „მისაბაძი მაგალითის“ რუბრიკის ქვეშ. – „მოქალაქე ი. ს. კოტინოვმა ფული იპოვა და მთაურობას ჩააბარაო“, ესე იგი, არ მოიპარაო. გესმის შენ?! ქურდი რომ არ ვარ, ამისათვის მადლობა მითხრეს“, – ეუბნება იგი ავთო ჯაველს (57, 217-218).

ზნეობრივად სრულყოფილმა ადამიანმა, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, წესად უნდა აქციოს და ყოველდღე თავს ჰკითხოს – „აბა მე დღეს ვის რა ვარგეო“. ამ რგებაში კი უკუსარგებლობა გამორიცხული უნდა იყოს. ამასთან, ადამიანი სიკეთეს უნდა სჩადიოდეს ყოველგვარი ზედმეტი ლაპარაკისა და ხმაურის გარეშე, რადგან „სიკეთეს აფიშირება არ უყვარს “ (ნ. დუმბაძე).

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ასევე ***სამშობლოს სიყვარულის*** უპირველეს და უწმინდეს გრძნობას. ერთ-ერთ თავის წერილში, როცა საბავშვო ლიტერატურის დანიშნულებაზე ლაპარაკობს, ნოდარი სვამს კითხვას: „რა გრძნობებს უნდა ეწრდიდეთ ბავშვებში ჩვენ, მათთვის მომუშავე მწერლები? პირველ ყოელისა – პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარულის გრძნობას“ (60,197).

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში მოქმედება ხდება დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან წლებში, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ გამოიცადა და გამოიწრთო სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ქართველი კაცის ეროვნული სიამაყე.

წერილში „სამშობლო“ ნ. დუმბაძე ქუჩაში გამვლელებს ეკითხება, რა არის სამშობლო, მაგრამ სწორ პასუხს ვერავინ აძლევს. „ – იქნებ შენ მაინც მითხრა, რა არის სამშობლო, – ვეკითხები ჩემს მარადიულ ბებიას, – წერს იგი.

– მაგი რომ ვიცოდე, მაშინ რა მიჭირს, ნერა...სამშობლო ალბათ სიცოცხლეა და ამიტომ მიდის ყველა კაცი ამ ქვეყნიდან სიცოცხლით გაუმაძღარი, – მიპასუხებს იგი" (60,167).

თავად მწერლის აზრით, „...სამშობლო დაკით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი" არის, დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახია", პაატა სააკაძეა, ქეთევანის დაშანთული მკერდი, თამარის გვირგვინი და „ვეფხისტყაოსანია"...

იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია – ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს...

კიდევ რა? – სოფელი, სადაც ცოლს ვერ შეირთავ, რადგან ყველა გოგო შენი დობილია და საპატარძლოს საპოვნელად იძულებული ხარ, სხვა სოფელში წახვიდე"... (60, 165, 167).

ეძებს დასმულ კითხვაზე სწორ პასუხს ნ. დუმბაძე და ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ „სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია".

სამშობლოს სიყვარულს კაცი ყველაზე მეტად მაშინ იგრძნობს, როცა იგი სხვა ქვეყანაში მოხვდება. „ვიღაც-ვიღაცებს დღეს სამარცხვინოდ მიაჩნიათ, – აღნიშნავს ნ. დუმბაძე, – როდესაც მოგზაური წერს – მოგზურობის პირველსავე თუ მეორე დღეს პარიზში თბილისი გამახსენდა და ტირილი მომინდაო, მაგრამ ფაქტს ვერსად ვერ გაექცევი: რაც არ უნდა იხტუნო, სამშობლო მაინც სამშობლოა და ისეთ ადგილას „გაგეჩხირება" ხოლმე ბურთივით ყელში, სულ რომ არ ელი" (60, 8).

ამავე აზრისაა ვასილ სუხომლინსკიც. თავის წიგნში „წერილები ვაჟიშვილს" (ბათუმი, 1996, გვ. 50) იგი წერს: „საზღვარგარეთ პირველად როდი ვარ. დღემდე რამდენიმე ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ყოველთვის, როცა ბედი მშობლიური მიწიდან შორს გადამისვრის, ჩემში ახალი ძალით იფეთქებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა".

ნ. დუმბაძეს მიაჩნია, რომ „სამშობლოს სიყვარული... გენების საშუალებით გადაეცემა შთამომავლობას". შეიძლე-

ბა. ეს ა'ხრი მთლად 'სუსტი არ იყოს, მაგრამ ქართველი კაცისათვის სამშობლო რომ რაღაც განსაკუთრებულია, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ეს მან არაერთხელ დაამტკიცა ურიცხვი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, ნოდარ დუმბაძის ა'ხრით, „სამშობლოს ენის ტლიკინი არ უყვარს, სამშობლოს საქმე უყვარს". ამიტომ მისი სიყვარული თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გამოხატოს არა ლიტონი სიტყვებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საქმით, საქმით და მხოლოდ საქმით. ნამდვილი პატრიოტი მხოლოდ ის არის, ვინც ყამირს ტეხს, ნერგებს ახარებს, ფოლადს ადნობს, ხნავს და თესავს, ქმნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს. სწორედ ეს აქვს მხედველობაში კოლმეურნეობის თაყმჯდომარეს გერეასი ფაცაციას („მარადისობის კანონი"), როცა ბაჩანა რამიშვილს ეუბნება:

„ – ქვეყნის სიყვარულს საყველპურო დ და საარშიყო ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მივრალს რომ მოგეწატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ (57, 504). ქვეყანას კი ეშმაკები მაშინ ეპატრონებიან, როცა მას პატრონი არა ჰყავს, ხოლო ქვეყნის პატრონი ახალგაზრდობაა, რომელმაც ესთაფეტა უფროსი თაობისგან უნდა მიიღოს და ეს ქვეყანა ახალ სიმაღლე'ზე აიყვანოს.

სამშობლოს სიყვარულს ნოდარ დუმბაძე მჭიდროდ უკავშირებს ***ხალხთა შორის მეგობრობის*** ნათელ გრძნობას. მას, როგორც ჭეშმარიტ ქართველს, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი ორგანულ კავშირში აქვს წარმოდგენილი.

ნოდარ დუმბაძემ მოგვცა ინტერნაციონალიზმის თავისებური გაგება. „ხანდახან უნდა დაგავიწყდეს, რომ ეს კაცი ქურთია, სომეხია, აზერბაიჯანელია, ებრაელია, რუსია, აფხაზია, ოსი თუ მესოპოტამიელი, – წერს იგი, – ისე უნდა დაგავიწყდეს, როგორც სოსოია მამალაძეს დაავიწყდა ხატიას სიბრმავე და შარელის გახდის დროს უთხრა: გოგოვ,

იქით გაიხედეო. მთავარია შინაგანად გახსოვდეს, რომ შენ კი ხარ ქართველი, მაგრამ ის მეორე კაცი ძმაა შენი, არანაკლებ ამაყობს საკუთარი ეროვნებით და ადვილი შესაძლებელია, შენზე მეტი ღირსებაც ჰქონდეს. ასე მესმის მე ინტარნაციონალიზმი".

წერილში „გული" ნ. დუმბაძე დიდი სითბოთი და სიყვარულით ლაპარაკობს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებზე, რომლებმაც არ დაზოგეს დრო და საკუთარი გულის სითბო უნეენეს მას. „მკვდარი მიმიტანეს სოხუმის მეორე საავადმყოფოში, – წერს იგი, – თვალს ვახელ: ებრაელი, ბერძენი, სომეხი, რუსი, აფხაზი, ქართველი – ყველა ერთად მადგას თავზე. არ მეგონა, სიკვდილი თუ ასეთი ინტერნაციონალისტი იყო" (60, 131).

ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ნოდარ დუმბაძის ყველა ნაწარმოები, მაგრამ ამ მხრივ მაინც ყველაზე მეტად გამოირჩევა მისი რომანები: „მე ვხედავ მზეს", „ნუ გეშინია, დედა!", „თეთრი ბაირაღები", მოთხრობები: „ჰყლლადოს", „ბოშები", „ასტვაჲ! ინჩუ ჰამარ!" და სხვები. გავიხსენოთ, როგორი მტკიცე მეგობრობა აკავშირებთ ავთო ჯაყელსა და ქურთ ბიჭს აბოს („ნუ გეშინია, დედა!"), ანდა, როგორ შეებნენ და „დაჭამეს" ერთმანეთი ქართველობისათვის ებრაელმა, უკრაინელმა და სომეხმა („თეთრი ბაირაღები").

ინტერნაციონალიზმის აღზრდის საქმეში მწერალმა, ჩვენი აზრით, ყველაზე ღირებული სიტყვა მაინც „მე ვხედავ მზეში" თქვა დაჭრილი რუსი ჯარისკაცის, *ანატოლი რომანოვის* სახით. გავიხსენოთ როგორ ებრძოდა ანატოლი სიკვდილს და როგორ გადაარჩინეს იგი გურულმა გლეხებმა, როგორ კვებავდნენ მას ხატია და სოსოია ნაპარავი თხის რძით.

არც ანატოლი დარჩენილა მათ ვ'ინაშე ვალში. მან ლუკაია ფოცხიშვილსა და მის მეუღლეს, ვარვარას მათი შვილის – კუკურას სამგლოვიარო განცხადება ჩამოახსნევინა და დააწვევინა იმ მოტივით, რომ იგიც შეიძლება მასავით ცოცხალი იყოს და მშობლებმა არ იცოდნენ მისი ასავალ-დასავალი.

ამ სიტყვებმა თითქოს შვილი გააცოცხლეს ლუკაია ფოცხიშვილს. მან ხელების კანკალით ჩამოხსნა აბრა და დაწვა. შემდეგ მას სხვებმაც მიბაძეს. „ვინ იცის, იქნებ ცოცხალია, იქნებ შეცდნენ დეპეშის გამომგზავნი?“ – ფიქრობდა ყველა და ასე ფიქრობს დღესაც.

ამავე თემაზეა დაწერილი მოთხრობა „ჟელლადოს“. ადამიანის სიყვარულთან ერთად, მასში ყურადღებაა გამახვილებული ქართული მიწის სიყვარულზე. ბერძენი ბიჭი იანგული ვერ ეგუება იმ აზრს, რომ საქართველო უნდა მიატოვოს სამუდამოდ. არადა, ოჯახი სამშობლოში, საბერძნეთში, ბრუნდება, მაგრამ იანგულის სამშობლო საქართველოა, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა. ამ აზრმა დაღუპა იგი. ბერძნების გემის წასვლიდან მესამე დღეს მისი გვამი ზღვამ გამორიყა. როგორც ჩანს, ბიჭმა საქართველოში დარჩენა გადაწყვიტა, გემიდან გადმოხტა და ცურვით სანაპირომდე გამოღწევა სცადა, მაგრამ სურვილი ვერ აისრულა.

ნოდარ დუმბაძე ინტერნაციონალიზმზე ყურადღებას ამახვილებს არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ თავის მრავალრიცხოვან წერილებსა და გამოსვლებშიც. თბილისში „დედაენის“ ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში იგი მოსწავლეებს ასე არიგებს: „...ბავშვებო, არავინ არ დაგიჯერებთ ამ ფიცს და სიყვარულს, თუ ერთნაირი მოკრძალებით, სათნოებითა და სიყვარულით არ მოეპყარით სხვა ერებსა და სხვათა ენებს, რადგან მზის ქვეშ არ არსებობს ხალხი და ენა, რომელიც ღირსი არ იყოს სხვათაგან მოკრძალებისა და პატივისცემისა“ (60, 227).

როცა აფხაზთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე ლაპარაკობს, ნ. დუმბაძე წერს: „მე სულ მუდამ მახსოვს აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელისა და სხვათა შემდეგ კაცი როგორი სიფრთხილით უნდა შეეხოს აფხაზთა გულის სიმებს. ეს ჩემს აფხაზ ძმებსაც უნდა ახსოვდეთ, ქართველთა გულის სიმებს რომ შეეხებიან ხოლმე“ (60,133). ამიტომაც ამბობს მწერალი

რომან'ში „მარადისობის კანონი": „...გ'ულს მოყვრება და სულის შებერვა უნდა, ცეცხლ'ზე შემდგარ რძესავით"(57, 465).

ნოდარ დუმბაძის ეს შეგონება რომ გაეთვალისწინებინათ როგორც აფხა'ზებს, ისე ქართველებს, ალბათ არ მოხდებოდა ის ძმათამკვლელი სისხლისღვრა, რამაც მთელი მსოფლიო შეძრა.

ნ. დუმბაძე ***ქალ-ვაჟთა სიყვარულის*** საკითხსაც არ ტოვებს უყურადღებოდ, რადგან იგი ღრმადაა დარწმუნებული, „...თ'უ რამ საგანძური და ჯილდო მოუცია ღმერთს ადამიანისათვის, სიყვარულის ნიჭია. ცოლვაა ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან" (58, 59-60).

ხშირად დაობენ იმის შესახებ, თ'უ რომელი კლასიდან შეიძლება ველაპარაკოთ მოსწავლეებს სიყვარულ'ზე. ნ. დუმბაძის აზრით, „სიყვარულ'ზე ყველა კლას'ში შეიძლება ლაპარაკი, თ'უკი მას სწ'ორ მიმართულებას მივცემთ.... ნ'უ გეშინიათ, „რომეო და ჯ'ულიეტა" არ დაგვიდ'უპავს შვილებს, პირიქით, — ეს 14 წლის გოგონასი და 16 წლის ყმაწვილის ღვთაებრივი სიყვარულის ამსახველი ნაწარმოები რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მომდევნო ეპოქების მოზარდ თაობათა ზნეობრივი საქციელი" (60,74).

ამის ჭეშმარიტი მაგალითია ზ'ურიკელასა და მერის, სოსოიასა და ხატიას, ბაჩანასა და მარიამის, კუკარაჩასა და ინგას უბიწო სიყვარული. მათ უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ. ამიტომაც ისინი მუდამ ერთად არიან.

ჭეშმარიტი პატრიოტის, მამული'შვილის აღზრდაში ნოდარ დუმბაძე დიდ როლს ანიჭებდა მ'შობლიურ ენას. ***დედაენის როლისა და დანიშნულების საკითხში*** იგი სავსებით იზიარებს იაკობის აზრს იმის შესახებ, რომ „ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა-ხდაა". ამიტომ, მისი აზრით, ყოველმა კაცმა განათლება მ'შობლიურ ენაზე უნდა მიიღოს. „...მე გულ'წრფელად მეცოდება და უბედ'ურად მიმაჩნია ის კაცი, — წერს ნ. დუმბაძე, — რომელსაც ქართულად არ წაუკითხავს „ვეფხისტყაოსანი", ისევე, როგორც თქვენ, და მეც, რა თქმა უნდა, გეეცოდება და უბედურად მიგეაჩ-

ნია ის კაცი, რომელსაც პუშკინი არ წაუკითხავს რუსულად" (60, 50).

მშობლიური ენის შესწავლის დროს მოსწავლეები იცნობიან ენის ისტორიასაც. ქართველი ბავშვები კი იგებენ, რომ მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობას შორის ერთ-ერთი უძველესი და ორიგინალურია ქართული დამწერლობა, რომელსაც მესუთე საუკუნიდან დღემდე შეიქმნა არა ერთი და ორი მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოები. „განსვენებულმა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა ერთხელ მითხრა სრულიად ახალგაზრდას, – წერს ნ. დუმბაძე: – ძალიან ბევრი უცხო ენა უნდა შეისწავლო, ბიძიკო, ქართული ენის ფასი და სიღიადე რომ გაიგოო" (60, 120).

ნათქვამის საილუსტრაციოდ ნოდარ დუმბაძე იშველიებს სახელგანთქმული ენათმეცნიერისა და პოლიგლოტის, აკადემიკოს ნ ი კ ო მ ა რ ი ს სიტყვებს: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არა თუ ქართულმა საკვებით ვერ გამოთქვას, არამედ მსატერულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა" (60, 120-121).

მაგრამ, ნოდარ დუმბაძის სამართლიანი მტკიცებით, ენა, რაც უნდა კარგი და მდიდარი იყოს, თუ მას პატრონი არ გამოუჩნდა, შეიძლება მოკვდეს და გაქრეს.

ეს კარგად იცოდნენ „თერგდალეულებმა" და ამიტომაც დაიცვეს მათ ქართული ენა გადაშენებისაგან.

ენის შენახვასა და მის განვითარებაში ნ. დუმბაძე უდიდეს როლს ანიჭებს მშობელ დედას. „ამ რამდენიმე წლის წინათ თურქეთში გახლდით, – წერს იგი. – იქ ერთ გათურქებულ ქართველს ვუსაყვედურე – ქართული რატომ არ იცი-მეთქი.

– ნენეი მომიკვდა და იმიტომ, – ასე მიპასუხა.

მე ვუსურვებ ყველა ერის კაცს, ყველას, ყველას, მუდამ ქალაქს ცოცხალი ენის შემნახველი, ერის შემნახველი, კა-

ცობის შემნახველი დედა“ (60, 116).

ასეთია ნოდარ დუმბაძის შეხედულება დედაენის როლისა და დანიშნულების შესახებ.

ნოდარ დუმბაძეს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ასევე *შრომითი აღზრდის პრობლემები.* სტატიაში „გვესმას მშობლისა“ იგი, სხვა საკითხებთან ერთად, მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის საკითხსაც ეხება და დასძენს: „დიდებულია წინაპართა აშენებულით ტკბობა, მაგრამ ბედნიერება არა აშენებულით ტკბობაშია, არამედ შენებაშიო, – ასე თქვა, თუ გახსოვთ, „ალავერდობაში“ გურამ რჩეულიშვილმა და ეს ნიჭიერი კაცის სწორი სიტყვებია“ (60, 106). დიდმა მწერალმა კარგად იცის, რომ „სახელმწიფოს გამრჯე, გონიერი, ღონიერი, ზრდილი, მწიგნობარი და ერთგული ახალგაზრდობა ესაჭიროება“. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის წინსვლა-განვითარებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე *გურჯაანი ფაცაცია* („მარადისობის კანონი“), ასე არიგებს ბაჩანა რამიშვილს: „ – მილიონობით კაცი რომ წვება ახლა ტყეიით გულგაგლეჯილი (ომის დროა – ნ. ბ.), თან არაფერი არ მიაქვთ, ყველაფერს შენ და შენს ტოლ ბიჭებს უტოვებენ. მიხედეა უნდა ამ ცრემლით ჩამქრალ კერიებს, ობლად დარჩენილ ბავშვებს, ქვრივებს და ოხრებს, გაუმარგლავ ყანას და უპატრონოდ დარჩენილ მიწას... შენ და შენისთანა ბიჭებმა უნდა ააღორძინონ ყველაფერი“ (57,503-504). ამასთან, მოზარდებს უნდა შევაგნებინოთ, რომ „ჩვენ მაგიერად არავინ არაფერს არ გააკეთებს“ და თუ გააკეთებს, ის ჩვენ არ გამოგვადგება. ამიტომ „ჩვენი საქმე ჩვენ უნდა ვაკეთოთ... პატიოსანი შრომა უნდა გახდეს ჩვენი კერპი და ღმერთი“ (60, 205).

დიდი ფრანგი მწერლისა და პედაგოგის ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, ბავშვი თავიდანვე უნდა მივაჩვიოთ იმ აზრს, რომ მან საკუთარი შრომით უნდა იცხოვროს და არ იყოს დამოკიდებული სხვაზე, რამეთუ „ვინც... ჭამს იმას, რაც მას არ გამოუმუშავებია, ის ქურდია“ (ჟან-ჟაკ რუსო). ნოდარ დუმ-

ბაძის ა'სრით კი, „არაფერი არასდროს ისე სამარცხვინოდ და თავისმომჭრელად არ ითვლებოდა საქართველოში, როგორც უპატიოსნება და ქურდობა. მარტო ის რად ღირს, რომ ქურდს მეგრულად მახინჯი ქვია" (60, 20[illegible],.

აქედან გამომდინარე, მშობლების უპირველესი ვალია, პატარაობიდანვე შეაყვარონ ბავშვებს შრომა და მშრომელი ადამიანები, თორემ, ვინც სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრობს, ის ვერც შრომას შეიყვარებს და არც მშრომელ ადამიანს დააფასებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა როდია ისეთი მშობელი, წერს ნოდარ დუმბაძე, რომელსაც სურს, რომ სხვათა შვილებმა აშენონ სახლები, შიგ კი მისმა შვილებმა იცხოვრონ, სხვების შვილებმა მოუაროთ ყანა-ბაღჩას, მისი შვილები კი მხართეძოზე იყვნენ წამოწოლილი. ყოველივე ეს დიდ ზიანს აყენებს თავად მასაც და მის შვილებსაც.

ნოდარ დუმბაძე თავის მადლიან კალამს ***ბუნების დაცვისათვისაც*** იყენებდა. იგი, როგორც ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრი, არაერთხელ შეხებია ამ პრობლემას როგორც სიტყვით, ისე საქმით. სტატიაში „ბუნების კარი" დიდი მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „გაწყდა ნადირი საქართველოს ტყეებში, აღარ არის და თუ არის, ნახევარი მილიონი სხვადასხვა ფირმისა და ყალიბის თოფის ლულა აქვს მიშვერილი. მონკავშირებს ზუსტად აქვთ შედგენილი გრაფიკი, რომელ თვეს რომელი ნადირის და ფრინველის მოკვლა შეიძლება და რომელ თვეს არა. თითქოს საქართველოში იმდენი ნადირი იყოს, რომ ხანდახან თუ არ გამოემეხრეთ, შეგეჭამს და ეგ არის" (60,84). ხოხობი, კაკაბი, როჭო, ტყის ქათამი, იხვი, წერო და გედი სანთლით საძებარი გაგვიხდა საქართველოში, აღნიშნავს მწერალი, ახლა მწყერი შემოგვრჩა და იმასაც სექტემბრის თვეში, ზუსტად გადაფრენის წინ, უმოწყალოდ ეულეტთ, „თითქოს მათი გადაფრენა ჩვენი საზრუნავი იყოს". ასე თუ გაგრძელდა, დასძენს იგი, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის ზოოლოგიის სწავლება „მუზეუმში გამოფენილი, ბრიყვულად თვალებდაჭყეტილი ფიტულებით მოგვიხდება".

ნოდარ დუმბაძის აზრით, ნაკრძალად უნდა გამოვაცხა-

ლოთ არა რომელიმე ტყე, რაიონი, ოლქი ან ხეობა, არამედ მთელი საქართველო და ნადირობისას, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის მსგავსად, უნდა დაეკმაყოფილდეთ მხოლოდ ფოტოაპარატით „მოკლული“ ცხოველებითა და ფრინველებით, რომელთაგანაც „არც მწვადი შეიწვის და არც ჩახოხბილი გაკეთდება“.

ნოდარ დუმბაძე მოზარდი თაობის *ესთეტიკურ აღზრდასაც* არ იკიწყებს. ამ საქმეში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელოვნებასა და ლიტერატურას, თუმცა სიტყვა „ესთეტიკას“ არსად არ ხმარობს და ზოგადად ლაპარაკობს ლიტერატურისა და ხელოვნების როლზე ახალგაზრდობის სულიერ-ზნეობრივ აღზრდაში. მისი აზრით, „ადამიანი ყველაფერს შეიძლება შეეგუოს – უხარისხო ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, პურს; უფრო მეტიც, ადამიანმა შეიძლება გაუძლოს შიმშილს, სიშიშვლეს, სიცივეს, სილატაკეს, მაგრამ სულიერ სილატაკეს ჩვენი ხალხი ვერასდროს ვერ შეეგუება“ (60, 221). მწერალი აქ ასახელებს იმ კინოფილმებსა და ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა ნამუშევრებს, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს და დღესაც ასრულებენ მოზარდი თაობის სულიერ აღზრდაში. ესენია კინოფილმები – „პუტიოვკა ვ ჟიზნ“, „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, „წითელი ძახველი“, მოქანდაკეების ნამუშევრები – მერაბ ბერძენიშვილის „გიორგი სააკაძე“ და „დაეით აღმაშენებელი“, ელგუჯა ამაშუკელის „ვახტანგ გორგასალი“ და „ქართველის დედა“, ზურაბ ნიჟარაძის საოცარი პორტრეტები, ვახტანგ ონიანის „ლილეო“ და თენგიზ მირზაშვილის „ფშაური მოტივები“. დიდი მწერლის აზრით, „კაცობრიობა ალბათ დედით ან მამით ობოლ ბავშვს დაემსგავსებოდა, ქვეყნად მხატერობა რომ არ ყოფილიყო“ (60, 114).

მოსწავლეებში ხელოვნების სიყვარულის გაღვივების მიზნით ნ. დუმბაძე მოითხოვს, რომ სკოლის დერეფნებში გენიოსი მხატვრების მიერ შექმნილი ნამუშევრების რეპროდუქციები იყოს გამოფენილი და გაკეთილებს შორის შესვენებაზე მოცარტის, ბეთჰოვენის, ბახის, შოპენის და სხვათა ნაწარმოებების ჰანგები ილერებოდეს, „ჯერის, ქაშუე-

თის, სკეტიცხოველის, ჟარძიის, ალავერდისა და სხვა საოცრებათა დანახვა ჟრუანტელს უნდა გეგერიდეს" (60, 105).

ნოდარ დუმბაძეს არ შეიძლება თავისი მაღლიანი სიტყვა არ ეთქვა ***მასწავლებლის შესახებ***. მისი აზრით, „მასწავლებლობა უდიდესი საიდუმლოს გამხელას უნდა ჰგავდეს. მოძღვარი შეგირდისათვის მისანი უნდა იყოს, მისანი, რომელიც მას ბუნების საიდუმლოს ანდობს" (60, 173). ჭეშმარიტ მასწავლებლად ნ. დუმბაძეს მიაჩნდა ის, ვისაც შესწევს უნარი, სხვას გადასცეს ცოდნა და ისე შეაყვაროს საგანი, „რომ განცვიფრებულმა იფიქროს, ეს რომ არ მცოდნოდა, რა მეშველებოდა, ამ ჩემს ცხოვრებას რა ფასი ექნებოდაო" (60, 173).

მაგრამ მასწავლებლის პროფესიის დახასიათებისას ნ. დუმბაძე მარტო ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებით როდი კმაყოფილდება. მისი აზრით, მასწავლებელი „როგორც მინიმუმი ოთხ საიდუმლოს მაინც უნდა ფლობდეს:

1. უსაზღვროდ უყვარდეს ბავშვები.

2. უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლის.

3. ჰქონდეს უნარი — ეს სიყვარული სხვასაც შეჰყაროს, როგორც სენი უკურნებელი.

4. იყოს უაღრესად თანამედროვე, ჰქონდეს ცოდნა-მადლის ანუ სამართლის გარჩევისა და მოთმინების დიდი უნარი.

სხვანაირად ყველა მცდელობა იმისა, რომ იყო მოძღვარი, ფუჭია, ყალბი და უშედეგო" (60, 173-174).

როგორც დავინახეთ, ნოდარ დუმბაძე მასწავლებლის დამახასიათებელ თვისებებს შორის პირველ ადგილზე ბავშვების სიყვარულს აყენებს. სამხედრო მასწავლებელი („მე ვხედავ მზეს") თავის სიცოცხლეში პირველად შევიდა კლასში ჟურნალით ხელში და მოსწავლეებმა იგი აიგდეს, მაგრამ, როცა ამ უკანასკნელმა უსინათლო გოგონას, ხატიას მიმართ თავისი გულის სითბო, სიყვარული გამოხატა და მომავლის იმედი ჩაუსახა, რომ სინათლე აუცილებლად დაუბრუნდებოდა, კლასში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. ამ სცენის შემდეგ სამხედრო მასწავლებელი, რომელსაც რამ-

დენიმე წუთის წინ დასცინოდნენ, აბუსად იგდებდნენ და ყოველ სიტყვას უქილიკებდნენ, მოსწაფლეთათვის საყვარელ მასწაფლებლად იქცა.

„ხარი დაირეკა, – ამბობს სოსოია მამალაძე. – მასწაფლებელი ადგა და უხმოდ გაეიდა კლასიდან. ჩვენც არ გაჟრიელვართ. მხოლოდ მაშინ ამოვიღეთ ხმა, როდესაც ხარი დაირეკა, ქართულის მასწაფლებელი შემოვიდა და სიის ამოკითხვა დაიწყო.

– რამ დაგამუნჯათ, ბავშვებო? – გაუკვირდა მამიდანიმს, ასეთი სიწყნარე რომ დახვდა.

– ახალი მასწაფლებელი გვყავდა სამხედროში, – უთხრა ხატიამ.

– რაო, მერე, მოგეწონათ?

– ნეტავ ყველა მასეთები იყოთ, – ვუთხარი მამიდას.

იმ დღეს ქართულის გაკვეთილი უკუღმა ჩატარდა, ჩვენ ველაპარაკობდით და მასწაფლებელი კურს გვიგდებდა“ (56, 244-245).

ისტორიის მასწაფლებელი, აღნიშნავს ნ. დუმბაძე, იმიტომ კი არ მიყვარდა, რომ მან დაგით აღმაშენებლის დაბადების წელი მასწაფლა, არამედ იმიტომ, რომ მაჩვენა ჩახერგილი დიდგორი და ამიხსნა, თუ რატომ ჩაახერგინა დავითმა ეს ადგილი, ქართულის მასწაფლებელმა კი რაფიელ ერისთავის ლექსი მასწაფლა და ამიხსნა, თუ რას ნიშნავდა:

„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

რუსულის მასწაფლებელი იმიტომ კი არ მიყვარდა, რომ რუსული მასწაფლა (გურული გლეხისა არ იყოს, მთელი რუსეთი რუსულად ლაპარაკობს და რაღა მე შევიქმნებოდი ისეთი უნიჭო. რომ ვერ მესწაფლა), არამედ იმიტომ, რომ მან პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკისა და მაიაკოვსკის შემოქმედებას მაზიარა.

ამრიგად, მასწაფლებელი მარტო საგანს კი არ უნდა ასწაფლიდეს ბავშვს, არამედ კიდევაც უნდა აყვარებდეს მას ამ საგანს, ხოლო, რასაც ასწაფლის, უნდა ასწაფლოს შეგნებულად და გააზრებულად, ისე რომ მოსწაფლემ შეძლოს

საგნებსა და მოვლენებში გარკვევა და მის-შედეგობრივი კავშირების დადგენა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ივლის ბავშვი სკოლაში ისე, „როგორც სალოცავ ტაძარში“.

ნოდარ დუმბაძეს საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე ***ბავშვთა ოჯახური აღზრდის შესახებ.***

იუმორისტული მოთხრობების სერიაში „გაუმარჯოს გიგილოს“ იგი გვაცნობს ბავშვის განვითარების მაქნე შედეგებს, ხოლო მეორე სერიის („ემილი ანუ აღზრდის შესახებ“) პირველ მოთხრობაში „როგორ უნდა აღვზარდოთ ბავშვი“ ნ. დუმბაძე ილაშქრებს იმ მშობლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ, შეურჩიონ შვილებს ორიგინალური სახელები, როგორიცაა, მაგალითად, ვაჟების სახელები – მედიკამენტი, სტადიონი, ფორდი, ტოჩკა, შექსპირი, შილერი, ჰამლეტი; გოგონების – აერორა, ანჟელიკა, მილიცა, მერსედესი, დულცინე, ფლორენცია.

არსებობს სახელების კიდევ ერთი კატეგორია, – დასძენს ნ. დუმბაძე, – ესენია „სინთეზური სახელები“, ანუ მშობელთა სახელების შეერთების შედეგად მიღებული სახელები, როგორიცაა: არქიმედი (არქიპო და მედიკო), სერჟანტი (სერჟი და ჟანეტა), ტახი (ტარასი და მარეხი), პანტა (პანტელიმონი და ტატიანა), რეზინა (რეზო და ზინა), საქონელი (საქო და ნელი) და ა.შ.

აქვე ავტორი ამზეურებს ბავშვთა ოჯახური აღზრდის მანკიერ მხარეებს და მშობლებს ირონიულ ფორმებში აძლევს რეკომენდაციებს შვილების აღზრდის შესახებ. აი, ზოგიერთი მათგანი:

1. ეცადეთ, რომ ბავშვმა ძუძუს წოვის პერიოდში პაპიროსის წევა არ დაიწყოს.

2. ბავშვი ღამის თორმეტი საათისათვის დააწვინეთ ლოგინში. თუ არ დაიძინა, დაიძინეთ თქვენ; წაბაძულობით შეიძლება ბავშვმაც დაიძინოს.

3. დაასწარით ბავშვი ყველა ოჯახურ უსიამოვნებას: ბავშვი თავიდანვე უნდა ერკვეოდეს – ვინ არის დამნაშავე.

4. ეცადეთ ხშირად ჰკითხოთ ბავშვს, ვინ უფრო უყვარს - დედა თუ მამა. თუ დედა უფრო უყვარს, მამა გაუჯავრდეს,

დეს, თუ მამა უყვარს უფრო – დედა გაუჯავრდეს.

5 არ დააჩაგვრინოთ ბავშვი გადამტერებულ მასწავლებელს, რომელიც „ინტერესით“ უწერს ცუდ ნიშნებს თქვენს შვილს. მასწავლებელს უნიელეთ, ხოლო ბავშვი სასწრაფოდ გადაიყვანეთ სხვა სკოლაში.

6. 15 წლისას უყიდეთ „მოსკვიჩი“ („ვოლგა“ არ არის რეკომენდებული, ფეხით პედალს ვერ მისწვდება).

7. სასურველია, ათწლედის დამთავრებასთან დაკავშირებით ბავშვს გაუკეთოთ მოულოდნელი საჩუქარი – ოქროს ან ვერცხლის მედალი (58, 424-425).

ამაზე სერიის მეორე მოთხრობაში „ბავშვის როლი მშობლების აღზრდის საქმეში“ საუბარია ოჯახის უფროს წევრთა შორის ურთიერთდამოკიდებულების მახინჯ ფორმებზე, როცა ისინი ერთმანეთს „ამკობენ“ ნაირ-ნაირი „ეპითეტებითა“ და შედარებებით, ავიწყდებათ ან შეგნებულად ივიწყებენ იმ ურევე ჭეშმარიტებას, რომ ბავშვს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი, პირადი მაგალითით უნდა ვზრდიდეთ.

„ – ბაბუ, მამაჩემს რომ ყელში ამოუხვედი და კისერზე დააჯექი, ბევრი გასეირნა?– რას ამბობ, შვილო?

– გუშინ მამამ დათიკო ბიძიას უთხრა, მომაშორე ეგ ბერიკაცი, თორემ ყელში ამომივიდა, სამი დღეა ჩემს კისერზე ზისო.

ბაბუას ჩიბუხი უვარდება ხელიდან, მამას კი აგონდება... როგორ კამათობდა ძმასთან, თუ ვინ უნდა არჩინოს ასი წლის მამა, რომელსაც დღეში ერთი ჭიქა ჩაი და ერთი ნაჭერი პური ჰყოფნის“ (58, 427).

ერთი ან რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვი შეიძლება მიეიდეს მამასთან და ჰკითხოს, – წერს ნ. დუმბაძე:

„ – მამიკო, რატომ არ ღრუტუნებ?

– რატომ უნდა ვიღრუტუნო, შვილო?

– იმიტომ, რომ შენ ღორი ხარ. ასე თქვა ბაბუამ“.

ანალოგიური ამბავი თქვენც შეიძლება დაგემართოთ, მიმართაც აქტორი დედებს. „ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მიუახლოვდეს თქვენი შვილი ბებიას (თქვენს დედამთილს) და სთხოვოს:

– ბებო, კული მარცენე რა!

ბებოს გაოცებისაგან სათვალე გაუვარდება, თქვენ კი გაგახსენდებათ..., რომ გუშინ ბავშვის თანდასწრებით ქმარს უთხარით, დედაშენი კუდიანიაო“ (58, 427).

ოჯახურ აღსრდაში ნოდარ დუმბაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვების დროულად შრომით საქმიანობაში ჩაბმას, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს იგი. „...ქარიოკულებმა შვილების აღზრდა არ ვიცით... 40 წლის ვაჟკაცებს და დედაკაცებს კვლავ „ბიჭს“ და „გოგოს“ ვეძახით... ვანებიერებთ, ხელის, ფეხის განძრევის საშუალებას არ ვაძლევთ, ყველაფერს მზამზარეულს მივართმევთ... ეს შეიძლება ცოტა გადამეტებული იყოს, – წერს იგი, – მაგრამ ის კი ფაქტია, რომ არც ერთ დედას მსოფლიოში ისე დიდხანს არ ჰყავს შვილი კაბის კალთაზე გამოკერებული, როგორც ქართველ დედას“ (60, 95).

ასე ვზრდით უსაქმურ და მუქთახორა არსებას, რომელიც არაყის არგია – არც საკუთარ თავს და არც სხვას.

რომანში „თეთრი ბაირაღები“ ლიმონა (ა. დეკანოზიანი) შოშიას (რ. ჩხიკვაძე) ეუბნება: „შენს საქმეში გასულ გვარამაძეს ერთი მილიონი მანეთი ფული მიწაში უპოვეს, ხის ძირში დამარხული...

– ... მაინც ვისთვის და რისთვის გინდათ ამდენი ფული, შპალერად ხომ არ ხმარობთ, თქვე ჩათლაღებო!..

– შვილებისათვის, ლიმონ, შვილებისათვის! – მოთქმით თქვა შოშიამ.

– ვიცი, შვილებისათვის. კარგ ქართველებად ზრდი, არა? ინტელიგენტებად. ინგლისურს ასწავლი, მუსიკას ასწავლი, ცეკვას ასწავლი, ერთი აგარაკი მთაში, ერთი ბარში, ერთი ზღვაზე. მანქანა, დიპლომი, სამსახური, თბილისში სახლი, თვითონ არაფერი გააკეთოს? ხელის გასანძრევს არ უტოვებ?“ (57, 355-356).

თუ წინათ შვილი პატარაობიდანვე შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მშობლებს შრომა-საქმიანობაში, დღეს უმაღლესდამთავრებული შვილიც კი ზოგჯერ პენსიონერი დედმამის ხელისშემშურია, რადგან მისი რაიონში გაშვება სა-

მუშაობდ, ქალაქს „მოწყენება“ ბევრი ოჯახის უსაშველო ტრაგედიად არის ქცეული. ნათქვამის საილუსტრაციოდ ნ. დუმბაძე იშველიებს ასეთ მაგალითს:

„ამ რამდენიმე დღის წინათ, შუალამისას, უსახლკაროდ შეშფოთებულმა ნაცნობებმა დამირეკეს და მთხოვეს:

– გვიშველე, ჩვენს ბიჭს რაიონში ანაწილებენ, თბილისში დააბრუნებინე როგორმე, თორემ სოფელში დაგვეღუპება და მერე ჩვენც არ ვიცოცხლებთ თავს...

ის „ბიჭი“ მაშინ 27 წლისა იყო, ახლა 35 წლისაა, თბილისში ცხოვრობს, ცოლშვილიანია და უმუშევარი.

– ვის კმაყოფაზეა?! – მკითხავთ თქვენ.

– რა თქმა უნდა, პენსიონერი მშობლების კმაყოფაზე.

– თავმოყვარეობა არა აქვს? – ისევ მკითხავთ თქვენ.

– როგორ არა, აკი მირეკავს კიდევაც დროდადრო და მთხოვს ცალებად, მეყო უსაქმოდ ყოფნა, მიშოვე რამე. ჩემი შესაფერი სამუშაო ქალაქის ცენტრში და ნუ ჩააყოლებ ამ მოხუცებს ჩემს ჯავრს საფლავშიო“ (60, 94).

დღეს პენსიონერი მშობლების ხარჯზე ცხოვრება ირონიულად აღიქმება, რადგან ის პენსია, რასაც ისინი იღებენ, პურის ფულადაც არ ყოფნით და სხვას როგორ დაარჩენენ, მაგრამ მაშინ ეს, ასე თუ ისე, შესაძლებელი იყო.

სწორედ ზემოთ აღნიშნული მშობლების მსგავსთა მიერ არიან აღზრდილი საქართველოში განებივრებული, გაბუნებული 4-5 წლის „ძუძუმწოვარა მოლაპარაკე ბავშვები“, – წერს ნ. დუმბაძე, – რომლებიც კუდში დასდევენ დედებს და გულამომჯდარი ეხვეწებიან, „დედაა, ძუძუ მაჭამეო“. მისი აზრით, „ბავშვობიდან შემუშავებული უზნეობისა და უმწეობის ნაყოფია ის ფაქტი, რომ ჩვენს ბავშვებს დამოუკიდებლად არც ქუჩაზე გადასელა, არც სკოლაში მისვლა, არც წყლის დალევა შეუძლიათ. ამის მიზეზია ისიც, რომ უმაღლესში მისაღებ გამოცდებს მშობელი მეტი ესწრება, ვიდრე აბიტურიენტი. ამის მიზეზია ისიც, რომ ჩვენ შვილებს... ფეხი სხვაზე ადრე უციედებათ თოვლში“ (60, 96).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის თავიდან აცილებისათვის, გვასწავლის ნ. დუმბაძე, საჭიროა ბავშვი პატარაობი-

დანკე შეეხებით დამოუკიდებლობას, ავტონომიასა და ინიციატივას. მისი აზრით, „ავტონომია ისე სჭირდება ადამიანს, როგორც მზე, წყალი, ჰაერი“. მაგრამ აქვე გვაფრთხილებს დიდი მწერალი, რომ ავტონომია არ ნიშნავს ბავშვის თავის ნებაზე მიშვებას, არამედ იგი გულისხმობს ამა თუ იმ საქმეში ბავშვის ინიციატივის, თაოსნობის, დამოუკიდებელი უნარის გამომუღავნებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობლის წყალობით, ბავშვი მოკლებულია ამ უნარის გამოყენების საშუალებას. როგორც კი იგი რაიმე წინააღმდეგობას წააწყდება, მშობელი მაშინვე გამოართმევს ბავშვს საქმეს ხელიდან და თვითონ იწყებს მის შესრულებას, რითაც საგრძნობლად აფერხებს შვილის განვითარებას. ეს ხდება იმიტომ, რომ ზოგიერთ მშობელს შვილი ეცოდება, ზოგს კი სურს ყველაფრის „თავის გემოზე“ კეთება. ერთიც საზიანოა და მეორეც.

აანალიზებს რა ბავშვთა ოჯახური აღზრდის დადებით და უარყოფით მხარეებს, ნოდარ დუმბაძე ყურადღებას ამახვილებს ასევე *მშობელთა პირად მაგალითზე, მათ მორალურ სახეზე*. ამ მხრივ, მისი აზრით, სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. მშობელთა ერთი ნაწილის ქცევა და მოქმედება ვერ პასუხობს დროის მოთხოვნებს, პირიქით, უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდის სულიერ-ზნეობრივ ფორმირებაზე. დიდ მწერალს მხედველობაში აქვს ისეთი ოჯახები, სადაც ადგილი აქვს ქურდობას თაღლითობას, აზარტულ თამაშობებს და ა.შ. აქ მწერალი იშველიებს დიდი ილიას სიტყვებს, რომ კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დასარჩენი, მეორე კი თან წასაყოლიო. „ის მეორე, თანმყოლი სახელი, – წერს ნ. დუმბაძე, – ჩვენმა მადლიერმა შვილებმა უნდა დაგვაწერონ საფლავის ქვებზე, ოღონდ ის სახელი ჭეშმარიტი უნდა იყოს, რადგან მოგონილი სახელი კაცს არც აქ და არც იქ არ გამოადგება“ (60, 102). ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ, ოლღა ბებიასი არ იყოს, დილით რომ მოვკვდებით, შვილებმა საღამოს არ დაგვმარხონ და არც ისე უნდა მოვიქცეთ, რომ საერთოდ დაუმარხავი დაგვტოვონ. მაგრამ, ნ.

ლუმბაძის აზრით, ჩვენს შრომასა და გარჯას ბავშვთა აღზრდაში „გრიფის ფასი ექნება... ვიდრე ერთხელ და სამუდამოდ არ მოვიშლით საოცარ, არაფრისმაქნის ყოყლოჩინობას, რომ, „მსოფლიოში ყველა გამოჩენილ ადამიანს მამა ქართველი ჰყავდა, რომ თვითმფრინავი, მატარებელი, რადიო, ტელეფონი, ტელეფონი და პატეფონი საქართველოში გამოიგონეს, რომ საქართველოში მეტი დოქტორი, დოქტორი და პროფესორია, ვიდრე ბელგიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში ერთად აღებული“ (60,105). ანდა, „მსოფლიოში არ მოიპოვება ალბათ არც ერთი ერი, რომელსაც ჰქონდეს ისეთი ლოზუნგი, რომელიც ჩვენ გვაქვს, – „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო“. „ერთხელ მარკ ტვენს ჰკითხეს, – წერს ნოდარი, – რატომ სიკვდილში ძეგლს არ გიგებენო. მან ასე უპასუხა, მირჩევნია, ეს მკითხონ, ვიდრე ის, რატომ დაგიდგეს ძეგლიო“ (60, 106).

ხშირად, აღნიშნავს ნ. ლუმბაძე, გაიგონებთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ამა თუ იმ სართულიდან, თუ როგორ ეძახის დედა შვილს:

„ – მერაბიკო! ამოდი, ინგლისური მოამზადე, თორემ საცაა ფრანგულის მასწავლებელი მოვა და გერმანულის მასწავლებელთან წასვლას ვერ მოვასწრებთ. მე ამასობაში... მამას დაეურეკავ, შაეი „ეოლგა“ გამომიგზავნოს და მერე ნორკის შუბის გამოსატანად წავალ, თორემ ეს კარაკულის შუბა მოდიდან გამოდის“ (58, 483).

ან კიდევ:

„ – გულსუნდა! გეყოფა, შვილო, თამაში! მე და მამაშენი საზღვარგარეთული ფილმის გასინჯვაზე მივდივართ, სულ ოთხი მოსაწვევი მოსულა საქართველოში და ორი ჩვენ გამოგვიგზავნეს...“ (58, 483).

ცხადია ასეთ ოჯახში ჭეშმარიტი მამულიშვილი არ გაიზრდება, რამეთუ მსგავსი მსგავს ზრდის.

ყოველივე ეს კარგად უნდა გაიაზროს და გაისიგრძეგანოს ყველა იმან, ვისაც საქმე აქვს მოზარდი თაობის აღზრდასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

თ ა ვ ი XXIV

სკოლა და პედაგოგიკა დამოუკიდებელ საქართველოში (1991 წლიდან დღემდე)

მას შემდეგ, რაც საქართველო დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას, განათლება გამოცხადდა სახელმწიფოებრივი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად. საგანმანათლებლო სფეროს ყურადღების ცენტრში დადგა ყოველი ინდივიდის შესაძლებლობების, ნიჭისა და უნარის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება, ჯანმრთელი, გონიერი და მაღალი პროფესიული მომზადების მქონე ადამიანის აღზრდა. „საქართველოს რესპუბლიკაში განათლების მიზანია, – ვკითხულობთ „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამასა და მისი რეალიზაციის გეგმაში“, – აღზარდოს სამშობლოსათვის თავდადებული, საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი, სულიერად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად განვითარებული, მაღალი ზნეობისა და ეროვნული თვითშეგნების, თავისუფალი აზროვნების, დამოუკიდებელი მოქმედების, საკუთარი შესაძლებლობების რეალური შეფასების უნარის მქონე, ტოლერანტული, კაცთმოყვარე ადამიანები, რომლებსაც ახასიათებთ მშვიდობისმოყვარეობა, რელიგიური შემწყნარებლობა, მისწრაფება თავისუფლებისა და სხვა ერებთან მეგობრული თანაცხოვრებისაკენ, მაღალი პასუხისმგებლობა ადამიანის, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე“ (38, 11). მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებას აფერხებს ის, რომ აღმზრდელობითი ფუნქციის მატარებელი ძველი ინსტიტუტები მოიშალა, სანაცვლოდ კი არაფერი შემოუთავაზებიათ. ადრე ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდებოდა მოსარდი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებისადმი მიძღვნილი წერილები, რაც ხელს უწყობდა მშობელთა პედაგოგიზაციასა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, დღეს კი აღზრდის პროცესი სტიქიურ დინებაზეა მიშვებული. სკოლების დეპოლიტიზაციას, ფაქტობრივად,

დეიდეოლოგიზაცია მოახდა. შეიქმნა სიცარიელე მომაკვდავი თაობის აღზრდისა და ეროვნული იდეოლოგიით მისი დამუხტვის საქმეში. სკოლაში აღარ მოქმედებს ეფექტურად აღზრდის ის მექანიზმი და ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც მოზარდს ერის კულტურისა და ისტორიისადმი პატივისცემას უნერგავდა.

...ერთი ხელის მოსმით, სრულიად გაუმართლებლად, უარყოფილ იქნა აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებმაც გაუძლეს ცხოვრებისეულ გამოცდას: ამან ზიანი მიაყენა აღზრდის უმნიშვნელოვანეს საქმეს. სიახლეთა დანერგვის პროცესი ეითარდება ძალზე ნელი ტემპით, ხშირად – ზერელედ, პროგნოზის, სათანადო ანალიზის და პერსპექტივის გაუთვალისწინებლად. თანამედროვე საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ზნეობის დეფიციტის პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდა", – ნათქვამია „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამასა და მისი რეალიზაციის გეგმაში" (38, 29).

დამოუკიდებელი განვითარების გზაზე შემდგარ საქართველოში მოხდა ძირეული გარდაქმნა სახალხო განათლების სისტემაში, შეიქმნა ახალი ტიპის სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებები. „განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილია შემდეგი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

ა) დაწყებითი ზოგადი განათლება;

ბ) საბაზო ზოგადი განათლება;

გ) საშუალო ზოგადი განათლება;

დ) სახელოსნო მომზადება;

ე) დაწყებითი პროფესიული განათლება;

ვ) საშუალო პროფესიული განათლება;

ზ) უმაღლესი განათლება.

დაწყებითი სკოლა ექვსწლიანია. იგი სრულდება VI კლასში, ხოლო *საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა* – სამწლიანი. ეს უკანასკნელი სრულდება IX კლასში და მოიცავს VII, VIII, IX კლასებს.

საშუალო განათლების პროგრამა ხორციელდება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, გიმნაზიებსა და ლიცეუმებში, რომლებშიც სწავლების ხანგრძლივობა 3–3 წელია.

გიმნაზია ორსაფეხურიანი სასწავლებელია, რომლის თითოეული საფეხური 3–3 წლიანია. გიმნაზია მოსწავლეებს აძლევს ფართო განათლების ძირითად საბაზო საგნებში, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ სფეროში. გიმნაზიის პირველი საფეხურია პროგიმნაზია. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას უფლება აქვა, განაგრძოს სწავლა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში და თუკი კონტინგენტი ამის საშუალებას იძლევა, კონკურსგარეშე ჩაირიცხოს არნებულ სპეციალობაზე.

ლიცეუმი პროფილური სასწავლებელია 3-წლიანი კურსით (X–XII). რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს უფლება ეძლევა, სწავლა განაგრძოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. ლიცეუმის გამოსაშვები გამოცდები უთანაბრდება უმაღლეს სასწავლებელში შესაბამისი პროფილის სპეციალობაზე მისაღებ გამოცდებს, რის შედეგადაც ლიცეუმდამთავრებულებს შეუძლიათ, ჩაირიცხონ არნებულ უმაღლეს სასწავლებელში დაშვებული კონტინგენტის ფარგლებში უგამოცდოდ.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით შენარჩუნებულია *პროფესიული განათლების ქსელი.* ისინი წარმოადგენენ სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც სასკოლო განათლების მეორე ეტაპის ან სრული საშუალო განათლების დასრულების შემდეგ 1, 2 ან 3 წლის განმავლობაში ახალგაზრდებს შეასწავლიან გარკვეულ პროფესიას, რაც მათ გზას გაუხსნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დასაქმებისაკენ, ამავე დროს აძლევს საშუალო ზოგად განათლებასაც.

კოლეჯი წარმოადგენს საშუალო სპეციალურ სასწავლებელს, რომელშიც სწავლების ხანგრძლივობა 5 წელია.

მას'ში შესვლა შეუძლიათ ახალგაზრდებს საბაზო სკოლის ან პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ. გიმნაზია და ლიცეუმდამთავრებულს, სათანადო შემოწმების, გასაუბრების შემდეგ, კოლეჯში ღებულობენ IV კურსზე. თუ კოლეჯის IV-V კურსების პროგრამა არსებითად შეესაბამება უმაღლესი სას'ავლებლის გარკვეული სპეციალობის I-II კურსების სას'ავლო პროგრამებს, შესაძლებელია კოლეჯის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები, აღებულების არსებობის შემთხვევაში, აღებულებელი გამოცდების ჩაბარების შემდეგომ კონკურსის წესით ჩაირიცხონ უმაღლესი სას'ავლებლის III კურსზე.

განათლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული კომპიუტერული ცოდნით მოსწავლე ახალგაზრდობის მომზადება. ამ მიზნით დიდ ქალაქებში გახსნილია ინფორმატიკულ-კომპიუტერული სას'ავლო ცენტრი.

გარკვეული ცვლილებები მოხდა უმაღლესი განათლების ქსელში. ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებობდა 3 სახის უმაღლესი სას'ავლებელი: ინსტიტუტები, აკადემიები და უნივერსიტეტები. ამჟამად მხოლოდ აკადემიები და უნივერსიტეტებია. უნივერსიტეტები 2 სახისაა – სას'ავლო უნივერსიტეტი და უნივერსიტეტი. სას'ავლო უნივერსიტეტი შეიცავს ს'ავლების მხოლოდ ორ საფეხურს – ბაკალავრიატსა და მაგისტრატურას, ხოლო უნივერსიტეტი, ამათთან ერთად, შეიცავს დოქტორანტურასაც. ბაკალავრიატში ს'ავლების ხანგრძლივობა 4 წელია, მაგისტრატურაში – 2, ხოლო დოქტორანტურაში – 3.

უნივერსიტეტი არის მსხვილი სას'ავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს მეცნიერების ძირითად დარგებში.

ბაკალავრს უფლება აქვს იმუშაოს განათლების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შესაბამის სფეროებში. მაგისტრატურა ამზადებს წარჩინებულ ბაკალავრთაგან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტებს. მაგისტრანტს უფლება ეძლევა, დაიკავოს ლიცეუმისა და გიმნაზიის მას'ავლებლის თანამდებობა ან განაგრძოს ს'ავლა

დოქტორანტურაში. რომელსაც ადრე ასპირანტურა ეწოდებოდა. დოქტორანტს დისერტაციის დაცვის შემდეგ ენიჭება თავისი საგნის (ისტორიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ფიზიკის და ა.შ.) აკადემიური დოქტორის ხარისხი და შეუძლია იმუშაოს უმაღლეს სასწავლებელში ასისტენტ, ასოცირებულ ან სრულ პროფესორად.

დღეგანდელი დუხჭირი ცხოვრების პირობებში სკოლა მარტო ცეროფერს გახდება, თუ მას გარკვეული დახმარება არ გაუწია საზოგადოებამ, მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით ფინანსური დახმარება. ცალკეული ორგანიზაციებისა და სპონსორების დახმარება გადამწყვეტი ფაქტორი ხდება სკოლების ახალი სასწაულო წლისათვის მზადებისა და მათში სასწაულო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებაში. უნივერსიტეტების, წარმოება-დაწესებულებების, ფირმების, მოსახლეობის გარკვეული ძალების მობილიზაცია მნიშვნელოვანი საშუალებაა სასკოლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

სკოლებმა და სკოლამდელმა დაწესებულებებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება.

საზოგადოების ჩართვა სასწაულო დაწესებულებების მართვაში საჭიროა მორალურ-ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღების თვალსაზრისითაც. სკოლებში თავს იყრის გარკვეული თანხა ამა თუ იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ასეთი მოზიდული თანხების ხარჯვაზე საზოგადოებრივი კონტროლი სკოლებს დაიცავს გაუგებრობისაგან, არაჯანსაღი აზრისაგან.

ამ მიზნით საქართველოს განათლების სამინისტრომ დაამუშავა, კოლეგიაზე განიხილა და დაამტკიცა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა“ და „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სამეურვეო საბჭოს დებულება“. დებულების შესაბამისად აღნიშნულ სასაწაულო-სააღმზრდელო დაწესებულებებში შეიქმნა შესაბამისი სამეურვეო საბჭოები. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: პედაგოგები, მშო-

ბლები და მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენლები. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ, სამეურვეო საბჭოში დანიშნონ თითო წევრი სათათბირო ხმის უფლებით.

საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ" (მუხლი 41) ნათქვამია, რომ სამეურვეო საბჭო ირჩევს სკოლის დირექტორს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი არა უმეტეს სამი კანდიდატურიდან და დებს მასთან შრომით ხელშეკრულებას. იგი უფლებამოსილია, დირექტორს მოსთხოვოს, ყოდამდე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება იმ მასწავლებელს, რომელიც დაარღვევს შრომითი ხელშეკრულების პირობებს, ან ჩაიდენს რაიმე უზნეო საქციელს.

სკოლების სამეურვეო საბჭოს ფუნქციები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

სამეურვეო საბჭო ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს და კონტროლს აწესებს მის ხარჯვაზე. იგი აკონტროლებს ასევე საზოგადოების მიერ შეგროვებულ და სხვა წყაროებიდან მიღებულ არასაბიუჯეტო რესურსებს, რომელიც ამაყე დაწესებულებას მოხმარდება.

დებულებით აკრძალულია მოსიდული სახსრებისა და შემოსავლების იმ დანიშნულებით გამოყენება, რაც სცილდება დაწესებულებების მიზნებსა და ფუნქციებს. ასევე აკრძალულია მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისგან თანხების შეგროვება სამეურვეო საბჭოს გვერდის აქლით.

„ზოგადი განათლების შესახებ" კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭო ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორისაგან იბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

სკოლის დირექტორს შეუძლია, დაესწროს სამეურვეო საბჭოს სხდომებს, მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებისა და ხმის მიცემის უფლება არა აქვს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ სამეურვეო საბჭო ირჩევა მშობელთა საერთო კრებაზე, რო-

ასორც მათ წინაშე არსებობილი ორგანო. დებულება განსაზღვრავს არსებების წესსა და პირობებს, რაც მაქსიმალურად ღია, ობიექტური და სამართლიანი უნდა იყოს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში – საბავშვო ბაღებში სამეურვეო საბჭოს შექმნა სხვა ფაქტორებით არის განპირობებული.

უკანასკნელ ხანებში საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა შენახვა და აუცილებელი სამეურვეო ხარჯები მშობელთა შემოსავლებით არის უზრუნველყოფილი. ბიუჯეტი უზრუნველყოფს მხოლოდ ხელფასებს, პურით მომარაგებას, გახარჯული ელექტროენერგიისა და წყლით მომარაგების თანხებს.

დებულება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამეურვეო საბჭოს ანიჭებს ფართო ფუნქციებს, რომელთა შორის ძირითადია:

ა) ორგანიზაცია გაუწიოს და ხელი შეუწყოს დაწესებულებაში აღსაზრდელთა შენახვისათვის მშობელთა შემოტანებისა და სხვა არასაბიუჯეტო სახსრების მოზიდვას;

ბ) აკონტროლოს აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობა;

გ) დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად დადგენილი ნორმატივების გათვალისწინებით განსაზღვროს აღსაზრდელთა კვების საფასურის ოდენობა და დასამტკიცებლად წარუდგინოს მშობელთა საერთო კრებას;

დ) დაამტკიცოს მოზიდული სახსრების მართვის სტრატეგია;

ე) აწარმოოს კონტროლი აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციაზე, კერძების რაციონსა და ხარისხზე, გახარჯული თანხებისა და მომზადებული კერძების შესატყვისობაზე;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეამოწმოს აღსაზრდელთა გამოცხადებადა, შეადაროს იგი მენიუ-ფაქტურის მონაცემებს და სხვ.

ცვლილებები მოხდა სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკთა შერჩევაშიც. აღრე მათ ნიშნავდა განათლების სამინისტრო, ახლა კი ხდება

მათი არჩევა, ამასთან, სკოლის დირექტორად შეიძლება არ-ნეულ იქნას ისეთი პირიც, რომელსაც პედაგოგიური განათ-ლება არ გააჩნია, რადგან მას გაკვეთილებზე დასწრება არ ექალება. ეს მისი მოადგილის (სასწავლო-აღმსრდელობითი მუშაობის დარგში) პრეროგატივაა.

უკანასკნელ წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკო-ლებში შემოღებულ იქნა მენტორი მასწავლებლისა და მან-დატურის ინსტიტუტი, რამაც საგრძნობლად აამაღლა მას-წავლებელთა კვალიფიკაცია და შესაბამისად მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმსრდელობითი მუშაობა. მანდატურის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ იკლო მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანებისა და დისცი-პლინის დარღვევის შემთხვევებმა, მაგრამ ეს შიშის ფაქ-ტორზე დამყარებული დისციპლინაა და არა შეგნებული დისციპლინა, რომლის აღსრდა სკოლის პედაგოგიური კო-ლექტივის უპირველესი ვალია. ამიტომ, ჩვენი აზრით, პო-ლიციას სკოლებში არაფერი ესაქმება.

2009-2010 სასწავლო წელს კვლავ შემოღებულ იქნა წარჩინებით სკოლადამთავრებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება, რაც ადრე იყო და გარკვეული მიზეზების გამო გაუქმდა. მედალოსანთა რიცხვი ყოველ-წლიურად იზრდება. მაგალითად, 2010-2011 სასწავლო წელს აჭარის სკოლების 195 მოსწავლეს გადაეცა ოქროსა და ვერცხლის მედალი, ხოლო 2011-2012 სასწავლო წელს – 205 მოსწავლეს, აქედან 102-ს – ოქროს მედალი და 103-ს – ვერცხლის მედალი.

გამოყენებული ლიტერატურა*

1. *აბაშიძე მ.*, თხზულებანი. რედაქტორ-გამომცემელი გურამ შარაძე, თბ., 1998.

2.*აბაშიძე რ.*, სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის სისტემის ფილოსოფიური საფუძვლები. ჟურნ. „ჭოროხი", 2011, №2.

3. *აბაშიძე პ.*, აჭარა მის ამაგს არასოდეს დაივიწყებს, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1959 წლის 29 დეკემბერი.

4. *აბზიანიძე გ.*, ნიკო ნიკოლაძე, წიგნში: „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან", თბ., 1959.

5. *აბზიანიძე გ.*, ს. დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, შესავალი წერილი წიგნისა: ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961.

6. *ასათიანი ე.*, მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების პრობლემა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, თბ., 1993.

7. *ასათიანი ლ.*, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1953.

8. *ახნაზაროვი ა.*, ილია ჭავჭავაძე და მისი დრო (მოგონება), საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე", თსუ, 1939.

9. *„ბათუმის გაზეთი"*, 1912 წლის 28 ივნისი, №143.

10. *ბაიაძე ე.*, რაც ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდების (საბაეშვო ლიტერატურის შესახებ), თბ., „განათლება", 1979.

11. *ბასილაძე ნ.*, „დედა ენის" ზნეობრივი გაკვეთილები, ჟურნ. „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა", 1990, №1.

12. *ბასილაძე ნ.*, ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური შეხედულებანი, ბათუმი, 1997.

13. *ბასილაძე ნ.*, ნარკვევები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიიდან, ბათუმი, „ალიონი", 2007.

14. *ბასილაძე ნ.*, ნოდარ დუმბაძის პედაგოგიკური შეხედულებანი, ბათუმი, 2003.

**აქ მითითებული წყაროების 95 % ციტირებული ლიტერატურაა. ისინი დალაგებულია ანბანური წესით და ყოველი მათგანი ბიბლიოგრაფიაში მხოლოდ ერთხელ არის დასახელებული.*

15. *ბახტალაძე ნ.*, სიკეთით გაჯიბარი გული, გაზ. „ალორძინება“, 2001 წლის 26 აპრილი და 9 მაისი.

16. *ბახტალაძე ნ.*, ქართული ენის მოჭირნახულე. ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 2000, № 1.

17. *ბახტალაძე ნ.*, ჭეშმარიტი ქმელითი ჰუმანიზმი, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 2001, №10.

18. *ბაქრაძე აკ.* ილია ჭავჭავაძე (წიწამური), თბ., „ნაკადული“, 1984.

19. *ბაქრაძე აკ.* ნიკო ნიკოლაძე, თბ., „ნაკადული“, 1989.

20. *ბერულავა ნ.*, დიმიტრი უზნაძე, ცხოვრება და შემოქმედება, თბ., „მეცნიერება“, 1967.

21. *ბოცვაძე ზ.*, იაკობ გოგებაშვილი, თბ., „განათლება“, 1991.

22. *ბოცვაძე ლ.*, განათლება ძალაა, ჟურნ. „განათლება“, 1908, №1.

23. *ბოცვაძე ლ.*, ღვთა ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა, ჟურნ. „განათლება“, 1908, №1.

24. *ბოცვაძე ლ.*, მეცნიერება და სახალხო განათლება, ჟურნ. „განათლება“, 1919, №1.

25. *ბოცვაძე ლ.*, ოჯახი და მისი დანიშნულება, ჟურნ. „განათლება“, 1911, №3.

26. *ბოცვაძე ლ.*, პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1, თბ., „განათლება“, 1982.

27. *ბოცვაძე ლ.*, საუბარი სახალხო სკოლაზე, ჟურნ. „განათლება“, 1910, №10.

28. *ბოცვაძე ლ.*, სახალხო სკოლის პროგრამა, ჟურნ. „განათლება“, 1919, №1.

29. *ბოცვაძე ლ.*, შრომა და მისი მნიშვნელობა, ჟურნ. „განათლება“, 1912, №5.

30. *გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი*, ტ. 1, თბ., 1989.

31. *გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი*, ტ. 2, თბ., 1989.

32. *გაბრიელ ეპისკოპოსი*, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 1993.

33. *გაგუა ე.*, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმისშემდგომ საქართველოში, თბ., „განათლება“, 1974.

34. *გაზ. „ჩორჩი ლურინჯელი“*, 1988 წლის 19 ოქტომბერი.

35. *გაზ. „ოქტომბრის გზით“* (ხელვაჩაურის რაიონული გაზეთი), 1989 წლის 1 ივნისი.

36. *გაზ. „პრაუდა“*. 1942 წლის 24 მარტი.

37. *გაზ. „საქართველო“*. 1989 წლის 31 დეკემბერი.

38. *განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა*, თბ., 1995.

39. *გაფრინდაშვილი მ.* ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959.

40. *გაიორგაძე ი.*, დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია და პედაგოგიკა (წიგნი პირველი), ბათუმი, 1999.

41. *გოგებაშვილი ი.*, ბუნების კარი, დაბეჭდილი 1912 წლის გამოცემის მიხედვით, თბ., „განათლება“, 1976.

42. *გოგებაშვილი ი.*, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1954.

43. *გოგებაშვილი ი.* თხზულებანი, ტ. I, თბ., 1955.

44. *გოგებაშვილი ი.*, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., „განათლება“, 1989.

45. *გოგებაშვილი ი.*, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ., „განათლება“, 1990.

46. *გოგებაშვილი ი.*, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ., „განათლება“, 1990.

47. *გოგებაშვილი ი.*, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., „განათლება“, 1990.

48. *გოგებაშვილი ი.*, რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, ტ. II, თბ., სახელგამი, 1940,

49. *გოგებაშვილი ი.*, საგანძური, თბ., „განათლება“, 1982.

50. *გოგებაშვილი ი.*, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დაბადების 120 წლისთავისადმი, თბ., „ცოდნა“, 1960.

51. *გრიგალაშვილი ნ.*, ისტორიის გზაჯვარედინი, ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1990, 27 იანვარი, №12.

52. *გუგუნავა ნ.*, მემედ აბაშიძე განმანათლებელი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 1997.

53. *გურამიშვილი დ.*, დავითიანი, თბ., „საქართველო“, 1998.

54. *დოლაშვილი ს.* თხზულებანი, თბ., 1961,

55. *დუმბაძე ნ.*, ათი მოთხრობა. თბ., 1976.

56. *დუმბაძე ნ.*, თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი I. თბ. „მერანი", 1988.

57. *დუმბაძე ნ.* თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი II. თბ. „მერანი", 1989.

58. *დუმბაძე ნ.* თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი III, თბ. „მერანი", 1990.

59. *დუმბაძე ნ.*, უბის წიგნაკი (კრებული), შემდგენელი ჯაბა ასათიანი, თბ., 1998.

60. *დუმბაძე ნ.* შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები, თბ., 1984.

61. *ეკა-ფშაველა.* თხზულებანი, შემდგენელი მურმან ლებანიძე, თბ., 1985.

62. *ვარსიგავა ი.ჰ.*, მოგონებები, ნაწილი პირველი, თბ., 1956.

63. *ზამბახიძე ელ.*, ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური იდეები, თბ., „განათლება", 1971.

64. *ზანდუკელი მ.* ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, თბ., 1976.

65. *თაქთიშვილი გ.*, ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხის-ტყაოსანში", თბ., 1937.

66. *თაქთიშვილი გ.*, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. I, თბ., „განათლება", 1974

67. *თაქთიშვილი გ.*, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II. თბ., „განათლება", 1977.

68. *თაქთიშვილი გ.*, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. III, თბ., „განათლება", 1980.

69. *იაკობის სამრეკლო.* თბ., „განათლება", 1990.

70. *იმედაშვილი ი.* ჩემი ცხოვრების წიგნი, თბ., „ხელოვნება", 1978.

71. *იმედაშვილი კ.*, ძნელი გზა სიკეთისაკენ, ჟურნ. „კრიტიკა", 1973, №4.

72. *იოსაშვილი დ.*, სინათლით სავსე სამყარო, თბ., 1984.

73. *იყო და არარა იქნება*, კრებული. შემდგენელი მ. ვარშანიძე, ბათუმი, 1978.

74. *კარელელაკი ნ.*, ქართული მჭერმეტყველება, თბ., 1968.

75. *კეკელიძე კ.* ქართული ლიტერატურის ისტორია (ძველი მწერლობა), ტ. 1. თბ., 1941.

76. *კლდიაშვილი დ.*, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984.

77. *კომახიძე თ.*, ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, ბათუმი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა", 1996.

78. *კონსტანტინოვი ნ.ა., მელიხისკი კ.ნ., შაბაევა მ.ფ.*, პედაგოგიკის ისტორია, გამომცემლობა „ცოდნა", თბ., 1964.

79. *ლაისტი ა.*, საქართველოს გული, წიგნი მეორე, ტფ., 1927.

80. *ლასხიშვილი გ.*, მემუარები, ტფ. 1934.

81. *ლორთქიფანიძე დ.*, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1955.

82. *ლორთქიფანიძე ე.* დავით გურამიშვილი – დიდი ქართველი დიდაქტიკოსი, თბ., 1955.

83. *მარსკვეტაშვილი ი.*, მოგონებანი. ნახული და გაგონილი, ტფ., „ფედერაცია", 1936.

84. *მარსკვეტაშვილი ი.*, მოგონებები, ნახული და გაგონილი, თბ., 1985.

85. *მახარაძე აპ.*, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1957.

86. *მგალობლიშვილი ს.*, მოგონებანი, ტფ., „ფედერაცია", 1938.

87. *მგვრელიძე ი.*, იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, სახელმძღვანელოები, გრამატიკის საკითხები, თბ., „განათლება", 1973.

88. *მეფარიშვილი ლ., სიხარულიძე შ.*, შიო ჩიტაძე, თბ., 1964.

89. *მზიანი გულის მწერალი*, წერილები, გამოსათხოვარი სიტყვები, მოგონებები, ლექსები ნოდარ დუმბაძეზე, თბ., „მერანი", 1986.

90. *ნიკოლაძე ნ.*, თხზულებანი, ტ. 1, თსუ, 1962.

91. *ნიკოლაძე ნ.*, თხზულებანი, ტ. 2. თბ., 1960.

92. *ნიკოლაძე ნ.*, თხზულებანი, ტ. 3. თბ., 1963.

93. *ნიკოლაძე ნ.*, თხზულებანი, ტ. 4. თბ., 1964.

94. *ნიკოლაძე ნ.*, თხზულებანი, ტ. 6. თსუ, 1970.

95. *ნიკოლაძე ნ.*, მამულის სიყვარული და მსახურება. ქუთაისი, 1914.

96. *ნიკოლაძე ნ.*, მოგონებები. თბ., 1984.

97. *ნიკოლაძე ნ.*, რჩეული ნაწერები. ს. ხუნდაძის რედაქციით, ტ. 1, ტფ., 1931.

98. *ნიორაძე გ.*, პირველი ქართული სკოლა ბათუმში, თბ., „ცოდნა", 1958.

99. *პედაგოგიკის ისტორია*. პროფ. ნ. ვასაძის რედაქციით, თბ., „განათლება", 1988.

100. *პედაგოგიკის ისტორია*. პროფ. ნ. ვასაძის რედაქციით, თბ., შპს „მაგნოლია", 2004.

101. *პლუტარქე*, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975.

102. *სარიშვილი ტ.*, დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობა და პედაგოგიური შეხედულებანი. კრებულში: „ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის აქტუალური საკითხები", თბ., „განათლება", 1978.

103. *სარიშვილი ტ.*, სახალხო განათლების საკითხები რევოლუციამდელ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში (1901-1921), თბ., 1986.

104. *სარიშვილი ტ.*, სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში", თბ., 1956,

105. *საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე"*, 2003, №6.

106. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, საქართველო XIX საუკუნის 30–90-იან წლებში. ტ. V. თბ., 1970.

107. *საყვარელიძე გ.*, აკაკი წერეთელი – ჰუმანისტური აღზრდის მგზნებარე ქომაგი, თსუ, 1988.

108. *სიკვა ს.*, სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში (1907-1917 წწ.), თბ., „განათლება", 1969.

109. *სილაგაძე ა.ა. გურული ვ.* მემელ-ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები (1917-1923), თბ., 1996.

110. *სიხარულიძე შ.*, შიო ჩიტაძის ბიოგრაფიის საკითხისათვის, გაზ. „სახალხო განათლება“, 1951 წლის 21 მარტი.

111. *სოხაძლია მ.*, ზნეობის გაკვეთილები, გაზ. „სახალხო განათლება“, 2000 წლის 20 სექტემბერი.

112. *სრესელი ი.*, რამდენიმე ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან, თბ., 1965.

113. *უზნაძე დ.*, ალზრდის ძირითადი ტრაგედია, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1980, №1.

114. *უზნაძე დ.*, მოხსენება სასწავლებლის ორგანიზაციის შესახებ, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1980, №2,

115. *უზნაძე დ.*, „სინათლის“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლის 1915-1916 სასწავლო წლის ანგარიში. ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1980, №2.

116. *უშინსკი კ. დ.*, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თსუ, 1974.

117. *ფირცხალავა ს.* მოგონებანია ჟურცელი, თბ., 1988.

118. *ქართული პედაგოგიკის ისტორია*, თბ., „განათლება“, 1974.

119. *ქავთია ე.*, გამოჩენილი ქართველი პედაგოგები, თსუ., 1973.

120. *ქავთია ე.*, ნიკო ცხვედაძე, თბ., 1946.

121. *ქავთია ე.*, შიო ჩიტაძე, კრებულში: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრ. I, თბ., 1953.

122. *ქინქლაძე ო.* ქართული დემოკრატიული პედაგოგიკის ჩამოყალიბება, თბ., „განათლება“, 1980.

123. *ქურციძე შ.*, ხალხთა ძმობა-მეგობრობის იდეა ქართულ ლიტერატურაში, წიგნი I, ბათუმი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1959.

124. *შარაძე გ.*, ილია ჭავჭავაძე (1837-1907), ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, წიგნი I, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ., 1987.

125. *შატაიძე ნ.*, იანოუსკი, ლეციცკი, აშორდია და სხვები, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1988, №5.

126. *შთინია აკ.*, აჭარის მოჭირნახულე, ბათუმი, 1987.

127. *ჩხარტიშვილი შ.* ექსპლიანათა სახალხო სწავლების საკითხები, თბ., 1980.

128. *ცაიშვილი ს.*, იგივე როსტომაშვილი. წიგნში: „სახალხო განათლების ქართული მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები". კრებული I, თბ., 1953.

129. *წერეთელი აკ.* თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. VI, თბ., 1957.

130. *წერეთელი აკ.*, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. XII, თბ., 1960.

131. *წერეთელი აკ.*, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. XIII, თბ., 1961

132. *წერეთელი აკ.*, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. XIV, თბ., 1961.

133. *წერეთელი აკ.* რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1989.

134. *წერეთელი აკ.*, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1990.

135. *წერეთელი აკ.*, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1990,

136. *წერეთელი გ.*, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, ტფ., 1930.

137. *წერეთელი გ.*, ქართული პრესა, წიგნი X, თბ., 1985.

138. *ჭაჭავაძე ი.*, აზრები, შემდგენელი გ. კალანდარიშვილი, თბ., 1988.

139. *ჭაჭავაძე ი.*, თხზულებათა სრული კრებული, ჰ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. III, თბ., 1953.

140. *ჭაჭავაძე ი.*, თხზულებანი. შემდგენელი მ. ლებანიძე, თბ., 1984.

141. *ჭაჭავაძე ი.*, რჩეული ნაარმოებები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1985.

142. *ჭაჭავაძე ი.*, რჩეული ნაარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1986.

143. *ჭაჭავაძე ი.*, რჩეული ნაარმოებები ხუთ ტომათ, ტ. IV, თბ., 1987.

144. *ჭაჭანაძე ი.* რჩეული ნაარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1987.

145. *ჭაჭანაძე ი.* პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1938.

146. *ქილასონია ა.* გიორგი ეკვთიმეს ძე წერეთელი, კრებულში: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", კრებული III, თბ., „განათლება", 1968.

147. *ქილასონია ა.,* გიორგი წერეთელი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., „განათლება", 1967.

148. *ქურდიანელი ი.,* აღმზრდელი და მოჭირნახულე, თბ., „ნაკადული", 1965.

149. *ქურდიანელი ი.,* ლუარსაბ ბოცვაძე , თბ., 1954.

150. *ქურდიანელი ი.,* ჟურნალი „განათლება" და მისი ადგილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში, თბ., „განათლება", 1981.

151. *ხალვაში ფრ.* წყალს ნაფოტი ჩამოაქორდა, თბ., „საქართველო", 2000.


152. *ხურდაძე ა.,* ლუარსაბ ბოცვაძე. კრებულში: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", კრებული I, თბ., 1953.

153. *ხურდაძე ტრ.,* ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960.

154. *ჯიბლაძე გ.,* იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრე – ლუარსაბ ბოცვაძე, წიგნში: „პედაგოგიკა და მეთოდიკა", თბ., „განათლება", 1974.

155. *ჯორბენაძე პ.,* ქმედითი, მებრძოლი ჰუმანიზმის კანონი, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1980 წლის 23 აპრილი.

ა ვ ტ ო რ ი



პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი **ნოდარ ბახტაძე** დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ქოსოფელში. მახუნცეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1963 წელს წარჩინებით დაასრულა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი რუსული და გერმანული ენების სპეციალობით. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებისა და კონფერენციების მუშაობაში, იყო პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი. IV კურსზე სანიმუშო სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის დაჯილდოვდა ნ. ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია. 1969 წლამდე მუშაობდა რუსული და გერმანული ენების მასწავლებლად აჭარის სოფლისაგანმანათლებლო სკოლებში. შემდეგ ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის მეთოდური კაბინეტის გამგედ, სადაც უნარიანად ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და გურიის რაიონების, ასევე ქ. ფოთის სოფლისაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების ხელმძღვანელ მუშაკთა და აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს. უკითხავდა მათ საინტერესო ლექციებს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე. 1979 წლიდან 210 წლამდე იგი მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად და ბოლოს უნივერსიტეტის სრულ პროფესორად.

წლების განმავლობაში სათავეში ედგა სტუდენტთა ზნეობრივი აღზრდის საუნივერსიტეტო კომისიასა და პედაგოგიური საზოგადოების პირველად ორგანიზაციას, 6 წელი ასრულებდა პედაგოგიკის კათედრის გამგის მოვალეობას.

საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1985 წელს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევით ინსტი-

ტუტ'ში. ხოლო სადოქტორო – 2006 წელს იღია ჭაჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ნ. ბასილაძე ავტორია ოცამდე წიგნისა, რომელთა შორის 8 მონოგრაფიაა და სამი – სახელმძღვანელო. გარდა ამისა, გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილი, სტატია, რეცენზია.

მისი კვლევის ძირითადი საგანია XX საუკუნის დიდი უკრაინელი პედაგოგის *ვასილ სუხომლინსკის* პედაგოგიკური მემკვიდრეობა, რომელსაც მან მიუძღვნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, ასევე 5 წიგნი და ორმოცამდე სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე. აღნიშნული ნაშრომებიდან გამოირჩევა მისი ერცელი მონოგრაფია „ვ.ა. სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა". მასში დაწვრილებით არის განხილული კლასიკოსი პედაგოგის თეორიული და პრაქტიკული მემკვიდრეობა, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებლებსა და მშობლებს მოზარდი თაობის ჯეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში.

ნოდარ ბასილაძის სხვა წიგნებიდან გამოირჩევა: „სკოლამდელი აღზრდის განვითარება აჭარაში (1921-1981 წწ.)", „ოჯახი და ბავშვის აღზრდა", „ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემები ვ.ა. სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში", „პედაგოგიკის საკითხები". „ნოდარ დუმბაძის პედაგოგიკურ შეხედულებანი", „ლექციების კურსი პედაგოგიკაში", „ნარკვევები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიიდან", „ჰუმანიზმის პედაგოგიკა", „პიროვნების განვითარება და თვითაღზრდა", „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის", „პედაგოგიკური კვლევის მეთოდები" და სხვა.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, უწევდა მთარგმნელობით მუშაობას. 2008 წელს გამოვიდა მის მიერ გერმანული ენიდან თარგმნილი იუმორისტული მოთხრობების კრებული „მუსიკა მეზობლის ოთახიდან" და რუსულიდან თარგმნილი ვასილ სუხომლინსკის „წერილები შვილებს", ხოლო 2009 წელს – ალექსეი დოროხოვის „როგორ მოვიქცეთ (საუბარი თავაზიანობასა და ქცევის წესებზე)".

დაჯილდოებულია ლირსების მედლით და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. არის ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

აკადემიისაგან 3

შესავალი. ქართული პედაგოგიკის ისტორიის საგანი, წყაროები და პერიოდიზაცია 5

თავი I. ადრდა პირველყოფილი თემური წყობილებისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების დროს 8

თავი II. სკოლა და პედაგოგიკური აზროვნება ადრეფეოდალურ და ფეოდალურ საქართველოში... 14

თავი III. განათლება XIII–XVIII საუკუნეების საქართველოში 33

თავი IV. პედაგოგიკური იდეები XVII–XVIII საუკუნეების საქართველოში 44

თავი V. სახალხო განათლება საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში 60

თავი VI. სოლომონ დოდაშვილი 72

თავი VII. სახალხო განათლება XIX საუკუნის II ნახევარის საქართველოში 83

თავი VIII. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და პირველი ქართული სკოლა აჭარაში 94

თავი IX. გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) ზნეობრივი ქადაგებანი 109

თავი X. ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური ნააზრევი 123

თავი XI. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი 154

თავი XII. აკაკი წერეთელი და პედაგოგიკის საკითხები 190

თავი XIII. პედაგოგიკა გიორგი წერეთლის შემოქმედებაში 224

თავი XIV. ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური იდეები 244
თავი XV. ნიკო ცხვედაძის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა 275
თავი XVI. იაკინე როსტომაშვილის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა და პედაგოგიკური იდეები 294
თავი XVII. სახალხო განათლება XX საუკუნის დასაწყისში (1901-1917 წწ.) 304
თავი XVIII. ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიკური შეხედულებანი 318
თავი XIX. შიო ჩიტაძის პედაგოგიური მოღვაწეობა და პედაგოგიკური შეხედულებანი 350
თავი XX. მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობა და პედაგოგიკური იდეები 367
თავი XXI. დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებანი 383
თავი XXII. სკოლა და პედაგოგიკა საბჭოთა საქართველოში (1921-1991 წლები) 402
თავი XXIII. ნოდარ დუმბაძე – პუმანიზმის დაუცხრომელი მებრძოლი 431
თავი XXIV. სკოლა და პედაგოგიკა დამოუკიდებელ საქართველოში (1991 წლიდან დღემდე) 466

გამოყენებული ლიტერატურა 474

ა ე ტ ო რ ი 483